მე, ბებია, ილიკო და ილარიონი

ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩუდის, მარცხნივ – ლაშის ღელე, რომელიც სავსეა კიბორჩხალებით, ღორჯოებით და შარვალაკაპიწებული ბიჭებით. გუბაზოულზე ხიდია გადებული, რომელსაც ბოგას ეძახიან. ყოველ გაზაფხულზე მოვარდგილ წყალს მიაქვს ხიდი და ჩვენ მხოლოდ ხიდის თავი გვრჩება. მიუხედავად ამისა, ჩემი სოფელი მაინც ყველაზე ლამაზი და მხიარული სოფელია გურიაში, მე იგი ყველა სოფელზე უფრო მიყვარს ამქვეყნად, რადგან არ შეიძლება სხვაგან იყოს სოფელი, რომელშიც ვცხოვრობდე მე, ჩემი ბებია, ილარიონი, ილიკო და ჩემი ძაღლი მურადა.

***

ბებიაჩემი ბრძენი ქალია, ის მუდამ ასე მეუბნება:

– ისწავლე, შე სასიკვდილე, თორემ უსწავლელი დარჩები.

მეცნირებაზე ბებიას თავისებური წარმოდგენა აქვს. ერთხელ, როდესაც აივანზე ვიჯექი და ხმამაღლა ვიზეპირებდი ქართული გრამატიკის ნორმებს, ბებიამ, სხვათა შორის, მკითხა:

– რასაა, რომ იზუთხავ, შვილო?

– ზმნის პირიანობას ვსწავლობ, ბებია.

– ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო, პირიანი კაცი ვიცი მე.

– ეს სხვა პირია, ბებია, შენ რომ გგონია, ის არ არის.

– პირი ერთია, ბიჭო, ქვეყანაზე.

– კარგი, აბა, მითხარი, რა არის პირი? – ვკითხე ბებიას და წიგნი დავხურე.

– პირი რა არის და... პირი პირია.

– დაჯექი, ბებია, გაკვეთილი არ იცი, – ორს გიწერ!

– ორს მოგცემ მე შენ, შე კუდიანო, ახლავე წადი და თხა გადააბი, თორემ იმდენს გირტყამ, რუმბივით გაგიხდი ცხვირ–პირს!

– აბა, ერთს კიდევ გკითხავ და მერე წავალ, რამდენი პირი არსებობს?

– პირი იმდენი არსებობს, რამდენიც კაცი დაიარება ამქვეყანაზე და პირი იმიტომ არსებობს, რომ ენა დაატიოს კაცმა შიგ, გეყურება? პირი ზოგს პატარა აქვს, ზოგს დიდი, დიდი პირი ვისაც აქვს, იმას ლაფშიანს ეძახიან. არსებობს კიდევ უცხვირპირო ხალხი, მაგალითად, შენ.

– პირშავი ხალხიც არსებობს. – ვთქვი მე.

– მართალი ხარ. ჩვენი ფოსტალიონი, მაგალითად, პირშავია, კონვერტებს მარკებს აძრობს და მერე მეუბნება, უმარკო იყო, მანეთი მომეციო.

– მე როგორი ვარ, ბებია?

– შენ? პირზე მიწადასაყრელი, ამოუპირავი და ღვთის პირიდან გადავარდნილი. შენს პირში ჩემი მტერი ჩავარდა.

არ არსებობს ქალი გურიაში, რომელსაც უკეთესი წყევლა შეეძლოს, ვიდრე ჩემს ბებიას, მაგრამ მე მისი წყევლის არ მეშინია, რადგან ერთხელ წამოცდა: – ნუ გეშინია, ბებია, როდესაც გწყევლი, ჩემი ძუძუები გლოცავენო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩემი ბებია ეჭვის თვალით უყურებს განათლების კომისარიატის უსულგულო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ბავშვებს ყოველდღე ექვს–ექვსი გაკვეთილი გვაქვს, თუმცა მე ამის საბაბს ბებიას არასოდეს არ ვაძლევ. ჩემი მეცადინეობა ყოველდღე დიდი–დიდი ოთხ გაკვეთილამდე გრძელდება. მეოთხე გაკვეთილზე მე ვკარგავ დროისა და ზომიერების შეგრძნების უნარს და ზომაზე მეტად ხმამაღლა ვეკითხები ჩემს მეზობელს:

– რომულის ვენაცვალე, რომ არ ირეკება, ზარი მოიშალა ნეტავ, თუ დარაჯი?

რომული იკრიჭება, მასწავლებელი კი იშვერს ჩემსკენ თითს (თითით საჩვენებელი მოწაფე ვარ) და ალერსიანად მეუბნება;

– ახლავე აეთრიე, გარეთ გაეთრიე და, სანამ მშობელს არ მოიყვან, სკოლაში არ მოეთრიო!

მე არ ვეკითხები მასწავლებელს – „რატომ“, რადგან ასეთი დისკუსიის შემდეგ კამათში ცარცი და სახაზავი ერევა. უხმოდ ვიღებ ქუდს და გავდივარ.

– ნახვამდის! – ვეუბნები რომულის.

– ნახვამდის! – მეუბნება რომული და ხელს მიქნევს.

მეორე დღეს ბებია მიმყავს სკოლაში, მერე ბებიას მივყავარ სახლში, მერე ისევ ბებია მომყავს სკოლაში და ასე შემდეგ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე და ბებია ერთად ვამთავრებთ ათწლედს. ვფიქრობ, ეს ერთადერთი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში.

***

მე რა, მე ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭი ვარ, წიგნების ჩანთაში ხილი, შურდული და ფიშტო მიწყვია. დაზამთრებამდე სკოლაში ფეხშიშველი დავდივარ. მაქვს ერთი შარვალი და ყოველ წელს ორი საშემოდგომო გამოცდა. რადგან ჩემი ძაღლი, მურადა, სულ თან დამყვება, სოფელში სულძაღლიანს მეძახიან, სკოლაში – ყალთაბანდს, ბოლო ბებია კუდიანს მეძახის. ჩემი ნამდვილი სახელი ზურიკოა.

როდესაც ბებიას ვაბრაზებ, იმ ღამით საწნახელში მძინავს, როდესაც ვურიგდები, ერთად გვძინავს. დღისით ბებია მწყევლის და ზურგს უკან ამოფარებული წკეპლით მეპარება. ღამით ფეხებს მბანს და დაძინებულს მკერდზე მკოცნის.

სკოლაში როგორი ვარ? სკოლაში ჩემი ქცევის შესახებ არსებობს დოკუმენტი – „პედსაბჭოს სხდომის ოქმი“, – რომელიც იმ შთაბეჭდილების წიგნს ჰგავს, უნიჭო მხატვრის გამოფენაზე რომ დევს და გამვლელ–გამომვლელს ეხვეწებიან, თუ ძმა ხარ, რამე ჩაგვიწერე შიგო.

ეს დოკუმენტი, დაახლოებით, ასე გამოიყურება.

სოფლის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1940 წლის 18 მარტის სხდომის ოქმი.

სხდომას ესწრებოდა: ყველა მასწავლებელი.

მოისმინეს: მეექვსე კლასის დამრიგებლის მოხსენება ამავე კლასის მოსწავლის ზურაბ ვაშალომიძის საქციელის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

მათემატიკის მასწავლებელმა:

– „ვაშალომიძე ჩემთვის ასუცნობიანი განტოლებაა და სანამ მასში ადამიანს ამოვიცნობ, ალბათ, სულს ამომხდის.“

ფიზიკის მასწავლებელმა (ფიზიკის მასწავლებელმა ჩემს პიროვნებაზე უშუალო დაკვირვებით ჩამოაყალიბა ფიზიკის ახალი, ურყევი კანონი):

„ – არ არსებობს ბუნებაში ენერგია, რომელსაც შეეძლოს ვაშალომიძის მოძრაობაში მოყვანა. ეს არის სითხეში ჩაშვებული სხეული, რომელზედაც არ მოქმედებს არავითარი ამომგდები ძალა“.

ქიმიის მასწავლებელმა:

„ – არავითარი რეაქცია, ზის მთელი დღე და მშლის. იგი რაღაც განსაკუთრებული ლაკმუსია, რომელზედაც არაფერი არ მოქმედებს, იგი არასოდეს არ წითლდება“.

რუსულის მასწავლებელმა:

„ – პო მოემუ ონ პროსტო იდიოტ “.

გეოგრაფიის მასწავლებელმა:

„ – ვაშალომიძეს აქვს ერთობ რელიეფური ცოდნა. იგი ან შექანებულია, ან გამოფიტული. ვფიქრობ, მას სჭირდება ზომიერი სარტყელი, რომ სიგრძედი და განედი ერთი ჰქონდეს“.

ისტორიის მასწავლებელმა:

„ – იგი უფრო ქვის ხანის ადამიანია, ვიდრე მეოცე საუკუნის ცივილიზებული მოქალაქე. ძნელია დავათარიღოთ მომენტი, როდესაც იგი გაკვეთილზე წყნარად ზის. არავითარი პროგრესი, იგი არცხვენს თავის კლასს“.

სკოლის დარაჯმა:

„ – რას ერჩით მაგ ბაღანას, თუ ასე შტერია, რაფერ გადადის კლასიდან კლასში?“

სასწავლო ნაწილის გამგემ:

„ – შენ არავინ გეკითხება, შენი საქმეა დილას ადრე ადგე და ზარი დარეკო“.

ქართულის მასწავლებელმა: (ჩემი ახლო ნათესავია).

„ – რა გააჭირეთ საქმე, ბოლოს და ბოლოს, დაახრჩვეთ ბარემ ბავშვი და ესაა, რომელი გყავთ მაგაზე კარგი? არც ისეა საქმე, დირექტორის შვილს რომ ყველაფერში ხუთები ჰყავს, იმაზე შტერი ბავშვი მე ჯერ არ შემხვედრია, ბუსავით ზის გაკვეთილზე“.

ფიზკულტურის მასწავლებელმა:

„რატომ უწერ მერე ხუთს!“

ქართულის მასწავლებელმა:

„ – ნუ დაუწერ, თუ ბიჭი ხარ!“

სასწავლო ნაწილმა:

„ – გაჩუმდით ორივე! შენ რას გვეტყვი, ვაშალომიძე?!“

ვაშალომიძე:

„ – მართალს ამბობს ქართულის მასწავლებელი!“

სასწავლო ნაწილი:

„ – მაგას არავინ გეკითხება შენ! საერთოდ რას გვეტყვი?“

ვაშალომიძე:

„ – საერთოდ, ახლა მაპატიეთ და მერე გამოვსწორდები!“

ამის მსმენელს მე დიდხანს ეჭვიც კი მეპარებოდა ჩემს ჯანმრთელობასა და ნორმალურობაში, მაგრამ ერთმა შემთხვევამ გამიფანტა ეჭვები. საქმე იმაშია, რომ ერთი კვირის განმავლობაში სახლში ჯდომამ მომიწია, ყანა მქონდა გასათოხნი, ესე იგი, სკოლა უნდა გამეცდინა. გაცდენისათვის რომ სკოლიდან არ გავერიცხეთ, საჭირო იყო ექიმის მოწმობა. ჩემს სოფელში ჯანმრთელებს ავადმყოფობის მოწმობას იმ ხანებში, საუბედუროდ, არ აძლევდნენ. საჭირო შეიქნა ჩემი ერთი საათით ლოგინში ჩაწვენა, ექიმის მოყვანა და ცნობის აღება. ამისათვის დილიდან მაშიმშილეს, ავადმყოფის ფერი რომ დამდებოდა, თავი პირსახოცით გამიკრეს და ბებია ექიმის მოსაყვანად წავიდა. ნახევარ საათში ექიმმა ეზოში ცხენი შემოაჯირითა.

– რა მოგივიდა, ბიჭო? – მკითხა ექიმმა და ლოგინზე ჩამომიჯდა.

– ვკვდები, ექიმო!

– რა გტკივა?

მართალი გითხრათ, ასეთ კითხვას არ ველოდი და შეშინებულმა ბებიას გადავხედე.

– ყველაფერი, – თქვა ბებიამ.

– თმა გტკივა?

– კი, – ამოვიკვნესე მე. ამასობაში მეზობლებიც მოვიდნენ. ილარიონმა და ილიკომ იცოდნენ როგორი ავადმყოფი ვიყავი და საუბარში ჩაებნენ.

– რაღაც, ამ ბოლო დროს, სისუსტეს ვამჩნევ ამ ბაღანას, – თქვა ილარიონმა.

– მაგალითად როგორ?
– მაგალითად, ჭამის მადა არა აქვს. ამას წინათ ჩემთან იყო და ერთი კეცი ჭადის და სამი საინი ლობიოს მეტი ლუკმა არ ჩაუდვია პირში.
– რას მეუბნები, კაცო? – გაუკვირდა ექიმს.
– კი, შენ ნუ მომიკვდები, წინათ ყველაც დააყოლებდა, იმ დღეს კი, რომ შეკრა პირი, ერთი ლუკმაც ვეღარ გადავაცდინე იმაზე მეტი, რაც გითხარი.
– მართლა, ბიჭო? – მკითხა ექიმმა.
– კი, ექიმო, ლობიოს რომ ვხედავ, გული მერევა.
– დავიჯერო ახლა შემწვარი წიწილი ნიორწყალში ჩაწყობილი, ან ქონდარში შეჭყლეტილი ჭყინტი ყველი, ანდა ყალიოდ მოხარშული დედალი, ან, შენ ხარ ჩემი ბატონი, შეკმაზული კუჭ–ნაწლავი, ან კიდევ უკეთესი, ნიგვზის ბაყეში ჩაწყობილი წვერა და კალმახი არ გინდა?
– გადამირევს ეს შეჩვენებული ბალანას, – ჩაილაპარაკა ბებიამ. ილიკომ ვეღარ გაუძლო ასეთ მენიუს და ხველებ–ხველებით გავარდა გარეთ. ილარიონმა თავი შეიკავა და სურათებს დაუწყო თვალიერება.
– კიდევ რა სტკივა? – იკითხა ექიმმა ღიმილით, მერე მომხსნა თავზე პირსახოცი და პირზე მომდგარი ნერწყვი სათუთად მომხოცა.
– კიდევ, ცხვირს აცემინებს, – თქვა ილარიონმა.
– შარდი როგორი აქვს? – აქ უკვე ილარიონიც დაიბნა და შემობრუნებულ ილიკოს ჰკითხა:
– შარდი როგორი აქვს, ილიკო?
– რაღაც, ამ ბოლო დროს არ მომწონს მაგისი შარდი. – არ დაიბნა ილიკო.
– უწინ კარგი ჰქონდა?
– გადასარევი.
– კიდევ რა გტკივა, ყმაწვილო?
– კიდევ ცოტას... – თქვა ილიკომ და საფეთქელზე საჩვენებელი თითი დაიტრიალა. მივხვდი, რაშიც იყო საქმე.
– მართლა? აბა, ერთი მითხარი ეს რამდენია? – თქვა ექიმმა და ხუთი თითი მომიტანა ცხვირთან.
– შვიდი! – ვთქვი მე და რაც შეიძლებოდა სულელურად გავიღიმე.
– მართალია! – თქვა ექიმმა.
ილარიონს გაკვირვებისაგან სათვალე ჩამოუვარდა, ბებიამ კი უკან დაიწია, ექიმმა თვალის ქუთუთოები ჩამომქაჩა, მერე ზევით ამიქაჩა, ჩამხედა შიგ, თავი სინანულით გადაიქნია და იკითხა:
– ახლობლებს და ნათესავებს თუ გცნობთ?
– გაჭირვებით, – თქვა ილარიონმა.
– კარგი, ეს კაცი ვინ არის? – მკითხა ექიმმა და ილიკოზე მიმითითა.
– ეს კაცი არ არის, ეს მხეცია. – ვთქვი მე და უფრო სულელური გამომეტყველება მივიღე, ვიდრე ილიკო მოელოდა.
– ზურიკო, ბიჭო, ვერ მიცანი? ილიკო ვარ, შენი ილიკო ბიძია! – შემომევედრა ილიკო.
უარის ნიშნად თავი გავიქნიე და თვალები დავაელამე. ბებიამ ქვედა ტუჩზე იკბინა და ლოყა ჩამოიხოკა.
– რით მკურნალობთ ავადმყოფს? – იკითხა ექიმმა.
– არყით ეუზილავთ საფეთქლებს, შვილო. – თქვა ბებიამ.
– მომიტანე აქ ის არაყი. – ბებია გაცუნცულდა და არაყი მოიტანა. – ერთი ის ჩაის ჭიქა მომაწოდეთ. – მიართვეს ჩაის ჭიქა. ექიმმა პირამდე აავსო და დაიწყო: – ამ ბავშვის მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, ადვილი შესაძლებელია დილამდე ვერ გააწიოს, ახლავე უნდა წავიყვანოთ საავადმყოფოში და სასწრაფოდ ოპერაცია გავუკეთოთ.
– რისი, ექიმო? – წამოვხტი ლოგინიდან.
– თავის ქალა უნდა აგხადოთ!
– ცოცხალი თავით არ გაგატან! – იკივლა ბებიამ. – თავის ქალა ახადო, რავა, კვახი ხომ არ არის? რა სჭირს საოპერაციო კეტივით ბალანას. ღმერთო კი მომკალი. ადექი, ბიჭო, ზედ, შენ მაგას მართლა ავად ხომ არ ჰგონიხარ, ავად კი არა, კერკეტა ნიგოზივითაა, ენაცვალოს ბებია!
– ჰოდა, ღმერთმა კარგად გამყოფოთ, სიმწარე გაშოროთ და სიტკბო მოგცეთ, – თქვა ექიმმა და ჩაის ჭიქა სულმოუთქმელად გადაიპირქვავა ხახაში.
– არიქა, დასაყოლებელი, – თქვა ილარიონმა და ექიმს მსხალი მიაჩეჩა. ექიმმა მსხალი მადიანად ჩაკბიჩა, ლოყაზე ხელი მომითათუნა და დაგვემშვიდობა, ოთახიდან გასვლისას შემობრუნდა და ასე უთხრა ბებიას: – ასე ჯანსაღი ბავშვი მართლაც არ მგონია ამ სოფელში დადიოდესო. მერე მოახტა ცხენს, ხელი დაგვიქნია და თოხარიკით გაუდგა გზას.

ნადირობა

ჩემი მძიმე ავადმყოფობის კვირის თავზე ილარიონი ჩამოვიდა ჩვენს ეზოში, მსხლის ძირში წამოწვა, პაპიროსი გააბოლა და სხვათა შორის მკითხა:
– რა ქენი, სულძაღლიანო, ოპერაცია გადაიტანე?
– შენ და ილიკოს რა გენაღვლებათ, მე კინაღამ დავიღუპე!
– რა დაგღუპავდა, ბიჭო. აგხდიდა ის კაცი თავის ქალას, ჩაიხედავდა და დახურავდა იმავე წუთში, მე შენ გეტყვი, დაკაპიწებული სამუშაო დახვდებოდა შიგ.

– არც შენ და ილიკოს გეონავთ ყურებიდან ტვინი.
– სადაა შენი ძუნკალი ძაღლი მურადა? – ამის კითხვა და ძაღლის კივილი ერთი იქნა.
– მოვკლავ მაგ პატრონძაღლს, საიდან მოათრიე, შენი შიგანი დაგლიჯოს ძაღლებმა, ზურიკელა მახინჯო. საიდან ჩამოათესლე ეს უჯიშო? გინახიათ, კაცო? კვერცხი არ დამიყენა ბუდეში და ახლა წიწილებს მიადგა! – მოფოფინობდა ორღობეში პირზე ქაფმომდგარი და მხარზე სარგადებული ეფროსინე. წინ კი ჩემი საწყალი მურადა მორბოდა წკავ–წკავით და უკანა ფეხს ძლივს მოათრევდა.
– ჰაიტ, სად წავა! – კიოდა თავის ეზოში ეფროსინეს ქმარი.
– რაშია საქმე, დედაკაცო, რომ აიკლე მთელი სოფელი, რალაც ფარცაგი არ მეგონა? – გამოვარდა გარეთ ბებიაჩემი. – უჯიშო მაგი კი არა, შენი ქმარია. რას ქვია უჯიშო, ორი წველა ყველი მივეცი ამ ძაღლში სიმონა მეწისქვილეს! – ეფროსინე წიოდა, ძაღლი – წკავწკავებდა.
– გამარჯობა შენი, მურადა! – მიესალმა ილარიონი.
– გაგიმარჯოს! – თქვა გულში მურადამ და კუდი მიწაზე დააბაკუნა.
– ნამდვილად მელიას ჯიშისაა, – თქვა ილარიონმა და პირიდან ქათმის ბურდღა გამოაცალა.
– რაო, ეფროსინემ, რა მინდაო, ა? – ისევ ჰკითხა ილარიონმა.
რა ვიცი, იმ ოჯახაშენებულს ისე ღია ადგილას დაუდგამს ბუდე, რომ სულმა წამძლია, – თქვა გულში მურადამ და სევდიანი თვალებით ახედა ილარიონს.
– მაგრა მოგხვდა ჯოხი?
– კიო, – გაიფიქრა მურადამ და მტკივან ფეხზე დაიხედა.
–ნუ გეშინია, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, – უთხრა ილარიონმა.
– არც ისე მტკენია, ეფროსინეს რომ ეგონა! – თქვა გულში მურადამ და გაიღიმა. მერე ადგა, ყურები გააპარტყუნა და ილარიონს ხელების ლოკვა დაუწყო.
– რა მოუვიდა, ბიჭო, დრუნჩზე? – მკითხა ილარიონმა.
– გუშინ ჭადი არეკა კეციდან, ღადარში კრა ცხვირი და დაეფუფქა.
– მართლა, მურადა? – ჰკითხა ილარიონმა.
– ეჰ, ცოტა ვიჩქარე, თორემ მასეთი ჭადი ამირეკია კეციდან? – თქვა გულში მურადამ და ცხვირზე თითი ჩამოისვა.
– ძაღლი კი არა, ოქრო ხარ, აგერ, ეს სულძაღლიანი ამხელა მუტრუკია და მაინც ბებიამისის სარჩენია, შენ კი შენით ირჩენ უკვე თავს! – უთხრა ილარიონმა მურადას და კისერზე ხელი მოუთათუნა. – ოღონდ ქურდობა არ ვარგა, პატიოსანი შრომით ნაშოვნ ლუკმაზე გემრიელი არაფერი არ არის, ხომ დეავ, ჩვენი საწყობის გამგე, დათიკო, სასიკვდილოდაა გადადებული, სანამ შეეძლო, არ იქნა მისი მუცლის ამოყორვა, ახლა წყალმანკი გაუჩნდა და აგდია ლოგინში, ჩამოწერილი საქონელივით, გეყურება? – ჰკითხა ილარიონმა მურადას.
– როგორ არ მეყურება, მაგრამ ყველა იპარავს და მე რა, მამა აბრამის ბატკანი ხომ არ ვარ, ბოლოს და ბოლოს, ძაღლი ვარ! – თქვა გულში მურადამ და შემომხედა.
– წადი ახლა და დაწექი შენს ადგილას, ფეხი არ მოიცვალო სახლიდან, თორემ მოგკლავ ცემით, შე მამაძაღლო, – ეუთხარი მე მურადას და წიხლი ამოვკარი.
– ნუ ილანძღებიო, – შემომღრინა მურადამ და კუდამოძუებული წავიდა თავისი საწოლისკენ.
– დღეს გაღმა ვიყავი კოლექტივის ყანებში, – თქვა ილარიონმა. – სოიოს ფოთოლი სულ შეჭმულია, კურდღლის კვალიც ვნახე, არ იქნებოდა ურიგო გაგვეარა ხვალ, ალიონზე.
– შენ მაშინაც წამიყვანე და კურდღლის კვალის მაგივრად თხის კვალი აღმოჩნდა.
– ახლა ნამდვილად კურდღლისაა, ცურცლიც ვნახე.
– კარგი, ბატონო, გავინადიროთ, ოღონდ ის ცურცლი კურკლი არ აღმოჩნდეს ბოლოს.
– კურკლს და ცურცლს ნუ მასწავლი, შე ცხვირმოუხოცელო! თოფი გაამზადე და ის შენი მურადაც წამოათრიე, ეგება გამოგვადგეს რამეში. – მითხრა ილარიონმა, ქუდი ცხვირზე ჩამომაფხატა და წავიდა.
დილით ადრე, მე, ილარიონი და მურადა დაცვარულ, წელამდე ბალახს მივარღვევდით. წინ მიდიოდა ილარიონი, უკან მე, სულ უკან თავიდან ფეხებამდე გალუმპული და ხოზიკით გაწეპილი მურადა მოფრუტუნებდა.
– ძაღლიც ასეთი უნდა. – ყბას მიქცევდა ილარიონი, – მაგ შეჩვენებულს კურდღლები ხომ არ ეგონივართ, კვალში რომ მოგვდევს,ე ბიჭო, უთხარი გავარდეს წინ.
– გადი, ძაღლო, წინ! – ვუბრძანე მურადას, მურადა დაჯდა.
– დაიღალა, ჩვენც ხომ არ დაგვესვენა და გვეჭამა რამე? – მკითხა უკვე ჩამომჯდარმა ილარიონმა.
– დავისვენოთ! – ვთქვი მე და ჩამოვჯექი ილარიონის გვერდით.
ილარიონმა აბგა გახსნა, მოხარშული დედალი, გაფიცხებული ჭადი, ჭყინტი ყველი, ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი ამოიღო და ჩვენს შუა მაგიდასავით ბრტყელ ქვაზე დააწყო. მე ჩემი მხრიდან ჭინჭრის ფხალი, კირკვალი ლობიო, მოხარშული კარტოფილი და მარილი შევმატე სუფრას და პურ–მარილი გაიშალა.
– პირს ნუ ამწლაკუნებ, ილარიონ, თორემ კურდღლები გაიგონებენ და დაფრთხებიან, – გავაფრთხილე ილარიონი.
– ვის დასცინი, შე დაგვაჯულო, კურდღლის მეტი რა არის, ოღონდ მოძებნა უნდა. – გამიჯავრდა ილარიონი, არაყი დაასხი, ერთი სახარება შეგვეწიოსო, თქვა და გადახუხა.
– შეგვეწიოს! – ვთქვი მე და გადავხუხე.
– დააყოლე რამე, დაგახრჩობს.

– რას დამახრჩობს, რახია!
– რახი ბებიაშენის არაყია. ორი სახარება შეგვეწიოს!
– ორი სახარება შეგვეწიოს. – ვთქვი მე და უცებ გავმხიარულდი.
– პირდაპირ ჭაჭაში ურტყამს.
– ჭაჭისაა და აბა, რას იზამს.
– სამი სახარება შეგვეწიოს! – ვთქვი ახლა მე.
– სამი სახარება შეგვეწიოს! – თქვა ილარიონმა და გადაკრა, მერე თუთუნი ამოიღო.
– აგერ, მოწიე, ჩემი სტამბულისაა, – ვუთხარი მე და ილიკოს ნაჩუქარი თუთუნით სავსე ქისა მივაწოდე.
ილარიონმა თუთუნი გამომართვა, უსუნა, ეჭვის თვალით შემხედა, მაგრამ მაინც გაახვია, მოუკიდა, მოქაჩა, ნაფაზი დაარტყა და გულალმა გადავარდა.
– რა მოგივიდა, ილარიონ! – მივვარდი შეშინებული, ილარიონს თვალები გადაეტრიალებინა და უკულმა მხრიდან მიმზერდა.
– არიქა, მურადა, წყალი! – ვიყვირე შეშინებულმა, ილარიონმა უარის ნიშნად ხელები გაასავსავა, მერე წამოჯდა, დიდხანს მიყურა თვალღრემლიანმა, ბოლოს ერთი ვეშაპივით ამოისუნთქა, მერე სიკვდილმისჯილი კაცივით მკითხა:
– ვინ მოგცა, ბიჭო, ეს თუთუნი?
– ილიკომ!
ილარიონმა არაყი დაასხა, ცრემლები მოიწმინდა, ჭიქიანი ხელი ღმერთისკენ გაიშვირა და თქვა:
– ეს ღმერთმა არ გაუმარჯოს ყველა ცულლუტ და ციგანს. ღმერთო, ილიკო ჩიგოგიძე მანახე ისე გაგუდული, რომ სულს ვერ იბრუნებდეს და ახლომახლოს ჩემს მეტი კაცი არ იყოს მშველელი.
– რა მოხდა, ილარიონ ბიძია?
– პილპილია თუთუნში გარეული!
– შეგვეწიოს აბა, ოთხი სახარება და ილიკოს გაუწყრეს ღმერთი. – ვთქვი მე, დავლიე და ილარიონის ცხვირზე მომინდა კოცნა. – ჩემო ილარიონ ბიძია, შენ გენაცვალე მე, შენისთანა კაცი ერთი არ დადის ქვეყანაზე, მე ძალიან მიყვარხარ, შენ დიდი ცხვირი გაქვს და კეთილი გული, შენ რომ არ იყო ამ ქვეყანაზე, სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, შენ რომ არ მეგულებოდე. შენი ჭირიმე, ილარიონ ბიძია, უნდა გაკოცო, – და ვაკოცე ჩემს ილარიონს ცხვირზე.
– აბა, მე თუ მკითხავ, ზურიკელა ბიძია, შენისთანა ბაღანა სულ არ გაჩენილა დუნიაზე. მართალია, შენზე უფროსი ვარ ოცდაათი წლით, მაგრამ მე რომ შენხელა ვიყავი, მაშინ ხომ ვიყავი შენხელა? ჰოდა, ოცდაათი წლის შემდეგ შენც ხომ გახდები ჩემხელა? ესე იგი, ჩვენს შორის რა განსხვავებაა? არაფერი. რა მნიშვნელობა აქვს ვის მეტი ბანალი და ბურდღა აქვს თავზე, არაფერი. ჩვენ მეგობრები ვართ. შეგვეწიოს ცხრა სახარება;
– ცხრა კი არა ხუთი, ილარიონ!
– აწი არა აქვს მაგას მნიშვნელობა, სამს რომ გადასცილდება, ერთია ყველა.
– ვოი, ძმა–ბიჭებში დაჩაგრული მე ვარ სიმონა დოლიძე, – დავიწყე მე.
– ვინ დაგჩაგრა შენ, ვინაა ძმა–ბიჭებში რომ ჩაგრავს ჩემს ზურიკოს, სკოლაში გჩაგრავენ? ნავთს გადავასხამ და ცეცხლს მივცემ ქვევიდან. ეგება მოსაკლავი გყავს ვინმე. ამ ზაუერის ტყეია მატარებლის რელსს ხვრიტავს, მითხარი ვინ გყავს გასახვრეტი! – ილარიონმა თოფი გადმოიღო და ფეხზე შეაყენა.
– დასცხე, ილარიონ, მაგის რჯულიც არ იყოს, გაიგოს მთელმა ქვეყანამ, აქ რომ ვართ!

სისონაი დარჩიაი
ნაქებია ბიჭობაში,
შევიდა და ძმა იტირა,
არ შეშინდა იმტონ ჯარში...

ილარიონმა გამოუშალა თოფს ფეხი, ზედიზედ იქუხა, ექო დიდხანს გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით აწყდებოდა გურიის მთებს, მერე იშოვა გასასვლელი, გავარდა, გაფრინდა და სადღაც გადაიკარგა.
არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა. სიცივემ გამომაღვიძა. თვალები მოვიფშვნიტე და სუფრას გადავხედე. მურადას საუზმე დაემთავრებინა, სუფრა აელაგებია და სადღაც წასულიყო.
ილარიონი გავაღვიძე.
– რა გინდა, ბიჭო, სტრაუნიკივით რომ დამდგომიხარ თავზე, გაწიე მაგი თოფი იქით, არ გაგივარდეს და არ მომხვდეს, თორემ, თუ ავდექი, ბუკივით გაგიხდი ცხვირს! – შემომღრინა ილარიონმა.
– გავივლი ერთი, ენახავ კურდღელი არ იყოს, შენ მოემზადე მანამდე.
– სროლის დროს მარცხენა თვალის დახუჭვა არ დაგავიწყდეს! – მომაძახა ილარიონმა.
ათიოდე ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, რომ ილარიონის ლანძღვა–გინება გავიგონე.
– ვაი შენს პატრონს უბედურს, ძაღლი კი არა, მთხლეი ხარ, იჭმებოდეს მაინც შენი ხორცი, დაგკლავდა კაცი, არადა, გაგონილა სადმე ძაღლს დაყეფება ეზარებოდეს?
– რა მოხდა, ილარიონ? – მივვარდი თოფმომარჯვებული.
– რა იყო და უყურე ამას, – მითხრა ილარიონმა და ხელისგული გამომიშვირა, ზედ მსხვილი საფანტისტოლა კურდღლის ცურცლი ეყარა.

– თბილია, გეყურება შენ? თბილია, – ამოიკვნესა ილარიონმა და ცურცლი საჩვენებელი თითით დაისრისა ხელისგულზე.

– სად იყო?

– სად იყო და აგერ ორი ფეხის ნაბიჯზე. არიქა, გავარდი, ზევიდან შემოუარე, შორს ვერ წავიდოდა, მე აქედან დავუხვდები.

თოფი ფეხზე შევაყენე და ყანას ზევით ავყევი. თხუთმეტი ნაბიჯი რომ გადავდგი, გაპუტული სოიო ვნახე. – კურდღლის ნახელავია, – გავიფიქრე, კვალიც იყო, გავყევი კვალს, ვიარე და შქერის ბუჩქს მივადექი, კვალი არ წყდებოდა. შემოვუარე ბუჩქს, არაფერი არ ჩანდა, მერე თოფის კონდახი შევუჩხიკინე ძირებში და გამოვარდა, გამოვარდა ნამდვილი კურდღელი, დიდყურებიანი, ელამი, ზურგზე თეთრი ზოლი გასდევდა.

– სად წავა! – ვიკივლე დამთხვეულივით და ვესროლე. კურდღელმა ყურები ზურგზე გადაიწყო და თავქვე დაეშვა.

– ილარიონ, მოდის, არ გაუშვა!

– აგერ ვარ, ნუ გეშინია!

ერთ–ორ წუთს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჩხაკ, ჩხუკ, მომესმა ჯერ, მერე გადაფურთხება გავიგონე, მერე რაღაც დაილეწა ყანაში, გინება, ოხვრა, კვნესა, მერე უცებ:

– არ გაუშვა, ზურიკელა, შენსკენ წამოვიდა! – გავინაბე და თვალებად გადავიქეცი. უცებ იქუხა ერთხელ, მერე მეორეჯერ და ძაღლის კივილმა ცას ჭერი ახადა. თვალთ დამიბნელდა, ტანზე ბუსუსები დამაყარა, მუხლები მომეკვეთა და უხმოდ ჩავჯექი.

***

– მურადა, ჩემო მურადა, შემომხედე, ერთი, – ვაკოცე მურადას და ავღრიალდი.

– ჩუმად, ჩემო ბიძიკო, სირცხვილია, – მითხრა ილარიონმა და ცრემლი საჩვენებელი თითით ლოყიდან ჩამოიბერტყა. მურადამ თვალები გაახილა და ამოგვხედა. სამთავე ეტიროდით – მე, ილარიონი და მურადა.

– გტკივა, მურადა?

„მტკივა, ძალიან მტკივაო“, – თქვა გულში მურადამ და ილარიონს შეხედა.

– რატომ ხელი არ გამიხმება და თვალები არ დამეფსება, – თქვა ილარიონმა.

– რა შენი ბრალია, ილარიონ, ნამთვრალები იყავი, თანაც იმ კურდღელმა სულ ახლოს ჩამირბინა, იმას ძაღლის ბედი აღმოაჩნდა, ტყვია აცილდა და მე მომხვდა, მერე შენი თოფიც ისეთია, მტერს რომ ესროლო, მოყვარეს მოხვდება. ასე არ იყო, შენი ძაღლი რომ შემოგაკვდა მაჩვზე ნადირობისას? ნუ ტირი, ილარიონ, მე შენზე არ ვბრაზობ. ისე, ეფროსინეს გული კი გაახარე, შენ რა გითხრა მე, – თქვა გულში მურადამ და მის წინ დაჩოქილ ილარიონს მუხლზე თავი დაადო.

– აფსუსი არაა, ილიკო კაცი იყოს და აგი ძაღლი? შევარცხვინე, ღმერთო, შენი სამართალი. – თქვა ილარიონმა და ხელები ცაში აღაპყრო.

– მურადა, ნუ გეშინია, მოგარჩენ, თუ კაცი ვყოფილვარ, – ავზლუქუნდი ისევ.

– არა, ჩემო ძამია, ჩემი მორჩენა აღარ იქნება, ისე, შენ უნდა გიხაროდეს, სულძაღლიანს ველარ დაგიძახებენ. ჩემი საქმე გათავებულია, ჩემო ზურიკო, მე აწი რა მომარჩენს. ტყუილი ყოფილა, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო, ვკვდები, ბიჭო, ზურიკელა, ვკვდები.

– გაუძელი, ჩემო მურადა, ცოტა გაუძელი, ძაღლი არ ხარ, შე კაი კაცო! – ეხვეწებოდა ილარიონი და ბავშვივით ტიროდა.

– თქვენ რა გიჭირთ, ადამიანებს, დაგმარხავენ და გიტირებენ. ჩვენ, ძაღლებმაც კი ვიცით ტირილი, მაგრამ მალე გვავიწყდება მიცვალებული. ჩვენ ვინ გვმარხავს, თუ გვმარხავენ, იმიტომ, რომ არ აემყრალდეთ. – მურადას გააჟრჟოლა.

– მურადა, მურადა, ილარიონ, მიშველე, კვდება! – ვიბღავლე მე.

– მიშველეო! – შემომხედა მურადამ და მერე თვალები დახუჭა.

– გათავდა, ღმერთო, რატომ ხელებს არ გამიხმობ! – თქვა ილარიონმა და სახელოთი ცრემლები მოიწმინდა.

ბებიამ ომში დაღუპულივით შეიცხადა მურადა. გულშემოყრილი მეზობლები მოცვივდნენ და, როდესაც გაიგეს რაში იყო საქმე, ქოქოლა დაგვაყარეს.

– არ გაიშვა თქვენი არაფერი, ყველაფერში უცნაური და დამთხვეული როგორ უნდა იყოს ეს ოჯახი, გაგონილა ძაღლის ასე შეცხადება? – თქვეს და წავიდნენ.

ილარიონი მთელი დღე კაცის მკვლელივით დადიოდა. ღღის ბოლოს დამიძახა და მითხრა:

– უნდა დავმარხოთ ამ ჭადრის ძირში!

დიდი ორმო გავთხარეთ და მურადა სასოებით ჩავასვენეთ შიგ. ბებიას ერთი დოქი ღვინო გამოვთხოვე და მურადას საფლავზე ქელეხი გავმართეთ. პირველი სადღეგრძელო ილარიონმა თქვა:

– ზურიკო, ჩემო ბიძია, – დაიწყო მან, – დღეს ჩვენ აქ შეგვყარა მძიმე და უბედურმა შემთხვევამ, ჩვენს რიგებს გამოაკლდა ჩვენი საყვარელი მეგობარი და ამხანაგი, მურადა. იგი ძაღლივით ერთგული იყო ჩვენი და სამოთხის კარი ღიაა მისთვის, თუ ძაღლებს საერთოდ აქვთ სამოთხე. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულებში. ხსოვნა იყოს, ზურიკო ჩემო, მურადასი!

– მადლობელი ვარ, ილარიონ, ხსოვნა იყოს ჩემი მურადასი.

– ამ მეორე ჭიქით გაუმარჯოს მის ჭირისუფალს, მეტი სიმწარე არ ენახოს ამ ოჯახს, აკმაროს ეს დანაკლისი.

– გმადლობთ, ილარიონ! – ეზოში შავი ძაღლი შემოიძურწა, საფლავს რამდენჯერმე შემოუარა, მერე მოშორებით დაჯდა და დაიყმუვლა თვალდახუჭულმა.
– მოვიდნენ მოტირალები. – თქვა ილარიონმა.
– ეს სიმონა მეწისქვილის ძაღლია, მურადას დედა, – ვთქვი მე.
– ღმერთო, ნუ გადამრევ, მოდი აქ, ძაღლო! – ძაღლი მიუახლოვდა ილარიონს. ილარიონმა ხორცის ნაჭერი გადაუგდო, ძაღლმა პირი არ დააკარა და მუცელზე გაწვა.
– ტანმა უგრძნო, – ვთქვი მე.
– მურადას მშობლებს გაუმარჯოს, იცოცხლე, ძაღლო, მე მიდგას ფეხი თქვენს ცოდვაში, – თქვა ილარიონმა და დალია.
– გაუმარჯოს, – ვთქვი მე. – ეზოში კიდევ ოთხი ძაღლი შემოიძურწა.
– ეს ასალოს ძაღლია, ეს დათიკოსი, ეს დესპინესი, ეს მაკასი. მატრონას თავგასიებული ძაღლი რატომ არ მოვიდა ნეტავი? – იკითხა ილარიონმა.
– ემდუროდა მურადას, შარშან ვაჩხუბე და დაკბინა მურადამ.
– ასეთ დროს მდურება ვინ გაიგონა, ფუი, შევარცხვინე მაგის ძაღლობა, კაცი არ ყოფილა მაგი და გული არ ჰქონია! – თქვა ილარიონმა, და გადააფურთხა.
– მასპინძელო! – გაისმა უცებ ჩემს ალაგესთან.
– რომელი ხარ!
– შეიძლება?
– მობრძანდი! – ეზოში მახარე გოგიჩაიშვილის შვიდი წლის ბიჭი ჩამოვიდა.
– რა იყო, ბიძია? – ჰკითხა ილარიონმა.
– დეპეშაა ზურიკელას და შენს სახელზე.
– მაჩვენე აგერ! – ბიჭმა დეპეშა გაუწოდა. ილარიონმა სათვალე ამოიღო, დაორთქლა, ცხვირსახოცით გააპრიალა, გაიკეთა და დინჯად დაიწყო კითხვა:
„ელვა, **ზურიკელა** სულძაღლიანს და **ილარიონა** ცხვირას.
ვიზიარებ თქვენს ღრმა მწუხარებას ძვირფასი მურადას ტრაგიკული დალუპვის გამო, თქვენთან ერთად ცხარე ცრემლებით დავსტირი მის მძორს. განუზომელია ჩემი მწუხარება და გულისტკივილი, არ ვიცი როგორ მოვინელებ ამ დანაკლისს. ვწუხვარ, დაკრძალვას ვერ ვესწრები. არ ვიცი როგორ განუგეშოთ, ძაღლი მიგაკვდათ ორივეს სულში. ვაი თქვენს პატრონს უბედურს. კურდღელზე სანადიროდ როდის მიდიხართ, არ გამომაპაროთ. გკოცნით ორივეს შუბლზე.
დამწუხრებული“
– ხელმოუწერელია! – თქვა ილარიონმა.
– ვინ უნდა იყოს, ნეტავი? – ილარიონმა მხრები აიჩეჩა.
– მოდი აქ, ბიძიკო! – უთხრა ილარიონმა დეპეშის მომტანს.
ბიჭი მიუახლოვდა.
– ახლოს მოდი, ახლოს, ნუ გეშინია! – ბიჭი ისე ახლოს მივიდა, რომ ილარიონი თავისუფლად მისწვდა მის ყურს და ისე გადაატრიალა, რომ ბავშვმა ჩაის ფაბრიკის საყვირივით იბღავლა.
– ვინ მოგცა დეპეშა?
– მომკლავს, რომ ვთქვა!
– სულ ერთია, გინდა იმას მოუკლავხარ – გინდ მე, – თქვა ილარიონმა და საყვირი ისევ ჩართო.
– ილიკო ჩიგოგიძემ სამი მანეთი მაჩუქა და მითხრა – ეს დეპეშა მიუტანე ილარიონს და, თუ გითქვია, მე რომ მოგეცი, ენას ამოგაძრობო.
– ილიკომ ხომ?
– კი, ილიკომ!
ილარიონმა გაუშვა საყვირს ხელი და გულზე მუშტი დაიბრახუნა:
– მაცალე მე შენ, ილიკო ბრუციანო.
გულწრფელად შემეცოდა ილიკო.
ღამე ისე ჩვეულებრივად მოვიდა ჩვენს სოფელში, თითქოს იმ დღეს ჩვენს ოჯახში არავინ არ მომკვდარიყოს.

სიხლე
სიხლის
ფილ

წელს ისევ გამომყვა საშემოდგომო გამოცდა რუსულში. კვირაში ორჯერ დავდიოდი სახლში რუსულის მასწავლებელთან სამეცადინოდ. საფასურს მასწავლებელს ბებია ნატურით უნაზღაურებდა: ერთი ბათმანი ლობიო, ოთხი წველა თხის ყველი და ერთი ფუთი ღვინო ახალ მოსავალზე. ჩვენი ოჯახისათვის ეს დიდი შეღავათი იყო შარშანდელთან შედარებით. შარშან ორ საგანში მქონდა საშემოდგომო გამოცდა. ჩემი სამეცადინო დღე ასე იწყებოდა.
– ადექი, შე არდასარჩენო, გეყოფა აწი გორაობა. დაგაგვიანდა! – ამომძახებდა ბებია ქვედა სართულიდან. ამ დაძახილისთანავე წამოვხტებოდი, ოთახში გავირბენდი, ფეხსაცმლებს დავაბაკუნებდი, სკამს ხრაგუნით გადავდგამდი ერთი ადგილიდან მეორეზე, მერე ფეხაკრეფით მივიპარებოდი საწოლთან და ისევ შევგორდებოდი ლოგინში, და ასე მეძინა, ვიდრე ბებია ერთ დოქ წყალს არ დამაცლიდა თავზე.
– ვის დაემსგავსე, ასე ზანტაკი, შენ ჩემი ცოდვით სავსე!

– რა გინდა, კაცო, რა?!

– რა მინდა და სიკვდილი შენი, დაგმარხავდი მერე იმ ჭადრის ძირში მურადას გვერდით და გიტირებდით ორივეს რუსულად, რუსულის სწავლას რა უნდა, ბიჭო, მთელი რუსეთი რუსულად ლაპარაკობს. შენ რა ღმერთი გიწყრება! ვინ იყო ჩვენს ოჯახში შენს მეტი, რუსული რომ არ იცოდა! საწყალმა ბაბუაშენმა შვიდი წელი იცხოვრა რუსეთში, რომ ჩამოვიდა მაგისთანა რუსული ფოსტის ნაჩანიკმა ივანე რუსმაც არ იცოდა.

– შტო ვი გოვორიწე? – გავიკვირვე მე.

– გაგიკვირდეს, ხო, გაგიკვირდეს, ორი საათი ელაპარაკა ივანე რუსს ბაბუაშენი, ისე ხმარობდა ორივე ხელს ლაპარაკის დროს, გეგონებოდა დოლზე უკრავსო. ორი საათი პირდაფჩენილი უგდებდა ყურს ივანე რუსი. მერე მიუბრუნდა ხალხს და ასეთ უთხრა: – მასეთი რუსული ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონიაო.

– ნე მოუეტ ბიწ! – ისევ გავიკვირვე მე. ამ გაკვირვებას მოყვებოდა ჩემი გაქცევა მასწავლებელთან.

– ზდრავსტვუიწე, ზაბლონა მასწავლებელო! – ვეტყოდი მისვლისთანავე.

– ზდრავსტვუი, ჩტო მი სეგოდნია ბუდემ დელატ? – მკითხავდა ზაბლონა მასწავლებელი.

– სეგოდნია, გუშინ რომ ყანა დამრჩა გასათოხნი, იმას გავთოხნი, პატომ კაროვა ნა საბალახო, პატომ ნა წისქვილ პაიდუ და პატომ დრავას დავაპობ, ა პატომ უროკი.

– აბა, შენ იცი! – მეტყოდა მასწავლებელი და იწყებოდა მეცადინეობა. ნაშუადღევს, საქმეს რომ მოვათავებდი, იწყებოდა დღის განმავლობაში განვლილი მასალის გამოკითხვა.

– გათოხნე?

– კი, მასწავლებელო.

– სიმინდი ხომ არ დაღერღა მეწისქვილემ?

– კიარა, ისე სუფთად დაფქვა, გაცრა არ უნდა.

– ძროხას წყალი დაალევინე?

– წყალიც დავალევინე და ბალახიც დავუყარე.

– შეშა?

– შეშა იმდენი დავაპე, ერთ კვირას გეყოფათ.

– შტო ტაკოე გრამატიკა?

– გრამატიკა გრეჩესკოე სლოვო!

– ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ, გაიქეცი ახლა სახლში!

ეს იყო ბებიას დაშაქრული გალობა გავიგონე და მორიგი მეცადინეობისათვის მოვემზადე, რომ ჩვენს ეზოში ილიკო ჩამოვიდა და ბებიას სთხოვა:

– ოლღას ვენაცვალე, თუ არ გეწყინება, ზურიკელა უნდა მათხოვო დღეს.

– მერე, შენ ასწავლი რუსულს?

– ისეთ რუსულს, ზაბლონა რომ ასწავლის, მეც კი ვასწავლი, შე ქალო, ორი ქცევა ყანა მაქვს გასათოხნი, მივაყენებ და იმდენს ვათოხნიებ, რომ რუსული კი არა, ისე გახდეს, მაგის ლაპარაკი ჩინურად გეყურებოდეს. ამაში არც ლობიოს მოგთხოვ და არც ღვინოს!

– გახმა შენი ენის ძირი, რაში გჭირდება?

– შენ გამოუშვი ჩემთან და მაგი მე ვიცი!

– წაყევი, ბიჭო, მაგ მეორე თვალდასაფსებს, ენახოთ, ერთი როგორ რუსულს გასწავლის!

– ეპერიოდ! – მითხრა ილიკომ და წინ გამიძღვა.

– რაშია საქმე, ილიკო?

– სათხოვარი მაქვს შენთან, ჩემო ზურიკო, ილარიონთან უნდა მიმეგზავნო.

– რაზე?

– ღვინო მინდა სამი ფუთი, ხომ იცი მასეთ ღვინოს ჩვენს სოფელში კაციშვილი ვერ აყენებს.

– უთხარი ბებიას და ბებია მოგცემს.

– ბებიაშენის კვაწარახი რად მინდა, შე მამაძაღლო, წნილს კი არ ვამუავებ.

– მაგას ვეტყვი ბებიას!

– ეტყვი და ამოგიკერავ ლაფშს, რომ გაგხევია ყურებამდე. ახლა მე რომ გეუბნები, ისე გააკეთე: მიდი ილარიონთან და სთხოვე, ან მომყიდოს, ან მასესხოს. შენი დიდი ხათრი აქვს, უარს არ გეტყვის.

– წადი და შენ თვითონ უთხარი.

– ზურიკოს ვენაცვალე, ნუ გამომჭრი ყელს და ნუ გამაწბილებ. მურადაზე რომ დერეშა გამოგიგზავნეთ, იმის შემდეგ სათოფეზე არ მიკარებს. თუ უარი გითხრა, მერე მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ.

– რას აპირებ?

– რას და, უნდა გამიგო რომელ ჭურში უსხია ის ცოლიკაური, სპირტივით რომ ცეცხლს მიყვება, და ისეთ ფოკუსს გავაკეთებ, მთელი სოფელი მაგაზე ლაპარაკობდეს.

– რა ფოკუსს?

– შენ ღვინიანი ჭური დამინიშნე და ნაშუალამევს ილარიონის ჭურიდან ღვინო გაქრება და ჩემს ჭურში აღმოჩნდება!

– ხომ არ გაგიჟდი?

– სუ, ნუ დაგიღია პირი და ნუ ღრიალებ, ჩემს თუთუნს რომ ქაჩავ, ილარიონის ნაჩუქარი ჩიბაკიდან, დაგავიწყდა?

– იმ თუთუნმა გაგვიჩინა ჭლექი მე და ილარიონს!

– ათი კვერცხი თუთუნი და – სამარე ხარ.
– ახლავე მომცემ?
– ახლავე!
– წადი სახლში და მოგაკითხავ პასუხით.
– აბა, შენ იცი!
– ნახვამდის!
ილიკომ შუბლზე მაკოცა, ლოყაზე ხელი მომითათუნა, მერე ის ცალი თვალი ისე გამიყარა თვალში, კეფაზე ხელი მოვისვი, ხომ არ გამხვრიტა–მეთქი, და მითხრა:
– ბიჭო, ხომ იცი, ილიკო ჩიგოგიძის ღალატი სამშობლოს ღალატია!
– არ გრცხვენია, ილიკო? – ვიწყინე მე და გულდამშვიდებული ილიკო სახლში გავუშვი.
ილარიონის ეზოში ჩავედი, აივანზე დაყრილ საჩრე ვაშლს მზე სისხლს უშრობდა, ილარიონი ცაცხვის ძირში გაგებულ თხის ტყავზე წამოწოლილიყო და ერთი კვირის გაზეთს დიდის გულმოდგინებით კითხულობდა. ჩვენს სოფელში არ არსებობს გუშინდელი, გუშინწინდელი და დღევანდელი გაზეთი. გაზეთი ერთი კვირისაა ყოველთვის.
– გამარჯობა, ილარიონ!
– ზურიკელას გაუმარჯოს! რა უნდოდა იმ ბრუციანს ამ დილით?
– ისე გამოიარა!
– მაინც, რა მინდაო იმ ბედოვლათმა?
– ღვინო მინდაო. ილარიონთან მიმეგზავნე, მასესხოს ან მომყიდოს ერთი სამი ფუთიო.
– დარიშხანი არ უნდა?
– არა, ღვინო უნდა.
– აბა, მაგ დამთხვეულის დასალევი ღვინო მე არ მაქვს.
– ცოდვაა.
– ცოდვა ჩვენ არ ვიყავით, პილპილიანი თუთუნი რომ გვაქაჩვია და მურადაზე სამძიმრის დეპეშა რომ გამოგვიგზავნა?
– მაგი მართალია!
– ჰოდა, ნუ მეხვეწები ახლა.
– რა თქვა, თუ იცი?
– რაო?
– თუ უარი გითხრას, მაგის ღვინიანი ჭური დამინიშნე და ნაშუადამევს გავაქრობო.
– ხომ კი. ახლა მინდა, ზურიკელა, შენი მოხმარება, შემიწყვე ხელი და მე ვიცი შენი პატივისცემა.
საღამოს ილიკოსთან ვიყავი და თუთუნზე ვევაჭრებოდი:
– ორ კვერცხ თუთუნს მოგცემ, მეტი არ მაქვს!
– რაო? ჭური რომ დაგინიშნე?
– ჯანდაბას შენი თავი, ოთხი იყოს!
– ათი!
– ოთხი!
– ათი!
– მოგკლავს, შე უპატრონო, ათი კვერცხი თუთუნი, დაგილპობს ფილტვებს, ხომ ხედავ, მე ლანდი რომ გამდის ყურებში, თუთუნი მიშვება ამას!
– ნუ ჯავრობ შენ!
– ხუთი!
– არც ერთი არ დააკლდება, თუ გინდა მომეცი, თუ არა და წავალ და ყველაფერს მოვუყვები ილარიონს.
– ა, და გასკდეს შენი გაუმაძღარი მუცელი, – მითხრა ილიკომ და თუთუნი წინ დამიყარა. – ოღონდ შენ უნდა წამყვე და მომეხმარო!
ნაშუადამევს ილარიონის მარანთან, წინდაწინ გარღვეული ღობის ძირში ვიწექით, ბალახი დაცვარული იყო. ცხიკ, ცხიკ, ცხიკ, – დამაცემინა ზედიზედ.
– არ გაეზარდე შენს პატრონს, ამხელა მუტრუკმა ცხვირს ვერ უნდა მოუარო? – გამიბრაზდა ილიკო და მუჯლუგუნი წამკრა.
– აგერ ის ჭურია, სამოცფუთიანი, ჯოხი რომ აქვს თავზე დასობილი. – გადავუჩურჩულე ილიკოს. ილიკო ამოძრობილ სარებში გაძვრა და ხელით მანიშნა მომყევიო, გუდა იღლიაში ამოვიჩარე და ფორთხვით მივყევი. ორთავე ჭურთან მივფორთხდით.
– აბა, ჰე, დავიწყოთ! – თქვა ილიკომ და თოხი მომაწოდა.
ფრთხილად და სწრაფად ვმუშაობდით, თხუთმეტ წუთში ჭურის თავი გამოჩნდა.
– ახადე თავი! – მითხრა ილიკომ და გუდის მომზადება დაიწყო. ჭურს იმხელა პირი ჰქონდა, მე და ილიკო ორთავე თავისუფლად ჩავძვრებოდით შიგ. ავხადე თავი, ილიკომ თავი ჭურში ჩაყო და უცებ ძაღლივით შემომღრინა:
– რაა, ბიჭო, ეს, ცარიელია?
– რას ამბობ, ილიკო! ნაკლულია, ცოტა უფრო ღრმად ნახე.
ილიკო გადაიხარა ჭურში, მე უკან ვიდექი.
– ჰაიტ, თქვე ჯიბგირებო! – იკივლა ილარიონმა და გადმოხტა სუროში გახვეული მსხლიდან, – დაგხოცავთ ახლავე!

– არიქა, უშველე თავს! – ვიყვირე მე და ფეხში ეტაცე ხელი, მაგრამ ილიკო გასხლტა და ჭურში გადაეშვა კისრით.
– რომელი ხარ შენ, თქვი, თორემ გაგათავე, – მტაცა ხელი ილარიონმა.
– მე ვარ, ილარიონ, არ მომკლა, – შევეხვეწე ხმის კანკალით.
– მეორე სადაა?
– არ ვიცი!
– თქვი, თორემ გაგათავე!
– არ ვიცი, ილარიონ ბიძია!
– ვინ იყო?!
– არ ვიცი!
– როგორ არ იცი, ერთად იყავით!
– არ ვიცი!
– ახლა ეს ჭური დაგოზე, როგორც მოთხარე, თორემ სულს ამოგხდი და მერე მოგელაპარაკები! – მითხრა ილარიონმა და ისეთი სილა მთხლიშა, გეგმით გათვალისწინებული კრუსუნის ნაცვლად ბლავილი აღმომხდა. ჭურს თავზე დიდი ქვა დავახურე, ავიღე თოხი და ის იყო მიწა უნდა მიმეყარა, რომ ჭური გრძნეულივით ალაპარაკდა.
– ღმერთო ძლიერო, გახეთქე მიწა და ჩაიტანე შიგ ყველა მაცდური, უპირო, კუდიანი და პირშავი. ზეცაო ძლიერო, დაეცი მეხი თავში ილარიონა შევარდნაძეს და ზურიკო ვაშალომიძეს ჩემი გაბითურებისთვის.
– რომელი ხარ მანდ, თქვი, თორემ დაგანთხევინე ტვინი, – თქვა ილარიონმა და თოფის ტუჩი ჭურში ჩაყო.
– ილიკო ვარ, ილარიონა ცხვირა, გაწიე თოფი, ცოდვა არ დაატრიალო!
– ილიკო კი არა, მთხლე ხარ. რა გინდა ცარიელ ჭურში?
ისე გადავიხარხარე, სუნთქვა შემეკრა.
– ილარიონ, მმარხავ ცოცხლად? რას ეუბნები ღმერთს?
– ღმერთს რა უნდა ვუთხრა, ეშმაკს და კუდიანს თუ დავმარხავ, მადლობის მეტი რა ეთქმის?
– ამომიყვანე, ილარიონ!
– წადი, ზურიკელა, გაადვიძე მეზობლები, ნახონ ერთი რა ცალთვალა მაჩვი მაყვს ჭურში.
– ილარიონა შევარდნაძე, ნუ გამომიყვან თემშარაზე და ნუ გამაჯირითებ, ისიც მეყოფა, ამ დამპალ ჭურში რომ ვიხრჩობი, გეყოფა ახლა ხუმრობა!
– ხუმრობა კი არა, დაგზოგავ ახლა და არყად გამოგხდი ერთ თვეში.
– მერედა ვის რად უნდა მაგისგან გამოხდილი მყრალი არაყი, დაწამლავს ქვეყანას, – ვთქვი მე.
– ზურიკელა, გამყიდე ხომ თხასავით?
– შენ რომ პილპილიანი თუთუნი მომეცი და სამძიმრის დეპეშა გამომიგზავნე? იჯექი ახლა მანდ და ყლაპე გოგირდი.
– ამომიყვანეთ, თქვე ღთვისპირიდან გავარდნილებო, რაღაც ორი დღე სიცოცხლე დამრჩენია და ნუ გამატარებინებთ ჭურში!
– ნუ გეშინია, არ მოკვდები, შენი დღე და მოსწრება ჭურში ზიხარ და არ იცი რა ხდება ამ ქვეყანაზე და ახლა გაგიჭირდა? – უთხრა ილარიონმა.
– ამოვიყვანოთ, ცოდვაა! – ვთქვი მე.
– ამოვიყვანოთ, ოღონდ ხმამაღლა დაიძახოს მთხლე ვარო.
– თანახმა ხარ? – ვკითხე ილიკოს.
– მთხლეი ვარ, მთხლეი! – ამოგვძახა ილიკომ განწირული ხმით.
ჭურიდან რომ ამოძვრა ილიკო, ისე ღრმად ჩაისუნთქა ღამის ნოტიო ჰაერი, გეგონებოდათ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის წევრი ყოფილიყოს. მერე გუდა აიღო, საჩვენებელი თითი მოღუნა და გვითხრა:
– მაჯობეთ და ვკაკვავ თითს! – მერე გაბრუნდა და ბუზღუნით გაუდგა გზას.
– სად მიდიხარ, უმადურო, არ დაგვლოცავ? – ჰკითხა ილარიონმა.
– აგაშენათ ღმერთმა, მადლობელი ვარ, ძალიან პატივი მეცით! – თქვა ილიკომ.
– მასე არა, ღვინით! მოთხარე, ბიჭო, ეს ჭური! – მითხრა ილარიონმა და ღვინით სავსე ჭურზე მიმითითა. სანამ ჭურს მოვთხრიდი, ილიკოს ნაჩუქარი თუთუნი ამოვიღე და გახვევა დავუწყე.
– არ მოწიო, ბიჭო, პილპილიანია! – გამაფრთხილა ილიკომ.
მამლის უკანასკნელ დაყივლებამდე ისმოდა ილარიონის ჭურის თავზე სადღეგრძელოები, ხმამაღალი კოცნა და სიმღერა:
სამნი ძმანი გურულები
მუშაობდნენ ყანასა,
სამუშაოც კარგი ჰქონდათ,
დასძახოდნენ ნანასა...
დილით მე და ილარიონი ბარბაცით მივათრევდით სახლში ილიკოს და ღვინით სავსე გუდას.

მეველე

ერთ დღეს სკოლიდან ვბრუნდებოდი, მოკლეზე გადმოვჭერი და ჩაის პლანტაციით წამოვედი. იზაბელა მწიფე იყო და მაცდურად მიყურებდა ხიდან, ვერ მოვითმინე, ჩანთა ხის ტოტზე

ჩამოვკიდე და კენწეროზე მოვექეცი. დიდებულია იზაბელა, ქალაქელები ამბობენ, ბაღლინჯოს გემო აქვსო, ბაღლინჯო არ გამისინჯია, მაგრამ თუ ასე გემრიელია, ბარაქალა ბაღლინჯოს. ჯერ ჭაჭიანად ვყლაპავდი ყურძენს, რომ დავნაყრდი, რჩევა დავუწყე.

– რომელი ხარ, მაგ ხეზე რომ გასულხარ და ანიავებ საკოლმეურნეო ქონებას?

– გული შემიქანდა და, დროზე რომ არ მეტაცა ტოტისთვის ხელი, სული არ დამყვებოდა დაბლა.

– შენ გეუბნები, რომელი ხარ–მეთქი, არ გეყურება? – დაბლა ჩამოვიხედე. ხის ძირში მხარზე ბაწარგადაკიდებული და ქამარში წალდგაჩრილი ილიკო იდგა, თან თხა ახლდა, რომელიც ჩემს ჩამოყრილ ჭაჭას აცმაცუნებდა. გავინაბე.

– კაცო, არ გესმის? რომელი ხარ–მეთქი, რომ მიდგომიხარ ამ კოლექტივის ქონებას და ატკბარუნებ. თუ ცოცხალი არსება ხარ, ხმა ამოიღე და, თუ უწმინდური სული ხარ, არული კუდიანებს და ფუი ეშმაკს! თქვი ახლა, რომელი ხარ!

– ჭინკა ვარ, ჭინკა!

– მერე ჭინკა და კუდიანი რომ ხარ, არ იცი, რომ კოლმეურნეობა ღმერთს იმიტომ კი არ გაუჩენია, რამდენი მშიერი ძაღლი და მამაძაღლი გაივლის, იმდენმა პირში ჩაიყაროს ყურძენი? ახლავე ჩამოდი ძირს, თორემ ჩამოგაგდებ ჩიტივით.

– ამოდი თუ ბიჭი ხარ, და აქ მელაპარაკე.

– ჩამოდი, გელაპარაკები!

– არ ჩამოვალ!

– არ ჩამოხვალ?

– არა!

– აბა, იყავი მანდ და ენახავ რამდენ ხანს გაძლებ, მე არსად არ მეჩქარება. – თქვა ილიკომ და დაჯდა ხის ძირში. მე განვაგრძე ყურძნის ჭამა. ერთი საათი მაინც იჯდა ილიკო ხის ძირში, ბოლოს, ეეღარ მოითმინა და ამომძახა:

– რას შვრები?

– ბუდეს ვიკეთებ! – ჩამოვძახე ზევიდან.

– ჩამოდი, მე შენ გელაპარაკები და შენი ნებით წამყევი კანტორაზე!

– მაცალე, ჯერ ვჭამო ყურძენი!

– კაცი ხარ თუ საწნახელი, შე შეჩვენებულო, ჩამოდი ძირს!

– არ ჩამოვალ!

– არ მემორჩილები, ხომ?

– არა!

– აბა, შენ ყოფილხარ მეველე, ა ბაწარი, ა წალდი, წადი და იმეველე! – თქვა ილიკომ და ბაწრის მოხსნა დაიწყო.

– რა გინდა, კაცო, რას გადამეკიდე, ვერ წახვალ შენი გზით?

– რომელი ხარ, კაცო, მითხარი, სანამ ხალხისთვის დამიძახია! – ილიკომ ახლა შეამჩნია ხის ტოტზე ჩამოკიდებული ჩანთა და ჩამოხსნა.

– ახლა სად წახვალ, ხომ გავიგებ ვინ ხარ! – ილიკომ მოხერხებულად მოირთხა ფეხები, ჩანთას აქეთ–იქით ყურებში წაავლო ხელი და წინ გადმოიპირქვავა.

– „დეკამერონი“, – წაიკითხა ილიკომ და წიგნი გვერდზე გადადო. „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, „მარტოდ მარტო კაციჭამიებს შორის“, „ტრისტანი და იზოლდა“, „ვეფხისტყაოსანი“. – რომელი ხარ, შე უბედურო, ან სად სწავლობ, რვეული და ფანქარი რომ არ გიდევს ჩანთაში! – ამომძახა იმედგაცრუებულმა ილიკომ.

– ზურიკო ვარ, ილიკო ბიძია!

– ოი, შეჩვენდი, ზურიკელა, არ მაცვა ჯვარს კაცი? ჩამოეთრიე ძირს და ჩამომიტანე ერთი–ორი მტევანი ყურძენი, თორემ გამძვრა სული. – ხიდან ჩამოეხტი და ილიკოს მხრებზე შემოვეხვიე.

– როგორ ხარ, ილიკო ბიძია?

– ბიჭო, არ გრცხვენია, ჯვარს რომ მაცვი? შენ რა გითხრა მე, როგორ წყალში ჩამიყარე მთელი იმედები.

– რაშია საქმე?

– რაში და, აგერ ნახევარი წელია მეველედ რომ ამირჩიეს, შენც კი იცი.

– მერე?

– ჯერ იყო და ცხენი მომცეს, მომკლა იმის დევნამ. იმ დღეს სიპიტოს ძროხა დავინახე ყანაში, ჩამოვხტი ცხენიდან და ვსტაცე ძროხას ხელი, მოვიხედე და სადაა ცხენი? გამოვეკიდე ცხენს, ძლივს დავიჭირე. მოვიხედე და სადაა ძროხა? ახლა ცხენს გავუშვი ხელი და ძროხას გამოვეკიდე, დავიჭირე ძროხა და სადაა ცხენი? გავუშვი ძროხას ხელი, გამოვეკიდე ცხენს. დავიჭირე, მოვიხედე და... მოკლედ, ასე დროგის ცხენივით დავრბოდი ძროხასა და ცხენს შუა, სანამ ენა არ გადმომივარდა და ორივე არ გამექცა. გუშინ საერთო კრებაზე თავმჯდომარემ ასე მითხრა: – ილიკო ჩიგოგიძე, ან შენი ფუნქციები კეთილსინდისიერად შეასრულე, ან მოგხსნიო.

– მერე რას აპირებ ახლა?

– ხეზე რომ კაცი დავინახე, ეიფიქრე, გავკეთდი კაცი, დავიჭერ ახლა ამას, კანტორაზე მივიყვან და მერე თქვას თავმჯდომარემ, თუ ბიჭია, ილიკო ცუდად მუშაობსო, მაგრამ რა, შენ შემრჩი ხელში, რა ვქნა ახლა, პირდაპირ არ ვიცი.

– წაგყვები, თუ გინდა!

– შენ გიჟი ხომ არ ხარ, გინდა ბებიაშენმა მეორე თვალი ამომთხაროს?

– აბა, რას იზამ?
– რას და აგერ ამ თხას წავიყვან და მივაშავებ! რაც უნდა, ის უქნას.
– ვისია ეს თხა?
– ვისია და ჩემია, პირველად ხედავ თუ?
– კი მაგრამ, წვერი რა უყო?
– რა უყო და შევკრიჭე!
– რატომ?
– რატომ და, რომ არ იცნონ! სად გაგონილა აბა, მეველემ საკუთარი თხა მიიყვანოს კანტორაზე დაჭერილი.
– მერე?
– მერე მაგი თხად არ ვარგა, ერთი ბოთლი რძე რომ დაალევინო, ერთ ჭიქას არ მოიწველება, არც ხორცად ვარგა, ძვალი და ტყავია ცარიელი. მაინც ზარალია ჩემთვის, მივიყვან და მუშაობაში ჩამეთვლება.
– რომ იცნონ?
– რას იცნობენ, ისეა გამოცვლილი, მეც ალარ მჯერა, ჩემი რომაა. კარგად იყავი, ჩემო ბიძია, შენ გაგახარა ღმერთმა, ყურძენი რომ მაჭამე, გამშრალი მქონდა პირი.
– კარგად იყავი, ილიკო!
– ილარიონთან არ გამამხილო, ზურიკელას ვენაცვალე, თორემ დამღუპავს. – მთხოვა ილიკომ.
– ნუ გეშინია, ილიკო, სამარე ვარ.
ერთი თვის შემდეგ წვერგაკრეჭილი და საკმაოდ მოსუქებული თხა, როგორც უპატრონო, პრემიის სახით საჯაროდ გადაეცა ილიკოს კარგი მუშაობისათვის.

საერთო კრება

ჩემი სოფლის გორაზე დგას ერთი ნაძვის ხე. ნაძვის ხეზე დანგრეული ეკლესიის სამრეკლოდან ჩამოხსნილი ზარი კიდია. ეკლესია, სანამ დაანგრევდნენ, ჯერ კლუბად გადააკეთეს, მერე საწყობად, მერე ბოსელი იყო შიგ, მერე მედპუნქტი, მერე ბიბლიოთეკა, მერე გარაჟად უნდოდათ გაეხადათ, მაგრამ მანქანა არ შეეტია. მაშინ დაარღვიეს და ფურნედ გადააკეთეს, მერე სამკითხველოდ, ახლა ისევ დაარღვიეს. ილიკომ უთხრა ბებიას, მგონი, ისევ ეკლესიად უნდა გადააკეთონო. მე არ მწამს ღმერთი და ჩემთვის სულ ერთია, ბებიასაც არ სწამს ღმერთი მაინცდამაინც. მაგრამ სამკითხველოს ეკლესია ურჩევნია. ჰოდა, იმ ზარზე მოგახსენებდით, როდესაც ზარი დილით რეკს, სწავლა–განათლება იწყება, როდესაც ზარი საღამოთი რეკს, ან ხანძარია, ან კოლმეურნეობის საერთო კრება.
მე როგორც ოჯახში ერთადერთ მამაკაცს, კრებაზე ყოველთვის მისწრებენ, ოღონდ სათათბირო ხმით.
დღეს ზარმა საღამოთი დარეკა. კვამლი არსაიდან ჩანდა, ესე იგი, კრება იქნება.
– ზურიკო, კრებაზე არ მოდიხარ? – გადმომძახა ილარიონმა.
– მოვდივარ, მოვდივარ, ილარიონ! – გავძახე და ღობეს გადავეელე.
– რაზე იწვევენ კრებას, ხომ არ იცი? – ვკითხე გზაში ილარიონს.
– მაგას რა ცოდნა უნდა, ისევ კანტორის შესახებ იქნება!
კრება დაწყებული დაგვხვდა. სიტყვას კოლმეურნეობის ბუღალტერი ალფესი ამბობდა. მე და ილარიონი უკანა რიგში დავსხედით და გავინაბეთ.
– ესე იგი, – განაგრძობდა ალფესი, – აქვსენტი რომ დანიშნეს თავმჯდომარედ, დაარღვია კანტორა და თავისი სახლის წინ ააშენა, მერე კირილე რომ ავირჩიეთ, იმანაც დაარღვია კანტორა და თავისი სახლის წინ წამოჭიმა, შარშან დიმიტრი იყო თავმჯდომარედ და დიმიტრის სახლის წინ გადავიტანეთ, ახლა შალვა ამბობს, ჩემს სახლთან უნდა გადმოვიტანოთო. წინადადებაა, ისევ დავარღვიოთ კანტორა და შალვა თავმჯდომარის სახლის წინ ავაშენოთო. აბა, ვის სურს სიტყვაში გამოსვლა. გამოვიდეს, ოღონდ ზოგმა რომ იცის, გადაიკიდებს ენას მხარზე და ალარ ათავებს, მაგ ამბავს შევეშვათ, რეგლამენტი ხუთი წუთი!
– მე მაქვს ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება!
– აბა ჰე, ტრიფონ, თქვი!
– თქვენ როგორ გსურთ, პატივცემულო შალიკო, ახალი კანტორა აგიშენოთ სახლის წინ, თუ ძველს კრამიტი გამოვუცვალოთ? ცოტა შელახულია სახურავი.
– ტრიფონა სიხარულიძე, ყბას ნუ მიქცევ და სერიოზულად ილაპარაკე, თორემ მე ვიცი შენი ადგილი. კანტორა უნდა დაირღვეს და ჩემს ახლოს აშენდეს, ამდენი დროს დაკარგვა მე არ შემიძლია, დილას რომ ავდგები, საღამომდე ვუნდები კანტორამდე მოსვლას! – წამოხტა თავმჯდომარე.
– ცოტა უნდა აუჩქარო ფეხს, ჩემო შალვა!
– რომელი იყო, ადგეს და თქვას, თუ ვაუკაცია!
– ამხანაგებო, საკითხს ნუ გადავუხვევთ, ვის აქვს კიდევ შეკითხვა?
– მე მაქვს! – თქვა მაკარია ცხოიძემ და ისე ჩაახველა, კინალამ კისრის ძარღვები დააწყდა.
– მიდი, მაკარია!
– შარშან რომ სამტრედიის ბაზრიდან საჯიშე უშობელი ჩამოვიყვანე, რა იქნა იგი?
– თავმჯდომარის ცოლის მშობიარობას გადაყვა!

– ვინაა ის, პროვოკაციას რომ მიწყობს?!
– მე მაქვს ერთი წინადადება, თუ შეიძლება! – თქვა ილარიონმა.
– ვაცალოთ ილარიონს!
– ახლა ის რომ დავიწყოთ, უშობელი რა იქნაო, ან კლუბის საშენი მასალით თავმჯდომარემ სახლი რატომ აიშენაო, ან კოლექტივის ღვინო თავის ჭურში რატომ ჩაასხაო, სირცხვილია, გაიგებს ვიღაცა და მოგვეჭრება თავი, ჩვენი გლახა ჩვენ უნდა შევინახოთ.
– ილარიონა შევარდნაძე, კარგი ციგანი ხარ შენც, ცილისწამებისათვის გაგებინებ პასუხს. ახლა დაჯექი, გირჩევნია!
– აცალეთ ილარიონს, მართალს ამბობს! – თქვა ილიკომ.
– ჰოდა, იმას გეუბნებოდით. ხომ არ აჯობებდა თავმჯდომარის სახლი დაგვერღვია და კანტორასთან აგვეშენებია?
– რას ამბობ, კაცო, ერთი კვირის წინ გადახურა სახლი და ახლა დაურღვიო გინდა?
– აბა, მაშვინ ასე ვქნათ, თავმჯდომარე კანტორაში გადმოვასახლოთ და თავმჯდომარის სახლი კანტორად გადავაკეთოთ.
– შენ ხომ არ გაგიჟდი, იმ დამპალ სახლში გინდა ჩემი ცინკით გადახურული სახლი გაგიცვალოთ? – აფეთქდა თავმჯდომარე.
– აბა, ასე ვქნათ, თავმჯდომარის სახლი დავარღვიოთ და კანტორის ეზოში დავდგათ, მერე კანტორა დავარღვიოთ და თავმჯდომარის ნასახლარზე ავაშენოთ.
– შესაკრებ რიცხვთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, – თქვა სკოლის მასწავლებელმა.
– აბა, მე მეტი წინადადება აღარ მაქვს! – თქვა ილარიონმა და დაჯდა.
– მე მაქვს ერთი წინადადება, – თქვა მარგალიტა ჭანტურიამ, – ხვალ ჩვენს სოფელში თბილისიდან არტისტები ჩამოდიან და, რადგან კლუბი არ გვაქვს, თავმჯდომარის სახლში ჩავატაროთ კონცერტი. ჩავატაროთ, ახია მაგაზე. ისინი უტირებენ ყოფას, ჯერ ხომ შეიკლავენ ხელში და მერე ტაშისკვრით გახეთქავენ.
– ახია ჩემზე, შენ რომ მერგოლურად დაგნიშნე.
– ერთი შეკითხვა მაქვს თავმჯდომარესთან, ძველი კლასი რომ დაინგრა, ახალ კლასს როდის ააშენებს? – იკითხა ვიღაცამ.
– მაგას რად უნდა კლასი, უკლასო საზოგადოებას აშენებს. – თქვა ილარიონმა.
თავმჯდომარე გაფითრდა, საქმე გართულდა.
– მე მაქვს კარგი წინადადება, – წამოდგა ილიკო.
– თქვი, ილიკო, თქვი!
– მეგობრებო, ისევ გადავუხვიეთ საკითხს, ჯერ გადავწყვიტოთ კანტორას რა ვუყოთ და მერე ვილაპარაკოთ სხვა საკითხებზე. ახლა მთავარია, სად დავდგათ კანტორა. – თქვა ილიკომ და ის ცალი თვალი ლურსმანივით ჩაარჭო თავმჯდომარეს შუბლზე, თავმჯდომარემ ვერ გაუძლო ამ გამოხედვას, შუბლზე ხელი მოისვა და თავი ჩაღუნა.
– თქვი, ილიკო, ნუ გადაგვაყოლე!
– იქნებ გადაგვერჩინა კანტორა დარღვევას, ხომ არ აჯობებდა ფული შეგვეგროვებინა და თავმჯდომარისათვის „ემადინი“ გვეყიდა?
– რას ამბობ, გელუპავ?! ავარია რომ მოუვიდეს, რა გვეშველება უპატრონოდ დარჩენილებს! მე მგონი, აჯობებდა ყოველ დილით გაგვეგზავნა თავმჯდომარის ოჯახში ორი კაი მოსული მუტრუკი ბიჭი და ხელში აყვანილი მოგვეყვანა.
– თავზე რომ გვაზის, ის არ ეყოფა, ახლა ხელით ვატაროთ?
– კარგი, აბა, კიდევ. მაქვს ერთი წინადადება. ჩვენი შუტუიე შოფერი სად არის?!
– აგერ ვარ, ილიკო!
– რას შვება შენი მანქანა, ხომ კარგადაა?
– გმადლობთ, არაუშავს, თქვენ როგორ ბრძანდებით, ილიკო? – ატყდა ფხუკუნი და ხითხითი.
– ზედმეტი ოთხი ბორბალი არა გაქვს, რომ გვაჩუქო?
– ბორბალი რად გინდა, ილიკო?
– რად მინდა? დავუყენოთ კანტორას და გავაგოროთ და გამოვაგოროთ, გავაგოროთ და გამოვაგოროთ! – დარბაზში ისეთი ხარხარი ატყდა, აღარაფერი აღარ ისმოდა.
– ილიკო ჩიგოგიძე, შენ თუ არ განანო დღევანდელი კრების ასე ჩატარება, შენი ფეხი დამადგი აგერ, კისერზე, – თქვა თავმჯდომარემ.
– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო შალვა, ფოსტალიონად დამნიშნე–მეთქი, გეხვეწე და მეველედ დამნიშნე ეს ცალთვალა კაცი, ამაზე უარესს რას მიზამ.
– აბა რა გეგონა, თავმჯდომარედ დაგნიშნავდი?
– რატომ, ვითომ ვერ შევძლებ თუ? სახლის აშენება და ყვირილი შენზე კარგი ვიცი და მუშაობა არც შენ გყვარებია, ისე ჭამაშიც გაგეჯიბრები, თუ გინდა. – თავმჯდომარე გაშრა.
– ესე იგი, რა გადავწყვიტოთ, ხალხო? – ხელები გაასავსავა კრების თავმჯდომარემ.
– კიდევ ერთი წინადადება, თუ შეიძლება – ვთქვი მე და ილარიონს შევხედე.
– გაჩუმდი, შე მღილო! – გამაჩერა ვიღაცამ.
– თუ კრებაზე ვისწრებთ, სიტყვაც მივცეთ! – თქვა ილიკომ და ერთადერთი თვალი ჩამიპაჭუნა.
– თქვი, სულძაღლიანო, თქვი! – აყვირდა ხალხი.
– მე მაქვს ერთი წინადადება,რადგან მთელი სოფელი აქ ვართ და კრებაც დასასრულს უახლოვდება; ნუ წავალთ ისე, რომ გადაწყვეტილება არ გამოვიტანოთ...
– ამოღერღე, შე ცოდვილის შვილო, რისი თქმა გინდა!

– წყალი თუ შეიძლება! – ეთქვი პირგამშრალმა.
– მიეცით წყალი მაგ საწყალს. – ნახევარი გრაფინი გამოვცალე და, სული რომ მოვითქვი, ისევ დავიწყე:
– ესე იგი, რადგან ასე წავიდა საქმე და რადგანაც ვერაფერი გადაწყვეტილება ვერ გამოვიტანეთ...
– მოკლე შინაარსი მოყევი, შე უპატრონო, დავილიე კაცი მოლოდინში!
– ჩემი წინადადებაა მოვხსნათ თავმჯდომარე და სხვა ავირჩიოთ!
დარბაზი გაინაბა, მე კი მუხლების კანკალით ველოდი მეხის გავარდნას და მეხი გავარდა...
ეს იყო პირველი წინადადება, რომელიც მე ვთქვი საერთო კრებაზე და რომელიც ერთხმად გავიდა.
– აგაშენა ღმერთმა, შენ რომ არა, მაგი კრება დილამდე გასტანდა. ხვალ ახალ თავმჯდომარეს ავირჩევთ და მოვისვენებთ. – მითხრა ილარიონმა და შუბლზე მაკოცა.

ნაბადი, ჩექმა და ფინდები

წელს ძალიან ცივი ზამთარი დადგა, იმდენად ცივი და ქარიანი, რომ კედლის ჭუჭრუტანებში ქარი ვერაფრით დავაკავეთ. ჭინჭები რომ არ გვეყო, ბებია ჩემ საშინაო რვეულებს მიადგა. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით ვეხმარებოდი ამ ჩემი შემარცხვენელი დოკუმენტების განადგურებაში. ყველა ჭუჭრუტანა რომ დავგმანეთ, ოთახში ცოტა დათბა. გარეთ თოვდა. უსაშველოდ თოვდა. მე და ბებია ბუხარს მივუსხედით. ბებიამ რომელიღაც ზღაპარი დაიწყო, გზადაგზა გამომხედავდა და შემამოწმებდა ყურს თუ მიგდებსო, მერე ისევ განაგრძობდა, თან ისეთი გატაცებით, თითქოს პირველად მიყვებაო. მე ვიჯექი, ტკბილისკვერს ვლეჭავდი, თავს ვაკატუნებდი და სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. სწორდ იმ ადგილას ვიყავით, რომელიღაც გმირმა ბროლის კოშკს რომ გადაუფრინა თავისი თეთრი რაშით და ცხრაკლიტულში გამომწყვდეული მზეთუნახავის სიმღერა გაიგონა, რომ აივანზე ფეხების ბრახუნი გაისმა.
– გახედე, ბიჭო, ვინ მოვიდა! – მითხრა ბებიამ და ბუხარში ცეცხლს შეუკეთა.
გარეთ გავიხედე. აივანზე ილიკო და ილარიონი იდგნენ და თოვლს იბერტყავდნენ. კარი გავაღე და ოთახში შემოვიპატიჟე ორთავე.
– გამარჯობა თქვენი, – თქვა ილარიონმა და ოთახის კუთხეში ახალთახალი თხილამურები დაყარა.
– სად იყო ეს თხილამურები, ილარიონ? – ვკითხე მე.
– სად იყო და, ხვალ სკოლაში წასვლას არ აპირებ? ამაღამ კისრამდე დადებს თოვლს, დილას აქეთაა ვწნავ, ნახე ერთი თუ მოგერგება ფეხზე!
ილარიონს კისერზე მოვეხვიე, ვაკოცე, მერე ბებიას შევხედე მუდარით. ბებიამ თავი გადაიქნია, გაიღიმა და საკუჭნაოში გავიდა, რომელსაც რატომღაც სალაროს ეძახდა.
ბუხარს მივუსხედით, ბებია სალაროდან გამოვიდა, ცალ ხელში ერთი ბოთლი არაყი და ორი ჯანჯუხა ეკავა, მეორეთი აკაპიწებული კალთა ეჭირა, რომელშიც ვაშლი და ხეჭეჭური მსხალი ეყარა.
– რად გინდოდა, ოლღა, ახლა მაგი, ზედმეტია, შენ ნუ მომიკვდები. ისე გამოვიარეთ, სალაპარაკოდ, – თქვა ილარიონმა და ბებიას ბოთლი ჩამოართვა.
– წავიღებ უკან, შე კაცო, – თქვა ბებიამ.
– ილარიონა დასამუნჯებელო, შენ თუ არ გინდა, ჩემს ცოდვაში რატომ იდგამ ფეხს. – თქვა ილიკომ და მუგუზალს მოყიდა ხელი.
– რავა, შენ სვამ არაყს თუ? – ჰკითხა ილარიონმა ილიკოს და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამაზე უფრო მის სიცოცხლეში არაფერი გაჰკვირვებია.
– ასეთ სიცივეში არაყს კი არა, გრადუსი ჰქონდეს და თერმომეტრს გადავყლაპავ. – თქვა ილიკომ და არაყი დაასხა.
– დიდი ზამთარია წელს, უბედურად ცივა. ამის მადლი შეგვეწიოს.
– ცივა, – თქვა ილარიონმა და მანაც დაასხა, გადაკრა. დაიჯღანა, მერე სახელოზე იყნოსა, ვაშლი ჩაკბიჩა და თითქოს იცოხნისო, ისე იკითხა: – ეს შენი ვაშლი, ჩემო ოლღა, შემოდგომაზე ისე მჟავეა, დაბმულ ღორს ააწყვეტინებს და ახლა რამ დაატკბო?
– შენ ოღონდ არაყი დაგალევინოს კაცმა და ისე დაიშაქრავ ენას, ტყემალს მურაბად გადააქცევ. – თქვა ბებიამ.
კიდევ თითო გადაკრეს. მერე კიდევ თითო, მერე კიდევ.
– დღეს ჩვენი ფოსტალიონი იყო ჩვენთან, გერასიმეს ბიჭის დაღუპვის ცნობა მოიტანა. მე ვერ ვეტყვი, შენ უთხარიო, მითხრა. – თქვა ილარიონმა.
– შვილო, შვილო, უბედური შენი დედა! – შეიცხადა ბებიამ და ლოყა ჩამოიხოკა.
– ქერჩში დაღუპულა საცოდავი, – განაგრძო ილარიონმა. – ეს უკვე მეშვიდე ცნობა მოდის სოფელში.
– მერე, უთხარი გერასიმეს? – ვკითხე მე.
– შენ ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო, კაცი ყოველდღე ელოდება ბიჭის დაბრუნებას და ახლა ეს ამბავი რომ ეუთხრა, ხომ დაინგრა ოჯახი! – შემომიტია ილიკომ.

– ღმერთო, შენ დაანგრიე ჰიტლერის ოჯახი, მაგან არ გეიხარა თავის ცოლ–შვილში. რასაც მე მაგას ვწყევლი, როგორ უდგას სული, – მოთქმით თქვა ბებიამ.

– აბა, რას აპირებ?

– რას ვაპირებ? – მკითხა ილარიონმა და უბეში ხელი ჩაიყო, მერე იქიდან დაბეჭდილი ქაღალდი ამოიღო, უყურა, უყურა, და უცებ ბუხარში შეაგდო. ალი ავარდა და ილარიონის სახე გაანათა, მას ლოყაზე ორი კურცხალი ეკიდა.

– ამას ვაპირებ, ჩემო ბიძია, თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალია, გამოჩნდება, თუ არა და ელოდოს მამამისი, კაცი იმედით ცოცხლობს. შენ არსად წამოგცდეს ამის შესახებ, გეყურება?

– მეყურება, – ვთქვი მე.

– ოლღა! – გაისმა ეზოში, მერე ვიღაცა აივანზე ამოვიდა, თოვლი დაიბერტყა და ოთახში ჩვენი სოფლის აგიტატორი გიორგი ვაშაკიძე შემოვიდა.

– გამარჯობა თქვენი, მაპატიეთ ასე გვიან რომ მოვედი, მაგრამ გადაუდებელი საქმე მაქვს.

– აგიტატორს გაუმარჯოს, – თქვა ილიკომ და არაყი დაასხა.

– მოიწიე ბუხართან, შვილო, – მიიპატიჟა ბებიამ.

– –რას გვეტყვის ახალს აგიტატორი! როგორაა საქმე ფრონტზე? – თქვა ილარიონმა.

– ფრონტზე არაუშავს, მოწინააღმდეგის შეტევა შეჩერებულია, ჰიტლერის გეგმა ელვისებური ომის შესახებ დაინგრა!

– მაგ იანვრის გაზეთში ეწერა, ახლა თებერვალია, შენ რამე ახალი გვითხარი.

– ახლა მე თქვენთან სერიოზული საქმე მაქვს და დამიგდეთ ყური.

– დაიწყე, – უთხრა ილარიონმა. აგიტატორმა ჩაახველა, ფეხზე ადგა და ისე დაიწყო, თითქოს ათასკაციან მიტინგზე გამოდიოდა.

– ამხანაგებო, სოციალისტური სამშობლო გასაჭირშია, ვერაგი მტერი თავისი სისხლიანი ხელებით ეპოტინება ჩვენს ქვეყანას ჩვენი სახელოვანი წითელი არმია გმირულად ებრძვის ფაშისტურ ხროვას.

– რავა გაზეთივით გველაპარაკები, შე უპატრონო, თქვი რა გინდა! – შეაწყვეტინა აგიტატორს მოთმინებიდან გამოსულმა ილიკომ. აგიტატორი სახტად დარჩა.

– თქვი, ჰო, რა გინდა! – შეეშველა ახლა ილარიონი.

– წითელარმიელებისათვის საჩუქრებს ვაგროვებთ და თქვენც ხომ არ შეგვეწევით რამეს? – თქვა აგიტატორმა და ისე შვებით ამოისუნთქა, თითქოს ყელში წაჭერილი ბაწარი შეეხსნათ მისთვის

– ასე გეთქვა, შვილო, იმხელა მოხსენება რომ წაგვიკითხე. – თქვა ბებიამ.

– მაინც რა საჩუქრები გინდათ გაუგზავნოთ? – იკითხა ილიკომ.

– ყველაფერი: ხილი, თბილი ტანსაცმელი, ხელთათმანი, წინდა, ვისაც რა შეუძლია. – დღეს ხუთშაბათია, ორშაბათს მთელი ვაგონი საჩუქრები წავა ფრონტზე ჩვენი სოფლის სახელით, თუ რამეს მოაგროვებთ, აქ მოიტანეთ, ოლღასთან, ჩვენი ბიჭები გამოივლიან და ხვალ წაიღებენ. – თქვა აგიტატორმა და წავიდა.

დიდხანს უხმოდ ვიჯექით, ალბათ, ყველანი იმაზე ვფიქრობდით, გულში, თუ რისი ჩუქება შეგვეძლო წითელარმიელებისათვის. სიჩუმე ილიკომ დაარღვია.

– მე რა სიკეთე მაბადია ამ ქვეყანაზე, არაფერი. ერთი ნაბადი მაქვს და აგერაა აყუდებული კარებთან, ადექი, ზურიკელა და შემოიტანე ოთახში.

გაკვირვებულმა შევხედე ილიკოს.

– რას გადმოგიქაჩავს თვალები, ადექი და შემოიტანე. ჩემისთანა ხრონცმა თუ არ ატარა მაგი, არ დაიქცევა ქვეყანა. მე, ჩემო ბიძია, ამ დაბამბულითაც იოლად გავალ, აწი საცაა გაზაფხულდება.

გარეთ გავედი და თითქმის ახალი შავი ნაბადი ოთახში შემოვიტანე. ეს ის ნაბადი იყო, ილიკოს რომ საბნად ეხურა, სიცოცხლეს ერჩია და ილარიონს არ ათხოვა ქორწილში, – გამიფუჭებსო.

– იყოს თქვენთან და რომ მოვლენ ის ბიჭები, გაატანეთ, – თქვა ილიკომ ისე, რომ ნაბადისაკენ არ გაუხედავს.

– ილიკო ბრუციანო, შეეარცხვინე ის ღმერთი, რომელმაც შენ თვალი დაგიფსო, ოქროს გული რომ გქონდა, კი ვიცოდი, მაგრამ ამხელა ბაჯაღლო თუ გედო მაგ გამხმარ მკერდში, არ მეგონა. – თქვა ილარიონმა და თავი მოიფხანა. მერე ერთ ადგილზე აწრიალდა. უცებ ადგა, ამ წუთში მოვალო, თქვა და გარეთ გავარდა.

– ვიცი ახლა სად წავიდა მაგი, – თქვა ილიკომ და გაიჭიმა.

– სად წავიდა? – იკითხა ბებიამ.

– სად და სახლში, არ იცი მაგის ამბავი? ახლა ჩემს ჯინაზე თუ რამე აქვს სახლში საუკეთესო, იმას მოიტანს, მაგრამ მე არ ვიცი რაცხა გაღლეტილია?

არ გასულა ხუთი წუთიც, რომ ილარიონმა კარები შემოაღო, მერე მივიდა ოთახის კუთხეში და ილიკოს ნაბადს გვერდით ახალთახალი, ჯერ ჩაუცმელი ჩექმები დააწყო.

– გაგიჟდი, ყაზახო?! – შეუყვირა ილიკომ.

– ადექი, ბერიკაცო, აქ ხომ არ აპირებ გათენებას. – უპასუხა ილარიონმა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

იმ ღამით მე და ბებიას ერთად გვეძინა. ახალმიძინებული ვიყავი, რომ ფაჩუნმა გამაღვიძა, თვალები გავახილე, ბებია ლოგინის ბოლოში ჩამომჯდარიყო და ფრთხილად იცვამდა. არაფერი ვუთხარი, თავი მოვიმძინარე და თვალყურის დევნება დავუწყე. ჩაიცვა. ადგა, თავისი ბალიში

სკამზე გადადო, მერე ფეხები ფრთხილად შემიკეცა და თავისი სასთუმლის მხრიდან ლეიბი გაარღვია, მერე ლეიბიდან ბღუჯა-ბღუჯა მატყლი გამოაძრო, ფეხაკრეფით გავიდა სალაროში, საჩეჩელი გამოიტანა, ბუხარს ცეცხლი შეუკეთა და იქვე დაგებულ თხის ტყავზე მოიკალათა. საჩეჩელი მუხლებშორის დაიდგა, მატყლი აიღო და საჩეჩელს ნემსებზე ჩამოჰკრა, მერე მთელი ტანით ხელების მოძრაობასთან ერთად რწევა დაიწყო, თან რაღაცას ბუტბუტებდა. ჩემსკენ ზურგშექცევით იჯდა და ასე საქმეში გართული მგლოვიარე დედაბერს გავდა, რომელსაც წინ შვილის ცხედარი ესვენა და ჭაღარა თმებს ბღუჯა-ბღუჯად იგლეჯდა დამჭკნარი ხელებით.

ლოგინზე წამოვჯექი, დიდხანს ვუცქერდი ბებიას და თვალებზე ცრემლმომდგარი ეფიქრობდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი ჯარისკაცი, რომლისთვისაც ბებიამ სითბო მოიკლო და მისი მოხუცი სხეულით გამთბარი მატყლით ახლა, ამ თეთრი ზამთრის ცივ ღამეში წინდას უქსოვდა.

ლიტერატურული

საღამო

ზამთარში საღამოობით მე, ილიკო და ილარიონი ილიკოსთან ვიკრიბებით. ბუხარში დიდი წაბლის ჯირკი თვალს აბრიალებს, შაშხი შიშხინებს, ღვინით სავსე დოქი თბება, ჩვენ კი ნარდს ვაგორებთ. ხან წიგნს ვკითხულობ ხმამაღლა. უფრო ხშირად ილიკო და ილარიონი პოლიტიკაზე საუბრობენ. პოლიტიკა ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, მარტო ილიკოს სახლში კი არა, მთელ მსოფლიოში, რადგან 1942 წელია და გერმანელები მოსკოვთან დგანან.

– დუ-იაქე, ზურიკელა! – ამბობს ილიკო და კარს იღებს.

– შაშუ-ბეში, ილიკო! – ვეუბნები მე და ილიკოს კარიდან ქვა გამომყავს.

– ექვსი და ხუთი თქვი, შე მამაძაღლო, თორემ გაგიხეთქავ თავს, ვინაა შენი შაშუ-ბეში? შაშუ-ბეში ბებიაშენია! – რა ჩემი ბრალია, ილიკოს რომ ცალი თვალი აქვს და ისიც გაურბის, მაგის შიშით შაშუ-ბეში ვეღარ მითქვამს.

– ხუთი და ექვსი, ილიკო!

– მასე! – მეუბნება ილიკო და მიბღვერს.

ილარიონი საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას კითხულობს.

– გათავებულია ჰიტლერის საქმე! – თქვა ილარიონმა.

– იაგანი, – თქვა ილიკომ, ქვა მომიკლა და კარები ჩაკეტა, – შენი საქმეც გათავებულია, ზურიკელა, ადექი ახლა, რაო, რა წერია გაზეთში, ილარიონ?

– დადგნენ მოსკოვთან და ფეხს ვეღარ იცვლიან ადგილიდან.

– მეორე ფრონტის რა ისმის?

– რა ეჩქარებათ? ისე, დიდი ეშმაკია ინგლისი, ამერიკას ეუბნება მე დამეხმარე და საბჭოთა კავშირს თავი დაანებეო!

– მერე, რას ეუბნება ამერიკა?

– მაგი არაა შენი საქმეო!

– ახლა გერმანია ეუბნება თურქეთს და იაპონიას – მე რომ სტალინგრადში შევალ, თქვენ მაქედან დაარტყითო!

– სტალინგრადში შესვლა მაგას წითელ ჯვარში შესვლა ხომ არ ჰგონია, ვერიჩკა ბურჭულაძეს რომ განცხადებას დაუწერ და ტაშისკვრით მიგიღებს?!

– თურქეთის პოლიტიკა რაღაც არ მომწონს ამ ბოლო დროს, ჩემო ილარიონ!

– მაგი ისეთი ჟულიკია, თუ შეატყო გაუჭირდაო, ისევ გერმანიას გამოუცხადებს ომს.

– გაჩერდი, კაცო!

– აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია, აგი ულვაში გამპარსე, ასე თუ არ ქნას!

– იაპონია?

– იაპონია რა, გერმანია ეუბნება, დაიწყე, რაღას უყურებო და იაპონია ეუბნება, რომ დაგდებულხარ მოსკოვთან და ფეხს არ იცვლი, რომ დავიწყო, მერე სად წავიდეო!

– გერმანია რას უჩივა?

– ორჯერ გადასცა რადიოთი, ავიღე სტალინგრადიო, მარა იაპონიას მოატყუებს მაგი? ზევით რომაა, ერთი იმხელა მიწაშია...

– გათავებულია მაგათი საქმე. დაასხი, ბიჭო ზურიკელა! – ღვინოს ვასხამ, ჭიქებს ვიღებთ და სამთავე ვსვამთ გამარჯვების, ჯარში წასულების და მშვიდობის სადღეგრძელოს.

– გუშინ ლექსი დავწერე! – ვთქვი მე უცებ. ილარიონს მოულოდნელობისაგან შაშხის ნაჭერი გაუვარდა ხელიდან, ილიკოს კი ღვინო გადაცდა სასულეში და მამლის კუჭივით გალურჯდა.

– რაო, რა თქვი? – მკითხა ილიკომ, სული რომ მოიბრუნა.

– ლექსი დავწერე ომზე!

– წაგვიკითხე ერთი შენს გაზრდას! – თქვა ილარიონმა და ილიკოს გადახედა. ამოვიღე ჯიბიდან ლექსი, ფეხზე ავდექი, მარცხენა ხელი წინ გავიშვირე და რაც შემეძლო ხმამაღლა დავიწყე:

საზიზღარი გერმანია
გადმოვიდა ჩვენ საზღვრებზე,
მაგრამ ფეხს ვერ მოიკიდებს
ჩვენს მშვენიერ მიწა-წყალზე!
ჩვენი გმირები დასცხებენ

ზარბაზნებით, თოფებით და ტანკებით,
თუ საჭირო შეიქმნება,
მტერს მეც ყელში დავეტაკები.

დავამთავრე მე და გულისფანცქალით ველოდი განაჩენს.
– ძალიან ხმამაღლაა დაწერილი! – თქვა ილარიონმა ნახევარსაათიანი პაუზის შემდეგ.
– მაგას კი ეშველება, ხმადაბლა წაიკითხავს კაცი, მაგრამ ამას რა ეშველება?! – თქვა ილიკომ და ისე გამომხედა, ჩემი თავი შემეცოდა.
– როდის იგრძენი პირველად ტვინში ლექსის საამო ღიტინი? – მკითხა ილარიონმა.
– ერთი თვის წინ, – ვთქვი მე.
– მერე ამდენ ხანს სად იყავი, ოჯახაშენებულო, დროზე ვერ თქვი? რაღა გვეშველება აწი? ოლღა ბებიაშენი მეცოდება, ნაშრომი რომ წყალში ჩაუცვივდა, თორემ, შენ ერთ მშვენიერ დღეს ჯაჭვით დასაბმელი რომ გახდებოდი, მაგი კი ვიცოდი! – თქვა ილიკომ და ხელი ჩაიქნია.
– ისე როგორ ატყობ, ადვილად მოგდის ლექსი თავში?
– დღეში რვა–ცხრა ლექსს ვწერ ამისთანას, ქაღალდს ვერ ვშოულობ, თორემ მეტს დავწერდი!
– ცოტაა! – თქვა ილიკომ.
– ბებიაშენმა იცის, ლექსების წერა რომ დაიწყე? – მკითხა ილარიონმა.
– არა!
– ჰოდა, არ უთხრა, მისი გაჭირვება ეყოფა საწყალს. კიდევ გაქვს დაწერილი რამე?
– კი, სიყვარულზე!
– აბა, ჰე, წაგვიკითხე.
გაუბედავად შევხედე ილიკოს.
– მიდი, მიდი, აწი ერთი ფასი აქვს, – თქვა ილიკომ.
ჯიბიდან მეორე ლექსი ამოვაცოცე და ხმადაბლა დავიწყე:

ღამე არის მთვარიანი,
თოვლიანი, ქარიანი,
ცრემლი მომდის სიხარულის,
მიყვარს ღამე სიარული,
მთელი ღამე უძილო ვარ,
სულ მთლად გადარეული ვარ.

ბოლო სტრიქონები ისეთი განსაკუთრებული გრძნობით წავიკითხე, ყელში რაღაც მომაწვა, თვალები მდუღარე ცრემლით ამევსო, პაუზა, რომ მოველოდი, იმაზე დიდი აღმოჩნდა. ილარიონი და ილიკო ნაცემი ძაღლებივით უყურებდნენ ერთმანეთს.
– რას იტყვი შენ? – ჰკითხა ბოლოს ილარიონმა ილიკოს.
– ბოლო სტრიქონი კარგადაა დაწერილი, ეტყობა, უგრძნია კაცს!
– კი მაგრამ, სიყვარულზეა ლექსიო და სიყვარულზე რატომ არაფერს ამბობ?
– რცხვენია და ვერ ამხელს! – თქვა ილიკომ.
– ეს ლექსია, ჩემო ილარიონ, ლექსში ყველაფერს ვერ იტყვი!
– ჯერ ერთი, მაგი რომ ლექსია, ისე დაგიმშვენდა შენ ცხვირი, მერე – მეორე, სიყვარულზე თუა, სიყვარული ახსენო უნდა მაინც.
– კაცი რომ უძილოა, გადარეულია და ღამე დადის, შეყვარებულია, აბა, რა ჯანდაბაა?! – გავცხარდი მე.
– გადარეული ილიკოც კია და მაგდენს ღამე ვინ დაეთრევა, მაგრამ შეყვარებულია თუ იცი? – თქვა ილარიონმა.
– ჰაიტ, შე მყრალო ბერიკაცო! – იყვირა ილიკომ, – მაგი გამოთაყვანებული ლექსს ვერ წერდეს, ჩემი რა ბრალია, ახლავე შეყარე ბუხარში მაგი ნაცოდვილარი, თორემ ამოგაძრობ ენას! – შემომიტია ილიკომ.
– მოიცა, ჯერ გავარჩიოთ ლექსი! – შეაჩერა ილარიონმა. – თავში რომ გიწერია: მთვარიანი ღამეა, ქარია და თოვლიაო, ამაზე რას იტყვი?
მართალი გითხრათ, ამაზე ლექსის წერის დროს არ მიფიქრია, და ახლა რომ ილარიონმა მკითხა, გავშეშდი.
– ჰოდა, უძილო თუ ხარ, ქარი და თოვლი თუა და ქვეყანა თუ ინგრევა, შენ რა გიხარია, შე უპატრონო, სიხარულის ცრემლი მომდისო, რომ წერ! – მკითხა ახლა ილიკომ.
– თქვენ რა გესმით ლექსის, გამოტვინებულები ხართ ორივე! – გავბრაზდი მე.
– ერთი შენ რომ ლექსები გვიკითხე ამეღამ, გამოტვინებულები კი არა, სული როგორ გვიდგას, გასაკვირია! – თქვა ილიკომ და ღვინო დაასხა. ილარიონმა ჭიქა ასწია, თავზე ხელი გადამისვა და ალერსიანად მითხრა:
– შენ რაღაცა სხვა უბედურება გჭირს, ჩემო ზურიკო, ლექსის წერას რა აწყებინებს კაცს, კი ვიცი, მე, შენხელა რომ ვიყავი,მეც დამაწერია ლექსი სიყვარულმა:

ცოლად თუ არ გამომყვება,
შუბლში ვირტყამ პატრონასო,
რა სიკვდილი მოეუხერხო

უპატრონო მატრონასო.

– გახსოვს, ილიკო?

ილიკომ თავი დააკანტურა და კმაყოფილებით ჩაიხითხითა,

– მაშინ შენც გადარეული მეგონე, მაგრამ მერე გაგიარა, ალბათ, ზურიკელასაც გაუვლის.

– ჰოდა, ჩემო ბიძია, შენგან ისეთი მოლექსე გამოვა, მე რომ გამოვედი. მე კი როგორი სახელოვანი მოლექსე ვარ, აგერ ჰკითხე ილიკოს და გეტყვის. წერე, ჩემო ბიძია, მაგისთვის კაციშვილი არ დაგიჭერს. იმ გოგოს, რომელიც გიყვარს, თუ შენსავით შტერია და მოეწონა შენი ლექსები, ხომ კარგი, არა და ნურც მაგისთვის მოიკლავ თავს. სიყვარულს ახლა ჩაუდვია კვერცხი შენს გულში, მერე გამოტეხავს, იბარტყებს, გადააფრენს კიდევაც, მერე ჰაიდა... ივლი ამ დუნიაზე შეყვარებული. შენს სიყვარულს გაუმარჯოს, ჩემო ზურიკო!

მე ვიდექი თავჩაღუნული, ყურებამდე გაწითლებული და ყურს ვუგდებდი ილარიონის სიტყვებს. მას თითქოს ხელი ჩაეყო ჩემთვის უბეში, გული ამოეღო, ხელისგულზე დაედო ფრთხილად და სიტყვა–სიტყვით კითხულობდა, რაც შიგ ეწერა.

პირველი
სიყვარული

– ჩიგოგიძე!

– ვარ, მასწავლებელო!

– კალანდაძე!

– აგერ ვარ, მასწავლებელო!

– სიხარულიძე!

– ავად გახდა, მასწავლებელო, და ჭყონიამ, ცენტერაძემ, ბურჭულაძემ, ქორიძემ, ნინიძემ და ღლონტმა გააცილეს სახლში.

– მთელი კლასი ვერ გაყევით? – იკითხა გულჩვილმა მასწავლებელმა.

– ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა, თორემ მივყვებოდით.

– ვაშალომიძე, ვაშალომიძე, ვა–შა–ლო–მი–ძე! – ყვირის მასწავლებელი და ხელს მაგიდაზე ურტყამს.

– აქ ვარ, პატივცემულო მასწავლებელო!

– მასეთი ყოფნა და არყოფნა ერთი და იგივეა!

– ყოფნა–არყოფნა, საკითხავი აი ეს არის! – ამბობს რომული პათეტიკურად.

– რომული კალანდაძე, გაბრძანდი გარეთ!

– სიცივეა, მასწავლებელო!

– აიღე შენი წილი ნიგუზალი და გაეთრიე გარეთ! – მხარს ვუჭერ მასწავლებელს.

რომული გადის, მე კი უბედურება მატყდება თავს.

– რა გექონდა გაკვეთილად, ვაშალომიძე?

– სოლვეის ხერხით სოდის მიღება!

– აბა, გამოდი დაფასთან!

წელმოწყვეტილივით გავეთრიე დაფასთან და ცარცი ისე დავაჭირე დაფას, მარილივით ჩამეფშვნა ხელში.

– დაიწყე, ვაშალომიძე!

– სოდის მიღების უამრავი ხერხი არსებობს, მაგალითად, ილიკო ჩიგოგიძე ენაზე იყრის და პირდაპირ ისე ყლაპავს, ილარიონ შევარდნაძე კი ერთ სუფრის კოვზ სოდას ერთ ჭიქა თბილ წყალში ურევს და სულმოუთქმელად სვამს პახმელიაზე, ბებიაჩემი კი...

– ვაშალომიძე, გაეთრიე გარეთ! ვინ არის მაგის მეზობელი?

– მე ვარ, – ამბობს მერი სიხარულიძე და ფეხზე დგება.

– დღეს მაგის მშობლებთან წერილს გაგატან და მიუტანე! ვაშალომიძე, გადი გარეთ!

– მე კი წავალ, მასწავლებელო, მაგრამ კლასში ვინღა დარჩება?!

– გადი! – ჩურჩულით მითხრა მასწავლებელმა და სამელნეს გადახედა.

გავედი. ალბათ, კოლუმბის მეზღვაურებს მიწის დანახვა ისე არ გახარებიათ, როგორც რომულის ჩემი დანახვა.

– გამოვარდი?

– სულ შენი ბრალია!

– ჩემი რა ბრალია, შენ ჯირკივით იყო გაკვეთილზე, გგონია ვერ გატყობ, შეყვარებული რომ ხარ?

– ვიზე, სულელო!

– მერიზე.

– მეორეჯერ არ თქვა, თორემ აგახლიჩავ ლაყუჩებს!

– მე კი არა, მთელი კლასი ლაპარაკობს.

– რა დროს ჩვენი სიყვარულია, ბიჭო! – ვთქვი მე.

– რატომ, ძმაო, ბებიაჩემი თოთხმეტი წლის გათხოვილა.

– მერე შენ რა გინდა!

– მე რა უნდა მინდოდეს, თუ გინდა ვეტყვი, რომ გიყვარს.

– რომ მიყვარდეს, მე თვითონ ვეტყვი!

– შენ სიყვარულის ახსნა გაკვეთილის მოყოლა ხომ არ გგონია, მერე შენ რომ გაკვეთილის მოყოლა იცი, გააგიუებ კიდევაც. სიყვარულის დროს წერილი უნდა მისწერო გოგოს.

– შენ მიგიწერია როდისმე?

– რამდენიც გინდა! – დავაკვირდი რომულის, ხომ არ ეშმაკობს რამეს–მეთქი, მაგრამ რომული არ ხუმრობდა, მის თვალებში იმდენი სიმართლე იყო, ვენდე და ვუთხარი:

– ბიჭო, რომული, შენ ძმა ხარ ჩემი და რაღა დაგიმალო, მიშველე, ბიჭო, რამე, მიყვარს და რა ვქნა! – რომულის ისე გაუხარდა ეს ამბავი, თითქოს ჩემს მაგივრად თვითონ ყოფილიყოს შეყვარებული. ხელები მომხვია წელზე, ჰაერში ამწია, დამატრიალა და დამსვა.

– აბა, დანარჩენი ჩემზე იყოს, ისეთი წერილი დაგიწერო – „ვარდი გააპოს, გამოჩნდეს მუნ ბროლი გამომჭვირვალი“.

დრო ბევრი გვქონდა. შეეედით ცარიელ საკლასო ოთახში. მე მაგიდას მოვუჯექი, რომულიმ კი მასწავლებელივით ხელები უკან დაიწყო, ოთახში გაიარ–გამოიარა და დაიწყო კარნახი:

„ჩემო უძვირფასესო, უნეტარესო და სულზე უტკბესო, სიყვარული – ეს არის უდიდესი გრძნობა, სიყვარული ამუნჯებს, აყრუებს, აბრმავებს და აგიუებს ადამიანს“.

– ტყუილია მაგი! – შეეაწყვეტინე შეშინებულმა.

– კი ვიცი, მაგრამ ასეა საჭირო. განაგრძე.

„მას შემდეგ, რაც პირველად დაგინახე, მე ვალიარე აბსოლუტური ჭეშმარიტება მშვენიერებისა. მე გავიგე არსი ჩემი ყოფიერებისა, მე აღგიქვი შენ, როგორც აპოთეოზი სულიერი განცდისა და ესთეტიკური შემეცნებისა“.

– საიდან მოგაქვს ასეთი სიტყვები? – ვკითხე გაბრუებულმა.

– ჩემს დას მოუვიდა ასეთი წერილი თბილისიდან, ერთ სტუდენტს უყვარს და იმან გამოუგზავნა.

– მერე, მიყვება შენი და?

– უნდა წაყოლოდა, მაგრამ მეზობელი ჩამოვიდა თბილისიდან და ამბავი ჩამოიტანა, ის სტუდენტი გაგიუებულაო. განაგრძე!

– „რაღა დაგიმალო და მიყვარხარ თავზე მეტად. მე მინდა შენ გახდე ჩემი სულიერი მეგობარი და ერთგულად წიო ჭაპანი ჩვენი. მე მაგიუებენ შენი თვალები, წამწამები, ტანი, გამოხედვა, ბროლის კბილები, მარჯნის ტუჩები, გიშრის თმა, თითები, მკლავები, ანუ მთლიანად მაგიუებ. მე ვკვდები უშენოდ. მე არ ვეთანხმები შექსპირს იქ, სადაც ის ამბობს „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ“! ამით ვამთავრებ, ნახვამდის!..“

– როგორია? – მკითხა რომულიმ და დოინჯი შემოიტყა.

– ბეწვზეა შენი და გადარჩენილი. – ვუთხარი მე.

– ქვას გახეთქავს! – თქვა რომულიმ.

ფოსტაში გავიქეცი. კონვერტი ვიყიდე, წერილი შიგ ჩავდე, ენა გავუს–გამოვუსვი და უბეში ჩავიდე. გული ჩიტივით მიფართქლებდა. ამ წერილს უნდა გამოეტანა ჩემი პირველი სიყვარულისათვის განაჩენი.

ბოლო გაკვეთილზე წერილი მერის ჩანთაში შევაცურე და მიცვალებულივით გავინაბე. არ გამიგია როდის დაირეკა ზარი, როგორ წავიდნენ ამხანაგები სახლებში. ვიჯექი ასე გაშტერებული, ვიდრე დამლაგებელმა ქალმა არ შემანჯღრია და არ მითხრა:

– როდის მერე შეგიყვარდა, ვაშალომიძე, ასე სკოლა, სახლში რომ არ მიდიხარ? აწიე ფეხები, უნდა გამოვხვეტო!

– გამარჯობათ, დეიდა მაკა...

– უი, დამეფსოს თვალები, მეასეჯერ გხედები დღეს და ახლა მეუბნები გამარჯობას?

– ნახვამდის, დეიდა მაკა...

– ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს! – დამლოცა დეიდა მაკამ, პირჯვარი გამოისახა და საჩქაროდ გავიდა კლასიდან.

საღამოს ისევ ილიკოსთან ვიჯექი და ნარდს ვაგორებდით, დილის ზაფრამ გადამიარა და ახლა მხიარულად ვიყავი.

– დუ–ბეში, ლექსი ხომ არ დაგიწერია, ბიჭო, კიდევ? – მელაზღანდარებოდა ილიკო.

– შაში–ჩარი, წაგვიკითხე თუ კაცი ხარ! – ყბას მიქცევდა ილარიონი.

– ილიკო! – მოისმა გარედან ხმა.

– რომელი ხარ?

– ოლღა ვარ, ილიკო, ჩემი კუდიანი ბიჭი შენთანაა?

– მობრძანდი, ოლღა, მობრძანდი, აგერაა შენი კუდიანი ბიჭი!

ოთახში წელში მოხრილი ბებიაჩემი შემოვიდა, თავშალი მოიძრო, გამარჯობა თქვა, ჯოხი ბუხრის კუთხეში მიაყუდა, ცეცხლთან ახლო მოეწყო და მე მომმართა:

– შვილო, ზურიკო, შენი ქიმიის მასწავლებელი რა ხნისაა?

– იქნება ასე ოცდაათ–ოცდათხუთმეტი წლის. რაშია საქმე? – ვკითხე მე და სმენად გადავიქეცი.

ბებიამ მხრები აიჩჩა, თავი გადააქნია და ისევ მკითხა:

– ცოტა შექანებული ხომ არაა?

– მაგის მასწავლებელს, აბა, რა მოუვა! – თქვა ილიკომ.

– შექანებული კი არა, ჭკუით გატენილია! – ვთქვი მე.

– ილარიონ, ნახე ერთი რას მწერს, თუ ღმერთი გწამს, – თქვა ბებიამ და ილარიონს წერილი გადასცა. შემაჟრჟოლა. ილარიონმა წერილი გამოართვა, სათვალე გაიკეთა და ჰკითხა:

– ვინ მოგიტანა, ოლღა?
– ლადიკო სიხარულიძის გოგო რომაა, მერი, იმისთვის გამოუტანებია.
ილარიონმა წერილი გაშალა და კითხვა დაიწყო:
„ჩემო უძვირფასესო, უნეტარესო და სულზე უტკბესო...“
– შენ გწერს მაგას? – იკითხა ილიკომ.
– კი, შენ ნუ მომიკვდები.
პირი გამიშრა, ხელები გამიციოდა და შუბლზე ოფლმა გამომჟონა. ილარიონი განაგრძობდა:
„ მას შემდეგ, რაც პირველად დაგინახე, მე ვალიარე აბსოლუტური ჭეშმარიტება მშვენიერებისა..“
– სად მნახა მაგ შეჩვენებულმა, – ჩაიხითხითა ბებიამ და ილიკოს გადახედა. ილიკოს პირი დაელო და ყურებს არ უჯერებდა.
„მე გავიგე არსი ჩემი ყოფიერებისა, მე აღგიქვი შენ, როგორც აპოთეოზი სულიერი განცდისა და ესთეტიკური შემეცნებისა...“ – განაგრძობდა ილარიონი.
– ეს ადგილი რაღაც ვერ გავიგე. – თქვა ბებიამ.
– სიყვარულს რას გაუგებ, ჩემო ოლღა! – თქვა ილარიონმა.
– კი მაგრამ, სად მოასწრო შენი ასე შეყვარება?! – თქვა ილიკომ.
– რასაც მაგას ზურიკელას საქმეზე სკოლაში იბარებენ, ამდენ სიარულში შეაყვარა ადამიანს თავი.
– „მე მაგიუებენ შენი თვალები...“ – განაგრძო ილარიონმა.
– დაეფსოს მაგას თვალები! – თქვა ილიკომ.
– „წამწამები“, – განაგრძო ილარიონმა. ილიკო ჩაბუირდა და იატაკზე დაგორდა, ილარიონს სლოკინი აუვარდა, მაგრამ კითხვას მაინც განაგრძობდა: – „მე მაგიუებს შენი ტანი, გამოხედვა, მკლავები, ბროლის კბილები...“
– აქ კი შეშლია ცოტა. – თქვა ილარიონმა.
– მიწა დავაყარე პირზე, რა დროს ჩემი კბილებია! – გაასავსავა ხელები ბებიამ.
„თითები, მარჯნის ტუჩები, წარბები, მოკლედ, მთლიანად მაგიუებ...“ – განაგრძო ილარიონმა და ცრემლები გადმოსცვივდა.
– გაჩერდი, შე ურჯულო, გავთავდი კაცი! – იკივლა ილიკომ. – გაჩერდი, აღარ შემიძლია, გეყოფა აწი! – ილარიონმა კითხვა დაამთავრა და ილიკოს დაუწყო მოსულიერება, ბებია თავისთვის ხითხითებდა. მარტო მე ვიჯექი გამეხებული და გამშრალი.
– როდის ათხოვებ ქალს, ქორწილი არ გამომაპარო! – შემომტირა ილიკომ და ისევ გაგორდა.
– აქ რაღაც სხვა ამბავია, – თქვა ილარიონმა.
– შენ რა გითხრა, ოლღა, გაგონილა კაცის ასე გაგიუება!
– ილიკო ბიძია! – მოისმა ამ დროს გარედან.
– მობრძანდი!
ოთახში ლოყებაწითლებული მერი შემოვიდა, გათოშილ ხელებს იორთქლებდა, მერე ჯვარედინად იღლიებში იჩრიდა და ფეხებს აბაკუნებდა.
– ილიკო ბიძია, ოლღა ბებია თქვენთანაა?
– აგერ ვარ, შვილო, ეს რა წერილი მომიტანე, ამ სიბერეში რომ სული კინაღამ ამოგეხადე! – უთხრა ბებიამ და წერილი გადასცა.
– ოლღა ბებია, მასწავლებელმა რომ წერილი გამომატანა, აგერ მოგიტანეთ, შემშლია თურმე. ეს წერილი საიდან გაჩნდა, არც კი ვიცი. – თქვა მერიმ და ბებიას წერილი მიაწოდა. ბებიამ ილარიონს გადასცა:
„გთხოვთ, ხვალ გამოცხადდეთ სკოლაში თქვენი შვილიშვილის უმსგავსო საქციელთან დაკავშირებით“.
– მომჭერი თავი, ხომ? – მკითხა ბებიაჩემმა და ჯოხს სტაცა ხელი. შურდულივით გავვარდი გარეთ.
– არ დაგინახო სახლში, სადაც გინდა, წაეთრიე! – მომაკივლა ბებიამ.
ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან მერი გამოვიდა, მოდიოდა თავჩაღუნული, დაფიქრებული, გათოშილ ხელებს აღარ მალავდა, თავშალი მხრებზე დაცურებოდა, თმა საფეთქელთან ჩამოშლოდა, რომელიღაც სახელოვანი მხატვრის ნახატს გავდა, სადღაც რომ მენახა და სახელი რომ არ ვიცოდი. ისე ჩამიარა, ჩემსკენ არ გამოუხედავს.
– მერი! – ვთქვი ჩუმად. გაჩერდა. მივუახლოვდი თმა გავუსწორე. მერე ისევ ჩამოვუშალე. არ განძრეულა.
– წაიკითხე? – არაფერი მითხრა. ამომხედა ჭკვიანი თვალებით და წავიდა.
– მერი! – ისევ გაჩერდა. მე დავეწიე, – რომულიმ დამაწერინა, მე მასე არ მინდოდა, იმან მითხრა ასე უნდაო.
– ასე ხუმრობა არ ვარგა, ზურიკო.
– მე არ მიხუმრია, მერი. მე, მერი, შენ გგონია, მე მართლა ცუდი ბიჭი ვარ?
– არა, ზურიკო!
წავედით. იყო ქარი და არ იყო მთვარე. თოვდა, თოვდა ირიბად. მივდიოდით უხმოდ. ჩემ სახლს ჩავუარეთ.
– ამის ძირში ჩემი მურადა მარხია. – ვთქვი მე და დათოვლილ ჭადარს ავხედე.
– ვიცი!

– მე ძალიან მიყვარდა მურადა, ქვეყანას მერჩია, ის, ბებია, ილარიონი და ილიკო ერთნაირად მიყვარს.

– ვიცი, ზურიკო!

– მე ძალიან მიყვარს მურადა, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მიყვარდება, მურადას მე ძალიან ვუყვარდი. მე მურადას, როგორც კაცს, ისე ველაპარაკებოდი. მეც მესმოდა მისი ლაპარაკი, ყველაფერი მესმოდა, სულ ყველაფერი. მურადა რომ მოკვდა, თავს მოვიკლავდი მეგონა, ჩემი მურადა ყველაზე კარგი იყო ქვეყანაზე და მე ყველაზე უფრო მიყვარს იგი ქვეყანაზე. სივარულით მართლა შეიძლება გაგიუდეს კაცი! გცივა?

– კი, მცივა.

– მე არ მცივა! – გავიხადე ქურქი და მერის მოვახურე. ხელი აღარ გამიშვია, ასე მოვდიოდით თოვლში, უკვალავ თოვლში, მერის სახლს გავცდით.

– გათბი?

– გავთბი, ზურიკო.

– შენ ხომ იცნობდი ჩემს მურადას?

– კი!

– შენ ძალიან უყვარდი მურადას, სულ ასე მეუბნებოდა, მერი კარგი გოგოა, მერისთანა გოგო ქვეყანაზე არ დადისო, მერი სულ ყველას ჯობია, მერი ძალიან კარგი გოგოაო, მერი ლამაზი გოგოა, მერისთანა ლამაზი თვალები არავის არ აქვსო, მერი ძალიან კეთილი და ჭკვიანი გოგოაო. შენ ძალიან უყვარდი მურადას, ჩემსავით უყვარდი, არა, უფრო უყვარდი, შენ არასდროს გიღრენდა. შენც ხომ გიყვარდა ჩემი მურადა?

– კი, ზურიკო, ძალიან მიყვარდა, ძალიან!..

– მერი!

– რა, ზურიკო? – საფეთქლებზე მოვკიდე ხელი, ჩემსკენ მოვიზიდე და ჩემი სახე მის თმებში დავმალე. მერი ტიროდა. ვტიროდი მეც. ირიბად თოვდა. იყო ქარი და იყო მთვარე, მზეც იყო, სიყვარულიც, ცრემლიც და ბევრი, ბევრი თოვლი. ილიკოსათვის რომ მეკითხა, თუ ქარი იყო, თოვლი იყო და ქვეყანა ინგრეოდა, შენ რა გიხაროდა, შე უპატრონო. ყველაფერი იყო, ქვეყანაც ინგრეოდა და მე მიხაროდა. იმ ღამით ბებიას რომ შევეშვი სახლში, მაინც არ შევიდოდი. ირიბად თოვდა. იყო ქარი, იყო მთვარეც, მზეც იყო და სიყვარულიც და ბევრი, ბევრი თოვლი.

თერთმეტი

ფუთი

სიმინდი

ილიკოს ღორს დიდი, ჩამოფლარტული ყურები, პატარა თვალები, გარმონივით დაკუჭული, მოკლე და ზევით აპრეხილი დრუნჩი ჰქონდა, ამიტომ მთელ სოფელში სერაპიონას ეძახდნენ. ნამდვილი იორქშირისა იყო, წელიწადში ორჯერ მაკობდა, ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე, თორმეტ–თორმეტ გოჭს იგებდა. ილიკო, რასაკვირველია, ყიდდა გოჭებს და კარგი შემოსავალიც ჰქონდა. ომის წლებში ილიკომ გოჭების სიმინდზე გადაცვლა დაიწყო და სიმინდიც ყოველთვის ულევი ჰქონდა. ამის შეტყობა ადვილი იყო, ჩვენი სოფლიდან წისქვილში ყველაზე ხშირად ილიკო დადიოდა. თავს ერჩია ილიკოს თავისი სერაპიონა, მარჩენალს ეძახდა, ხელისგულზე ატარებდა ამ ათფუთიან ღორს. თვითონ იკლებდა და ღორს აჭმევდა. თუ გინდოდათ ილიკოს გულის მოგება, ღორი უნდა გექოთ. დადნებოდა, ცალი თვალი ცრემლით აევსებოდა, გაიქცეოდა, არაყს გამოგირბენიებდა. უპილპილო თუთუნს მოგაწევინებდა, სანაშენოდ ყველაზე კარგ გოჭს დაგპირდებოდა და ვინ იცის კიდევ რას. მე და ილარიონმა კარგად ვიცოდით ილიკოს ეს სუსტი მხარე და ოცდაოთხი საათი ილიკოს ღორის ქების მეტს არაფერს ვაკეთებდით.

აი ახლაც, ვსხედვართ ილიკოს ეზოში აბიბინებულ კოინდარზე, გვერდით მოლრუტუნე, თვალმინაბული, პოჭოკებგაჭიმული სერაპიონა გვიწევს და ილიკოს ვესაუბრებით.

– ასეთი ღორის მნახველი არ ვარ, – ამბობს ილარიონი.

– ამით მიდგას სული, – ამბობს ილიკო და ღორს მუცელზე ხელს უთათუნებს. სერაპიონა განცხრომით ქშინავს. მუცელი გამობერილი აქვს და თორმეტივე ძუძუ დაწითლებული და სავსე, რაც იმას ნიშნავს, რომ სერაპიონას მალე თორმეტი გოჭი ეყოლება, დღეს თუ ხვალ მოვლენ სიმინდით დატვირთული მუშტრები.

– სად იშოვე, ილიკო, ასეთი ჯიშიანი ღორი? – ვეკითხები მე.

– მაგი, ჩემო ზურიკელა, არა და, მაგის ბებიას დედა, ბებიაჩემ კალენტის მოყოლია თავპანტიდან მზითვად. მღილი ყოფილა, მუნიანი. ბაბუაჩემ ხარიტონას დაუმორცხვებია, იგი სამარცხვინო როგორ შემოვუშვა ოჯახშიო და გადაგდება დაუპირებია.

– გადაგდება ვინ გაიგონა, უნდა დაეკლათ! – თქვა ილარიონმა.

– მაშინ ვინ ჭამდა ჭირიან გოჭს, ახლა რომაა, ისე კი არ იყო, – თქვა ილიკომ.

– ახლა ომია და უჭირს ხალხს, – ვთქვი მე.

– მართალია, ძალიან უჭირს ხალხს, ჩვენ რა გვიშავს. ლენინგრადში თურმე კატებს და თაგვებს ჭამდა ალყაშემორტყმული ხალხი.

– ლენინგრადი რად გინდა, კაცო, სახლში გაცინების მეშინია! – თქვა ილარიონმა

– რა გჭირს? – ჰკითხა ილიკომ.

– რა მჭირს და, რომ გავიცინებ და კბილს გამოვაჩენ, ჩემს მამალს სიმინდი ჰგონია და ქორივით შემომაფრინდება ცხვირ–პირზე.

– დაკალი მერე, ადამიანო, – ვუთხარი.

– მერე შენ გახვალ კოპიტზე, შენ იყიელებ და შენ გამაღვიძებ ყოველ ალიონზე? – მკითხა ილარიონმა.

– ჰოდა, იმას გიყვებოდით, – განაგრძო ილიკომ, – ბაბუაჩემი ხარიტონი გაქაჩულა, არ დამანახოთ მაგ ჭირიანი გოჭი, თავს ნუ მჭრითო, მაგრამ კალენტი ბებიაჩემს ქვა უსვრია და თავი შეუშვერია, არ იცით თქვენ მაგი რა ჯიშიანია, ცოტა აცალეთო. აცალა თურმე ბაბუაჩემმა და თქვენ თვითონ ხედავთ თქვენი თვალებით, ეს ჩემი სერაპიონა იმ ქეციანი გოჭის ნაგრამია.

– ღორი კი არა, ბევრ ვაუკაცს ჯობია. – ვთქვი მე.

– ზურიკოს ვენაცვალე, მაგისთანა ოთახში შემომტანი ვინ გეგულება სოფელში? – თქვა ბედნიერი ღიმილით ილიკომ.

– მე თუ მკითხავ, ჩემო ილიკო, რად გინდა, თვალებდაქაჩული ნაყაჩღარი ბაბუაშენის სურათი რომ გიკიდია ბუხრის თავზე, დაუძახე პავლუშა ფოტოგრაფს, გადაუღე სერაპიონას სურათი, გაადიდებიე და მაგის უკეთესს რას დაკიდებ ოთახში.

– ილარიონა შევარდნაძე, შენ თუ არ გჯობდეს ეს ღორი, მაგის კუბო გამეტანოს მაშინ ამ ოჯახიდან! – თქვა ილიკომ და ილარიონს ისე შეხედა, მივხედი, ჩხუბი დაიწყებოდა. ილარიონს თვალი ჩავუკარი. რა დროს ახლა ასეთი გაუფრთხილებელი ხუმრობა იყო, ილიკო იმ ფაზაში გყავდა შეყვანილი, არაყი უნდა გამოეტანა.

– მაგას უყურებ, ილიკო? ღორი კი არა, ენა რომ მისცა, ადამიანია. – ვთქვი მე. ილიკომ გამომცდელად შემხედა, უტეხად გავუსწორე თვალი. ხუმრობის ნატამალი რომ ვერ წაიკითხა ჩემს სახეზე, ადგა და ბუზღუნით წავიდა არყის გამოსატანად.

– ახლა მოგინდა ხუმრობა? – ეუსაყვედურე ილარიონს, ილიკო რომ გავიდა.

– აგია ცხოვრება? მაგის დრუნჩიან ღორს უბატონოდ ხმას ვერ უნდა ვცემდე? – განწირული ხმით თქვა ილარიონმა. ილიკო მობრუნდა. ერთი ბოთლი არაყი, ორი დაობებული ჯანჯუხა მოიტანა და წინ დაგვიდგა. ორი პირველი სასმისი უხმოდ გადავკარით. მარტო თავები დავუქნიეთ ერთმანეთს, მესამეზე ილიკომ სიტყვა წარმოთქვა:

– ზურიკელა, შენ ახლა ნასწავლი კაცი გქვია, მართალია, დიდი წვალებით და ცოდვის ტრიალით, მაგრამ მაინც ხომ გადაეთრიე მეცხრე კლასში? ჰოდა, ნასწავლი თუ არა, გაგონილი გექნება, რომ ჩვენი წინაპარი მაიმუნი ყოფილა.

– აბა, შენი წინაპარი სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ იცი? – ჩაურთო ილარიონმა. რა ენაღვლებოდა, არაყი უკვე გამოტანილი იყო, ილიკომ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

– ახლა მე დიდი ნასწავლი კაცი არ ვარ, მაგრამ არ მგონია, სულ მთლად ასე ყოფილიყო, მე მგონია, სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა წინაპარი ყავდა. მაგალითად, სერაპიონა სეფერთელაძის წინაპარი არ შეიძლებოდა ღორი არ ყოფილიყო, შეხედე აგერ ჩემს სერაპიონას და შეხედე მერე სერაპიონა სეფერთელაძეს, არ არიან ტყუპები? მერე რა მოხდა, ჩემმა სერაპიონამ დაპარაკი რომ არ იცის, ხომ იბადება ზოგი კაცი მუნჯი? ასეა, ალბათ, ჩემი სერაპიონაც.

შეიძლებოდა ილიკოსათვის მეცნიერულად დამემტკიცებინა, რომ ღორი არ შეიძლებოდა ადამიანის წინაპარი იყოს, მაგრამ ილიკოს რას დაარწმუნებდი, როდესაც ასეთი უტყუარი საბუთი გვერდით ეწვა, რომელსაც ენა რომ ამოედგა, სერაპიონა სეფერთელაძე გეგონებოდათ.

– მაგას ვეტყვი მე სერაპიონა სეფერთელაძეს, ჩემო ილიკო, და შენ და შენს უჯიშო ღორს ოთხში ამოგიღებთ ორთავეს, – თქვა ილარიონმა.

– წადი და უთხარი, თვითონ არ იცის თუ? ახლა უკეთესი კიდევ, ამ ჩვენს ილარიონას ხომ უყურებ? – ილარიონი რაღაც უბედურების მოლოდინში გაინაბა.

– როგორ არ ვუყურებ!

– მაგის ჯიუტი ხასიათი ხომ იცი?

– ცოტა კია ჯიუტი.

– მაგის სიცილი ხომ მოგისმენიათ, ყროყინს რომ გავს?!

თავი დავუქნიე.

– მაგის დიდ ყურებს ხომ ხედავ? – ამაზე უარის თქმა აღარ შეიძლებოდა, ფაქტი სახეზე იყო.

– ჰოდა, დამიმტკიცე ახლა, თუ ბიჭი ხარ, რომ ილარიონას წინაპარი ვირი არ იყო!

ილარიონს ჯანჯუხა ყელში გაეჩხირა, ხველება აუვარდა, თხილს და ფელამუშს საფანტივით ისროდა პირიდან. ხველება რომ გაათავა, ადგა, ქუდი აიღო, ჭიშკრისაკენ წავიდა, სასოებით გამოხედა ბოთლში დარჩენილ არაყს, მერე მობრუნდა, დაასხა არაყი, სულმოუთქმელად გადაკრა და უხმოდ წავიდა. ჭიშკართან რომ მივიდა, ისევ შემობრუნდა.

– ჰაიტ, შე ბრუციანო, შენ! – დასჭყივლა ილიკოს და კარი გაიხურა.

ილიკო ხმადაბლა ხითხითებდა, კმაყოფილი ისრესდა ერთადერთ თვალს.

ერთ კვირაში სერაპიონას აშკარად დაეტყო, რომ მის მშობიარობას დიდი–დიდი თხუთმეტი დღე აკლდა. დაიწყო ილიკოს ეზოში მუშტარმა დენა. ილიკო მუშტარს სიმინდს ართმევდა და სამაგიეროდ ასეთ ხელწერილს აძლევდა:

„მე, ილიკო ჩიგოგიძემ ამა და ამ კაცისაგან მივიღე ერთი ფუთი სიმინდის კაკალი, სამაგიეროდ ვალდებული ვარ მივცე ერთი გოჭი (აქ იწერებოდა ნეზვი თუ ტახი), ძუძუს ჭამას რომ დაეთხოვება, მერე“. ერთი უბედურება სჭირდა ილიკოს, ხელწერილების გაცემის დროს, ყველას ნეზვი გოჭი უნდოდა სანაშენოდ, იშვიათად ვინმეს ტახი წაეყვანა, ამის გამო იყო გაუთავებელი ჩხუბი და კამათი.

– კაცო, რამ გადაგრიათ, სად გაგონილა ღორმა თორმეტი ნეზვი გოჭი დაბადოს! – ყვიროდა განწირული ხმით ილიკო.

– რატომ, კაცო, აგერ კუჭულია ცინცაძეს თორმეტი გოგო არ ყავს?

– ჰოდა, აგერ არის კუჭულიეც, სერაპიონაც და მათ მოელაპარაკეთ, ხელწერილსაც კუჭულია მოგცემთ, მე არაფერი არ ვიცი!

– ილიკო ჩიგოგიძე, ცოტა ახალგაზრდა რომ იყო, ამოგაძრობდი ენას! – იქაჩებოდა კუჭულია ცინცაძე.

– ცოტა ახალგაზრდა რომ ვიყო, გაგხლიჩავდი ნაკერავზე! – უტევდა ილიკო.

მუშტრებში ისეთი ხალხიც ერია, რომლებიც გოჭზე კი არა, პირდაპირ სერაპიონაზე ევაჭრებოდნენ ილიკოს, მაგრამ ილიკოს ცალი თვალი გაფუჭებული ჰქონდა და ამიტომ ცხოვრებას საღი თვალით უყურებდა, სულს გაყიდდა და სერაპიონას არა. ერთი სურებელი ჩალვადარი ცხენსაც კი აძლევდა ილიკოს სერაპიონაში.

– ილიკო, მომეცი მაგი ღორი, რა გინდა მეტი, ცხენს გაძლევ შიგ, შემოდგომაზე ორას ფურცელ ნაძვის ყავარსაც ჩამოგიტან სურებიდან.

– ახლა სამხედრო მდგომარეობაა, ჩემო ასლან, შენს ცხენს ქე წაიყვანს კავალერია და ჩემი სერაპიონა ვის რად უნდა?

– ილიკო, ჰიტლერი კარზეა მომდგარი, გირჩევნია მომყიდე ღორი, თორემ სულ ერთია, ოხრად დაგრჩება. – აშინებდა ილიკოს ასლანი.

– იმის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს, ჩემო ასლან, და თუ იცი, ჰიტლერი ჩემი ღორისთვისაა წამოსული ბერლინიდან? – ეკითხებოდა ილიკო.

ამის შემდეგ ასლანს ხელის ჩაქნევის მეტი არაფერი დარჩენოდა.

ერთ საღამოს ილიკო ჩვენს ეზოში ჩამოვიდა და ერთი ბათმანი სიმინდი დადო ზღმარტლის ძირში.

– რა არის ეს, ილიკო? – ჰკითხა ბებიამ.

– გუშინ, ჩემო ოლღა, თერთმეტი ხელწერილი გავეცი სერაპიონას თაობაზე, თერთმეტი ფუთი სიმინდი მიდევს ახლა სახლში, შემოდგომამდე აღარაფერი მიჭირს.

– თერთმეტი ფუთი სიმინდი რატომ, ილიკო, სერაპიონას ჯერ თორმეტ გოჭზე ნაკლები ხომ არ დაუბადებია?

– ერთი გოჭი ჩემ სახელზე შენს კუდიან ბიჭს, ზურიკელას, ვაჩუქე, ეს ერთი ბათმანი სიმინდიც საჩუქრად მოგიტანეთ, არ მიწყინო, ოლღა, შენი ჭირიმე, კი იცი შენ, როგორ მიყვარს შენი ბიჭი მე.

–ღმერთო მაღალო, შენი მუხლების ჭირიმე, შენ აავსე ილიკო ჩიგოგიძის ოჯახი სიკეთით, შენ გაამრავლე მისი ნაგრამი, მშვიდობა და სიხარული მიეცი მის ჩამომავალს. – დაილოცა ბებია და აცრემლებულ ილიკოს შუბლზე აკოცა.

– ამღამით მე და შენ ერთად წავიდეთ წისქვილზე, ერთ საათში გამომიარე, – მითხრა ილიკომ და წავიდა.

კარგად გათენებული არ იყო, მე და ილიკომ სოფელში რომ შემოვდგით ფეხი. ქათმებით დახუნძლულ ხეებზე თვალდახუჭული მამლები კისრის ძარღვებს ქაჩავდნენ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო შორს გააგონებსო. უცებ საშინელი შეცხადება გავიგონეთ.

– მაშიკოა, – მითხრა ილიკომ, – საცოდავს ბიჭის ამბავი ხომ არ მოუვიდა ჯარიდან, – ფეხს ავუჩქარეთ.

– რაღა ჩემს ეზოში მოუსავდა ამ შეჩვენებულს, რა დააჯერებს ახლა იმ მყრალ ბერიკაცს, ჩემი ბრალი რომ არ არაა! – განაგრძობდა მაშიკო. ილიკო გაკვირვებული მიყურებდა.

–ღმერთო, რაღა ჩემს ეზოში ჩამოათრიე, ილიკო ჩიგოგიძის ეზოში ადგილი არ იყო?! – მოთქვამდა მაშიკო. ილიკო გაშეშდა, მოუსავდა და საფქვავიანად ჩაჯდა გზაზე. ტომარა დავაგდე და გავიქეცი. მივირბინე მაშიკოს ეზოსთან და რას ვხედავ, სერაპიონა დაგორებულა მაშიკოს ეზოში, დრუნჩი წაუგრძელებია, კრუსუნებს.

– რა მოხდა, მაშიკო! – მივვარდი გაფოფრილ მაშიკოს.

– აგერ ღობეში გამომძვრალა სერაპიონა და კვდარი გოჭები დაყარა, რამდენჯერ ვუთხარი ილიკოს, დაადევი უღელი, თორემ გაგამწარებს–მეთქი, არა და არ იქნა ამის უღლის დადება, უყაროს ახლა კაკალი... – მომატირა მაშიკომ.

მეზობლები მოგროვდნენ, ზოგი გოჭის მომავალი პატრონი, ზოგი უბრალოდ შეშინებული, ზოგიც სეირის საყურებლად მოსული, ყველაზე გვიან ეზოში ილიკო ჩამოვიდა. კაცის ფერი აღარ ედო, ფეხს ძლივს ითრევდა. მივიდა სერაპიონასთან და დიდხანს, დიდხანს უყურა, მერე მოიხადა ქუდი, მიწაზე დაანარცხა და თქვა:

– შევარცხვინე, ღმერთო, შენი სამართალი, რა ვქნა ახლა!

– რა მოხდა, შე კაცო, ხომ არ მომკვდარა, მაგის ტემპერამენტი რომ ვიცი, ერთ თვეში კიდევ დამაკდება, – თქვა ვიღაცამ. ხალხმა მორიდებით გაიღიმა.

– ამ მევალეებს რა ვუყო? – თქვა ილიკომ და მუხლმოკვეთილი დაეშვა მიწაზე.

– რა უნდა უყო, ხელწერილში ხომ გიწერია „ძუძუს ჭამას რომ დაეთხოვებიან, მერე უნდა მივცეო?“ აიღე და დაურიგე მის–მის პატრონს, აწი მაგენი რომ ძუძუს ჭამენ, ისე ჭამა შენმა მტერმა, – თქვა ილარიონმა. ყველას გაეცინა.

– მაცალეთ, ხალხო, ვალის გადახდა ახალ მოსავლამდე ან სერაპიონას ახალ დამაკებამდე, – შეევედრა ილიკო შეგროვილ მოვალეებს.

– ვაცალოთ, ხალხო? – იკითხა ერთმა მევალემ.

– ნუ აცლი, თუ ბიჭი ხარ, მე შენ გეტყვი, დღესვე მოგიცუნცულებს სიმინდს სახლში. – თქვა მეორემ, ისეთი სიცილი ატყდა, ილიკოსაც გაეღიმა.

– ილიკო ბრუციანო, ან მაგ ღორს გამოუცვალე სახელი, ან დარიშხანს დაგალევინებთ ორივეს! – მოვარდა აღელვებული სერაპიონა სეფერთელაძე.

– რა გინდა, შე ღვთის პირიდან გადავარდნილო! – შეუღრინა ილიკომ.

– რა მინდა? მთელ სოფელში ხმა გავარდა სერაპიონამ გოჭები მოყარაო და ზღვა ხალხია ჩემს სახლთან თავმოყრილი. გაფრთხილებ, ილიკო, ან ღორს სახელი გამოუცვალე და თავს ნუ მჭრი, ან გავარდნილი ტყვია ვარ შენთვის! – ახლა მარტო ჩვენ კი არა, ილიკოც ხარხარებდა. გაქაჩული სერაპიონა სეფერთელაძე კი ორ კაცს გაყავდა მაშიკოს ეზოდან.

– ისე, თორმეტივე გოჭი ნეზვია, თუ ხედავთ! – თქვა ილიკომ და კუჭულია ცინცაძეს გადახედა.

– წამოდი, შვილო, ამას ცალი ფეხი სამარეში რომ ედგას, მაინც არ მოიშლის ხუმრობას, – თქვა კუჭულია ცინცაძემ და თავისი ერთ–ერთი, ხოჭოსავით შავი გოგო წინ გაიგდო. მეზობლები ნელ–ნელა დაიშალნენ. დავრჩით მარტო მე, ილარიონი, ილიკო და სერაპიონა.

– ამან დააქცია ჩემი ოჯახი, – თქვა ილიკომ.

– ადექი, ილიკო, – თქვა ილარიონმა.

– ადექი, ილიკო, – ვთქვი მე და ილიკო ადგა.

იმ ღამით ჩვენ სამთავენი დავთვერით ილიკოსთან, ოღონდ არ გვიმღერია.

სიმფიფის ატესტატი

დრო საოცარი სისწრაფით გარბოდა. დღეები ღადარში გამომცხვარი ბებიაჩემის ჭადებივით აღარ გავდნენ ერთმანეთს. ყოველ ახალ დღეს ახალი სიხარული მოჰყვებოდა. სახლებში ბრუნდებოდნენ ჯარში წასული ძმები და მამები, შინმოუსვლელთა პატრონები იმედით საცვე თვალებით გაჰყურებდნენ სოფლის შარას და ელოდნენ...

ჩვენი ოჯახიდან ჯარში არავინ იყო წასული, მაგრამ მეც ველოდი, ყოველ დღე ეხედებოდი სოფელში მოსულ საბარგო მანქანებს, რომლებსაც დაჭრილები, ხეიბრები, ორდენოსნები, სრულიად ჯანსაღი, კლდის ნაგლეჯივით სახედაღარული და გარუჯული მეომრები მოჰყავდათ. სხვებთან ერთად ვკოცნიდი და ვეხვეოდი მათ.

უცნობები უხერხულად მიღიმოდნენ, ნაცნობები ლოყაზე ხელს მითათუნებდნენ და ამბობდნენ: – რამხელა გაზრდილა, დავაუკაცებულაო. სოფელში ოთხი წლის წინათ გათენების ჟამს მოულოდნელად წასული სიხარული, ბედნიერება და მშვიდობა ბრუნდებოდა და სოფელი ხვდებოდა მას, როგორც დიდი ხნის დაკარგულ და შინმობრუნებულ შვილს. ეს იყო 1945 წელი.

სკოლაში მეცადინეობა შეწყვეტილი იყო. ჩვენ გამოცდებისათვის ვემზადებოდით. მე და მერი დილიდან მივდიოდით სოფლის ბოლოში უპატრონოდ მიგდებულ ძველ წისქვილთან, მიგვქონდა წიგნები, რვეულები, ფანქრები, ვჯდებოდით კაკლის ძირში და ვმეცადინეობდით.

დღესაც მე და მერი კაკლის ძირში ვსხედვართ და ქართულს ვიმეორებთ.

– ლექსი ზეპირად უნდა იცოდე, – მეუბნება მერი და მიკითხავს გალაკტიონის ლექსს:

> გულო, ოცნებას მალავ,
> ცაო, ლურჯდება ზოლი.
> ვაჟი: დაიცა, ქალავ!
> ქალი: დაგიბრმეს თოლი!

– ამას ბებიაჩემი ასე იტყოდა: შენ დაგეფსო თვალები, შე უცხვირპირო, – ვამბობ მე. მერი კარკაცებს და ტუჩზე ხელს მაფარებს, ნუ მიშლიო. მერე მე ვკითხულობ ლექსს, რომელიც პროგრამაში არ არის, მაგრამ მე მიყვარს, ვიცი, გამოცდაზე არ მკითხავენ ამ ლექსს, მაგრამ მე მაინც ვიტყვი მას:

> ...ქსანზე, არაგვზე ისევ ყვავიან
> ხოდაბუნები თავთუხებისა,
> შენი ტუჩები ისე ტკბილია,
> როგორც ბადაგი დადუღებისას.

მერის მუხლებზე ხელები შემოუხვევია, თავი უკან გადაუგდია და სადღაც მაღლა, კაკლის ფოთლებში ჩამომდნარ მზის სხივს გასცქერის უსასრულობაში.

> მოდი, გეძახი ათას წლის შემდეგ,
> დამნაცროს ელვამ შენი ტანისა... –

განვაგრძე მე.

– შენ კიდევ არ მოიშალე, ბიჭო, ლექსების წერა? – მომესმა უცებ. თითქოს ცივი წყალი გადამასხესო, ისე შემოვტრიალდი. ჩემს უკან ილარიონი იდგა და ხითხითებდა. მერი წამოდგა, გაკვირვებულმა შემხედა.

– საგამოცდოდ ვემზადები, ილარიონ. გამარჯობა შენი!

– კარგად ემზადები, შენ ნუ მომიკვდები, გაგიმარჯოს! – მითხრა ილარიონმა და ჩამოჯდა. მე და მერი გარშემო შემოვუსხედით.

– როგორაა თქვენი საქმე? – თქვა ილარიონმა.

– ვამთავრებთ, ილარიონ ბიძია! – თქვა მერიმ.

– ამთავრებთ, თუ იწყებთ? – იკითხა ილარიონმა.

– შენ ხომ არ გაგიუდი, ილარიონ, ერთი გამოცდა დაგვრჩა! – ვთქვი მე.

– ერთი გამოცდა დაგრჩათ კი არა და გამოცდა ახლა გეწყებათ, ჩემო ზურიკო, მე რაზეც გეკითხები, ის მითხარი შენ!

მიეხვდი, ილარიონი რასაც მეკითხებოდა, მაგრამ ისეთი სახე მივიღე, ვითომ ვერაფერი გავიგე და მხრები ავიჩეჩე.

ილარიონმა ჯოხით კენჭს დაუწყო ჩიჩქნა. როგორც იქნა, მოთხარა, გადმოაბრუნა, მერე ჯოხი გაჰკრა და შორს მოისროლა. – თუთუნი ხომ არ გაქვსო, მკითხა. უარი რომ ვუთხარი, თავისი ამოიღო, დინჯად გაახვია და გააბოლა. ერთხანს კვამლის ქულას გააყოლა თვალი, რომელმაც საავდრო ღრუბელივით გადაგვიარა თავზე მე და მერის და უცებ წარმოთქვა სიტყვა, რომლის მსგავსი მე ილარიონისაგან არ მომესმინა მანამდე.

– ცხოვრება, ჩემო ბიძიებო, წისქვილს გავს. აგერ, ქვემოთ ხომ ხედავთ ბორბალს? ის ბედის ჩარხი და ბორბალია, აგერ ღარში რომ წყალი მოდის, სიცოცხლეა, ძალაა. წყალი მაგარია, ბიძიებო. წყალი ცეცხლზე მაგარია, ქარზე მაგარიც არის, წყალი ქვას ხვრეტს. ამ ძალას როგორც მიუშვებ, ისე იბრუნებს წისქვილი. ეს წყალი ამუშავებს ამ წისქვილს. მოდის მერე ხალხი, ზოგი ფქვავს, ზოგი ღერღავს, ზოგი მინდს იღებს, ზოგი არაფერს არ აკეთებს. ტყუილად მოდის წისქვილში, ზის მთელი დღე, უგდებს ყურს სარეკელას კაკუნს და მიდის მერე. ეს წყალი ახალგაზრდობაა, ჩემო ბიძიებო. ჩვენ რომ კოლმეურნეობის წისქვილს ვაშენებდით, ლაშის ღელის წყალი მივუშვით ღარზე, არ ეყო ძალა, ვერ დაატრიალა ბორბალი. მერე მეორე ღელე გადმოვაგდეთ ლაშის ღელეში. ორი იმხელა გახდა, ძალაც ეყო და წისქვილი კინალამ წაიღო. გეყურებათ, რას გეუბნებით? ორი მდინარე მაგარია. მართალია, ადიდება და მოვარდნა იცის გაზაფხულზე, ჯებირსაც დაარღვევს, წისქვილის ბორბალსაც გამოსტაცებს ხოლმე, მაგრამ აბა, როგორ გინდა, ჯებირს გამაგრება უნდა, ბორბალს გამოცვლა, ისე რის წისქვილია. ჰოდა, ეს ძალა ახალგაზრდობაშია, ჩემო ბიძიებო. ამ წისქვილს რომ უყურებთ, მშვენიერი წისქვილია, მაგრამ რად გინდა, წყალი არ აქვს. წისქვილს თუ წყალი არ ექნა, მაშინ ჰაერში გამოკიდებული ოთხი კედელია, მეტი არაფერი. ახლა თქვენ ამთავრებთ ათწლედს და კიდევ ისწავლით, ალბათ. ნამეტანს ნუ გადაყვებით, თორემ ქალაქმა სოფლის დავიწყება იცის, ამხანაგის და ნათესავის დავიწყებაც იცის. შენ მიდიხარ ქალაქში სასწავლებლად, შვილო? – უცებ ჰკითხა ილარიონმა მერის.

– არა, ილარიონ ბიძია, წელს ვერ წავალ, – თქვა მერიმ.

– აბა, არა უშავს, ეს ბიჭი აღარ დაგვეკარგება. – თქვა ილარიონმა და თმები მომქაჩა. მერიმ თავი ჩაღუნა. ილარიონი ადგა, ჩვენც ავდექით.

– თქვენია ქვეყანა, ბიძიებო, თქვენი, აბა, ჩვენ – მე და ილიკო – იმას ვგავართ, – თქვა ილარიონმა და წისქვილის ეზოში დაგდებულ ძველი დოლაბისაკენ გაგვახედა, რომელზედაც დიდი ნაცრისფერი ხვლიკი ამძვრალიყო, თვალები დაეხუჭა, ოთხში ამოღებულივით გაჭიმულიყო და მთელი არსებით ნებივრობდა ივნისის მცხუნვარე მზეზე.

777

სიმწიფის ატესტატები საზეიმო ვითარებაში გადმოგვცეს სოფლის ჩაის პუნქტში, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში კლუბის მაგივრობასაც სწევდა. ჩვენს სკოლას სასულე ორკესტრი არ ჰყავდა, ამიტომ ტუშის დამკვრელებად რაიონიდან დასაფლავებაზე რომ მუსიკოსებს ქირაობენ, ისინი მოვიყვანეთ. სანამ საზეიმო სხდომა დაიწყებოდა, სასულე ორკესტრმა რომულის დაკვეთით „დედას ყავდა ერთი შვილი“ დაუკრა. მერე მე ვთხოვე ორკესტრანტებს რამე უფრო მხიარული დაეკრათ და უფროსს, კლარნეტზე რომ უკრავდა, იმას შვიდი მანეთი ჩავუკუჭე ჯიბეში. ორკესტრმა „სპირიდონა ძამია!“ დასცხო, მერე ვიღაცამ სთხოვა „ჰასანბეგურა“ დაუკარითო, მაგრამ ორკესტრის უფროსმა უარი უთხრა – მაგას ჩვენი ორკესტრი ვერ ასრულებს, კრიმანჭული არ გამოგვდისო.

შუადღეზე ყველამ მოიყარა თავი და საზეიმო სხდომა დაიწყო. პრეზიდიუმში მასწავლებლები და ნიჭიერი მოსწავლეების მშობლები ისხდნენ. ბებია ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა სხდომას და ამიტომ პრეზიდიუმში ერთი სკამი ცარიელი იყო.

სკოლის დირექტორმა თავის შესავალ სიტყვაში მოკლედ მოხაზა განათლების მნიშვნელობა ჩვენთან და კაპიტალისტურ ქვეყნებში. მერე გვითხრა, რომ ჩვენ დღეიდან დამოუკიდებელი ხალხი ვართ, რომ სკოლამ რაც შეეძლო მოგვცა და გაგვიკეთა, რომ აწი, როგორც გვინდა, ისე მოვიქცევით, თუნდაც კისერი გვიტეხია. მერე ალფა–ბეტის მიხედვით დაგვიწყო გამოძახება. თვითოეულ მოსწავლეს გამოძახებისას იგი ამ მოსწავლის მოკლე დახასიათებას აკეთებდა, სიმწიფის ატესტატს აძლევდა, ხელს ართმევდა მაგრად, მერე პავლუშა ფოტოგრაფისკენ გაიხედავდა, რომელსაც აპარატზე ჩამოკიდებული ოყნა მზად ჰქონდა: პავლუშას ნიშანზე გაშშდებოდა. პავლუშა ათს დაითვლიდა გუნებაში და უცებ ხელს დაიქნევდა – მორჩა, ჩიტი გამოფრინდაო, და სწორედ მაშინ ორკესტრი ტუშს დასცხებდა.

ჩემი დახასიათებისას ორკესტრის წევრებს დაავიწყდათ საზეიმო სხდომაზე რომ იყვნენ და „თავო ჩემო“ დაუკრეს. დირექტორმა თვალები დააბრიალა და ორკესტრი „თავო ჩემოდან“ უცებ

ტუშზე გადავიდა. საზეიმო სხდომის შემდეგ საკონცერტო განყოფილება უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რადგან ჩვენი სოფლის გუნდს უნდა ემღერა, რომელიც ათასჯერ გვყავდა მოსმენილი, ყველანი სახლებში წავედით.

სახლში რომ მივედი და ბებიას სიმწიფის ატესტატი ვაჩვენე, ბებიამ გულში ჩამიკრა, – აწი რა მომკლავსო, – თქვა და ცრემლებით დაასველა ჩემი ატესტატი. მერე უცებ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ირიბად გადმომხედა, ატესტატი მაგიდაზე დადო და ოთახიდან გავიდა. ვერაფერი ვერ გავიგე, რის გაკეთებას აპირებდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ბებია ეზოში ჩამოვიდა, იგი წინ მოუძღვებოდა ილიკოს და ილარიონს. სამივენი ოთახში შემოვიდნენ.

– დაჯექით, მეზობლებო! – თქვა ბებიამ. ილიკო და ილარიონი დასხდნენ.

– რა ქენი, ბიჭო, კიდევ რა უბედურება ჩაიდინე? – მკითხა ილარიონმა.

– არაფერი, სიმწიფის ატესტატი მოვიტანე, – ვთქვი მე და ატესტატი გავუწოდე.

– სწორედ ამ სიმწიფის ატესტატის თაობაზე დაგიძახეთ, – თქვა ბებიამ. – ნახეთ ერთი ღვთის გულისათვის, ნამდვილი სიმწიფის ატესტატია თუ ისეთია, შარშან რომ ქების სიგელი მომიტანა და მერე სხვისი აღმოჩნდა.

ილარიონმა ატესტატი ჩამოართვა, დიდხანს ატრიალა ხელში, ხან ბეჭედს დააკვირდა, ხან ხელმოწერებს, მერე მწვანე ქაღალდს სინათლეზე გახედა და ილიკოს გადასცა. ილიკომ იგივე გააკეთა, ოღონდ უფრო გულდასმით და ატესტატი ბებიას გაუწოდა.

– მაგისია, წყალი არ გაუვა! – თქვა ილიკომ.

– ნამდვილად? – ჰკითხა ბებიამ.

– ნამდვილად: ჯერ ერთი, სიმწიფის ატესტატის ბლანკს მაგი ვერ იშოვიდა, მერე მეორე – ბეჭედი ნამდვილია, მერე მესამე – ატესტატი მეორე მხრიდან რუსულადაა შევსებული, ზაბლონას მოწაფე ამას რუსულად ვერ შეავსებდა, მერე მეოთხე – ვერ ხედავ ერთი ოთხი რომ არ ურევია და სამებითაა გატენილი?

– შენ გაიხარე, ილიკო! – შვებით ამოისუნთქა ბებიამ. ილარიონმა ისევ აიღო ატესტატი.

– სიმ–წი–ფის ა–ტეს–ტა–ტი! – დამარცვლა მან, მერე ადგა, შუბლზე შუათანა თითი დამიკაკუნა, ყური მიუგდო როგორ ხმას გამოიღებსო, შედეგით უკმაყოფილომ კოპები შეიკრა და ილიკოს უთხრა:

– აგი თუ მწიფეა, ჩემო ილიკო, მაშინ მე ღვიჭა ვყოფილვარ.

– არა უშავს, – თქვა ილიკომ. – ქალაქში რომ პამიდორი მიაქვთ გასაყიდად, კუხეს კრეფენ, რომ არ დაიჭყლიტოს, მერე გზაში მწიფდება. ალბათ, მაგასაც მასე მოუვა.

– რადგანაც მასეა, გადავწყვიტოთ ახლა რა ქნას, სად მოეწყოს, რა პროფესია აირჩიოს, ასე შიშველი გადარეულივით ხომ არ წავა ქალაქში, რაღაცა გეგმა ხომ უნდა ჰქონდეს კაცს? – თქვა ილარიონმა და გადახედა ილიკოს.

– რომელ ფაკულტეტზე აპირებ შესვლას, ბიჭო? – მკითხა ილიკომ. მე მხრები ავიჩეჩე.

– ჩემი შვილიშვილი ექიმი უნდა გამოვიდეს! – თქვა ბებიამ. – მოვხუცდი აწი და მოვლა–პატრონობა მინდა!

– მაინცდამაინც მაგის ხელიდან გინდა მოკვდე? – თქვა ილიკომ.

– მე მგონი, ისტორიულზე აჯობებს, ისტორიკოსები რაიკომის მდივნები გამოდიან! – თქვა ილარიონმა.

– იურისტობა ჯობია! – თქვა ილიკომ. – ხომ ხედავ ჩვენი მოსამართლე, დასახლდა კაცი, ჩვენს სოფელში რომ ჩამოვიდა, ცალ–ცალი კალოში ეცვა, ახლა ტყავის პალტოში და რეზინის ჩექმაშია გამოჭიმული.

– მაგის საწყალი გულის ამბავი რომ ვიცი, კაცს ვერ დაიჭერს და რად გინდა?

– იქნებ ლიტერატურულზე შესულიყო, ლექსის წერა ეხერხებოდა და ენაგატლეკილიც არის, მეტი რა უნდა! – დაიწყო ილიკომ ლაზღანდარობა.

– რამე ისეთი არ არსებობს, პირდაპირ პროფესორი რომ გამოვიდეს? – იკითხა ბებიაჩემმა.

– როგორ არა, ჩემო ოლღა, მაგი ინსტიტუტი ილიკოს აქვს დამთავრებული... – თქვა ილარიონმა.

– მაინც სად გინდა შეხვიდე, შე უპატრონო, აღარ იტყვი, ხომ ხედავ, გადმოაგდო თავისი მყრალი ენა და მწამლავს კაცს! – შემომიტია ილიკომ.

– მე საარტისტოზე მინდა! – ვთქვი უცებ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– დამეფსოს თვალები, მრავალცოლიანი გინდა გამოხვიდე? – შემიცხადა უცებ ბებიამ.

– ვაი შენს პატრონს! – თქვა ილიკომ.

ბჭობამ გათენებამდე გასტანა, ბოლოს ილარიონის აზრმა გაიმარჯვა. მისი აზრით, ჩემი შარვლის პატრონი ეკონომიურზე უნდა შესულიყო, რათა მომავალი ცხოვრება ეკონომიურად და მატერიალურად უზრუნველყოფილი მქონოდა. ბებიამ გულიდან ჩამოიხსნა ვერცხლის ჯაჭვზე დაკიდებული დიდი, ბრტყელი გასაღები, მივიდა დიდ სკივრთან, რომელსაც სეფეთს ეძახდა, სასოებით ამოალაგა იქიდან ბაბუაჩემის ნაქონი მუხლებზე და საჯდომზე სიმაგრისათვის ტყავგამოკრული მწვანე ხავერდის გალიფე, ჩემი ფეხისთვის სამი ნომრით დიდი ნალებიანი ხრომის ჩექმა, შავი კარაკულის ფაფახი, ჯიბეებიანი შალის ხალათი, ვერცხლის ქამარი, ჩემს წინ დაალაგა, თვალზე მომდგარი ცრემლები კაბის კალთით შეიმშრალა და მითხრა:

– ა, შვილო, ჩაიცვი, შენს უკეთესი ვინ ჩაიცვამს, აბა, მათხოვარივით ხომ არ გაგიშვებ უცხო ქვეყანაში. შენისთანა გამოწყობილი ერთი არ უნდა დადიოდეს ქალაქში. – ბებია გულში ჩავიკარი,

თვალები დავუკოცნე, მერე მეორე ოთახში გავედი, გამოვეწყვე და ისე გამოვცხადდი კომისიის წინაშე.

– სიმონა დოლიძეს არ გავს ეს შეჩვენებული? – თქვა ილიკომ და სახე ამარიდა.

კვირას ალიონზე მე, ბებია, ილარიონი და ილიკო სოფლის შარაზე ვიდექით და ყველა გამვლელ მანქანას ხელს ვუქნევდით. ირიბად წვიმდა, იყო ქარი და ციოდა.

– შოფერს გრაფინკაში ჩაუჯექი! – მარიგებდა ბებია.

– ნიორის ჭამა არ დაგავიწყდეს, რამე არ შეგეყაროს! – მეუბნებოდა ილარიონი.

– ვაგონში რომ შეხვალ, ლადეკალონი გადაისხი თავზე, კბენარი და ბალლინჯო არ შეგალოღდეს! – მეფრთხილებდა ილიკო.

– ჩასული რომ არ მეგონო, წერილი აქ იყოს!

– დეპეშა გამოგზავნე, ფული თუ არ დაგირჩა, ვინმეს გამოატანე, უფრო მალე მოვა!

– ქალაქელ ბიჭებს არ აყვე!

– მალე ჩამოდი.

– ღვინო თუ დაგჭირდეს, არ მომერიდო!

როგორც იქნა, ერთმა საბარგო მანქანამ გაგვიჩერა. მძღოლს კაბინაში ბავშვიანი ქალი ეჯდა. ბებიამ სამჯერ დამატრიალა წალმა, ილიკომ და ილარიონმა სამ–სამჯერ ჩამკოცნეს, მე ძარაზე ავძვერი და მანქანა დაიძრა. უცებ შარაზე გამოჩნდა გოგონა, იგი მორბოდა, ხელში რაღაც გახვეული ეჭირა, მორბოდა გამეტებით, მანქანამ სვლას უმატა, გოგონამ სირბილს, მერე უკლო, ნაბიჯით მივიდა იმ ადგილას, სადაც ბებია, ილიკო და ილარიონი იდგნენ. დიდხანს უყურა მანქანას, მერე მიბრუნდა და ილიკოს მკერდში ჩარგო სახე... ალბათ, ტიროდა. ეტიროდი მეც მანქანის ძარაზე ამძვრალი. მანქანა კი მიჰქროდა და სულ უფრო მაშორებდა ოთხ საყვარელ ადამიანს. ირიბად წვიმდა, იყო ქარი და ციოდა. იქ, შორს, იდგნენ ოთხნი, ილიკოს მკერდზე ტიროდა გოგონა. ეტიროდი მეც და მიხაროდა, რომ ის ტიროდა. იყო წვიმა, იყო ქარი, იყო მზეც, სიყვარულიც იყო, სიხარულის ცრემლიც და ალბათ, ილიკოს აღარ უკვირდა, როგორ იყო მთვარე ცაზე, როდესაც თოვდა. რატომ ვიყავი თოვაში უძილო, რატომ მდიოდა სიხარულის ცრემლი და რა მიხაროდა მე ამ ქვეყანაზე.

მანქანა მიჰქროდა. სოფლის შარაზე აღარავინ მოჩანდა. მე ვიდექი ძარაზე და ვჩურჩულებდი:

– მშვიდობით, ბებია!

– მშვიდობით, ილარიონ!

– მშვიდობით, ილიკო!

– მშვიდობით, მერი!

მატარებელი

მძღოლმა მახარაძის რკინიგზის სადგურის მოედანზე ჩამომსვა და მგზავრობის საფასური მთხოვა. ვერცხლის ბალთებიანი ქამარი შევიხსენი, ხალათის კალთა ავიკაპიწე და შარვალზე ხვანჯრის შეხსნა დავიწყე. შეშინებულმა მძღოლმა ჯერ აქეთ–იქით გაიხედ–გამოიხედა, მერე ხელში მეცა.

– რას შვები, ბიჭო, გაგიჟდი?!

– აბა, რა ექნა, ფული არ მოგცე?

– მერე მაგას რად უნდა საქვეყნოდ შარვლის ჩახდა!

– ჯიბე შიგნიდან მაქვს გამოკერებული. – დავამშვიდე მძღოლი და ჩემი საქმე განვაგრძე. როგორც იქნა, მივაგენი გამოკერებულ ჯიბეს. ცალი ხელით შარვალს ვქაჩავდი ზევით, მეორეთი კი ჯიბის თავს დავუწყე მორღვევა. ის–ის იყო, ფული უნდა ამომეღო და მძღოლისათვის გადამეთვალა, რომ მანქანის გუგუნი გავიგონე. მოტორმა ჯერ ცხვირი დააცემინა, შემდეგ კვამლი შემომაფუტა. სანამ გონს მოვიდოდი, მძღოლმა გარს შემოიარა და ცხვირწინ დამიმუხრუჭა. კაბინიდან ყურებამდე გაღიმებული, გაწითლებული თავი გადმოყო, ფაფახი თავზე ჩამომაფხატა და სიცილით მითხრა:

– გეყოფა, ჩაიცვი აწი! – მერე ერთი კიდევ დააცემინებინა ცხვირი მანქანას და გაქანდა.

– სიცოცხლე! – დავადევნე მძღოლს, ის კი მიაქროლებდა თავის გაძვალტყავებულ მანქანას და ხელს მიქნევდა შუა მოედანზე მდგარს, ნახევრად შარვალჩახდილს და გაოცებულს.

როგორც შემდეგ მოლარესთან დავადგინე, თბილისამდე მგზავრობა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ბილეთის შოვნა და ამიტომ პირდაპირ ბაქანზე გავედი. ერთი საათის შემდეგ მატარებელი პირველ ლიანდაგზე ჩამოდგა. ხალხის ტალღამ კიბეზე მიმაჭყლიტა, სულს ვღაფავდი, მინდოდა, დამეყვირა, მაგრამ გამცილებლის შიშველი ფეხი პირზე მქონდა აფარებული და ნისკარტზე ხელწავლებული ქათამივით ვიქაჩებოდი უკან–უკან, კეფაში კიდევ ვიღაცის წიხლი მაწვებოდა და უშედეგოდ ვფართხალებდი.

როდესაც შევატყვე, რომ ჩემი სიმწიფის ატესტატი ოხრად მრჩებოდა, გამცილებელს ისე მაგრა ვუპწკინე ბარძაყზე, ფრჩხილებში სისხლი ჩამექცა. გამცილებელმა და მატარებელმა ერთად იბღავლეს. ხალხი უფრო აირია:

– მიდი, ჰო!

– ჩამოიღე, ქალო, ფეხი, თავზე რომ მადგამ!

– ნუ გეშინია, ბიძია, სუფთა მაქვს!

– კარგი აბა, მეორეც დამადგი.

– მიანათე ერთი მაგას!

– რა უნდა მომანათოს, ბიჭო?..
– არაფერი, ბატონო, ფარანი!..
– პატივცემულო მგზავრებო, გამატარეთ, ბილეთი მაქვს!
– მაგრად მოუჭირე ხელი, არ გაგივარდეს!
– დაიჭირეთ ეს ქურდი მამაძაღლი!
– დატოვე, ბიჭო, ჩემოდანი, მსხალია შიგ!
– ესროლე, მილიცია!
– სად ვესროლო, კაცო, ამდენ ხალხში?!
– მე მესროლე აბა, რაღად მინდა თავი ცოცხალი!
– ადი, ჰო! – მერე ვიღაცამ ორი ზარი შემოჰკრა, მერე ვიღაცამ დაუსტვინა, მერე ვიღაც მადლიანმა წიხლით შემტენა ვაგონში. მატარებელი თითქოს ჩემს ასვლას ელოდებოდაო, ერთი გაიქაჩ–გამოიქაჩა, მერე სინანულით შეიცხადა ბაქანზე დარჩენილები და ნელა, ნელა დაიძრა.
ხალხი ცოტათი მიწყნარდა. ვაგონის მესამე თაროზე ავძვერი, ფუთა თავქვეშ ამოვიდე, ფაფახი მოვიხადე და თვალები ჭერს მივაპყარი. თუთუნის კვამლი ქუთუთოებს მწვავს, ვაგონი ირწევა, ჭრიალებს. ბორბლების დაგადუგი რაღაცას მაგონებს მშობლიურს, ყველაზე ახლობელსა და ისე შორს წასულს, რომ ვეღარ ვიხსენებ. ბორბლები განაგრძობენ დაგადუგს, თვალები მელულება, მივდივარ შორს, სადღაც შორს... თვალებს ვეღარ ვიმორჩილებ, როცა გეძინება, ქუთუთოებზე მძიმე არაფერია ქვეყანაზე. ბურანში მივდივარ, ეს, ალბათ, წისქვილია, ათასი სარეკელა ერთად კაკუნობს. საფქვავის მოლოდინში ვიძინებ და უცებ:
– ზურიკო! – მეძახის ბებია.
– მოვდივარ, ბებია, მოვდივარ! – ვეძახი და მივდივარ.
– ზურიკო! – მეძახის ისევ ბებია და ცალ ხელს იჩრდილებს თვალებზე, მეორეთი დოინჯი შემოურტყამს.
– მოვდივარ, ბებია, მოვდივარ! – ვკივი მე და გავრბივარ ნისლიან აღმართზე.
– ილარიონი, ილარიონი, ილარიონი! – იმეორებენ ბორბლები და მიქრის მატარებელი.
– ტიტუუუ... სად მიდიხარ, ზურიკელა, ბიჭო, ტიტუუუ!!! – მიკივის მატარებელი.
– ილარიონი, ილარიონი... – იმეორებენ ბორბლები და უცებ, თითქოს გაახსენდათო, – ილიკო, ილიკო, ილიკო! – თვალს ვახელ.
– ხიდია, – ამბობს ვიღაცა.
– გააღეთ ფანჯარა, თორემ დავიხრჩვი კაცი! – ამბობს მეორე.
– რიგრიგობით თუ არ ვისუნთქეთ, თბილისამდე არ გვეყოფა აგი ჰაერი! – ამბობს მესამე.
– ვისია ეს ჩემოდანი, მომაშოროს, თორემ მოვისროლე ფანჯარაში...– თქვა ერთმა მგზავრმა, რომელსაც ცხვირპირი ალესილ ნაჯახს უგავდა, ხვითქში ცურავდა და ყაბალახის მოხსნა ვერ მოეფიქრებია.
– გადააგდებ ფანჯარაში და მიგაყოლებ თან; მაგ ჩემოდანს რომ უყურებ, ოთხი გველეშაპივით პირდაფჩენილი მუტრუკი ელოდება თბილისში, – თქვა ახლა ინდაურის კვერცხივით სახედაჭორფლილმა მსუქანმა კაცმა.
– არ ვიცი მე ვინ ელოდება, აგი მაზოლიანი ფეხი მე ნათხოვარი არ მაქვს, მოუძებნე ადგილი, თორემ გადავაგდებ ფანჯარაში! – გაიმეორა მუქარა ნაჯახმა.
შეშინებულმა ინდაურის კვერცხმა ჩემოდანი აიღო და ზევით ამოიხედა.
– რა გქვია, ბიჭო, შენ! – ამომძახა უცებ.
– ზურიკო!
– ჰოდა, ჩამოდი ახლა ძირს, რომ გადაგიდვია ფეხი ფეხზე ბაგრატიონ მუხრანცკივით და ნაბავ თვალებს, მაგი ადგილი ჩემოდნისთვისაა გაკეთებული.
– კი მაგრამ, თქვენს ჩემოდანს არ ვჯობივარ მე?
– ამ ჩემოდანს რომ უყურებ, სამასი თუმნის საქონელია შიგ და შენ რა გიყრია თავში?!
– რატომ მკადრებ, ბიძია, ცუდ სიტყვას!
– ბოდიში და ჩამოდი ახლა, ჩემოდანი უნდა დავდგა, თორემ იმდენს გირტყამ, რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია, გეყურება?
– არ ჩამოვალ, ჩემოდანი მეც კი მქონდა სახლში, მაგრამ თბილისში კი არ წამომიღია, ჩემოდანს რა უნდა მატარებელში, ჩემოდანი ტახტის ქვეშ გამიგია მე!
– რასაა, თუ იცი, რომ მიბედავ, შენხელა შვილი მყავს! – აყვირდა ინდაურის კვერცხი.
– მერე შენი შვილი რომ ჩამოაგდონ დაბლა, გაგიხარდება? – თქვა ნაჯახმა.
– გედგას აბა, მაზოლზე აგი ჩემოდანი, მე რა მენაღვლება. – თქვა ახლა ინდაურის კვერცხმა და დაჯდა.
– ჩამოეთრიე, ბიჭო, ძირს, თორემ სოდომ–გორომად გაგიხდი ცხვირს! – შემომიტია ახლა ნაჯახმა.
– არ ჩამოვალ! – ეთქვი მე და ფიქრი განვაგრძე.
– პრავადნიკ! – იყვირა ინდაურის კვერცხმა.
გამცილებელმა ჯერ ფარანი შემოყო კუპეში, მერე ცხვირი და ბილეთების მომზადება გვთხოვა. მერე თავის სულელურ ნათქვამზე სულელურად გაეცინა და ფულის მომზადება დაგვავალა.
ათასი მანეთი მოაგროვა ჩვენს კუპეში გამცილებელმა, მათ შორის ჩემი ასი მანეთიც ერია. ორ კაცს, რომლებსაც ბილეთი აღმოჩნდათ, ირონიულად გადახედა. ფული თუ არ გქონდათ, რას მორბოდით, სახლში ვერ დაჯექითო, და გავიდა.

ისევ დუმილი ჩამოვარდა, ყველა თავისთვის ფიქრობდა რაღაცას. მე კვლავ ბურანში წავედი. როდესაც კაცი ბურანშია და სიზმარს ხედავს, ნანახი ცხადი ჰგონია. მეც ცხადად ვხედავ ილარიონის ჭის ოწინარს, ცაში რომ დაუპირებია გაქცევა და ილარიონს ჯაჭვით რომ დაუბამს სარზე. აგრე ილიკო ჩამოდის ეზოში, ერთი ბათმანი სიმინდი ჩამოაქვს, ზღმარტლის ძირში დებს, კოინდარზე ჯდება და თუთუნს აბოლებს.

– ილიკო, მომაწევიე თუთუნი! – ხმას არ მცემს. სხვაგან იყურება.

– ილიკო ბიძია, შენ გენაცვალე, მომაწევინე თუთუნი, მე ვარ, ილიკო ბიძია, ვერ მიცანი? რა მოხდა, შე კაცო, აღარ გიყვარვარ? – ილიკო დგება და ნისლში მიცურავს.

– ილიკო! – ეყვირი მე და მივსდევ ნისლიან ფერდობზე.

– ზურიკო, ზურიკო! – მიკივის ვიღაცა.

– რომელი ხარ?

– ილარიონი, ილარიონი, ილარიონი! – იმეორებენ ბორბლები და მერე უცებ:

– ტიტუუუ, ზურიკელა, ბიჭო, სად მიდიხარ? – მეძახის ბებია. გველნაკბენივით შევკრთი, გადმოვიხარე. ყველას თავი აქვს ჩაქინდრული და თვლემს. ფანჯარაში გავიხედე. კოკისპირული წვიმა გულდაგულ რეცხავდა მინას. დაზაფრული ხეები ერთმანეთს ასწრებდნენ, გეგონებოდათ დახველების ეშინიათ და მყუდროში მიიჩქარიანო. ისევ წამოვწექი გულაღმა, უცებ შუბლზე მსხვილი წვეთი დამეცა, მერე მეორე. მოუხშირა და შუბლზე ისეთი ტყაპატყუპი ამიყენა, გეგონებოდათ ოჭვათოში შეყენებული სპილენძის ტაშტი ვყოფილიყავი. თავი გვერდზე გავწიე, ახლა ღარის წყალივით აკირკილდა. თითით გზა გავუკვალე. წყალმა ჩემს ქვეშით ვიღაცის შუბლზე ატეხა ტყაპატყუპი.

– რა გჭირს, შე უბედურო? – შემომიტია ქვევიდან იმ კაცმა და სველ ხელისგულზე, რომლითაც შუბლს იწმენდდა, ეჭვით ისუნა.

– რა უნდა მჭირდეს, წვიმა მოდის, – ვუპასუხე მე და ფანჯარაში გავიხედე. სხვაგანაც გამოუარა, კუპე ისევ გამოცოცხლდა.

– ეს დაბავოჩნი ვაგონი ყველა დანგრეული რავაა!

– აბა, მთელ დუნიას რომ ერთ დღეს მოუნდება თბილისში წასვლა, რა ვაგონები ეყოფა?!

– დაემთავრებიათ გადახურვა და მერე მოებათ ეს დასაწვავი. – თქვა ინდაურის კვერცხმა.

– უშველე, ბიჭო, რამე! – ამომძახა ნაჯახმა.

– მე რა ვუშველო, ავიდე და კრამიტი გავასწორო, თუ? – ჩამოვძახე ნაჯახს.

– ნუ აგილესია ენა სამართებელივით, შე მამაძაღლო, მიაჭირე რამე ქვევიდან!

წამოვჯექი და ჭუჭრუტანას ხელი მივაჭირე. წყალი ხელისგულიდან იდაყვს ჩამოყვა, იღლია გაიარა, მერე მუცელს ჩამოყვა და უბეში დაგუბდა, მეორე ხელი მივახმარე, ქამარი მოვუშვი და წყალს გზა მივეცი. ცოტა ხანში ორივე ჩექმა შუამდე ამევსო წყლით. თავი დავანებე და წყალი თავის ძველ კალაპოტს დაუბრუნდა.

– არაფერი არ გამოდის. – ვუთხარი ნაჯახს და ქვევით ჩამოსვლა დავიწყე.

– რაში გვახდევინებენ ფულს. – თქვა ერთმა ბილეთიანმა.

– შენ რა გენაღვლება, მუქთათ მოდიხარ, – უთხრა უბილეთომ.

დაბლა რომ ჩამოვხტი, წყალმა ჩექმებიდან ყელში ამომასხა.

– გაიხადე, ბიჭო, ჩექმა, თორემ გაცივდები, – მითხრა ნაჯახმა. – გამოწიე ფეხი და მოგეხმარები!

– ნუ შეწუხდებით, ბატონო. – ვუთხარი მე. აქეთ–იქით თაროებზე ხელები გავდე, მკლავებზე ავიწიე და ჩექმიდან ისე ამოვცურდი, იატაკზე დარჩენილი ჩექმა არც განძრეულა.

– რას აკვლევინებ, ბიძია, ამ ჩექმას თავს, ცოტა სრული ვერ შეიკერე? – მითხრა ინდაურის კვერცხმა. ყველას გაეცინა. როგორც იქნა, ჩავეკვეხე ნაჯახის გვერდით. წვიმამ გადაიღო, ყველამ შვებით ამოისუნთქა. გვერდები გამითბა.

– ახლა მაინც მომაცილე ჩემოდანი, თორემ მართლა გადავაგდებ, – დაიწყო ისევ ნაჯახმა. ინდაურის კვერცხმა ჩემოდანი ჩემს ადგილზე შემოდო და უხმოდ დაჯდა, ისევ დუმილი ჩამოვარდა. ჯერ ერთს დააცემინა მორიდებით, – სიცოცხლეო, – თქვა მთელმა კუპემ, მერე მეორეს დააცემინა და ნახევარ საათში ისეთი ლოცვა–კურთხევა ატყდა მთელს კუპეში, ვინმეს რომ შემოეხედა, დიდი ხნის უნახავი და მოულოდნელად შეხვედრილი ბიძაშვილ–მამიდაშვილები ვეგონებოდით.

– ასე არ ივარგებს, – თქვა უცებ ნაჯახმა, – სანამ ფილტვების ანთება არ გაგეჩენია ყველას და ამ ვაგონისთვის წითელი ჯვარი არ დაუსვიათ, პატარა შევხურდეთ.

– ეს აბდალი მეგონა და ჭკუით გატენილი არ ყოფილა? – თქვა ინდაურის კვერცხმა და საიდანღაც ერთი ბოთლი არაყი ამოათრია.

– მე მაქვს ერთი ფუთი ღვინო, აგერ არის, მესამე თაროზე, ჩამოვიღოთ. – თქვა ერთმა ქერა ახალგაზრდამ, რომელიც ადრე უხმოდ იჯდა და არავის შეუმჩნევია.

– არა, ღვინო გაგებერავს მუცელზე, ჯერ არაყი დავლიოთ, – თქვა ნაჯახმა და ხელები მოისრისა.

– თქვენი ნებაა, ბატონო, – თქვა ზრდილობიანმა ახალგაზრდამ.

– საცობი მოუშვი, ბიჭო, არ გასკდეს და არ დაგვსვაროს ყველა. – გააფრთხილა ქერა ახალგაზრდა ერთმა სუფთად გამოწყობილმა ბილეთიანმა. ახალგაზრდამ ბრძანება უხმოდ შეასრულა და ისევ უხმოდ დაჯდა.

ყველამ ამოიღო ცოტა–ცოტა საჭმელი, ვიღაცამ ერთი ბოთლი არაყი კიდევ შემოგვწირა, ნაჯახმა ორს ორი მიუმატა და თამამად თვითონვე დაჯდა.

– ამხანაგებო, თქვენ არცერთი არ ხართ ჩემი ამხანაგი, მაგრამ მატარებლის ამბავი ხომ იცით, მატარებელი ამეგობრებს ადამიანებს. ვინ ვართ ჩვენ, საიდან მოვთრეულვართ?

– მე მივლინებიდან ვბრუნდები, ჩემო ბატონო, – თქვა ერთმა ბილეთიანმა.

– მეც მაგი არ მიკვირს? – განაგრძო ნაჯახმა, – ან ეს ვინ მიგდია, – თქვა მან და ინდაურის კვერცხისკენ გაიშვირა ხელი.

– რას ილანძღები, შე შავ დღეზე დაბადებულო, ხომ არ გინდა წაგაცალო თავის ნახაპური! – წამოხტა ინდაურის კვერცხი.

– მაცალე სადღეგრძელოს თქმა, კაცო, რავა ამოღებული ხანჯალივით ათამაშებდი, შენი კი არ მეშინია, ჰოდა, იმას გეუბნებოდით, მიცნობთ? გიცნობთ? ვის დაკარგვიხართ, ვინ დაგეძებთ. სხვა დროს კისერი გიტეხიათ, მაგრამ ამაშია მატარებლის ძალა, შეგვაერთა, შეგვახმატკბილა, დაგვამეგობრა და დაგვამოყვრა. გაუმარჯოს, აბა, მატარებელს! – დაამთავრა მან, ჭიქა პირში გადაიპირქვავა და ისე გადმოგვხედა, თითქოს მაგაზე უკეთესი ლანძღვა არცერთს არ გვცოდნოდა.

– გაუმარჯოს მატარებელს!

– მატარებელს გაუმარჯოს!

– საოცარია მართლაც... გაუმარჯოს! – თქვა სუფთად ჩაცმულმა ბილეთიანმა და ჭიქა გადმომცა.

– მე, ამხანაგებო, პირველად ვზივარ მატარებელში, – დავიწყე მე.

– ბედნიერი კაცი ყოფილხარ, – მითხრა ინდაურის კვერცხმა.

– წამოსვლის დროს ილიკო და ილარიონი სულ მაფრთხილებდნენ, ათასი ჯიბგირი და ვიგინდარა შეგხვდება მატარებელში და თავი არ გაიფუჭოო, არ ყოფილა მაგი მართალი, აგერ რომ კაცი ზის, რა გქვიათ თქვენ, ბიძია? – ეკითხე ნაჯახს.

– ამბაკო!

– ჰო, ამბაკო, ამბაკო რომ დავინახე პირველად, ეიფიქრე, ვინ აგდია მაგი, საიდან მოთრეულა და სად მიეთრევა–მეთქი; თქვენ რა გქვიათ, ბიძია? – ეკითხე ინდაურის კვერცხს.

– მე ანტიფო მქვია და გეყოფა ახლა ტლიკინი, დალიე და დაეგდე!

– ანტიფო კი გიჟი მეგონა ერთ ხანს.

– ახლა?

– ახლა რა, ახლა მატარებელმა დაგვამოყვრა და გაუმარჯოს მატარებელს. – ვთქვი მე და დავლიე.

მეორე სასმისი დატრიალდა, ამბაკომ ფეხზე ადგომა დააპირა, მაგრამ თაროს რომ თავი აარტყა, ცივად დაჯდა და ისე დაიწყო:

– ქვეყანაზე რომ სიცოცხლე გაჩნდა პირველად, მაიმუნმა რომ ლაპარაკი დაიწყო და ღმერთმა რომ ადამიანი უწოდა და ხელის ჩამორთმევა ასწავლა, პირველი სიტყვა იმ მაიმუნებმა ერთმანეთს გამარჯობა უთხრეს. მერე გაიკაფა ტყე, აშენდა სახლი, გაკეთდა მატარებელი, ჩავჯექით ჩვენ შიგ, ვუთხარით ერთმანეთს გამარჯობა და...

– მე არავისთვის არ მითქვია გამარჯობა!

– მაგი ზრდილობის საქმეა!

– ჰოდა, ტკბილი სალამი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, – დაამთავრა ამბაკომ.

– კარგი სადღეგრძელოა, შენ ნუ მომიკვდები, სალამი რაა, კაცო, რომ ის დაამადლო კაცს. მე მყავს ერთი ამხანაგი, ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში...

– თქვენ რომელი სოფლიდან ხართ, ბატონო?

– ნიგოითიდან!

– კარგი სოფელია. როგორია წელს მოსავალი?

– გმადლობთ, არაუშავს. ჰოდა, იმას გეუბნებოდით...

– ამხანაგო, ხომ ხედავ, ერთი ჭიქა რომ გვაქვს, ვიცით ჩვენ მაგი ამბავი, რომ არ გესალმება ის ვიღაცაა, ჰოდა, დალიე ახლა.

ჭიქა მე მეჭირა ხელში. ვუყურებდი ამ ჩემს ძველ ნაცნობ სითხეს, სხეულს რომ სასიამოვნო სითბოთი და სიყვარულით მივსებდა. ვუყურებდი და მინდოდა ქადაგად დავარდნა, მომეთხრო ამ უცხო ხალხისათვის ჩემი ბებიას, ჩემი ილიკოს, ჩემი ილარიონისა და ჩემი მერის შესახებ, მერე მემღერა, მემღერა და მეყვირა, მაგრამ მრცხვენოდა, მრცხვენოდა ისე, როგორც ყველა სოფლელ ბიჭს რცხვენია თავისი გამოხეული შარვლისა და გამოვარდნილი თითისა მრცხვენოდა და ვყრაზობდი, რომ მრცხვენოდა.

– გამარჯობა თქვენი, ხალხო! – ვთქვი თვალცრემლიანმა და დავჯექი.

– აუ, არ აატირა ვაუკაცი, რამდენი გრადუსია? – ჰკითხა ნაჯახმა კვერცხს.

– ოთხმოცი! – უპასუხა კვერცხმა.

– ოცია, თუ გინდა ხატზე დავიფიცებ. – ვთქვი მე და ცრემლი მოვიწმინდე, – ამას არ ავუტირებივარ, თვალში ჩამივარდა რაღაც.

– ამხანაგებო! – დაიწყო ისევ ნაჯახმა. – წეღან ვთქვი, რომ ღმერთმა გაგვაჩინა–მეთქი, მაგრამ ტყუილია მაგი, უმრავლესობა მშობლების გაჩენილი ვართ, ჩვენ რომ მშობლებს არ გავეჩინეთ, იგი პრავადნიკი დღეს ამდენ ფულს ვერ მოაგროვებდა, ჩვენ რომ მშობლებს არ გავეჩინეთ, ვერც ამ არაყს დავლევდით, და არაყი რომ არ გამოგვეხადა, მშობლების სადღერგძელოს ვერ დავლევდით.

– მე არ მეგულება კაცი, რომელიც დათვრება და მშობელი არ გაახსენდება.

– მე რომ დავთვრები, არაფერი არ მახსოვს. – თქვა ქერა ახალგაზრდამ.

– კიდევ კარგი, მაგი რომ გახსოვს. – თქვა ინდაურის კვერცხმა.

მშობლების სადღეგრძელოს შემდეგ ქერა ახალგაზრდა მესამე თაროზე შევდეთ და მის კასრს მოვუწვინეთ გვერდით.

– შეაბრუნე, ბიჭო, იქით, რაღაც საეჭვოდ ასლოკინებს. – მითხრა ნაჯახმა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ქერა ბიჭმა ვულკანივით იფეთქა და სანამ ეინმე გონს მოვიდოდა, ვაგონი გლახა რემონტიდან ახალგამოსულს დაემსგავსა. ნაჯახის ყაბალახი წითელი გახდა, სუფთად ჩაცმული ბილეთიანი და ინდაურის კვერცხი ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. მარტო მე ვიდექი ამდენ წაწყმედილებში როგორც წმინდა იესო და სასწაულით გადარჩენილი გიჟივით ვხარხარებდი.

– ჰაიტ, შე გლახის შვილო! – დასჭყივლა უცებ ნაჯახმა და ყაბალახი ფანჯარაში მოისროლა.

– ჩამოათრიე ძირს ფეხით ეს ღორის გაგდებული! – იბღავლა ინდაურის კვერცხმა.

– წარმოგიდგენიათ, რაღა ვქნა?! ჩემი მაინც იყოს! – იძახდა ბილეთიანი მგზავრი და პერანგს ცხვირსახოცით იწმენდდა. დანარჩენები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

– შეაბრუნე, ბიჭო, მანამ შიგანი გადმოგვაფცქვია თავზე! – დამიღრიალა ნაჯახმა.

– პირი აუკარით, აგერაა პირსახოცი, – შეგვეშველა ვიღაც.

გონს მოსულმა დარცხვენილმა და ცარცივით გაფითრებულმა ქერა ახალგაზრდამ სად წასულიყო, არ იცოდა.

– რა მოხდა, ხალხო, კასრი გასკდა და ის დაიღვარა. – თქვა მან მიკნავებული ხმით.

– ვის ატყუებ, უდღეურო, ვინიგრეტი მოგაქვს ბოჩკით?! – ამოიხრიალა ნაჯახმა და გაიქაჩა. ძლივს დავაწყნარეთ. ნახევარი საათის შემდეგ ყველა თავთავიანთ ადგილს დაუბრუნდა. სუფრა რესტავრირებულ იქნა და სადღეგრძელოები გაგრძელდა.

მეოთხე სადღეგრძელოზე ინდაურის კვერცხი მის ჩემოდანთან შევაგდეთ. სხვებმა ადგილობრივად მიიძინეს და შევრჩით მე და ნაჯახი ერთმანეთს.

– გაწიე, ბიძია, სახე, არ გამაპო შუაში! – ვთხოვე მე ნაჯახს და არაყი დავასხი.

– ჩამომართვი, ლაწირაკო, თამადობა? – შემომიტია ნაჯახმა და წამოიწია ჩემსკენ, მაგრამ რომ ველარ წამოდგა, ხელი ჩაიქნია და დაჯდა. – ჯანდაბას შენი უცხვირპირო თავი, თქვი რა გინდა.

– მე მინდა, ჩემი თავი გაგაცნო, ამბაკო ბიძია.

– ვინ ხარ შენ?

– მე ზურიკელა ვარ, ვაშალომიძე!

– გვარი კარგი გაქვს და არყის სმა მაგარი გცოდნია, ჩემო ბიძია, მარა ვისი შვილი ხარ?

– მე, ოლღა ბებიაჩემის შვილი ვარ, კიდევ ილარიონის და ილიკოსი.

– კიდევ? – მკითხა გაოცებულმა ნაჯახმა და თვალები გადმოკაკლა.

– მეტი არავისი, სამი კაცის შვილი ვარ. მე სიმღერა მინდა ახლა.

– მაგისთვის მიდიხარ თბილისში? აგერ ვიმღეროთ, ბიძია, და სანამ გვიანი არაა, ჩამოდი მატარებლიდან.

– არა, თბილისში სასწავლებლად მივდივარ, მე სიმწიფის ატესტატი მაქვს. შენ გაქვს? არა გაქვს. შენ რა იცი რა არის სიმწიფის ატესტატი. გაუმარჯოს სწავლას! –ვთქვი მე და ჭიქა გადავეცი.

– შენ ვიღაცა ხარ, ჩემო ბიძია, კარგი ბიჭი ხარ, მე რომ მიყურებ აგერ, გამოიხედე, ბიჭო, რავა სულელივით იცინი, მიყურებ?

– კი, გიყურებ.

– ჰოდა, მიყურე, მე ამბაკო გორდელაძე ვარ, მეც სასწავლებლად მივდივარ თბილისში, ახლა შენ იტყვი, რა დროის შენი სწავლააო, არ მითხრა, იმიტომ რომ თბილისში მსხლის გასაყიდად მივდივარ, შენ იცი მე ვინ ვარ? არ იცი. ნიკოლოზე რომ გადმოაგდეს ტახტიდან, – გასწორდი, ბიჭო, არ გადმოვარდე, – მასე. – ნიკოლოზე რომ გადმოაგდეს ტახტიდან, შენხელა ვიყავი, ჰოდა, მეგონა, რომ ტახტზე იჯდა და მოკიდეს ფეხებში ხელი და ჩამოათრიეს ძირს. ასე მეგონა მაშინ, იმიტომ, რომ, აბა, თუ მიხვდები, რატომ?

– შტერი იყავი და იმიტომ!

– შტერი მამაშენია, – უსწავლელი ვიყავი და იმიტომ. მერე არაფერი არ მისწავლია, მაგრამ შვილები მყავს ნასწავლი, ომი რომ არ ყოფილიყო, იცი მე ვინ ვიქნებოდი? გაუმარჯოს სწავლას...– თქვა მან და დალია.

– გაუმარჯოს, ილარიონ ბიძია!

– ამბაკო მქვია მე!

– ილიკო გქვია!

– ამბაკო!

– გეუბნები, ილიკო გქვია, მაგრამ ეს მეორე თვალი როდის ამოგივიდა?

– ბიძია, დამიგდე ყური, ამბაკო ვარ მე და შენ ენას მოუკელი.

– მოდი, ილარიონ ბიძია, გაკოცო მინდა! – და ხელი მოეხვია.

– ჯანდაბას შენი თავი, ვიქნები ილარიონი, მარა თუ გელირსა გამოფხიზლება, ამბაკო დამიძახე.

– არ გინდა მაკოცო?

– შე კაცო, შენისთანა კარგ ბიჭს კი არა, ათასი მამაძაღლის კოცნა მიწევს საქმის გულისთვის. – მითხრა მან, ტუჩები სახელოთი მოიწმინდა და მაგრად გადამკოცნა.

მე თავი მხარზე დავადე და თვალები დავხუჭე.

– გახსოვს, ილარიონ, მურადა რომ შემოგვაკვდა?

– მახსოვს, ბიძია, აბა, არ მახსოვს?..

– რა თქვი, გახსოვს, მაშინ?

– აბა, რა ვთქვი, ბიძია, მითხარი, ჰო!..

– რაო და ნუ ტირი, ბიჭო ზურიკელაო, გახსოვს?
– კი მახსოვს, კი...
– მერე შენც რომ ტიროდი?
– ვტიროდი? ხო, ბიძია, ვტიროდი...
– ილიკოს თუთუნი გახსოვს?
– რავა არ მახსოვს, ბიჭო, გადასარევი თუთუნი აქვს ილიკოს...
– არა, პილპილიანი თუთუნი, პილპილიანი.
– კი, როგორ არა, პილპილიანიც ჰქონდა...
– შენ ხომ იცი, ილიკო და შენ ქვეყანას მირჩევნიხართ.
– რავა არ ვიცი, შენც ძალიან გვიყვარხარ, ჩვენ ორივეს, დაიძინე ახლა, ბიძია, დაიძინე...
– ბებიას ძინავს ახლა... არა, არ ძინავს... ჩემზე ფიქრობს...
– რა დააძინებს იმას, ბიძია, შენზე ფიქრობს, აბა, რა...
მატარებელი მიქრის, ვაგონი ირწევა, ირწევა დედამიწა... ყველაფერი ირწევა... არ გადავარდეს მატარებელი... თუმცა მე რისი მეშინია, ილარიონის მკერდზე მძინავს... ის კი სველ შუბლზე მისობს თავის დაკოჟრილ ხელს და სასიამოვნოდ მჩხაპნის... მატარებელი მიქრის და მიკივის.
– ტიტუუ, ზურიკელა, სად მიდიხარ, ბიჭო!!!
– მოვდივარ, მოვდივარ, ბებია!.. – ვეძახი მე და აერბიავარ ნისლიან ალმართზე.
– დაიძინე, ბიძიკო... – მამშვიდებს ვიღაცა...

რა არის სახლი

მე უკვე ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი ვარ, ისევ ერთი შარვალი მაქვს და ერთი საშემოდგომო გამოცდა პოლიტიკურ ეკონომიაში. სანამ პირველ კურსზე ვიყავი, ჩემს სტიპენდიას ჩემი დიასახლისი იღებდა, თან სულ მსაყვედურობდა, რატომ ფრიადოსანი არა ხარო. ახლა საშემოდგომო გამოცდის გამო ჩემს დიასახლისს სტიპენდია მოუხსნეს და მე და ის ერთად ვმეცადინეობთ პოლიტეკონომიაში.
– რას შვები, როდის აბარებ? – მეკითხება იგი ყოველ დილით.
– რას გადამეკიდე, დეიდა მართა, შენც ბებიაჩემი ხომ არა ხარ?
– შენ და შენს ბებიას ორივეს თავში ქვა გიხლიათ, ან ბინის ქირა გადამიხადე, ან სახლიდან გაგაგდებ, დღეს სახლმმართველი იყო და ასე მითხრა, ჩაუწერელი კაცი რომ გყავს სახლში, მაგას დასველება უნდაო!
– ვერ დაასხი მერე თავზე ერთი ვედრო წყალი?
– ნუ იკრიჭები სულელივით. დაჯექი და ისწავლე, თუ ორ დღეში არ ჩაგიბარებია და სტიპენდია არ დაუნიშნავთ, გათავდა შენი საქმე!
– ორ დღეში კი არა და ასპირანტურას დაგიმთავრებ ახლა შენი დამპალი ოთახის გულისთვის.
– რაც თვითონ გდიხარ, ისეთ ოთახში მყავხარ, არ დაგინახო წიგნზე თავაღებული, თორემ მდულარეს გადაგასხამ თავზე.
– მდულარეზე გამახსენდა, თუ ქალი ხარ, ერთი ჭიქა ჩაი შემომიტანე.
– კუბოს შემოგიტან!
– შაქრის ჩაგდება არ დაგავიწყდეს შიგ! – გავძახი გაკაპასებულ დიასახლისს და ნაღვლიანი თვალებით ეუცქერი კონსპექტებს.
ჩემი დიასახლისი, ვარაზის ხევის ბოლოში რომ პატარა ორსართულიანი სახლია, იმაში ცხოვრობს. დეიდა მართა, ჩემი დიასახლისი ულამაზო, კაპასი, მაგრამ კეთილი ქალია. მას სულ ერთი მდგმური ჰყავს, ისიც მე. ჩემი ოთახი ძალიან ორიგინალურია, შიგ მე, ტახტი, ერთი სკამი, სოფიო და კედელზე გაკრული ტარანისკუდიანი ამოქარგული ქალი ვართ მოთავსებული. სოფიოს ჭრელი თვალები აქვს, დღისით სოფიო ჩემს ერთადერთ თეფშს ასუფთავებს და ამშრალებს, მერე ფანჯარასთან ჯდება და საღამომდე გასცქერის ფანჯრის პირდაპირ მხართეძოზე წამოწოლილ საპირფარეშოს და მის გვერდით ამართულ ბუოლაზე მხტუნავ ჩიტებს. ეს ბუოლა, თურმე, დეიდა მართას ხნისაა და ჯერ ნაყოფი არ გამოუსხამს. სოფიო დიდი ეშმაკია, საღამოს ლოგინში ვიდრე არ ჩაეწვები და კარგად არ გავათბობ, არ წვება. მერე ჩამოდის ფანჯრიდან და შემომიძერება საბნის ქვეშ, მე ძალიან მიყვარს სოფიო, არა, კი არა მიყვარს, უბრალოდ ძალიან შევეჩვიე და, ალბათ, სიყვარულიც ეს არის, აბა, ჩვენ ერთმანეთისთვის რომ თავს არ მოვიკლავთ, ორთავემ კარგად ვიცით. არც დეიდა მართამ, არც მე არ ვიცით, საიდან მოვიდა. უხმოდ შემოაღო კარი, კუდი აპრიხა. ტახტის ფეხს გვერდი მიაფხანა და ამომხედა, თითქოს ამოწმებდა, მოვეწონე თუ არაო. მე იგი მომეწონა, რადგან ჩვენი მეზობლის გოგოს გავდა. – სოფიო, სოფიო, დავუძახე, მან ზურგი შემაქცია და ღიად დარჩენილი კარისაკენ გაემართა. – სოფიო, სად მიდიხარ, დარჩი–მეთქი, ვთხოვე და სოფიო მობრუნდა. მას შემდეგ სულ ერთად ვართ მე და სოფიო.
სოფიო მატყობს, რომ რაღაც მიჭირს და გვერდიდან არ მცილდება. მე მეათედ ვკითხულობ კონსპექტს და იმედგაცრუებული ვდებ ბალიშის ქვეშ. დეიდა მართამ მითხრა წუხელ, რომ მე ულმერთო ვარ და იმიტომ ვიჭრები, მე ვუთხარი – ულმერთო თვითონ ღმერთია, თორემ მე თუ არ ვეცოდები, შენ რაზე დაგაკარგვინა სტიპენდია–მეთქი. დეიდა მართამ მითხრა, – ღმერთი არ შეგარჩენსო. მე ვუთხარი, – ყურებზე ხახვი არ დამაჭრას–მეთქი, მაშინ დეიდა მართამ მითხრა – ახლავე მუხლებზე დაეცი და ილოცე ღვთის წინაშე, არ დაგამუნჯოსო. მე ვუთხარი – ამაზე

მეტს რას დამამუნჯებს, მეორედ გავდივარ გამოცდაზე და ხმას ვერ ვიღებ–მეთქი. მაშინ დეიდა მართამ სამჯერ გადააფურთხა, პირჯვარი გამოისახა და კარი მომიჯახუნა.

ამ დილით გამოცდაზე მივდივარ. ვასრულებ დეიდა მართას მითითებას და ვიჩოქებ ტახტზე, ვაპყრობ ჭერში თვალებს და უპირველესად ყოვლისა ამას ვევედრები ღმერთს:

– ღმერთო, ეს დამპალი ჭერი არ ჩამომანგრიო თავზე და რაც გინდა მთხოვე. – მერე გადავდივარ ოფიციალურ მოთხოვნებზე: – მამაო ზეციერო, ძლიერო ღმერთო, ამ დილით ათ საათზე ვაბარებ პოლიტეკონომიას. იცი შენ რა არის საქონელი? საქონელი არ არის ძროხა, ღორი და თხა, პირველად მეც მასე მეგონა, მაგრამ ძროხა, ღორი და თხა შეიძლება იყოს საქონელი. ვერ გაიგე? ვერც მე გავიგე. ღმერთო, მიშველე რამე და ჩამაბარებიე ეს საგანი თუ შეგიძლია. ნუ მომჭრი თავს საქვეყნოდ, რა ვქნა, რომ გაიგონ ილიკომ და ილარიონმა, რა ვუთხრა, ბებიაჩემს რა თვალით შეეხედო. ახლა არ მითხრა შენც ილარიონივით – შენხელა რომ ვიყავი, სულ ხუთებზე ვსწავლობდიო, – ტყუილია მაგი, მოხუცები ყოველთვის ასე ეუბნებით ახალგაზრდებს. ალბათ, მეც ასე ვეტყვი ჩემს შვილებს. შენ თუ ღმერთი ხარ, მაპატიე წუხელ რომ გაგლანძღე და ჩამაბარებიე პოლიტეკონომია, არაფერი არაა შენთვის მაგის გაკეთება. რამდენი სამიანი გაქვს ახლა შენ ჩემისთანა გლახებისათვის? ხოდა, გადმომიგდე ერთი სამიანი, ღმერთო, რა იქნება, ა, ღმერთო, გეყურება შენ ჩემი?

– რომელი ხარ შენ! – ძარღვებში სისხლი გამეყინა, პირი გამიშრა და კისერი გამიშეშდა.

– რომელი ხარ შენ! – გაიმეორა მან...

– მე, მე, მე ვარ, ზურიკო ვარ!

– ვაშალომიძე?

– კი, ვაშალომიძე!

– მერე, არ გრცხვენია ჩაუწერლად რომ ცხოვრობ?!

– რაო?

– რაო და, ჩამობრძანდი ახლა მაგ ტახტიდან და წამობრძანდი ჩემთან ერთად მილიციაში! – უცებ სისხლი ისევ ამოძრავდა ძარღვებში, პირი დამილბა და კისერი მომეშვა.

– რომელი ხარ შენ! – ვთქვი ახლა მე და შემოვტრიალდი. ჩემ წინ მაღალი, იღლიაში სამაგალითოდ ძველპორტფელამოჩრილი, ყურებზე ნაწვიმარ და გახუნებულ შლიაპაჩამოფხატული, ყბაში ყბაგაცმული სახლმმართველი დომენტი იდგა.

– დომენტი ბიძია. – დავიღრიჯე მე.

– არ ვარ მე შენი ბიძია! – დაიღრიჯა დომენტი.

– ამხანაგო დომენტი! – გავასწორე შეცდომა.

– არც ამხანაგი ვარ შენი!.. – გამისწორა დომენტიმ.

– აბა, ვიღაცა ოხერი ხარ, თავი გამანებე, ახლა გამოცდაზე მივდივარ! – გავცხარდი მე.

– ენას კბილი დააჭირე. ჩაიცვი, ტანზე თუ გაქვს რამე ჩასაცმელი და წამოეთრიე, – თქვა დომენტიმ და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

– ჯიბიდან ხელი ამოიღე და ისე მელაპარაკე!

– ვის უბედავ, ლაწირაკო! – დაიკვნესა დომენტიმ და მეორე ხელიც ჯიბეში ჩაიყო.

– გეუბნები ადამიანურად, დღეს ვერ წამოვალ, გამოცდა მაქვს, ხვალ ჩემით წამოვალ.

– დღეს შენით წამოდი, თორემ ხვალ ძალით წაგათრევ. – თქვა დომენტიმ და მე შევატყვე, რომ დომენტი არ ხუმრობდა, სოფიომ შემატყო, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი და კნავილი ატეხა.

– გადაუგდე რამე და გააჩერე ეს დამხრჩვალი კატა, თორემ ვისროლე ფანჯარაში! – თქვა დომენტიმ.

სოფიოს შეეშინდა და გაჩუმდა. მე ჩავიცვი და ხუთი წუთის შემდეგ მე და დომენტი ვარაზის ხევით დავეშვით.

– ღმერთი არ გწამს? კაცი გამოცდაზე მივდივარ და მილიციაში მიგყავარ; – ვკითხე დომენტის.

– ვის არ სწამს, ბიჭო, ღმერთი! – გამიჯავრდა დომენტი.

– ვის და შენ.

– შენ თუ გწამს ღმერთი, ჩაუწერლად რომ ცხოვრობ, რომ შემამოწმონ, ხომ დავიღუპე კაცი, – დომენტის ჩაუწერელი კაცი ჰყავს ოთახშიო, დომენტი იმ კაცს არ აფორმებს, იმიტომ, რომ... ხომ არ მოგიცია ჩემთვის რამე? შენ გეკითხები, მახსოვს კაპიკი შენგან?

– არა!

– ჰოდა, მაგაშია საქმე. დომენტი მექრთამეა, დომენტი სახელმწიფოს ატყუებს, ძარცვავს, გლეჯს, ფცქვნის, სინამდვილეში ვინ აკეთებს ამას?

– ვინ?

– რამდენს იხდი ბინის ქირას? – მკითხა უცებ დომენტიმ.

– 250 მანეთს თვეში. – ვუპასუხე მე.

– საიდან შოულობ ამდენ ფულს?

– ბებია მიგზავნის.

– ბებიაშენი სიდან შოულობს?

– ილარიონისაგან სესხულობს.

– ილარიონი საიდან შოულობს?

– თუ კარგი მოსავალი დაურჩა, ღვინოს ყიდის, თუ არა და ილიკოსგან სესხულობს.

– ილიკოს ვინ მისცა ფული?

– რა გამიჭირე საქმე. შენ ვინ მოგცა?
– მე არავინ რომ არ მომცა, იმიტომ მიგათრევ მილიციაში.
– მოკლედ, რას გადამეკიდე, რა გინდა ჩემგან?
– შენგან რა უნდა მინდოდეს, მიგიყვან მილიციაში, ჩავაბარებ შენს თავს მთავრობას და მოვახსენებ... – რა პროფესიის ხარ?
– ჯერ არაფრის.
– ჰოდა, მოვახსენებ, ა, ბატონო, მოგიყვანეთ გაურკვეველი პროფესიის პიროვნება, ჩაუწერელი, ჩაჭრილი, – რომელ საგანში ხარ ჩაჭრილი?
– პოლიტეკონომიაში.
– მით უარესი შენთვის. პოლიტიკურად მოუმზადებელი, ცრუმორწმუნე. ხომ ლოცულობდი ამ დილით?
– კი.
– აგაშენა ღმერთმა, ჩაგაბარებ მთავრობას და... ციხეში ხარ ნამყოფი?
– არა.
– არა და, რატომ იღუპავ, ბიძიკო, თავს. ორ დღეში ისე ჩაგწერ, ვერაფერმა ამოგშალოს. – მითხრა დომენტიმ და მელიქიშვილის ქუჩაზე რომ ხელმარცხნივ სარდაფია, იმის წინ გაჩერდა. – მიხვდი, რას გეუბნები?
– ვერა.
– რას გაიგებ, უტვინო ლაწირაკო, შენ ჯერ არც კი იცი, რა არის ჩაწერა და რა არის სახლი. რას გაჩერებულხარ, ჩავიდეთ აგერ „რიგოლეტოსთან“ და წავისაუზმოთ პატარა. – მართალი გითხრათ, ძალიან მშიოდა, დომენტის მადლიერი თვალები შევანათე, ნაზად გაეღიმე და სარდაფში ჩავყევი. კუთხის მაგიდას მივუსხედით. დომენტიმ მაგიდის საფარი გადაკეცა, რომ არ დავსვრილიყავით, „მუხამორიან“ თეფშს მეორე თეფში დაამხო, შლიაპა მუხლზე ჩამოიფხატა, პორტფელი სკამსა და ზურგს უკან ჩაიკვეხა, ყვითელ შუბლზე ხელი გადაისვა და მზრუნველად მკითხა:
– რას ჭამ?
– ყველაფერს! – ვუპასუხე მე.
– რას დალევ?
– შენს ნაყიდ ნავთს დავლევ. – გავეხუმრე დომენტის, იმანაც გამიცინა და მაგიდას ხელი დაჭკრა:
– „რიგოლეტო“! – დახლიდან კოჭლი დახლიდარი გამოვიდა და ჩვენს მაგიდასთან ცალ ფეხზე დადგა.
– აჯან!
– „რიგოლეტოს“ ვახლავარ, ეს ჩვენი ბიჭია, გაიცანი, დღეს ამასთან გექნება საქმე, ნუ გეშინია, გულს არ დაგწყვეტს. – თქვა დომენტიმ და მხარზე ხელი დამარტყა. მე ავდექი, „რიგოლეტოს“ ხელი გავუწოდე, მაგრად ჩამოვართვი როგორც თბილისში იციან, ისე, და ჩემი სახელი ვუთხარი.
– საღოლ, ჯანიანი ჯეელი ყოფილა. – თქვა „რიგოლეტომ“ და ისე შემომხედა, თითქოს ჩემზე უბედური არავინ ყოფილიყოს ამ ქვეყანაზე.
– რას მიირთომთ? – ჰკიხა ახლა დომენტის „რიგოლეტომ“.
– ორი ლუდი, ორი ყველი, ორი მწვანილი, ბოლოკი არ დაგავიწყდეს, ორი პური და ერთი ბოთლი არაყი. ხიზილალა არ გაქვს?
„რიგოლეტოს“ სულელივით გაეღიმა. ცოტა ხანში სუფრა გაიშალა.
დომენტიმ ჭიქა შეავსო, მეც შემივსო, მომიჯახუნა, გადაკრა და ისე დაიჯღლანა, თვალი ავარიდე, გული რომ არ ამრეოდა. მეორე ჭიქა ჩვენი გაცნობის სადღეგრძელო იყო. მესამე ჭიქაზე დომენტიმ სადღეგრძელო წარმოთქვა:
– მე, დომენტი ხაჭაპურიძე, პატარა კაცი ვარ, პატარა იყო ნაპოლეონიც და იმაზე პატარა იყო მამაჩემი, მაგრამ ქვეყანას ატრიალებდა. მე სახლმმართველი ვარ და ჩვილი გული მაქვს. ჩემზეა დამოკიდებული, იცხოვროს კაცმა სახლში, თუ იცხოვროს ქუჩაში. ქუჩაში გიცხოვრია?
– ქუჩაში, რა, უპატრონო კი არ ვარ! – მეწყინა მე.
– მე შემიძლია გაგაგდო ქუჩაში, იმიტომ რომ ჩაუწერელი ხარ.
– მერე რა უნდა მაგას, აიღე და ჩამწერე.
– კი ავიღებ, მაგრამ მაძლევ?
– რა თქვი?
– დალიე! – თქვა დომენტიმ და ჭიქა შემივსო. მე დავლიე, დომენტიმაც დალია და თვალები დაუელამდა.
– იცი შენ რა არის სახლი?
– სახლი რავა არ ვიცი, შე კაი კაცო.
– აბა, რა არის?
– კრამიტით ან ყავრით გადახურული ოთახებია. მეტი რა უნდა იყოს.
დომენტიმ ჩაიხითხითა, კიდევ დაასხა და დაიწყო.
– სახლი, უპირველეს ყოვლისა, ოჯახია, ოჯახი გყავს შენ?
– არა!
– გლახაკი ყოფილხარ, შენხელა რომ ვიყავი, მეორე ცოლი მყავდა. ახლა ისევ პირველი მყავს. ოჯახი და სახლი განუყოფელია ერთმანეთთან. თუ სახლი არ გაქვს, ცოლს ვერ მოიყვან, თუ ცოლი არ გყავს, სახლში ვერ მოიყვან. იცი შენ საიდან გაჩნდა სახლი?

– კი!
– აბა, საიდან?
– აგურიდან, ფიცრიდან, კირიდან, ქვიდან, კრამიტიდან...
– ვაი შენს პატრონს უბედურს, მანამდე სანამ აგურს მოიგონებდა კაცი, ხეზე ცხოვრობდა...
– გამოქვაბულში, – გავუსწორე მე.
– ზოგი ხეზე, ზოგი გამოქვაბულში. მერე მობეზრდა კაცს ხეზე ჯდომა და ჩამოვიდა ძირს, ძირს რომ ჩამოვიდა, რა მოუვიდა?
– გაიარ–გამოიარა და ისევ ხეზე ავიდა.
– არა, რომ გაიარ–გამოიარა, შეცივდა. მერე რა ქნა?
– ჩაიცვა პალტო და გათბა.
– უბედური შენი პატრონი, სად იყო მაშინ პალტო, აიღო კვეს–აბედი, დაანთო ცეცხლი და მიუჯდა გვერდში. მერე ხომ იცი, ბუნება სასტიკია. დაუბერა ქარმა აღმოსავლეთიდან, აიღო იმ კაცმა და აუშენა ცეცხლს კედელი აღმოსავლეთიდან, დაუბერა ახლა დასავლეთიდან. აუშენა იმ კაცმა სახლს კედელი დასავლეთიდან. არ გასულა დიდი ხანი და დაარტყა ორპირმა ქარმა ჩრდილოეთიდან და გავარდა სამხრეთში. აუშენა ახალი კედელი ჩრდილოეთიდან. არ მოეშვა ქარი სამხრეთიდან, აუშენა აქედანაც კედელი და მოისვენა კაცმა. შემოდგომაზე ხდებოდა ეს ამბავი და მოგეხსენება შემოდგომის ამბავი. გაწვიმდა უცებ. დაიწყო ცეცხლმა ქრობა. დაიწყო ქრობა და გადახურა კაცმა კედლები ისლით.
– მერე?
– მერე გართულდა საქმე, დაგროვდა კვამლი ოთახში, აეწვა თვალები კაცს. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, მაგრამ რას იზამდა, ხომ ვერ დაანგრევდა, ბოლოს მოიფიქრა, იმიტომ, რომ მაინც ადამიანი იყო, ჩვენ ადამიანები იმით განვსხვავდებით ცხოველებისაგან, რომ ჭკუა გვაქვს და ლაპარაკი ვიცით. „შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი“, ჩემო ზურიკო, ხომ გაგიგია?
– პირუტყვიცა ხარ და სერაპიონაც! – ვთქვი მე ბოთლი ყინწიდან ხელუკულმა ავიღე.
– დადეე ბოთლი, შტერო, რუსთაველი არ წაგიკითხავს?.. სად გამაჩერე?
– კვამლი რომ ახრჩობდა!
– ჰო, დაახრჩო კინაღამ კვამლმა, აიღო და გახვრიტა ჭერი, გავარდა კვამლი გარეთ და მოითქვა სული კაცმა, ასე იყო საღამომდე. მერე დააინტერესა – წვიმამ თუ გადაიღოო, მაგრამ როგორ გაეგო?
– ხელი უნდა გამოეყო.
– რაში?
– ფანჯარაში!
– სადაა მერე ფანჯარა? აიღო და გაუკეთა ოთახს ფანჯარა. გაიხედა და აღარ წვიმს. მოუნდა მინდორში გავლა, ხომ იცი, ადამიანები ვართ, მოუნდა და რას შვები ახლა? – „რიგოლეტო!“ ორი ას–ასი! – დაისლოკინა დომენტიმ და განაგრძო, – გამოჭრა კარი იმ კაცმა და მიიღო სახლი.
– ბაბუაჩემს მასე არ აუშენებია სახლი, – ვთქვი მე.
– არც ბაბუაჩემს აუშენებია მასე, ბაბუაჩემი სხვის აშენებულში შევიდა. წავიდა მერე ის კაცი, მოიყვანა ტყიდან ძაღლი, დააბა ეზოში, უყარაულე ამ სახლსო, უთხრა და წავიდა. წავიდა და მოიყვანა ქალი, მერე იმ ქალს უთხრა, მოუარე აქაურობასო და წავიდა ისევ. მოიტანა ნანადირევი. „ავთანდილ გადინადირა“... მოიტანა, დაჯდენ და ჭამეს ცოლ–ქმარმა. მერე წავიდა და წავიდა შვილები, შვილიშვილები, იმათი შვილები და შეიქმნა სოფელი, მერე რაიონი, მერე ქალაქი და მერე დედაქალაქი... საქართველოს დედაქალაქი თბილისია. ასე სიმწრითაა იგი აშენებული. მიგიძღვის რამე ღვაწლი, რომ ცხოვრობ შიგ? არა. აბა, რა უფლება გაქვს ჩაუწერავად რომ ცხოვრობ შიგ? მაგრამ მე მომწონხარ შენ, კარგი ბიჭი ხარ, რა გქვია შენ?
– ზურიკო!
– ზურიკო, მართას ცალკე მოველაპარაკები. ახლა საქმე შენთან მაქვს 200 მანეთი, მეტი არ დაჯდება, ოღონდ კრინტი. რა გქვია შენ?
– ზურიკო!
– ჰო, ზურიკო! – თქვა დომენტიმ და თვალი ჩამიკრა, ჩამიკრა და ველარ გააღო, მაშინ მეორე თვალი ჩამიკრა, ჩამიკრა და ისიც ველარ გააღო, ველარ გააღო და დაიძინა.
ბოთლში დარჩენილი არყით ჭიქა ავავსე და „რიგოლეტოს“ დავუძახე.
– აჯან! – მოვიდა „რიგოლეტო“ და ისევ ცალ ფეხზე დადგა.
– დალიე! – ვუთხარი მე და ჭიქა მივაწოდე.
– დახლში ვდგევარ, ჩემი დალევა არ იქნება! – თქვა „რიგოლეტომ“ და ჭიქა მაგიდაზე დადგა. მეც ჭიქა ავიღე, ცალი ხელი „რიგოლეტოს“ გადავხვიე, რომ არ წავქცეულიყავი და ვკითხე:
– პოლიტეკონომია იცი შენ რა არის?
– პოლიტიკაც ვიცი და ეკონომიაც! – მითხრა „რიგოლეტომ“.
– მაშ, მითხარი, რ არის საქონელი.
– როგორი საქონელი, უფაქტურო?
– არა, ფაქტურიანი.
– რაც ვიტრინაშია, სულ საქონელია, საწყობშიც მაქვს საქონელი. – თქვა „რიგოლეტომ“.
– სწორია. – დავარტყი მე მხარზე ხელი. – ამ მკვდარს ხედავ? – ეკითხე „რიგოლეტოს“ და დომენტიზე მივუთითე.
– ძინამს. – თქვა „რიგოლეტომ“ და გაიცინა.
– ეგეც საქონელია. სერაპიონა.

– სერაპიონა კი არა, დომენტი.

– მე შენ გეუბნები, სერაპიონაა. – ვთქვი მე და ჩაის ჭიქა გადავკარი. სარდაფი ნელ–ნელა დაიძრა. უცებ იატაკი კედლად იქცა, მე და „რიგოლეტო“ და მაგიდა ახლა კედელზე ვიდექით და მე მიკვირდა, რომ ძირს არ ვცვივოდით, კედელი რომ ჭერად იქცა, თვალები დავხუჭე და დავჯექი. თვალი რომ გავახილე, ყველაფერი რიგზე იყო.

– შენ მე არ მიცნობ, მე ზურიკელა ვარ, ვაშალომიძე, შენ პოლიტეკონომია იცი? – ვკითხე ისევ „რიგოლეტოს“.

– ვა, აკი გითხარი, ვიცი–მეთქი, ანგარიში ხომ არ მოვიტანო?

– მოიტანე!

„რიგოლეტო“ წავიდა, საანგარიშო მოიტანა და ჩამოყარა.

– ორი მწვადი 40 მანეთი, ორი პური 6 მანეთი, არაყი, ყველი, მოკლედ, სულ 300 მანეთისაა მწვანილიანად.

– 300 მანეთი ბევრია, ხუთი თუმანი მეყოფა მანქანის ფულად.

– რაო?

– ხუთი თუმანი მომეცი, სახლში ფეხით ხომ არ წავალ.

– ახლა ფული ამოიღე, თორემ... – მითხრა „რიგოლეტომ“ და დახლიდან არშინიანი დანა აიღო.

– რას შვები, მკლავ? – ვკითხე მე.

– სანამ ატბიენიო გამიკეთებია შენგან, ფული ამოიღე.

– შენ თუ ფულს მიპოვნი, ორ ლიტრა არაყს ვკისრულობ. – დავენიძლავე „რიგოლეტოს“, „რიგოლეტოს“ ღრანჭი მოენგრა და საყელოში მომკიდა ხელი.

– დომენტი ბიძია, ამხანაგო დომენტი, დომენტი, ადექი, შე უპატრონო, ხომ ხედავ, მკლავენ. – ვიბღავლე მე. დომენტიმ ამღვრეული თვალებით ამომხედა, მიყურა, მიყურა, ხელი ჩაქნია და თავი ერთი თეფშიდან მეორეზე გადადო.

– ამ კაცს გირაოში გიტოვებ. – დავამშვიდე „რიგოლეტო“.

– ეგ მურტალი რად მინდა, მაგის ჯიგარი არ იჭმევა და სისხლი არ ისმება. გეუბნები, ფული ამოიღე!

– არც ხაშად ივარგებს?

– გეუბნები, ფული ამოიღე, მანამ ლამაზი ხარ. მერე იანგლე.

– გამიშვი ხელი და ამოვიღებ, – ვთხოვე „რიგოლეტოს“. „რიგოლეტომ“ ხელი გამიშვა. დომენტის ზურგს უკან პორტფელი ამოვაძვრე და სუფრაზე გადმოვამხვე, შიგ არაფერი აღმოჩნდა, მაშინ ხალათის ჯიბეები გადმოეუბრუნე. 4 წითელი სამთუმნიანი გადმოუცვივდა ჯიბიდან. „რიგოლეტომ“ ფული აიღო და გადათვალა.

– თორმეტი თუმანი, კიდევ თვრამეტი უნდა.

ახლა შარვლის ჯიბეებზე გადავედი, იქიდან თხუთმეტი თუმანი გადმოვყარე და ხელები დავიფერთხე იმის ნიშნად, რომ აღარაფერი იყო ჯიბეებში.

– კიდევ სამი თუმანი. – თქვა „რიგოლეტომ“.

– კაცი არა ხარ, შვილი არა გყავს? – დაველრიჯე „რიგოლეტოს“.

– არ მყავს. – მოჭრა „რიგოლეტომ“.

– არ გყავს და იმ სამ თუმანს უშვილობაში გიქვითავ. – ვთქვი მე და კარისაკენ წავედი.

– ეგ მურტალი წაიღე, თორემ შემომაკვდება. – ისე თქვა „რიგოლეტომ“, რომ მივხვდი დომენტის აქ დატოვება არ შეიძლებოდა.

სახლმმართველი მხარზე გავიდე და სარდაფიდან ბარბაცით ამოვედი.

იმ ღამით მე, დომენტის და სოფიოს ერთ ლოგინში გვეძინა. გვეძინა სამთავეს ჩაუწერლად, და არცერთს არ გვრცხვენოდა.

ამას
ვის
ვხედავ!

უკვე სამი წელია თბილისში ვცხოვრობ. სოფელში რომ ჩავდივარ, ქალაქელ ციგანს მეძახიან, თბილისში რომ ჩამოვდივარ, ხიხოს. თუმცა დეიდა მართასათვის ისე ის ურჩი გადამხდელი ვარ. დომენტი სახლმმართველისათვის აფერისტი, პროფესორებისათვის გასტროლიორი, მარტო ბებიასთვის, ილიკოსთვის და ილარიონისთვის ვარ ისევ ის ზურიკო, რომელმაც ათი უმაღლესი რომ დაამთავროს, მაინც უცხვირპირო, ენაგატლეკილი და ღვთისპირიდან გადავარდნილი იქნება. სოფიოსთვის სულ ერთია ვინც ვარ, მას ჩემთვის პროფესია და გვარიშვილობა არ უკითხავს. სოფიოს ათბობს ჩემი ლოგინი, აძღებს ჩემი სადილის ნარჩენები და მოსწონს, როდესაც საჩვენებელი თითით ყელს ვეხან. საშემოდგომო გამოცდა დედის მუცლიდან დაყოლილი ტყლიპივით არ მცილდება, სტიპენდია კი მოკითხვამდე გაუფრთხილებლად გამოგზავნილი ბარათივით დევს სადღაც უნივერსიტეტის ბუღალტერიაში და მელოდება როდის მივიღებ.

ახლა იანვარია და მე ვზივარ დეიდა მართას ოთახში. დეიდა მართასთან უფრო თბილა. მის მაგიდაზე დიდი რუსული სამოვარი თუხთუხებს და ჩვენ ჩაის ხვლეპაში გართულები ერთმანეთს ვეხმატკბილებით.

– უბედური ბებიაშენი, შენ რომ სტიპენდია გქონდეს, საცოდავს ცოტა შეღავათი ექნებოდა.

– დღეს ჩემი დაბადების დღეა, დეიდა მართა, და ნუ ჩამამწარებ, თუ ქალი ხარ.

– დაიქცა შენი დაბადების დღე და მეხი დაგაყარე მაგ რუმბივით თავზე.

– მადლობელი ვარ, იმდენად გამიმარჯოს, რამდენადაც ღირსი ვიყო, იგივეს გისურვებთ თქვენ, ალაევერდი. – ვეუბნები დეიდა მართას და ჭიქას ჭიქაზე ვუჯახუნებ.

– გაქრი. – მეუბნება დეიდა მართა და თავის შაქარს ჩემს ჭიქაში აგდებს.

გარეთ ქარია და თოვს, თბილისში ცივი ზამთარი იცის, ძალიან ცივი. აქ პატარა თოვლი მოდის, ოდებს არ თოვლავენ, მაგრამ თუ მოუჭირა, ყინავს, ყველაფერს ყინავს, კარგია დეიდა მართას ოთახში ჯდომა, ჩაის შემდეგ იგი ყოველთვის ყვება რაიმე ამბავს მესამე პირში, მაგრამ მე ვიცი, რომ თავის თავზე ყვება. ყვება ძალიან სევდიან ამბებს. მე მიყვარს სევდიანი ამბების მოსმენა, მაგრამ შემდეგ ველარ ვყვები. დეიდა მართასაც უყვარს ჩემი მოყოლილი ამბები. იგი ცინის, იჭაჭება, ცრემლს ღვრის და ყოველი პაუზის შემდეგ „გაქრის“ მეუბნება.

აი ახლაც ჩემი დაბადების დღესთან დაკავშირებით ვზივარ და ვიგონებ ამბავს, თუ როგორ მოვპარეთ მე და ილარიონმა ილიკოს ბალი: დეიდა მართა ჩაის ხვრეპას თავს ანებებს და სმენად იქცევა.

– ილიკო ხომ იცი?

– როგორ არ ვიცი, რამდენჯერ მოგიყოლია. ცალი თვალი რომ არა აქვს ის, არ არის?

– ჰოდა, იმ ილიკოს ეზოს გადმოღმა ერთი ძირი ბალი უდგას. მაღალია ძალიან, თუ არ აცოცდი, ისე ვერ ახვალ. ეს ბალი იმითაა განთქმული, რომ ზედ ოთხი ჯიშის ბალია დამყნილი – შამბალა, მაისის ბალი, კახამბალი და თეთრი ბალი. ასე რომ, მთელ ზაფხულს ბალი ასხია. წისქვილზე რომ მიდიხარ, შარაგზა სწორედ ამ ბალის ძირში გაივლის. დღისით ზედ გასვლას ვინ გაბედავს, ღამით კი ილიკოს აივანზე ძინავს და სასთუმალთან პირამდე მარილით დატენილი ფილთა თოფი უდევს.

ერთ საღამოს მე და ილარიონი წისქვილში ვიყავით. ბევრი საფქვავი იყო და შუაღამეზე ვბრუნდებოდით შინ. ილიკოს სახლს რომ მივუახლოვდით, ილარიონმა საფქვავი მოიხსნა და ჩამოჯდა.

– დევისვენოთ პატარა, თორემ ამომხდა სული. – მე მოვიხსენი საფქვავი და გვერდით მოვუჯექი. თითო რომ გავაბოლეთ, წამოვდექი.

– დაჯექი, ბიჭო, რა გაჩქარებს. – მითხრა ილარიონმა.

– რავა რა მაჩქარებს, აბა, აქ ხომ არ გავათენებ?

– ბალი არ გინდა? – მკითხა უცებ ილიარიონმა.

– კი მინდა, მაგრამ სადაა.

– აგერაა ყურისძირში. –მითხრა ილარიონმა და ილიკოს ბალს გახედა.

– გაგიჟდი? გინდა დამშაშხოს ფილთა თოფიდან? – შევეცხადე მე.

– აბდალა, სადა აქვს თოფი, ფიალა აუფეთქდა გუშღამ და ბადრია მჭედელთან აქვს მიტანილი გასაკეთებლად.

– შენ იცი! – ვთქვი მე.

– რა ვიცი მე, შე უცხვირპირო, ხომ არ გინდა, მე გავიდე ხეზე და მოგართვა ბალი.

– არაფერი არ გიჭირს.

– არ მეიყარო ჩემხელა, გაგონილა ჩემი ხნის კაცის ხეზე გასვლა?

– ნუ ისაწყლებ თავს!

– ჯანდაბას შენი თავი, ორივე გავიდეთ. – შევთანხმდით, პირველი მე უნდა ჩავსულიყავი ეზოში, დამეზვერა იქაურობა, გავსულიყავი ბალზე და მერე ილარიონისათვის ნიშანი მიმეცა. ფორთხვით მივედი ბალის ძირში. დიდხანს ვზვერე იქაურობა, ჩამიჩუმი არ ისმოდა. მერე გავშალე ხელები და კარგი ნათესავივით ჩავეხუტე ბალს. ჩავეხუტე და ველარ მოვცილდი. დავეწაპე ხეზე, როგორც ტყლაპი, გავიქაჩ–გამოვიქაჩე, ძლივს მოვცილდი ხეს და ტანზე დავიხედე. ბნელოდა, ვერაფერს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვყარდი, ვყარდი, როგორც ილიკოს დიდი ხნის გამოუწმენდავი საქათმე. ილიკოს მომტყუებელი კაცი ჩემს მეტი ქვეყნად არავინ მეგულებოდა და რა მიქნა ეს. ამ ცალთვალა მელას სკინტლი, ფუნა და ტაოტი ერთმანეთში აერია. კარგად შეეზავებინა და დაახ–ლოებით კაცის სიმაღლეზე წაესვა ხისათვის. რაღას ვიზამდი, ამას არაფერი აღარ ეშველებოდა. ვიდექი ასე გაზინთული, მყრალი და გულზე გასიებული, და იმაზე ვფიქრობდი, როგორ გადამეხადა სამაგიერო ილარიონისათვის, რომელმაც შემაცდინა. სხვა გზა არ იყო, ისევ ჩავეხუტე ხეს და დიდი სიმწრით ავცოცდი ზედ. სუნი მახრჩობდა, დახველებას ძლივს ვიკავებდი. ნელა და გაბმით დავუსტვინე. ილარიონის ლანდი ღობეზე გადმოცოცდა და ხისკენ დაიძრა ფრთხილად. ხესთან რომ მოვიდა, შედგა, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი.

– რა სუნია, ბიჭო? – ამომჩურჩულა ზევით.

– არაფერი, ამოდი. – ჩამოვჩურჩულე ქვევიდან. ილარიონმა გაშალა ხელი, ჩაეხუტა ხეს და ასე პირჩაღმა ჯვარცმულ იესოსავით შემომსისინა:

– რა არის, ბიჭო, ეს?!

– რა არის და საწყენელა, გასინჯე ერთი, როგორია! – ჩამოვსისინე მე.

– ზურიკელა ვაშალომიძე, მაგ ხეზე თუ აპირებ ცხოვრების გატარებას, არ ვიცი და თუ ჩამოეთრიე ძირს, ხომ დაგკალი საკლანდო ღორივით და ესაა.

– შენი ბრალია ყველაფერი.

– რაა, ბიჭო, ჩემი ბრალი. ბალი ვჭამოთ–მეთქი, გითხარი, თორემ ფუნა და სკინტი იმდენი მაქვს სახლში, მთელ შენს საგვარეულოს ეყოფა მეორედ მოსვლამდე.

– გეყოფა ახლა, ჩამომიშვი ძირს.

– ზურიკელა უწმინდურო, თუ თავი გეცოდება, ფეხი არ ჩამოადგა ძირს.

– აბა, ვიფრინო?

– ტიტუ, ვიკივლებ ახლა, რასაა რომ მიბედავს ეს მამაძაღლი. გაჩერდი ქე მაინც, ბიჭო. რასაა ეს, რომ დამამსგავსე, როგორ მივიდე სახლში.

– მე როგორ მივიდე?

– შენ არ დაგჭირდება მისვლა, მე მიგასვენებ ამადამ! – თქვა ილარიონმა და ხეზე ამოსვლა დააპირა. მაგრამ ხველება აუვარდა და გულისრევა დაუწყო. იმ წუთში ჩამოვხტი ხიდან და ილარიონს შუბლი დავუჭირე.

– გაიწიე იქით, ნუ ამამყრალე! – შემომიტია ილარიონმა და ხელი მკრა.

მე და ილარიონმა ამ ლანძღვა–გინებასა, ხველებასა და გულისრევაში ყოველგვარი სიფრთხილე დავკარგეთ. ილიკოს აივანზე რაღაც ახმაურდა და მერე წაიქცა, გაგორდა, კიბეზე ჩამობრახუნდა და შეშლილივით იკივლა.

– ჰაიტ, სად წავა, არ გოუშვა, დოუარე ქვევიდან, შენ აქედან, დანარჩენებმა იქიდან!

მე და ილარიონმა ღობე შუბლით გავარღვიეთ და ცოფიანებივით გავვარდით შარაზე. გავარდა ერთი!

– დაგვხოცავს ეს ბრუციანი! – თქვა ილარიონმა და საფქვავს სტაცა ხელი.

– ნუ გეშინია, სანამ ხელახლა დატენის, გავასწრებთ.

– ორლულიანია! – თქვა ილარიონმა.

– რა იცი?

– ფილთა რომ გაუფუჭდა, ჩემგან ითხოვა!

– ვაი შენს პატრონს.

– აიღე საფქვავი, შე უპატრონო! – საფქვავს ვსტაცე ხელი, ზურგზე მოვიგდე და ის იყო უნდა გავქცეულიყავით, რომ მეორეჯერ იქუხა. ილარიონს საფქვავი გაუვარდა ხელიდან, წელში გაიზნიქა, ცალი ხელი მე ჩამავლო საყელოში მეორე უკან, რბილ ადგილზე და ისეთი იბღავლა, რომ ილიკოს იავანზე ფანჯრებმა ზრიალი დაიწყეს. ილარიონს პირზე ხელი ავაფარე, იგი გველნაკბენივით იკლაკნებოდა და ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, რომლის მსგავსი მანამდე არ მენახა. საფქვავი დავდე და ილარიონი ზურგზე გადავიკიდე…

დეიდა მართა ცრემლებად იღვრებოდა, მერე ჩაბუერდა, სკამიდან ტახტზე გადაგორდა და ხელით მანიშნებდა – გაჩერდიო. მაგრამ ჩემი გაჩერება არც ისე ადვილი იყო.

– ე, ბიჭო, ზურიკელა, არ დამტოვო, არ მომჭრა თავი, – მეხვეწებოდა ილარიონი და კბილებს აკრაჭუნებდა სიმწრისაგან. – ილიკო ჩიგოგიძე, თუ ჩამივარდი ხელში, ხომ იცი, რას გიზამ, ბიჭო, ვკვდები, ზურიკელა, მგონი.

– ქვამარილია?! – ვეკითხები მე და მივათრევ.

– ყბას მიქცევ? თუ გადავრჩი, ორივეს სულს ამოგხდით, შენც და იმ ბრუციანსაც, აღარ გამიარს თუ იცი? ვკვდები, ისე მეწვის!

– სანამ არ გადნება, არაფერი გამოვა.

– რა გაადნობს ამას?! – ამოიკვნესა ილარიონმა. დავიღალე, მხრიდან ჩამოვიღე და პირჩაღმა დავდე, მერე შარვალი ჩავხადე და ჭრილობას დავხედე. ნაჭრილობები მოხვედრის ადგილას გალურჯებულიყო, ცოტა სისხლი მოჟონავდა, გარშემო კი შესიებულიყო თეთრად.

– გადავრჩები, თუ იცი?

– შე კაცო! – დავამშვიდე მე.

– ე, ბიჭო, შემიბერე სული, თორემ გავთავდი კაცი.

– შენ ხომ არ გაგიუდი, სხვაგან რომ იყოს, კიდე ხო, და მაქ როგორ შეგიბერო?!

– ე, ბიჭო ზურიკელა, ჩემო ბიძია, შემიბერე და მე ვიცი შენი პატივისცემა. დაიკარგა ჩვენი ძმობა? შემიბრალე, შე მამაძაღლო. ნუ ამატირებ ახლა. – მევედრებოდა ილარიონი.

რაღა გზა მქონდა, დავჯექი და დავუწყე სულის ბერვა იმ ადგილას. ასე ვიჯექი მთელი საათი ილარიონის ლოცვა–კურთხევაში და ვქშინავდი ბადრია მჭედელის გახეული საბერველივით…

– სტყუი, შე ლაზღანდარაე! – კივის დეიდა მართა და ცრემლს კაბის კალთით იხოცავს.

– დედა მომიკვდეს, თუ ერთი სიტყვა მოგატყუილო!

– შენ მოუკვდი დედაშენს, მერე, მერე?..

– მერე, ხან ხოხვით, ხან ჩოქვით, ხან ზურგით მივიყვანე ილარიონი სახლში. ტახტზე პირჩაღმა დავდე, და ჭრილობაზე სველი პირსახოცი დავადე, მერე სახლში გავიქეცი, ბებია მოვიყვანე და ორთავემ კვნესა, ლანძღვა და ფურთხებად ქცეულ ილარიონს ღამე ვუთიეთ.

– ოლღა, აგი მინდოდა ახლა მე ამ გაცხარებული სამუშაოს დროს? – ეკითხებოდა ილარიონი ბებიაჩემს და ბალიშს კბილებით ბრდღვნიდა.

– კი მარა, არ იცოდა იმ შეჩვენებულმა, შენ რომ იყავი?

– რას ამბობ, ქალო, მაგი რომ ცოდნოდა, ნამდვილ ტყვიას ჩადებდა შიგ და შუბლში მომარტყამდა. – დაიკვნესა ილარიონმა.

– ახია შენზე, წადი, გაიხადე, ბიჭო და დაწექი, ნუ ამაქოთე და დაგირეცხავთ ორივეს ტანისამოსს. თუ გაშრა დილამდე, ხომ კარგი, თუ არა და ეგდეთ ლოგინში. – შემომიტია ბებიამ.

ბებიამ ილარიონის ტანსაცმელი იქვე აივანზე გადაკიდა გასაშრობად, ჩემი კი ჩვენი სახლის წინ ხღმარტლზე გადაფინა, ირიურაუა, როდესაც დავწექით.

კარგა გათენებული იყო, როდესაც ილარიონის ჭიშკარს ილიკო მოადგა. მე იგი ფანჯრიდან დავინახე და გავინაბე, ილიკოს ზურგზე ხურჯინივით ორი საფქვავი გადაეკიდა. ილარიონის ჭიშკართან რომ მივიდა, ერთი საფქვავი, რომელიც უფრო დიდი იყო, იქ დატოვა, მეორე ჩემს ეზოში ჩამოაგდო და ილარიონს გასძახა:

– ილარიონ, ილარიონს ვენაცვალე, ილარიონ, არ გეყურება? – ილარიონი დუმდა როგორც სამარე.

– ზურიკო, ზურიკელა, სულძაღლიანო ზურიკელა! – დამიკიჟინა ახლა მე ილიკომ.

– რა გინდა, შე ბრუციანო, ამ დილაადრიან ბაღანას რომ მიღვიძებ! – გაეხმატკბილა ილიკოს ბებიაჩემი. ილიკოს ბებიაჩემის და ტყვიის ერთნაირად ეშინოდა და ხმას შეურბილა.

– არაფერი, ოლღას შემოვევლე, ილარიონი თუა სახლში–მეთქი, მინდოდა მეკითხა.

– მერე რა, ილარიონის ყარაული ჩემი ზურიკელაა, მიდი და ნახე შენ თვითონ.

– მაგი არ ნახა ადამიანის თვალმა, მაგი ცხვირა. გამოდი, ილარიონ, გარეთ, თუ ბიჭი ხარ, რა მაქვს შენი ზიარი, შე სულძაღლო, იმ ბალს ამ დარჩენილი თვალივით ვუფრთხილდები, ეგება სიმინდის კაკალზე გადავცვალო–მეთქი და რავა შეუჩნდი მატლივით, რა გინდა, რა, ჰაიტ, შე გლახა, ვერ ზიდე საფქვავი? დატიე შარაზე, შეგირცხვა ცხვირი. ეგდე ახლა პირჩაღმა და ღეჭე ბალიში, მოგიკვდა ჩემი თავი, გადაბრუნება ხომ არ გინდა, ეგება მარილი გაკლია, მოდი და მოგაფრქვევ. ჰაიტ, შე ბინძურო, დაგშაშხე თუ არა, ა? გამოდი გარეთ, მე შენ გელაპარაკები, თუ ვერ დადიხარ? შენ არ გეიარე დედამიწის ზურგზე.

– რა მოხდა, ილიკო, რავა ქადაგად დავარდი და ქალივით იწყევლები? – ჰკითხა ბებიამ.

– რავა რა მოხდა, ქალო, მიდგომია იმ ჩემს ბალს წუხელ და დაუპირებია შეჭმა, მარა ვაჭამე საკადრისი, მაგასაც და მაგას რომ ახლდა იმასაც.

– ვის?

– მაგი არ ვიცი მე! – აარიდა კითხვას თავი ილიკომ.

– რა იცი, შე კაცო, იქნება ილარიონს არ უქნია!

– რას ამბობ, ოლღა, მაგას რომ არ ექნა, ამდენ ლანძღვას შემარჩენდა? მაგიც რო არ იყოს, ეს შარვალი და ხალათი რომ გადაუკიდია პარმაღზე გასაშრობად, რაღა წუხელ აუტყდა რეცხვა, არა და რა მექნა, მე შენ გეტყვი, გამოსაცვლელი აქვს. ხომ აგიმყრალე ისედაც მყრალი სული, ილარიონა ცხვირა, იწექი ახლა და იკრუსუნე. აეთრიე ახლა, წეიღე ეს საფქვავი, სანამ გადამიფიქრებია. – თქვა ილიკომ და გაბრუნდა. ცოტა რომ გაიარა, გაჩერდა და ჩემი სახლისკენ ქნა პირი.

– ზურიკელა ჯიბგირი თუ ყურობს ამ ამბავს?!

– ზურიკელასთან რა გინდა? – თქვა ბებიამ და ჯოხი მოიმარჯვა.

– არაფერი,ჩემო ოლღა, უთხარი ეეთრიოს, აწი გამშრალი იქნება ის გამობდღვნილი შარვალი და ეს საფქვავი ჩეიტანოს თავის ადგილას.

მე სიცილი ვეღარ შევიკავე, გარეთ გამოვედი და ავხარხარდი.

იცინოდა ბებიაც, იცინოდა ილიკოც. მხოლოდ არ იცინოდა ილარიონი. იგი იწვა პირჩაღმა ტახტზე და გამწარებული ბრდღვნიდა ბალიშს კბილებით...

ამბავი დავამთავრე, დეიდა მართა ადგა, შუბლზე მაკოცა, ჩაი დამისხა, მერე განჯინა გამოაღო, იქიდან კაკლის მურაბა გამოიღო, სასოებით მოხადა თავი, ლამბაქზე ორი კაკალი დამიგორა და წვენიც დამისხა.

– შენ გაეზარდე შენს ბებიას, შვილო, გაიხარეთ შენც, შენმა ბებიამაც, ილიკომაც და ილარიონმაც.

– ამას დილას შევჭამ, დეიდა მართა, – ვთქვი მე და მურაბიანი ლამბაქი ავიღე.

– ეგ ახლა ჭამე, დილას კი ეგა. – მითხრა მართამ და ის ერთი ქილა მურაბა ჩემსკენ მოსწია.

777

დღეს მოხდა სასწაული და სოფიო ლოგინში დამხვდა. იგი, ალბათ, დიდხანს მელოდა, მაგრამ მე ღამის ორ საათამდე ვიჯექი დეიდა მართასთან და ხომ არ გაათენებდა ჩემი გულისთვის. ამდგარა და დაწოლილა. მე რომ მივუწექი გვერდით, ცალი თვალი გააღო, ოდნავ, ალბათ, შეამოწმა მართლა მე ვიყავი თუ არა და, როცა დარწმუნდა, რომ მართლა მე ვიყავი, ისევ დახუჭა თვალი და თავი მოიმძინარა. მე გვერდით მივუწექი, თავქვეშ ხელები ამოვიდე და ასე ვიწექი დიდხანს. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვკითხე სოფიოს:

– გძინავს?

სოფიომ არაფერი მითხრა, ისევ ცალი თვალი გაახილა, შემხედა, ისევ დახუჭა და კრუტუნი განაგრძო.

– სოფიო, – ვუთხარი მე, – ამოიღე ხმა, დალოცვილო, რას მემდური, დეიდა მართასთან ვიყავი, სხვასთან ხომ არავისთან ვყოფილვარ... – სოფიოს, ალბათ, უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ სოფიო მურადა არ იყო და სოფიოს არ შეეძლო მურადასავით გაეგო ჩემი. მას არ ესმოდა ჩემი ლაპარაკი, არც მე მესმოდა მისი. ჩვენ მხოლოდ თვალებით ვუგებდით ერთმანეთს.

– სოფიო, – განვაგრძე მე, – დღეს ჩემი დაბადების დღეა, იცი შენ რამდენი წლის გავხდი? – სოფიომ არ იცოდა და არც აინტერესებდა. მაშინ თვალებში ჩავხედე სოფიოს და სოფიო მიხვდა, რომ მე რაღაც მიხაროდა, ამიტომ გადმობრუნდა ჩემსკენ და რაღაც მითხრა. მე ვერ გავიგე სოფიომ რა მითხრა და ყველი მოვფხანე საჩვენებელი თითით.

სოფიოს ესიამოვნა და თვალები მინაბა. მე ძალიან მინდოდა იმ ღამით ვინმესთვის მესიამოვნებინა და კმაყოფილი დავრჩი, ჩავიკარი გულში სოფიო და ორთავემ ტკბილად დავიძინეთ. მე ილარიონი, ილიკო და ბებია მესიზმრებოდა, სოფიოს კი, ალბათ, თაგვები.

გათენებას არაფერი აკლდა, ეზოში რომ ვიღაცამ – მასპინძელოო! – დაიძახა. მე ამ ოჯახის მასპინძელი არ ვიყავი და ამიტომ წავუყრუე.

– მასპინძელო! – ახლა უფრო ხმამაღლა დაიძახა ვიღაცამ. დეიდა მართას ოთახში რაღაც გახმაურდა, მერე ფოსტლები ატყაპუნდნენ, კარი გააღეს და გასძახეს:

– ვინ ბრძანდებით?

– ზურიკელა ვაშალომიძე მინდა! – იყო პასუხი.

– ვინ?

– ზურიკელა სულძაღლიანი, ვაშალომიძე!

ღმერთო ძლიერო, წმინდაო მარიამ. დეიდა მართა, სოფიო, თქვენ იცით, რა არის სასწაული? თქვენ იცით როგორ სკდება გული სიხარულისგან? არ იცით? არც იმ კაცმა იცის, ზურიკელა ვაშალომიძეს რომ კითხულობს? იქნებ დეპეშაა სოფლიდან? არა, დეპეშა არ არის, აბა, რაშია საქმე? რამე მოიხურე, ზურიკელა ბიჭო, როგორ შეიძლება, ორთავე კარს ნუ გააღებ. გაიხედე, იქნება მოგეჩვენა. არა, არა, ორთავე კარი გააღე, ადექი შიშველი, გავარდი ეზოში, იყვირე, იკივლე, იბღავლე, იმღერე და იტირე, ზურიკელა! ეზოში მხარზე ხურჯინგადაკიდებული, ყაბალახდათოვლილი და ცხვირგალურჯებული შენი ილარიონი დგას!

777

ილარიონს ახსოვს ზურიკელას დაბადების დღე, მთავრობამ რომ ბერდანკა ჩამოართვა, ის ბერდანკა დაცალა მაშინ. ილარიონი მოკვდება და ზურიკელას დაბადების დღე არ დაავიწყდება. ილარიონს არავინ ჰყავს ამ ქვეყანაზე უფრო საყვარელი, ვიდრე ზურიკელა. ილარიონმა დაბადების დღეზე თავის ზურიკელას წინდა ჩამოუტანა, არაყიც ჩამოუტანა, ღვინოც, ჩირიც და ფულიც, აბრეშუმის პრემიაზე მიღებული შვიდასი მანეთი. მერე რა, რომ ზოგი ილიკომ და ზოგი ბებიამ გამოატანა, მაინც ილარიონმა ჩამოიტანა, ბებიას წერილიც ჩამოუტანა ზურიკელას ილარიონმა, მერედა რას წერს ბებია ზურიკელას:

„ნენა, შენ ახლა ნასტავლი კაცი ხარ, დიდი გამავლობა და სახელი გაქვს თბილისში, უნივერსიტეტიდან წერილი მიიღო შენმა სკოლამ, ეს ვინ გამოგვიგზავნე, ამას რას ვხედავთ, ამას რას მოვესწარითო, ვიცოდი, ნენა, რომ გააგიუებდი ქვეყანას და შენ იცი, აბა, ბებიაშენს არაფერი არ უნდა შენი, ოცი წლის ხდები, ხომ? მაგის გაისად ქალს მოგგვრი, შენს ბაღანას ვინ დოურწევს, აბა, აკვანს? მერე მოვკვდები და შენ უნდა დამიკრიფო გულზე ხელი, შენ ამიტანო სასაფლაოზე და შენ დამიტირო, მარა შენს თვალზე კურცხალი არ დევინახო. სიმღერით და სიცილით გამასვენე, ნენა. მე ჩემი საქმე მოვათავე უკვე. ახლა მე და ილიკო გიგზავნით ილარიონას პატარა ძღვენით. მიხედე შენებურად, თვალის ტკივილს უჩივა. შენი იმედი აქვს. დაახვიე პროფესორები და უშველე რამე. ილიკოს ძროხას ორი ხბო შეეძინა, არქიფო ღრანჭიანი მოკვდა, კვირას დავმარხეთ. მატრონა დაფეხვილმა გაათხუა თავისი ნიგუზალივით შავი მაყვალა. აბა,შენ იცი, ნენა. მოგიკითხა მერიმ და ყველამ, გკოცნის შენი ბებია ვოლღა“.

ზურიკო ამ წერილს მთელი დღე კითხულობს, მეორე დღესაც კითხულობს, მესამე დღესაც.

ზურიკოს ცივა, ზურიკოს რცხვენია, ზურიკოს ტირილი უნდა, ზურიკო ყველაფერს დაანებებს თავს, თბილისს, სწავლას, დიპლომს. ზურიკო მოკრეფს თავის გუდა–ნაბადს, აიღებს ბილეთს და წავა სოფელში თავის ბებიასთან და მერისთან. ჰო, წავა, მერე მივა და ჰკითხავს მერის:

– გცივა?

– მცივა! – ეტყვის მერი, – მაშინ ზურიკო გაიხდის ქურქს, მოახურავს მერის და ეტყვის:

– მე არ მცივა! – თუმცა ეციება, ძალიან ეციება. მერე ჩაიკრავს გულში და გათენებადე ივლის მასთან ერთად უკვალავ თოვლში.

მეორე
ცალთვალა

უკვე ერთი თვეა ილარიონი ჩემთან ცხოვრობს, მას არ მოსწონს ჩემი ოთახი, არც ჩემი ბიბლიოთეკითაა მაინცდამაინც კმაყოფილი.

– ბალზაკი – „შაგრენის ტყავი“, რომენ როლანი – „კოლა ბრუნიონი“, პროსპერ მერიმე – „მატეო ფალკონე“, ჰიუგო – „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, ჯავახიშვილი – „კვაჭი კვაჭანტირაძე“, დიკენსი – „დავით კოპერფილდი“, გალაკტიონ ტაბიძე – „რჩეული ლექსები“, ომარ ხაიამი – „რობაიები“, გამსახურდია „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, ჭონქაძე, – აწყობს იგი ერთმანეთზე წიგნებს, მერე სათვალის ზევიდან მიყურებს და გაკვირვებული მეკითხება:

– ეგნატე ნინოშვილი რა უყავი, შე უპატრონო?

– ეგნატეს არაფრით არ ჩამოუვარდებიან მაგენი. – ვამშვიდებ ილარიონს.

– ვის? – მეკითხება იგი, – ეგნატეს? რომელი ერთი დოუდგება გვერდში?

– ყველა!

– ვინ? ნახევარის გვარი პირველად მესმის.

– წაიკითხე და ნახავ, – ვეუბნები მე. ილარიონი თავს აკანტურებს, დამცინავად მიყურებს და წიგნებს უხალისოდ ფურცლავს.

დღისით მე და ილარიონი ქალაქში დავეხეტებით. შევდივართ ტანსაცმლის ყველა მაღაზიაში. ილარიონი დიდხანს დგას ხოლმე მზა ტანსაცმლის განყოფილებაში და ნაღვლიანი თვალებით უმზერს შიგნიდან ქურქგამოკრულ წითელ ტყავის პალტოს, მერე იწყება რკინა–კაევულის მაღაზიის თვალიერება. იგი გულმოდგინედ ათვალიერებს დახლზე დაბმულ ყველა ქლიბს, ჩაქუჩს,

ხერხს და ბოქლომს. მერე მოიკითხავს ვენახის შესაწამლი მანქანა ხომ არ გაქვთო და პასუხის გაცემამდე გამოდის გარეთ. ყველაზე დიდხანს მაინც მონკავშირის მაღაზიაში ჩერდება ილარიონი.

– თოფისწამალი გაქვს? – ეკითხება დახლზე გადახრილი ილარიონი ჩურჩულით გამყიდველს.

– არა! – მოკლედ პასუხობს გამყიდველი.

– ტყვია?

– არც ტყვია!

– ეზალა?

– ეზალა რა ჯანდაბაა! – უწევს ხმას გამყიდველი.

– კაპსულია, შე უბედურო! – უწევს ხმას ილარიონიც, – პიჟი?

– ლაპარაკი ისწავლე, ვინ არის შენი პიჟი! – ყვირის გამყიდველი.

– რავა ღრიალებ დაკოდილი დათვივით და მოგდგომია დუჟი პირზე, ვისაა რომ უყვირი! – იქაჩება ილარიონი.

– ვინ არის დაკოდილი? – ჩურჩულით კითხულობს გამყიდველი და აქეთ–იქით იყურება.

– ჰაიტ, შე გლახა, შენ მასწავლი ყვირილს?!

– კაცო, ვინ არის ეგ, მომაშორეთ, თორემ მოკლავ! – ხელებს შლის გამყიდველი.

საქმე სერიოზულ ხასიათს იღებს და ილარიონს კარისკენ მივათრევ.

– რითი მომკლავ, შე მათხოვარო, ტყვია შენ არ გაქვს და წამალი, – ყვირის ილარიონი გზადაგზა.

თუ სადმე შორს მივდივართ, მაშინ ტრამვაიში ან ტროლეიბუსში ვსხდებით. ბილეთს, როგორც წესი, ილარიონი იღებს, იმიტომ, რომ მე სტუდენტი ვარ და ჩემი გაჭირვება მეყოფა. პირველად ილარიონს უხაროდა, კონდუქტორი ფულის გამორთმევის დროს რომ თვალს უკრავდა, ხელისგულს ფხანდა და ბილეთს არ აძლევდა, ეგონა, მოვეწონეო. მაგრამ როდესაც იგივე პროცედურა მამაკაცმა კონდუქტორმაც ჩაუტარა, ილარიონმა ველარ მოითმინა და მთელი ვაგონის გასაგონად უთხრა:

– თვალს ნუ მიპაჭუნებ და ბილეთი მომეცი, თორემ სიგრძეს სიგანედ მოგცემ.

საღამოობით კინოში დავდივართ მე და ილარიონი, ცირკშიც მყავდა, ზოოპარკშიც, მინდა, რამეთი გავაკვირვო და განვაცვიფრო, მაგრამ ილარიონს არაფერი არ უკვირს თბილისში, გარდა სამი რამისა: პირველი – როდის ვსწავლობ მე; მეორე – რატომ აქვს ცირკის მასხარას მწვანე თმა და მესამე – როგორ ძლებს თბილისში ამდენი ხალხი ადესა ღვინის, პრასისა და გაფიცხებული ჭადის გარეშე. თუ კინოში არ ვართ, მაშინ დეიდა მართას ოთახში ვუსხედვართ დიდ რუსულ სამოვარს, ილარიონი გვიყვება ქვეყნის ამბებს, ჩვენ კი ვისხამთ დუღარეს ხახაში და ვხარხარებთ. ილარიონს მოსწონს დეიდა მართა, დეიდა მართასაც მოსწონს ჩემი ილარიონი. ნამდვილი ქართული ცხვირი აქვსო, – მეუბნება.

ღამღამობით მე და ილარიონი ერთად ვწვებით ლოგინში. დაძინებამდე იგი ან წიგნს კითხულობს, ან წაკითხულს არჩევს, ან თბილისის ამბებს მეკითხება და მორალს მიკითხავს. ხანდახან ყველაფერს ერთად აკეთებს. სოფიო ამ დროს წევს ჩვენს შუა, ყურს გვიგდებს და სასიამოვნოდ ხრუტუნებს.

ილარიონს ჩამოსვლის დღიდან არ მოუვიდა სოფიო თვალში. არც სოფიო დნება ილარიონის სიყვარულით. მან ილარიონი ჩემს ლოგინში ჩაგორებული რომ დაინახა, იმავე დღიდან შეიძულა, კუდი აიპრიხა, კუზიანი გახდა და დაიფხუკუნა. ილარიონმა ყოველგვარი შესავლის გარეშე სოფიოს ქეჩოში სტაცა ხელი, ადგა, ფანჯარა გააღო და, სანამ გონს მოვიდოდი, სოფიომ თოვლში დაყვინთა. მე ავუხსენი ილარიონს, რომ სოფიო ჩვენი ოჯახის კანონიერი წევრია. ასევე ავუხსენი სოფიოს შეძლებისდაგვარად, რომ ილარიონი ჩვენი მოყვარეა და ორთავე დაწყნარდა, მაგრამ დროდადრო მაინც ავლენდნენ სიძულვილს ერთმანეთის მიმართ.

– გადააგდე, ბიჭო, აგი რწყილიანი, თორემ მივასხმევინე ტვინი კედელზე მთხლესავით. – მეუბნება ილარიონი.

– იყოს, რას გიშლის. – ვეუბნები მე.

– რავა არ მიშლის, გადაბრუნების მეშინია, არ დავაწვე და თვალები არ ამომბწკენას.

– შენც ნუ გადაბრუნდები.

– ვიწვე, აბა, ასე გულხელდაკრეფილი? გამასვენე ბარემ და ის იქნება.

– სად წავიყვანო, აბა?

– შეაგდე ტახტის ქვეშ.

– ტახტის ქვეშ ცივა.

– კარგი აბა, მე შევძვრები ტახტის ქვეშ და იყოს მაგი გაჭიმული ზევით.

– შეძვერი! – ვეუბნები ილარიონს. ილარიონი აღარაფერს მეუბნება, ოღონდ ქეჩოში ორთითწავლებული სოფიო ერთხანს ჰაერში პროწიალობს, მერე კნავილითა და ბრახვანით ეხეთქება იატაკს, ძვრება ტახტის ქვეშ და მოთმინებით ელოდება, როდის ამოუშვებს ილარიონი ხვრინვას, რომ ისევ ამოძვრეს ლოგინზე და თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს. მაგრამ ილარიონი შუაღამემდე ან იძინებს.

ილარიონი ავადაა. მარცხენა თვალი სტკივა, ძალიან სტკივა. იგი ჩემმა სიყვარულმა და ამ თვალის ტკივილმა ჩამოიყვანა თბილისში, ილარიონი მშიშარა არ არის, მაგრამ, ეშინია, მაინც ეშინია. იმიტომაც ვერ გავაბედინე აქამდე ექიმთან მისვლა. საავადმყოფოს ხომ ვერ უხსენებ: არადა სტკივა! ამ ღამით თვალმა ისე შეაწუხა ილარიონი, დეიდა მართას კედლის წაქცევის რომ არ ეშინოდეს, უეჭველად გავა ზედ. მე კუდში დავდევ აწრიალებულ ილარიონს და ვერაფრით ვერ ვამშვიდებ. დილისათვის ილარიონს თვალი ოდნავ დაუცხრა. საჩქაროდ ჩავიცვით ტანზე, ძღვენის

სახით ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი, ერთი ხაჭაპური წავიღეთ და დეიდა მართას მისწავლებულ და, მისსავე თქმით, ძალიან ცნობილ, სამამულო ომის მონაწილე და თვითონ ცალთვალდაფესბულ კერძო ექიმთან გავიქეცით, რომელმაც თურმე დეიდა მართას ღიბლიბო სულ რაღაც ერთ თვეში მოურჩინა და, რომელიც ჩულურეთში ცხოვრობდა.

ძალიან გაგვიკვირდა, როდესაც ექიმის სახლის კართან როტომღაც რიგი არ დაგვხდა.

– დავიღუპე, მგონი, დღეს მიღება არ აქვს! – თქვა ილარიონმა.

– მივალ, დავუჩოქებ და მაინც მივაღებინებ შენს თავს, – დავამშვიდე თვალცრემლიანი ილარიონი. კარზე დავაკაკუნე, დერეფანში სკამი ახრიალდა. მერე ვიღაც აჩურჩულდა, მერე ვიღაცამ ოთახის კარი მიაჯახუნა, მერე კიდევ რაღაც ახმაურდა და კარი გაიღო. შიგ ბალიშის ბურდღლით თმაგამოტენილი და შეშინებული დაბალი ქალი იდგა.

– ქალბატონო, – დავიწყე მე, – ვიცი, პატივცემულ პროფესორს დღეს მიღების საათები არა აქვს, მაგრამ ეს კაცი ჩემი ბიძაა და...

– უი, თქვენ რა გითხარით, ინკასატორები მეგონეთ! – შემაწყვეტინა ქალმა. მერე სკამზე შედგა, ხალათის ჯიბიდან გაღუნული მავთული „ულიკი“ ამოიღო, ელექტრომრიცხველს ქვევიდან შეაკვეხა და ისევ ჩამოვიდა.

– რაო, რა გნებავთ?

– ექიმმა უნდა მიგვიღოს, თორემ სულ ერთია აქედან ფეხს არ მოვიცვლით! – ვთქვი მე და წინააღმდეგობის გასაწევად მოვემზადე.

– ამ წუთში მიგიღებთ, ბატონო, რას ამბობთ, თქვენ ვინ მოგასწავლათ ჩვენთან, შემოდით, შემოდით, ნუ გეშინიათ, მობრძანდით, მამონტი! – გასძახა ქალმა ვიღაცას. – მამონტი! მამონტი! გამოდი გარეთ. ავადმყოფები მოვიდნენ, ავადმყოფები! – ქალმა ხელი გვტაცა, დერეფანში ძალით შეგვათრია, მერე კარი გასაღებით ჩაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და ისევ მამონტის ძახილით მეზობელ ოთახში შევარდა. ოთახიდან მაღალი, წვერგაუპარსავი და ზოლიან პიუამაგადაცმული კაცი გამოვარდა, მას ცალი თვალი წითელი ჰქონდა, ცალი კი – მწვანე. ეს იყო დეიდა მართას ცნობილი თვალის ექიმი მამონტი წვერავა.

– შემოდით! – თქვა მან მკაცრად და ოთახში შეგვიძღვა. ჩვენ შევედით. ოთახში ერთი საწოლი, საწერი მაგიდა, ორი სკამი იდგა.

– ამაზე ავადმყოფი დაჯდეს! ამაზე ჭირისუფალი! – მიგვითითა ექიმმა სკამზე და ლოგინზე. თვითონ საწერ მაგიდას მიუჯდა, შუბლზე პრიალა ფეთში აიკრა და ფანქარი მოიმარჯვა. ჩვენ ჩვენ–ჩვენი ადგილები დავიკავეთ.

– რას უჩივით? – ჰკითხა მან ილარიონს.

– თვალს ვუჩივი! – თქვა ილარიონმა და მტკივან თვალზე ხელი მოისვა.

– გასაგებია. რა დაგიშავა?!

– რა დამიშავა და მამულები ჩამომართვა. ვერ ხედავ, რომ მევსება?

– რითი ექიმობდი სოფელში?

– ჯერ იყო და ჩაის წყალს ვისხამდი შიგ, მერე რძეს.

– შაქარს არ იყრიდი? – ჰკითხა ექიმმა.

– დამცინი, ექიმო? – ჰკითხა ახლა ილარიონმა.

– ჩემი დასაცინი რა გჭირს, იმდენი რძე და ჩაი გქონია, თვალში ისხამდი თურმე. – თქვა ექიმმა. – ღვინოს სვამ?

– კი! – უთხრა ილარიონმა.

– ღვინო არ ვარგა. – უთხრა ექიმმა.

– პაპიროსს თუ ეწევი?

– პაპიროსსაც ვეწევი! – თქვა ილარიონმა.

– მომაწევიე აბა, ერთი! – თქვა ექიმმა.

– მიეცი, ბიჭო, პაპიროსი! – მითხრა ილარიონმა.

მე პაპიროსი ამოვიღე და ექიმს მივაწოდე. ექიმმა კოლოფიდან ორი პაპიროსი ამოიღო, ერთი პირში გაირჭო, მეორე – აგი ნასადილებსო და – ყურზე ჩამოიდო.

– კიდევ ინებეთ, ბატონო, – ვუთხარი მე და კოლოფი გავუწოდე.

– კარგი, შენი ხათრით ორს მოვწევ ნასადილებს. – თქვა მან, კიდევ ერთი ღერი ამოიღო და მეორე ყურზე ჩამოიდო. კიდევ კარგი, ორი ყური ჰქონდა, თორემ მე და ილარიონი უპაპიროსოდ დავრჩებოდით იმ დღეს.

პაპიროსის წევით რომ გული იჯერა, ილარიონთან მივიდა, წინ დაუჯდა და თვალი ჩამოქაჩა.

– გტკივა?

– აბა, არ მტკივა?

– ნერვიული ხარ?

– ნერვიული კი არა, გადარეული ვარ, ექიმო, და თუ არ მიშველე რამე, ამ კედელზე გავალ ახლა. – თქვა ილარიონმა.

– იცის მასე თვალმა. სხვათა შორის, მე რომ თვალი ამტკივდა, ბაწარში ვუყრიდი თავს.

– შენ რაღა დაგემართა, შე უბედურო? – შეეცოდა ილარიონს ექიმი. თან თვალით მანიშნა – არაყი და ხაჭაპური დადგი მაგიდაზეო.

მე ბრძანება შევასრულე.

– ეს რა არის! – იყვირა ექიმმა.

– ცოტა სიცივეა შენთან და თითო–თითო რომ გადაგვეკრა, არ იქნებოდა ურიგო. – თქვა ილარიონმა.

– მხოლოდ თითო! – თქვა ექიმმა, ბოთლი შეანჯღრია, ძეწკვი გაუსინჯა და კმაყოფილმა თვალები აახამხამა.

– ჭაჭაა, 60 გრადუსია! – თქვა ილარიონმა, საწერ მაგიდაზე დაგორებული პატარა თიხის ჭურიდან ფანქრები ამოყარა, ხელისგულზე დაიფერთხა, შიგ არაყი ჩაასხა და ექიმს მიაწოდა.

– აგაშენათ ღმერთმა! – თქვა ექიმმა და ჭურჭელი პირში გადაიმხო. უცებ პირი დაადო, თვალები ჭერს მიაპყრო – ჰუო, დაიძახა, თითქოს ელექტრონათურის ჩაქრობა უნდაო და ხაჭაპურს ებდღვნა. ჯერი ჩემზე და ილარიონზე მიდგა, ჩვენც გამოვცალეთ, ჩვენც შევუბერეთ თითო–თითოჯერ ელექტრონათურას და სასმისი ისევ შევავსეთ. მეორე ჭიქაზე ექიმი ისევ თავის თვალს დაუბრუნდა:

– მე რომ თვალი ამტკივდა, ბაწარში ვუყრიდი თავს, შენი სახელი?

– ილარიონი!

– შენი?

– ზურიკო!

– ჰოდა, დამესიენ ექიმები, ეს გერმანული წამალიაო, ეს ამერიკულიო, ეს ექიმბაშისაო, ეს შინაურიო, მაგრამ გაგიგონია? რა გქვია შენ?

– ზურიკო!

– გაუმარჯოს ილარიონს! – თქვა ექიმმა და მეორეც გადაკრა.

– ექიმს გაუმარჯოს! – თქვა ილარიონმა და ახლა იმან გადაკრა. მერე მეც გადავკარი და რატომ გავიღიმე, თვითონვე გამიკვირდა.

მესამე ჭიქა რომ დალია, ექიმმა ლოყაზე ხელი მომითათუნა და ისევ სახელი მკითხა, მეც მოვუთათუნე ლოყაზე ხელი და ჩემი სახელი ისევ ვუთხარი.

– დამესიენ, ზურიკო ბიძია, ექიმები, მაგრამ ექიმის მორჩენილი კაცი გინახავს შენ?

– როგორ გეკადრებათ, ბატონო?!

– ჰოდა, იმდენი მიტრიალეს, იმდენი, სანამ თვალი არ ამომთხარეს და შუშაბანდი არ ჩამიდგეს შიგ, მაგრამ კარგი ნახელავი კია. აბა, თუ ეტყობა, შუშა რომაა! – ჰკითხა მან ილარიონს და წითელი თვალი თითით ჩამოქაჩა. ილარიონმა არაყი გადაკრა და ექიმს თვალებში ჩააშტერდა.

– რომელზე ამბობ?

– წითელზე!

– არაფერი არ ეტყობა, შენ ნუ მომიკვდები, მარა მაგასაც რომ მწვანედ შეაღებინებდე, მაშინ სულ არ შეეტყობა.

– შენ რომელი თვალი გტკივა? – ჰკითხა ექიმმა ილარიონს.

– ექიმო, შენ ორივე თვალი შუშის ხომ არ გაქვს? – აუწია ხმას ილარიონმა და არაყი დაუსხა.

– შენ თავს ვფიცავარ, მარტო ეს თვალია შუშის, ხომ გითხარი, არ ეტყობა–მეთქი! – გაუხარდა ექიმს.

– ახლა გაუმარჯოს ჯანმრთელ კაცს, ღმერთმა გვაშოროს ექიმი და შავი ჭირი. – თქვა ილარიონმა და ცარიელი ჭიქა ექიმს გადასცა.

– მე ექიმი ვარ, – დაიწყო მან, – მართალია, დიპლომი არ მაქვს და ჩემს კარზე არაა გამოკრული მარმარილოს დაფა წარწერით, მაგრამ მე მაინც ექიმი ვარ. სამინისტროში ჩემი მუშაობა არ მოსწონს ზოგიერთს და დაძვრებიან აქეთ–იქით ანონიმკებით და ჯარიმის ქვითრებით, მაგრამ ჩემს ხელობას ვინ წამართმევს? ვერავინ! მე ბევრს არ ვუყვარვარ, მაგრამ მე ვიცი, რომ ექიმი საერთოდ არ უყვარს ავადმყოფს, იმიტომ, რომ ექიმი ავადმყოფის გარეშე თვითონ ავადმყოფია და, მე ავად რომ ვარ, თავი მეზიზღება. ექიმის ნდობა როგორ შეიძლება, მაგენი რომ თავის ჭკუაზე მიუშვა, გაწყვიტავენ ქვეყანას. რა გქვია შენ? – მკითხა ისევ ექიმმა.

– მაგას ზურიკელა ჰქვია და გეყოფა აწი სმა, თორემ თვალი რომ ჩაგიდგეს, ჭკუასაც კი ვერ ჩაგიდგამენ, – ეწყინა ილარიონს.

– ახლა ისე წინ წავიდა მედიცინა, ჩემო... რა გქვია შენ? – ჰკითხა ახლა ილარიონს ექიმმა.

– მე არაფერი არ მქვია, თუ შეგიძლია მითხარი რა მჭირს ამ თვალში, თუ არა და მითხარი, რომელია შენი ლოგინი და ჩაგაგდებ შიგ.

– ...ახლა ისე წავიდე წინ მედიცინა, რომ მალე შეიძლება ტვინი კი არა, კაცი გამოცვალონ მთლიანად. მაგალითად, მოიყვანეს ცოცხალი კაცი, დასვა ექიმმა სკამზე, დააჭირა კნოპკას თითი და წაიყვანეს მკვდარი, აბა, როგორ გგონია შენ?

– მაგი კი ვიცი მე! – თქვა ილარიონმა.

– თუ იცი, აბა, რის გეშინია, ამოგთხრიან თვალს! ისეთს ჩაგიყენებენ, ნამდვილს აჯობებს. შუშის თვალი, შენ რა გგონია, რითია ნამდვილზე ნაკლები, – უკეთესიცაა. შუშის თვალს ამოიღებ ღამე, ჩადებ ჭიქაში და წევხარ შენთვის მოსვენებული. ნამდვილ თვალს ამოიღებ? ვერა! მაგალითად, პირს იბან დილით, ჩაგივარდა საპონი თვალში, რომელი აგეწვება? ნამდვილი. შუშის თვალი კი არის თავისთვის არხეინად. კიდევ უკეთესი, – ზიხარ სოფელში ბუხართან, ჩაგივარდა თვალში კვამლი. რომელი თვალი აგეწვება, ა? მაგაზე უკეთესი, შეგაყარა ვინმემ ნაცარი, ან შეგასხა ქერძაფი თვალებში, რომელი თვალი დაგეფსება? კიდევ მაგაზე უკეთესი...

– მაგაზე უკეთესს ვეღარაფერს იტყვი, შენ, ჩემო ძამია, იმის ოჯახი დეინგრა, ვილაცამ შენ ექიმობა დაგაბრალა, ექიმი კი არა, გენიოსი ყოფილხარ, ისე დამაფიქრე ახლა, სახლში რომ წავალ, ორივე თვალს დავითხრი და შუშას ჩავისვამ შიგ. – თქვა ილარიონმა და კიდევ დაასხა.

– აბა, რა გეგონათ თქვენ, რაც ეს შუშის თვალი ჩავიდგი, ერთი არ წამომტკენია, მერე. ძირს ნამდვილი თვალი, გაუმარჯოს შუშის თვალს! – გვესროლა ლოზუნგი ექიმმა და გადაკრა, – სიტყვა მე ავიღე.

– გაუმარჯოს შუშის თვალს, შენ გაგიმარჯოს, ჩემო ბიძია, ამ კაცს რომ უყურებ, ეს კაცი ქვეყანას მირჩევნია მე, ეს ჩემი ილარიონია, ამ კაცს თვალი ტკივა...

– რომელი თვალი? – იკითხა ექიმმა და ისე შემხედა, თითქოს ახლა შევემჩნიე.

– წელან რომ ტკიოდა, ისევ ის, – ვთქვი მე.

– მერე რას უყურებს, ამოიღოს. ბაბალე, შემოიტანე ადუღებული წყალი და დანა! – გასძახა მან ცოლს და თავი მაგიდაზე დადო.

– რა შემოვიტანო? – შემოყო ოთახში თავი ბაბალემ.

– ტაშტი შემოიტანე და დაუდგი ამ უბედურს, – უთხრა ილარიონმა.

– რა მოუვიდა? – იკითხა ბაბალემ და ლოყა ჩამოიბღოტა.

– ჯერ არაფერი არ მოსვლია. – ვთქვი მე.

– მამონტი, მამონტი! – შეიცხადა ბაბალემ.

– დავასხი თავსლაფი მაგის ნათლიას, სახელი გამოელია? რაა მამონტი, დავარქმევდი ან ილიკოს, ან ილარიონს, არადა სერაპიონა უფრო მოუხდებოდა მაგას, რას იტყვი შენ, ზურიკელა.

მე რა უნდა მეთქვა, ვიდექი და ყურებამდე ვიღიმებოდი. მამონტის ოთახი ხან ბნელდებოდა, ხან ნათდებოდა, ხან ირწეოდა, ხან ჩერდებოდა.

– რა უქნინთ ამ კაცს? – მივარდა ბაბალე ილარიონს.

– გაწიე, ქალო, მაი ბურდღიანი თავი, მე რა უნდა მექნა, არაყმა უქნა, გავესინჯე მაინც მაგ შეჩვენებულს, რავა გლახად დასობილი სარივით წეიქცა ეს უპატრონო! – თქვა ილარიონმა და ბოთლი აიღო.

– ნუ გეშინია, ილარიონ, მე გაგსინჯავ! – ვუთხარი მე, ბარბაცით მივედი საწერ მაგიდასთან, ჯოხი ავიღე, კედელზე გაკრულ ანბანზე დავარჭვე და ილარიონს ვკითხე:

– აგი ასო რომელია, ილარიონს ვენაცვალე?

– რომელი, ზურიკოს შემოვევლე? – მკითხა ილარიონმა.

– აგი, ა!

– რომელი, შე მამაძაღლო, წეიკითხე!

– რომელი და ჭ! – ვუთხარი მე.

– ჭუ! – თქვა ილარიონმა.

– ყოჩაღ, ილარიონ ბიძია, მშვენივრად ხედავ! აბა, ეს რა ასოა?

– მაგი რომელი?

– შებრუნებულ ხ–ს რომ გავს.

– ძ იქნება მაგი, – მიხვდა ილარიონი.

– მოდი, გაკოცო ცხვირზე, – დავუძახე მე ილარიონს და ჩვენ ერთმანეთს ჩავეხუტეთ.

– გადით გარეთ! – იკივლა ბაბალემ და ქეჩოში გვტაცა ხელი ორივეს.

– ჩვენ კი წავალთ, მარა ამას რა ეშველება, სარეცხივით რომაა სკამზე გადაკიდებული! – თქვა ილარიონმა და მამონტის თავზე ხელი გადაუსვა.

– გადით! – შეგვიცხადა ბაბალემ და ოთახში მძიმე ნივთს დაუწყო ძებნა.

> შენც გურული, მეც გურული, რეროო...
> ორივე ვართ მოდღურული, რეროო... –

წამოიწყო ილარიონმა, პირველი მითხარიო, მანიშნა თითით, მერე მხარზე ხელი გადამხვია და ჩვენ ბარბაცით გამოვედით მამონტი წვერავას ოთახიდან.

იმ ღამით ძალიან ასტკივდა თვალი ილარიონს, ისე ასტკივდა, რომ თვითონ მთხოვა სასწრაფო დახმარებას დაუძახეო. შუაღამისას სასწრაფო დახმარებამ წაიყვანა ჩემი ილარიონი, იგი იღიმებოდა და აქეთ მამხნევებდა:

– ჰაიტ, შე გლახა, რავა ჩამოგიყრია ყურები სერაპიონასავით, ნუ გეშინია, არაფერი დამემართება, ისე კი გაუთენდა აღდგომა შენს სოფიოს, ჰო, ჰო, რას გაიჭიმება ჩემს ადგილზე? – მე კი ვიდექი ეზოში ყურებჩამოყრილი და თვალცრემლიანი ვუცქერდი ძალად გაღიმებულ ილარიონს, რომელსაც მტკივანი თვალიდან გადმოცვენილი ცრემლები საფეთქელზე გადმოსდიოდა და ჭაღარა თმაში ეღვრებოდა.

თხუთმეტი დღის შემდეგ ილარიონი საავადმყოფოდან ცალთვალა გამოეწერა. იგი უხმოდ მოვიდა სახლში და უხმოდ დაჯდა, არც მე მიკითხავს რამე, არც თვითონ უთქვამს. ასე გრძელდებოდა მთელი კვირა. მე მივდიოდა ლექციებზე, წინა მერხზე ვჯდებოდი, ზრდილობისათვის ლექტორს თანხმობის ნიშნად ყველა წინადადებაზე თავს ვუქნევდი და ლექციების შემდეგ გიჟივით სახლში გამოვრბოდი.

ერთ დღეს, ლექციებიდან რომ დავბრუნდი, კარი ღია დამხვდა, ოთახში შევიხედე, შინ არავინ იყო, ახლა ფანჯარაში გავიხედე და გავვოცდი. მზიანი დარი იყო, ილარიონს ეზოში სკამი გაეტანა, თუთის ძირას დამჯდარიყო, კალთაში სოფიო ეჯდა, პაპიროსს აბოლებდა და სადღაც მაღლა, ლურჯ ცაში იყურებოდა.

მე დავჯექი ფანჯარასთან და ილარიონს დავუწყე ყურება, იგი თავზე ხელს უსვამდა სოფიოს, ზურგს უუთოვებდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა. სმენად ვიქეცი.

– შენ გეუბნები, შენ, რა ვქნა ახლა მე, ცალთვალა კაცი და ცალხელა ერთია ორივე. შენ იცი? კაცს რომ თვალისჩინი დაეკარგება, ღამეა იმისთვის ქვეყანა, ბნელია, სკვარამია, უკუნეთია. თუ ცალი თვალისჩინი დაკარგა, ნახევარია მზეც და მთვარეც მისთვის, დღეც და ალიონიც, არ უნდა ამომელო? მეორე თვალიც გაგიფუჭდებაო, ასე მითხრეს. ჰოდა, სულ არარაობას ერთი თვალი ვარჩიე. შენ გეყურება ჩემი? აფსუს, მურადა რა გენიოსი იყო. შენ აბდალი ხარ, აბდალი, რას კნავი, რომ კნავი. გეწყინა? ეგება გეყურება, მაგრამ რას იზამ, ხომ ვერ იტყვი. იმას გეუბნები, რომ აღარ ჩამესვლება სოფელში, ჩემი დღე და მოსწრება ილიკოს რომ ბრუციანს ვეძახდი, რა პირით შევხედო ახლა. ხომ გაიგებს ამ ამბავს, ხომ უნდა ჩავიდე სოფელში, აბა ცას ხომ არ გამოვეკერები, კარგი, დავრჩები კიდევ ერთ, ორ თვეს, სანამ მომიშუშდებოდეს თვალი, მაგრამ მერე რა ვქნა, ილიკო ისე შტერია, რომ შუშის თვალს და ნამდვილს ვერ გაარჩევს ერთიმეორისაგან? რავა ფიქრობ შენ, ა? ხომ არ ჩაუტანო ერთი შუშის თვალი იმასაც და ხომ არ ვუთხრა – ა, შენ, ჩემო ილიკო, მორჩა აწი შენი და ჩემი ციგნობა, ჩაიდგი აგი თვალი ჩემს სახელზე და აღარც შენ იქნები ბრუციანი და აღარც მე. რავა ფიქრობ შენ, დამთანხმდება, თუ გაუხარდება, მეც რომ ცალთვალა ჩაუვალ. რაო, გაუხარდებაო? არ თქვა მაგი მეორეჯერ, არ იცნობ შენ ილიკოს, მაგი რავა ამოუშვი პირიდან, გაუხარდება კი არა, ერთ სიკვდილს გაათავებს, რომ გაიგებს, არა? რავა არა, იმ ცარიელი თვალის მაგივრობას მე ვუწევდი მაგას, ახლა ორივეს ცალი თვალი გვაკლია და ერთმანეთს გავუწევთ თვალის მაგივრობას. მე და ილიკო რამ გაგვყო, ერთი ვართ ჩვენ და ერთ კაცს ორი თვალის მეტი რად უნდა. რად უნდა–მეთქი, შენ გეუბნები, ხომ არ უნდა? წადი ახლა, წადი, მაგას ვერ გაიგებ შენ, სანამ საკუთარ თვალს არ დაკარგავ.

ილარიონი დადუმდა, ისევ მოეფერა სოფიოს, მერე ჩამოსვა ფრთხილად კალთიდან და გაუშვა. სოფიო ფანჯრისაკენ წამოვიდა, ილარიონმა თვალი გამოაყოლა და მე დავინახე, რომ იგი ტიროდა.

გამარჯობა, ილარიონ!

ოპერაციის შემდეგ ილარიონს გული აღარ უდგებოდა თბილისში. მარტი ახლოვდებოდა და სოფელი ეძახდა ილარიონს. ეძახდა ჩიჩიყვგაბერილი გუგული თავისი კაფე – თესეთი. ეძახდა თავისი ბიბილომოღლეტილი მამალი, ეძახდა მისი რქამოტეხილი ბებერი ძროხა და მისი მამისეული ნაზამთრალი დიხაშხო მიწა, რომელიც ახლა, ალბათ, გულაღმა ეგდო სოფლის ფერდობზე, მზეზე თბებოდა და სიცოცხლეზე უტკბესი ოხშივარი ასდიოდა.

ილარიონის მარტო სოფელში გაშვება არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან იგი ჯერ ისევ სუსტად იყო, გარდა ამისა, მას სიკვდილივით ეშინოდა, ილიკოსთან შეხვედრისა. დიდი მუდარით გამოვთხოვე დეკანს ერთკვირიანი შვებულება და მე და ილარიონმა სოფლისაკენ გავწიეთ.

რიჟრაჟი იყო, ფერდობი რომ ავათავეთ, მთელი ღამის ყეფით დაღლილი ძაღლები ახლა ზარმაცად ეხმაურებოდნენ ერთმანეთს, ან უბრალოდ ზრდილობის გულისათვის ძილშივე ღრინავდნენ. ხეებში მწვანე სინედლე ჩამდგარიყო და ჩიტის ყოველ შეფრთხიალებაზე ციე ცვარს გვაფრქვევდნენ თავზე. ახლა დაღმართზე მივდიოდით.

– შეხედე, სულძაღლიანო, ბებიაშენი ამდგარა, – მითხრა ილარიონმა და ჩემი ოდის საკვამურისაკენ მიმახედა, რომლიდანაც ბამბის ქულასავით თეთრი, ქათქათა კვამლი ამოდიოდა. მე თავქვე დავეშვი სირბილით.

– ბებია, ბებიაა!!! – ოდის კარი გაიღო და ბირკვილს გახუნებულ– თავსაფრიანი, წელში მოხრილი ბებია მოადგა.

– ბებია! – ბებიამ ხელი მოიჩრდილა, ასე იდგა ცოტა ხანს, მერე დაფაცურდა, ეზოში ჩამოირბინა, საჩვენებელი და ცერი თითით ტუჩები მოიწმინდა და ხელები გაშალა.

– ზურიკელა, შვილო!

– მოვდივარ, ბებია, მოვდივარ! – ჩვენ ერთმანეთს ჩავეხუტეთ. მე ბებია ხელში ავიყვანე და ასე აყვანილი დავატარებდი სველ კოინდარზე.

– გელირსა, ნენა, ჩამოსვლა? რა ქენი, ბიჭო, აგი, ასე უნდა? გადაყევი ხომ სწავლას? დამეფსოს თვალები, რავა კორკიმელივით ჩამომხმარა, შვილო, შვილო!

– როგორ ხარ, ბებია?

– შვილო, შვილო, დაამთავრე, ნენა?

– რა დროს დამთავრებაა, ბებია, ახლა ვიწყებ სწავლას!

– უბედური ბებიაშენი, ყველას მაგივრად რავა შენ უნდა ისწავლო, გაუხმა თავი შენს მასწავლებელს, პატარა შეღავათს ვერ მოგცემს? უთხარი – ბებია მყავს ავადმყოფი, მოხუცი, უძლური–თქვა და ეგება ადრე დაგამთავრებიოს, თვარა წევიდა სული, ნენა, მოლოდინში.

– კი, ბებია, ვეტყვი! – ვამშვიდებ მე ატირებულ ბებიას. ილარიონი კი დგას ჩემს უკან, თავს აქიცინებს და ელოდება როდის ჩამოვსვამ ბებიას, რომ მოვიდეს და ადამიანურად მიესალმოს.

– ოლღა, გამარჯობა შენი! – თქვა ბოლოს და ბოლოს ილარიონმა.

– შენ გენაცვალოს ოლღა, მაპატიე, ჩემო ილარიონ, ამ კუდიანმა დამავიწყა შენი თავი. როგორ ხარ, ილარიონ საცოდავო, რას გიშვება თვალი?

– თვალი აღარ მაქვს, ჩემო ოლღა, და აწი რა ფეხები უნდა მომჭამოს.

– ტიტუ, ტიტუ, რა მითხარი, აგი, შეჩვენდა შენი სახელი, მაგის ხუმრობა ვინ გეიგონა, თვალი არაა მაგი რომ გაქვს?

– ამისთანა თვალი, ჩემო ოლღა, ილიკოს რომ კედელზე ჩამოკიდებული გამხმარი მიმინო ჰყავს, იმასაც აქვს.

– რავა, შუშისაა თუ?
– კი!
– ტიტუ–ტიტუ, მარა ნუ გეშინია, აგერ ვართ ჩვენ, ჩემო ილარიონ, შემოდით სახლში, შემოდით, ნამგზავრი მოშიებული იქნებით, – ისევ დაფაცურდა ბებია და სახლში შეგვიძღვა.
ნაშუადღევს მე და ილარიონი მის წინა ოთახში ვიჯექით და მეხის გავარდნასავით ველოდებოდით ილიკოს დაძახებას. მაგრამ ილიკო არსად ჩანდა. რაც დრო გადიოდა, ჩვენ უფრო ვლელავდით, ბოლოს გაწყდა მოთმინების ბაწარი. ეზოში ილიკო ჩამოვიდა. ილარიონს სუნთქვა შეეკრა.
– ილარიონ! – დაიძახა ილიკომ.
– გახედე, ბიჭო, იმ ბრუციანს, – მითხრა ილარიონმა ხრინწიანი ხმით და დოქიდან წყალი მოსვა. მე კარი გავაღე და ეზოში გავიხედე.
– გამარჯობა შენი, ილიკო ბიძია!
– გაუმარჯოს პროფესორს! – მიპასუხა ილიკომ, აივანზე ამოვიდა და ჯვარედინად გადამეხვია, მერე მომიშორა, უკან დაიწია, მიყურა, მიყურა, თავი გადააქნია და ისევ გადამეხვია.
– რას შვრები, ბიჭო, როგორ ხარ, ხომ ხარ ხარივით, მხეცივით, თუ ისევ ისეთი ძროხა და პირუტყვი ხარ, რომ იყავი? შენ გენაცვალოს შენი ილიკო, რას შვრები, გადარიე პროფესორები? ულვაში, ულვაში! – გაიკვირვა უცებ ილიკომ, მერე ხელი მტაცა ულვაშზე და მომქაჩა. – ნამდვილია!
– კი, ნამდვილია!
– გაჩერდი!
– გეუბნები, ნამდვილია!
– უნამუსო კაცს ულვაში? სადაა ღმერთი, თორემ შენ თუ ქოსა არ იქნებოდი, რავა მეგონა. ილარიონი სადაა? ილარიონა შევარდნაძე, გამოდი გარეთ, გამოდი, მე შენ გეუბნები, დამენახე!
– შემოეთრიე შიგ, სტუმარი თუ ხარ, თუ არა და წაეთრიე შინ! – დაიღრინა ილარიონმა ოთახიდან, ილიკო ოთახში შევიდა და ილარიონის წინ დადგა, ილარიონი ადგა და გაინაბა.
– გამარჯობა, ილარიონ, შენი!
– გაგიმარჯოს, ილიკო! – ილიკომ მკლავები გაშალა და ილარიონს გადაეხვია. ისინი დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს.
ბოლოს დავწყნარდით და დაბალ მაგიდას შემოეუსხედით. ილარიონმა ღვინო, ლობიო და პრასის წნილი გამოიტანა.
დიდხანს ედუმდით, ილიკო თუთუნს აბოლებდა, მე ილარიონს ვუყურებდი, ილარიონი კი იჯდა და ილიკოს ყოველ პირის დაღებაზე ფითრდებოდა. ბოლოს დუმილი ილიკომ დაარღვია.
– მოყევით ახლა ქალაქის ამბავი, როგორაა პროდუქტის საქმე, სიძვირეა, იაფობაა, თუ... ტარანი არ ჩამომიტანე, ბიჭო? – მკითხა უცებ ილიკომ.
– არ გამხსენებია!
– რაზე ფიქრობდი, შე უტვინო?
– რას შვება ილარიონა, აგი ბიჭი, სწავლობს რამეს? – ჰკითხა ახლა ილარიონს ილიკომ.
– წიგნი მაგის ხელში არ მინახავს და... – თქვა ილარიონმა.
– ზეპირად სწავლობს, ალბათ, რომელ კურსზე ხარ ახლა, სულძაღლიანო?
– სხვა რამეზე ვერ ილაპარაკებ? მაგის გასაგებად მოდი?! – გავბრაზდი მე.
– სხვაზე რაზე გელაპარაკო, შე მამაძაღლო, სასწავლებლად ხარ მგონია, წასული და თუ „ნასილჩიკი“ ხარ, მითხარი და გკითხავ.
– „ნასილჩიკი“ ვარ, ჰო.
– შენგან მაგიც გასაკვირია.
ილიკომ გვერდულად გადმომხედა და ღვინო დაისხა, მერე ილარიონს გახედა და სადღეგრძელო წარმოთქვა.
– გაუმარჯოს, აბა თქვენს ჩამოსვლას, ზრდილობა თქვენ არ გაქვთ და პატიოსნება, კაცი გახარებული მოვედი, ქალაქის ამბავს გავიგებ–მეთქი და თქვენ რავა მგლებივით დამხვდით. შევარცხვინე თქვენი ვაუკაცობა, ამ ცხვირამ რომ მოყვარე და ძმაკაცი არ იცის, მაგი ვიცი მე, მაგრამ შენ რას მედიდგულები, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო? – მკითხა ილიკომ.
მე შემრცხვა ჩემი საქციელის, მივედი ილიკოსთან და ვაკოცე.
– მაპატიე, ილიკო, დაღლილი ვარ და არ გეწყინოს.
– თქვენი ნახვა მიხარია მე, თორემ ილარიონა ცხვირას აძმარებული ღვინისთვის ვარ მოსული, თუ იცი?
– უი, ვიცი მე რისთვის ხარ მოსული! – თქვა ილარიონმა.
– მაინც რისთვის, შე მყრალო ბერიკაცო? – ილარიონმა ღვინო დაასხა.
– ილიკო ბრუციანო, გამომიჭირე, ხომ? ჩამიგდე ხელში, ხომ? მითხარი ბარემ, მომწამლე, დამშხამე, დამკბინე, დამტკვირე, ამომხადე სული, აგერ ვარ, არსად არ გავრბივარ.
– რა ექნა აწი, გაგიუდა ეს უპატრონო, გაცოფდა? რა აჭამე, ბიჭო? ოქროსავით კაცი გამოგიგზავნე თბილისში და რაა აგი შიშველი გადარეული რომ ჩამოიყვანე! – შემომიტია ილიკომ. მე და ილარიონი გაშტერებული შეეყურებდით ერთმანეთს. ნუთუ ილიკომ არ იცის, ილარიონს რომ შუშის თვალი აქვს, ნუთუ მართლა არ იცის? ვერ ატყობს, არ იცის, გადავწყვიტეთ ბოლოს ორთავემ და უცებ გავმხიარულდით. ილარიონმა ჭიქები გაავსო და თამადობაც იკისრა.
– ეს ჩვენს ჩამოსვლას და შენს დახვედრას გაუმარჯოს, ჩემო ილიკო!

– მასე, დალოცვილო, რას დამზაფრეთ ეს ცალთვალა კაცი, ცოდვა არ ვარ? ვინ მყავს თქვენს მეტი, თქვენზე უკეთესი, თქვენი ფასი. ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს! – თქვა ილიკომ და გადაგვკოცნა სათითაოდ.

ცოტა რომ შევთვერით, ილიკომ სიმღერა წამოიწყო:

შემოდგომა რომ დადგება,
შაშვი იწყებს გალობასო,
კაცი რომ გაღარიბდება,
ცოლს დაუწყებს ჯავრობასო...

– შენი ჭირიმე, ილიკო, შენი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ! – მოხვია ხელი ილარიონმა ილიკოს.

– ვიცი, ვიცი, ჩემო ილარიონ, თვალში რომ ჩაგივარდე, ხელს არ ამოისობ! – გაუღიმა ილიკომ. თვალის ხსენებაზე ილარიონმა ყურები ცქვიტა, მაგრამ ილიკო იჯდა მამა აბრამის ბატკანივით უცოდველი და სიმღერას განაგრძობდა:

გადამსმელ–გადამჭმელი ტინტრავა,
გამოზაფხულდება – შინ წავა...

– ეს გაუმარჯოს ილიკოს!
– ზურიკელა ღვთისპირიდან გადვარდნილს გაუმარჯოს!
– ილარიონა ცხვირას გაუმარჯოს!

ჭყინტი ყველის ჭამა მიყვარს,
თვალის ჩაპაჭუნებაო... –

ჩაიღიღინა ილიკომ.

ილარიონმა ისევ ცქვიტა ყურები, მაგრამ ილიკო ციდან ჩამოვარდნილივით იჯდა, ილარიონისკენ არც კი იხედებოდა და ღიღინს განაგრძობდა:

ამას რას ხედავს ჩემი თვალები...

ილარიონი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ილიკომ არაფერი არ იცოდა მისი თვალის შესახებ და ისე გათამამდა, რომ ილიკოს მთელი ღამე ბრუციანს ეძახდა. ილიკოს არც წყინდა, არც არაფერი. იგი სიმღერის გუნებაზე იყო და მღეროდა კიდევაც:

არ გამისკდე, მარნისჭურო,
ჩხავრის ღვინით ასავსებო,
ცოლად რეიზა არ მომყვები,
ციცავ, თვალებ დასაფსებო...

კარგად დაღამებული იყო, რომ სუფრიდან ავიშალეთ. ილიკომ მხარზე ხელი გადამხვია და ჩვენ სიმღერით ჩამოვედით ილარიონის ეზოში. ილარიონმა ჭიშკრამდე მოგვაცილა. ჭიშკარი რომ გავაღეთ და ეზოდან გადავედით, ილიკო შეჩერდა.

– ილარიონ! – გასძახა მან უკვე აივანზე ასულ ილარიონს.
– რა იყო, შე ბრუციანო? – უპასუხა ილარიონმა.
– თვალის ჩადება არ დაგავიწყდეს ამღამ ჭიქაში!
– რაო? – დაიხროტინა ილარიონმა.
– რაო და ჩამიპაჭუნე ახლა თვალი!
– ილიკო ჩიგოგიძე! – დაიღრიალა ილარიონმა.

– არ დაგავიწყდეს ჩემი გვარი, ხშირ–ხშირად გეიმეორე. ისე, ბედი მაქვსო, შენ უნდა თქვა, ნადირობა ქე გიყვარს და თვალის დახუჭვა აღარ დაგჭირდება აწი, იარე და ხოცე რაც ამ სოფელში ძაღლებია. არ გაუშვა არცერთი.

– ილიკო ჩიგოგიძე, ცოდვა არ ჩამადენიო! – იკივლა ილარიონმა და ჭიშკრისაკენ გამოქანდა.

– არ მომეკარო, ილარიონა შევარდნაძე, თორემ ჩაგიტეხავ მაგ შუშის თვალს და მდიე მერე კუდში! – გააფრთხილა ილიკომ ჭკუაზე გადასული ილარიონი. ილარიონი უხმოდ ჩამოჯდა კიბეზე. ილიკო ცოტა ხანს იდგა შუაში, მერე გააღო ჭიშკარი და ილარიონის ეზოში ჩამობრუნდა. მივიდა, გვერდით მოუჯდა ილარიონს და თუთუნი ამოიღო, ილარიონსაც მიაწოდა. ილარიონს მისკენ არ გაუხედავს.

– გამომართვი! – უთხრა ილიკომ. ილარიონმა გამოართვა, მერე ორთავემ ერთად გააბოლეს.

– ერთი სიკვდილი გავათავე, რომ გავიგე, – დაიწყო ილიკომ, – მაშინ მეორე თვალი დამეფსებოდეს, თუ მართალს არ ვჩიოდე. გეყურება შენ? მე და შენ რამ გაგვყო, ბერიკაცო, შენი თვალის დაფსება ჩემი თვალის დაფსებაა, მაგრამ მაინც ვიციგნე, არ მეგონა, თუ გეწყინებოდა. შენც კი მიძახი ბრუციანს, მარა ხომ არ მწყინს მე? ცალთვალა იყო, შე უპატრონო კუტუზოვი, მარა დედამიწის გულში რა იდვა იმას ხედავდა, რა მოხდა, ერთი თვალი, შე გლახა, მაგი კი არა, ორივე თვალი რომ დაგვეფსოს, რა დაგვკარგავს, ჩავკიდებთ ერთმანეთს ხელს და ვიეღლით ამ

დუნიაზე. ვერ ვიელით და აგი ბიჭი გვათრევს. ჰაიტ, შე გლახა, შენ! – თქვა ილიკომ და მხარზე დაჰკრა ხელი ილარიონს.

ილარიონი ადგა და ოთახში შევიდა. ილიკო არ განძრეულა. ცოტა ხნის მერე ილარიონი გამობრუნდა ოთახიდან. მას ხელში რაღაც გახვეული ეჭირა:

– ილიკო! – თქვა ჩუმად ილარიონმა.

– რა იყო, ილარიონა? – თქვა უფრო ჩუმად ილიკომ.

– აგი ტარანია, კარგია ღომზე და ადესაზე!

– ძალიან გემრიელია. – თქვა ილიკომ.

– შენ ჩამოგიტანე! – თქვა ილარიონმა.

– ვიცოდი, რომ ჩამომიტანდი, – თქვა ილიკომ . მერე გამოართვა შეხვეული, ადგა და წავიდა.

– მოიცა, გაგაცილებ! – უთხრა ილარიონმა.

– კარგი, გამაცილე. – უთხრა ილიკომ. ისინი ერთად გამოვიდნენ ეზოდან და გაყვნენ შუკას. მე აღარ გავყევი მათ. დავრჩი ილარიონის ეზოში და ბედნიერი ვუცქერდი მათ ფართო, ოდნავ მოხრილ ბეჭებს, რომლებიც წინ მიიწევდნენ ორღობეში და თანდათან დნებოდნენ ღამის წყვდიადში.

ცირა

სტუდენტობა უბედნიერესი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. თუ კაცი სტუდენტი არ ყოფილა, იგი ვერასდროს ვერ გაიგებს შავი პურის ქერქზე წასმული ნივრის გემოს, ტრამვაიში უბილეთოდ მგზავრობის ფასს, მოპარული ბილეთით მიღებული სამიანის სიტკბოს, აღდგენილი სტიპენდიით განცდილ სიხარულს, გამოცდის წინ მუხლების კანკალს, უნივერსიტეტის სასადილოში დამზადებული მჟავე ბორშჩის გემოს, კონსპექტზე გათენებულ ღამეებში მოულოდნელად მოსული ალიონის სიგრილეს, მეგობრების ფასს, მათთან განშორების ტკივილს და უზარმაზარ სიამაყის გრძნობას, რომ ლექციაზე მყოფი ყველაზე უმნიშვნელო პიროვნება, ჩვეულებრივი ზურიკო ვაშალომიძე, ქუჩაში ყველაზე დიდი მოქალაქე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ხარ.

როგორ მოვხვდი უნივერსიტეტში, როგორ ჩავაბარე მისაღები გამოცდა და როგორ გავხდი სტუდენტი, ეს სასწაული დიდხანს იქნება საიდუმლოებით მოცული ილიკოსთვისაც, ილარიონისთვისაც და ჩემი ლექტორებისთვისაც. თორემ, მე რომ უნიჭიერესი კაცი ვარ დედამიწის ზურგზე და ჩემი ბადალი მარგალიტი არ გდია ზღვის ფსკერზე, ეს ბებიაჩემმა ხუთი თითივით იცის. იგი ამაყობს ჩემით მთელს გურიაში. და მეც ვამაყობ იმით, რომ სტუდენტი ვარ.

დიდებულია უნივერსიტეტი. აქ საგნის მოუმზადებლობისათვის ან ლექციაზე დაუსწრებლობისათვის მშობელს არ იბარებენ და, რაც მთავარია, მატრიკულში ორიანს არ წერენ.

გაკვეთილებს, რომლებსაც უნივერსიტეტში ლექციებს ეძახიან, ასე, ორასი კაცი ესწრება, აქედან ნაწილი წერს, ნაწილი ხატავს, ნაწილი ხმადაბლა მუსაიფობს, ნაწილი არც წერს, არც ხატავს, არც მუსაიფობს, უბრალოდ ზის და უკვირს, რომ ზის. ნაწილს ტკბილად ძინავს, ხანდახან ლექტორებსაც ძინავთ. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლექტორები ძილში ლაპარაკობენ.

მოკლედ, ლექცია ჩემისთანა კაცისთვისაა მოგონილი. მაგრამ ლექციებსაც აქვს დიდი ნაკლი, ისინი იწყებიან, თანდათან ილევიან, პროგრამა იწურება, ლექტორები ირონიულად უღიმიან ჩემისთანა სტუდენტებს, – თქვენც მობრძანდებით ჩემთანო, – და იწყება ყველაზე რთული ერა სტუდენტის ცხოვრებაში, ერა ტროპიკული ციებ–ცხელებისა – „სესია“. მაშინ ჩვენ ვიყრით თავს რომელიმე მეგობრის ბინაზე, ვლეჭავთ ფვნქრებსა და კონსპექტებს, ვიზეპირებთ მთელ თავებს, ვიწერთ „შპარგალკებზე“ ან ხელისგულზე ძნელად დასამახსოვრებელ თარიღებსა და დებულებებს, ვცდით ერთმანეთს, მერე ვეძახით იდიოტებსა და გენიოსებს, ვიტენებით სამ–ოთხ დღეში შეძენილი ცოდნით, გასიებული თავებით შევდივართ გამოცდაზე, ლექტორის ყოველ შეკითხვაზე ეკალშესობილი ბურთებივით ვიჩუტებით, მერე კისერწაგრძელებულები და გაფითრებულები ვიყურებით საგამოცდო ფურცელში, რომელშიც ლექტორი ნიშანს გეწერს. გადარჩენილები ყურებამდე ვიღიმებით და ცარიელი თავებით გამოვდივართ გარეთ.

სწორედ ასეთი დროა ახლა. მე და ჩემი მეგობრები ვსხედვართ ჩემს ოთახში და ვიზუთხავთ ეკონომიკურ გეოგრაფიას, ტარანისკუდიანი ქალის ადგილზე რუკა გვაქვს გაკრული. ცირა ხმამაღლა კითხულობს კონსპექტს სახელმწიფოების მიხედვით, შემდეგ ხურავს რვეულს და იწყება გამოკითხვა.

– სტუდენტო ვაშალომიძე! მსოფლიოს რომელ კუთხეში მოიპოვება კალა და ვის აქვს იგი ყველაზე მეტი? – მეკითხება ცირა. დანარჩენები: ნესტორი, ოთარი, ხვთისო და შოთა კომისიის წევრებია. კომისიის წევრები რიგრიგობით ვართ. მე სოფიო მიზის კალთაში, კისერს ვეხან და კითხვაზე კითხვით ვპასუხობ:

– კალა თუ სპილენძი?

– კალა!

– კალა ყველაზე მეტი, მე მგონია, ჩემს სოფელში რომ ალია მკალავი დადის, იმას აქვს და სად შოულობს, მაგი აღარ ვიცი.

– დაიწყო ამან ისევ! თუ არ გინდა მეცოდინეობა, წადი და ხელს ნუ გვიშლი. – ბრაზობს ნესტორი.

– სად წავიდე, ბიჭო, ამ ოთახში ორას ორმოცდაათ მანეთს ვიხდი თვეში.

– მეტი შენ არ გაეზარდე შენს პატრონს და გაგიხმა ეგ ენა, რამდენიც ერთი წლის ქირა გადაუხდელი გქონდეს, ეგრე! – მლოცავს თავისი ოთახიდან დეიდა მართა.

– ვაშალომიძე, გადადი მეორე საკითხზე. პირველი კითხვა არ იცით! – იღიმება ცირა.
– ნუ დამიკარგავთ ცოდნას, პატივცემულო ლექტორო! – ვეხვეწები ცირას.
– კარგი, ახლა, ნუ იჯღანები, გადადი მეორე საკითხზე, – გამოდის მოთმინებიდან კომისიის მეორე წევრი – ოთარი.
– მეორე კითხვაა – მანქანათმშენებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის შეერთებული შტატები შედგება შტატებისაგან, ეს ის შტატები არ გეგონოთ, სამსახურში რომ შტატებია და რომ ბერავენ და ამცირებენ.
– კარგი, რა, ზურიკო, თუ ყვები, მოყვები! – მეხვეწება ახლა ცირა, ცირას ხათრს ვერ ვუტეხ და განვაგრძობ:
– მანქანათმშენებლობა ამერიკაში ძალიან განვითარებულია, ფორდი წელიწადში იმდენ მანქანას უშვებს, რომ ამბობენ, ერთ კაცზე ხუთი მანქანა მოდისო. დგას თურმე მანქანა ქუჩაში, მიხვალ, გააღებ კარს...
– არა, კარი მისით იღება, თურმე! – გამისწორა შოთამ.
– კი, მერე დააჭერ თითს ღილაკს და გამოვარდება სიგარა, დააჭერ მეორე ღილაკს თითს და გამოვარდება ასანთი, დააჭერ მესამეს და...
– გამოვარდება შემწვარი გოჭი, – ჩამომართვა სიტყვაშოთამ. – დააჭერ და გამოვარდება ცხელი ღომი, მოქაჩავ რეზინის მილს და წამოვა ხან ღვინო, ხან ტყემალი, მიაჭერ ფეხს და ამოასხამს კრემ–სოდა, მიაჭერ იდაყვს და ამოცვივდება შოკოლადები, მიაჭერ მეორე ფეხს და დაიწყება კარგი დაგუდული მრავალუამიერი, დააჭერ თითს და...
– მერე და, ყიდის ასეთ მანქანას? – გაუკვირდა ნესტორს.
– რა ქნას, უჭირს! – თქვა შოთამ.
– აღარ მორჩებით ღრეჯას? – გაბრაზდა ცირა.
ყველამ სერიოზული გამომეტყველება მივიღეთ და მე განვაგრძე:
– ახლა ამას არ იკითხავთ? იმდენი ოქრო ჰქონია თურმე ფორდს, იმ ოქროდან რომ ქამარი გააკეთოს კაცმა, დედამიწას წელზე შემოწვდებაო.
– ჰო–ჰო, მაგ ქამრის აბზინტი მომცა, რა ოქროს კბილებს ჩავისვამდი? – ინატრა ნესტორმა და შავი კბილები გამოაჩინა.
– აბა, მე რომ მომცა ეგ ოქრო, – დაიწყო შოთამ. – იმ წუთში დავხვედი მაგ კონსპექტს, მერე ავდგებოდი, შევიდოდი დეკანთან, ირონიულად გავუღიმებდი, – ბოდიში, პატივცემულო, აგერ თქვენი მატრიკული, სტუდბილეთი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ–მეთქი, მერე დავიხურავდი ქუდს. ერთ კილო ოქროს დავუგდებდი მაგიდაზე – ეს მარკის ფული თუ მოგენატროთ, წერილი გამომიგზავნეთ სამტრედიაში. პარდონ, გუდბაი, მერე გამოვიხურავდი კარს და კარგად მეყოლეთ.
– მერე?
– რა, მერე?
– ერთ ათას მანეთს არ მასესხებდი, ბინის ქირა რომ გადამეხადა? – შევეხვეწე მე.
– შენ გიუი ხომ არა ხარ? – შემომიტია შოთამ.
– გესმის, დეიდა მართა? – გავძახე მე.
– მესმის, შვილო, მესმის, ეგეც შენსავით არგასაზრდელია, თორემ ამდენი ოქროს პატრონი ეგრე დამწვარი როგორ უნდა იყოს! – გამომეხმაურა დეიდა მართა.
– შემდეგი კითხვა! – მახსენებს ცირა.
– მესამე კითხვა არ ვიცი, პატივცემულო პროფესორო! – დავიმორცხვე მე.
– შეკიხთვები ხომ არ გაქვთ? – ეკითხება ცირა კომისიის წევრებს.
– მე მაქვს ერთი კითხვა, – თქვა ოთარმა.
– ბრძანეთ!
– ბოდიში მომითხოვია პატივცემულ კომისიასთან, მაგრამ ეს დეგენერატი ზეგ თუ აპირებს გამოცდის ჩაბარებას?
– ეს საკითხი არ არის პროგრამაში! – ვყვირი მე. შემდეგ იწყება სხვისი გამოცდა. ჩვენ გვიან ღამით ვიშლებით.
ოთარი, ნესტორი და შოთა სტუდქალაქში ცხოვრობენ, ცირა კი თბილისელი გოგონაა და მაჩაბლის ქუჩაზე ცხოვრობს. ცირას ყოველთვის მე ვაცილებ სახლში. ცირა კარგი გოგოა, ცისფერთვალება, ფერმკრთალი და მაღალი. იგი თითქმის ყველას უყვარს ჩვენს კურსზე, მაგრამ ცირას არავინ არ უყვარს, და არავისთან არ დადის, იგი დადის მხოლოდ ჩემთან, ჩვენ საათობით ვსხედვართ ხოლმე ბაღში, ან ძალიან ბევრს ველაპარაკობთ, ან სულ არაფერს არ ველაპარაკობთ და მაშინ, ალბათ, შეყვარებულებს ეგავართ, რადგან მეც და ცირასაც გვეუბნებიან ამხანაგები, რომ ჩვენ შეყვარებულები ვართ. მე და ცირას გვიკვირს ეს, პირობას ვდებთ, რომ აწი ერთად აღარ ვიყლით. მეორე დღეს კი აღარ გვიკვირს, როდესაც კვლავ ერთად ვართ და კვლავ ჩვენზე ლაპარაკობენ.
ღამის პირველი საათია, მე და ცირა ნელი ნაბიჯით მივყვებით რუსთაველის პროსპექტს. მაღაზიების წინ, დაჟანგულ თოფებზე ჩამოყვინთული ღამის დარაჯები ლამაზ ცირას ეჭვით უმზერენ, მე კი მოწონების ნიშნად თავს მიქნევენ და ძილს განაგრძობენ. ძინავთ ამ ბერიკაცებს და არ იციან რა ლამაზია თბილისი ღამით, სიწყნარეა, სიწყნარე და ამ სიწყნარეს მტკვრის გაბმულ, ჩუმ სიმღერაში მოულოდნელად არღვევს დაგვიანებული და შორეული ტრამვაის ბორბლების გრიალი, მერე მოსახვევში გაბმული ჭრიალი და მოწმენდილ ცაზე ბიგელების ლურჯი გაელვება, მერე მილიციელების გადაძახილი სასტვენებით და ყოველივე ეს, რაც დღისით ასე გღლის, გაშინებს, გაწუხებს და თავს გაბეზრებს, საოცრებამდე უხდება ღამის თბილისს.

ჩვენ ნელი ნაბიჯით მივუყვებით რუსთაველის პროსპექტს.
– ზურიკო!
– რა, ცირა?
– გიყვარს ღამით სიარული?
– მიყვარს.
– არ გეშინია?
– არა, შენ?
– მე მეშინია და იმიტომ მიყვარს, რომ მეშინია.
– რისი გეშინია?
– რომ დაგვხვდეს ვინმე და გაგვხადოს.
– მე თუ ჩამაცმევს რამეს, თორემ რას გამხდის.
– მე რომ გამხადოს?
– თვალებს დავხუჭავ.
– შენგან სხვას რას უნდა მოელოდეს კაცი.
– კარგი, ბატონო, გიყურებ შიშველს, თუ არ შეგრცხვება.
– ნუ ხუმრობ: თქვენ, სოფლელი ბიჭები, ღონიერები ხართ, მაგრამ მშიშრები.
– მე დანის მეშინია.
– მე რევოლვერის!
– დანის არა?
– დანისაც მეშინია.
– თაგვის?
– თაგვისაც...
– ზურიკო!
– რა, ცირა?
– აი, იმ ორ კაცს ხედავ, ჩვენსკენ მოდიან.
– ვხედავ.
– მთვრალებია, გადავიდეთ მეორე მხარეს, მეშინია, – თქვა ცირამ და მომეკრა.
– მეც მეშინია, მაგრამ სირცხვილია ახლა გადასვლა.
– გადავიდეთ! – თქვა ცირამ და უფრო მომეკრა.
– ნუ გეშინია, სირცხვილია, გოგო. – მთვრალები ქაშუეთის ეკლესიასთან გაჩერდნენ, ერთმანეთი გადაკოცნეს, მერე ერთმა, რომელიც უფრო პატარა იყო, დაბლა ჩაუხვია, მეორე კი პირდაპირ ჩვენსკენ წამოვიდა. ცირა დაფრთხა, უკან დამქაჩა, მე მუხლები მომეკვეთა.
მთვრალი მოგვიახლოვდა. ცირა მკლავზე ჩამომეკიდა, მე წაქცევას არაფერი მაკლდა. იგი დადგა ჩვენს წინ, ფეხები განზე გადგა, წარბების ქვეშიდან ამოგვხედა ჯერ ცირას, მერე მე, უცებ ჯიბეში ხელი ჩაიყო, რაღაც მოსინჯა და დადაღული მოზვერივით დაიზმუვლა.
– ჰეი, პაპიროსი არ გაქვს?!
დაინგრა შენი ოჯახი, ამისთვის გამიხეთქე გული?
– კი ბატონო, როგორ არ მაქვს! – ვთქვი პირგამშრალმა და პაპიროსი მივაწოდე.
– ასანთი! – იღრიალა მან.
– ა, ბატონო! – აკანკალებული ხელით ასანთი გავკარი და ცხვირთან მივუტანე.
– გუშინ დავანებე თავი პაპიროსის წევას, გუშინს მერე არ მომიწევია, არც ახლა მოვწევ, ისე გავაბოლებ, კაცი სიტყვის პატრონი უნდა იყოს! – თქვა მან, მოუკიდა და ისეთი ნაფაზი დაარტყა, კინაღამ წავიქეცი.
– შენ ეწევი პაპიროსს? – მკითხა უცებ მთვრალმა.
– როგორ გეკადრებათ, ბატონო!
– არ მოწიო, ოც წელიწადს ვეწეოდი მე და გადავაგდე, კარგი რომ იყოს პაპიროსი, მაგის მოწევას ვერავინ დამასწრებდა! – თქვა მან, ჩემი პაპიროსი ჯიბეში ჩაიდო და ბარბაცით წავიდა.
ჩვენ ისევ უხმოდ გავუყვეთ რუსთაველის პროსპექტს. ცირა უცებ გამხიარულდა, ჯერ ერთი ჭადრის ჩრდილს გადაახტა, მერე მეორეს, მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს. ასე მიირბინა სასტუმრო „ინტურისტის“ წინ. ახლა აქ დაიწყო ფილაქანზე ასკინკილა, აბა თუ დამეწევიო, მეც გამოვეკიდე ასკინკილით, დავეწიე და დავიჭირე.
– უჰ, დავიღალე! – თქვა ცირამ და მხარზე დამადო თავი, მე ყელზე გადავხვიე ხელი, მერე ნიკაპი ამოვუწიე. ცირამ ამომხედა თავისი დიდრონი ცისფერი თვალებით და მე შიგ ღამის თბილისის მუქი დურჯი ცა დავინახე. ხელი გაეუშვი.
– რა კარგია, რომ არ გათენდებოდეს, – თქვა ცირამ.
– რატომ, ცირა?
– არ ვიცი, დღეს ღამე ჯობია.
ცირამ ხელი გამიშვა, გაჩერდა, თავისი ლამაზი, გრძელი თითები კისერზე გადაისკვნა, თავი უკან გადააგდო და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა. ასე იდგა, მერე ისევ გამიყარა ხელკავი.
– შენ, ალბათ, ვიღაც გიყვარს, ცირა. მითხარი ვინ გიყვარს?
– მე ცა მიყვარს, ვარსკვლავები მიყვარს, აი ეს ღამის დარაჯი მიყვარს, აი ეს ხე მიყვარს. – თქვა ცირამ და ჭადარს მოეხვია. – არ გჯერა? გინდა, ვაკოცო? – და ცირა ჩაეხვია ჭადარს, შეარხია და კოცნა დაუწყო. – ჭადარზე მძინარე ბელურები შეფრთხიალდნენ და აულურტულდნენ. ცირა უცებ გაინაბა, მერე მომიბრუნდა და მითხრა:
– აი, ეს ბელურებიც მიყვარს!

– გიჟი ხარ შენ!
– გიჟი ვარ. შენ?
– მე მგონი, მეც გიჟი ვარ!
– არა, შენ სულელი ხარ.
– მადლობელი ვარ.
– არა, შენ ბრმა ხარ, ან ყრუ. არ ხარ? როგორ არა, აი თუ არ ხარ! – ცირა მოვიდა ჩემთან, საყელოში ჩამკიდა ორთავე ხელი, ახლოს მომიზიდა, თვალებში ჩამხედა და მკითხა:
– მხედავ?
– შენ წარმოიდგინე, გხედავ, – მერე ცირამ აიღო ჩემი ხელი, გულზე დაიდო და ისევ მკითხა:
– გესმის? – მე მესმოდა მისი აჩქარებული გულისცემა, სახეს მწვავდა მისი ცხელი სუნთქვა და მე ველარაფერს ველარ ვხედავდი, აღარაფერი აღარ მესმოდა. მე ბრმა ვიყავი, ყრუ ვიყავი, გიჟი ვიყავი. ხელი მოვხვიე ცირას, გვერდზე გადმოვხარე და ვაკოცე. მას თვალები ოდნავ მოეხუჭა და სველი წამწამებიდან მიმზერდა დაცვარული ნუშივით.
მერე ჩვენ ისევ უხმოდ გავუყევით ჭადრების ჩრდილს.
– ზურიკო!
– რა, ცირა?
– მე შენ მიყვარხარ, ზურიკო!
– სტყუი!
– არ ვტყუი, ზურიკო! მე შენ მიყვარხარ!
– არა, არა, შენ ტყუილს ამბობ, გაჩუმდი, ცირა!
ცირა გაჩუმდა, ხეს მიეყრდნო, მეც გავჩუმდი და სახლის კედელს მივეყრდენი. ასე ვიდექით დიდხანს და ვუცქეროდით ერთმანეთს. მერე ცირა მომიახლოვდა, საყელო შემიკრა, წარბი გამისწორა და წავიდა, მე გვერდით გავყევი.
ცირა ჩემსკენ შემობრუნდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მომიახლოვდა, აკანკალებული ხელი ლოყაზე ჩამომისვა. მე ადგილიდან არ გავნძრეულვარ. მერე უცებ მაკოცა და გაიქცა. მე ვიდექი მარტო დარჩენილი. ვიდექი ასე, ცასა და მიწას შუა გამოკიდებული, ისევე, როგორც დგანან ეს მაღალი ჭადრები და თვითონ არ იციან რაზე შრიალებენ.

777

უკან ფეხით დავბრუნდი, მთვრალივით მოვდიოდი. მოზარდ მაყურებელთა თეატრთან შეგვიანებული თუ მორიგე ტრამვაი წამომეწია. უკანა ვაგონს შევახტი. ვაგონი ცარიელი იყო, მიძინებული კონდუქტორი შეკრთა, თვალები გაახილა და – წინ გაიარეთო, – მითხრა. მე წინ გავიარე, ახლა უკან დაბრუნდიო, მითხრა და ბილეთი შეიძინეო, მე ვუთხარი, რომ ფული არ მაქვს–მეთქი, იმან არ დამიჯერა. მე ჯიბეები ამოვიტრიალე და მტვერი კალთაში ჩავაყარე. მაშინ კოდუქტორმა მითხრა, როგორც ამოხტი, ისე ჩახტიო. მე ჩავხტი, როგორც ამოვხტი და ვერის ბაზრის წინ პირდაპირ მილიციელს ჩავეხეტე.
– გამარჯობათ, ჩემო ბატონო! – ვუთხარი მილიციელს და სულელივით გავუღიმე.
– მოქალაქე, საბუთები მაჩვენეთ.
– საბუთები რად გინდა, კაცო?
– მოქალაქე, გეუბნები საბუთები მაჩვენე, უნდა გავიგო ვინა ბრძანდებით, ვაუბატონო!
– რას ქვია ვინ...
– ლაპარაკი!
– რა გაყვირებს, კაცო!
– ლაპარაკი–მეთქი და ჯარიმა გადაიხადე!
– ფული არ მაქვს.
– მაშ, განყოფილებაში წამოხვალ და იქ გადაიხდი.
– აქ თუ არ მაქვს, განყოფილებაში მისვლამდე ჯამაგირს მომცემენ თუ როგორ ფიქრობ შენ!
– ლაპარაკი!..
მილიციის სამორიგეოში ჩემს გარდა კიდევ ოთხი კაცი იყო დაკავებული. მორიგემ რომ დამინახა, ხელი მოიჩრდილა და მკითხა:
– შენ კიდევ მოგიყვანეს აქ?
– როგორ გეკადრებათ, ბატონო, პირველად ვარ მილიციაში!
– ლაპარაკი!..
– უფროსო, აი ეგრე უზრდელად იქცევა, გზაში სულ დედას მაგინებდა!
– ვერ წააძვრე თავი?
– ტყუილი, ბატონო! – გავიქაჩე მე.
– შენთვისაც მოვიცლი, ჯერ ამათ მოვუარო! – თქვა მორიგემ და იქვე მჯდომ წვერგაუპარსავ და წითელცხვირა კაცს მიუბრუნდა:
– კაცო, შენ რამდენჯერ უნდა დაგადებინო ხელწერილი!
– რამდენჯერაც მეტყვი, იმდენჯერ დავწერ, მაშ, წინააღმდეგობას ხომ არ გაგიწევ? – თქვა წითელცხვირამ და ადგა, მე მის ადგილზე დავჯექი. ჩემი მილიციელი წავიდა.
– რა ქენი, კიდევ რა უბედურება ჩაიდინე? – განაგრძო მორიგემ.
– უბედურება შენი მტრის ოჯახში იყოს, ამას შენ რას უყურებ, ამბობს პედაგოგი ვარ, მაშ, ეგ პედაგოგია? მაგას აეჩარკას არ მივცემ, სკოლაში მაგან რა უნდა ასწავლოს!

– ძალიან გთხოვთ, უთხარი მაგ ლოთს ჩემს პროფესიას ნუ ეხება. მე რა სპეციალისტიც ვარ, იცის ჩვენმა განათლების რაიგანყოფილებამ. – თხოვა მორიგეს მაღალმა და გამხდარმა კაცმა.

– შენ ცოტა ჭკუით ილაპარაკე! – გაუჯავრდა ლოთს მორიგე.

– ვა, ეგ რომ ჩემს პროფესიას ეხება?

– ამ კაცს თქვენი პროფესია არც კი უხსენებია! – ჩავერიე მე ლაპარაკში.

– მაშ ლოთიაო რას იძახის?

– ო, ეგ არ გეკადრებათ! – ეუსაყვედურე მე პედაგოგს.

– თქვენ არ იცით, ახალგაზრდავ, ეგ რა აუტანელი ტიპია!

– ვინ არის ტიპი! – ეწყინა ლოთს.

– ცოლი რომ ცემს, მაგას თავი დავანებოთ, – განაგრძო პედაგოგმა. – მოდის მთვრალი ყოველ საღამოს და დილამდე ღრიალებს, მეზობლებს არ გვაძინებს.

– მართალია? – ვკითხე მე ლოთს მკაცრად.

– რა არის მართალი! შენ რომ ჩემს ადგილზე იყო, რას იზამ, ოცი წელია ეგ ბემურაზი ყოველ საღამოს მომადგება და გინდა თუ არა, ლოთი ხარო, მე არ ვიცი რომ ლოთი ვარ? მაგის შეხსენება რად მინდა, მეუბნება ხულიგანი ხარო, ეგეც ვიცი, კიდევ რას მეძახის? მოიცა გავიხსენო, აკრედიტივი თუ კრენდელი…

– კრეტინი! – შეეშველა პედაგოგი.

– ჰო, კრეტინი, გაუშვი – ეგეც ვიყო, მაგრამ აფერისტი?

– როგორ, აფერისტიც კადრეთ? – ვკითხე გაოცებულმა პედაგოგს.

– თქვენ არ იცნობთ მაგას, ბატონო, ეგ ქვას გამოიყვანს გრძნობიდან… აგვაწიოკა მეზობლები!

– ვინ მეზობლები, რატომ შენს მეტი არავინ მიჩივის!

– იმიტომ, რომ გიჟი ხარ და ეშინიათ შენი!

– კი არ ეშინიათ, ვუყვარვარ და ხათრი აქვთ.

– აი, მე განცხადება მაქვს, რომელსაც ხელს ყველა მეზობელი აწერს, – თქვა პედაგოგმა და გრაგნილი დააძრო.

– ეგენიც შენსავით აფერისტებია! – თქვა ლოთმა, მორიგეს ზურგი შეაქცია და მე მომიბრუნდა: – აი, უფროსი კაცია, და ველაპარაკოთ! კაცი რომ ღვინოს სვამს, ესე იგი ჯავრიანია, ჯავრიანი თუა, ესე იგი ნერვიულია, ნერვიული თუა, ესე იგი იყვირებს, მაშ, რა ქნას, არც დალიოს, არც იყვიროს თავის ოჯახში? – მკითხა ლოთმა.

– არა, რატომ, ღვინის დალევა შეიძლება, მაგრამ…

– გენაცვალე სულში, ძლივს კაცი არ ენახე? – გაუხარდა ლოთს.

– ეგ ღვინოს კი არ სვამს, ნთქავს, ბატონო! ჯანდაბას მაგისი თავი, სტრიხინა დალიოს და თაგვის შაქარი მიაჭამოს, ოღონდ ჩვენ, მეზობლებს თავი დაგვანებოს. ჯერ შეხედეთ, რას უგავს სახე, როგორი წითელი ცხვირი აქვს.

– ხედავ? – სახეში შეურაცხყოფას მაყენებს! – შემომჩივლა ლოთმა.

– არა, რაც მართალია, მართალია, ცხვირი კი გაქვს წითელი. – ვუთხარი მე და თითით დავემუქრე.

– მერე ამისთვის მკლავს? ოღონდ მაგან თავი დამანებოს და ცხვირს სულაც მწვანედ შევიღებავ.

– პატივცემულო, თქვენი სახელი? – მომმართა პედაგოგმა, მაგრამ ამ დროს მორიგის მუშტმა მაგიდაზე ისეთი ბრახვანი მოადინა, რომ სამორიგეოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– ვის უბედავ, შე ლაწირაკო, აქ დაკითხვას რომ მიწყობ! ეხლავე ადექი მაგ სკამიდან და ქუდი მოიხადე!

– რა მოხდა, ბატონო, გეხმარებით! – გავიკვირვე მე.

– ვის უნდა შენი დახმარება! მოუსვი ეხლავე შენ და მეორეჯერ აღარ გნახო, მეზობლებს რომ აწუხებდე, თორემ! – მიუბრუნდა იგი ლოთს.

– ეხლავე წავალ, უფროსო, ოღონდ, ერთი თხოვნა მაქვს, მე ისეთი კაცი ვარ, ბუზს არ ავაფრენ, რწყილი რომ რწყილია, ჯერ ისიც არ მომიკლავს, თუ არა გჯერათ, წამოდით ჩემთან სახლში და ნახეთ. ოღონდ აფერისტის დაძახებისათვის კაცს მოვკლავ!

– გადი გარეთ!

– მივდივარ. ჰო, – თქვა ლოთმა და კარისკენ წავიდა. მე რომ მომიახლოვდა, მომიბრუნდა და მითხრა:

– თუ ძმა ხარ, მისამართი მითხარი, რომ გამოხვალ, შენთან კაი პური უნდა ეჭამო!

– გადი, სანამ გადამიფიქრებია! – იკივლა მორიგემ, ლოთი კარში გაძვრა, პედაგოგმა მორიგეს მაგიდაზე განცხადება დაუდო, – ძალიან გთხოვთ, შეისწავლოთ ეს საკითხიო,– დაგვემშვიდობა და წავიდა.

უცებ სამორიგეოს კარი გაიღო და შიგ გიჟივით დეიდა მართა შემოვიდა, გაკვირვებული მორიგე ფეხზე წამოიჭრა და დაფვეთებულ დეიდა მართას ჰკითხა:

– დეიდა მართა, რა მოხდა, ამ შუაღამეზე აქ რამ მოგიყვანა?

– ბიჭი დამეკარგა, შვილო, ჩემი ბიჭი! – მე კუთხეში ვიჯექი პირდაღებული და ხმას ვერ ვიღებდი.

– ვინ ბიჭი, დეიდა მართა?

– ჩემი მდგმური ბიჭი, ზურიკო ვაშალომიძე წავიდა და აღარ მოვიდა, მთელი საავადმყოფოები მოვირბინე, მთელი მილიციები შევაწრიალე, ვერსად ვნახე ეგ უბედურ დღეზე გაჩენილი, არ ვიცი

რა წყალში გადავვარდე, მიშველე, შვილო, სადმე დარეკე, გამიგე, თორემ იმას რომ რამე წაეკიდოს, მაგის ცოდვით მე რა გამახარებს.

მე ვიჯექი კუთხეში, თვალებზე ქუდჩამოფხატული, ვუსმენდი ამ სათნო დედაკაცს, ვუსმენდი და მიხაროდა, რომ დამეძებდა მე, მე ვიღაც უცხოსა და გადამთიელს, ეშინოდა, რომ რამე უბედურება არ შემმთხვეოდა. ვუცქეროდი ამ მოხუც ქალს, მინდოდა წამოვმხტარიყავი, ჩამეკრა გულში, დამეკოცნა, დამემშვიდებინა, მაგრამ ვერ ვდგებოდი და ბედნიერი ვუგდებდი ყურს როგორ ეხვეწებოდა იგი მორიგეს ეპოვნა ჩემი თავი, მე მიხაროდა, რომ ამ შუადამისას ვიღაცას ეშინოდა ჩემი დაკარგვის, მე მიხაროდა, რომ ამ შუადამისას დამეძებდა ვიღაც, ისე როგორც მე დავეძებდი ხოლმე სოფლის კუპრ ღამეში გაბნეულ ბოჩოლას.

– აქ ვარ, დეიდა მართა! – ვთქვი მე, ავდექი და მხრებზე ხელი მოვხვიე.

– უი, შენ დაბრმავდი ადრე და მალე, მე ქვეყანა ავაწრიალე, ეგ კი დამჯდარა მილიციაში და მუსაიფი არ გაუბია? ეხლავე აეთრიე და შინ წამოდი, თორემ მაგ თმებს სულ თითო–თითოდ გაგაცლი, შენ არგასაზრდელო. აქ რაზედ მოუყვანიხარ?!

– არაფერი, დეიდა მართა, ისე გამოვიარე.

– რაზე დაიჭირეთ, შვილო? – ჰკითხა მან მორიგეს.

– ჯერ არ ვიცი, დეიდა მართა, მილიციელმა მოიყვანა და დატოვა.

– რაო, არ ვიციო? მაშ, რას მიკეთებ აქა, ეს ანგელოზივით ბავშვი რომ მოგიყვანეს, არ ჰკითხე რა ჩაიდინა? სადა გაქვთ თვალები, იქნებ ჰგავს კაცის მკვლელს და ჯიბგირს, იქნებ ხულიგანიაო, მითხრა, მეხი კი დაგაყარეთ თავზე, ჯიბგირები ცხვირწინ დაგირბიან და ვინ დაიჭიროთ არ იცით.

– დეიდა მართა...

– ეშმაკი იყოს შენი დეიდა ჩემი გულის გახეთქვისათვის. შენ კი, აეთრიე, რომ დამჯდარხარ ბაიყუშივით, ბოდიში მოუხადე ამ პატიოსან კაცს, მადლობა უთხარი, სახლში რომ გიშვებს და იქ მე გაგცემ პასუხს! – დეიდა მართამ სულ ჯიკავ–ჯიკავით გამაგდო სამორიგეოდან. ჩვენ გავედით და სამორიგეოში დავტოვეთ თვალებდაჭყეტილი და გაოცებული მორიგე.

სახლში რომ მივედით, უკვე თენდებოდა, დეიდა მართას მთელი გზა ჩემთვის არაფერი უთქვამს. ჩემს კართან მივედი, მოვბრუნდი და დეიდა მართას ლოყაზე ვაკოცე.

– იქით გაიწი, შე ტურტლიანო! – მითხრა მან და ლოყა მოიწმინდა სახელოთი. მეორე ოთახში შევიდა და კარი გადარაზა. მე აღარ დავწოლილვარ. სადღაც იქით, ნარიყალის თავზე ალიონი ცეცხლს ანთებდა.

ᲨᲘᲝᲛᲦᲕᲘᲛᲔ

ჩვენი ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე, გარდა იმისა, რომ გამოცდის დროს ლექტორებს პალტოს ხდიდა და აცმევდა, საწევროს აგროვებდა და მერე ავიწყდებოდა გადახდილი რომ გვქონდა, ექსკურსიებსაც აწყობდა არჩევნების წინ. ექსკურსიები ძირითადად კინოსა და თეატრებში კოლექტიურ სვლას ჰქვიოდა. ამჟამად ჩვენ ნამდვილ ექსკურსიას ვაწყობდით, შიომღვიმის მონასტერში.

დეიდა მართამ ოთხი ცალი კარტოფილის კატლეტი შემიწვა, პური არ გინდა, გერმანიაში კარტოფილს და მაკარონს უპურად ჭამენო, ჭკუით იყავიო, დამარიგა და გამომისტუმრა. უნივერსიტეტის ეზოში ჩემი თანაკურსელები უკვე შეგროვილიყვნენ და მანქანას ელოდებოდნენ.

ერთი საათის ლოდინის შემდეგ მანქანა მოვიდა. ჩვენ ჩვენი ადგილები დავიკავეთ, მძღოლმა დაიწყო მანქანის დაქოქვა. ღღ, ღღ, ღღ, – ახროტინდა მოტორი ისე, თითქოს ყელში წყალს ივლებსო, მერე აფრუტუნდა და ჩაქრა.

– შენ, ვაუკაც, მიდი ამოჰკარი! – მომიბრუნდა მძღოლი. სახელური ავიღე და მანქანას წინ დავუდექი, ამოვკარი ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი! – მანქანამ, ეტყობა, დაამთავრა ყელში წყლის გამოვლება, და დუმდა.

– აბა, ჩამოდით ყველა! – გასცა ბრძანება მძღოლმა. ყველა ჩამოვიდა მანქანიდან ცირას გარდა. იგი მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

– აბა, მიაწექით!

– მიდი, ჰოოო!!! – მივაწექით ჩვენ მანქანას, მანქანას ჯერ შეაჟრჟოლა, მერე შეაზანზარა, მერე შეახურა, და უცებ მოტორი შეციებული კაციკით აცახცახდა.

– არიქა, დაჯექით! – ყველანი დავსხედით და მანქანა დაგორდა.

მე ცირას გვერდით ვიჯექი და ირიბად გავხედავდი ხოლმე. ცირა ყურადღებას არ მაქცევდა და ფანჯარაში იყურებოდა, ნესტორი ღვინით სავსე კასრს არ აშორებდა თვალს, რომელიც ოთარს წამოეღო საგზლად, თვითონ ოთარი ჩვენს გამყოლს ელაპარაკებოდა, რომელიც ტურისტულმა ბაზამ გვათხოვა ერთი დღით. შოთა თავისთვის ღიღინებდა, მე კი ცირას გვერდით ვიჯექი გატრუნული და პაპიროსს ვაბოლებდი ცხვირში პროფბიუროს თავმჯდომარეს, ცირა რომ არ შემეწუხებინა.

– ვაშალომიძე, იქით გააბოლე!

– საით?

– აი, იქით. შენ საწევრო თუ გაქვს გადახდილი?

– გუშინ არ გადავიხადე?

– რაღაც არ მახსოვს!

– შენ ბიძია, ვიღაცა ხარ ან გლანდები ამოიჭერი, ან დაიმახსოვრე, საწევროს რომ გადავიხდი, თორემ ერთ მშვენიერ დღეს გავგიჟდები, ჩაგარტყამ რაღაცას მაგ მწარე ხაპივით გასიებულ თავში

და მერე მიყარე კაკალი! – პროფბიურო უკანა სკამზე გადაჯდა. მე თვალი ისევ ცირასკენ გავაპარე. ცირა ფანჯარაში იცქირებოდა.

– გაიხედეთ მარჯვნივ, – დაიწყო გამყოლმა, – ეს არის მტკვარი.

– არ გადამრიო! – თქვა შოთამ, ნესტორმა ყურებამდე გაიცინა და ოთარს ჰკითხა:

– ოთარ, არ დაეიწყოთ ჭამა? რაღაც მშია.

– გამორეცხილი ხომ არ გაქვს კუჭი, სულ როგორ გშია?

– რამდენჯერ ჭამ დღეში, ჩემო ნესტორ? – ჰკითხა ვიღაცამ.

– რამდენჯერაც მაჭმევ.

– არა, შენი შესაძლებლობის ფარგლებში?

– ცოტას და ჩქარ–ჩქარა.

– ნელა ჭამე და ბევრ–ბევრი! – დაარიგა მძღოლმა.

– გაიხედეთ მარჯვნივ და მიაქციეთ ყურადღება! – დაიწყო ისევ გამყოლმა, – ეს არის ზაჰესი, ანუ ჩვენი ელექტრონის ქარხანა, საიდანაც დენს უშვებენ.

– საღოლ! – თქვა მძღოლმა, – ძლივს არ გავიგე ეგ ზაჰესი რას ნიშნავს? თორემ შეამოკლებენ ხოლმე სახელს, თითო თითო ასოს დაწერენ და მერე გაიგე რა არის, იმ დღეს რაღაც წავიკითხე, ძალიან ბინძური სიტყვა გამოდიოდა, დაწერე, რაღა, ბოლომდე, კაცმა წაიკითხოს და გაიგოს რა წერია, არა და გაიგე რა არის „მმაჩი“.

– გაიხედეთ, უფრო მარჯვნივ, – განაგრძო კმაყოფილმა გამყოლმა.– ზევით, ზევით, ხედავთ? ეს არის ჯვრის მონასტერი, იგი აშენებულია შორეულ ისტორიულ წარსულში და ნახეთ, ჯერ კიდევ არ დანგრეულა.

– ხომ არ იცით, როდის დაინგრევა? – ჰკითხა ცირამ. გამცილებელმა ირიბად გახედა ცირას და განაგრძო:

– ამ მონასტრის გარშემო არსებობს ერთი ლამაზი და მხიარული ლეგენდა. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბერი, სახელი არ მახსოვს ახლა საუბედუროდ. ამ ბერს თურმე ჯაჭვი ჰქონია გაბმული აქიდან მონასტრამდე, ერთ დღეს წამოსულა ბერი ამ ჯაჭვით, საქმე ჰქონია მცხეთაში და რას ხედავს, ერთ მზეთუნახავს გაუხდია ტანზე, სულ გაშიშვლებულა და ბანაობს მტკვარში და არაგვში...

– ორივეში? – იკითხა მძღოლმა.

– დააკვირდით მარჯვნივ დაბლა, აქ მტკვარი და არაგვი ერთდება.

– მერე, მერე?

– მერე, გააპარა თურმე ბერმა თვალი...

– ამ ბებერს დამიხედე, გააპარა, არა? – გაუხარდა მძღოლს.

– ღმერთისგან ბერებს მაშინ აკრძალული ჰქონდათ შიშველი ქალების ყურება.

– ვაა! – გაუკვირდა მძღოლს. – ზნაჩიტ ნარუშენია გაუკეთებია!

– ყველა თქვენგანმა კარგად იცის შიშველი ქალის ყურება რას იწვევს... დაესხა თავბრუ ბერს და ჩავარდა წყალში ჯაჭვის ხიდიდან, არ აპატია ღმერთმა. – დაამთავრა გამყოლმა ეს ლამაზი და მხიარული ლეგენდა ცრემლნარევი ხმით.

– მორჩა? – იკითხა მძღოლმა, გაგრძელებას რომ დაელოდა. გამყოლმა თავი დაუქნია.

– ეგრეა, რა, რა გვღუპავს ჩვენ? კარტი, ღვინო და ქალები, იმ დღეს მივდივარ, ეხედავ ანგელოსი, ფრთები არ აქვს, მაგრამ ანგელოსი, ოღონდ ეგ სულ შიშველი არ იყო, ცოტა ეცვა. – გრაუდანკა, ვეძახი, მოიხედა. ზუსტად იმ ბერივით თვალებში დამიბნელდა და წინ მომავალ მანქანას შევაჯექი, მოვარდა ინსპექტორი, ეგ ჩვენი ღმერთია, ვეუბნები – მაპატიე, არ მაპატია... – დაამთავრა ახლა შოფერმა სევდიანი ლეგენდა.

– გაიხედეთ ისევ მარჯვნივ, სვეტიცხოველი! – გამოერკვა გამყოლი. – ამის ამშენებელს მარჯვენა მოაჭრეს.

– რატომ, კაცო? – იკითხა ნესტორმა.

– თვითონ ამბობს, რომ „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, კარგი რატომ აგიგიაო“.

– ეგრეა, რა, სიკეთე არ უნდა ქნა ქვეყანაზე. – თქვა ისევ მძღოლმა.

– რატომ ჰქვია სვეტიცხოველი? – იკითხა ცირამ, მძღოლი რომ დადუმდა.

– სვეტიცხოველი იმიტომ ჰქვია, რომ... თქვენ მართლა არ იცით?

– არა, ბატონო!

– აქ სვეტი იყო თურმე... და...

– ცხოველი? – იკითხა ნესტორმა.

– გარშემო ტყეებში გარეული ცხოველები ცხოვრობდნენ. თურმე, – თქვა შოთამ.

– გაიხედეთ მარცხნივ! – გადავიდა უცებ გამყოლი ახალ საკითხზე. – აქ მარხია ეროვნული ყაჩაღი არსენა მარაბდელი.

– ეგ ვიცი! – თქვა შოფერმა.

„ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა–ნელა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენ–გამოაჭენა,
სომხები გაიძახოდნენ – ლავე ბიჭი არის ესა.
მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ,
ვაი დედიშენის მზესა“...

გამყოლმა გზადაგზა საქართველოს სხვა კულტურის ძეგლებიც გაგვაცნო და შუადღეზე შიომღვიმის გზას დავადექით. სოფელ ძეგვთან ბორანზე დავსხედით, მტკვარგაღმა გავედით და ფეხით შევუდექით შიომღვიმის შენმართს. მივდიოდით ჯგუფ-ჯგუფად. მე ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგის თოფი მქონდა გადაკიდებული მხარზე და ცირას მივდევდი კვალში. ცირა იმ საღამოს შემდეგ რატომღაც არ მელაპარაკებოდა, მე ძალიან მიყვარდა ცირა და არ მინდოდა, რომ იგი დამდურებული ყოფილიყო ჩემთან და ვატყობდი, რომ ცირასაც არ უნდოდა ჩემთან დამდურება, მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვიყავით და ჩვენ ორთავეს გვეშინოდა რაღაცის, ისე როგორც სახლში მარტოდ დატოვებულ პატარა ბავშვებს ეშინიათ ღამის, რომლებიც სხედან საწოლზე უხმოდ ჩახუტებულები და ფართო თვალებით ელიან მშობლების დაბრუნებას.

– ზურიკო! – მეძახის ნესტორი. – მოშორდი მაგ გოგოს, ხომ ხედავ ზედ არ გიყურებს, მოდი და მომეხმარე! – მე ვშორდები ცირას და მივდივარ ბიჭებისაკენ, რომლებსაც სარი გაუყრიათ ღვინით სავსე კასრის სახელურში და ოფლად იღვრებიან. მე ვართმევ ნესტორს სარის ერთ ბოლოს და ჩვენ სამთავე მივჩანჩალებთ აღმართში. ცირა წინ მიდის, იგი გზადაგზა დაბლა იხრება ყვავილებისაკენ, მე ძალიან მიყვარს ყვავილები, მე მთელი დღე შემიძლია ვუყურო ერთ ყვავილს და მასში მინდორი დავინახო. ან შემიძლია მთელი დღე ვიარო ყვავილებით სავსე მინდორში და ერთი ყვავილის გარდა ვერაფერი დავინახო, მერე მე შემიძლია დავეგდო გულაღმა და ცაშიც ყვავილები დავინახო, მერე დავემხო მინდორზე და ისევ ცა დავინახო. მე მიყვარს ყვავილები, მაგრამ არ მიყვარს, როდესაც მათ წყვეტენ, მე მეზიზღება მოწყვეტილი ყვავილი და მგონია, რომ იგი მკვდრის გვირგვინიდანაა ამოღებული. ცირას ყოველ დახრაზე გული მეკუმშება. მე ფორთხვით ავალ ამ მღვიმეში, ოღონდ ცირამ არ მოწყვიტოს ყვავილი, მაგრამ ცირას არ შეუძლია, ამდენ ყვავილებში იაროს უყვავილოდ და იგი წყვეტს ყვავილებს, ჯერ ერთს, მერე მეორეს, მესამეს, და მე ვხედავ ჩემ წინ მიმავალ დიდ თაიგულს.მონასტრის ეზოში რომ შევედით, წინ მხიარული და საკმაოდ ახალგაზრდა ბერი შემოგვეგება; მან ჯერ ჩვენს სარგაყრილ კასრს შეხედა მოციმციმე თვალებით, მერე ვინაობა გვკითხა და როდესაც გაიგო სტუდენტები ვიყავით, ხელები გაასავსავა.

– კომკავშირელები ხართ?

– ყველა! – უპასუხა პროფბიურომ.

– ვერ შეგიშვებთ ეკლესიაში, ულმერთოს ვერ შევუშვებ!

– მე ორი თვის საწევრო მაქვს გადაუხდელი, შეიძლება? – ვკითხე ბერს. მან კმაყოფილმა გამიღიმა.

– ჩვენ სალოცავად კი არ მოვსულვართ, ექსკურსია გვაქვს! – გაჯავრდა პროფბიურო.

– თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მე პროფბიუროს თავმჯდომარე ვარ!

– კარგი, ბატონო, მობრძანდით, ოღონდ ქუდები მოიხადეთ, ფეხები გაიწმინდეთ და კედლებზე არაფერი დაწეროთ! – იგი წინ გაგვიძღვა, მივიდა საყდრის კართან, ბოქლომი მოხსნა და კარი ფართოდ გააღო.

– დიდება შენდა, უფალო! – თქვა მან, პირჯვარი გადაისახა და პირველი შევიდა ტაძარში. ტაძრიდან საკმეველის და თაფლის სანთლის დამათრობელი სუნი გამოვარდა. შიგ ბნელოდა, ბნელოდა, როგორც რიჟრაჟისას, ვიწრო სარკმლებიდან შემოსული სინათლის ჭაელი ჯვარედინად ეცემოდა ქვის იატაკზე და იდუმალი შუქი შეჰქონდა ამ სიმწრით სავსე ბინდში. მე ჩემს სიცოცხლეში ვერასდროს ვერ გავიხსენებ იმ წუთს და ვერ ვიტყვი, როდის მოვიძვრე მხრიდან თოფი. როდის ავაყუდე იგი მონასტრის კედელზე, როდის მოვიხადე ქუდი და როგორ შევედი ტაძარში. თანდათან გათენდა, გათენდა და განათდა მაღლა გუმბათი, ფრესკებითა და ძველი ქართული წარწერებით, ხატებითა და ჩამქრალი კელაპტრებით, ქრისტეებითა და მოციქულებით, წმინდანებითა და უწმინდურებით, ღვთისმშობლითა და წმინდა გიორგით. მისტიური საუკუნეები მიცქეროდნენ კედლებიდან დაღარული სახეებით, დიდი საცრად ჭკვიანი, არაპროპორციული თვალებითა და გულზე დაკრეფილი ხელებით.

– ეს ნახატი რას ნიშნავს? – იკითხა ნესტორმა.

– ეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაა! – განმარტა ბერმა.

– ეხლა აღსდგეს, თუ ბიჭია! – თქვა შოთამ.

– ხომ გითხარით, კომკავშირელები შემოსაშვები არ ხართ-მეთქი, – აწუწუნდა ბერი.

– ნუ გეშინია, კაცო!

– სადაური შენი კაცი ვარ მე, მამაო დამიძახე!

– მამაჩემს რაღა დავუძახო მერე.

– რაც გინდა, ის დაუძახე.

– თქვენ წმინდანი ბრძანდებით?

– მაღალი ღმერთი მოწყალეა.

– წყალი სადაა აქ, ტანს სად იბანთ?

– ტანი სახლში უნდა დაგებანათ! – თქვა ბერმა.

– ეს სურათი რას ნიშნავს? – იკითხა ახლა ცირამ.

– ეს მისმა მოწაფემ იუდამ რომ ქრისტე გასცა.

– ეგრეა, რა, საკუთარ ძმას არ უნდა ენდო კაცი, ორ კაპიკში გაგყიდის. – თქვა მძღოლმა და თავი გადაიქნია.

– ღმერთი არ არსებობს! – თქვა უცებ პროფბიურომ.

– მართლა? – თქვა ცირამ, – აკი ცაშიაო?

– ცაში აეროპლანია! – თქვა მძღოლმა და გაუხარდა.

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ არ არსებობს? – თქვა ჩვენმა გამყოლმა და ირონიულად გაიღიმა. – იმ დღეს მივდივარ სოლოლაკში, ფეხით, უცებ ჩემს წინ, აი სულ ცხვირწინ, ამოდენა აგური დაიფშვნა, ერთი მილიმეტრი და თქვენი გამყოლი აღარ იქნებოდა. ავიხედე მაღლა, კარნიზს ერთი აგური აკლია. წარმოგიდგენიათ, ერთი ნაბიჯი, ერთი კი არა, ნახევარი ნაბიჯი და... როგორ ფიქრობთ, მაშ, ღმერთი არ არსებობს?

– ღმერთი რომ ყოფილიყო, ის აგური შენ რავა აგცდებოდა, – ვთქვი მე და გარეთ გამოვედი.

მერე აღარ ვიცი, შიგ ტაძარში რომელმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა, მაგრამ ის კი შევამჩნიე, გარეთ რომ გამოვიდნენ, ყველას უღმერთოდ შიოდა და იქვე მინდორში პურ–მარილი გაიშალა. თამადად არავინ არ აგვირჩევია, ყველას უნდა ეთქვა ის, რაც აწუხებდა, ასე შევთანხმდით და პირველი სასმისი მძღოლს მივაწოდეთ.

– მე უბედური კაცი ვარ, ეგრეა, რა, გაიშლება პურ–მარილი, ყველა ჭამს, სვამს, მე უნდა ვიჯდე და ვუყურო, ავარია არ მომივიდეს, ეხლა თქვენ რომ ყველა გადაგყაროთ კლდეზე, მიზეზს ვიპოვი, ვიტყვი – ტორმუზი გაწყდა, რულის ტროსი გასკდა... მოკლედ, რამეს მოვიგონებ. ერთიც ვნახოთ, მოვიდა ინსპექტორი, გნახათ თქვენ ყველანი დახოცილები და მეუბნება, – აბა, ჯიგარო, ერთი ამოისუნთქე, ამოვისუნთქე, ღვინის სუნია, მორჩა, ავარია სიმთვრალის გამო და წაიყვანეს თქვენი სარქისა, თბილისში რომ ყველაზე მაღალი სახლია, იქ...

– თეთრმეტსართულიანი? – იკითხა ოთარმა.

– ციხეში!

– მერე და ციხეზე მაღალი სახლი არ გინახავს? – ვთქვი მე.

– არა, ეგ ყველაზე მაღალია, მანდედან ჩუკოტკა ჩანს.

– ჰოო!

– ჰო კი არა, ეგრეა. კარგად იყავით! – თქვა მან და დალია.

– უამრავი სადღეგრძელო დაილია, მეგობრობის, კულტურის ძეგლების, სიყვარულის, მიცვალებულების, წინაპრების, და ვინ იცის კიდევ რის. ბერი ჯერ უარს ამბობდა ღვინოზე, მერე მეოთხე ჭიქაზე მერიქიფეობა იკისრა, მიუწვა კასრს რეზინის მილით და ერთ ჭიქას რომ ჩვენ დაგვისხამდა, სანამ რეზინს პირიდან არ გამოვღლეტდით, აწყვეტილ ხბოსავით ღეჭავდა, თვალები რომ დაგვიელმდა, სიტყვა ბერმა აიღო:

– ამ მონასტერში შაჰ–აბასმა, გაგიგიათ შაჰ–აბაზი? აბაზი რომ არის ფული, ოცი კაპიკი, აბა, რატომ ქვია აბაზი, ვინ მეტყვის?... ორას ბერს მოჭრა თავი... რატომ?.. ორასი ბერი თქვენ ცოტა ხომ არ გგონიათ... შაჰ–აბასის ბებია ქართველი იყო... იქ იმ ორმოში იჯდა ბერი, არც ჭამდა, არც სვამდა. რატომ? მღვიმეში იჯდა. რატომ?

– შენ, თუ ძმა ხარ, ლექტორი ხომ არ ხარ, რატომ? რატომ? რა ვიცი მე რატომ? თქვი რატომ! – გაბრაზდა შოთა.

– ვიტყვი, შენ გგონია, არ ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი... ახლა ვის გაუმარჯოს? ღმერთს. რატომ?.. კარგად იყოს ღმერთი, ჯანმრთელად, ას წელიწადს იცოცხლოს, მისი მიზნები ასი პროცენტით განეხორციელებინოს, მისი ხსოვნა მუდამ იყოს ჩვენს გულებში... კიდო მოვსულიყოთ ამ ოჯახში... ნათლობაში თუ ქორწილში... თორმეტი ვაჟი და თორმეტი ქალი... კაი ბედ–იღბალი... მამა ძე და სულიწმინდა... მე ვარ ბერი... რატომ? – დასვა საბოლოო შეკითხვა ბერმა და მიიძინა, ისე რომ არავინ იცოდა, რატომ იყო იგი ბერი. მე კი ვიცოდი, რომ ქვეყნად არ შეიძლებოდა არსებულიყო ქალი, რომელიც ამ პიტეკანტროფის პირდაპირ შთამომავალს გაჰყოლოდა ცოლად და, ძალაუნებრად ბერად ქცეული, იგი მოვიდა აქ წმინდა ხორციელად და მის მყრალ სულს ღმერთს ამადლიდა და სამაგიეროდ ფულსაც იღებდა.

მე დავისხი ღვინო და დავიწყე:

– ამ მზეს გაუმარჯოს...

– ღამეა ახლა. – თქვა შოთამ.

– მე ვხედავ მზეს...

– მალადეც შენ! – თქვა ოთარმა.

– მე ვხედავ მზეს! – გავიმეორე მე. – მე ვხედავ მზეს და, თქვენ თუ ბრმები არ ხართ, თქვენც უნდა ხედავდეთ.

– ჩვენც ვხედავთ მზეს! – თქვა ნესტორმა, ცაში აიხედა და მთვარე დაინახა.

– ეს მთვარეა, შენ უნდა ხედავდე მზეს!– ვთქვი მე.

– კარგი, აბა, ხვალ მე შენ დაგანახვებ მზეს და შენ თუ მთვარეს არ დამანახვებ, იქვე გაგიხეთქავ თავს!

– კარგი, ეხლა კი იმ მზეს გაუმარჯოს, რომელსაც მე ვხედავ!

– მთვრალი ხარ შენ! – თქვა ნესტორმა.

– მე ვარ შიო მღვიმელი!

– შენ ხარ ზურიკელა ვაშალომიძე! – მითხრა ნესტორმა.

– შენ ხარ სერაპიონა, – ვუთხარი მე, ნესტორმა არ იცოდა, ვინ იყო სერაპიონა და არ წყენია.

– მე მივდივარ ეხლა სახლში, – ვთქვი მე და ავდექი.

– წადი! – მითხრა ოთარმა, – ასე მოკლეზე გადადი!

– მე მეძინება, – თქვა შოთამ და წამოწვა, სხვები გაკრეფილიყვნენ და ტაძრის პალატებში ეძინათ. სუფრას ფეხმორთხმული ვუსხედით, მე, ოთარი, ცირა და ნესტორი.

– ცირა, შენ წამოხვალ ჩემთან ერთად? – ვკითხე მე ცირას.

– რატომ უნდა წამოვიდეს ცირა შენთან ერთად? – მკითხა ოთარმა.

– შენ ვინ გკითხავს? – ვკითხე ახლა მე.

– ცირა, შენ წაყვები ამ სულელს? – ჰკითხა ახლა ცირას ოთარმა.
– მე ვიქნები აქ! – თქვა ცირამ.
– ჩემთან? – ჰკითხა ოთარმა.
– არა, ყველასთან!
– მერე და ეგ ყველა ვინ მიგდია? – ვთქვი მე.
– ნესტორიც აქ არის.
– ნესტორს ძინავს.
– ესე იგი, ჩემთან დარჩება! – თქვა ოთარმა.
– შენ ეხლავე დაიძინებ! – ვთქვი მე.
– მე არ მეძინება! – თქვა ოთარმა და დაამთქნარა.
– შენ დაიძინებ ეხლავე!
– ცირა, დავიძინო?
– თუ გეძინება, დაიძინე. – ოთარი წამოწვა მინდორზე და დაძინება დაიწყო.
– შენც დაიძინე, ზურიკო! – მითხრა ცირამ, – აი ასე, ჩემ კალთაში ჩადე თავი.
– მე კიდევ მინდა ღვინო! – ცირამ დამისხა ღვინო და ჭიქა მომაწოდა.
– დალიე! – ჭიქა ჩამოვართვი.
– შენ ლამაზი გოგო ხარ, ცირა!
– ვიცი!
– მე მაიმუნი ვარ!
– ვიცი!
– მერე რატომ გიყვარვარ?
– არ ვიცი!
– არცოდნას გაუმარჯოს, ორიანებს გაუმარჯოს, ილიკოს, ილარიონს და ჩემს ბებიას გაუმარჯოს...
– რა გააწყალე გული შენი ილარიონით. – გაიღვიძა ოთარმა.
– მე შენ ლაყუჩებს აგახლეჩავ, თუ არ დაიძინებ!
– მე შენ დაგალურჯებ მამლის კუჭივით და მერე დავიძინებ!
– რა გინდა, ბიჭო, შენ რატომ არ იძინებ?
– ზურგი მომფხანე და დავიძინებ.
– შენით მოიფხანე.
– ვერ ეწვდები.
– აგერ ჯოხი, – ვთქვი მე და ჯოხი მივაწოდე, ოთარმა დაიწყო ფხანა.
– წამოდი, ჩემთან, ცირა, – ვუთხარი მე და ცირა წამოვიყვანე.
– სად, ზურიკო?
– წამოდი ჩემთან!
– მეშინია!
– ნუ გეშინია!
ცირა ფრთხილი ნაბიჯით წამომყვა.
– ზურიკო!
– რა, ცირა?
– ზურიკო, რატომ არაფერს არ მეუბნები, მე მრცხვენია, ზურიკო, ძალიან მრცხვენია. შენ ხომ გიყვარვარ, ზურიკო? რატომ არაფერს არ მეუბნები, ზურიკო?!
– ცირა, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ!
– ეს უკვე მითხარი შენ!
– ცირა, შენ მე არ გიყვარვარ, მე მთვრალი ვარ ეხლა, ცირა, და მე როდესაც მთვრალი ვარ, ყოველთვის მართალს ვამბობ... მე, შენ... შენ ლამაზი გოგო ხარ, მე მინდა შენ არ გიყვარდე, მე მაიმუნი ვარ. შენ იცი, რომ მე არ ვარ ღირსი შენი სიყვარულის?
– გაჩერდი, ზურიკო!
– მე უსინდისო ვარ, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, მე არ მეგონა, თუ შენისთანა კარგი გოგო მე შემიყვარებდა. შენ არ იცი, მე რა ცუდი ბიჭი ვარ, შენ არ იცი...
– ნუ ყვირი, ზურიკო!
– შენ არ იცი, რომ მე სოფელში მყავს შეყვარებული, რომ მე იგი ქვეყანას მირჩევნია, სიცოცხლეს მირჩევნია, შენ მას ჯობიხარ, მაგრამ მე იგი ყველაფერს, ყველაფერს მირჩევნია. მე მას ვხედავ ყველგან და ყოველთვის, გესმის, შენ, მე შენც ის მგონიხარ, შენ იცი ეს? არ იცი! მე კი ვიცი, რომ ის არის ის მზე, რომელსაც მე დღეს ვხედავდი და მას მერი ჰქვია. იცი შენ? – არ იცი, არა, და შენ ეს უნდა იცოდე!.. – მე დავდუმდი, მეტი რაღა შემეძლო, ყელში რაღაც მაწვებოდა და მახრჩობდა.
ცირა ქანდაკებასავით იდგა, თეთრი და ფართოდ თვალგახელილი, მე ვხედავდი მის ცისფერ თვალებს, მაგრამ ვეღარ ვხედავდი შიგ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. მე ვხედავდი მის ნუშივით თვალებს, მაგრამ ვერ ვხედავდი შიგ ცრემლს. ცირა უცებ გაინძრა, მოვიდა ჩემთან ახლოს, სულ ახლოს, მაგრამ მე არ მესმოდა მისი სუნთქვა, რადგან იგი არ სუნთქავდა. იგი იდგა ასე დიდხანს და უცებ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სილა გამაწნა. მე არ გავნძრეულვარ ადგილიდან. მაშინ ცირამ ხელები სახეზე აიფარა, თავი მკერდზე მომაყრდნო და აქვითინდა. მე მას ხელი მოვხვიე, ბარბაცით მივიყვანე ოთართან, მოვუსვი გვერდით, სახეზე აფარებული ხელები დავუკოცნე და გამოებრუნდი.

დავყევი დალმართს და ძველ საყდარს მივადექი, ავყევი სამრეკლოს კიბეს, ავედი ბოლომდე. ნოტიო ჰაერი ჩავისუნთქე ღრმად და ვაცალე, ვიდრე ფილტვები მეტკინებოდა, მერე ამოვისუნთქე ქშინვით და მკლავები გავშალე.

– ეჰე, ჰე, ჰეეე! – დავიღრიალე რაც ძალი მქონდა, ხმა დატრიალდა სამრეკლოში, ზარს მოპარა ლითონი, წავიდა, მთას შეასკდა, იქაც გამოიღო ხმა, მერე უკუიქცა, ისევ სამრეკლოში დაბრუნდა, მერე დაბლა დაჰყვა ბუჩქნარს და მტკვრის ნაპირამდე იარა ასე, ბოლოს დადნა, გაიფანტა და გაიტრუნა. ზარს ხელი გადავუსვი, ხავსივით მტვერი ამყვა. მუშტი დავკარი ზარს, ყრუ ხმა გამოიღო, თვალთ დამიბნელდა, მერე უცებ განათდა და დაირწა ყველაფერი. დავბარბაცდი და ზარის ენაზე გამობმულ ბაწარს წავავლე ხელი, ჩემსკენ დავქაჩე.

– ნაუ! – დაიკენესა ზარმა, კიდევ დავქაჩე, – ნაუ, – ისევ დაიკენესა ზარმა, კიდევ დავქაჩე, მერე კიდევ, კიდევ და – ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ, – დაირწა და ამღერდა ზარი. ჯერ ყურებში დარეკა წყვეტილ ბგერებად, მერე სასიამოვნოდ გაბუუდა, ერთ გაბმულ სიმღერად იქცა და წავიდა, დაირხა, როგორც ზღვის ტალღა ერთმანეთზე მიყოლებული, უსასრულო და გაუთავებელი, ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ!!! მე ვიდექი მთვრალი სამრეკლოზე და ვხედავდი მზეს, სხვას ვერაფერს, მესმოდა სამრეკლოს სიმღერა, სხვა არაფერი და ვგრძნობდი თუ როგორ ვკარგავდი გრძნობას.

შეშა

მე და ილარიონი ილარიონის ცაცხვის ძირში ვსხედვართ და ღობე–ყორეს ვედებით. ილარიონს უყვარს მეცნიერებაზე, ლიტერატურაზე და პოლიტიკაზე ლაპარაკი, მას ყველაფერზე თავისებური წარმოდგენა აქვს, საკუთარი თეორიებით არის გატენილი და არ სცნობს ქვეყანაზე არავითარ ავტორიტეტებს. მისთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი მე ვარ, მაგრამ ხანდახან მეც ეჭვის თვალით მიყურებს და მეკითხება, – სად წაიკითხე მაგი, ბიჭო? – მე ვუსახელებ სახელმძღვანელოს. ილარიონი მაინც ეჭვობს და მაფრთხილებს – ყველა წიგნს არ დაუჯერო, ბიძია, იგი წიგნი შენისთანა და ჩემისთანა ყურფიჩორა ხალხის დაწერილია.

ის, რომ დედამიწა მრგვალია, ილარიონს სჯერა იმიტომ, რომ მე ავუხსენი და კარგადაც ავუხსენი. კაცმა რომ დედამიწა გახვრიტოს და რომ ამერიკაში ამოყოფს თავს, ესეც სჯერა ილარიონს, რადგან დედამიწა მრგვალია, მაგრამ ილარიონი იმაზე გიუდება, თუ ასეა, რატომ არ ხვრეტენ დედამიწასო და რატომ არ გადიან ამერიკაში. ამაზე მეც ვგიუდები და ილარიონს საუბარი სხვა თემაზე გადააქვს.

ჩვენს საუბარს ბებიაც ესწრება. იგი ჯირკზე ზის, კალთაში უზარმაზარი მურგი უგდია, კალათიდან ყაჭს იღებს და ძაფს რთავს.

– კაი, ნენა, შენ რომ ჩივი, პირველად საქონელი გაჩნდა ქვეყანაზე და მერე კაციო, ამ ძროხებს და თხებს ვინ წველიდა?

– რასაც გამოღეჭავდა, ხბო გამოღეჭავდა, რასაც არა და იღვრებოდა მინდორში, – ვუხსნი მე ბებიას, ბებია სინანულით აქნევს თავს აქეთ–იქით.

– გეყურება, ილარიონ?

– მაგი რაა, ოლღა, შენ ერთი ის ჰკითხე მაგას, შრომამ როგორ შექმნა მაიმუნისაგან ადამიანი. – თქვა ილარიონმა და ჩაიხითხითა.

– ჰო, ნენა, მომიყევი ერთი შენს გაზრდას! – მთხოვს ბებია.

– მაგას რად უნდა მოყოლა, აგერ შეხედე ილარიონს და ილიკოს და გაიგებ. – ვეუბნები მე ბებიას.

– მაგი კია მართალი, ხომ იცი შენ! – მეუბნება ბებია და ახლა იგი ხითხითებს.

– ჰაიტ, შე შეცდომით გაკეთებულო, სარკე თუ არ გაქვს, ჭაში ჩაიხედე, რას გიგავს ცხვირ–პირი! – მიტევს ილარიონი და ღობეზე გადაწნულ წნელისაკენ იქაჩება. – გირჩევნია მოყევი და გაიგოს ოლღამ რაცხა სწავლა–განათლებას ღებულობ თბილისში.

– მოყევი, ნენა, თუ რამე სიკეთე იცი! – მთხოვს ბებია.

– თქვენს თავში მაგი მაინც არ შევა! – ვამბობ მე და თუთუნს ვაბოლებ.

– გრცხვენია, ხომ? – მეკითხება ილარიონი.

– რაო, ილარიონ, მაინც რაფერ შექმნა შრომამ მაიმუნისაგან ადამიანიო?

– მაგას რომ კითხო, ჩემო ოლღა, – ვაი მაგის პატრონს უბედურს, – რომ მოშივდა მაიმუნს, მუშაობა დაიწყო.

– მერე?

– მერე, დაწოლილი ხომ არ დაბარავდა? ამდგარა კაციკით ორ ფეხზე და დაუწყია ბარვა.

– მართლა, ნენა? – მკითხა გაკვირვებულმა ბებია.

– მაგას უყურებ! – ვთქვი მე.

– გადათქვი, ხომ? – მკითხა ილარიონმა.

– მასე მოგიყევი მე?

– ასე რომ მოგეყოლა, რა გიჭირდა, ნახევარი ვერ გავიგე, რას პრუტუნებდი.

მე ხელი ჩავიქნიე, ილარიონმა განაგრძო:

– დაუწყია თურმე ბარვა მაიმუნს.

– კი მაგრამ, ბარი სად იშოვაო?

– მაგის კითხვა ქე დამავიწყდა მაშინ, – სად იშოვა, ბიჭო, ბარი? – მკითხა ახლა ილარიონმა.

– სად იშოვა და მივიდა ოცოიასთან სოფლის მაღაზიაში და უთხრა, თუ ძმა ხარ, მაგერ რომ თერამეტმანეთიანი ბარი გაქვს, გადმოიღე ერთიო! – ვუთხარი მე.

– ოცოიეც მაიმუნი იყო მაშინ? – მკითხა ილარიონმა.
– ოცოიე ახლაც მაიმუნია. – თქვა ბებიამ. – იმ დღეს ერთ კილო ლურსმანში ორასი გრამი მომპარა და ხურდაც არ გამოუბრუნებია.
– გამარჯობა თქვენი! – მოგვესმა უცებ. სამთავემ მივიხედეთ. ჭიშკარზე ილიკო იყო მომდგარი და იღიმებოდა. ილარიონი ჩასაფრებული ფირალივით დასახვედრად მოემზადა.
– ილიკო ჩიგოგიძე, სამტროდ ხარ მოსული, თუ სამოყვროდ?
– რა მაქვს შენთან სამტრო, შე გლახა, ერთი თვალით მჯობდი ამ ქვეყანაზე და იგიც წაგართვა გამჩენმა და აწი რა ჭირი უნდა მომჭამო. მეზობლები ხართ, ახლობლები და რჩევა–დარიგებისათვის მოვედი.
– ჩამოდი, აბა, ეზოში! – ილიკომ ჭიშკარი გააღო, ჩამოვიდა ეზოში და მორზე ჩამოჯდა. ქისა ამოიღო, ბოწოწი თუთუნი გაახვია და ქისა ისევ ჯიბეში ჩაიდო. მერე მეორე ჯიბეში ჩაიყო ხელი, იქიდან მეორე ქისა ამოიღო, გამოგვიწოდა და გვკითხა:
– არ მოწევთ? – ილარიონმა ჯერ მე შემომხედა, მერე ილიკოს, ქისა ჩამოართვა, გახსნა, თუთუნი დაყნოსა და ქისა უკან დაუბრუნა.
– მაგი წაიღე, ჩემო ილიკო, დერგში ჩაყარე და ძმარი და მარილწყალი უქენი, ერთ კვირაში მზად იქნება.
– ისევ პილპილია? – ვკითხე მე.
– არა, კეჟერა ფხალია, – თქვა ილარიონმა. – აღარ იტყვი, რაზე მოეთრიე? – ჰკითხა ახლა ილიკოს.
ილიკომ ყურადღება არ მიაქცია ილარიონს, ბებიას მიუბრუნდა და დაიწყო:
– ამას რა უნდა ვკითხო, ჩემო ოლღა, შხამი ამოსდის პირიდან, არც შენ ამოგდის შაქარი, მაგრამ ბრძენი ქალი ხარ და გამიპირდი ერთი, რა ვქნა, გადავსახლდე ამ სოფლიდან თუ მოვკლა კაცი და ჩავჯდე ციხეში?
– რა გჭირს, უბედურ დღეზე გაჩენილო? – დაუტკბა ბებია.
– კი იცი შენ, ნაბელლავიდან გუბაზოულით შეშის დაცურება როგორი ადვილი საქმეა. შენი კუდიანი ბიჭიც მემარებოდა მაგ საქმეში.
– მერე რა გინდა ახლა?
– რა და, მპარავს, ჩემო ოლღა, ვიღაცა იმ სიმწრით ჩამოთრეულ შეშას. ორი საყადელიდან ერთი ძლივს გადავარჩინე, ვერც მოვახელე ქურდს, არა და მომკლა ღამისთევამ. მირჩიე ახლა რამე.
– მერე შეშის გულისთვის კლავ კაცს? – ჰკითხა ილარიონმა.
– შიგანს გამოეჭამ კვერნასავით, თუ დევიჭირე. – თქვა ილიკომ.
– მე რა გაგპირდე, ჩემო ილიკო. თუ არ დაიჭირე, ქურდი არაა ქურდი.
– მე ხომ ვარ გაქურდული?
– შენ კი.
– აბა, კარგი! – თქვა ილიკომ, ადგა, ჭიშკარი გაიხურა და წავიდა.
– სახლში შეიტანე, ილიკო, შეშა, არა და საყადელზე დაიგე ლები, ზედ დაიძინე, არაფერი გიშავს. ზაფხულია ახლა! – მიაძახა ილარიონმა.
– მადლობელი ვარ, ჩემო ილარიონ, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა! – მიაძახა ილიკომ და თავის კანტურით წავიდა.
საღამოთი მე და ბებიას ილიკო ძღვენით მოგვადგა. ოთახის კარი გაიღო და შიგ უზარმაზარი წითელბიბილოიანი, დეზებიანი და ფოლაქისსისხოთვალებიანი მამალი შემოაგდო.
– რა არის აგი, ილიკო?
– მაგას თუ მაგი აღარ ეტყობა, მამალი რომაა, ჩემო ოლღა, მაშინ რაღაია ჩემი სიცოცხლე.
– რა ჭირს მერე?
– რა უნდა ჭირდეს, ოლღას ვენაცვალე, ყველა ავადმყოფობა მოხდილი აქვს. კარგი მოჩხუბარია და კარგი მამალია, სხვა თუ ათჯერ ყივის დღეში, აგი ოცჯერ ყივის, ყეფა არ იცის, თორემ ძაღლია ნამდვილი, კაციშვილს არ გაგიჭაჭანებს ეზოში, ზურიკელას მოვუყვანე საჩუქრად.
– მაგი უნდოდა ახლა ჩემს დასუსტებულ ქათმებს? – შეიცხადა ბებიამ.
– ილიკომ ბებიას ყურადღება აღარ მიაქცია და გვერდზე გამიხმო.
– ზურიკო! შემოგევლე, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მითხარი და მერე თვალს დავიფსებ შენი გულისთვის.
– რა გინდა, ილიკო?
– არ გამაწბილო, ახლა, კი ვიცი მე, დინამიტის კაფსული გაქვს შენ ჩამოტანილი თბილისიდან.
– კი მაქვს.
– რამდენი?
– მაქვს ერთი ოცდაათი ცალი.
– მონა ვარ შენი, ყმა ვარ, აგერ ჯაყვა და მომჭერი ყური.
– თქვი, კაცო, რა გინდა?
– დამითმე მაგი კაფსულები.
– ყაჩაღად ხომ არ მიდიხარ?
– რა გინდა შენ? დამითმე მაგი ოცდაათი კაფსული და მთხოვე რაც გინდა.
– მითხარი რისთვის გინდა და მოგცემ.
– არ დამღუპავ?
– არ გრცხვენია, ილიკო?

– არ გამომჭრი ყელს?
– შენ?
– ხატზე დეიფიცებ?
– მე, ილიკო?
– წამოდი, აბა, ჩემთან.
– დილამდე ვისხედით მე და ილიკო მის ეზოში საყადელთან, თან ღვინოს ვწრუპავდით, თან შეშას ვბურღავდით ღრმად და ფრთხილად ვუშვებდით შიგ კაფსულებს. მერე ნახვრეტს თავს ვუზილავდით ალიზა ტალახით და ისევ საყადელზე ვაწყობდით შეშას. ილიკო კარგ ხასიათზე იყო, რაღაცას ღიღინებდა და თან ბურღვას შელოცვასავით აყოლებდა.
– ჰე, ჰე, ჰე, სად წამივა ახლა, დევიჯერო სტამბოლში მიაქვთ ჩემი შეშა? სადღაც აქ ტრიალებს. ვიცი მე, ვისაც მიაქვს, მარა სანამ მჯიღში არ ჩაასკდება, ხომ ვერ ვათქმევინებ. ჰე, ჰე, ჰე, ხომ ვარ, ზურიკელა, გენიოსი, ა? ხომ ვარ?
– ილიკო, არ მოკლას ამან კაცი.
– ნუ გეშინია, არ მოკლავს, ისე, იცოცხლე, ნაცარს მიაყრის ცხვირში. ა? ხომ ვარ, ზურიკელა, გენიოსი?
– კი ხარ, ილიკო, კი.
– ზურიკელა ვაშალომიძე, ღმერთი რომ გამოგეცხადოს, ამაღამ და გკითხოს, რას აკეთებდით შენ და ილიკო ჩიგოგიძეო, არ თქვა, თორემ დანაზე დავეხევი მუცლით. ნუ ჩამატან საფლავში იმ შეშის ქურდის ჯავრს!

ილიკო დავამშვიდე და სახლში წამოვედი.
ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ილარიონის ეზოს ბოლოში ვიჯექით მე და ილარიონი და არაყს ვხდიდით, უზარმაზარი სპილენძის ქვაბი საამოდ თუხთუხებდა, მილიდან არყის მსხვილი კამარა მოწანწკარებდა და რაღაც ტკბილსა და გრძელ სიმღერას ამბობდა. ილარიონს მაგარი არაყი უყვარს. იგი თითს ასველებს კამარაში და ცეცხლში ჰყოფს, თუ თითზე ალი ავარდა, ილარიონი განაგრძობს არყის ხდას, თუ არა, ქვაბს გადმოდგამს და ახალ გამოსახდელს დგამს. ვსხედვართ ქვაბთან, ვუდგამთ პატარა საღვინე ჭიქებს კამარას, მერე ვაცივებთ ცივ წყალში და ნელ–ნელა ვწრუპავთ, საოცარია პირდაპირ. აქ, ქვაბთან, არაყს ვერ გადაკრავ, უნდა მოსვა, მოწრუპო ნელა, ნელა, თვალები დახუჭო და წრუპო ასე, ვიდრე ძარღვებში თბილი ჟრუანტელი არ დაგიკაკუნებს და ხეები ოდნავ არ დაირწევა, მერე ადექი, იმღერე როგორც გინდა, თქვი რაც გინდა, იცინე რაზეც გინდა, გააკეთე რაც გინდა, არავინ არ დაგძრახავს.
მე მილთან ვზივარ, ილარიონი ქვაბთან. იგი ცეცხლს უკეთებს, მე არაყს ვამოწმებ, ხეები ირწევა ოდნავ, ჩვენ ვიცინით რაზეც გვინდა, ვამბობთ რაც გვინდა და ვმღერით როგორც გვინდა.
– ხვავი და ბარაქა! – ეზოში ილიკო ჩამოდის.
– აგაშენა ღმერთმა! – ილიკოს არყით სავსე ჭიქას ვაწვდით.
ილიკო ჭიქას ხელისგულზე იდებს, ზევიდან მეორე ხელს აფარებს მჭიდროდ, მუხლზე იხათქუნებს, მერე სინათლეზე გახედავს და კმაყოფილი ამბობს:
– ჰო, ჰო, ჰო, დათვს დააბამს, ისეთი ჯაჭვი აქვს. – მერე გვერდზე გავყავარ და ყურში მეუბნება:
– წაულიათ.
– რა, ილიკო?
– შეშა, შე უბედურო, ამაღამ გასკდება მაგი ამბავი.
– არ გადამრიო!
– სუუ!.. წავედი ახლა მე, შენც დააყურე, საიდან მოვა ხმა.
ილიკომ ჩაიხითხითა და წავიდა, მეც ჩავიხითხითე და სასწაულის მოლოდინში ისევ მილს მივუჯექი.
– რაო, ზურიკელა სულძაღლიანო, მაგ ბრუციანმა, ჩემთან არ ითქმებოდა?
– თქმა რად გინდა ჩემი, ილარიონ, შენი ყურით გაიგონებ.
– რას, ბიჭო?
– ამაღამ მე და შენ დიდი სიცილი გვიწევს, ჩემო ილარიონ.
– ამოცოხნე ახლა ამოსაცოხნი.
– ახლავე გეტყვი, მაგრამ ჯობია შენი ყურით გაიგონო, ნათქვამს არ ექნება ფასი.
– გიყიდა ილიკომ? – მკითხა ილარიონმა და თავი დამანება.

> რა ვიცოდი, თუ გამყიდდა,
> ჩემი ძმა ანდრო დოლიძე... –

ჩავიღიღინე მე, ილარიონი ადგა და შეშის მოსატანად წავიდა. მე მის მოსვლამდე კიდევ გავსინჯე არაყი. ილარიონმა შეშა შეაწყო ქვაბის ქვეშ და მილთან მოვიდა.
– ნუ მიჯდომიხარ, ბიჭო, ხბოსავით, ხომ ხედავ, თვალები დაგიელამდა, გადაჯექი იქით!
ჩვენ ადგილები გავცვალეთ. ცეცხლი თამაშობს, ჭამს წიფელს, ტკაცუნობს და გიზგიზებს, ჭიქაში ჩარჩენილი არაყი შევასხი ცეცხლში, იბრიალა.
– სპირტია! – ვამბობ მე და შეშას ღრმად ვდებ ქვაბის ქვეშ, შეშა ხმელია და ასანთივით იწვის. ცეცხლს მაგიური ძალა აქვს, გიზიდავს, გიზიდავს, გაჯადოებს, ძალაუნებურად ვაშტერდები

ნაკვერჩხალს, შეშას, აი შეშას ტალახი ჩამოცვივდა, მერე ყველაფერი ირევა – შეშა, საყადელი, ბურღი, ილიკო... და...

– ილარიონ, დაწექი! – ვიკივლე მე.

– რაო? – მომვარდა ილარიონი.

– დაწექი! – მაგრამ უკვე გვიანი იყო, ილარიონი ისედაც იწვა. უცებ დაიქუხა ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ... ოთხჯერ... არყის ქვაბმა, თითქოს ვიღაც ძალიან საპატივცემულო პიროვნებას ესალმებაო, ქუდი სწრაფად მოიშვლიპა და მიწაზე დაანარცხა, მერე ავარდა და ცეცხლზე პირადმა დაემხო, მე რალაცის თქმა მინდოდა, მაგრამ პირი ნაცრით მქონდა გამოტენილი, წამწამები და წარბები კი შეტრუსული. ზალპი ერთხანს გრძელდებოდა, ნაკვერჩხლები შუშხუნებივით ცვიოდა და ნაომარ ადგილს ანათებდა. კანონადა რომ შეწყდა, სოფელში ძაღლების ყეფა და გადაძახილები ატყდა და რადგან არავინ არ გამოეხმაურა, ხუთ წუთში ყველაფერი ისევ მიწყნარდა. ილარიონი ისე ჩამძვრალიყო თავით მიწაში, რომ ვიფიქრე, თავი ხომ არ წაგლიჯეს– მეთქი. მივვარდი და გადმოვაბრუნე, სახე არ უჩანდა, ისიც ნაცრით და ტალახით იყო მოდღურული.

– ილარიონ!

– რა გეჭირს, ზურიკელა!

– სიკვდილი შენი, ილარიონა შევარდნაძე, ვერ თქვი, შენ თუ პარავდი შეშას იმ ბრუციანს?

– რას ამბობ?

– რას და ჩემი ხელით მაბურღვია და მაწყობია კაფსულები შეშაში.

– ზურიკელა ვაშალომიძე, შეასვი ხომ ჩემი სისხლი ილიკო ჩიგოგიძეს? ადექი ახლა და წადი, სანამ სული გიდგას პირში, თორემ ისეთ საქმეს გიზამ, შენი ცოდვით ქვა ბღაოდეს! – თქვა ილარიონმა და წამოდგა.

– მასპინძელო! – გადამარჩინა ვიღაცამ.

– რომელი ხარ? – დაიღრინა ილარიონმა.

– მე ვარ, ილიკო, რჩევა–დარიგებისათვის ვარ მოსული, ვიღაცა შეშას მპარავს და ხომ არ გამიპირდები როგორ მოვიქცე?

– ტიტუ! – იკივლა ილარიონმა და ჭიშკრისკენ გავარდა.

იმ ღამით ილიკო რომ დაგვეჭირა, ყელს გამოეჭრიდით, მაგრამ ილიკო მხოლოდ დილით გამოჩნდა. იგი მელასავით ჩამოიპარა ეზოში, კუდი გაგვიქიცინა, ჯერ თავი დაისაწყლა, მერე ანგელოზივით გაგვიღიმა, ჩვენც გაგვაღიმა, ცაცხვის ძირში ფეხი მოირთხო და გულმოდგინედ დაიწყო დარჩენილი შეშიდან კაფსულების ამოძრობა.

განი

ივნისი ყველაზე საყვარელი თვეა სოფლელი ბიჭისათვის, რომელიც თბილისში სწავლობს. ჩააბარებს გამოცდას, აიღებს სამი თვის სტიპენდიას ერთად, გადაიკიდებს მხარზე ცარიელ ხურჯინს და, ჰაიდა სოფლისაკენ. მეც მიყვარდა ივნისი, სანამ სოფელში ვსწავლობდი, მაგრამ რაც დეიდა მართას მდგმური გავხდი, ივნისს ეჭვის თვალით ვუმზერ. თქვენ თვითონ თქვით, როგორი საქმეა ყოველ ზაფხულს საშემოდგომო გამოცდა, ბებიაჩემთან ჩატანილ მატრიკულში ყველა სამების ხუთებად გადასწორება, მერე იმ ხუთების ამოშლა და ისევ სამებად გადაკეთება, უსტიპენდიოდ სოფელში ჩასვლა და ილიკოსა და ილარიონის გადაკრული ცალყბა ლაპარაკის მოსმენა ჩემი განათლების თაობაზე ბებიას თანდასწრებით, მაგრამ მე ჩემ სოფელსა, ბებიასა, ილიკოსა და ილარიონის იქით გზა არ მქონდა და იძულებული ვიყავი ყოველ ზაფხულს შევრიგებოდი ყოველივე ამას.

აი ახლაც მივყვები ჩემი სოფლისაკენ მიმავალ, კრიმანჭულივით დახლართულ ბილიკს, მივაბიჯებ ჟალტამში და წელამდე გალუმპულს ოხშივარი ამდის. ასეა ყოველთვის, ჩემი სოფლის აღმართს რომ შევუდგები, ფეხს მოვუჩქარებ, მუხლები მეკვეთება დაღლილობისაგან, ფილტვები სტვენს, ხელის მტევნები სისხლით მებერება და მაინც მიერბივარ, მერე თანდათან შევანელებ სვლას, ხოლო გორაკზე რომ შევდგები და ჩემს ოდას დავინახავ, გავჩერდები, ჩავჯდები, ვზივარ მთელი საათი და ყელში რალაცაა გაჩხერილი, ვყლაპავ ნერწყვსა და ცრემლს, მანამ ეზოში გამოსულ და წელში ორად მოკაკულ ბებიას არ დავინახავ, მერე „ბებიას“ ბღავილით დავეშვები თავქვე, გადავახტები ალაგეს, ღელეს, ჯირკს, ქვას, ისევ ალაგეს და ჩავეხვევი ბებიას. მერე დიდხანს ვსხედვართ მე და ბებია უხმოდ და ერთმანეთს ვუცქერით. საუბარს ყოველთვის ბებია იწყებს და ყოველ ზაფხულს ერთნაირს:

– ცოცხალი ხარ, ნენა!

– მკვდარია და არ ამხელს! – ამბობს დაბარებულივით მოსული ილარიონი.

– გშია, ნენა? – მეკითხება ბებია და კეცზე დაკრულ ჭადს ჯოხს უკაკუნებს, თუ გამოცხვაო.

– არეკე, ოლღა, აწი ცომი მარგებელია, ჩემს სერაპიონას ცომით ვასუქებ მე. – ამბობს ილიკო და ხელებს ისრისავს კმაყოფილი.

– მოყევი ახლა რა ამბავია თბილისში, რომ დამუნჯებულხარ, გამოცდაზე ხომ არ ხარ, – მეუბნება ილარიონი და მერე მიუბრუნდება ბებიაჩემს და მორჩილად ეკითხება,– რომელი ღვინო გადმოვასხა, ოლღა?

– სუყველა! – ეუბნება ბებია.

– მაგ ჩემოდანში ტყვია ხომ არ გიწყვია, ბიჭო! – ყბას მიქცევს ილიკო და ჩემს ჩემოდანს ბუმბულივით ათამაშებს.

– წიგნები ექნება ჩამოტანილი! – იკრიჭება ილარიონი.

– წიგნი არ დაგინახო ხელში! – ასავსავებს ხელებს ბებიაჩემი, – გეყოფა, რასაც თბილისში იტანჯები, ახლა დასვენება გინდა, შვილო, შვილო, რავა აქვს ყბა–ყბაში გაცმული! – მოთქვამს ბებია.

– გეყურება, სულძალლიანო? მაგრამ თბილისში არ გყავს პატრონი, რომ გამოგლლიტოს წიგნი ხელიდან ერთი წუთით მაინც? რასაა რომ დამსგავსებიხარ! – მიჯავრდება ილიკო და ხითხითებს.

– მაგის ბიბლიოთეკა უნდა ნახო შენ! – ამბობს ილარიონი, – რომ შეხვალ ოთახში, ჯერ წიგნი დაგეცემა თავში, მერე აგური. რამდენ ფულს უგზავნის საწყალი ოლღა, ყველა ფულით წიგნებს ყიდულობს.

– იკლავ ხომ, ნენა, თავს? იმას მე საჭმელისათვის გიგზავნი და შენ წიგნს ყიდულობ? რა ოხრობად გინდა ამდენი წიგნი, იმ ფულით საჭმელი იყიდე, თორემ შეგიწყვიტავ გამოგზავნას! – მემუქრება ბებია.

– ილარიონა შევარდნაძე, გეყოფა აწი! – ვეუბნები მე შეშინებული.

– ჩვენ შენზე ვზრუნავთ, ბიძია, ხანდახან გადადო უნდა წიგნის კითხვა და ჯანმრთელობას მიხედო! – მარიგებს ახლა ილიკო.

– არეკე, ბებია, მაგი ჭადი და ჩატენე ამ მყრალ ბერიკაცებს პირში, ეგება გაჩერდნენ, თორემ ვიკივლებ ახლა! – ვეხვეწები ბებიას და ჩვენ სუფრას ვუსხდებით. შუა ჭამაში რომ ვართ, ეზოში გაისმის ძახილი:

– ოლღა ბებია!

– მობრძანდით! – ოთახში შემოდის მერი, თმაჩამოშლილი, ღაწვებშეფაკლული, ბედნიერი, თვალცრემლიანი, დამორცხვებული და ახალ კაბაში გამოწყობილი.

– ოლღა ბებია, საცერი მათხოვეთ. გამარჯობა, ზურიკო!

– გაგიმარჯოს, მერი! – ვამბობ მე. ვდგები და ყელში ლუკმა მეჩხირება.

– აგერაა, ნენა, და წაიღე! – უთითებს ბებია საცერზე.

– დაჯექი, მერი!

– არა, მეჩქარება!

– გაყევი, ბიჭო! – მეუბნება ილიკო.

– რად მინდა გაყოლა! – ამბობს მერი.

– შენ არ გინდა, სულძალლიანს უნდა! – ამბობს ილარიონი. მერის საცერი ავიწყდება და მიდის, მე მივყვები. ჩვენ მივდივართ და ვგრძნობთ, როგორ გვეფერება ორი წყვილი თვალი, სანამ შუკაში მივიმალებით. მერე მე გვიან ღამით ვბრუნდები სახლში. ასეა თითქმის ყოველ ზაფხულს.

ერთი კვირა არ იყო გასული ჩემი ჩამოსვლიდან, რომ ჩვენს ეზოს ილიკო მოადგა.

– ზურიკელა, ზურიკელა სულძალლიანო!

– რა იყო, ილიკო! – გასძახა ბებიამ. მე პირმაღში ვიწექი გულაღმა და ვისვენებდი.

– ოლღას ვენაცვალე, სავენახე მიწის გადაბრუნება დავიწყე და მომახმარე მაგი ბიჭი, სანამ დამბლა დამცემია ტყვილა ყოფნით.

– ენაზე დაგეცა დამბლა, ილიკო ბრუციანო, მაგი შენ ის ზურიკელა ხომ არ გგონია, ხუთი წლის წინათ რომ იყო, რაფერ გოუბედე სტუდენტ კაცს მაგი!

– ფეხები დაუთბილე, არ გაგიცივდეს, მაგისთვის ვამბობ, პატარას წელში გეიშლებოდა, თორემ ეგდოს მასე ჯაყვასავით მოკაკული, მე რა მენაღვლება.

– რა გინდა, ილიკო, აღარ მომასვენებ?

– რა მინდა და იმ ყურძენს რომ დავწურავ, ისევ შენ ჩაგასხამ ყორყაში, აბა, მე რომ მიყურებ, რისი დამლევი ვარ, ვერ ხედავ?

– არ შეიძლება ჩემი მუშაობა, მე დასასვენებლად გამომიშვა მთავრობამ. რომ დამინახოს ვინმემ მომუშავე და ამბავი ჩაიტანოს თბილისში, შენც დაიღუპები და მეც!

– პარიკს გაგიკეთებ, პარიკს, კაციშვილი ვერ გიცნობს! – ამის შემდეგ მე და ბებიას სათქმელი აღარაფერი დაგვრჩენოდა.

გავუარეთ ილარიონს და ერთ საათში ილიკოს ეზოში დავიწყეთ მიწის გადაბრუნება.

მთელი დღე თავაუღებლად ვმუშაობდით მე, ილიკო და ილარიონი.

– ხვალე არ დამაღალატოთ, გათენებამდე აქ გაჩნდით. – მოგვაძახა ილიკომ. ჩვენ თავები დავუქნიეთ და წამოვჩანჩალდით.

– რაღაცა თუ არ მოვიგონეთ, დაგვწყვიტავს ეს უპატრონო! – თქვა ილარიონმა.

– დაგვწყვიტავს! – ვთქვი მე.

– დაგვწყვიტავს და მოიგონე რამე, რომ გიდგას მხრებზე ბუკივით მაგი თავი! – გამიჯავრდა ილარიონი.

– შენ მოინონე, მე არაფრის თავი არ მაქვს.

– მე რა მოვიგონო ცალთვალა კაცმა!

– შენ თვალი ამოგიღეს თუ ტვინი?

– ილიკოს მოტყუება შენ პატარა საქმე ნუ გგონია!

ილარიონის სახლს დავუპირისპირდით.

– ჩამოდი ჩემთან, მოვიფიქროთ რამე! – მითხრა ილარიონმა. ჩავყევი.

გვიან ღამემდე ვიჯექი ილარიონთან და ილარიონმა იმ ღამით გამოიჩინა გამომგონებლობის გენია, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არ გამეგონა. ყველაფერი პატარა დოქიდან დაიწყო, რომლიდანაც რიგრიგობით ღვინოს ვიკირკილებდით ყელში.

– აგი დოქი მიწაში ვიპოვე ბარვის დროს, გული გადამიქანდა, ბელტს რომ ამოყვა! – თქვა ილარიონმა და დოქი შეატრიალა ხელში, – ოქრო იყო მეგონა შიგ!

– მერე?

– მერე არაფერი, მიწა იყო შიგ, შავი მიწა, ნახშირივით!

– წინათ გემი რომ იღუპებოდა, ბოთლში ან დოქში დებდნენ წერილებს, მოუსანთლავდნენ თავს და აგდებდნენ ზღვაში, – ვთქვი მე.

– მერე?

– მერე, იპოვიდა ვინმე, ამოიღებდა წერილს და გაიგებდა იმ ხალხის ამბავს.

– რაო?

– დაყრუვდი?

– ზურიკელა სულძაღლიანო, არ გამაგიჟო, რა თქვი აგი, წერილს, ხომ? – თქვა ილარიონმა ისე, რომ ის შუშის თვალიც გაუბრწყინდა.

– რა მოხდა, ილარიონ?

– წერილს, ხომ? დასანთლულ დოქში, ხომ? – უცებ წამოხტა, ჩამეხუტა, შუბლზე მაკოცა, – ილიკო ჩიგოგიძე, ისეთი საქმე გაგიკეთო, რომ ვენახის გადაბრუნებაზე მიძახდე კი არა, ეზოში ფეხს არ მადგმევინებდე! ვაი სულო, ისეთი ამბავი გაგიკეთო, ილიკო ჩიგოგიძე, რაც გაგიბითურებივართ, სულ ძმრად ამოგასხმევინო ცხვირში. ზურიკელას დავენაცვლე, მიშველე ახლა. წერილი, ხომ? ისეთი წერილი დავწერო, ჰაიტ, ილიკო ბრუციანო! – დასჭყივლა უცებ და მეორე ოთახში გავარდა. მე გაშტერებული ვუცქერდი გაგიჟებულ ილარიონს.

ცოტა ხნის შემდეგ ილარიონი გამოვარდა მეორე ოთახიდან, ხელში ერთი ფურცელი ქაღალდი და საწერ–კალამი ეკავა.

– დაჯექი, ზურიკელა, და წერე!

– რა, ილარიონ?

– წერე, გეუბნები, ჯერ აგი ქაღალდი დაკუჭე! – მე დავკუჭე ქაღალდი. – მასე, ჰო, გაშალე ახლა, – გავშალე, – ახლა დაჯექი და წერე! – მე მოვემზადე საწერად. ილარიონმა ოთახში გაიარ–გამოიარა, მერე დაჯდა სამფეხზე, თუთუნი გაახვია, გააბოლა, თვალები დახუჭა, თავი კედელს მიაყრდნო და იდუმალი ხმით დამიწყო კარნახი:

„ – მე, ლევარსია ჩიგოგიძე, სიკვდილის პირას მიმდგარი ვწერ ამას, დღეს თუ ხვალე, ვერ გავატან, ალბათ, ყორიფელი სიკეთე მაკლდა ცხოვრებაში, ლუკმას ვიკლებდი, პირში და კაპიკს კაპიკზე ვაწეპებდი. მიწია ბოლოს, გამიფუჭდა ჯანმრთელობა, ვწევარ ახლა და ვკვდები. ვკვდები, მარა არ მივდივარ წაწყმედილი ამ ქვეყნიდან, ჩემი ილიკოზა ხაზარულა ვაშლის ძირში, ხელმარჯვნივ დიდი ქვაი რომ დენა, სიპის ქვაი, იმის ქვეშ არშინზე ერთ ბათმან ოქროს ვტიებ ჩამარხულს. არ იცის კაციშვილმა აგი ჩემი საიდუმლო. დადგება დრო და ნახავს, თუ ჭკუა აქვს ჩემს ბიჭს, არა და მიწაა ყოველი და მიწად იქცევა ბოლოს, ღმერთო, შენ შემიწყალე, ამინ...“

– არ მოითქვამს სულს საწყალი ილიკო? – თქვა ილარიონმა.

– რაო?

– ერთი ბათმანი ოქრო ხუმრობა საქმე ხომ არ გგონია შენ? ჰო, ჰო, არ დასახლდება ილიკო შეჩვენებული? ისე, არამია მაგაზე ამდენი ოქრო. ხუთი კილო დავწერე, – მე მივხვდი რაშიც იყო საქმე და გიჟივით სიცილი ამივარდა.

– ცოდვაა, ილარიონ, მოუმატე ერთი–ორი კილო!

– არც ერთი გრამი, მაგიც ზედმეტია მაგისთვის.

– კი, მაგრამ, ილარიონ, არ იტყვის, რაღა მიწაში მარხავდა ამ წერილს, პირდაპირ მოეცაო?

– მაგას ვერ იფიქრებს, ერთი წლის იყო ილიკო, საწყალი ლევარსიე რომ წელკავით მოკვდა.

– ცოლს აღარ ეტყოდა?

– არც მაგას იფიქრებს, იმიტომ რომ საწყალი კაკანო მაგ შეჩვენებულის მშობიარობას გადაყვა.

– აშენებულა, აბა, და ესაა!

– აბა, მე რას გეუბნებოდი?

წერილი დავგორგლეთ, ჭინჭებში გავახვიეთ, დავანესტიანეთ, დოქში ჩავკუჭეთ, მერე თავი წავუკარით დასანთლული ძონძით და ილიკოს ეზოსკენ დავიძარით აჩრდილებივით.

მეორე დღეს გათენებამდე მივადექით ილიკოს. ილიკომ შეგვაქო გულმოდგინებისათვის, თითო ჭიქა არაყი დაგვალევინა, ზედ მუაევ პამიდორი და ცივი ჭადი დაგვაყოლებინა და მუშაობას შევუდექით. ნაშუადღევს ილიკოს ბარმა საეჭვოდ გაიწკრიალა, ილიკომ ბარი ამოიღო და პირი გაუსინჯა. მე და ილარიონი გავინაბეთ. ილიკომ ისევ დაჭრა ბარი, მიწაში რაღაც გატყდა. ილიკომ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ადგილი ხელით მოსინჯა. ჯერ დოქის წატეხილი ყელი ამოათრია, მერე თვითონ დოქი და გაკვირვებით შემოგვხედა.

– რაა მაგი, ილიკო? – ჰკითხა ილიკოზე უფრო გაკვირვებულმა ილარიონმა.

ილიკოს არაფერი უთქვამს და ჩქარი მოძრაობით ამოაძრო დახვეული და დასანთლული ჭინჭი დოქიდან. ჩვენ გარშემო შემოვეხვიეთ. ილიკომ ხელის კანკალით გახსნა ჭინჭი და წერილი გაშალა.

– მომეცი აგერ, წავიკითხავ! – ვუთხარი მე.

– მე თვითონ წავიკითხავ! – თქვა ილიკომ და დაიწყო.

„მე, ლევარსიე ჩიგოგიძე, სიკვდილის პირას მიმდგარი ვწერ ამას. დღეს თუ ხვალე ვერ გავატან, ალბათ...“ – ილიკომ ნერწყვი გადაყლაპა. – მამაჩემის დაწერილია!

„ყორიფელი სიკეთე მაკლდა ცხოვრებაში, ლუკმას ვიკლებდი პირში და კაპიკს კაპიკზე ვაწეპებდი...“ – ილიკოს ხმა აუკანკალდა. – „მიწია ბოლოს, გამიფუჭდა ჯანმრთელობა. ვწევარ

ახლა და ეკვდები, ეკვდები, მარა არ მივდივარ წაწყმედილი ამ ქვეყნიდან. ჩემი ილიკოზა ხაზარულა ვაშლის... ძირში...“ – ილიკოს ახლა ხელები აუკანკალდა და ხმა ჩაუწყდა. იგი დამუნჯდა. ილარიონმა ირიბად გადმომხედა.

– რაო, კაცო, რას გაჩერდი? – ილიკო გაფითრდა, მერე ნერწყვი გადაყლაპა და ჩვენ შემოგვხედა.

– აღარ იტყვი, რას გწერს? – ვკითხე ახლა მე და ბარძაყზე ვიბწკინე, რომ სიცილი არ ამვარდნოდა. ილარიონმა თავი ჩაღუნა და ხველება მოიგონა... გამშრალმა ილიკომ განაგრძო:

„ხაზარულა ვაშლის ძირში... ვიჯექი... დღეი და ღამე და... – ახლა ილიკოს აუვარდა ხველება – ვიჯექი და ასე ამომხდა სული... გაჭირვებაში... ვერაფერს ვერ ვუტოვებ ჩემს ილიკოს... ღმერთი შეეწევა, ამინ“ – დაამთავრა ილიკომ და წერილი უბეში ჩაიდო.

– კი მარა, იმ დალოცვილს, დოქში რომ დებდა მაგ წერილს, მაგიდაზე ვერ დადგა? – თქვა ილარიონმა. ჩემი იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, წყურვილი მოვიმიზეზე და წყაროზე გავვარდი. მთელი საათი ვეგდე იქ და მოლზე ვგორაობდი. სული რომ მოვითქვი, დასუსტებული და დაოსებული დავბრუნდი ილიკოსთან და ილარიონთან. ისინი მოლზე ისხდნენ და თუთუნს აბოლებდნენ.

– ჰე, დავიწყოთ ახლა მუშაობა! – თქვა ილარიონმა, მე რომ დამინახა და წამოდგა.

– ილარიონს ვენაცვალე, დღეს გვეყოფა, მე მგონია, მუშაობა, რაცხა შეუძლოდაც გავხდი!

– არ გადამრიო! – თქვა ილარიონმა და ილიკოს მაჯა გაუსინჯა. ილიკომ თავი მოიმკვდარუნა.

– წადი შენ, ჩემო ილიკო, დაწექი და მე და ზურიკელა ვიმუშავებთ.

– არა, ილარიონ, წადით თქვენც, დაისვენეთ, დაღლილები ხართ.

– რამ დაგვღალა, შე კაცო!

– წადით–მეთქი, რომ გეუბნებით!

– მოგიკვდეს ილარიონი, თუ მიგატოვოს გაჭირვებაში.

– ფეხს არ მოვიცვლით აქედან! – ვთქვი მე.

– ადექი, შე მამაძაღლო, და წეეთრიე სახლში, დღეს გაცოფდი მუშაობაზე? – ველარ მოითმინა ილიკომ.

– რას ამბობ, ილიკო, ჯერ რა გაგვიკეთებია, რომ წავიდეთ!

– თქვენ არ გეყურებათ, რომ გეუბნებით? წადით, ახლა. დამტოვეთ მარტო!

– შენი ახლა მარტო დატოვება არ შეიძლება!

– ილარიონა შევარდნაძე, ადექი და წადი, გელაპარაკები მე შენ.

– არ აბრუნებ მიწას?

– დაგაყარეთ მიწა ორივეს, არ ვაბრუნებ, თქვენ გადაბრუნდით მიწაში. რას მიყურებთ?

– გაგიჟდი, ბერიკაცო?

– დამანებეთ თავი, ჩემია მიწა და არ ვაბრუნებ, არ მინდა ვენახი. გეყურებათ? დამანებეთ ჩემი ეზო, დამაყენეთ ჩემს სახლში! – წამოხტა უცებ ილიკო. მე და ილარიონი წამოვდექით და ჭიშკრისაკენ წამოვედით. ჭიშკართან რომ მოვედით, ილარიონი მიბრუნდა:

– ილიკო, ხვალ არ მოვიდეთ?

– ილარიონა ბრუციანო, რას გადამეკიდე, არ გინდოდა მუშაობა და გიშვებ სახლშიI მეტი რა გიყო, არ ვაბრუნებ, არა, არც ხვალ, არც ზეგ, არც ამ კვირას, არც იმის იქით კვირას, გეიგე შენი დასაფსები ყურებით?

– გეიგე, გეიგე! – გასძახა ილარიონმა, ჭიშკარი მიიხურა, ამდენი მოთმინება აღარ ეყო და შარაზე დაგორდა.

მეორე დილას მე და ილარიონს სახლში რა გაგვაჩერებდა, ავედით ილიკოსთან და რას ვხედავთ. ხაზარულა ვაშლის ძირში რომ დიდი ქვა იდო, რომელსაც ათი ვაუკაცი ვერ დაძრავდა ადგილიდან, გვერდზე იყო გადაგორებული, ხოლო მის ადგილზე დიდი პირდაფჩენილი შავი ორმო იყო, რომლიდანაც ქოშინი ისმოდა და სხაპასხუპით ცვიოდა მიწა.

– დაუწყია! – თქვა ილარიონმა.

– აგი მთელი ღამის ნამუშევარია, თორემ ამ დილით ვერ მოასწრებდა. – დავასკვენი მე.

– ილიკო! – დაიძახა ილარიონმა. ორმოდან ჯერ ორი ხელი ამოფორთხდა, მერე პირსახოცით წაკრული თავი, და მერე გახვითქულმა ილიკომ ამოყო ცხვირ–პირი.

– რა სიკვდილი გინდა? – დაიღრინა.

– რა დაგიშავე, ილიკო მყრალო, რომ მჭამ გუშინს მერე, რას მერჩი? – დაუყვავა ილარიონმა.

– თქვი, რა გინდა?

– რას აკეთებ, კაცო, მე ავად იყავი მეგონა და შენს სანახავად მოვედი.

– ჭას ვთხრი, ილარიონა შევარდნაძე, ჭას!

– ჭაც გაქვს ეზოში და ღარის წყალიც, მამაცხონებულო, მაგი რაღად გინდა?

– მინდა, ალბათ, ისინი რომ დაშრეს, აგი მექნება მარაგში!

– შე უპატრონო, უდაბნოში ხომ არ ცხოვრობ, რა დააშრობს?

– ილარიონა შევარდნაძე, მაცალე ცხოვრება, თუ არა და ეიღე მაგერ, ბარია, დამაყარე ზევიდან მიწა და დამმარხე ცოცხლად!

– მაგისთვის მემეტები, ჩემო ილიკო?

– მაცალე, აბა, ჩემს სახლში ცხოვრება!

– მოგეხმარები, ილიკო! – შევთავაზე მე.

– არ მანებებთ, ხომ, თავს? – იკითხა ილიკომ და იქით–აქეთ გაიხედ–გამოიხედა, ნამდვილად ქვას ეძებდა.

– სავენახე მიწას არ აბრუნებ? – ჰკითხა ილარიონმა.

– ტიტუ, გავგიჟდები, ახლა! კიდევ სავენახე მიწა არ დამიწყო?! – იკივლა ილიკომ და ორმოდან ამოვარდა. მე და ილარიონი დაფეთებულებივით გამოვვარდით უკან.

ერთი კვირა იმუშავა ილიკომ, ათმეტრიანი ჭა ამოთხარა ხაზარულა ვაშლის ძირში, ერთი კვირა ვუშრობდით სისხლს ილიკოს და ფერაფერს ხედებოდა. მეორე ჭის თხრა რომ დაიწყო, ილიკო დაუძლურდა, აღარ ცვივოდა მიწა მეორე ჭიდან ძველებური ხალისითა და სიკისკასით. შრომის ტემპები საგრძნობლად დაეცა. თხუნელასავით გათხუპნული ილიკო ამოძვრებოდა თუ არა ჭიდან, ჯერ დედას შეიგინებდა, მერე ჭაში ჩააფურთხებდა და დასუსტებული მიწვებოდა ვაშლის ძირში და უგემურად ღეჭავდა დაბლა ჩამოვარნილ ჭიან ხაზარულას.

– ეყოფა აწი, რას იტყვი შენ, ზურიკელა, ლანდს დაემსგავსა კაცი, ამაღამ გავათაოთ მაგი საქმე! – მითხრა ილარიონმა და დავჯექით სათათბიროდ.

იმ ღამით მე და ილარიონი სულგანაბულები ვიწექით ვაშლის უკან რწყავის ბუჩქების ქვეშ და გულის ბაგაბუგით ველოდით დიდი მოვლენის ტრიუმფალურ დასასრულს.

მთვარე რომ ამოვიდა, გაისმა კარის ჭრიალი და ილიკო პარტიზანივით წელში მოხრილი გამოვიდა თავისი ოთახიდან, იგი ფეხაკრეფით მიუახლოვდა პირდაფჩენილ ჭას დ ჭამ ზღაპარივით შთანთქა იგი. ჩვენ ჭის პირას მივცოცდით. რამდენიმე წუთში საბედისწერო წკრიალი გაიღო ილიკოს ბარმა. ერთ ხანს ჭაში ხმაური მიწყდა, მერე მოისმა გამალებული სუნთქვა. ჭაში ჩაკიდულ კიბეზე ილიკო ამოდიოდა. ჩვენ პირვანდელ პოზიციას დავუბრუნდით. ჭიდან თავი ამოყო ილიკომ, ჯერ ფრთხილად გაიხედ–გამოიხედა, მერე ამოიმართა მთელი ტანით, მას სასოებით ეკავა ხელში დიდი ქოთანი. იგი დაჯდა ვაშლის ძირში ამოყრილ მიწის გროვაზე, ზურგით ვაშლის ტანს მიეყრდნო და ქოთანი მუხლებს შორის ჩაიდგა. იგი სახით ჩვენსკენ იჯდა და ჩვენ ნათლად ვხედავდით მას მთვარის შუქზე. დიდხანს ვერ ბედავდა ილიკო ქოთნის თავის მოხდას. ბოლოს გაბედა, ხელის ძლიერი დაქნევით შემოახია თავზე ნაჭერი და ხელი ჩაყო ქოთანში. უცებ დადუღრულივით ამოიღო ხელი და ცხვირთან მიიტანა. ჩვენ დავინახეთ როგორ მოებრიცა სახე ილიკოს, როგორ გაფშიკა ხუთი თითი და როგორ გაწია ცხვირი გვერდზე, ქოთანი სავსე იყო საოცარი სიზუსტით შეზავებული იმ სახის სითხით, რომლითაც მე და ილარიონი ილიკოს ბალზე გავითხუპნეთ და რომლის სუნი ილარიონს დღემდე ახსოვდა. ილიკო გაშრა, გახევდა და დამუნჯდა. იგი დიდხანს იჯდა ასე. ბოლოს ჩუმად, თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, დაიწყო:

– ილარიონა შეეარდნაძე, კიდე მაჯობე? მომკალი, ხომ, კაცი? მომჭერი თავი? ამის გულისთვის გამათხრევინე ორი ჭა? – თქვა მან და ქოთანზე მიუთითა. – ეიცი ახლა, აქ ხარ სადღაც, მიყურებ და იცინი. რას იზამ, მაჯობე, შენ მეიგე თამაში. გამოხვალ ახლა და დეიწყებ ცხენივით ხეიხვინს, მარა არ გამოხვიდე გირჩევნია, მოგკლავ, სულ ერთია მოგკლავ, გეუბნები მე შენ, არ გამოხვიდე. ეიცი ის უდღიური ზურიკელაც თან გახლავს, მარა არ გიშველის ღმერთი, ახლა გიუი ვარ მე, გელაპარაკები, დამთხვეული, ყელს გამოგჭამ, მარა შენ რას გერჩი, ჩემი ბრალია, არ ეიცოდი, რაცხა მათხოვარი იყო მამაჩემი? ოქრო კი არა, აგერ ქოთანში რომ სკინტია, იგი ენატრებოდა, ოი, აგი ქოთანი დამამხობია ახლა შენი და ზურიკელას თავზე და მომკლა მერე. ეიცი აქ ხართ სადღაც. იბრახუნებთ მჯიღს გულზე, მერე მოეთრევით და მოვკაკვავ თითს, ახლა არ დამენახოთ, თორემ თქვენ თუ ვერ დაგხოცეთ, სულ ერთია თავს მოვიკლავ და არ ქნათ მაგი. – ილიკო ადგა და სახლისკენ წავიდა. მერე უცებ შემოტრიალდა ზუსტად იმ ადგილისაკენ, სადაც ჩვენ ეიწექით და თქვა:

– არ გამამხილოთ ქემაინც არსად... ილარიონა ცხვირა. ამას თუ მიმზადებდი, ერთი ბათმანის მეტი ვერ გეიმეტე? მარა მათხოვარი იყავი მიდღემჩი და მასე დარჩები, შე ბრუციანო, შენ! ხვალ ამოეთრიეთ ორივე და აგი სავენახე მიწა გადამაბრუნებინეთ, თორემ ნავთს გადავასხამ თქვენს ოდებს და ცეცხლს მივცემ ქვევიდან! – ილიკომ დაამთავრა თავისი მონოლოგი და თავის ქიცინით წავიდა ღარისაკენ, ხელი დაიბანა და ოთახში შევიდა.

მე და ილარიონი კიდევ კარგა ხანს ვიწექით რწყავის ძირში. მერე უსიტყვოდ ავდექით, ბარები ავიღეთ და დილამდე ვაბრუნებდით ილიკოს სავენახე მიწას.

ფაქიზო

მე, ბებიას, ილიკოს და ილარიონს ერთი ზიარი ძროხა გვყავს, ფაქიზო, იგი ბებიაჩემის ხნის თუ არა, ილიკოს ხნის მაინც იქნება. მოზიარეობის პრინციპის თანახმად, ჩვენ ახლა ზიარი ჯოგი უნდა გვყავდეს, მაგრამ ფაქიზო ეს ხუთი წელია უშვილო არის. რა არ ვუწამლეთ, რა ბუღა არ მოვუყვანეთ, რა არ ვასვით, რა არ ვაჭამეთ, მაგრამ ერთხელ რომ უარი თქვა ფაქიზომ შთამომავლობაზე, არ ქნა და გული არ მოიბრუნა. მიუხედავად ამისა, ფაქიზო მაინც იწველებოდა, და რადგან იწველებოდა, მისი გამრავლების საკითხი თანდათან გადავიდა მეორე პლანზე, ბოლოს კი სულაც დაგვავიწყდა. მოზიარეობის ხელშეკრულების თანახმად, ფაქიზო ათი დღე ჩვენთან იყო, ათი დღე ილარიონთან, ათი დღე ილიკოსთან. მას სამთავე პატრონი ერთნაირად უყვარდა, სამივეს ერთნაირად სცემდა პატივს და სამივესთან ერთნაირად შიმშილობდა. არ არსებობდა ქვეყანაზე ძროხა უფრო დაბნეული. საღამოს შინ მობრუნებული, ჯერ ილიკოს სახლს მიაბღავლებდა, მერე ილარიონისას, მერე ჩვენსას, სადაც გაუღებდნენ ჭიშკარს, იქ ჩავიდოდა და ვინც დერგს შეუდგამდა, იმას მოაწველიებდა თავს. ამ ზაფხულს ფაქიზო სულ წავიდა ხელიდან, ჯერ ძუძუ გაუშრა, მერე მადა გაუფაჭდა, მერე მუხლები მოეკვეთა, ჩამოხმა, გაძვალტყავდა, და, რაც მთავარია, გულმავიწყი გახდა. თუ ეზოდან გადადენილი, სახოში აღარ ბრუნდებოდა, თუ სახლში მოიყვანდი, ეზოს გადაღმა გადასვლა ავიწყდებოდა, ერთმანეთში ერეოდა ბებია, ილიკო და

ილარიონი, მე კი საერთოდ ვეღარ მცნობდა. სამჯერ შეუჭამა ფაქიზომ ამ ზაფხულს ბებიას სარეცხი საპონი, სამჯერ შეუწუხა გული და ძლივს მოვაბრუნეთ ნიშადურითა და სისხლის გამოშვებით. ვეღარ დადიოდა საწყალი, დაბერდა, იმდენად დაბერდა, რომ გაჭაღარავდა კიდევაც. რამდენჯერ შევთავაზეთ ერთმანეთს მოზიარეებმა – მიჩუქნია, ეს ძროხა შენი იყოსო, მაგრამ ყველა ჩვენთაგანი თავს არიდებდა ფაქიზოს ინდივიდუალურ საკუთრებაში ყოლას. რაკი ერთმანეთს ვეღარ შევატყუეთ, ერთ დღეს დაუძახა ბებიამ მოზიარეებს და ჩვენს ზალაში, მრგვალი მაგიდი სგარშემო თათბირი გაიმართა.

– მეზობლებო, ყველაფერს აქვს საზღვარი, ძროხა კაცივითაა, ცას ხომ არ გამოეკერება? აღარაა, დადნა, დეილია, დაბელდა, ვერ ხედავთ თავად და ჩლიქებად რომ გადეიქცა? მოუხერხოთ რამე, – დაიწყო ბებიას.

– ჩვენ ძროხაზე ჩივი, ოლღა? – ჰკითხა ილარიონმა.

– ძროხა მაგი კი არა, ჩვენა ვართ, აღარაფერი სიკეთე მაგას აღარ მოაქვს, პირიქით, აქეთ გვწველის, – თქვა ილიკომ.

– რა ვუყოთ, დავკლათ? – იკითხა ილარიონმა.

– რატომ? – იკითხა ახლა ილიკომ.

– გავყიდოთ!

– რა, ძვალი? სადაური სპილოს ძვალი მაგას აქვს.

– ხორცი გავყიდოთ, შე კაცო!

– საიდან მევიტანოთ მერე ხორცი? – გაუკვირდა ილიკოს.

– დამზადებას ჩავაბაროთ! – თქვა ილარიონმა.

– ჩეიბარებენ? – ვიკითხე მე.

– მაგი კია საკითხავი, ხომ იცი შენ!

– ტყავში მაინც არ მოგვცემენ ფულს.

– იქით შევაძლიოთ ფული თუ მაინცდამაინც არა და მაგის საცოდავობას ვეღარ გავუძელი, – ამოიოხრა ბებიამ.

– ბარემ მოკვდეს და დავმარხოთ, – ვთქვი მე.

– ახლა მაგაზე ჩამაცვი შავები, მურადას არ იყოს, ჩავაბაროთ დამზადებას და იმდენი უქნია, უნდა ძეგლი დაუდგას, – თქვა ილარიონმა.

გადაწყდა, მეორე დღეს ფაქიზო დამზადებაზე უნდა წაგვეყვანა. დილით ოთხივენი ადრე ავდექით და ფუნქციები გავინაწილეთ: მე სამონელით ვვარცხნიდი ფაქიზოს, ილარიონი მარილწყლით ბერავდა, ილიკო ქორფა ბალახს ატენიდა პირში, ბებია კი მოდუნებულ მუხლებს უზილავდა თბილი წყლით. დღის ორი საათისათვის ფერუმარილით შელამაზებული, გაკრიალებული და ტიკვით გაბერილი ფაქიზო დიდი ზეიმით გავუყენეთ დამზადების გზას. ისე, როგორც შინაბერას გაუყენებენ ხოლმე შორეული სასიძოს გზას.

– არიქა, დააბრუნეთ! – დაფაცურდა უცებ ბებია.

– რა მოხდა, ოლღა, ძლივს ეიდგა ფეხი, ახლა ამის გაჩერება რავა შეიძლება? – თქვა ილიკომ.

– მოწველა დაგვავიწყდა. – თქვა ბებიამ, – რძე შეაწუხებს გზაში.

– არიქა, საწნახელი! – იყვირა ილარიონმა.

მე შევბრუნდი სახლში და ჩაის ჭიქა გამოვიტანე, ერთ საათს წველიდნენ ფაქიზოს, ხან ბებია, ხან ილიკო, ხან ილარიონი. მე წინ ვიდექი და რქებით ვიჭერდი, რომ არ წაქცეულიყო?

როგორც იქნა, გაავსეს ჭიქა ქაფით და გადმომცეს მე.

– მაგი მერე გევიყოთ, რომ დავბრუნდებით. – გაიკრიჭა ილიკო და ბაწარი მოქაჩა.

სოფელს რომ გავცდით და ფართო შარაზე გავედით, ფაქიზომ ჯერ ერთ მუხლზე დაიჩოქა, მერე მეორეზე და იბღავლა.

– არიქა, დავარდი ახლა ქადაგად და დეიწყე ლოცვა. – უსაყვედურა ილიკომ.

– აცალე, დეისვენოს! – თქვა ბებიამ.

– მასე ვერ მივალთ ერთ კვირას, ღამე მაინც იყოს, ზურგზე შეისვამდა კაცი და წაიღებდა, – თქვა ილიკომ.

ფაქიზოს გულისწასვლის აშკარა ნიშნები დაეტყო.

– მიეცი ცხვირში ნიშადური! – მითხრა ილარიონმა. მივასხი ფაქიზოს ცხვირში ნიშადური, ფაქიზომ ყურები გააპარტყუნა და ძროხულად დაცხიკვა.

– გაუჭერი, ილარიონ, ყური, თვარა ხომ ხედავ, სულს ღაფავს, – უთხრა ილიკომ.

– ამას კიდე სისხლის გამოდენა უნდა? – თქვა ილარიონმა და ფაქიზოს ყური შუაში გაუხია სანამყენო დანით. ფაქიზო ფეხზე წამოხტა და წინ გავარდა.

– არიქა, მიყევით ახალგაზრდებმა! – შეგვიძახა ბებიამ. ჩვენ ფაქიზოს დავედევნეთ, მე ყველაზე ადრე დავეწიე შარაზე ზიგზაგით დათრეულ ბაწარს, დავიხარე დაბლა, ვსტაცე ხელი და...

– არ დაქაჩო, წეიქცევა! – მომესმა ილიკოს ბღავილი. – ისე მიყევი! – მივყევი, ბაწრის დაქაჩვა აღარ დამჭირდა, ოცი მეტრის სირბილის შემდეგ ფაქიზო გაჩერდა, მოშარდა, მიწა დაყნოსა და ისევ დაწვა.

– ამან ასე თუ შარდა მთელი გზა, ქე დეიჩუტება და დამზადებას რაღა ჩავაბაროთ? – იკითხა ილიკომ. ფაქიზომ თვალები დახუჭა. – დანა, ილარიონა! – ისევ იბღავლა ილიკომ.

ახლა მეორე ყური ავახლიჩეთ ფაქიზოს და ისევ გავარდა იგი შარაზე. მე მოვემზადე გასაკიდებლად, მაგრამ ილარიონმა გამაჩერა.

– გაუშვი, ერთბაშად არ გაფრინდეს, სადღაც დაგვხვდება აპლაკული, სად წავა.

– არ მოგვპაროს ვინმემ, – შეეშინდა ილიკოს.
– მე შენ გეტყვი, ვერ ზიდავს, რამდენი კილო იყო, სანამ მარილწყლით გავბერავდით? – ჰკითხა ილარიონმა ილიკოს.
– სამოცი.
– აბა, ახლა იქნება ორმოცდახუთი... – ამასობაში ბებია წამოგვეწია.
– რა უყავით ძროხა? – იკითხა შეშინებულმა.
– ნუ გეშინია, ოლღა, მთლად რომ გასკდეს ნაკერავზე, მისი ფეხით მაინც ვერ მივა დამზადებაზე.
ჩვენ დავსხედით, თუთუნი გავაბოლეთ, გვარიანად დავისვენეთ და ისევ გზას დავადექით. მოსახვევი გათავდა და წინ ლარივით სწორი გზა გადაიჭიმა. ფაქიზო არსად ჩანდა. ჩვენ გაკვირვებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს და ფეხს ავუჩქარეთ. მეორე მოსახვევს რომ მივადექით, ოთხთავე შევდექით. ფაქიზოს ამჟამად კილომეტრზე მეტი ერბინა, მაგრამ სუნთქვა აღარ ყოფნია, სარბენი ბილიკიდან გადასულა და გრილში წამოწოლილა.მივუახლოვდით, ფაქიზო ადგომას არ აპირებდა, არ აპირებდა კი არა, ფიქრადაც არ მოსვლია.
– ადი, ფაქიზო, ზედ! – დაადგა ილარიონი თავზე. ფაქიზომ ისე ამოხედა ილარიონს, თითქოს ეკითხებოდა – შენ გიჟი ხომ არ ხარო.
– ადი, ძროხა, ზედ! – უთხრა ახლა ილიკომ. ფაქიზომ ილიკოსაც ასე ამოხედა.
– არ ადგები, ფაქიზო? – ჰკითხა ბებიამ. ფაქიზომ უარყოფის ნიშნად უკანასკნელი ლუკმა ამოაბრუნა და ცოხნა დაუწყო. ცოხნა რომ გაათავა, თავი მიწაზე დადო და თვალები დახუჭა. ჩვენ უომედოდ ეუცქერდით ერთმანეთს. ასე ვიდექით გაოგნებულები, თავს რომ ვიღაც მგზავრი წამოგვადგა და გვკითხა:
– მოკვდა?
– წუხანდელი ღამენათევია და ძინავს, – უპასუხა ილარიონმა.
მგზავრმა ამრეზით დაგვათვალიერა და გზა განაგრძო.
– ფაქიზო, ადექი, ახლა, შე შეჩვენებულო!
– რაღა დაგრჩა, შე უპატრონო, გაადგი ფეხი.
– გეთქვა, მკვდარი თუ იყავი და მანქანით წამოგიღებდით. – ავავსეთ საყვედურებით ფაქიზო, მაგრამ იგი ყურს არ იბერტყავდა. მაშინ საქმეზე გადავედით.
– მიდი, ილარიონ, წინ შეუდექი, ჰო!
– შეუშვირე მხარი!
– გოუშალე ფეხი, მეორე დოუჭირე ხელით!
– მოქაჩე ახლა კუდიდან!
– ვალერიანის წვეთები უნდა წამოგვეღო!
– აბა, ჰე, მიაწექი!
– კუდში მოკიდე ხელი, ოლღა!
– მოკიდე იმ ფეხში ხელი და გადაადგმევინე წინ, მასე, ჰო!.. – და დავიძარით. დამზადების პუნქტს რომ მივუახლოვდით, უკვე ბინდდებოდა, ფაქიზოს სული მოუსავდა.
– ახლა ნუ გამომჭრი ყელს და მთხოვე, რაც გინდა! – ეხვეწებოდა ილიკო.
– არც ისე ბებერი ხარ, ქალო, რამ დაგაგლახა! – ამხნევებდა ილიკო და წლოვანებას უკლებდა. ფაქიზომ ჩაკეცვა დააპირა, მაგრამ დროზე მივუსწარით.
– ნიშადური! – იყვირა ილიკომ. მე შევასხი ცხვირში ნიშადური ფაქიზოს.
– სულ ცხვირში რომ ასხამ, ცოტა სხვაგან წაუსვი. – მასწავლა ილარიონმა. მე დავუჯერე ილარიონს და ფაქიზო ფექვსმეტი წლის ქალიშვილივით შეკეკლუცდა დამზადების პუნქტის ეზოში.
– არიქა, შეაგდე სასწორზე! – უთხრა ილარიონმა ილიკოს და თვითონ დამზადების მუშაკთან მივიდა.
– გამარჯობათ თქვენი, ძროხა მოვიყვანეთ!
– გვარი!
– ჩემი თუ ძროხის?
– პატრონის.
– ვაშალომიძე, ჩიგოგიძე, შევარდნაძე.
– სახელი!
– ჩემი თუ ძროხის?
– ძროხის!
– ფაქიზო! – დამზადების მუშაკმა ძროხას გახედა და წარბი შეიკრა.
– რას გავს ეს?
– რავა, არ გავს ძროხას?
– რომ გავს და რომ არ არის, მაგას ვამბობ მეც.
– კია ცოტა გამხდარი. – დაიმორცხვა ილარიონმა.
– რატომ წევს სასწორზე?
– იწვეს, შე კაცო, წონაში ხომ არ მოიმატებს!
– ხომ არ მოკვდა?
– რას ამბობ, შვილო, ვერ ნახე, ცეკვა–ცეკვით რომ შემოვიდა ეზოში? – თქვა ბებიამ.
– აბა, კაცო, რავა უხაროდა, რომ მოდიოდა. – დაემოწმა ილიკო. დამზადების მუშაკი სასწორთან მივიდა და ძროხას გახედა, ფაქიზოს თვალები დაეხუჭა და ცრემლი მოეონავდა.
– ეს ძროხა მკვდარია, ბებია! – უთხრა მან ბებიას.

– რას ამბობ, კაცო, ძინავს! – თქვა ილარიონმა.
– გეუბნებით, მკვდარია, არ სუნთქავს, – გაიმეორა მწონავმა.
– ახლა ხვრინვას ხომ არ დეიწყებს, შე კაცო, – თქვა ილიკომ. მე მივედი ძროხასთან და მაჯა გავუსინჯე. მერე თვალებზე დავადე ხელი, მერე დრუნჩზე. ფაქიზო მკვდარი იყო.
– ჩამოვიღოთ სასწორიდან, – ვთქვი მე და ფაქიზოს რქებში მოვკიდე ხელი.
– ეზოდან გაიტანეთ, თორემ საქონელი გაგიჟდება, – გვითხრა მწონავმა. ჩვენ გავიტანეთ ფაქიზო ეზოდან, შარის პირას დავასვენეთ და გარშემო შემოვუსხედით.
– მანდ არ დატოვოთ, ან დამარხეთ, ან წაიყვანეთ, სადაც გინდათ! – მოგვაძახა მწონავმა ეზოდან. ჩვენ ფაქიზოს ადგილი გამოვუცვალეთ და ისევ გარშემო შემოვუსხედით. არ მახსოვს რამდენ საათს ვიჯექით ასე. უკვე საკმაოდ ბნელოდა, როდესაც ილარიონმა ხმა ამოიღო.
– ამის ჭირისუფალი ჩვენ ვართ და ჩვენ უნდა დავმარხოთ.
– დავტოვოთ ასე და გვეიპაროთ, – თქვა ილიკომ.
– მაგის ცოდვაში ვერ ჩავდგები, – თქვა ბებიამ.
– სად გინდათ, რომ დავასვენოთ? – ვიკითხე მე.
– ნათესავებს არ შევატყობინოთ? შეადგინე, ზურიკელა, დეპეშები, – დამავალა ილიკომ.
– ილიკო ბრუციანო, შენ რომ მოკვდები, დეპეშებს მერე დავაგზავნით, ამ ძროხას კი დამარხვა უნდა, ამას რომ უყურებ, დედაში არ გამომერჩოდა, მაგის რძით ვარ გაზრდილი! – თქვა ილარიონმა.
– იმიტომ ასხამდი ნიშადურს ცხვირში? – ჰკითხა ილიკომ.
– მაშინ ცოცხალი იყო! – იმართლა თავი ილარიონმა.
– ოლღა, შენ თქვი, რა ვქნათ? – ჰკითხა ილიკომ ბებიას. ბებია, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქმის არაფერი უთქვამს, იჯდა და ცრემლებს ჩუმად იწმენდდა სახელოთი.
– დავმარხოთ, ნენა, მარა სად დავმარხოთ და რითი, – თქვა ბებიამ.
– მაგი კია საკითხავი, – თქვა ილარიონმა.
– შარაზე მხარზე ჯოხგადებული და ფეხშიშველა ბიჭი მოტანტალებდა სტვენით.
– მოდი აქ, ბიჭო, შენ! – დაუძახა ილარიონმა. ბიჭი მოვიდა და შორიახლოს დადგა.
– რა გვარი ხარ?
– სიმონიშვილი.
– სად ცხოვრობ?
– ეგერ ე... – გაიშვირა ხელი შორს, სიბნელეში მოციმციმე ნათურისაკენ.
– რა გქვია?
– მარატი.
– ვაი შენს პატრონს უბედურს! რამდენი ყავხართ მამაშენს?
– ექვსი გოგო და ერთი ბიჭი.
– ვაი მის პატრონს უბედურს, ამ ძროხსა ხედავ?
– ძროხაა მაგი?
– დამიწყო ახლა ამან დამზადების ინსპექტორივით, გადაყლაპე ენა და დამიგდე ყური. ამ ძროხას შენისთანა ცხვირმოუხოცელი ყაზილარი ასი გაუზრდია რძით, ყველით და კარაქით. გეყურება? აგი ძროხა შენ უპატრონო არ გეგონოს. ამ ძროხის პატრონები ვართ ჩვენ. აგი ძროხა მკვდარია ახლა, მაგრამ ბევრ ცოცხალს ჯობია, ძროხა ღმერთად ყავთ ზოგიერთ ქვეყანაში, რა ქვეყანაა, ბიჭო ზურიკელა, იგი?
– ინდოეთი.
– ძროხა ღმერთად ყავთ ინდოეთში და ლოცულობენ ზედ... ძროხა...
– რა გინდა, ბიძია, მეჩქარება, – გამოვიდა სიტყვით მარატი.
– რა მინდა და დამარხვა უნდა ამას. ა, შენ თუმანი, გაიქეცი ახლა სახლში, მოიყვანე ის შენი ექვსი დაი, ექვსი ბარი, ექვსი თოხი და მოუარეთ ამ ძროხას, გეყურება?
– ცოტაა თუმანი.
– ა, შენ კიდევ თუმანი.
– ცოტაა მაგიც.
– ა, კიდევ ხუთი მანეთი.
– მაგიც ცოტაა.
– ა, კიდევ სამი მანეთი.
– მაგიც ცოტაა.
– რა არის ცოტა, შე მამაძაღლო, არ გამყიდა ამ უპატრონო ძროხის გულისთვის?
– არა და, ეგდოს მასე, – თქვა მარატმა და გზა განაგრძო.
– მოეთრიე, შე უბედურო, რამდენი გინდა?
– ხუთი თუმანი! – ილარიონმა კბილების კრაჭუნით გადაუთვალა ხუთი თუმანი მარატს და თავი ძლივს შეიკავა, მის ლეღვის ფოთოლივით გადაშლილ ყურს რომ შეხედა.
– ამეღამ უნდა დამარხო.
– ხვალ დილას გათენებამდე, აწი გვიანია, სანამ სახლში მივალ...
– შემხედე თვალებში, – უთხრა ილარიონმა მარატს, – ხვალ დილით ჩამოვიღლი და თუ ამ ადგილას საფლავი არ დამხვდა, ოჯახიანად გადაგბუგავ, მიწიდან ამოგიღებ, გეყურება?
– მეყურება. – თქვა მარატმა და სიბნელეში გაქრა. ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ და ფაქიზოს წინაშე ვალმოხდილები დავადექით ჩვენი სოფლის გზას.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ მე ვიდექი ჩემი ზღმარტლის ძირში, ზუსტად ისე, როგორც ეს ერთ ნახატზეა გამოსახული, პუშკინი რომ დერჟავინს უკითხავს თავის ლექსს და ხამამალა ვუკითხავდი ილიკოს, ილარიონს და ბებიას რაიონის სანიტარული ინსპექციიდან მოსულ უწყებას, ზედდართული ჯარიმის ქვითრით.

„მოქ. ვაშალომიძეს, ჩიგოგიძეს და შევარდნაძეს. ამა და ამ წელს, ამა და ამ დღეს, თქვენს მიერ რაიონის ცენტრალურ გზაზე ცპტრონოდ მიტოვებულ იქნა მკვდარი ძროხის ლეში. მისმა დაუმარხაობამ გამოიწვია აღნიშნულ ტერიტორიაზე ეპიდუმიურ დაავადებათა შექმნის კერის აღმოცენების საშიშროება. ამავე დროს ძროხის აუტანელი სუნი, რისთვისაც თქვენ ჯარიმდებით სამასი მანეთით, თვითოეული მოზიარე ასი მანეთით.

რაზედაც ხელს ვაწერ – რაისანინსპექციის უფროსი ექიმი...“

– მაგ ჯარიმას, მე მგონი, ყველას ილარიონი გადაიხდის! – თქვა ილიკომ, მე რომ კითხვა დავამთავრე.

– რატომ, ილიკო? –ჰკითხა ბებიამ.

– იმიტომ, რომ დედაში არ გამოერჩოდა და იმის რძით იყო გაზრდილი!

– ვინ თქვა პირველად დამზადებას ჩავაბაროთ ძროხაო, – თქვა ჩურჩულით ილარიონმა და კბილები გააკრაჭუნა.

– შენ, შე უბედურო, – ვუთხარი მე ილარიონს.

ილარიონი უხმოდ შეტრიალდა, თავის ეზოში ჩავიდა, მერე ოთახში შევიდა,კარი შიგნიდან ჩაიკეტა და მთელი დღის განმავლობაში გარეთ არ გამოსულა.

მე და ილიკო კი ვიდექით რაიონის შარაგზაზე, ყველა შემხვედრ ბიჭს ვაჩერებდით, ალერსით სახელს ვეკითხებოდით, მაგრამ მარატის მსგავსი არაფერი შეგვხვედრია.

777

მე უკვე ზურიკელა აღარ ვარ, მე ვარ უმაღლესდამთავრებული, ნასწავლი კაცი. ჩემს დიპლომში სწერია, რომ მე, ზურაბ ვლადიმერის ძე ვაშალომიძე, ვარ ეკონომისტი, რომ ჩემი დიპლომი და პროფესია ძალაშია საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ყველა ქალაქში და მით უმეტეს ჩემს სოფელში. მე მკერდზე უნივერსიტეტის დამთავრების ნიშანი მიკეთია და სრულებითაც არ მენანება, რომ მისი გულისთვის ახალი პაჯაკი გავხვრიტე. მე მივდივარ ახლა ჩემს სოფელში, სადაც ამომავალ მზესავით მელოდებიან: ბებია, ილიკო, ილარიონი და მერი. მე ჩავალ სოფელში, ჩემი ოდის წინ საკენახე მიწას გადავაბრუნებ, ცოლიკაურს ჩავყრი, სამი წლის შემდეგ მოსავალს ავიღებ და მამულის პატრონი გავხდები. მე ვიცხოვრებ სოფელში, მექნება დიდი ოდა, ეზოში მებმება მურადა, მეყოლება მერი და თორმეტი შვილი, თერთმეტი ბიჭი და ერთი გოგო, რომელიც ლამაზი იქნება და ცირა ერქმევა. მე ვიცხოვრებ სოფელში და თბილისში ვივლი ხშირად, რომ ჩემს ლამაზ ცოლსა და ბავშვებს წიგნები და საჩუქრები ჩამოვუტანო. მე საჩუქრებს ჩამოვუტან ბებიას, ისეთ საჩუქრებს, რომ ბებიამ სიხარულით იტიროს, მერე რა, სიხარულით არ კვდებიან, იტიროს, ბებიამ, მე მას მაინც ჩამოვუტან საჩუქრებს, ილიკოსა და ილარიონსაც ჩამოვუტან საჩუქრებს, ისეთ საჩუქრებს, რომ ილიკომ და ილარიონმა არ იცინონ. მე თბილისში მივალ დეიდა მართასთან და სოფლიდან ჩამოტანილ ძღვენს მივართმევ, ისეთ ძღვენს, რომ დეიდა მართამაც იტიროს.

მერე მე ჩამოვიყვან დეიდა მართას ჩემს სოფელში, მოვიყვან ილიკოს და ილარიონს ჩემთან და ჩვენ ყველანი ერთად ვიცხოვრებთ. მე მეყოლება უამრავი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, იმათი შვილები და მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით, მერე ჩვენ გავმრავლდებით უსასრულოდ, უსაშველოდ და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დავიხოცებით, აღარ დავილევით და აღარ გავთავდებით, ვადგივარ ჩემი სოფლის ნისლიან აღმართს, მხარზე ცარიელ ხურჯინგადაკიდებული და ასე ვფიქრობ მე, ზურიკელა ვაშალომიძე.

დაღმართს რომ მივადექი, დავჯექი და ჩემი ოდის საკვამურიდან ამოსულ ფუტს დავუწყე ცქერა. დიდხანს, დიდხანს ვიჯექი ასე, მაგრამ ბებია ეზოში არ გამოჩენილა, დავეშვი თავქვე სირბილით, ქვედასართულში შევვარდი, არავინ დამხვდა.

– ბებია! – დავიძახე მე, ხმა არავის გაუცია, ზევით ავვარდი, კარი ღია იყო და სიჩუმე. ზალა და წინა ოთახი გავიარე, მერე უკანა პატარა ოთახში შევედი. ოთახში ოდნავ ბნელოდა. ბებია ხის საწოლზე იწვა. მე შეშინებული დავიხარე ბებიას სახეზე, მას ეძინა. ფეხაკრეფით გამოვბრუნდი ზალაში და იქ, როგორც მიწიდან ამოსულები, დამხვდნენ ილიკო და ილარიონი.

– გამარჯობა, თქვენი! – გავუღიმე მე მათ.

– გაგიმარჯოს! – მიპასუხეს მათ და უგემურად გამიღიმეს.

– რა მოგივიდათ?

– შეუძლოდ შეიქნა წუხელ, თუ გაატანდა არ გვეგონა, დეპეშა მიიღე? – მკითხა ილარიონმა.

– რისი დეპეშა, ილარიონ?

– ცუდად შეიქნა წუხელ, კვდებოდა, – თქვა ილიკომ. მე ბებიას ოთახში დავაპირე შებრუნება.

– აცალე, იძინოს, – თქვა ილარიონმა და მე უხმოდ დავჯექი.

საღამომდე ეძინა ბებიას. მზე რომ ჩასვენა, თვალები გაახილა. მე მის წინ ვიჯექი. მიყურა, მიყურა, მერე თვალები დახუჭა ისევ და ილარიონს დაუძახა.

– ილარიონ, ჩემ ბიჭს ვხედავ თუ მელანდება?

– მე ვარ, ბებია, – ვთქვი მე და თავი მკერდზე დავადე. მისი გული ქალის პატარა მაჯის საათივით სუსტად და ჩქარ–ჩქარა მუშაობდა.

– მოდი, ნენა? ტანმა გიგრძნო? აბა, რავა გეგონა, ბებიაშენი ღვთიშობელი კი არ ყოფილა, მოვიდა დრო. ილიკო, აჭამეთ რამე ბაღანას?

– კი, ოლღა!

– ღვინო დაალევინეთ?

– არ დალია!

– რატომ, ნენა, წადი და დალიე, შენთვისაა ის ღვინო დაწურული, სვი და თუ მოგირჩა ცოტა, ჩემს ქელეხზე მოსულ ხალხსაც დაალევეიეთ.

– რას ამბობ, ბებია?!

– ნიკაპი ნუ გიკანკალებს, შე გლახაკო, მე რომ კარგად ვიყო, შენ ნიკაპი არ აგიკანკალდებოდა. ჩემი მობრუნება აღარ შეიძლება აწი, არცაა საჭირო, ნამეტანი შევაწუხე დედამიწა, დავამძიმე. ხუმრობა ხომ არაა, სამოცდათორმეტი წლის ქალი ვარ, მარა რა ვქნა, ნენა, ვეღარ გავძეხი სიცოცხლით. ხარბია კაცის გული. მრცხვენია თქმა, თვარა კიდე ქე მინდა სიცოცხლე. მეფემ სამი დღის სიცოცხლისათვის ბრმა ლეკვი შეჭამა.

– ოლღა, შენ რა მოგკლავს, ჩვენისთანას ათს კიდევ აჯობებ და წინ წაიმძღვარებ, – სცადა ხუმრობა ილარიონმა.

– ილარიონა შევარდნაძე, მაგი ცრემლი მეიშორე და ისე იხუმრე. – უთხრა ბებიამ საქციელწამხდარ ილარიონს. – უმაღლესი ხომ დაამთავრე, ნენა? – მკითხა ახლა მე ბებიამ. უბიდან დიპლომი ამოვიღე და ბებიას მივეცი. ბებიამ დიპლომი ხელში ატრიალა, მერე ილარიონს გადასცა და წამიკითხეო, სთხოვა. ილარიონმა წაიკითხა დიპლომი, ბებიას თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა და საფეთქლებზე ჩამოეღვარა. იგი დიდხანს დუმდა. მერე დიპლომი ჩამოართვა ილარიონს, მე დამიბრუნა და მითხრა:

– ახლა დაჯექი და დამიგდე ყური. მე ამაღამ ვერ გავაწევ, ნენა. ღმერთს მადლობას ვწირავ, შენი თავი რომ მანახა, მე ანდერძს არ გიტიებ, ნენა, მარა, რასაც ხედავ აქ, შენია ველაფერი.

– რა ოხრად მინდა უშენოდ! – ვთქვი მე და ზლუქუნით დავემხე ბებიას მკერდზე.

– დაგჭირდება, ნენა, დაგჭირდება. იტირე, აბა, რავა გინდოდა შენ, გამზრდელი ბებია რომ მოგიკვდება, არ უნდა იტირო? იტირე, შვილო, იტირე, ასე ცოცხლად მიტირე, თორემ მკვდარი მე ვერაფერს დავინახავ. კაი ახლა, გეყოფა, გეყოფა აწი, შვილო... – ბებია თავზე ხელს მისობდა და მამშვიდებდა. ცოტათი რომ დავმშვიდდი, ისევ დაიწყო. – ამათ ხომ უყურებ, ილარიონს და ილიკოს, არ დაკარგო, ნენა,ეს ორი კაცი, შენზე ამოსდით მზე და მთვარე, ყველაფერი დაუჯერე. ამათ რომ სიკეთე აქვთ შენთვის გაკეთებული, იმას შენ ვერ გადაუხდი და ნურც დაპირდები. ისე გიყვარდეს, როგორც მაგათ უყვარხარ! – ილიკო და ილარიონი იდგნენ ოთახის კუთხეში და ბავშვებივით ზლუქუნებდნენ. – გადით გარეთ ორთავე და დამტოვეთ მარტო ჩემს ზურიკელასთან. – ილიკო და ილარიონი ადგილიდან არ დაძრულან. – გადით, თქვე ბრუციანებო, ვინ გეეგონა ცოცხალი კაცის ტირილი. – თქვა ბებიამ. ილიკო და ილარიონი გავიდნენ. დავრჩით მარტო მე და ბებია.

– მოდი, ნენა, გაკოცო მინდა, – მითხრა ბებიამ, მე დავიხარე. ბებიამ დამიკოცნა შუბლი, თმა, თვალები, სახე, ხელები, მერე დიდხანს ეყავდი გულში ჩაკრული.

– ახლა ერთი ჭიქა ცვინო დამალევიე. – მთხოვა მან. მე რძე დავუსხი და მივაწოდე. ბებიამ უსიტყვოდ გამოსცალა რძე, ვიფიქრე, უკვე ვეღარ გრძნობს–მეთქი.

– ახლა ღვინო დამისხი, – მითხრა ბებიამ. მე დავუსხი ღვინო. ბებიამ ჭიქა ჩამომართვა, ლოგინზე წამოიწია და ხელების ცისკენ აღაპყრო.

– ღმერთო მაღალო, ღმერთო ძლიერო, დედაო ღვთისა, წმინდაო მარიამ, არ მოაკლო შენი წყალობა ჩემს სისხლსა და ხორცს ზურიკელას და მის ნაგრამს. შენ გაუმართე ხელი გასაჭირში, შენ გაუნათე უკუნი და მიეც დღეგრძელი...

ბებიამ სუნთქვას მოუხშირა. მერე ღვინო მოსვა ოდნავ და უკან დამიბრუნა. წამოწვა ისევ.

– ჩააქვრე სინათლე და გადი გარეთ. – მითხრა მან უცებ. მე ჩავაქრე სინათლე და გავედი გარეთ.

ცოტა ხნის შემდეგ შემოვბრუნდი.

– ბებია, ბებია! – მე დავიხარე ბებიას მკერდზე. იგი აღარ ცემდა. ასე ვიყავი დიდხანს, თავაუღებლად და მე ვიგრძენი, რომ ვიღაც შემოვიდა ოთახში, დადგა ჩემს უკან და ცრემლები მოიწმინდა, მერე დაიხარა, რომ მხარზე ხელით შემხებოდა და წამოვეყენებინე, მაგრამ გადაიფიქრა, მე ვიგრძენი, რომ იგი აღარასოდეს წავიდოდა აქედან და არ დამტოვებდა მარტო. მე უკან არ მომიხედია, მაგრამ ვიგრძენი, რომ ეს მერი იყო, რადგან მას ამ ბნელ ოთახში უზომო სინათლე შემოჰყვა. მერე მე მაინც ავდექი და შემოვტრიალდი, რათა დამენახა ეს სინათლე და ამ სინათლეზე ჩემი ილიკო, ჩემი ილარიონი და ჩემი ბებია...

დაბადების დღე

ასმეშვიდე აუდიტორიაში ქრისტეს ტირილი იდგა. პოლიტეკონომიას თვითონ პატივცემული პროფესორი, კასიანე გოგიჩაიშვილი იბარებდა. ეს ამბავი მოულოდნელი არ იყო ჩვენთვის და არც ერთ ჩვენთაგანს ამის დარდი არ ჰქონია, მაგრამ როდესაც აუდიტორიიდან ლოყებდახოკილი ლუბა ნოდია გამოვიდა და გვითხრა, ყველაფერი ეყურებაო, გავშრით. ვინ იფიქრებდა, რომ ამ სათნოებით სავსე, ყრუ კაცს, რომლისთვისაც გამოცდაზე მერკანტილიზმის ნაცვლად იონჯის ფესვთა სისტემა რომ მოგეყოლა, მაინც ხუთიანს წერდა, სწორედ წელს, საგაზაფხულო სესიებზე, დაუბრუნდებოდა სმენა. ამ ამბის შემდეგ პირადად ჩემთვის გამოცდა დამთავრებული იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წამძლია და ლუბას მივვარდი, რომელიც გადამწიფებული ნესვივით გაყვითლებულიყო და მატრიკულში ჩაწერილ ორიანს დაშტერებოდა.

– რაო, გოგო? – ვკითხე ლუბას და სახელო მოვქაჩე.

– რა ვუყო ახლა ამას? – თქვა ლუბამ და უაზრო თვალები მომაშტერა.

– კი მაგრამ, არ იცოდა მაგ ოჯახდანგრეულმა, მატრიკულში ორი რომ არ იწერება? – ჰკითხა გურამმა.

– ვუთხარი და ასე მიპასუხა, აბა, რა ვიცი, გოგონი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვწერ ორიანსო, რა ვქნა ახლა მე? – ისევ იკითხა ლუბამ და თვალები ცრემლით აევსო.

– მაინც რა შეგხვდა? – ჰკითხა გურამმა.

– პირველი, საქონლის წრებრუნვა. მეორე, ფულის ინფლაცია, მესამე, აღარ მახსოვს...

– ვერაფერი ვერ უპასუხე?

– დავიწყე!

– რა?

– როგორც შარშან, ამ ზაფხულს სოფელში ვიყავი, ბებიას ვეხმარებოდი ბოსტნის დამუშავებაში–მეთქი, ბებიაჩემი ძალიან კეთილი ქალია–მეთქი... ჰოდა, ბებიაშენი დაგიწერს ნიშანსო, ასე მითხრა. – დაამთავრა ლუბამ და მატრიკულზე დაემხო.

აუდიტორიის კარი გაიღო და ჩვენი ჯგუფის მამასახლისმა სია წაიკითხა:

– ბარამიძე, ჭიჭინაძე, შემოდით!

– ბ–ს მერე ჭ–ა, დეგენერატო? – ჰკითხა გურამმა.

– ერთი ქვევიდან, ერთი ზევიდანო! – განმარტა ეფრემმა. და გადმოცვენილი თვალებით აუდიტორიისაკენ მიგვითითა, ვითომდა რა ჩემი ბრალია, პროფესორმა ასე თქვაო. მე არ ვიცი რა ჰქვია ისეთ ავადმყოფობას, როდესაც გული ყელში ამოვარდება, ენა მუცელში ჩავარდება, შუბლზე ცივი ოფლი დაგასხამს, მუხლები მოგეკვეთება, ხელები აგიკანკალდება და თვალები დაგიბნელდება, მაგრამ როდესაც გადავხედე გურამს, რომელიც ვეებერთელა ცხვირსახოცით შუბლსა და ხელებს იმშრალებდა და გამხმარ ტუჩებს ილოკავდა, მივხვდი, რომ ეს ავადმყოფობა გადამდები იყო.

აუდიტორიაში ფეხაკრეფით შევედით. პროფესორი მწვანემაუდგადაფარებულ მაგიდას უჯდა და იღიმებოდა. მას ოქროსვარაყიანი, სქელშუშიანი სათვალე ეკეთა, რომლის ორთავე ყურში შეკვეხებული ბოლოები ჩვენს დამღუპველ ორ პატარა მემბრანას უერთდებოდა.

– დაბრძანდით! – მიგვიპატიჟა მან. ჩვენ ადგილიდან არ დავძრულვართ.

– თქვენ ყურს ხომ არ გაკლიათ?... მობრძანდით და დაბრძანდით! – ისევ მიგვიწვია პროფესორმა. მაგიდას მივუსხედით, რომელზეც სასიკვდილო განაჩენივით ეყარა ხელისგულის სიფართე თეთრი, ჯერ თითქმის უხმარი საგამოცდო ბილეთები.

– აიღეთ ბილეთები და მოიფიქრეთ! – გვთხოვა პროფესორმა.

მე ავიღე ბილეთი და ვიდრე გადმოვაბრუნებდი, უკვე ვიცოდი, რომ ეს იყო ის ბილეთი, რომელზეც ფიქრიც სიკვდილამდე არ მომბეზრდებოდა. გურამმაც აიღო ბილეთი, დახედა და შავნაბადაზე შესაწირავად აყვანილი მოზვერივით მომაპყრო სევდიანი თვალები.

– თქვენი სახელი და გვარი? – მკითხა პროფესორმა.

– ბარამიძე თეიმურაზი. – ვუპასუხე პირველ კითხვაზე. პროფესორმა პასუხი უბის წიგნაკში ჩაიწერა.

– თქვენი? – მიუბრუნდა ახლა გურამს.

– ჭიჭინაძე გურამი. – ასევე ყოჩაღად უპასუხა გურამმა. პროფესორმა ისიც ჩაიწერა. მე და გურამი, როგორც ეს გამოცდაზეა მიღებული, ერთმანეთისაგან მოშორებით დავსხედით. მე საოცარი გულგრილობით დავიწყე ბილეთის კითხვა. პირველი კითხვა იყო – მიწის რენტა.

– ხომ არ დაიწყებთ? – მკითხა უცებ პროფესორმა.

– რატომაც არა! – ვუპასუხე მე. გურამმა გაკვირვებისაგან პირი დააღო.

– აბა, დაიწყეთ! – გაუხარდა პროფესორს.

– მიწის რენტა. მიწა კაპიტალისტურ ქვეყნებში იყიდება, საერთოდ, იქ ყველაფერი იყიდება, სინდისიც კი, სინდისი, რა თქმა უნდა, იაფად, რენტა არის მიწის გადასახადი. კაპიტალისტურ ქვეყნებში გადასახადი ძალიან მაღალია, გლეხები გმინავენ სამხედრო გადასახადების გამო, რადგან კაპიტალისტები იარაღს აუღარუნებენ. შეიარაღებას დიდი ხარჯი უნდა. დიდ ხარჯს – ბევრი ფული, ბევრ ფულს შოვნა ხომ უნდა, საიდან? გვეკითხება მოვლენათა ლოგიკა, რა თქმა უნდა, გადასახადებისგან.

– რა გქვიათ თქვენ, ახალგაზრდავ? – შემაწყვეტინა პროფესორმა.

– თემო, ბატონო!

– ჩემს ლექციებს თუ ესწრებოდით?

– როგორ გეკადრებათ, პატივცემულო! – მეწყინა მე.

– რატომღაც არ მახსოვხარ, თქვენ კი, საერთოდ, არ გიცნობთ! – მიუბრუნდა იგი გურამს.

– ჩვენ გიცნობთ შესანიშნავად, პატივცემულო ლექტორო, თქვენ კასიანე გოგიჩაიშვილი ბრძანდებით, ყველასათვის საყვარელი პროფესორი... თქვენ ჩვენი სიამაყე ხართ, თქვენს ლექციას ვინ გააცდენს, თქვენს ლექციებს კი არ ვიწერთ, ვყლაპავთ, – ჩავარდა ექსტაზში გურამი.

– აბა, ერთი მომიყევით, რას ყლაპავთ? – შეაჩერა პროფესორმა, გურამი ჯერ გაქვავდა, მერე წყლიდან ამოსული ძაღლივით თავი გაიბერტყა და მე შემომხედა. მე ენაზე ვიკბინე რომ არ გამცინებოდა. ახლა პროფესორს შეხედა გურამმა.

– აბა, – შეახსენა პროფესორმა.

– ბარამიძის გამოკითხვა დაამთავრეთ, პატივცემულო? – დაინახა ხმა გურამმა და სათნოებით სავსე ღიმილი მაჩუქა.

– ბარამიძე მეორე კითხვას მოიფიქრებს! – უპასუხა პროფესორმა. გურამმა კიდევ ერთხელ დახედა ბილეთს, მერე თვალები ამოატრიალა და სადღაც, შუბლზემოთ, შიგ ტვინში დაიწყო რაღაცის კითხვა. მერე, ეტყობა, ვერაფერი ამოიკითხა და ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა.

– შეიძლება, ბატონო, ბილეთი გამოვცვალო? – ჰკითხა უცებ პროფესორს.

– შეიძლება! – უპასუხა პროფესორმა და ამოიოხრა. გურამის აკანკალებული ხელი ბილეთებზე დაცურდა, მერე უცებ ერთ–ერთს დააცივდა და ასე დარჩა დიდხანს.

– ჭიჭინაძე, თქვენს გარდა კიდევ მყავს გამოსაცდელი ხალხი! – შეახსენა პროფესორმა. ხელი მექანიკურად ამოძრავდა, მას თან აჰყვა ბილეთი და გურამის თვალებთან გაშეშდა. გურამი ტუჩებს აცმაცუნებდა, ეტყობოდა, საკითხებს იმეორებდა.

– აბა, რას იტყვით? – თქვა პროფესორმა და თითები ნერვიულად დააკაკუნა მაგიდაზე.

– რამდენი ბილეთის გამოცვლის უფლება მაქვს, პატივცემულო? – შეეკითხა გურამი გაბზარული ხმით.

– მომეცით თქვენი მატრიკული! – გაუშვირა ხელი პროფესორმა. გურამი მოტყდა.

– არ დამღუპოთ, ბატონო, სტიპენდია დამეკარგება!

– თქვენი სტიპენდია კი არა, ოცი წლის უნახავი მეგობარი დავკარგე, მაგრამ საფლავში არ ჩავყოლივარ!

– მაგი ისედაც დაკარგული გყოლიათ. რა მოუვიდა უბედურს? – აუჩუყდა გული გურამს.

– ჭიჭინაძე, მომეცით თქვენი მატრიკული! – გაუმეორა თხოვნა პროფესორმა.

მიშველეო, გადმომხედა გურამმა.

– პატივცემულო პროფესორო, დიდი უსამართლობა იქნება ახლა თქვენ რომ მაგას ორი დაუწეროთ, მთელი ღამე ერთად ვსწავლობდით! – შევაწიე სიტყვა გურამს.

– ყმაწვილო, მთელი ღამე კი არა, ხუთი წელი ვსწავლობდი ჩემბერლენთან ერთად ოქსფორდის უნივერსიტეტში, მერე ის კაცი ინგლისის პრემიერ–მინისტრი გახდა, მე კი თქვენისთანა იდიოტებს ვასწავლი თბილისში, გასაგებია? – მკითხა პროფესორმა. ყველაფერი მზესავით ნათელი იყო, მაგრამ გურამს არ უნდოდა უკან დახევა.

– პატივცემულო პროფესორო, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ მილიონერი, – დაიწყო მან, – ხართ მილიონერი და გაქვთ რამდენიმე მილიონი სამიანი, მოვიდა თქვენთან მათხოვარი და გეუბნებათ – პატივცემულო მილიონერო, გაიღეთ მოწყალება, მომეცით ერთი სამიანი, თუ შეიძლება, – ახლა წარმოიდგინეთ, რომ ის მათხოვარი მე ვარ და გთხოვთ...

მე ვეღარ გავუძელი მილიონერისა და ღვთის გლახის ამ დიალოგს და პირზე ხელაფარებული გამოვვარდი გარეთ. დერეფანში არავინ არ შემომგებებია და არ უკითხავს, რა მიიღეო.

მხოლოდ გულიკო გამომყვა დერეფნის ბოლომდე, ისიც უხმოდ, მერე, რომ აღარ მოვხედე, თანდათან ჩამომრჩა. კიბეს ჩავუყევი. ბოლო საფეხურზე რომ ჩავედი, ვიგრძენი მიყურებდა. ზევით ავიხედე, გულიკო კიბის თავზე იდგა, ხელები ნიკაპის ქვეშ ამოედო, იდაყვებით მოაჯირს დაყრდნობოდა, თან თვალს არ მაცილებდა.

– რას მიყურებ? – ვკითხე. გულიკო გაიმართა, უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და გაბრუნდა. მე უნივერსიტეტის ბაღში გამოვედი და სკამზე დავჯექი. ჩემს წინ ჩაცუცქული გოგონა ნიჩბით მიწას თხრიდა და ფეხებზე აყრიდა მასზე პატარა ბიჭუნას, რომელიც მორჩილად იდგა ახალდარგული ნერგივით და იღიმებოდა. გოგონა ხშირ–ხშირად ამოხედავდა ხოლმე, აბა, თუ გაიზარდაო, და მერე ისევ და ისევ თხრიდა და აყრიდა ფეხებზე მიწას, ბიჭი კი იდგა გაუნძრეველად, მორჩილად და, ალბათ, ისიც გაზრდის მოლოდინში იღიმებოდა და იღიმებოდა. ბაღში მაისის მწვანე და თბილი დარი იდგა.

სწორედ ამ მაისის ამ თბილ დღეს ჩემი ორიანის წყალობით სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 275 მანეთითა და 40 კაპიკით შემცირდა. სტიპენდია ფულის იმ განსაცვიფრებელ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ციდან ჩამოვარდნილს გავს. მე, როგორც პატიოსან კაცს, მუდამ მიკვირდა სამი რამ – რატომ მაძლევდნენ სტიპენდიას, რატომ მიქვითავდნენ საშემოსავლოს ამ ღვთის ნაჩუქარი ფულიდან და რაში მახდევინებდნენ სწავლის ფულს. მიუხედავად ამისა, მე არ მეგულებოდა ქვეყანაზე სტუდენტი, რომელსაც ჩემზე უფრო სჭირდებოდა სტიპენდია, ან ჩემზე უფრო სცოდნოდა მისი ფასი. ჰოდა, ახლა მე, უსტიპენდიო, ვიჯექი უნივერსიტეტის ბაღში და ვუცქეროდი პატარა, ბაფთიან გოგონას, რომელსაც ბიჭუნას რგვა დაემთავრებინა და მის მორწყვაზე გადასულიყო.

დარგულმა ბიჭმა შემომხედა და გამიცინა.

– რა გქვია, ბიჭი? – ვკითხე.

– მაგას ლაშა ჰქვია, მე ია! – მიპასუხა გოგონამ ორთავეს მაგივრად.

– მერე, წყალს რომ ასხამ ფეხებზე, არ გეშინია, რომ გაცივდეს?

– უნდა გაიზარდოს.

– ეგრე კი არ იზრდებიან. აი, მე, თქვენხელა რომ ვიყავი, ბევრს ვჭამდი, და ხომ ხედავთ, როგორ გავიზარდე, – გავიხსენე ჩემი ბავშვობა. გოგონამ ეჭვით ამათვალიერ–ჩამათვალიერა.

– რას ჭამდით? – მკითხა უცებ მან.

– კარაქიან პურს, რძეს, ფაფას, ნამცხვარს... – დავიწყე თვლა ნეკიდან. ცერზე რომ მივედი, ნერწყვი გადავყლაპე და გავჩერდი.

– ახლა? – მკითხა გოგონამ.

– რა, ახლა? – ვკითხე მე.

– ახლა რას ჭამთ?

– ახლა კიდევ არა მიშავს და აწი რას შევჭამ, ეს აღარ ვიცი! – გავუცინე გოგონას.

– რატომ? – მკითხა გოგონამ.

– რატომ და სტიპენდია დავკარგე!

– რა?

– სტიპენდია!

– სად დაკარგეთ?

– რა სად დავკარგე?

– აი, რომ თქვით, რა დაკარგეთ? – ღმერთო, რამდენი შეკითხვა იციან ბავშვებმა.

– არაფერი არ დამიკარგავს, ვიხუმრე.

– თქვი რა, ძია, რა დაკარგე?

– პერპეტუუმ–მობილე.
– რაა?
– პერ–პე–ტუ–უმ–მო–ბი–ლე! – დავუმარცვლე მე, თან მიხაროდა, რომ ამ სიტყვას ველარ გაიმეორებდა და თავს დამანებებდა. მაგრამ მოხდა სასწაული.
– პერპენდუტობილე? – მკითხა უცებ ბიჭმა.
– აუჰ, როგორ გაზრდილხარ, გეყოფა აწი, ამოდი მაგ ტალახიდან! – ავუგდე სიტყვა ბანზე ლაშას.
– არ ამოხვიდე, თორემ გახმები! – გააფრთხილა იამ. ბიჭი არ განძრეულა.
– ძია, შენ ღონიერი ხარ? – მკითხა ლაშამ.
– ისე, არა უშავს!
– აბა, ხელი მოლუნე! – მე მოვლუნე ხელი და კუნთი დავბერე. ბიჭი საჩვენებელი თითით დააწვა ჩემს კუნთს, მოწონების ნიშნად დაასლოკინა და მკითხა:
– მთაზე ღონიერი ხარ?
– აბა, რა!
– – დათვზე?
– კი! – ავიბზუე ტუჩი.
– ძია სტალინს მოერევი? – მკითხა ბავშვმა უცებ და პასუხის მოლოდინში გაინაბა.
მე აქეთ–იქით გავიხედე. გოგონაც სმენად იყო ქცეული და ელოდა რას ვიტყოდი, მე ხმას არ ვიღებდი.
– ძია სტალინს მოერევი? – მკითხა ახლა გოგონამ.
– იმას რა მოერევა, ბიძია! – ვთქვი და ავდექი. ბავშვებმა შვებით ამოისუნთქეს.
– გეყოფა, უკვე დიდი ხარ! – ვუთხარი მე ლაშას, მხრებში ხელი მოვკიდე, ავწიე ოდნავ და მიწიდან ამოვთხარე. ბიჭმა ფეხები შეათამაშა, მერე ერთმანეთზე მიაბაკუნა და მიწა ჩამოიბერტყა.
– ნახვამდის, სახლში რომ მიხვალ, ძილის წინ კარაქიანი პური ჭამე და დილას სულ დიდი, დიდი ადგები. – ვაკოცე და მიწაზე დავსვი.
– მიდიხარ, ძია? – მკითხა გალდაწყვეტილმა ლაშამ.
– მივდივარ. აბა, შენი კუნთი მაჩვენე! – ლაშამ წვრილი მკლავი მოლუნა, კისრის ძარღვები დაჭიმა, სუნთქვა შეიკრა და მომაშტერდა.
მე თითი დავაჭირე კუნთზე.
– აუჰ, შენ ვინ ყოფილხარ, კაცო! – გამიკვირდა მე, ლაშა გაიბადრა და იას გადახედა.
– ხვალ უფრო ღონიერი ვიქნები, კარაქიან პურს შევჭამ! – დამაიმედა ლაშამ.
– აბა, შენ იცი, თუ ძმა ხარ, არ დამაღალატო!.. – ვთხოვე მე და ბაღიდან გამოვედი.

777

ჩემი ოთახი, ვარაზის ხევის მარჯვნივ რომ სახლი დგას, იმის მეოთხე სართულის შუაგულშია. აღმოსავლეთით და დასავლეთით კეთილი მეზობლები მესაზღვრებიან, ჩრდილოეთიდან ვარაზის ხევის ამოსავსებად მოთრეული ნაგავი, სამხრეთიდან კი, სამზარეულოზე გავლით, უნივერსიტეტი. ოთახის ფართობი 26 კვადრატული მეტრია, მაგრამ საბინაო სამმართველოში გატარებულია როგორც 20, ბინის ქირის შეღავათიან ფასებში გადახდის კეთილშობილური მიზნით. ოთახის ავეჯი ორი საწოლით, ერთი საწერი მაგიდით, სამი სკამითა და ერთი კარადით განისაზღვრება. კარადაში სამნახევარი თეფში და 4 ჭიქა აწყვია თავისი კოვზებითა და ჩანგლებით. რაც შეეხება ტანსაცმელს, მისი საკიდი მე თვითონ ვარ. რაც გამაჩნია, ზედვე მაცვია, ამიტომ ოთახიდან გამოსვლის დროს გასაღებს პირველსავე შემხვედრ მეზობელს ვუტოვებ, ან კარს საერთოდ ღიად ვტოვებ.
კიბეზე უხალისოდ ავდიოდი. დერეფნის კარი ღია დამხვდა, ოთახის კარი შევაღე და ადგილზე გავქვავდი. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, მუხლები მომეკვეთა. ჩემი ოთახი საცსე იყო მეზობლებით. ისინი გარს შემოხვეოდნენ საწოლს, რომელზეც შუახნის, ჭაღარა, საოცრად დაღლილი, თეთრი სახის, გამხდარი ქალი იჯდა. იგი ოდნავ იღიმებოდა და სუსტი ხმით ყვებოდა რაღაცას. ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. ჭაღარა ქალმა მშვიდად შემომხედა, ცოტა ხანს მიყურა. მერე ისევ განაგრძო ამბავი. მეზობლები სინანულით თავებს იქნევდნენ აქეთ–იქით. ჭაღარა ქალმა უცებ საუბარი შეწყვიტა და ისევ დამაცქერდა, ახლა უფრო ხანგრძლივად და დაუინებით, მერე თვალები მეზობლებისაკენ გაექცა. მეზობლები კარისკენ შემოტრიალდნენ. ოთახში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მე მესმოდა მხოლოდ ჩემი გულისცემა, ვიღაცის სკამის სულისწამღები ჭრიალი, მეტი არაფერი. ჭაღარა ქალი თვალს არ მაცილებდა, მერე მან შეშინებული თვალებით შეხედა ჩემს კარის მეზობელს, ელიკოს.ელიკომ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მაშინ ჭაღარა ქალი ადგა, მას ხელები და ტუჩები უკანკალებდა, იგი საოცრად ჰგავდა იმ ქალს, რომელმაც ამ ოთახში 12 წლის წინ, ღამის ოთხ საათზე გამაღვიძა, პირჯვარი გადამსახა და მკერდზე მაკოცა. მერე იგი წაიყვანა ორმა მამაკაცმა, რომელთაგან ერთი შეშინებული ჩანდა, მეორე კი იღიმებოდა და პირი ვერცხლის კბილებით ჰქონდა გამოტენილი. ეს იყო ჩემი დედა. ახლა მე და მას სულ სამი ნაბიჯი გვაცილებდა. იგი მოდიოდა ჩემკენ, ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით, უკვე მესმოდა მის სუნთქვა, მინდოდა, შევბრუნებულიყავი და გავქცეულიყავი, მაგრამ არ შემეძლო, მე უბრალოდ

დავხუჭე თვალები და ველოდი რა მოხდებოდა. მერე მე ვიგრძენი მისი თავი ჩემს მხარზე და გავიგონე ჩუმი ჩურჩული:

– გამარჯობა, შვილო...

– გამარჯობა, შვილო, და ასე განუწყვეტლივ, დიდხანს, ძალიან დიდხანს, – გამარჯობა, შვილო... მე მივხვდი, რომ იგი ელოდა პასუხს, – გამარჯობა, დედა, – მაგრამ ვერ შევძელი.

– გამარჯობათ, ქალბატონო!.. – ვთქვი და ტირილი დავიწყე.

777

სამზარეულოში ვზივარ და უნივერსიტეტის წინ ჩარიგებულ ჭადრებს ვუცქერ. ერთი, ორი, სამი, ოთხი. მეზობლები დაწვნენ, ალბათ, ელიკო აღარ შემოდის და აღარ მეუბნება – შედი, ბიჭო, ოთახში, ქვა ხომ არ ხარ, ცოდვაა ის ქალი... ხუთი, ექვსი... ალბათ, ისიც დაწვა, არაფერი არ მკითხა, რომელ კურსზე ვარ, რომელ ფაკულტეტზე ვსწავლობ, როგორ ვარ... შვიდი, შვიდი ჭადარია, ალბათ, წლის ჩაგდებით რგავდნენ, თორემ მეშვიდე ჭადარი ყველაზე დიდი რატომ უნდა იყოს... ახლა შევალ ოთახში და ვეტყვი – დაიძინე, დედა? ეს რა კითხვაა?.. ვკითხავ, როგორ ხარ, დედა, ან არ გეწყინოთ, ქალბატონო... არა, ამის თქმა არ შეიძლებოდა... ეს, ალბათ, ბოლო ტრამვაია, ჩაიელის და დილის ოთხ საათამდე აღარ ამოიელის. ამ ვატმანს ვიცნობ, წინა ბაქნიდან მიშვებს ხოლმე, თან იკრიჭება – ჯიგარო, დეპუტატი კი ხარ, მაგრამ ბილეთის აღება არ დაგავიწყდეს. წავიდა... ძინ, ძინ, ძინ... ეს საათი ჩემი მხრიდან ღამის პირველ საათს უჩვენებს, იქითა მხრიდან, ალბათ, თენდება; ახლა შევალ და რამეს ვეტყვი. რას? არ ვიცი... იქნებ თვითონ მითხრას რამე...

ფრთხილად შევაღე ოთახის კარი. დედას ხელები ამოედო თავქვეშ და ჭერს უცქერდა. ჩემს საწოლთან მივედი და დავწექი. ვიწექი, ალბათ, ერთი საათი, იქნებ, ორი, იქნებ ერთი წუთი ან მთელი 12 წელიწადი. გავიხსენე დრო იმ დღიდან დღემდე, დავხუჭე თვალები და თვალწინ დადგა ყველაფერი, ისე ცხადლივ, როგორც ის შვიდი ჭადარი, მაგრამ არსად არ იყო დედა, ვიყავი ან მარტო, ან სხვასთან, ვიყავი ყველგან და ყველასთან, და არსად არ იყო დედა. ახლა, მე და ის ვიყავით ერთ ოთახში. ეს არ იყო სიზმარი, ეს იყო ცხადი, როგორც შვიდი ჭადარი უნივერსიტეტის წინ. ახლა ჩვენ ვიწექით ოთახის სხვადასხვა კუთხეში ერთნაირად უბედურები, რადგან ეს ბედნიერი დღე დადგა.

ღმერთო, ნუთუ არაფერს არ მეტყვის, იქნებ მე უნდა ვუთხრა რამე?

– თემური! – გავიგონე ძალიან ჩუმი ხმა.

– თემური, თემო! – ხმა ვერ ამოვიღე, გული ყელში მომებჯინა. დედა იდგა, მას კოჭებამდე პერანგი ეცვა და მოჩვენებასავით უახლოვდებოდა ჩემს საწოლს. იგი მოვიდა და ჩემს წინ მუხლებზე დაეშვა. თვალები დავხუჭე, მისი ათრთოლებული ხელები საფეთქლებზე შემეხო.

– თემური, ჩემო პატარა ბიჭო, თემო, თემიკო, გამეცი ხმა, შვილო! – მე მინდოდა, მომკვდარიყავი, დავყრუებულიყავი, მეკივლა, დამეძახა მეზობლებისთვის, რომ ეშველათ ჩემთვის.

– თემური, რამხელა ხარ, ბიჭო! რამ გაგზარდა, დედა, ვინ გაგზარდა, ჩემო ბიჭო, ჩემო თემიკო? შენ იცი, რომ ხვალ ოცი წლის ხდები?.. რატომ, რატომ მერე? რატომ რვა წლის არა ხარ ისევ, ჩემო პატარა ბიჭო, რატომ რვა წლის არა ხარ, რატომ, რატომ არა ხარ... – იგი დამემხო მკერდზე და ატირდა. მე ლოგინიდან წამოვდექი, წამოვაყენე ფეხზე, მხრებზე ხელი მოვხვიე, თავის საწოლთან მივიყვანე და დავსვი.

– რატომ, რატომ... – იმეორებდა იგი.

– დაწყნარდით, თუ შეიძლება, ძალიან გთხოვთ! – როგორც იქნა, ამოვიღე ხმა. დედამ სახეზე აიფარა ხელები და ცოტათი დაწყნარდა. მე ჩემს საწოლთან მივედი, მერე უკან მოვიხედე. დედა ისევ ისე იჯდა. ტანზე ჩავიცვი და ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვედი.

777

ვარაზის ხევით დავეშვი. მდინარე ვერის მარჯვნივ მიმავალ ბილიკს ავყევი და ფასკუნჯებიან ხიდთან ამოვედი. ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მარტო თერთმეტსართულიანი სახლის ბოლო სართულის მარჯვენა ფანჯარაში ენთო სინათლე და, რომ შევხედე, ისიც მონუსხულივით ჩაქრა. სადღაც, ჩელუსკინელების ხიდის გაღმა, მილიციელმა გაბმულად დაუსტვინა, თითქოს ქვეყანას ამცნო: ახლა კი ოფიციალურად დაღამდაო, მერე ერთხელაც დაუსტვინა უფრო გაბმულად, აქაოდა, ჭკუით იყავითო, და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ვერა ხმაურობდა, სასიამოვნოდ, ისე სასიამოვნოდ, რომ თუ არა მისი ხმაური, ალბათ, ასეთი სავსე სიჩუმე არ იქნებოდა. მოედანი გადავჭერი და თეთრმეტსართულიანი სახლის გასტრონომთან მივედი. გასტრონომის დიდი კარის წინ, პირდაპირ ქვის კიბეზე, ცხვრის ქურქში გახვეული ღამის დარაჯი იჯდა, კალთაზე ცალლულიანი ცენტრალი ედო გარდიგარდმო, და კასრში გაღვივებულ ნაკვერჩხლებს ხელისგულებს აფიცხებდა. მივუახლოვდი. მან ცალი თვალით ამომხედა ისე, რომ თავი არ აუწევია და საქმე განაგრძო.

– გცივა, ბიძაჩემო? – ვკითხე მე.

– მცხელა! – მიპასუხა მოკლედ და კასრში გარუჯული ჯოხი აურია.

– შეიძლება, ცოტა გავთბე?

– არ შეიძლება!

– რატომ?
– არ ვიცი, არ შეიძლება და მორჩა! – მომიჭრა მოხუცმა. მე მის წინ გავიარ–გამოვიარე, მერე გავჩერდი და ისევ ვკითხე:
– ესე იგი, შენ ამბობ, რომ არ შეიძლება?
– მე კი არ ვამბობ, უსტავი ამბობს! – მიპასუხა მან და თავის აწევა იკადრა.
– წესდება, არა? – გავუსწორე მე.
– რა გინდა, შვილო, შარი ხომ არა ხარ, გაიარე, მე სამსახურში ვარ. შენ ღვინოს ინელებ, სხვა ადგილი ვერ ნახე?
– არაფერს არ ვინელებ, კაცო, უბრალოდ დაგელაპარაკე.
– ჰოდა, გაიარე ახლა!
მე გავიარ–გამოვიარე, მერე ისევ გავჩერდი. დარაჯმა უბეში ხელი ჩაიყო და კისერზე უშველებელი ბაწრით დაბმული სასტვენი ამოიღო.
– სამამდე ვითვლი, არ გაიგლი, ეუსტვენ. – გამაფრთხილა მან, სასტვენი პირთან მიიტანა და ლოყები დაბერა.
– მოიცა, კაცო, რა მოგივიდა, ქურდი ხომ არ ვარ? – გავაჩერე დარაჯი.
– ერთი!.. – დაიწყო მან.
– არ გრცხვენია, რამ შეგაშინა? – ვუთხარი მე და ჯიბეები ამოვიტრიალე. – ნახე, არაფერი არ მაქვს, ისე, ვილაცას მინდოდა დაველაპარაკებოდი და შენთან მოვედი. თუ გინდა, წავალ! – ვუთხარი მე და ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს ძალიან მეწყინა და წასასვლელად ვემზადებოდი. – ნახვამდის! – პლაშის ღილი გავიხსენი და ისევ შევიკარი.
– წადი, შვილო, თუ მიდიხარ, ვაა, ეს ვინ ყოფილა?! გააგრძელა ღამის დარაჯმა.
– ააა, გეშინია? – ნიშნისმოგებით გავაგრძელე მეც.
– რისი უნდა მეშინოდეს, თოფი აქა მაქვს, სასტვენი აქა მაქვს! – ეწყინა მოხუცს.
– თოფი, თორემ რელსი არ გახვრიტო ერთბაშად! – დავუწუნე შეიარაღება.
– წადი, ორმოც ნაბიჯზე დადექი და მერე ენახოთ! – დამენიძლავა მოხუცი.
მე შეეტრიალდი, ორმოცი ფეხის ნაბიჯი გადავთვალე და შუა მოედანზე აღმოვჩნდი. მერე პირით მოხუცისკენ შემოვტრიალდი, გული გავიღეღე, ტყვედჩავარდნილი პარტიზანივით ფეხები გავჩაჩხე და სასიკვდილოდ მოვემზადე. მე მოხუცის თვალებს ვერ ვხედავდი, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ გიჟი ვეგონე!
– მიდი, შე დედალო! – წამოვისროლე უკანასკნელი ლოზუნგი.
მოხუცი დინჯად წამოდგა, გზის პირს მოადგა, საკეტი ააჩხაკუნა, თოფი მხარზე მიიბჯინა, ზედ ლოყა მიისვენა და, როგორც შევატყვე, შუბლში დამიმიზნა.
– ეეე, გაგიუდი! – ვიბღავლე მე და მოხუცისკენ ზიგზაგებით გამოვქანდი. გულამოვარდნილი მივვარდი. მოხუცს თოფი ჩამოეღო და ლულაზე ორთავე ხელით დაყრდნობილი ისე გულიანად ხითხითებდა, რომ ბრაზი მომივიდა.
– შენ, ჩემო ძმაო, გიჟი ყოფილხარ! – ვუთხარი. მოხუცი ხითხითს არ ათავებდა. მე ხელი ჩავიქნიე, მივედი და კასრთან დავჯექი. ბოლოს, სიცილით რომ გული იჯერა, თვითონაც მოვიდა და ჩემს გვერდით დაჯდა.
– რა გაცინებს, კაცო? – ვკითხე მე.
– შეგეშინდა, მაიმუნო? – მითხრა მან და ისევ ჩაბუირდა.
– თუთუნი ხომ არ გაქვს? – ვკითხე და თვალი ავარიდე.
მოხუცმა დიდხანს მიყურა, ქისა ამოიღო ქურქის ჯიბიდან, მომაწოდა და ფეხზე ადგა. მე თამბაქო გავახვიე და ქისა უკან გავუწოდე. მან ქისა ჩამომართვა და თვითონაც გაახვია. თან თვალს არ მაშორებდა. როდესაც გავაბოლე, დაჯდა.
– ეგრე გეთქვა თავიდან, თუთუნი თუ გინდოდა, – თქვა მან.
მე ერთი ნაფაზი დავარტყი და თუთუნი კასრში ჩავაგდე. გაკვირვებულმა მოხუცმა თუთუნს თვალი გააყოლა, მერე თავი გაიქნია და ამოიოხრა:
– შენს თავზე რაღაც კარგი ამბავი არ არის!
მე არაფერი არ ვუპასუხე.
– არ ეწევი?
– კი! – ვუპასუხე მე.
– რად გადააგდე?
– არ ვიცი.
– ცუდი იყო?
– არა, კარგი. – მოხუცი ისევ დადუმდა.
– დღეს რა დღეა? – მკითხა უცებ.
– ორშაბათი.
– ორშაბათი თარსი დღეა, შაბათიც. – თქვა მან.
– შაბათი რატომ?
– შაბათს, ელიას უბანში... კოლას იცნობ, შაშუბეშას?
– არა.

– ჩემსავით ყარაულია.
– ჰოო...
– ჰოდა, შაბათს, ელიას უბანში... ახლა რომელი საათია?
– ოთხი იქნება.
– ორ საათზე, შენსავით ორი ჯეელი მისულა კოლასთან, ისიც ჩემსავით ყარაულია, ოღონდ იმას პატარა მაღაზია აბარია, ჩემი – გასტრონომია. ჰოდა, მისულან და შენსავით თუთუნი უთხოვიათ. კოლას აუღია და ჩემსავით, აი, როგორც მე შენ, ისე მიუცია. იმათ აუღიათ და ეს თუთუნი კოლასთვის შიგ თვალებში შეუყრიათ. სანამ კოლა თვალებს იწმენდდა, პირიც აუკრავთ, თოფიც წაურთმევიათ, ოღონდ იმისი გეკო იყო, ჩემი ცენტრალია, მერე უთქვამთ – ხმა არ ამოიღო, თორემ მოგკლავთო. კოლას გულში უფიქრია – ხმას როგორ ამოვიღებ, პირი აკრული მაქვსო, და გაჩუმებულა.
– მერე?
– მერე რა? მაღაზია გაუტეხიათ, კოლასთვის ერთი–ორი უთაქებიათ, – შე ვირიშვილო, თუ მაღაზია ცარიელია, რა ჩვენს ფეხებს ყარაულობო. – კოლას გულში უფიქრია, – მაღაზია რომ სავსე იყოს, მე ვინ მანდობდაო, და ისევ გაჩუმებულა.
– არაფერი არ წაუღიათ? – ეკითხე მე.
– სასწორი წაიღეს და 10 გირი, ასი გრამიდან სამ კილომდე. დირექტორის ოთახში დიდი კედლის სარკე რომ ეკიდა, ისიც თან წაუღიათ.
– მერე?
– ახლა, ვიდრე იმათ იპოვიან, წაღებული საქონლის საფასურს კოლა იხდის.
– მილიცია რას ამბობს?
– მილიცია არ ვიცი, კოლა კი ამბობს, ერთხელაც რომ მოვიდნენ, ვიცნობო! – დაამთავრა ამბავი მოხუცმა და ნდობის ნიშნად ქისა ისევ მომაწოდა.
– მოწიე! – მითხრა მან. მე ქისა ჩამოვართვი და თუთუნი გავახვიე, თვითონაც გაახვია. ერთად გავაბოლეთ.
– რა გქვია? – მკითხა დუმილის შემდეგ.
– თემო! – ვუპასუხე მე.
– რა გვარი ხარ?
– ბარამიძე!
– მე ართავაზა მქვიან, სომეხი ვარ!
– ჰოო!
– ჰო, სომეხი ვარ... შენ, რა, სახლი არა გაქვს? – მკითხა ართავაზამ. ცოტა ხნის შემდეგ კეფა მოიფხანა და ისევ ცალი თვალით გამომხედა.
– მაქვს.
– კაცს რომ სახლი აქვს და შიგ არ შეესვლება, ესე იგი, არა აქვს! – თქვა თავისთვის ართავაზამ.
– შენ დედა გყავს? – ეკითხე ახლა მე.
– ეგღა მაკლია! – გაიღიმა ართავაზამ.
– დიდი ხანია არა გყავს?
– დიდი.
– რამდენი წლის იყო?
– მე 61 წლის ვიყავი მაშინ. დედაჩემი არ ვიცი.
– ცოლი გყავს?
– არა!
– შვილი?
– შვილი რომ მყავდეს, აქ ვიმუშავებდი? – ეწყინა ართავაზას. მე გავჩუმდი.
– შენ? – მკითხა დუმილის შემდეგ ართავაზამ.
– რა მე?
– შენ გყავს დედა?
– დედაჩემი გუშინ ჩამოვიდა.
– მერე შენ ქუჩაში გამოხვედი?
– დედაჩემი გადასახლებიდან ჩამოვიდა.
– საიდან?
– ციხიდან გამოვიდა!
– როგორ ციხიდან?
– აი, ისე, გაუღეს კარი და გამოვიდა!
– მერე, შე ბემურაზო, დედაშენი ციხიდან გამოვიდა და შენ აქ ჩემთან ზიხარ? – ართავაზა ფეხზე ადგა, მერე ისევ დაჯდა. მოედანზე პირველმა მორიგე ტრამვაიმ ჩაიარა ბორბლების ჭრიალითა და ხრიგინით. მე ცას ავხედე. ღამე გაფერმკრთალებულიყო. სადღაც სვანეთის უბანთან, კახეთისაკენ მიმავალმა თუ იქიდან მომავალმა ორთქლმავალმა გაბმულად იკივლა. დილა ნარიყალას მხრიდან შემოდიოდა თბილისში.

– ადექი! – თქვა ართავაზამ. მე არ ავდექი.
– ადექი, ჩემი სამუშაო მორჩა, უკვე თენდება! – მე ავდექი და მოედნისკენ წავედი.
– სად მიდიხარ, ბიჭო? – მკითხა ართავაზამ.
– არ ვიცი! – ავიჩეჩე მე მხრები.
– მოიცა, მეც იქით მოვდივარ, – თქვა ართავაზამ. თოფი მხარზე გადაიკიდა და წამოვიდა. მოედანი გადავჭერით, ლენინის ქუჩის აღმართს შევყევით, ართავაზა გვერდით მომყვებოდა, სიარული ცოტა უჭირდა, ამიტომ ნაბიჯს ვუკელი. დილის სიგრილემ შემაჟრუჟლა. პლაშის საყელო ავიწიე და ჯიბეებში ხელები ღრმად ჩავყავი. მილიციას რომ გავუსწორდით, ართავაზა შეჩერდა, მილიციის წინ ახალგაზრდა მილიციელი მოტოციკლეტს ქოქავდა, ცალ ფეხს ზუსტად ისე იბნევდა, ძალლებმა რომ იციან ჩხუბის წინ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, მოტოციკლეტი ერთს დააცემინებდა და ისევ დუმდებოდა. მილიციელმა, ჩვენ რომ დაგვინახა, ფეხი გააჩერა.
– ჰა, ართავაზ, დღეს რაღაც ადრე მიგიტოვებია, პოსტი, აი! – გამოსძახა ართავაზას იღლიის ქვეშიდან.
– შიმშილისაგან გულწასულ იმ ორ ვირთხას რომ ამდენ ხანს ვდარაჯობდი, ისიც მეტია. – უპასუხა ართავაზამ.
– შენ აქ დამიცადე, ახლავე გამოვალ! – მითხრა მე და მილიციაში შევიდა.
– არ იქოქება ეს შობელძაღლი! – მითხრა მილიციელმა და მოტოციკლეტს ძრავაში მიაფურთხა.
– დააგორე დაღმართზე და დაიქოქება! – ვუთხარი მე.
– ზევით ვარ წასასვლელი! – გაიმართლა თავი მილიციელმა.
– შე კაცო, ჯერ ქვევით წადი და მერე მოუხვიე ზევით! – ვასწავლე მე.
მილიციელმა მადლიერად გამიღიმა და მოტოციკლეტი დააგორა. ართავაზა მილიციიდან გამოვიდა, თოფი თან აღარ ჰქონდა, ეტყობა, სამორიგეოში დატოვა.
– ვინ არი? – ვკითხე მე და თავით მილიციელზე ვანიშნე.
– სულელია, ყოველ დილით ეგრე ქოქავს. წამოდი! – მითხრა და მხარზე ხელი დამარტყა. წავედით. მთელი გზა სიტყვა არ უთქვამს. სასადილო „გემოსთან“ გაჩერდა. მეც გავჩერდი.
– ჩავედით! – მითხრა ართავაზამ. მე მხრები ავიწურე და თვალები დავხუჭე.
– ჩავედით! – გაიმეორა მან და ჩავიდა. ჩავყევი. სულ ბოლო მაგიდასთან მივიდა, ქურქი გაიხადა, სკამზე გადაკიდა და დაჯდა. მე არ გამიხდია, ისე დავჯექი. სარდაფში ნივრის, ნახარში ხორცისა და თამბაქოს კვამლის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. მაგიდები ჯერ კანტიკუნტად იყო დაკავებული, მაგრამ განუწყვეტლივ ჩამოდიოდა სარდაფში. ოფიციანტი მოვიდა და ჩვენს წინ გულგრილად დადგა.
– ორი ხაში, ორი არაყი, ერთი ლიმონათი! – თქვა ართავაზამ. ოფიციანტმა ჩაიწერა.
– ხაში ჩლიქიანი იყოს! – თქვა ართავაზამ.
– ძროხას ოთხი ჩლიქი აქვს! – უპასუხა ოფიციანტმა.
– რვა! – გაუსწორა ართავაზამ, – ახლა წადი და მოიტანე.
ორ წუთში მე და ართავაზა ხაშში ნიორს ვაზავებდით.
სარდაფი თანდათან ივსებოდა სახედაბიუვინებული, დასიებული, თვალებდასისხლიანებული, ცხვირებდაწითლებული, მთელი ღამის უძილო და ნაქეიფარი ხალხით.
– ერთი ხაში, ორი არაყი!
– კიდევ ორი ას–ასი.
– ერთიც მშრალი!
– ხაშია თუ პადოში, ოფიციანტ!
– საჩივრის წიგნი და დირექტორის გადიდებული სურათი!
– ეგ ჯიგარი პრაჩკას წაუღე!
– აფიციანტ, ვიოდკა არა გაქვს?
– ვირიშვილო, ამ ძელებით კამათლები გამოვთალო თუ კოჭი ვითამაშო, ხორცი მაიტა!
ისმოდა აქეთ–იქიდან, ოფიციანტები გულგრილი ღიმილით დააფრიალებდნენ ხაშის ჯამებს, მერე საანგარიშოებს აჩხაკუნებდნენ, დროს იხელთებდნენ თუ არა, სუფრაზე მიტოვებულ ნაარყალ ჭიქებს პირში იმხობდნენ, ბინძურ სახელოებს იყნოსავდნენ და თვალებს ნაბავდნენ. საკუთარ ოფლში გახვითქული სარდაფი ოხრავდა, კენესოდა, ხარხარებდა, ყვიროდა, ბღაოდა, ბარბაცებდა და კვამლში გახვეული, დაღლილი კაციკით მძიმედ სუნთქავდა!
– შეგვეწიოს! – თქვა ძია ართავაზამ და ჭიქა მომიჭახუნა.
– შეგვეწიოს! – ვთქვი მე და გადავკარით.
– შეიძლება? – გვკითხა მაღალმა, გაფითრებულმა ინტელიგენტმა, ჩვენს მაგიდას მოადგა და მესამე სკამის ზურგს ორთავე ხელით დაეყრდნო.
– არ შეიძლება! – უთხრა ართავაზამ.
– ვა? – გაუკვირდა გამხდარს. – რატომ არ შეიძლება?
– მე ტიფი მაქვს, ამას ჭლექი! – მიუთითა ჩემზე ართავაზამ. გამხდარმა ეჭვით გადმოგვხედა და მოგვცილდა.
– ოფიციანტ! – დაიძახა ართავაზამ. ოფიციანტი მოვიდა.

– ეგ სკამი წაიღე და ორი ას–ასიც მოიტანე! – უთხრა ართავაზამ. ოფიციანტმა სკამი წაიღო და ერთი ბოთლი არაყი მოიტანა.

– რაც დაგრჩებათ, უკან წაიღებ! – თქვა მან და გვერდზე გადგა. ართავაზამ დაასხა.

– ეს, ჩემო...

– თემო! – გავახსენე მე.

– ეს ჩემო თემო, მე და შენს გაცნობას გაუმარჯოს... – ისევ მომიჭახუნა ძია ართავაზამ.

– გაუმარჯოს! – ვთქვი მე და გადავკარი, მერე ვიგრძენი, როგორ ჩაიარა არაყმა ყელი, ჩაიღვარა სხეულში, შეუერთდა სისხლს, მერე დაიარა ყველა ფოსო, ყველა უჯრედი, ყველა ძარღვი, დაბრუნდა უკან, შემიხურა სახე და დამიბუჟა საფეთქლები. დაღლილი ქუთუთოები თავისით დამეხურა. დარბაზი სიბნელეში ჩაწვა, მერე თანდათან გალღვა სიბნელე და წინ ვარდისფერი ნისლი დაიღვარა ათასი თეთრი, თეთრი, მოციმციმე ვარსკვლავით. თვალები გავახილე. ნისლი გაიფანტა. ნელ–ნელა ამოცურდა ნისლიდან ჯერ უფორმო სახე, მერე სწორი, ლამაზი, ოდნავ ნაყვავილარი ცხვირი, შავი წარბები, გაუპარსავი წვერი და მერე საოცრად მშვიდი, წყლიანი და დაღლილი, თაფლისფერი თვალები, დიდრონი თაფლისფერი, სიბერით ოდნავ მოჭუტული და მშვიდი თვალები. მე მიცქერდნენ ეს კითხვადგადაქცეული თვალები დიდხანს, დაუხამხამებლად. ისინი რაღაცის თქმას ელოდნენ ჩემგან, მივხვდი, რომ ისინი არაფერს იტყოდნენ, ვიდრე მე არ ვიტყოდი და მაინც არაფერი ვთქვი. მაშინ ძია ართავაზამ ისევ დაასხა.

– ეს, ჩემო თემო, გაუმარჯოს კაცს, რომელიც ღამით დადის და კაცს დაეძებს, ეს გაუმარჯოს კაცს, რომელიც ღამით ზის და კაცს ელოდება. მერე გაუმარჯოს კაცს, რომელსაც ღამით არ სძინავს, ზოგს იმიტომ, რომ არ ეძინება, ზოგს იმიტომ, რომ ეძინება, მაგრამ არ უნდა დაიძინოს. ისე კი, ორთავე დღეს ელოდება. ჰოდა, გაუმარჯოს ღამეს, რომელიც თენდება... – ძია ართავაზამ ისე დალია, არ მომიჭახუნა, ერთი კოვზი ხაში დააყოლა და ისევ მომაჩერდა. მე ისევ არაფერი არ ვთქვი და დავლიე. მაშინ ძია ართავაზამ ისევ დაასხა. მე მივხვდი, რომ იგი აღარ დალევდა, ვიდრე ჩემს სათქმელს არ ვიტყოდი და ჭიქა ავიღე.

– შენ, ძია ართავაზ, გათენებას ელოდები... მე ახლა მთვრალი ვარ. შენ რამდენი წლისა ხარ, ართავაზ?

ართავაზი დუმდა.

– შენ გეკითხები, რამდენი წლისა ხარ? – არ მოვეშვი მე.

– ორასის!

– აი, ხომ ხედავ, ორასი წლისა ხარ... მე ოცი წლისა ვარ, დღეს ჩემი დაბადების დღეა! აი, შენ ორასი წლისა ხარ და გათენებას ელოდები, მე კი... რას მიყურებ, მე გათენების მეშინია, იცი შენ? არ იცი. მე გათენების მეშინია, სახლში მისვლის მეშინია. აბა, თუ იცი რატომ? არ იცი!..

– რატომ, ბიჭო, რატომ?! – მკითხა ართავაზამ და ისედაც წყლიანი თვალები სულ აევსო ცრემლით.

– რატომ და სახლში ახლა ერთი ქალი მელოდება, იგი ზის საწოლზე, თეთრ პერანგში, აი, ამხელა თეთრ პერანგში, კოჭებამდე პერანგში ზის და მელოდება, უცხო ქალი სულ უცხო, უცხო, უცხო, იცი შენ რა არის უცხო? ის ქალი დედაჩემია, ოთრმეტი წელია არ მინახავს... ახლა მელოდება, რომ დედა დავუძახო, მე კი ვერ ვუძახი, გაიგე?.. იმიტომ, რომ მრცხვენია... კი არ მრცხვენია, მეშინია... კი არ მეშინია, გადავეჩვიე... გაიგე? – ძია ართავაზამ თავი დამიქნია. – ჰოდა, ასე... – დავამთავრე მე სიტყვა და დავლიე. ართავაზამ დიდხანს მიყურა, მერე ჭიქა აიღო.

– ეს იმ დედას გაუმარჯოს, თემო, თორმეტი წელი რომ შვილი არ უნახავს, თორმეტი წელი იჯდა, ელოდა და ჯიგარი არ გაუხმა. მაინც თავისი ლეკვი მონახა და შვილი დაუძახა. იმ დედას გაუმარჯოს, ღამე რომ არ სძინავს, იმიტომ კი არა, რომ არ უნდა დაიძინოს, იმიტომ, რომ არ ეძინება და გათენებას ელოდება. იმ ღამეს გაუმარჯოს, ჩემო თემური, რომელიც თენდება!.. – ართავაზამ არაყი გადაკრა. მე ბოთლი ავიღე, ართავაზამ ჩემს ჭიქას ხელისგული დააფარა.

– აღარ გინდა! – თქვა მან. მე ბოთლი დავდგი.

– ოფიციანტ! – დაუძახა.

ოფიციანტი მოვიდა.

– ანგარიში!

– ცხრა თუმანი! – ისე თქვა, არც გაწითლებულა, ართავაზამ ასი მანეთი მისცა და წამოდგა.

– საღოლ! – გაიღიმა ოფიციანტმა.

– შეგარგოს! – თავი დაუქნია ართავაზამ და ქურქის ჩაცმა დაიწყო.

დარბაზი დაცლილიყო, დამლაგებელი ქალები სუფრებს ალაგებდნენ. მეც წამოვდექი, ძალზე მთვრალი ვიყავი და რომ არ წავქცეულიყავი, ძია ართავაზას ხელი მოვკიდე. მან კიბეზე ფრთხილად ამიყვანა და ჭადარზე მიმაყუდა.

– შეგიძლია წასვლა? – მკითხა.

– ჰო!

– მაშ, წადი, ნელა იარე!

– ძია ართავაზ, შენ არ წამოხვალ?

– სად, ბიჭო?

– ჩემთან!

– შენთან? ჰო, ოღონდ დღეს არა, სხვა დროს.
– ახლა!
– ახლა კუკიაზე მივდივარ!
– კუკიაზე რა გინდა?
– დედაჩემის საფლავი უნდა ვნახო. – თქვა ართავაზამ...
– მეც წამოვალ...
– შენ სახლში წადი, მე კუკიაზე წავალ...
– ძია ართავაზ!
– რაო?
– მოდი, გაკოცო! – ართავაზა მოვიდა, ტუჩები ხელისგულით მოიწმინდა, შუბლზე მაკოცა. ვიდრე მეც ვაკოცებდი, შებრუნდა და წავიდა. იგი მიდიოდა ოდნავ წელში მოხრილი, რხევით, ფეხებს მძიმედ მიათრევდა, ალბათ, ისიც მთვრალი იყო, გადასასვლელზე გადავიდა, აფთიაქთან რომ მივიდა, უკან მოიხედა, მე ისევ იქ ვიდექი და ვუცქერდი. ართავაზამ ხელი ჩაიქნია, შებრუნდა და ვერის დაღმართს დაჰყვა. ჭადარს ხელი გავუშვი და ფილაქანს გავყევი. არაყმა გამიქნია, ჯერ კედელს მივეხეთქე, მერე ისევ ხეს. შევჩერდი. სირცხვილია. აბა, სწორად თუ გავივლი, სწორად, სულ სწორად, ახლა იმ ხემდე. ჩქარი ნაბიჯით ჯობს წასვლა. აბა, წავედი. მივედი. ახლა იმ ხემდე. ხალხი ქუჩაში მეჩხერად მოძრაობდა, ჯერ ისევ ადრე იყო.
– უკაცრავად. რომელი საათია? – გავაჩერე მოქალაქე.
– შვიდი! – მიპასუხა მან ისე, რომ საათზე არ დაუხედია. სულ არ მწყენია. ალბათ, ზეპირად იცოდა, ან მომატყუა, თავიდან მომიცილა. შეიძლება, საათი არც ჰქონდა, მერე რა, მეც ასე ვაკეთებ ხოლმე, როდესაც მთვრალი მაჩერებს.
– უკაცრავად, პაპიროსი ხომ არ გექნებათ? – გავაჩერე მეორე მოქალაქე. მან უკმაყოფილოდ ამოიოხრა და ნაჩქარევად გამომიწოდა პაპიროსის კოლოფი. ამას ასანთიც ექნება, მაგრამ ისე ჩქარობს, ან არ მომიკიდებს, ან გამლანძღავს, შეიძლება, გამლახოს კიდეც. არაუშავს, სხვას გავაჩერებ.
– გმადლობთ, ჩემო ბატონო! – თავი დავუკარი.
– არაფრის, ბატონო, არაფრის!– მომახალა მან და სწრაფად გამშორდა.
მელიქიშვილის ქუჩაზე გავედი. გამყიდველები უკვე მაღაზიის კარს აღებდნენ
– უკაცრავად, ასანთი ხომ არ გექნებათ... მივედი ერთ–ერთთან, რომელიც კარს ლუქს აძრობდა. მან უხმოდ ამოიღო ჯიბიდან ბრტყელი ასანთი და გამომიწოდა. მე მოვუკიდე პაპიროსს და უკან გავუწოდე.
– შენთან იყოს, მე მეორეც მაქვს. – მითხრა მან და მაღაზიის კარი გააღო.
– გმადლობთ! – ვუთხარი მე და წავედი.
ეს ჩემი სახლის სადარბაზოა, ერთი საფეხური, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, ნეტავ რამდენი საფეხურია?.. ჩემს სიცოცხლეში არ დამითვლია. ბავშვობაში მეტს რას ვაკეთებდი... მაგრამ არ მახსოვს. უკან ვბრუნდები და ხელახლა ვითვლი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი საფეხურია. მე მეოთხე სართულზე ვცხოვრობ, ესე იგი რვაჯერ თერთმეტი... რამდენია რვაჯერ თერთმეტი?.. რვაჯერ თერთმეტი ბევრია... მთელი სიცოცხლე უნდა იარო, მთელი სიცოცხლე, ბოლოში რომ მიხვიდე... რვაჯერ თერთმეტი... ელექტრონის ღილაკს ხელი დავაჭირე და ვიდრე დარეკავდა, კარი გაიღო. კარში იდგა დედა, ჩემი დედა, ჭადარა და ლამაზი, როგორიც თორმეტი წლის წინ, როდესაც იგი მსოფლიოში ყველა დედაზე ლამაზი იყო.
– გამარჯობა, დედა! – ვთქვი მე.
დედა იდგა კარში. იგი არ ტიროდა, იგი იღიმებოდა, თვალებიდან მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა და აცახცახებულ ნიკაპთან ეკვრებოდა.
– გამარჯობა, დედა! – გავიმეორე მე.

გულიკო

ლოტკინის გორაზე ისევ გაზაფხულია, თბილისში კი გაგანია ზაფხულია. თბილისი იწვის, დნება, ასფალტს ოხშივარი ასდის, თაკარა მზე დადის თუნუქის სახურავებზე, იხედება ყველა სახლის ფანჯარაში, მერე, დალოცვილი, დაეკიდება ქალაქს ზედ თავზე და ისე დიდხანს დასცქერის, გეგონებათ, წასვლას არ აპირებსო, მტკვარი ილევა, ილევა, და ბოლოს ისე პატა–რავდება, რომ იმ დღეს ვიღაც თავხედი ფეხით გადიოდა მუხრანის ხიდთან. ზაფხულია ახლა თბილისში და სახლში არ დაიდგომება. ჰოდა, ვიდრე მზე სახურავებზე ბორიალს დაიწყებდა, მე ავდექი. დედა უკვე სამზარეულოში იყო და ჩაის ადუღებდა. რომ დამინახა, გამზადებულ ჭიქაში ფერი ჩაასხა.
ზარმა დარეკა.
– წადი, გაუღე, შვილო! – მითხრა მან.
მე კარი გავაღე. გურამს ოთახისკენ არც გაუხედია, პირდაპირ სამზარეულოში შემოვიდა.
– გამარჯობათ, დეიდა ანიკო! – თქვა მან და ჩემს ჭიქას მიუჯდა.
– გაგიმარჯოს, შვილო!

– გაიგე, თემო, ჩერჩილი იარაღს აუღარუნებს! – თქვა მან და წარბები შეიკრა.
– კარგი, თუ ძმა ხარ! – გავიკვირვე მე.
– ჩემი თუ არ გჯერა, რადიოს ჰკითხე. – გაიღიმა მან ირონიულად.
– რაო, რადიომ? – ვკითხე ახლა მე.
– რადიომ თქვა, ჩერჩილი იარაღს აუღარუნებსო!
– მერე?
– მერე არაფერი, შევარცხვინე ის კაცი, იარაღს რომ ამოიღებს და არ იხმარს! – ისე თქვა, თითქოს პროფესიონალი მაუზერისტი ყოფილიყო.
– ვის უუღარუნებს, შვილო, იარაღს, რა თქვა რადიომ? – ჰკითხა დედამ.
– ჩვენ გვიუღარუნებს, დეიდა ანიკო, ჩვენ! – დააწვა ბოლო სიტყვას გურამი.
– ომი გინდა, ბიჭო? აღარ მოგბეზრდა ნავთის და პურის რიგში დგომა? – ვკითხე მე და ჩაი მოვსვი.
– ომი კი არა, ქვეყანა დაინგრეს მინდა! – თქვა მან და თითით ქვესკნელი გახვრიტა.
– რატომ?
– იმიტომ, ამხანაგო ბარამიძე, რომ აღარ შემიძლია ამდენი ნერვიულობა, გამოცდაზე შტერივით ჯდომა, დაკარგული სტიპენდიის შეცხადება, მუხლების კანკალი, ყელის ბდღვნა, ამომხდა სული სამიანის ნატვრაში, სტატისტიკის ჩამბარებელი მე მაინც არ ვარ და ბარემ დაიწყოს, თუ დასაწყებია, ჩერჩილს მაინც დავაბრალებ, არ მაცალა ჩაბარება–მეთქი, არადა, მარტო მამაჩემის ანგლობამ მომკლა.
– რაო, რა მინდაო?
– შენ რას გერჩი, შვილო, ჩემი დაღუპული ხარ, დებილების სკოლაში უნდა შემეყვანე, ოქროს მედალოსანი იქნებოდიო.
– ვითომ? – შემეპარა ეჭვი.
– შენ ხუმრობ და რა ადვილი სწავლა ყოფილა თურმე. მაგალითად, მიმდინარეობს გამოცდა, კედელზე გაკრულია სურათები: ვაშლი, მსხალი, ატამი; გამოდიხარ, გამომცდელი გეკითხება:
– აბა, ბარამიძე, კარგად დააკვირდი, ნუ აჩქარდები, დაფიქრდი და ისე მიპასუხე, რა არის ეს? – და ხელს ადებს ვაშლს. შენ აკვირდები ვაშლს და პასუხობ:
– ვაშლი, პატივცემულო მასწავლებელო!
– ყოჩაღ, ყოჩაღ! ხუთი, ბარამიძე! – გეუბნება კმაყოფილი პედაგოგი და გიწერს ხუთს. თუ ვაშლზე იტყვი მსხალიაო, მაშინ ოთხს გიწერს, თუ იტყვი ატამიო – სამს.
– კომპოტი რომ თქვა?
– რას ამბობ, კომპოტზე ასპირანტურაში აწყობენ.
– ორს რაზე წერენ? – გამეცინა მე.
– ორს წერენ იმ შემთხვევაში, თუ ვაშლზე იტყვი ტრამვაიაო!
– აბა, კი იქნებოდი, შვილო, ოქროს მედალოსანი. – დაამშვიდა დედამ. სამთავეს სიცილი აგვიტყდა.
ჩაის სმას მოვრჩით. მე კონსპექტები ავიღე.
– მალე დაბრუნდებით? – გვკითხა დედამ.
– დღეს გავათენებთ! – უპასუხა გურამმა.
კიბეზე ჩავირბინეთ, ხუთ ნომერ ტრამვაიში ჩავსხედით, დახურულ ბაზრამდე, რა თქმა უნდა, უბილეთოდ ვიმგზავრეთ, იქიდან ათ ნომერში გადავჯექით. იმაშიც, რა თქმა უნდა, უბილეთოდ ვიმგზავრეთ. ნაძალადევთან ჩამოვედით და ლოტკინის გორას ფეხით შევუდექით, ლოტკინის გორას, სადაც ჯერ ისევ გაზაფხული იყო, სადაც იდგა პატარა სახლი, პატარა ეზოთი, დეზებიანი მამლით, ავი ძაღლით, პატარა ჩეროთი და სადაც კარგი, ძალიან კარგი გულიკო ცხოვრობდა.
გულიკო ჩემი თანაკურსელია და, როდესაც თბილისი დუღს, მე და გურამი მასთან ვმეცადინეობთ. გარდა იმისა, რომ გულიკოს ეზოში გრილა, და მე და გურამს გვიხარია მასთან მეცადინეობა, გულიკოს კომკავშირის კომიტეტის მიერ დავალებული აქვს თვალყური ადევნოს ორებისა და სამების სწორ ბალანსირებას ჩვენს მატრიკულებში. ამ ბოლო დროს საქმე გართულდა, რადგან ორების კუთრი წონა მკვეთრად გაიზარდა ჩემსა და გურამის შემოსავალში. მეცნიერების მწვერვალებისკენ მიმავალი ფართო შარაგზა რომ არ არსებობს და რომ ამ მწვერვალისკენ ვიწრო ბილიკებს მივყავართ, ეს მე და გურამმა პირველსავე კურსიდან ვიცოდით და ამიტომ გულმოდგინედ ვუსმენდით გულიკოს, რომელიც ისე მხატვრულად გვიკითხავდა ჯავშნოსან პოტიომკინზე ბოროშში ადმოჩენილი მატლის გამო დაწყებულ აჯანყებას, რომ პირადად მე რამდენიმეჯერ ნერწყვიც კი გადავყლაპე.
გულიკო კონსპექტს კითხულობს, თან დროდადრო ამოგვხედავს, გვამოწმებს, ყურს თუ მიგდებენო. გურამი ზის მრგვალ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, ნიკაპი ცალ მუშტზე ჩამოუსვენებია და თვალები მიუნაბავს. კარგად ვერ გაიგებ – თვლემს თუ ყურს უგდებს გულიკოს. მე ალუჩის ტანზე ვარ მიყრდნობილი ზურგით და თვალს არ ვაცილებ მის ლამაზ, პატარა თავს, რომელსაც ამომავალი მზე ნათელივით ადგას და მხრებზე დაყრილ ოქროსფერ თმას ცეცხლივით ეკიდება.
– გულიკო! – ვამბობ მე, რატომ, თვითონაც არ ვიცი.

– რა? – მეკითხება გულიკო თავაუღებლად.
– არაფერი.
– მაინც?
– გადაჯექი. თორემ თმაზე ცეცხლი მოგეკიდება. – ვიკრიჭები მე.
– სულ არ არის სასაცილო! – ამბობს გულიკო და კითხვას განაგრძობს. გურამმა, ზარმაც კატასავით, ცალი თვალი აახილა, მერე ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და ხელის ჩაქნევით მანიშნა, ასანთი ხომ არ გაქვსო. მე გულიკოს თავზე ვანიშნე. გურამი ზანტად ადგა, პაპიროსი გულიკოს ცეცხლივით თმაში ჩარგო და ხარბად მოქაჩა.
– არ ეკიდება. – თქვა მან და მხრები აიჩეჩა.
– მორჩით ახლა ლაზღანდარობას! – გაბრაზდა გულიკო და თმაზე ხელი გადაისვა.– თუ არ გინდათ, ნუ გინდათ, მე ეს კონსპექტი სამჯერ მაქვს წაკითხული.
– გულიკოს შემოვეევლე, ჩემს კეთილ, ჩემს კარგ, ლამაზ და ნიჭიერ გულიკოს, გვეყოფა ახლა სწავლა–განათლება. წავიდეთ სადმე, გავიაროთ! – გამოიგლიჯა ყელი გურამმა.
– შენც ასე ფიქრობ? – მკითხა გულიკომ.
– დიდი ხანია და ვერ გიმხელ სიყვარულივით! – თავი დავხარე მე.
გულიკოს გაეღიმა და წიგნი დაკეცა.
– დედა! – გასძახა მან ოთახში მოფუსფუსე დეიდა თამარს.
– რაო, შვილო! – გამოხედა დედამისმა.
– დედა, ბიჭები მიდიან, მე გავაცილებ. თუ დამაგვიანდა, არ შეგეშინდეს.
– წადი, შვილო, მაგრამ ამსისქე კონსპექტი ასე მალე ისწავლეთ? – გაუკვირდა დეიდა თამარს.
– მკითხეთ რაც გინდათ! – უთხრა ნაწყენმა გურამმა და საპასუხოდ მოემზადა.
– მე რა გკითხო, შვილო, არც ჩამიხედია შიგ. – თქვა დეიდა თამარმა.
– არ ვარგა, არ ვარგა, ქალიშვილო, ასე შორს ვერ წახვალთ, ჩაიხედეთ, წაიკითხეთ და შემოდგომაზე მობრძანდით! – დაარიგა ჭკუა გურამმა და ჭიშკრისკენ წავიდა.
– წაეედით, დედა! – თქვა გულიკომ და ხელი მომკიდა.
– წადი, შვილო, ძალიან ნუ დაიგვიანებთ!

777

ფუნიკულიორიდან ღამის თბილისი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავს, და ისე ჰგავს, რომ გეგონებათ ზეცა დაბლა ჩამოვიდა, გულღმა ამოტრიალდა და თქვენ ზევიდან დასცქერით. ყველა ნაცნობი ვარსკვლავი დ თანავარსკვლავი აქ არის, თქვენს ქვემოთ, დიდი და პატარა დათვის თანავარსკვლავედები, სასწორ–სამართალი, მარეხი, ირმის ნახტომივით დაღვრილი მსუბუქი ნისლი. შორს, უამრავი მოწყვეტილი ვარსკვლავებივით გაელვებული და ჩამქრალი მანქანის ფარები. ფუნიკულიორი კოსმოსში მოცურავე დედამიწას ჰგავს. რადგან დაბლაც ზეცაა, მაღლაც და ყველგან, ყოველი მხრიდან ზეცაა: უსაზღვრო, უნაპირო, დაუსაბამო, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა და კიდევ მეტი, თქვენ თვითონა ხართ დედამიწა, პატარა დედამიწა, ცოცხალი, მსუნთქავი, ფიქრიანი, მეოცნებე, დაკარგული და გზააბნეული თქვენი ბადალი, ყველა თქვენი ტკივილისა და სიხარულის ბადალი, ცოცხალი მიწის მაძიებელი ამ ვარსკვლავების უსაშველო ორომტრიალში.

777

მე არ ვიცი რაზე ფიქრობს გულიკო. იგი დაყრდნობილია მოაჯირზე და თბილისს გასცქერის. ჩემთვის სულერთია რაზე ფიქრობს გურამი, მაგრამ არ არის სულერთი – რაზე ფიქრობს გულიკო. მე მინდა, გულიკო იმაზე ფიქრობდეს, რაზეც მე, ზუსტად იმაზე თუ არა, მსგავს რამეზე მაინც. რამდენჯერ მინატრია, ღმერთო, აი ახლა ეკითხავ და ნეტა იმაზე ფიქრობდეს, რაზედაც მე. ათასჯერ ეკითხე და გულიკო არასოდეს არ ფიქრობს იმაზე, რაზედაც მე, ახლა მე ვფიქრობ: გურამი რომ რამეს მოიმიზეზებდეს და წასვლას დააპირებდეს, გულიკო სთხოვს არ წახვიდეო. გურამი მაინც წავა. მაშინ გულიკოც დააპირებს წასვლას, მაგრამ მე ვთხოვ, და გულიკო დარჩება. მერე მე გულიკოს ვეტყვი ყველაფერს, ვეტყვი, რომ მე იგი მიყვარს უკვე ორი წელია, რომ სულ მასზე ვფიქრობ, რომ მას შეიძლება არ ვუყვარვარ, მაგრამ ეს ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ... გულიკოს არ შეიძლება არ ვუყვარდე, რადგან ვატყობ, რომ ძალიან ვუყვარვარ. მე ვფიქრობ...
– წაევედი მე! – თქვა უცებ გურამმა და ამოიოხრა. – ხვალ დილით ადრე ვარ ასადგომი, ნავთია მოსატანი.
– ცოტაც მოიცადე და ერთად წავიდეთ! – ვუთხარი მე.
– არ შემიძლია! – თქვა გურამმა.
– თუ არ შეგიძლია, წადი, მე და თემური დავრჩებით, არა, თემო? – მკითხა გულიკომ.
– აბა რა, ახლა თბილისში ჩასვლა იქნება? – სული ამოძვრება კაცს.
– ჰოდა, წავალ. კარგად იყავით!
– კარგად!
– დილას გამოიარე.
– ჰო!

გურამი წავიდა.

მე ახლა გულიკოს ვუცქერ, გულიკო კი თბილისს. მე ახლა მხოლოდ გულიკოზე ვფიქრობ, გულიკო კი ნეტავ რაზე? ღმერთო, აი ახლა ვკითხავ და ნეტავ ამისრულდებოდეს და ახლაც თუ სხვა რამეზე ფიქრობს, ჩემს სიცოცხლეში აღარ ვკითხავ.

– თემო!

– რა, გულიკო?

– თემო, რაზე ფიქრობ? – მკითხა გულიკომ და თვალებში ჩამხედა.

მე მოულოდნელობისგან პირი დავაღე. გულიკო თვალს არ მაცილებდა.

– არაფერზე, გულიკო, აბა, რაზე უნდა ვიფიქრო! – ძლივს ამოვღერღე. გულიკომ ოდნავ გაიღიმა და თვალი ამარიდა.

– შენ რაზე ფიქრობ, გულიკო?

– მე რაზე ვფიქრობ? შენზე ვფიქრობ. – თქვა გულიკომ და ისევ გამიღიმა.

– ახლა, ამ წუთში?

– ახლა, ამ წუთში!

– კიდევ რაზე ფიქრობ, გულიკო? – ვთქვი მე და ხმაში ხრინწი შემეპარა.

– კიდევ ჩემზე, თემო!

– კიდევ?

– მეტი არაფერზე. როდესაც შენზე ვფიქრობ, მაშინ ჩემზეც ვფიქრობ, მეტზე არაფერზე. ალბათ, ჭკუა არ მყოფნის კიდევ რამეზე რომ ვიფიქრო.

– სხვა დროსაც თუ ფიქრობ ჩემზე?

– კი.

– ხშირად?

– ხშირად.

– ძალიან?

– არა! – გულიკო ახლა თავჩაღუნული იდგა მოაჯირთან და თავის თხელ და გამჭვირვალე თითებს დასცქეროდა. მე რაღაცის შემეშინდა და აღარაფერი ვკითხე, მაგრამ გულიკომ თვითონ თქვა:

– ხანდახან ვფიქრობ, თემო, ხანდახან და დიდხანს.

ახლოს მივიწიე გულიკოსთან, ჩემი მკლავი მის მკლავს შეეხო. ვიგრძენი, როგორ შეუტოკდა მკლავი გულიკოს, მაგრამ არ გაწეულა.

– გულიკო! – გულიკომ შემომხედა პირდაპირ თვალებში. ვერ გავუძელი და თვალი ავარიდე.

– გულიკო, რას ფიქრობ ჩემზე? – ვკითხე ხმის კანკალით და პასუხის მოლოდინში თვალები დავხუჭე.

– რასაც შენ ჩემზე! – თქვა გულიკომ ჩუმად. გული ყელში მომებჯინა და სუნთქვა შემეკრა. ხელი გადავხვიე და გულიკომ ჩემი ხელი მხარსა და ლოყას შორის მოიმწყვდია, ზედ თავი დაასვენა და თვალები მოხუჭა.

– გულიკო, იცი მე რას ვფიქრობ შენზე? – ახლა ყველაფერს გეტყვი... – გულიკოს თვალები არ გაუხელია, ისე გააქნია თავი – არ მითხრაო, მაგრამ მე არ შემეძლო გაჩერება, როგორც მთიდან დაგორებულ ლოდს, რომელიც წლობით ბეწვზე ეკიდა და რადგან მოწყდა, ახლა თან უნდა წამოეღო ყველაფერი, რაც გზაზე შეხვდებოდა, რათა ქვევით ზვავად, მეწყრად და ნამქერად ჩასულიყო...

– მე ამ ზაფხულს ზღვაზე წავალ... არა, ჯერ ცხვარში წავალ, ლებაისკარის მთებში, მერე ზღვაზე... შეიძლება სოფელშიც წავიდე... ზღვა ისე მიყვარს, როგორც არაფერი, ზღვა და მზე, მზე და ზღვა ორი სასწაულია... ხომ არის სასწაული? არის, რა თქმა უნდა. მე შემიძლია, დავჯდე ზღვის პირას, ზღვისკენ ზურგით და ვუყურო მზის ამოსვლას, მერე შევტრიალდე ზღვისაკენ და ვუცქირო მზის ჩასვლას პირდაპირ ზღვაში. მერე დაველოდო მზის ამოსვლას, მერე ჩასვლას და ასე მთელი სიცოცხლე. წელს მე და შენ ერთად წავალთ ზღვაზე. მე დავდებ შენს კალთაზე თავს და მთელი დღე შენ გიყურებ, შენ თუ გინდა, მზეს უყურე, ან ზღვას, რასაც გინდა უყურე, ოღონდ მე ნუ მიყურებ... როდესაც შენ მიყურებ, მეშინია... თან მიხარია, ამიტომ მირჩევნია მე გიყურო, შენ კი არა, შენ ხანდახან მიყურე, ჰო, გულიკო? მე და შენ ერთად წავალთ ზღვაზე, არა?

– ჰო, თემური, ჰო, – ჩურჩულით თქვა გულიკომ და თვალები ოდნავ გაახილა. მე შემოვატრიალე იგი, ცეცხლივით თმებში ორთავე ხელი შეეაპარე საფეთქლებთან და ჩემსკენ მოვიზიდე. მის ფართოდ გახელილ თვალებში ცრემლში შეზავებული უსაზღვრო ბედნიერება, სიყვარული და კიდევ ჩემთვის მუდამ გამოუცნობი რაღაც ციმციმებდა, ის გამოუცნობი რაღაც, რისიც ასე მეშინოდა, და რომ გამექრო ეს შიში, ორთავე თვალებში ვაკოცე, გაბმულად და ფრთხილად...

მერე ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა. თბილისი ისევ ციმციმებდა დაბლა, და საოცრად ჰგავდა გულაღმა ამობრუნებულ ზეცას. მაღლა ისევ უსაზღვრო ცა იყო, მოჭედილი დიდი და პატარა ვარსკვლავებით. ყველგან ზეცა იყო, საითაც არ გაიხედავდი, დაუსაბამო ზეცა, და მე ვიყავი დედამიწა, პატარა დედამიწა, ცოცხალი, მსუნთქავი, ფიქრიანი, მეოცნებე, ნატანჯი,

გადარჩენილი, უსაზღვროდ ბედნიერი, და გვერდით მდგა ყველა ჩემი ტკივილისა და სიყვარულის ბადალი, სიყვარულისა და ტკივილების მატარებელი, ცოცხალი მიწა, და მე აღარ ვიყავი მარტო, ამ ვარსკვლავების უსაშველო ორომტრიალში.

დედა

კარი ჩუმად შევაღე. დედა სარკმელთან იჯდა და ვარაზის ხევს გასცქეროდა. იგი ყოველთვის მელოდა, რა დროსაც არ უნდა მივსულიყავი. მელოდა ჩუმი, სევდიანი და საყვედურით სავსე თვალებით. მე ვგრძნობდი, რომ რაღაც დანაშაულს ჩავდიოდი, როდესაც მივდიოდი და არ ვაფრთხილებდი, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო, 12 წლის მანძილზე ჩემთვის არავის უკითხავს, როდის დაბრუნდებიო და როდესაც ახლა მეკითხებოდნენ, სასტიკად ვლიზიანდებოდი. ამიტომ ხან განზრახ ვიგვიანებდი, ხან სულ არ მოვდიოდი სახლში. დედა გრძნობდა ამას და, რაც დრო გადიოდა, უფრო დარდიანი და უფრო უსიტყვო ხდებოდა. მე ღამეებს თეთრად ვათენებდი და ჩემთან ერთად ისიც. ღამენატეხი უგრძნობლად ვიძინებდი და როდესაც თვალს ვახელდი, კვლავ მისი სევდიანი თვალები მიმზერდნენ, იგი არაფერს მეკითხებოდა, არც მიყვებოდა. არც მე ვეკითხებოდი არაფერს და არც არაფერს ვუყვებოდი, მაგრამ დღეს სულ სხვა დღე იყო. დღე, როდესაც მოსაუბრე თუ არა გყავს, გინდა კედელს, ქვას, ხეს, რასაც გინდა, ვისაც გინდა ელაპარაკო. მივედი დედასთან, გვერდით მივუჯექი, ორთავე ხელი ფრთხილად კალთაზე დავაწყვე და თაფლისფერ, ჭკვიან თვალებში ჩავხედე.

– რა იყო, შვილო? – მკითხა მან და თავზე ხელი გადამისვა.

– დედა, შენ ხომ გახსოვს ზღვა, მე მახსოვს, ქობულეთში დაგყავდი ბავშვობაში!

– ჰო, შვილო!

– ზღვაში მზის ჩასვლას ერთად ვუცქეროდით.

– მახსოვს, შვილო. – დედა გაკვირვებული მიცქერდა.

– ხომ არის ზღვა და მზე ორი სასწაული? მზე ისეთი სასწაულია, რომლის ცქერა არასოდეს მოგწყინდება... ხომ, დედა?

– არა, შვილო! – თქვა დედამ, თვალები დახუჭა და თავი გაიქნია. იგი დიდხანს დუმდა, ალბათ, რაღაცას იგონებდა.

– დედა. – გავახსენე მე თავი.

– მზე სასწაულია, – დაიწყო მან დუმილის შემდეგ, – მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს ნამდვილი მზე... მზით დამწვარი უსაზღვრო ტრამალი... მზით დამწვარი ქვა, მიწა, ხე, ქვიშა, გამხმარი ხახა, გამხმარი ტვინი. არის წუთები ცხოვრებაში, როდესაც მზე გეზიზღება და უცქერ მზის ჩასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩადის, და გიხარია მისი ჩასვლა, რათა ხელმეორედ აღარ ამოვიდეს, ისეთი ულმობელი, როგორიც გუშინ. გაიგე, შვილო?

მე არაფერი არ ვუპასუხე. დედამ სევდიანად გაიღიმა.

– ისეთი მზე, შენ რომ გიყვარს, მართლაც სასწაულია, მისი ცქერა სიკვდილამდე არ მოსწყინდება კაცს. – დაამთავრა მან და ცხელი ხელი სველ შუბლზე გადამისვა. თავი კალთაში ჩავუდე.

– დედა, შენ ხომ ხედავ, რომ მე პატარა აღარა ვარ. შენ ისევ რვა წლის გგონივარ, მაგრამ მე უკვე ოცი წლისა ვარ. შენ ჩემი ყველაფერი გიკვირს, ის, რაც მე კარგი მგონია, შენ არ მოგწონს, რაც მახარებს, შენ იმის გეშინია, სულ ეჭვის თვალით უყურებ. ან დაივიწყე, დედა, ყველაფერი, ან მითხარი რა ვქნა?.. – ვთხოვე მე და კალთაზე ვაკოცე.

– მაგის დავიწყება არ შეიძლება! – თქვა დედამ.

– რისი, მე რომ რვა წლის აღარ ვარ? – ავწიე თავი და თვალებში ჩავხედე.

– არც მაგის. – მიპასუხა მან და ნიკაპი აუკანკალდა.

– რატომ, დედა, რატომ?

– იმიტომ, რომ ბავშვი ფიქრსა და შეგნებაში არ იზრდება.

– კი მაგრამ, შენ ხომ ხედავ, რომ მე ოცი წლისა ვარ და არა რვის?

– ეს ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს! – თქვა დედამ და მწარედ გაიღიმა.

– ის, რომ მე დღეს, მე დღეს.. – ენა დამება.

– რა დღეს? – მკითხა მან მშვიდად.

– მე დღეს გულიკოს ვუთხარი,რომ იგი ქვეყანას მირჩევნია და რომ ჩვენ წავალთ ზღვაზე, მე მას კალთაში ჩავუდებ თავს, ჩვენ დილიდან საღამომდე ვუყურებთ ამომავალ და ჩამავალ მზეს, მზეს, რომელიც შენ არ გიყვარს, და რომ ჩვენ მთელი სიცოცხლე ერთად ვიქნებით. ეს შენთვის არაფერს არ ნიშნავს?

დედა ფეხზე წამოდგა, ჩემი თავი ერთი ხელით მკერდზე მიისვენა, მეორეთი თმის ვარცხნა დამიწყო ჩუმად, თავისთვის ჩურჩულს მოჰყვა...

– ნიშნავს, როგორ არ ნიშნავს, ყველაფერს ნიშნავს, ჩემო თემური, ყველაფერს ნიშნავს, შვილო, ოღონდ შენ იყავი ჩემთან, ჩემი შვილი იყავი, უცხო ნუ იქნები... გესმის, უცხო, და მე ყველაფერს დავივიწყებ, ოღონდ მეც მითხარი ის, რაც შენს გულიკოს უთხარი. მითხარი, შვილო, რომ გიყვარვარ, რომ მთელი სიცოცხლე ერთად ვიქნებით, თორემ გასკდა ეს ოხერი გული, ბიჭო,

გასკდა!.. – დედა სკამზე დაეშვა და ხელები სახეზე აიფარა. მე რაღაც მომაწვა ყელში, მაგრამ თავი შევიკავე, წინ დავუჯექი და ისევ დავაწყვე ხელები კალთაზე. დედა არ ტიროდა, მას ხელები უთრთოდა მხოლოდ. ცოტა ხნის შემდეგ იგი დაწყნარდა და ხელები ჩამოიღო სახიდან.

– დედა! – დავიწყე მე. – უკვე ორი წელია გულიკო მიყვარს, წარმოგიდგენია? ორი წელი...

– ეგ ბევრი არ არის, შვილო! – თქვა დედამ და გამიღიმა. მე აღარ ვიცოდი რა მეთქვა.

– მე შენ ძალიან მიყვარხარ... – ვთქვი გაუბედავად.

– ვიცი! – თქვა დედამ და ისევ გამიღიმა.

– ოღონდ...

– გულიკო უფრო გიყვარს და სულ მასთან გინდა იყო. – გამაწყვეტინა მან.

– არა!

– ჰო!

– გულიკო სხვანაირად მიყვარს. გულიკო ახლა შემიყვარდა, შენ კი... რამდენი ხანია...

– ბევრი, ძალიან ბევრი, იმდენად ბევრი, რომ დაგავიწყდა! – თქვა დედამ.

– დედა, შენ მამა გიყვარდა? – ვკითხე უცებ.

დედამ თვალები დახუჭა და არაფერი მიპასუხა. მე მივხვდი, რომ სისულელე ვთქვი...

– შენ მამაშენი თუ გახსოვს? – მკითხა დედამ ცოტა ხნის შემდეგ. მე დავფიქრდი: ღმერთო, ნუთუ არ მახსოვს? ვიგონებ, გვერდზე ორი ოქროს კბილი ჰქონდა, საშუალო ტანის იყო, ლამაზი, შავი თმა ჰქონდა, იმდენად შავი, რომ ლურჯი ფერი გადაჰკრავდა. ტყავის პალტოს იცვამდა, ხან ჩექმა ეცვა, ხან ცხვირწაჭრილი ფეხსაცმელი და ვიწრო შარვალი, მკაცრი კაცი იყო და, თუ ვინმეს რამე სჭირდებოდა, ჩემთვის უნდა ეთხოვა. მე ვუყვარდი ძალიან. კიდევ რა? მეტი არაფერი. თვალები დახუჭული მაქვს და მინდა, წარმოვიდგინო ასეთი კაცი, მამაჩემი. ვერაფერს ვხედავ, სიცარიელეა, აბსოლუტური სიცარიელე. ესე იგი რაც ვიცი, მონაყოლია, სხვისი მონაყოლი, მე არაფერი არ მახსოვს და რაც უნდა ვიხსენო, ვერ გავიხსენებ.

– არა, დედა, არ მახსოვს, სულ არ მახსოვს. მეგონა, მახსოვდა...

– არც სურათი გინახავს?

– არა!

დედა კარადასთან მივიდა, ჩანთა გახსნა, რაღაც სურათი ამოიღო და წინ დამიდო. მე გაშტერებული დავცქეროდი სურათს, მერე დედას ავხედე, იგი იდგა გაფითრებული და ხმას არ იღებდა. სურათი ხელში ავიღე. ჩემს წინ დათვის ტყავზე დაგორებული ერთი წლის შიშველი ბავშვი უდარდელად იღიმებოდა.

– რა არის ეს! – ვკითხე შეშინებულმა.

– ეს არის მამაშენი, შენი სურათი ეგონათ და დამიტოვეს. – თქვა დედამ.

– მერე? – ვთქვი მე და ტანზე ბუსუსები დამაყარა.

– მერე არაფერი, ეს არის მამაშენი, მე კი – დედაშენი.

სურათი მაგიდაზე დავაგდე. მერე მივედი დედასთან, მკერდზე თავი დავამხე და ავტირდი. დედა ჩუმად იდგა, იგი არც მაწყნარებდა, არც არაფერს მეუბნებოდა.

– დედა, მაპატიე, ჩემო საწყალო დედიკო! – დავიწყე მე და, რომ არ მებღაოლა, კბილებს კბილებზე ვაჭერდი. – მაპატიე, რაც ტკივილი მოგაყენე. მეც, მამაჩემმაც. მე მაპატიე, დედა. მე შენი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მეტყვი, ყველაფერს, თუ გინდა, კაცს მოვკლავ, გინდა გულიკოს თავს დავანებებ, თუ გინდა, თავს მოვიკლავ, ოღონდ მაპატიე ყველაფერი, მაპატიე... – ვამბობდი მე და მკერდს ვუკოცნიდი. დედა თავზე ხელს მისვამდა და ხმას არ იღებდა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჩუმად დაიწყო:

– მე შენ არაფერს არ გთხოვ და არც გავალებ, შენ ჩემი გულისთვის არც თავი მოიკლა და არც სხვა მოკლა, მაგას ნუ ამბობ... გულიკოს თავი რატომ უნდა დაანებო, გიყვარდეს, თუ გიყვარს და იმასაც თუ უყვარხარ. ჯერ თქვენ არ იცით, რა არის სიყვარული და დიდხანს ვერ გაიგებთ. მე ჩემი სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია. გზა კი, მგონი, დავამთავრე, ბოლოში გავედი. ვიდრე ცოცხალი ვარ, ვეცდები მოგყვე გზაზე, რომ არსად გადავარდე. იქნებ ხელი დაგჭირდეს და შეგაშველებ. შენ შენი გზა გაქვს და შენი გზით უნდა იარო, შვილო...

– როგორ, დედა, როგორ!

– არ ვიცი, შვილო! ეგ რომ ვიცოდე, მაშინ რა გვიშავს?

– მაინც, რა უნდა გავაკეთო?

– ყველაფერი, რასაც სიკეთე და პატიოსნება ჰქვია.

– მაინც?

– არ ვიცი, შვილო. ზოგი ისე ჩადის ბოროტებას, სიკეთეს აკეთებს ჰგონია... – დედა დადუმდა, მეც დავდუმდი. მერე სარკმელთან მივიდა და ისევ ვარაზის ხევს დაუწყო ცქერა. მე მივედი და გვერდში ამოვუდექი. იგი მიხვდა, რომ კიდევ ველოდი მისგან რაღაცის თქმას. მობრუნდა და გამიღიმა.

– ოღონდ ჯერ სიკეთის და ბოროტების გარჩევა უნდა ისწავლო!

– როგორ, დედა? – ვკითხე ისევ.

– არ ვიცი! – მხრები აიჩჩა დედამ. – ცხოვრება თვითონ გასწავლის.

– ახლა რა ექნა?

– ახლა? – დედა დაფიქრდა. – ახლა წადი და დაწექი. – მითხრა მან და შუბლზე მაკოცა. მე უხმოდ შევტრიალდი და დავწექი. დილით, როდესაც გავიღვიძე, დედა კვლავ სარკმელთან იჯდა, მკლავზე თავი დაედო, ტკბილად ეძინა და იღიმებოდა. ჩუმად ჩავიცვი, წიგნი ავიღე და კარი გავაღე.

– ადექი, შვილო? – გავიგონე მისი ხმა.

შემოვტრიალდი და თანხმობის ნიშნად გავუღიმე.

– სად მიდიხარ? – მკითხა მან.

... მე, ჩემდა გასაოცრად, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი როგორ მიხაროდა, რომ ვიღაც მეკითხებოდა, სად მიდიხარო, ვიღაცას აინტერესებდა ჩემი წასვლა, ჩემი მოსვლა და, რომ არ დამეკარგა ამ სიტყვების სითბო და სიახლოვე, სახლში დავრჩი.

პარნასი

უნივერსიტეტში სამი ათასამდე სტუდენტს ასწავლიდნენ, აქედან ნახევარი სწავლობდა, ერთი მეოთხედი დიპლომს უდარაჯებდა, ხოლო დანარჩენი პროფესიას ირჩევდა, ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადადიოდა, განცხადებებს წერდა, აკადემიურ შვებულებებს იღებდა, ავადმყოფობის ცნობები მოქონდა გამოცდებზე, გამჭოლი ქარივით შედიოდა და გამოდიოდა, ჭიდაობდა, მღეროდა, უკრავდა და ასე შემდეგ.

ჩვენ, ლიტერატურის მოყვარული, ოფიციალური ლიტერატურული წრე „პარნასი“ გვქონდა, რომელსაც თავისი ოფიციალური ხელმძღვანელიც, ბატონი შალვა ჰყავდა. ეს იყო დაახლოებით ხუთი კრიტიკოსის, ოციოდე პოეტის, ექვსი პროზაიკოსის, ორი მენარკვევისა და ცხრა მთარგმნელისაგან შემდგარი ლიტერატურული გაერთიანება. მე, რა თქმა უნდა, პოეტი ვიყავი, მაგრამ ხანდახან ჩუმად მოთხრობებსაც ვწერდი. ჩვენ პარასკეობით ვიკრიბებოდით 94–ე აუდი–ტორიაში და მთელი შემოქმედებითი კვირის ნაწავსა და ნაოფლარს ჯერ ერთმანეთსა და მერე ხელმძღვანელს ვუკითხავდით, ხოლო ამათგან საუკეთესო მასალა თვეში ერთხელ გამიზნულ ლიტერატურულ სალამოზე გაგვქონდა და ლიტერატურის მოყვარული სტუდენტებით გაჭედილი კლუბის თაღებქვეშ ვაფრქვევდით უმოწყალოდ.

გურამი ჩვენს არც ერთ სხდომას არ აცდენდა. მართალია, იგი არც პოეტი, არც პროზაიკოსი, არც მენარკვევე, არც კრიტიკოსი, არც მთარგმნელი არ იყო, მაგრამ თავის თავს მოფერებით „დილეტანტს“ ეძახდა და რითმების კეთებაში მეხმარებოდა.

დღეს პარასკევია. მე და გურამი ვსხედვართ უკანა მერხზე და ველოდებით, როდის აივსება აუდიტორია 40 გენიოსით, რომლებიც შემოდიან შთაგონებით, თვალებმოჭუტული, ავიწყდებათ სალამი, მერე ბოდიშს იხდიან – უჰ, შენ აქ ხარ? სულ ვერ შევამჩნიე, სადღაც ვიყავიო, და ასე შემდეგ.

– ბიჭო, ერეკლე! – დაუძახა გურამმა იღლიაში უამრავ წიგნამოჩრილ, წითურ პოეტს, რომელიც ისე შემოვიდა აუდიტორიაში, ისე დაჯდა ჩვენს წინ და ისე მიაპყრო თვალები ჭერს, თითქოს ჭერი ჩამოვარდნას აპირებდა. ერეკლემ ხმა არ გაგვცა.

– ბიჭო! – შეანჯღრია გურამმა ერეკლე. – ვიცი სადღაც ხარ, მაგრამ ერთი წუთით დაბრუნდი, თუ შეიძლება. – ერეკლე შეკრთა, გაფანტულ აზრებს მოუხმო და მოჭუტული თვალებით გაგვცვითა.

– უჰ, თქვენ აქა ხართ? როგორ ვერ შეგამჩნიეთ! – გაუკვირდა უცებ.

– სად იყავი? – ჰკითხა გურამმა.

– სახლიდან მოვდივარ! – მოთენთილი ხმით თქვა ერეკლემ.

– არა, ამ წუთში სად იყავი? – ჩააცივდა გურამი.

– ამ წუთში? – კითხვაზე კითხვით უპასუხა ერეკლემ და ისევ შთაგონებული გამომეტყველების მიღება დააპირა, მაგრამ გურამმა არ აცალა:

– ჰო, ამ წუთში, ჭერს რომ უყურებდი, სად იყავი?

– რაღაცას ვფიქრობდი!

– რას?

– რას ჩამაცივდი, რაღაცას ვფიქრობდი! – ეწყინა ერეკლეს.

– ლექსს ხომ არ იგონებდი?

– არა!

– რითმას ხომ არ ეძებდი?

– შენ რა იცი? – გაუკვირდა ერეკლეს.

– მითხარი და აქ ვარ! – დაჰკრა მხარზე ხელი გახარებულმა გურამმა.

– სამგორზე ვაკეთებ ციკლს და ერთ ადგილას...

– გაგეჭედა?

– არა, კი არ გამეჭედა, რითმა არ მოდის.

– თქვი, რა რითმაა! – გურამმა მსუყე ლუკმის მოლოდინში ნერწყვი გადაყლაპა.

– მეფისტოფელი! – თქვა ერეკლემ დამარცვლით.

გურამი გაშტერდა.

– დაგარტყა? – ჰკითხა მან ერეკლეს და მოწყალების დასავით გაულიმა.
– ყველა პოეტი თავისებურად დარტყმულია. – დიდმნიშვნელოვნად თქვა ერეკლემ და თვალი გაახილა. გურამმა ახლა მე გამიღიმა ისევე, როგორც ერეკლეს.
– თუ ძმა ხარ, ნუ იკრიჭები და თუ შეგიძლია, მოუნახე რითმა. – გავბრაზდი მე.
– რა უნდა, ბიჭო, სამგორში მეფისტოფელს? – შეეკითხა გურამი.
– რა უნდა, ბიჭო, სამგორში მეფისტოფელს? – ვკითხე ახლა მე ერეკლეს.
ერეკლე ამ ქვეყანას აღარ იყო. იგი კვლავ სადღაც წასულიყო, თვალები ჭერისთვის მიეპყრო და თავისთვის ბუტბუტებდა: მეფისტოფელი, მეფისტოფელი, მეფისტოფელი...
– მოიხედე! – დაჭქაჩა გურამმა. ერეკლემ მოიხედა.
– წაიკითხე სტროფი! – ერეკლემ დაიწყო.

და იდგა გვალვა სამგორში მკაცრი,
ვით ჯოჯოხეთში მეფისტოფელი...

– მეფის ტუფლი! – შეაწყვეტინა გურამმა.
– არ ვარგა! – გაიქნია თავი ერეკლემ.
– ჩვენი სოფელი! – არ მოეშვა გურამი.
– არ ვარგა! – არ შეიბრალა ერეკლემ.
– ბევრ კიტრს მოველით! – არ დანებდა გურამი.
– კიტრი წინა ლექსში მაქვს! – ჩაიქნია ხელი ერეკლემ.
– მეფის სტაფილო!
– კარგია, მაგრამ მეფე არ ვარგა!
– მარტო სტაფილო!
– არც მარტო სტაფილო!
– მეტი სტაფილო!
– არა!
– მაშინ იდიოტი!
– არ ერითმება!
– სამაგიეროდ, შენ გერითმება. შე დეგენერატო, მეფისტოფელის მეტს ვერაფერს ვერ შეადარე გვალვა? – გადაირია გურამი და წამოხტა. ერეკლემ ისეთი თვალებით შეხედა გურამს, გული ამიტირდა.
– გეყოფა ახლა! – ვუთხარი მე გურამს და დავსვი.
აუდიტორია აივსო. ხელმძღვანელი შემოვიდა. საათზე დაიხედა, აუდიტორია შეათვალიერა და იკითხა:
– არჩილი აქ არის?
– კი, ბატონო!
– თამაზი?
– თამაზიც!
– ნოდარი?
– აქა ვარ, ბატონო!
– ტარიელი სადაა, კაცო, ტარიელი?
– ტარიელიც აქ არის, ბატონო!
– გამარჯობათ, თქვენი, ამხანაგებო!
– გამარჯობათ, ბატონო შალვა!
– სალამი!
– გამარჯობათ!
– დავიწყოთ? – იკითხა მან მოსალმების შემდეგ.
– დავიწყოთ! – თქვა ყველამ ერეკლეს გარდა. იგი კვლავ რითმას ეძებდა.
– რას შვები, ტარიელ, როგორ ხარ შენ? – მოიკითხა ბატონმა შალვამ ტარიელი.
– გმადლობთ, ბატონო, არა მიშავს! – უპასუხა ტარიელმა და ფეხზე ადგა.
– წერ ახალ რამეს?
– ვწერ რაღაცას...
– წერე, თუ ძმა ხარ, წერე. თქვენ თუ არ წერეთ, აბა, მე ხომ არ დავწერ, ხომ ხედავთ როგორ უჭირს ჩვენს ლიტერატურას!
– კი, ბატონო, დავწერ! – დაპირდა ტარიელი.
– აბა, შენი იცი, ოღონდ დროზე! – გაამხნევა ხელმძღვანელმა ტარიელი და ისევ საათზე დაიხედა.
– შენ როგორა ხარ, გურამ? – მოიკითხა ახლა გურამი, გურამი წამოდგა.
– არა მაქვს საბაბი, ჭმუნვით რომ ვიყოთ! – გამოიდო თავი ქართულზე გურამმა.
– არა, ხომ?
– არა, ბატონო!

– ეს რა არის, კაცო, თმები გცვივა? – შეწუხდა ბატონი შალვა და გურამს თავზე გადაუსვა ხელი.
– რას ბრძანებთ, ბატონო შალვა, სისტემატური თმა მაქვს! – გაუკვირდა გურამს.
– სისტემატური?
– კი, ბატონო!
– მაგას რა სჯობია! რას შვები! ლექსების წერა არ დაიწყე?
– არა, ბატონო!
– პროზა?
– არც პროზა!
– თარგმნი რამეს?
– არა. ბატონო!
– არც კრიტიკულ წერილებს წერ?
– არა!
– რატომ, კაცო, რატომ, ყველა წერს და შენ რა დააშავე, დაწერე, თუ ძმა ხარ, რამე, აგერ ოთარი შენი მეგობარი არაა? დრამაშიც მუშაობს, პოეზიაშიც, პროზაშიც, კრიტიკაშიც, თარგმანშიც და, საერთოდ, მუშაობს, დაწერე შენც რამე...
– კი, ბატონო!
– აბა, შენ იცი! – ბაირაღივით გაწითლებულ გურამს ხელმძღვანელმა ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ისევ საათზე დაიხედა.
– ახლა დავიწყოთ, არა? ვის ლექსებს ვარჩევთ დღეს?
– ჩემსას! – თქვა საიდანღაც დაბრუნებულმა ერეკლემ და წამოდგა.
– გამოდი, აბა, თუ კაცი ხარ! – შეეხვეწა ბატონი შალვა.
ერეკლე გამოვიდა. კათედრაზე ავიდა, საერთო რვეულს ხელი დაადო ისე, როგორც მოწმეები დებდნენ ხელს ბიბლიაზე და ამბობდნენ – ღმერთი გამიწყრეს, თუ ტყუილი ვილაპარაკოო და თვალები ისევ ჭერს მიაპყრო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დუმდა დარბაზი, დუმდა ერეკლეც. მე გულში სამოცი დავითვალე, ეს ბრიყვი კი არ იწყებდა.
– სამოცდაერთი, – განვაგრძე თვლა, – სამოცდაორი, სამოცდასამი...
– აღარ იწყებ, კაცო? – შემაწყვეტინა თვლა ხელმძღვანელმა. ერეკლე დუმდა.
– მუზას ელოდება! – თქვა გურამმა.
– კაცო, მაგან დაიწყოს და მუზა მოვა, აბა, სად ოხრობაში წავა! – თქვა ხელმძღვანელმა. დარბაზმა გადაიხარხარა. ერეკლე ისევ დაბრუნდა საიდანღაც და დაიწყო...
– ამ ერთი კვირის წინ, სახლიდან რომ გამოვედი, ჟურნალ–გაზეთების კიოსკს მივაშურე და გამყიდველს გაზეთი ვთხოვე...
– რა არის, კაცო, ეს, მოთხრობების წერა დაიწყე? – შეეშინდა ბატონ შალვას.
– წინასიტყვაობაა! – მძიმედ თქვა ერეკლემ.
– რად უნდა ლექსს წინასიტყვაობა. ბარათაშვილის „მერანს“ არაფერი წინასიტყვაობა არა აქვს, პირდაპირ ასე იწყება: „მირბის, მიმაფრენს უგზო–უკვლოდ ჩემი მერანი“, ასე არ არის, გურამ?
– კი, ბატონო! – დაემოწმა გურამი.
– მე და ბარათაშვილი ერთი არა ვართ! – აგვიხსნა ერეკლემ.
– ნამდვილად არის ცოტა განსხვავება. – თქვა ბატონმა შალვამ. დარბაზში ისეთი თავშეუკავებელი ხარხარი ატყდა, მინებმა ზრიალი დაიწყეს.
– დამცინით? – მოგვიჭუტა თვალები ერეკლემ.
– ჩვენი დასაცინი რა გჭირს, წიკლაურო, ერთი კვირის წინ გაზეთი წაგიკითხავს!.. – თქვა ბატონმა შალვამ. დარბაზი ისევ ახარხარდა.
– თქვენ იცით, რა ეწერა იმ გაზეთში? – დაგვემუქრა წიკლაური.
– რა ეწერა, კაცო, ასეთი?
– რომ სამგორი ჩართულია კომუნიზმის დიად მშენებლობათა ციკლში!
– დალოცვილო, შარშანდელი გაზეთი გიყიდია და კიდევ აქეთ გვიყვირი? – დააშოშმინა წიკლაური ბატონმა შალვამ. წიკლაური გაშტერდა. მერე გაზეთს დახედა, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის წინ ედო და ისევ გაშტერდა. ბატონი შალვა მიხვდა, წიკლაური გაფუჭდაო, და გაამხნევა:
– არა უშავს, კაცო, შენ ის თქვი, რომ წაიკითხე, მერე რა მოხდა!
– მერე ლექსების ციკლი დავწერე სამგორზე! – გაბედა ერეკლემ.
– ჰოდა, წაგვიკითხე, დალოცვილო! – ისევ პაუზა ჩამოვარდა.
მე ისევ თვლა დავიწყე გულში.
– ერთი, ორი, სამი... – და მოხდა სასწაული, წიკლაურმა დაიწყო:

სამგორის დილა

აქ გვალვას ეწყო ტორები,
დაძრწოდა ქარი ზმორებით,

სდუმდნენ სამგორის გორები,
სასწაულია, აბა რა!
სულ მალე გამხმარ ტრამალზე
გვექნება ხვავი, ბარაქა,
წითელი პამიდორების.
ბედნიერი ხარ, სამგორო,
სულ მალე გაიკვირტები,
მოგრწყავენ ივრის ზვირთები,
და სუფრას დაგიმშვენებენ
შენი ამაყი კიტრები.

ერეკლემ ერთი გვერდი გადაფურცლა. ეტყობა, ახალ ლექსს იწყებდა.
ბატონ შალვას გაეხედე, იგი ცოცხალ–მკვდარი იჯდა.
– დიალოგი სამგორელ გლეხთან, – დაიწყო წიკლაურმა ახალი ლექსი:

მე – ვინ ხარ, ძმაო, მითხარი,
კაცი ხარ თუ არაკი?
გლეხი – წინათ მთაში ვიყავი,
მთაში მედგა ბანაკი.
მე – ახლა რას იქ, როგორ ხარ,
ხომ გაკეთდი გლახაკი?
გლეხი – როგორ არა, ძმობილო,
კარგად არაუშავს, კი,
დღეს შვილი მყავს თბილისში
მეცნიერი მუშაკი,
რომ ვეწვევი, ჩავუტან
ჩვენს სამგორულ შუშაკიტრს.

ერეკლემ ისევ გადაფურცლა რვეული, მაგრამ ბატონმა შალვამ არ აცალა.
– ეს ციკლი კიტრებზეა, კაცო, თუ სამგორზე?
– მაცალეთ, ბატონო! – შეეხვეწა წიკლაური. ბატონი შალვა დანებდა.
წიკლაურმა დიდხანს იკითხა ლექსები კიტრებზე, პამიდვრებზე, ხახვზე, ივრის ცივ წყალზე, თბილისის ზღვის კალმახებზე, ბოლოს გემიც შეაცურა შიგ. „მეფისტოფელი სამგორში“ აღარ წაიკითხა ურითმობის გამო და, როგორც იქნა, დადუმდა.
დუმდა დარბაზი, დუმდა ბატონი შალვაც.
– კიდევ ვისი ლექსების კითხვა გვაქვს? – იკითხა მან ბოლოს.
– ჩემი! – თქვა სიმონ აბესაძემ და ადგა.
– აბა, ჰე, მოგვნათლე, შენ დაჯექი, წიკლაურო! – წიკლაურმა დაკეცა რვეული და შეშინებული თვალით შეხედა ბატონ შალვას.
– დაჯექი, დაჯექი, მსჯელობა შემდეგ პარასკევს გვექნება! – დაამშვიდა ხელმძღვანელმა წიკლაური. იგი ფეხებნაღრძობივით წამოვიდა ჩვენსკენ. მისი ადგილი აბესაძემ დაიკავა.
– როგორი იყო? – გვკითხა წიკლაურმა ჩურჩულით მე და გურამს.
– ცოტა ძმარი რომ მოასხა მაგ ლექსებს, ხოშიანი წნილი გამოვა. – ჩურჩულითვე უპასუხა გურამმა. წიკლაურმა ხელი ჩაიქნია და მიბრუნდა. მე ენაზე ვიკბინე, სიცილი რომ არ ამვარდნოდა.
– გვაღირსე, აბესაძე! – შეეხვეწა ხელმძღვანელი სიწყნარის მოლოდინში წარბშეკრულ აბესაძეს.
– ხმაურია, ბატონო!
– ჰოდა, დაგვაწყნარე, თუ შეგიძლია!
– „კომპასი“ – თქვა ხმამაღლა აბესაძემ. ლექსის ასეთი სათაური იმდენად მოულოდნელი იყო ჩვენთვის, რომ აუდიტორიაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.
– „კომპასი!“ – გაიმეორა აბესაძემ.
– რომელი? – ჰკითხა ხელმძღვანელმა.
– კომპასი! – ჩვეულებრივი! – გაუკვირდა აბესაძეს.
– სახმელეთო, თუ საზღვაო?
– ამ შემთხვევაში – სახმელეთო!
– ესე იგი, ზღვაზე მაგ ლექსს ვერ წავიკითხავთ? – ჰკითხა ხელმძღვანელმა. სასოებით დაწყნარებული დარბაზი ისევ გამოცოცხლდა.
– მაცალეთ, ბატონო, სულ ორი სტროფია. – ეწყინა აბესაძეს.
– ბრძანეთ, ბატონო!

ერთი ისარი კომპასისა ჩრდილოეთია,
ხოლო მეორე მუდამ სამხრეთს ეალერსება.

რად ხდება ასე? საიდუმლო რაშია ნეტავ?
ან რად მომინდა მე ამ ფიქრის ახსნა ლექსებად?..
რატომ იზიდავს ისარს მხოლოდ ჩრდილო–სამხრეთი?
ანდა, ოდითგან კომპასს რად აქვს ისარი ორი?
ეს იმიტომ, რომ ჩრდილოეთში მოსკოვი არი,
ხოლო სამხრეთში – პატარა გორი.

აბესაძემ დაამთავრა და კომპასის გამომგონებელივით გაგვიღიმა. გატრუნული დარბაზი გაშტერდა ამ ახალი სახის აღმოჩენით. გურამს შევხედე. იგი სიბნელიდან მზეზე გამოყვანილი ტუსაღივით აპარპალებდა თვალებს. სიმართლე გითხრათ, მეც განცვიფრებული ვიჯექი და ველოდი, როგორ შეაფასებდა ამ ლექსს ხელმძღვანელი.

– ამხანაგებო, ვის უნდა აზრის გამოთქმა? – იკითხა უცებ ხელმძღვანელმა. ხმა არავის ამოუღია.

– რაშია საქმე, არ მოგეწონათ ლექსი?

– ლექსი ძალიან საინტერესოა, მაგრამ... – თქვა ერთ–ერთმა კრიტიკოსმა.

– გამოდი და თქვი, რითია საინტერესო! – სთხოვა ბატონმა შალვამ.

– ჯერ სხვამ ილაპარაკოს. – შეიშმუშნა კრიტიკოსი.

– შენ შენი სათქმელი თქვი, სხვა თავისას იტყვის.

– ჩემი სათქმელი მე ვთქვი – ლექსი საინტერესოა, განსაკუთრებით ფინალი კარგი მიგნებულია.

– რითია კარგი მიგნებული? – არ მოეშვა ბატონი შალვა.

– იმით, რომ კომპასის ერთ ისარს იმიტომ იზიდავს თურმე, ჩრდილოეთი, რომ ჩრდილოეთში მოსკოვია, ხოლო მეორეს სამხრეთი იმიტომ, რომ სამხრეთში გორია.

– სწორია მერე ეს?

– შეიძლება სწორი არ იყოს, მაგრამ პოეტურია. – არ დაიბნა კრიტიკოსი.

– დაჯექი, წეროძე. შენ რას იტყვი, გურამ?

– მე – არაფერს.

– რატომ, ჭიჭინაძე, აზრი არა გაქვს?

– აზრი როგორ არ მაქვს, მაგრამ ამ ლექსზე არ მაქვს. – თქვა გურამმა.

– ლექსი უაზროა?

– ლექსი უაზრო არაა, პირიქით, ძალიან ორიგინალურადაა დანახული კომპასი. სხვაგან ლექსში კომპასი ასე დანახული არ წამიკითხავს.

– საერთოდ, წაგიკითხავს კომპასზე ლექსი? – ჩასდია საფლავში ბატონმა შალვამ. გურამმა თვალები ამოატრიალა, გადმოგვხედა და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– ვერ გავიხსენე, ალბათ, არ წამიკითხავს.

– დაჯექი, ჭიჭინაძე, და თუ გაიხსენებ, მერე ისევ მოგცემ სიტყვას. – უთხრა შალვამ. გურამი ისევ გაწითლდა და დაჯდა.

– აღარავის გაქვთ აზრი?.. – დარბაზი დუმდა, ხელმძღვანელმა ერთ ხანს გვიცადა, მერე უცებ აბესაძემ მიმართა:

– აბესაძე, კომპასი თუ გინახავს შენ? – აბესაძეს მოულოდნელობისაგან და შეურაცხყოფისაგან ყბა მოექცა.

– დამცინით, ბატონო შალვა?

– მე კი არა, შენ დაგვცინი, დალოცვილო, კომპასს ორი ისარი აქვს?

აბესაძემ ირონიულად გაიღიმა.

– აბა, რამდენი აქვს?

– ერთი, აბესაძე, ერთი, ორფრად შეღებილი ორი ბოლოთი, გასაგებია?

– მაგას არა აქვს პოეზიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა.

– მოგზაურისთვის აქვს მნიშვნელობა.

– მთავარი აზრია, თქვენ, ალბათ, ვერ მიხვდით. – გაცხარდა აბესაძე.

– შექსპირს ვხვდები და შენი კომპასი რა გახდა ასეთი, ბიჭო?! – გაიღიმა ხელმძღვანელმა.

– ნუთუ ვერ ხვდებით, ბატონო შალვა, რატომ იზიდავს ისარს ჩრდილოეთი და სამხრეთი!

– რატომ? – დაინტერესდა ხელმძღვანელი.

– იმიტომ, რომ ჩრდილოეთში მოსკოვია, მოსკოვში – კრემლი, კრემლში – სტალინი.

– სტალინს მაგნიტი აქვს ჯიბეში, თუ რაშია საქმე? – შეაწყვეტინა ბატონმა შალვამ. აბესაძე გალურჯდა.

– ამხანაგებო! – წამოდგა ფეხზე ხელმძღვანელი. – არ შეიძლება ასე ლექსის წერა, და საერთოდ კომპასებზე, დურბინდებზე და თერმომეტრებზე არაა საჭირო ლექსების წერა. და თუ დავწერთ, უნდა ვიცოდეთ რას ვწერთ, რაზე, რისთვის და ვისთვის.

– მე ძალიან კარგად ვიცოდი, რასაც ვწერდი! – წამოიძახა აბესაძემ ადგილიდან.

– რა იცოდი, აბესაძე, კომპასს რომ ორი ისარი აქვს? ან რა დააშავა პეკინმა, გავუკეთოთ მაშინ კომპასს მესამე ისარი. სულაც ჩინელებმა არ გამოიგონეს ეს ოხერი? ან რა ქნას სპარსელმა, მისთვის რომ გორი და მოსკოვი ორივე ჩრდილოეთია?

– ჩემი ლექსი სპარსეთში არ წავა! – ისევ წამოხტა აბესაძე.

– არც გორში წავა, ისე ვატყობ! – დააკონკრეტა ხელმძღვანელმა.
– მე ჯერ ახალგაზრდა ვარ! – დაისაწყლა თავი აბესაძემ.
– ახალგაზრდა რომ ხარ, იმიტომ გეუბნები, თორემ ძველგაზრდა რომ იყო, მაგ კომპასს თავზე დაგაფშვნიდი! – გაცოფდა ბატონი შალვა. დარბაზში თავშეკავებული სიცილი გაისმა.
– წავიღებ მე ამ ლექსს და სულ აღარ მოვალ ამ წრეში! – დაგვემუქრა აბესაძე.
– მაგ კომპასით თუ იარე, წრეს კი არა, საკუთარ სახლს ვერ მიაგნებ! – უთხრა ბატონმა შალვამ. დარბაზში ხარხარი ატყდა. აბესაძე წამოხტა და კარი გაიჯახუნა. ბატონ შალვას ყურადღება არ მიუქცევია. ცოტათი რომ დავწყნარდით, ისევ დაჯდა.
– აბა, ბარამიძე, წაგვიკითხე, ახალი რა დაწერე! – თქვა მან და გამიღიმა. მე ჯიბეზე, რომელშიც ლექსი მედო, ცეცხლი წამეკიდა და ხელი სწრაფად ამოვიღე. მერე ის ხელი გაყინულ შუბლზე მოვისვი და ცივი ოფლი მოვიწმინდე.
– ბატონო შალვა, დღეს ვერაფერს წავიკითხავ! – ვთქვი მე.
– რატომ, კაცო, – გაუკვირდა ბატონ შალვას.
– არაფერი დამიწერია! – ვიცრუე მე და ისევ ამეწვა ჯიბე.
– რატომ მერე, კაცო, ამას გთხოვთ მე ყოველდღე?
– რა უნდა დავწეროთ, ბატონო შალვა, მოვალთ მერე აქ და გვაბითურებთ! – თქვა თენგიზმა.
– რას ქვია, გაბითურებთ, თქვენ თუ გგონიათ, მე მიხარია ოთხი საათი აქ ჯდომა და თქვენი ბუტბუტის მოსმენა? თქვენ გგონიათ, მეტი საქმე არ მაქვს? წავალ და გალაკტიონს წავიკითხავ, ჰემინგუეის, ტოლსტოის, მოვისვენებ მაინც. – ეწყინა ბატონ შალვას.
– პოეტი ფაქიზი ორგანიზმია, უფრო სათუთად უნდა მოექცეთ! – ადგა ფეხზე წიკლაური.
– ვინ არის, წიკლაურო, ფაქიზი, შენ ხარ ფაქიზი? თუ აბესაძეა ფაქიზი? – უღელში რომ შეგაბათ კაცმა, თითო ჰექტარ მიწას მოხნავთ!
– ფიზიკური კომპლექსი არაფერს ნიშნავს. პოეტს სულში უნდა ჩახედოთ, – თქვა ერთ–ერთმა კრიტიკოსმა.
– ეუყურებ, ბატონო, და ვერაფერს ვერ ეხედავ!
– უნდა აღმოაჩინოთ! – არ მოეშვა დამწყები კრიტიკოსი.
– მე კოლუმბი კი არ ვარ, კრიტიკოსი ვარ! – გაიმართლა თავი ხელმძღვანელმა.
– ილია ჭავჭავაძემ ხომ აღმოაჩინა ბარათაშვილი? – წამოიძახა ვიღაცამ.
– ბარათაშვილი არსებობდა და იმიტომ აღმოაჩინა ილიამ. კი არ გამოუგონებია! კი, ბატონო, ვუძახოთ ერთმანეთს ბარათაშვილები და ბელინსკები, მაგრამ ვინ დაგვიჯერებს?
– ვინც არ დაგვიჯერებს, ახია იმაზე! – თქვა წიკლაურმა.
– წიკლაურო, ერთი ლექსი დამიწერე ისეთი, ცოტა რომ გავდეს ბარათაშვილის ლექსს და მე თვითონ დაგიდგამ ძეგლს ზემელზე, რუსთაველის გვერდით, მეტი რა ექნა! – დაპირდა წიკლაურს ბატონი შალვა.
– გვაცალეთ, ბატონო! – თქვა ახლა ალავიძემ.
– რამდენ ხანს, ალავიძე? შენხელა რომ იყო ბარათაშვილი, მკვდარი იყო უკვე!
– სამაგიეროდ, გოეთემ ოთხმოცი წლისამ დაწერა „ფაუსტი“! – თქვა გურამმა.
– ჭიჭინაძე, რას მირჩევ შენ, დავჯდე და ველოდო წიკლაურს, როდის გახდება ოთხმოცი წლის და როდის დაწერს „ფაუსტს?“ – ჰკითხა ბატონმა შალვამ.
– წიკლაურზე არ ვამბობ მე! – თქვა გურამმა.
– აბა, აბესაძეზე?
– არც აბესაძეზე ვამბობ!
– აბა, ვიზე ამბობ, ჭიჭინაძე?
– მე საერთოდ ვამბობ!
– საერთოდ რას ჰქვია, ვიჯდეთ კრიტიკოსები და 80 წლამდე არ ვაკრიტიკოთ ხალხი?
გურამმა ნერწყვი გადაყლაპა და დაჯდა.
– თქვენც ხომ წერდით, ბატონო შალვა, ლექსებს ახალგაზრდობაში და, თუ არ ვცდები, საკმაოდ ცუდ ლექსებს? – ჰკითხა დამწყებმა კრიტიკოსმა.
– ეწერდი და, რომ მითხრეს, ცუდიაო, დავანებე თავი, მეყო ამდენი ჭკუა! – თქვა ბატონმა შალვამ. დარბაზი გამოცოცხლდა. კრიტიკოსი ცივად დაჯდა.
– ამხანაგებო, მე თქვენი მტერი კი არ ვარ, – დაიწყო ბატონმა შალვამ და ფეხზე წამოდგა, – დაწერეთ თქვენ კარგი ლექსები და მე პირველი მეხოტბე ვიქნები თქვენი. მე იმიტომ ვარ აქ, რომ გითხრათ, რა არის ცუდი და რა არის კარგი. აბა, არ უნდა ეუთხრათ წიკლაურს, რომ ამაყი შეიძლება იყოს ადამიანი, ცხოველი, პირუტყვი, ფრინველიც კი, მაგრამ – კიტრი? არ შეიძლება ასე, ამხანაგებო! რა გამოვა, ამხანაგებო, ახლა რომ ადგეს ვინმე ამერიკელი პოეტი და დაწეროს ლექსი; კომპასის ისარი იმიტომ არის მიმართული ჩრდილოეთით და სამხრეთით, რომ ჩრდილოეთში ტრუმენია და სამხრეთში – ჩანკაიშიო. მერე მიადგნენ ყველა ქვეყნის პოეტები და წერონ ასე? საუბედუროდ, ყველა ქვეყანას აქვს ჩრდილოეთი და სამხრეთი. საერთოდ, იცოდეთ, ამხანაგებო, ჩვენი ლიტერატურული წრე არ არის მოწოდებული იმისათვის, რომ ორმოცი გენიოსი გამოზარდოს. ღმერთმა დაიფაროს, რომ ორმოცი ბარათაშვილი, ორმოცი ილია, ვაჟა და აკაკი იყოს უნივერსიტეტში, ისიც იმ წრეში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ! არ მოიტყუოთ თავი, ბედნიერი

იქნება საქართველო, თუ თქვენში ერთი, ან ორი ნიჭიერი პოეტი, ნიჭიერი პროზაიკოსი, კრიტიკოსი და მთარგმნელი გაიზრდება. და თუ თქვენ ეს არ იცით და ასე არ გჯერათ, სჯობს ახლავე ადგეთ, დაიხუროთ ქუდები და წახვიდეთ სახლში! – ბატონი შალვა დადუმდა. დარბაზი მონუსხულივით გასუსულიყო და ადგილიდან არ იძროდა. ორმოცი კაცი განაბული იჯდა.

სხდომა დამთავრდა, მაგრამ ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ ბედავდა პირველი ამდგარიყო და გასულიყო აუდიტორიიდან. ბატონი შალვა, ალბათ, მიხვდა ამ უხერხულობას, ამიტომ ადგა და პირველი გავიდა.

ოქროპეტას დუქანი

ოქროპეტას დუქანი ნავთლუღშია, ისეთ მიკარგულ ადგილას, რომ წესიერი კაცი ძნელად მიაგნებს. ოქროპეტა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ოქროპეტას დუქანში მუდამ ბატკნის ხორცია, სუკი, ბასთურმა, ჩანახი, ფითი, მუჟუჟი, მუავე, შოთი პური, თუშური ყველი, სამწლიანი ღვინო და ოთუზბირი ფასები. ოქროპეტასთან რომ იქეიფო, საცხოვრებელი უნდა დააგირაო. სამაგიეროდ, მისი სუფრის ლაზათი და გემო საფლავში ჩაგყვება. ამიტომ, ვინც თბილისის სახელგანთქმულ რესტორნებში თავისი ქონების საჯაროდ გამობაირაღებას ერიდება, ოქროპეტასთან მიდის, სვამს, ჭამს, ქეიფობს, დამწვრის სიმღერებს ისმენს და გულაჩუყებული ათთუმნიანებს აწებებს შუბლზე ცალთვალა მეარღნე ორშაურას. ოქროპეტა იცნობს თავის მუშტარს, ოქროპეტამ იცის, ვის როგორ მიემსახუროს და ელაპარაკოს.

ჩვენ რომ დაგვინახა, ოქროპეტამ ცალი ხელით დოინჯი შემოირტყა, მეორეთი უზარმაზარი დანა დაარჭო დახლზე და ხმამაღლა თქვა:

– საათებს, პასპორტებსა და პიჯაკებს გირაოში აღარ ვიტოვებ!

– ძია ოქროპეტას გაუმარჯოს! – გაუღიმა გურამმა და გერმანელი გენერალივით აუქნია ხელი.

– არც სტუდბილეთებს! – თქვა ოქროპეტამ და თვალები გადმოქაჩა.

– დღეს სტიპენდიები იყო, ძია ოქროპეტ! – თქვა გურამმა და ჯიბისკენ წაიღო ხელი.

– დღეს რა რიცხვია? – იკითხა დაეჭვებულმა ოქროპეტამ.

– ოცდახუთი! – ვთქვი მე.

– დაჯექით! – მოლბა ოქროპეტა.

– რაღაც მუშტარს ვერა ვხედავ, აი! – მხარზე დაარტყა ხელი გურამმა.

– ჯერ ადრეა. – თქვა ოქროპეტამ.

მე და გურამი მაგიდას მივუსხედით. ოქროპეტა დახლიდან გამოვიდა და ჩვენს მაგიდას დაეყრდნო ვეებერთელა ტორებით.

– რას მიირთმევთ? – თქვა მან.

– რა გაქვს? – ვკითხე მე.

– ოქროპეტას დუქანი ზღაპარია, ოქროპეტა – ნატვრის თვალი, ინატრე! – მითხრა ოქროპეტამ. მე ვინატრე. ათ წუთში სუფრაზე ორი შოთი პური, თუშური ყველი, ორი სუკი, მწვანილი, კიტრი, პამიდორი და ოთხი ბოთლი ღვინო გაჩნდა.

– ის სად არის? – იკითხა ოქროპეტამ.

– ვინ ის?

– აი ის, დიდი თავი რომ აქვს, ძალიან გრძელ და მაზალო ლექსებს კითხულობს ხოლმე.

– ეგეთი რამდენიც გინდა, იმდენია! – ვერ გავიხსენე მე.

– წვრილი ხმა რომ აქვს და ძალით რომ იბოხებს, ბოლოს ბოთლებს ირტყამს ხოლმე თავში. – არ მოეშვა ოქროპეტა.

– ააა, ის დღეს მოკლეს, მომავალ პარასკევს გავასვენებთ! – გავიხსენე მე წიკლაური და ღვინო დავასხი.

– ვიცოდი მოკლავდნენ, ფინთი სიმთვრალე იცოდა! – დაენანა ოქროპეტას. – რითი მოკლეს?

– რითი მოკლეს? – ვკითხე გურამს მე ჩემი მხრიდან.

– ვიზე ამბობს? – მკითხა გაკვირვებულმა გურამმა.

– წიკლაურზე.

– ჰოო, მარტო ის კი არა, მეორეც მოკლეს, ამასაც კლავდნენ, მაგრამ გადარჩა. – თქვა გურამმა და თავზე ხელი გადამისვა.

– როგორ, კლავდნენ! – აღშფოთდა ოქროპეტა.

– აი, ეგრე, არაფრისთვის კლავდნენ!

– ვინა?

– არის ერთი კაცი!

– ალბათ, რამე დააშავეთ!.. – თქვა ოქროპეტამ და დახლში დაბრუნდა.

– არაფერი ისეთი, ცუდ ლექსებს რატო წერთო!

– ვა, ეგ რა მაგის საქმეა? – ისევ გაუკვირდა ოქროპეტას...

– ის კაცი ამბობს, ცუდი ლექსიც კლავს კაცსო! – ვუთხარი მე.

– მერე შენ ვერ უთხარი, რომ წიგნი ტყვია არ არი, თუ არ მოგწონს, დახურე!

– ვუთხარი!

– მერე?
– არა სჯერა!
– მაშ, იკითხოს, ახია მაგაზე! – ჩაიქნია ხელი ოქროპეტამ. – ესე იგი ორი კაცი მოკლა? – იკითხა ისევ.
– მართლა კი არ მოკლა, ისე, ნამუსი რომ ჰქონოდათ, თვითონ მოიკლავდნენ თავს. – თქვა გურამმა.
– ეგრე თქვით, რა გული გადამიტრიალდა! – აიქნია ის ჩაქნეული ხელი ოქროპეტამ. დუქანში უწვერულმა ჯარისკაცმა შემოყო თავი და კარიდანვე იკითხა:
– ბორშჩ იესტ?
– ბორშჩი საიდან მოვუტანო? – მკითხა გაკვირვებულმა ოქროპეტამ.
– ჩევო? – ვერ გაიგო ჯარისკაცმა.
– ნეტუ! – მოუჭრა ოქროპეტამ, თავი სასწრაფოდ გაქრა.
დუქანში სიწყნარე ჩამოვარდა, მხოლოდ დამლაგებლის ცოცხის ჩუმი შრიალი და თეფშების ფრთხილი წკრიალი ისმოდა. ჩემს პირდაპირ კედელი ნადირობის ეპიზოდებით იყო მოხატული. გაქცეულ ირემს ერთი ისარი გავაზე ჰქონდა დარჭობილი და მეორის მოლოდინში მონადირეს საოცრად სევდიანი თვალებით უცქეროდა. მონადირე კი, რატომღაც თოფს უმიზნებდა. გვერდით კბილებდაკრეჭილი მონადირე ძაღლები გარეულ ტახს უღრენდნენ, პატარა გოჭები მამას ამოფარებოდნენ და ელოდნენ, რა მოხდებოდა. მესამე სურათზე კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის გულისამაჩუყებელი ფაქტი იყო ასახული, მონადირე კლავდა მელას, რომელსაც პირში შიშისგან თვალებგადმოცვენილი და გადარეული მამალი ეჭირა. ეს საინტერესო გალერეა უფრო საინტერესო განცხადებით მთავრდებოდა, რომელიც რატომღაც, რუსულად აფრთხილებდა მომხმარებელს:
„პეტქ, შუმეტქ ი ტანცევატქ სტროგო ვოსპრეწაეტსჭ.„
– პეტ, შუმეტ ი ტანცევატ სტროგო ვოსპრეშჩაეტსია, – ჩაიღიღინა გურამმა და ჭიქები შეავსო.
პირველი ბოთლი უხმოდ დავლიეთ. მხოლოდ ჭიქებს ვუჭახუნებდით ერთმანეთს. მეორე ბოთლზე გურამს თამადობის მუზა ეწვია, ჭიქა გაავსო, ჩაახველა და სალაპარაკოდ მოემზადა.
– არ გინდა! – ვუთხარი მე.
– მინდა! – თქვა მან.
– მიდი, გარეკე! – დავრთე ნება. გურამმა გარეკა.
– რამდენი წელია, მე შენ გიცნობ? – მკითხა უცებ.
– ბევრი, – ვთქვი მე და გამიკვირდა.
– მაინც? – არ მომეშვა გურამი.
– ერთი, ორი, სამი, საბავშვო ბაღიდან მიცნობ!
– მერე?
– რა მერე?
– შენ რამდენი ხანია მიცნობ?
– თუ ძმა ხარ, დალიე და თვალებს ნუ ქაჩავ! – ვთხოვე მე.
– მე უკვე მთვრალი ვარ, მოდი, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს! – თქვა გურამმა და ჭიქა პირში გადაიმხო.
– გაუმარჯოს! – ვთქვი მე და დავლიე. გურამმა ისევ შეავსო ჭიქები.
– ახლა მე მინდა, დედაშენის სადღეგრძელო დავლიო, – დაიწყო მან. მე თავი ავწიე. გურამი ნეკით ჭიქიდან საცობის ნამცეცს იღებდა დინჯად და აუჩქარებლად. ალბათ, ფიქრობდა, რა და როგორ ეთქვა.
– მარტო დედაშენის კი არა, საერთოდ, დედების, დედაშენის თამადობით.
– რატომ – დედაჩემის?
– იმიტომ!
– გმადლობ! – ვთქვი მე და ჭიქა ავიღე.
– მოიცა, არ დალიო! – გამაჩერა გურამმა. მე ჭიქა მაგიდაზე დავდგი.
– მე ღმერთის სადღეგრძელო მინდა დავლიო!
– აკი დედაჩემის სადღეგრძელოს სვამდი?
– მე ღმერთის სადღეგრძელო მინდა დავლიო. – გაიმეორა გურამმა, – გაწბილებული ღმერთის, დაკარგული ღმერთის, დავიწყებული ღმერთის, გაბითურებული ღმერთის.
– გაუმარჯოს გაბითურებულ ღმერთს! – ვთქვი მე.
– ბითური ხარ შენ. – თქვა გურამმა.
– შენ? – ვკითხე გურამს.
– მეც ბითური ვარ, შენზე უფრო დიდი ბითური იმიტომ, რომ შენთან ღვინოს ვსვამ და ღმერთს ვადღეგრძელებ.
– რა გინდა, ბიჭო, რას გადამეკიდე?
– მე მინდა ღმერთის სადღეგრძელო შევსვა.
– შესვი, ვინ გიშლის?
– ადექი ფეხზე! – მე ავდექი. – დედაშენს გაუმარჯოს!
– მადლობელი ვარ!

– შენ იცი ვინ არის დედაშენი? – მკითხა გურამმა. მე არაფერი არ ვუპასუხე. გურამმა დიდხანს მიყურა, დიდხანს, მერე ჭიქას ღვინო დაამატა და დაიწყო:

– დედაშენი არის ღმერთი. შენ რომ ზიხარ და უყურებ, ისიც რომ გიყურებს, შენ რომ დედას ეძახი და ის შვილოს გეძახის, ამიტომ შენ გგონია, ღმერთი არ არის? შენ ღმერთი ვინ გგონია? წვერებიანი ბაბუა? ღრუბლებზე ზის და პირს რომ იბანს, წვიმა მოდის? ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ცხადი და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია. ამაშია ღმერთის უბედურება, ამიტომ არ წამთ ღმერთი. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა. ამაშია საქმე!.. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ გავს ღმერთს, რომ არ გეუბნება, ღმერთი ვარო, პერს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გილიმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისთვის, კვდება შენი გულისთვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო. აბა, ღმერთმა თუ თავისი სახე გაჩვენა, კედელთან მიგაყენა, ყური აგიწია და თვითონ თუ გითხრა ღმერთი ვარ და მიწამეო, მაშინ რაღად უნდა ღმერთს შენი რწმენა? ასეთ ღმერთს შენ კი არა, ყველა იწამებს. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ გგავს, მე რომ მგავს, დედაშენს რომ ჰგავს, გასაგებია? – დაამთავრა გურამმა და ნისლიანი თვალები მომაპყრო.

– გასაგებია! – ვუთხარი მე და კიდევ რომ არ გაეგრძელებინა, ღვინო დავლიე.

– გაამოს! – დამლოცა გურამმა და დაჯდა. ოქროპეტამ კიდევ ორი ბოთლი ღვინო მოიტანა და თვალით დაელმებულ გურამზე მიმითითა რა მოუვიდაო.

– შენი რცხვენია, თვალს ვერ გისწორებს. – ვუთხარი მე. გურამმა ოქროპეტას ღვინო დაუსხა.

– დალიე ამის დედის სადღეგრძელო!

ოქროპეტამ ქონიანი ტუჩები მაგიდის საფარით გაიხოცა და ჭიქა აიღო.

– ცოტას მოვსვამ! – თქვა მან.

– ბოლომდე დალიე! – არ მოეშვა გურამი.

– თქვენს დედებს ვენაცვალე ჯიგრებში! – თქვა ოქროპეტამ.

– დალიე!

– დედათქვენის ძუძუებს ვენაცვალე, კარგი ჯეელების გაზრდისათვის! – განაგრძო ოქროპეტამ.

– დალიე! – გაამხნევა გურამმა.

– თქვენი დედების...

– დალიე, თუ ძმა ხარ, და ნუ იგინები! – ვთხოვე ოქროპეტას.

ოქროპეტამ დალია, მერე გვერდულად გადმომხედა და მოტანილი ბოთლებიდან ერთი უკან წაიღო.

– სად მიგაქვს? – ჰკითხა გურამმა.

– გეყოფათ! – თქვა ოქროპეტამ.

– გვეყოფა? – მკითხა ახლა მე გურამმა, მე თავი დავუქნიე.

– აბა, დაასხი. – მე დავასხი. გურამმა ჭიქა აიღო.

– ეს შენი სადღეგრძელო იყოს, თემური! – თქვა მან.

– ჩემი და შენი ერთად! – ვთხოვე მე.

– კარგი, ჩემი და შენი, თემური. მე შენ ძალიან მიყვარხარ, აბა, თუ იცი რატომ?

– ვიცი!

– არაფერი არ იცი, აბა, რატომ?

– არ ვიცი!

– ჰოდა, ეგრე. შენ ჩემი ძმა ხარ, ნამდვილი ძმა... წინათ მე შენი მეშინოდა, მერე მრცხვენოდა, დიდხანს მეშინოდა და მრცხვენოდა.

– რისი გეშინოდა?

– არ ვიცი, ისე, მეშინოდა, სულ მარტო რომ იყავი...

– რატომ? – გამიკვირდა მე.

– არ ვიცი, კლასში რომ რამე დაიკარგებოდა, მეშინოდა, შენი წაღებული არ ყოფილიყო. გაკვეთილს რომ გააცდენდი, მეშინოდა, სკოლაში აღარ დაბრუნდება–მეთქი. თავერა რომ ქურდობაზე დაიჭირეს, მეშინოდა, შენც დაგიჭერდნენ, მეგონა, მასთან ერთად. ათწლედი რომ დავამთავრეთ, მეშინოდა, უმაღლესში არ შემოვა–მეთქი... მერე ჩემი შიში რომ არ მართლდებოდა, მრცხვენოდა, თან მიხაროდა. – გურამი დადუმდა. ცოტა ხანს ასე იყო, მერე ისევ დაიწყო:

– მე და შენ ხომ ძმაკაცები ვართ?

– ჰო, მერე?

– მერედა, შენ რომ რამე მოგივიდეს, თავს მოვიკლავ.

– ხომ გეუბნები, გიჟი ხარ–მეთქი!

– ვიყო!

მერე ჭიქა აიღო და უხმოდ დალია. მე სადღეგრძელოს თქმა მომინდა და ფეხზე ავდექი.

– მე და შენ გაგვიმარჯოს, გურამ, გაუმარჯოს იმას, რასაც შენ ღმერთს ეძახი, გაუმარჯოს კაცს, მაღალს, ძლიერს, მართალს, კეთილს. გაუმარჯოს რწმენას და მის დაკარგვას, მე წავალ ახლა და რაც ლექსები დამიწერია, სუყველას დავწვავ, ყველას, ყველას!

– მაგას დაგიფასებს მადლიერი შთამომაელობა! – გაიღიმა გურამმა.

– დავწვავ ყველას, მერე დავჯდები და დილამდე ერთ ლექსს ვიკითხავ, ღმერთის დაწერილ ლექსს, იმ ღმერთის ლექსს, რომელიც ისე უბრალოა, ისე ნათელი, ისე ახლობელი, რომ არც კი გჯერა, რომ ღმერთია.

მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, – როგორც მინდა,
ჩემთვის დიდებული
სხივი ამობრწყინდა,
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა...

– ღმერთს გაუმარჯოს, გურამ, ჩემსა და შენს ღმერთს, რომელიც ღრუბელზე არ ზის, რომელსაც პირის ბანის დროს წვიმა არ მოყავს და რომელიც ჩვენი გულისთვის სულს აძლევს ეშმაკს.

მე ჭიქა გამოვცალე და დავჯექი. მერე თვალები დავხუჭე და ფერად–ფერადი, ლურჯი და ვარდისფერი ვარსკვლავების ზღვაში შევცურე. მერე მხარზე უზარმაზარი ტორი ვიგრძენი და თვალები გავახილე. იგი ნისლში ცურავდა, იგი არ იყო ღმერთი, ეს იყო ეშმაკი, რომელსაც ხელში საანგარიშო ეჭირა და ჩემი და გურამის სულის წასაღებად იყო მოსული.

777

ოთახში რომ შევედი, დედა ფანჯარასთან იჯდა და რაღაცას კითხულობდა. კარი ღია იყო და მას არ შეუმჩნევია ჩემი მოსვლა. წარბებშეკრული კითხულობდა, გულდასმით და ყურადღებით. ამ ხნის მანძილზე მე არასოდეს არ მითქვამს მისთვის, რომ ლექსებს ვწერდი, არც მას უკითხავს, თუმცა ვგრძნობდი, რომ რაღაცას ხვდებოდა, რადგან ღამით, ლექსის წერის დროს ხშირად შემიმჩნევია, თვალყურს მადევნებდა. რამდენჯერ ავმდგარვარ სკამიდან, მივსულვარ მასთან, დავხრილვარ მის სახეზე და მიგრძვნია, რომ ათრთოლებული ქუთუთოების იქიდან ორი ცნობისმოყვარე და გაკვირვებული თვალი მიმზერდა. ველარაფერს ვწერდი, ვხურავდი რვეულს და ვწვებოდი. და ახლა დედის ხელში ჩემი რვეული ვიცანი. ტანში რაღაც არასასიამოვნო და შიშისმაგვარმა ჟრუანტელმა დამიარა. იგი გართული იყო ლექსების კითხვით. მე თავზე დავადექი.

– დედა! – დედა შეცბა, რვეული დახურა და შეშინებულმა ამომხედა. მერე უცებ გაწითლდა.

– ეს რვეული, შვილო... – დედას ენა დაება. – არ გეწყინოს, წავიკითხავ და ისევ თავის ადგილზე დავდებ! – დედა მუდარით მიმზერდა. მე ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი.

– რას ამბობ, დედა, უბრალოდ, მრცხვენოდა, შენთვის მეჩვენებინა, არ მოგეწონებოდა, მეგონა. – ვთქვი მე.

– ცოტა დამრჩა, ერთი თუ ორი ლექსი. – თქვა დედამ და რვეული გაშალა. მე სამზარეულოში გავედი, რომ მეცლია მისთვის კითხვის დამთავრება. როდესაც დავბრუნდი, დედას კითხვა დამთავრებული ჰქონდა და მაგიდაზე თეფშებს აწყობდა.

– რაო, დედა, მოგეწონა? – ვკითხე მე მოგონებული სიმშვიდით და მაგიდას მივუჯექი. დედამ გამილიმა და თავი დამიქნია.

– მაინც? – დავინტერესდი, გული ამიჩქარდა.

– არა უშავს! – თქვა დედამ მშვიდად და პურის დაჭრა დაიწყო.

– როგორ, არა უშავს? – გამიკვირდა მე.

– ისე, არა უშავს! – თქვა დედამ და სახე ამარიდა.

– არ მოგეწონა? – ვკითხე შეშინებულმა.

– შენ მოგწონს? – მკითხა ახლა დედამ. პირი გამიშრა და ნერწყვი გადაეყლაპე.

– მე, მე, რა თქმა უნდა, მომწონს, რადგან ვწერ, ესე იგი მომწონს, საერთოდ ყველას მოსწონს თავისი ნამუშევარი...

– რატომ, შვილო?.. აი, მე დღევანდელი სადილი ვაკეთე, ვაკეთე და არ მომწონს. – მითხრა დედამ.

– მე რაც არ მომწონს, ვხევ... და ვყრი.

– მაინც დაგელოდე, იქნებ თემურის მოეწონოს–მეთქი. აბა, გასინჯე! – მთხოვა დედამ, უხალისოდ მოვსვი ლობიოს წვენი, არ ვიცი მომეჩვენა თუ მართლა, იგი საოცრად უგემური იყო და თეფში გვერდზე გავწიე.

– აი, ხომ ხედავ, მშიერი დაგტოვე... – მითხრა დედამ და შეწუხებული სახით მოუჯდა მაგიდას.

– მაინც რა აკლია ჩემს ლექსებს?

– არაფერი, შვილო, არაფერი არ აკლია, ყველაფერი თავის ადგილზეა, რითმაც, რიტმიც, მარცვალიც, წერტილიც და მძიმეც...

– აბა, სხვა რა გინდა? – არ მოვეშვი მე.

დედამ თავზე ორთავე ხელი შემოიწყო და თვალები დახუჭა. იგი დიდხანს იჯდა ასე და ბოლოს ხმამაღლა დაიწყო:

– ლექსი ადამიანივით არის, შვილო, რამდენი კაცია, ხელიც აქვს, ფეხიც, ყურიც, ცხვირიც, თვალიც, ყველაფერი თავის ადგილზე, მაგრამ კაცი არ არის, უყურებ ადამიანია, ნამდვილი ადამიანი, გაიცნობ და არ არის ადამიანი, რაღაც აკლია, და აი ის რაღაც რომ აკლია, ამიტომ ცხოველია, პირუტყვი. შენ არ გეწყინოს, შვილო, და შენს ლექსებსაც აი ის რაღაც აკლია, რაც ქაღალდზე არ ჩანს ხოლმე და არ იწერება.

– შენ გინდა თქვა, რომ ჩემს ლექსებს სული აკლია?

– არა, შვილო, სული როგორ აკლია, პირიქით, ძალიან ბევრი სულია შიგ, იმდენი, იმდენი, რომ შენი სულისთვის ადგილი აღარ არის.

– არ მესმის, რას ამბობ!

– აი, რომ არ გესმის, ამაშია საქმე!

– შენ ჩემი არაფერი არ მოგწონს, არაფრის არ გჯერა, შენს მოსაწონს მე ვერაფერს ვერ ვაკეთებ... – გავბრაზდი მე.

– არა, შვილო, საიდან მოიტანე. შენ ჩემი სიკვდილის განაჩენი რომ დაწერო, ისიც ძვირფასი იქნება ჩემთვის, ოღონდ შენი სული უნდა იყოს შიგ, შენი სისხლი, ოფლი და წუხილი. რაც გაწუხებს, ის უნდა წერო.

– აბა, ეს რა არის? – ვიყვირე მე და რვეულს ვტაცე ხელი.

– ეგ არაფერი არ არის, შვილო, უბრალოდ ვარჯიშია, შენ ნიჭიერი ბიჭი ხარ, სხვაზე უკეთესად რითმავ ბალახს და ტალახს, მეტი არაფერი. – თქვა დედამ და თეფშების ალაგება დაიწყო.

ასე მართალი, ასე პირდაპირი, ასე მოურიდებელი და მკაცრი ჩემს მიმართ მე დედა არასდროს არ მინახავს და შეშინებული ვუმზერდი. დედამ იგრძნო, რომ ძალიან მკაცრად მომექცა. მე მის თვალებში სიბრალული დავინახე. იგი უხერხულად ალაგებდა თეფშებს. ჯერ ჭიქა წაექცა, მერე კოვზი გაუვარდა ხელიდან, ბოლოს თეფშიც გაუტყდა. მე მივედი და მხრებზე ხელი მოვხვიე.

– შენ გგონია მეწყინა, დედა? – ვკითხე და გავულიმე.

– არა, შვილო, რაღაც ცუდ გუნებაზე ვიყავი, ალბათ, თორემ მშვენიერი ლექსები გაქვს. განსაკუთრებით, ის, ალბათ, გულიკოზეა დაწერილი – „შენი ღიმილი მაჩუქე“, ან ის „მთვარე კვესივით დაეცა მეტეხს“, ისიც „მეც სოფლად დამრჩა პატარა ოდა“ ძალიან, ძალიან მომეწონა... ალბათ, გულიკოსაც მოსწონს შენი ლექსები. დღეს რაღაც ცუდ ფეხზე ავდექი, მე თვითონ არ ვიცი, რა დამემართა, ისეთი სიამოვნებით ვკითხულობდი და უცებ... არ ვიცი, ღმერთმანი...

დედა აღელდა, ენა აერია, ხელები ოდნავ აუცახცახდა...

– ნამდვილად მომეწონა, ერთ ადგილას ვიტირე კიდევაც... რომელ ლექსში იყო? აი, ჩემზე რომ გაქვს დაწერილი, ძალიან, ძალიან მომეწონა... – იგი, ტყუოდა უსაშველოდ და თვალს არ მაცილებდა. მან დაივიწყა ყველაფერი, რაც მითხრა წუთის წინ, იგი განგებ ისაწყლებდა თავს და მხოლოდ იმისათვის, რომ ისევ არ დავეკარგე, ისევ უცხო არ გამხდარიყო ჩემთვის და რამდენად მეტს ღელავდა, რამდენად მეტს ლაპარაკობდა და ტყუოდა, მით უფრო ახლობელი, საყვარელი და მშობლიური ხდებოდა ჩემთვის. მე რაღაც მომაწვა ყელში, მინდოდა მივვარდნოდი მწვანე რვეულს, რომელიც ახლა დედას ეჭირა, დამეხია, დამეგლიჯა, მერე ჩავხვეოდი, მაგრად, დიდხანს, დიდხანს მეკოცნა მისი ათრთოლებული ხელები, მაგრამ ვერ გაებედე და ოთახიდან გავედი.

ზღვა

ქვიშა ცხელია. თვალებზე გულიკოს თავსაფარი მაფარია და ისე გავცქერი მზეს. მზე გულიკოს თავსაფარივით ჭრელია, წითელი, მწვანე, შავი, ყვითელი, ლურჯი, იასამნისფერი და კიდევ რაღაც-ფერი, რომელსაც მზე ამ უამრავ ფერთა და საკუთარი ფერის შეზავებით ქმნის. საჩვენებელი თითით ვიწვრილებ თვალის გუგას, ახლა რამდენიმე ფარშავანგის კუდივით მარაოდგაშლილი და ლამაზი მზე ცახცახებს ცაზე, მეორე თვალის გუგასაც ვიწვრილებ და ახლა ცა მხოლოდ ასეთი მზეებით არის მოქარგული, უამრავი, ულამაზესი, ერთმანეთზე დაფენილი და მოცახცახე მზეებით. ალბათ, ესკიმოსები ასეთს ხედავენ ცას, ცას მზეებითა და ფერებით სავსეს. რა ბედნიერებაა, ღმერთო, – ჩემსავე გულუბრყვილო ფიქრებზე მეღიმება და გუგებს ხელს ვუშვებ. ახლა ისევ ერთი მზე მიმზერს ციდან.

– გავიდა ხუთი კალორია, გადაბრუნდით! – გაგვაფრთხილა პლაჟის ადმინისტრაციამ. ალბათ, უკვე ოცი კალორია გავიდა, მე კი ისევ გულაღმა ვწევარ. რუსების გარდა ბათუმის პლაჟზე კალორიებს არავინ თვლის, ამიტომ მათ უფრო ზომიერი და ლამაზი სიშავე აქვთ. ჩვენ კი უსაშველოდ ვართ დახრუკულები. უცებ სახეზე ჩრდილი დამეცა. თავსაფარი ჩამოვიცალე და ჩრდილს ავხედე. თავზე თეთრ მარმარილოსავით სახექათქათა, დიდრონცისფერთვალებიანი და კუპრივით შავთმიანი ქალი მადგა. ძალაუნებურად წამოვჯექი და გავულიმე.

ეს ის გოგონა იყო, გუშინ საღამოს ჩემს ოთახში რომ შემოვიდა და ვიღაც ავთო იკითხა.

– უკაცრავად, თქვენ და ავთო ერთად ცხოვრობთ? – მკითხა მან.

– რომელი ავთო?
– ავთო!
– აა, როგორ არა, დაბრძანდით!
– თქვენ გივი გქვიათ, არა?
– დიახ, – ღმერთო, რა ლამაზია! – დაბრძანდით!
– სად არის ავთო?
– ავთო? – რა ლამაზი თვალები აქვს, ღმერთო, რა შავი თმა!
– მალე მოვა ავთო? – ისევ მკითხა მან.
– დიახ, სულ მალე. დაბრძანდით! – ქალიშვილი დაჯდა და ოთახს დაუწყო თვალიერება.
– შამპანურს ხომ არ მიირთმევთ? – ვეცი ბოთლს.
– არა, გმადლობთ!
– ლიმონათს?
– არა?
– შოკოლადი მიირთვით!
– სად არის ავთო? დამპირდა, სადგურში დაგხვდებიო. ალბათ, არ ეცალა, ნომერსაც დამპირდა, კიდევ კარგი, მომცეს. თბილისიდან ერთი დღით გვიან წამოვედი. თქვენ ერთად ჩამოდით, არა?
– ვინ? მე და ავთო? ჰო... ერთად ჩამოვედით...
– მე ასმეხუთე ნომერში ვარ დაბლა. უთხარით, რომ მოვა, დამირეკოს. – თქვა მან და ადგა.
– იცით, რა, დაბრძანდით, კიდევ ცოტა ხანს დაბრძანდით! ერთი ჭიქა დალიეთ ჩვენი გაცნობის.
– კარგი! – გაიღიმა ქალიშვილმა და ჭიქა აიღო.
მეც ავიღე და ჭიქები მივაჭახუნეთ.
– ჩვენი გაცნობის იყოს.
– იყოს! – თქვა ქალიშვილმა. ჩვენ გავუცინეთ ერთმანეთს და უცებ ღიმილი სახეზე შემახმა, გავფითრდი. გაკვირვებულმა ქალიშვილმა ჯერ მე შემხედა, მერე ჩემს გაშტერებულ მზერას გააყოლა თვალი. კარში სიბრაზისაგან გაწითლებული, გაქვავებული და შეურაცხყოფილი გულიკო იდგა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გლახა ოპერეტაში. გულიკომ კარი მიიჯახუნა და გაკვირვებულმა ქალიშვილმა ჭიქა დადგა!
– რა მოხდა? – მკითხა მან.
– არაფერი, ისე... – ვთქვი მე და ოთახიდან გავვარდი. გულიკოს კარს ვეცი. კარი ჩაკეტილი იყო შიგნიდან. ჩემს ოთახში რომ დავბრუნდი, განცვიფრებული გურამი საწოლზე იჯდა და კეფას იფხანდა. ქალიშვილი არსად ჩანდა.
– რა მოხდა? – მკითხა ახლა მან.
– რა გითხრა?
– ავთო როდის მოვაო!
– მერე?
– მე ვუთხარი, არ მოვა–მეთქი. რატომაო, მე ვუთხარი, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არ ვიცი ვინ არის ავთო–მეთქი, და მეორეც, ავთო აქ არ ცხოვრობს–მეთქი.
– მერე?
– მერე არაფერი, კრეტინოო, თქვა რუსულად და წავიდა. რას მერჩოდა არ ვიცი.
– დავიღუპე, გულიკომ დაგვინახა.
– რას აკეთებდით?
– შამპანურს ვსვამდით.
– მერე?
– მერე არაფერი.
– ვინ არის?
– არ ვიცი!
– კარგი, თუ ძმა ხარ, მაგას ვინ ჭამს.– გაიცინა გურამმა და ლოგინზე წამოწვა.

777

ერთხელ, თურმე, ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს, ერთი – დაღვრემილი, მეორე – მხიარული.
– როგორ ხარო, – ჰკითხა მხიარულმა.
– ისეთი უცნაური და უბედური ამბავი შემემთხვა, ვისაც არ მოვუყევი, არავის არ სჯერა და რაღა შენ დამიჯერებო, – უთხრა დაღვრემილმა და ამოიოხრა.
– ასეთი რა შეგემთხვა, შე კაცოო, – შეწუხდა მხიარული.
– ცოლმა გამომაგდო სახლიდანო. – შესჩივლა დაღვრემილმა.
– რათაო, კაცო? – გაუკვირდა მხიარულს.
– რათა და ამისთვისაო. – თქვა დაღვრემილმა და ამბავი დაიწყო.
ამ ერთი თვის წინათ გზაში მივდიოდი, საშინლად წვიმდა და ციოდა, უცებ მიკნავებული ხმა გავიგონე ჩემს წინ. დავიხარე, ვხედავ ბაყაყი, ჩვეულებრივი ბაყაყი.

– ამიყვანე, კეთილო კაცო, ხომ ხედავ, სიცივით ვკვდებიო, – მითხრა. ავიყვანე, უბეში ჩავისვი და სახლში მივიყვანე. ფანჯრის რაფაზე დავსვი. საჭმლის ჭამა დავიწყე.

– ცოტა მეც მაჭამე, კეთილო კაცოო, – მთხოვა ბაყაყმა. რას ვიზამდი, მაგიდაზე დავსვი და ვაჭამე, არ მახსოვს, მგონი, ცოტა დალია კიდეც.

ლოგინში რომ ჩავწექი, ისევ მომესმა ბაყაყის ხმა.

– მარტოს მეშინია, კეთილო კაცო, ჩამიწვინე ლოგინშიო... შენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდი? ავიყვანე და ჩავიწვინე ლოგინში. ბაყაყი მომეკრა, მომეკრა და, ერთიც ვნახოთ, მშვენიერ ქალად არ გადაიქცა?

ამ დროს ოთახში ჩემი ცოლი შემოვიდა. ეს რომ დაინახა, ქვა ააგდო, თავი შეუშვირა და გული წაუვიდა. გონს რომ მოვიდა, ყველაფერი დალაგებით ვუამბე, როგორც იყო. არ დამიჯერა, მაინც გამომაგდო სახლიდან.

– ამას ვინ დაგიჯერებს, შე უბედურო. – უთხრა მხიარულმა.

– აკი გითხარი – შენც არ დამიჯერებ–მეთქი! – თქვა დაღვრემილმა, თავი ჩაქინდრა და უფრო დაღვრემილი გაუდგა გზას.

777

არ ვიცი, დამიჯერა, თუ არა გულიკომ, რასაც მოვუყევი, მაგრამ დღეზე ცხადი და ნათელი იყო, ის ქალიშვილი ახლა თავზე მადგა.

– უკაცრავად, ეს ტახტი თავისუფალია. – მკითხა მან და გულიკოს ტახტს ლამაზი ფეხით შეეხო.

– დაბრძანდით, – ვთხოვე მე და გულიკოს ქოშები ჩემკენ გამოვწიე.

– თავისუფალია? – გამიმეორა კითხვა, ვიგრძენი სათვალის ქვეშიდან თვალი გულიკოს ქოშებს გააყოლა.

– დიახ, თავისუფალია! – ვუთხარი მე და ფეხზე წამოვდექი. ქალი დაიხარა, ტახტს ხელი მოკიდა. გაასწორებს და დაჯდება, – გავიფიქრე გულში და გამეხარდა. ქალმა ტახტი აიღო ერთი ბოლოდან და დაითრია. სახტად დავრჩი.

წავიდა ისე, რომ ჩემკენ არც მოუხედია.

– უკაცრავად, ქალიშვილო!.. – ვთქვი მე.

– მე მითხარით რამე? – მომიბრუნდა ქალიშვილი...

– იცი რა? ისა... – და მე მინდოდა მეთქვა, რომ ტახტი დაკავებულია, რომ მე მეგონა, იგი ჩემთან დაჯდებოდა... მაგრამ ვერ მოვახერხე, უხერხულად შეეშმუშნე.

– თქვენ თბილისელი ხართ? – ვკითხე მაინც.

– დიახ, რაშია საქმე? – თქვა მან და სათვალე მოიხსნა.

– არაფერი, ისე, ძალიან თეთრი ხართ! – გავიკრიჭე მე.

– არა უშავს, გავშავდები! – დამამშვიდა მან.

– თუ ღმერთი გწამთ, ნუ იზამთ მაგას! – ვთხოვე მე.

– ვეცდები! – ისევ დამამშვიდა მან.

– მადლობელი ვარ! – ვთქვი მე და თავი დავხარე.

– არაფრის! – მიპასუხა მან. სათვალე გაიკეთა და გზა განაგრძო, იგი ათი მეტრის მოშორებით შეჩერდა, ტახტი მოხერხებულად დადო და კაბის გახდა დაიწყო. კაბა რომ მკლავებსა და თავს ზევით ჰქონდა წამოხდილი, ჩემკენ გამოიხედა. მე თვალი ავარიდე და ზღვას გავხედე.

ზღვა იყო ძალიან წყნარი, იმდენად წყნარი, რომ ტალღების ხმა თითქმის არ ისმოდა. ზღვა შრიალებდა თუ ჩურჩულებდა. ნაპირი კი გუგუნებდა, ღრიალებდა, ქვიშა ჩხრიალებდა. გატრუნული ხალხი თვალმილულული ეყარა მცხუნვარე მზის ქვეშ. ზოგი ბანქოს თამაშობდა და ხვითქში ცურავდა, ზოგი ბურთს თამაშობდა, ზოგი ხმამაღლა ლაპარაკობდა, იცინოდა, ხარხარებდა. ზოგიც სახით ჩამხობილიყო, მკლავები ამოეტრიალებინა და მზისუნახავ იღლიებს ირუჯავდა. უმეტესობა ზღვაში ჩაყრილიყო და ისეთი სახით ნებივრობდა, თითქოს ზღვა აბსოლუტური სიყვარულით ყოფილიყო სავსე. ზოგი შორს, ძალიან შორს წასულიყო, სადაც ზღვა ლურჯია, სულ ლურჯი, მათი თავები პატარა, ძალზე პატარა კუნძულებივით ხან გამოჩნდებოდა, ხან გაქრებოდა. შორიდან ისმოდა იმ კუნძულების გადაძახილები, სიცილი, ცრუ კივილი, ყიჟინა, რომელიც ზღვის ნიავს პატარა ტალღებივით უჩუმრად, ჩურჩულივით მოჰქონდათ ნაპირზე და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ზღვა თავის თავს ელაპარაკებოდა ათას სხვადასხვა ხმაზე და ეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოცვენილი მილეთის ხალხი, – რომელიც ახლა მის უბეში იწვა, ბორგავდა, სიამოვნებისაგან კვნესოდა, ოხრავდა, იცინოდა, ხარხარებდა და დუმდა, – ზღვისთვის არ არსებობდა. ზღვა იყო ძალიან წყნარი.

ქალიშვილმა გაიხადა. მუქი შინდისფერი საცურაო კოსტუმი ეცვა. ჩემდა გასაოცრად ტანი არც ისე თეთრი ჰქონდა, უფრო ხორბლისფერი, და ეს თეთრი, შავი, შინდისფერი და ხორბლისფერი, ფერების საოცარ ეფექტს ქმნიდა. ალბათ, სახეზე უმარულს ისვამს, – გავიფიქრე და წამოვდექი. ქალიშვილი ტახტზე წამოწვა.

უცებ მასთან მხარბეჭიანი, მოკლედ თმაშეკრეჭილი, საკმაოდ მაღალი, ლამაზი ვაჟი მივიდა და უცერემონიოდ თავზე დაადგა.

– რა უნდოდა? – ჰკითხა მან ქალს, მე გავიგონე ეს და გული შემეკუმშა.
– ვის? – კითხვითვე უპასუხა ქალმა.
– იმ ტიპს! – თქვა ვაუმა და ისე გამოიხედა ჩემკენ, არც მორიდებია, იქნებ ესმისო. მე ხელები გამიცივდა, მაგრამ ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს არ მესმოდა, დავიხარე და ქვა ავიღე, მერე მოწყვეტით ვისროლე ზღვაში. ქვა გაცურდა.
– იმას? არაფერი.
– რაღაცას გეუბნებოდა!
– არაფერს! – თქვა ქალმა და სათვალე მოიძრო, – ტახტი ვთხოვე და მომცა.
– მეტი არაფერი?
– მეტი არაფერი!
– გიცინოდა რაღაცას.
– მე არ მიცინოდა, – თქვა ქალმა და ისევ გაიკეთა სათვალე.
– ჰო! – მერე კიდევ რაღაც თქვეს, მაგრამ უფრო ხმადაბლა. არ ვიცი, რა თქვეს ისეთი, მაგრამ ვაუმა ძმამაღლა გაიცინა, მერე მუხლებზე დაემხო მის თავთან, ორთავე ხელი შიშველ მკლავებზე მოუჭირა და თავი თავზე დაადო. მე ისევ ზღვისკენ გავიხედე.
– თემო, თემო! – მიქნევდა ხელს შორიდან გურამი, გულიკო და გურამი ნაპირისაკენ მოცურავდნენ. ხელი დავუქნიე და ისევ გავწექი გულაღმა ქვიშაზე.
ზღვა ძალიან მიყვარს, მაგრამ შორს არასდროს არ მივდივარ, არ მივდივარ სხვასთან ერთად. შორს მივდივარ მხოლოდ მარტო... ხანდახან ისე შორს, რომ ნაპირს ვერ ვხედავ. მე მაშინ ძალიან მეშინია ზღვის, იმიტომ, რომ ზღვა არის უზარმაზარი მილიონჯერ, მილიარდჯერ, უსასრულობამდე ჩემზე დიდი და შეიძლება ისე დამეკარგოს, ისე ჩამნთქას, ისე გამთქვიფოს თავის დინჯ, მძიმე ზმორებაში, რომ ვერც შეიტყოს, ვერც მიხვდეს და ვერც იგრძნოს... თან არ მეშინია იმიტომ, რომ ზღვას საოცრად რბილი სხეული აქვს და ზღვა საოცრად თბილია. თუ შეგიშვა ზღვამ, იგი არასდროს არ დაგახრჩობს. ზღვამ არ იცის ღალატი. მაგრამ ზღვას არ უყვარს, როდესაც მისი არ ეშინიათ. იგი თვითონ გაფრთხილებს, გეუბნება, გთხოვს, ღრიალებს, ქვეყანას ანგრევს, სახლისოდენა ტალღებით გაწვება ხმელეთისკენ, ხელს გკრავს, არ მოხვიდეო და თუ შებედე, ზღვას არ უყვარს, როდესაც მისი არ ეშინიათ. ზღვას ზღვასავით დიდი გული და თავმოყვარეობა აქვს, ზღვა ცოცხალია და, როდესაც ზღვა ლაპარაკობს, ზღვას უნდა უსმინო.
...ერთი, ორი, სამი, ოთხი. მზის ჩასვლას ოთხი თითის დადება აკლია. თვითონ მზე სამი თითის დადებაა, სულ შვიდი. – ვითვლი მე, შვიდი თითის დადება, ორ საათში მზე ჩავა. სად არიან, ვეღარ გამოაღწიეს?
პირველი ნაპირზე გურამი ამოვიდა. იგი ქოშინით მოვარდა ჩემთან, ცალ ფეხზე დაიწყო ხტუნვა და წვეთები მომაშხეფა.
– ცოტა იქთ გაიფერთხე, თუ ძმა ხარ! – ვთხოვე მე.
– აუ, სად ვიყავით?! – თქვა მან და გალურჯებული ნიკაპი სილაში ჩარგო.
– სად? – ვკითხე მე.
– შორს!
– რა ნახეთ?
– რა უნდა გვენახა? – გაუკვირდა გურამს. ნაპირზე გულიკო ამოვიდა. ახლა მან დაიწყო ჩემს გარშემო ასკინკილა.
– პირსახოცი! – თქვა გულიკომ.
– არის პირსახოცი. – ვესროლე მე.
გულიკომ ტანი გაიმშრალა და აქეთ–იქით გაიხედ–გამოიხედა გაკვირვებულმა. მე თვალი ავარიდე.
– ტახტი რა იქნა? – მკითხა მან.
– რომელი? – გავიკვირვე მე.
– ტახტი!
– აა, ტახტი? სად არის ტახტი? – ვკითხე გურამს.
– რომელი? – ჩემზე უფრო გაუკვირდა გურამს.
– არ არის ტახტი! – ვთქვი მე.
– აქ იდგა ჩემი ტახტი! – თქვა გულიკომ და წარბი შეიკრა.
– აქ იყო გულიკოს ტახტი! – თქვა გურამმა.
– არსებობს საგანთა გადანაცვლების სპეციალური მეცნიერება.
– ახლავე ადექი და მოიტანე ტახტი! – მითხრა გულიკომ.
გავიხედე, ქალი და ის ვაჟი ზღვაში ჩასულიყვნენ, ტახტზე ახლა მათი ტანსაცმელი იყო.
– ადე, გურამ, მოიტანე ტახტი, ეგერ დგას! – ვუთხარი მე.
– როგორც გაატანე, ისე მოიტანე! – თქვა გურამმა და თვალები დახუჭა.
ქალი ამოვიდა ზღვიდან და ტახტისკენ წამოვიდა. გულიკომ ჯერ ქალს შეხედა, მერე მე.
– შენ გაატანე? – მკითხა უცებ. მე არაფერი არ ვუპასუხე.
– რატომ გაატანე? – ისევ მკითხა გულიკომ.
– არ ვიცი! – ვუპასუხე და თვალებში შევხედე.

– ვინ არის?
– არ ვიცი!
– არ იცი?
– არა. – ქალისკენ გავიხედე. იგი ჩვენკენ იცქირებოდა. ალბათ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი. უცებ წამოდგა, ტახტს ხელი დავლო და ჩვენკენ გამოათრია. მე სად წავსულიყავი არ ვიცოდი.
– უკაცრავად, დაუკითხავად ავიღე! – თქვა მან, როდესაც მოგვიახლოვდა და ტახტი თავის ადგილზე დადგა.
– არაფრის! აღარ გვჭირდება! – უპასუხა გულიკომ საკმაოდ ცივად.
– ჩვენც არ გვჭირდება! – გაუღიმა ქალმა.
– მით უმეტეს! – თქვა გულიკომ.
– რა მით უმეტეს? – გაუკვირდა ქალს.
– არაფერი, წაიღეთ, ჩვენ აღარ გვჭირდება.
– არც ჩვენ გვჭირდება.
– მაშინ წაიღეთ და ჩააბარეთ, ოლონდ საბუთი დამიბრუნეთ, ჩემი სახელი გულიკოა, გვარი ციბაძე, სტუდბილეთი მაქვს დატოვებული.
– გულიკო! – მუდარით ვთქვი.
– მიბრუნდი! – თქვა გულიკომ. მე მივბრუნდი, როდესაც მოვბრუნდი, აღარც ქალი იყო, აღარც ტახტი, აღარც გულიკო. გულიკოს კაბა გადაეცვა და პლაჟიდან გადიოდა.
– მეც წავედი! – თქვა გურამმა და შარვალი აიღო.
– მოიცა, მზის ჩასვლას ვუცქიროთ. – ვთხოვე მე.
– იმ გოგოს მარტო ხომ არ გავუშვებ!
– მოიცა!
– შენი ამბავი მიკვირს, ნამდვილი კრეტინი ხარ! – მითხრა გურამმა და დაჯდა. ქალისკენ გავიხედე, იმ ვაჟს ტახტი იღლიაში ამოედო და ჩასაბარებლად მი–ჰქონდა, ქალი კი კაბას იცვამდა. თვალი აღარ ამირიდებია. იგი მაღლა მკლავებაწვდილი, ცალ მუხლში ოდნავ მოხრილი, რომელიღაც ძალიან ლამაზ, ანტიკურ ქანდაკებას ჰგავდა. კაბა რომ ჩაიცვა და თეძოებზე შემოირგო, ჩემკენ გამოიხედა და გამიღიმა. მეც გავუღიმე.
– მგონი, არ ხარ კრეტინი! – მითხრა გურამმა და ამოიოხრა.
მზის ჩასვლას სამი თითის დადება აკლდა. მერე მზე ოდნავ შეეხო ზღვას და შორეული ჰორიზონტიდან ნაპირამდე ოქროს მოციმციმე ბილიკი გაწვა. მინდოდა, წამოვმხტარიყავი, გამერბინა ამ ბილიკზე, მერბინა ჩქარა, ჩქარა, მიმესწრო და ვიდრე ჩავიდოდა, ხელით შევხებოდი მზეს. ისე მომინდა, ისე, რომ ფეხზეც კი წამოვდექი. გურამი იჯდა დაფიქრებული და მზეს გასცქეროდა. მზე უკვე შუამდე იყო ჩასული ზღვაში, ბილიკი დავიწროვდა, გამუქდა, შეიკრა და ახლა ბაგირივით იყო გაჭიმული ნაპირიდან მზემდე. გურამი უცებ წამოხტა და გიჟივით გაიქცა ბულვა–რისკენ. მე გაოცებულმა გავაყოლე თვალი. იგი გარბოდა დიდი ნაბიჯებით, ქვიშაში ეფლობოდა, ეცემოდა, დგებოდა, ისევ გარბოდა და ასე გავარდა პლაჟიდან. მერე უცებ ისევ მოვარდა გიჟივით, ნაპირთან მიირბინა და მზის ბილიკთან უზარმაზარი ლურჯი გორტენზია დადო. მერე მობრუნდა და ჩემს გვერდით დაჯდა აქოშინებული.
– მზეს ყვავილი მივართვი! – მითხრა მან და ბედნიერი ღიმილით გამიღიმა. მე არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ თავი დავუქნიე და გავუღიმე. თან შემშურდა, დიდი შურით, ნამდვილი შურით, რომ ეს მე ვერ მოვიფიქრე. მზეს წვერილა უჩანდა და სხივი ახლა ცის დასალიერიდან გამოწვდილ ოქროს ხელს ჰგავდა, რომლის მტევანზე უზარმაზარი ლურჯი გორტენზია ესვენა. მზე ჩავიდა. ბინდში გაქრა ბილიკი და ყვავილიც.
– ნახე, გურამ, მზემ ყვავილი წაიღო! – ვუთხარი მე. გურამმა ისევ გაიღიმა. მზემ წაიღო ყვავილი.

7 7 7

„ინტურისტის“ ფოიეში ყველა სავარძელი დაკავებული იყო. გულიკო არსად ჩანდა. ზევით ასვლა არ მინდოდა.
– კაფეში ჩამოდით! – ვუთხარი გურამს და პირსახოცი მხარზე გადავიკიდე.
– გულიკო? – მკითხა გურამმა.
– დავურეკავ!
– ასულიყავი, ჯობდა.
– დავურეკავ! – გავიმეორე მე.
– შენ იცი! – თქვა გურამმა და წავიდა.
ადმინისტრატორის ჯიხურთან მივედი და ტელეფონის მილი ავიღე.
– თემურს გაუმარჯოს! – მომესალმა ადმინისტრატორი.
– გაუმარჯოს საშას!
– ახალ ნომერში უნდა გადაგიყვანო, უცხოელები ჩამოვიდნენ.
– რა გამიჭირეთ საქმე, გარდამავალი დროშა ხომ არ ვარ, ყველა ნომერი უნდა მოვიარო?
– რას იზამ, ზევიდან დარეკეს! – აიწურა მხრები საშამ.

– საიდან ზევიდან? – ადმინისტრატორმა სადღაც ღმერთისკენ აიხედა და თვალები ააპარპალა.
– მერე, შენ ვერ უთხარი ქვევიდან, რომ კაცი მყავს ნომერშიო?
– არ გადის.
– არ გადის და არ გავალ!
– ძალით გაგიყვანენ.
– ვინ?
– ისინი!
– ვინ ისინი?
– თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ჩემი გაჭირვება მეყოფა, გეუბნები, სხვა ნომერს მოგცემ.
– ალო! 302 თუ შეიძლება, – ვთხოვე კომუტატორს.
– 302 არ პასუხობს! – თქვა კომუტატორმა. მილი დავკიდე.
– როდის გადაგყავარ? – ვკითხე ადმინისტრატორს.
– უკვე გადასული ხარ 303–ში. – მიპასუხა მან თავაუღებლივ.
– ახალი ლექსი ხომ არ დაგიწერია რამე? – ვკითხე ადმინისტრატორს.
– დავწერე წუხელ, წაგიკითხო?
– ახლა არ მცალია, ხვალ.
გულიკო სარკის წინ იჯდა და თმას ივარცხნიდა.
– ჯერ აკაკუნებენ და შემდეგ შემოდიან. – თქვა მან.
მე გარეთ გავედი, დავაკაკუნე და ისევ შემოვედი.
– დაბრძანდით! – მითხრა გულიკომ, მე საწოლზე ჩამოვჯექი. გულიკო თმის ვარცხნას განაგრძობდა, ოქროსფერი თმები გაეშალა და ახლა იმ ჩამავალ მზეს ჰგავდა ზურგიდან, წელან რომ ყვავილი წაიღო.
– არ გრცხვენია, გოგო? რას მებუტები! – ვკითხე მე.
– როგორ არ მრცხვენია, ვერ ხედავ, თმებიც კი გამიწითლდა! – თქვა გულიკომ.
– ჩავიდეთ ქვევით, ყავა დავლიოთ!
– ჩადი და მოვალ!
– მე შენს გვერდით ნომერში გადმომიყვანეს, უცხოელები ჩამოდიან.
– ძალიან კარგი.
– კიდევ ერთი დელეგაცია და, ალბათ, შენთან შემომასახლებენ.
– საწყალი ბიჭი, როგორ მეცოდები. – შემიბრალა გულიკომ და თავი გაიქნია.
– ადექი, წავიდეთ.
– ჩადი და მოვალ, ხომ გითხარი.
– ერთად ჩავიდეთ.
– კაბა უნდა გამოვიცვალო!
– ლურჯი კაბა ჩაიცვი!
– შენი საქმე არ არის, რას ჩავიცვამ.
– წავედი! – ვთქვი მე და კარი გავიხურე.

777

გურამი კაფეში დამხვდა. ადგილები დაეკავებინა ჩვენთვის, გაზეთს კითხულობდა. მივედი, ფანჯარასთან რომ სკამი იდგა, იმაზე დავჯექი.
– სადა ხარ, ძმაო, კუჭი გამიხმა! გულიკო არ მოდის?
– მოვა. შეუკვეთე?
– რად უნდა შეკვეთა, თვითონ არ იცის? – თქვა გურამმა და კითხვა განაგრძო.
ოფიციანტმა სამი ყავა, სამი ბუტერბროდი და ერთი ბოთლი ბორჯომი მოიტანა.
– რა ფასიანია ეს ძეხვი? – ეჭვის თვალით გადახედა გურამმა ბუტერბროდს.
– ნუ გეშინია, ხუთ მანეთს არ ავაცილებ! – დაამშვიდა ოფიციანტმა.
– მე რისი მეშინია, შენ გეშინოდეს!
– ფული თუ არ გქონდათ, ბიძიებო, თბილისში ვერ დაეტიეთ? რაა ამ ბათუმში, ერთი თვეა თავს რომ იკლავთ შიმშილით. პატრონი არ გყავთ? მომკლა თქვენმა საცოდაობამ. – აუჩუყდა გული ოფიციანტს.
– ძილის წინ ბევრი ჭამა არ შეიძლება! – დაარიგა ჭკუა გურამმა.
– დილას და შუადღეზე?
– წადი, თუ ძმა ხარ, შენს საქმეს მიხედე. ნუ გეშინია, არ მოვკვდებით შიმშილით. – ეწყინა გურამს.
– ის გოგო მეცოდება, თორემ, შენ ისე გიქნია, ნემსის ყუნწში გამძვრალხარ. – თქვა ოფიციანტმა და წავიდა.
კაფეში თამბაქოსა და თურქული ყავის საამო სუნი დგას. ფანჯარა ღიაა და ზევიდან ნიავი უბერავს. კაფე სავსეა ხალხით. შორეულ კუთხეში მაგიდას დურსუნა უზის, ათიოდე უკვე გამოცლილი და დამხობილი ყავის პაწია ფინჯანი უდგას, მეთერთმეტეს კი სვამს. დროდადრო რომელიმე ფინჯანს ამოატრიალებს, დიდხანს დაკვირვებით უმზერს ფსკერზე დალექილ ყავას, მერე

ისევ დგამს და მეორეს იღებს, ასე ნახულობს ყველას, უკმაყოფილოდ აქნევს თავს და სმას განაგრძობს. ძია დურსუნა 55–60 წლისა იქნება. საერთოდ მისი ასაკი ძნელი დასადგენია.

დურსუნა შარშან, იმის წინ და კიდევ იმის წინ სულ ამ ადგილზე იჯდა, სულ სვამდა ყავას, სულ მუდამ ეძებდა რაღაცას ფინჯნის ფსკერზე და ახლაც ასე ზის, იმავე ადგილზე, სვამს ყავას და ისევ ეძებს რაღაცას ფინჯნის ფსკერზე დალექილ ყავაში.

დურსუნამ, როგორც ამბობენ, მარჩიელობა იცის ყავაზე. იგი საოცარ რაღაცეებს ხედავს ფინჯანში, ხედავს უბედურებას, ბედნიერებას, სიყვარულს, სიძულვილს, ფულს, ქონებას, ქალებს, სიკვდილს, გზებს – მოკლეს და ხალისიანს, გრძელსა და ფათერაკიანს, ხედავს გზებს, რომლებიც სადღაც ფინჯნის კედლებზე დახლართულნი წყდებიან, მერე ისევ ერთდებიან, მოკლდებიან, გრძელდებიან, წყდებიან, კვლავ ერთდებიან და კვლავ გრძელდებიან უსაშველოდ და დაუსაბამოდ. ასე ზის იგი, ურჩევს, ყველას, ვისაც გაუხარდება, უწინასწარმეტყველებს ყველას ცხოვრების გზას. ასე ზის დურსუნა მაგიდის კუთხეში, უამრავი ფინჯნის ფსკერზე ამოუკითხავს უამრავი კაცისთვის სიცოცხლის გზა და, ნუთუ ერთხელ არ ამოსვლია თვითონ მას გზა, რომ ერთხელ მაინც ამდგარიყო და დადგომოდა იმ გზას. მისი გზა რატომღაც ამ კაფეში დამთავრებულა.

კაფეში ის მოკლედ თმაშეკრეჭილი ბიჭი და კიდევ ვიღაც ვაჟი შემოვიდნენ. ჩვენს გვერდით მაგიდასთან დასხდნენ და ერთი სკამი მაგიდას მიაყუდეს – ალბათ, იმ ქალიშვილს ელოდებიან, გავიფიქრე მე. ოფიციანტი ეახლათ.

– თქვენც მარტო ყავას და ბორჯომს მიირთმევთ, ბიძიებო? – ჰკითხა მათ და ჩვენკენ გამოიხედა.

– სამი ტაბაკა, ერთი კონიაკი, ერთი ბორჯომი, სამი ლიმონათი, ერთი შამპანური და ექვსი ყავა. – უთხრა შეკრეჭილმა.

– აგაშენოთ ღმერთმა! – გაუხარდა ოფიციანტს.

– ტკბილი რა გაქვთ?– ჰკითხა შეკრეჭილმა.

– წნილი! – გაიკრიჭა ოფიციანტი.

– მაგარი ხარ! – გაუცინა შეკრეჭილმა და მხარზე ხელი დაჰკრა. ოფიციანტი წავიდა.

– გამყიდა ამ შობელძაღლმა, ათი დღე გაგრაში ვიყავით... – უთხრა მან თავის თვალებგადმოცვენილ ძმაკაცს და უკმაყოფილო სიამაყით საფერფლე მაგიდაზე დაატრიალა.

– რა ანგარიშები გაქვს? – ჰკითხა თვალებგადმოცვენილმა.

– ისე, რა ანგარიშები უნდა მქონდეს, ამეკიდა, შარშან ჯემალას ყავდა სოჩაში.

– აეთესე და მორჩა!

– ახლა ვერ ავეთესები.

– გიყვარს? – ცალყბად გაიკრიჭა თვალებგადმოცვენილმა.

ყველაფერი მესმოდა და მე თვითონ არ ვიცი, რატომ, ტანზე ბუსუსები მაყრიდა.

– გიყვარს? – არ მოეშვა თვალებგადმოცვენილი; ოფიციანტმა შეკვეთა მოიტანა და მაგიდაზე დააწყო.

– მიყვარს არა, ფეხები, ისე, კარგი ტანი აქვს. – გაიღიმა შეკრეჭილმა.

– მაგაზე კარგი კახპა ზღვაზე ვერ ნახე? შენი მაყუთი მომცა, ანგელოსს დავაბამ. – თქვა თვალებგადმოცვენილმა.

– მორჩი ბაზარს, მოდის. ლია, აქეთ! – დაუძახა შეკრეჭილმა და ხელი დაუქნია. კაფეში ის ქალი შემოვიდა. იგი ისეთი ლამაზი იყო, გურამმა სახეზე ხელები აიფარა, ერთხანს ასე იყო, მერე ხელები მოიშორა თვალებიდან, შეხედა და კენესა აღმოხდა.

– ვაა!

– ზახრუმა! – დავამშვიდე მე. ლიას შეეხედე. მან ისევ გამიღიმა და დაჯდა. უცებ კარი გაიღო და მე და გურამმა გაოცებისაგან პირები დავაღეთ. კარში ჯეირანივით ყელმოღერებული, უზარმაზარ ქუსლებზე შემდგარი, ბაირაღივით წითელ ვიწრო კაბაში გახვეული, მკერდზე თმებჩამოშლილი და ჭიპამდე დეკოლტეჩახსნილი გულიკო იდგა. მთელი კაფე მისკენ მიბრუნდა. იგი ამაყი მზერით და ტანის ნაზი რხევით წამოვიდა ჩვენკენ. მე ძალაუნებურად ავდექი და ადგილი დავუთმე, გურამმა ყავა ღვინოსავით გადაკრა და ხველება აუვარდა. გულიკო დაჯდა, წითელი ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, ფეხი ფეხზე გადაიდო და გააბოლა.

– გაგიჟდი, გოგო? – ვკითხე მე.

– რა მოხდა? – გაუკვირდა გულიკოს.

– რას გავხარ?

– რას ვგავარ, გურამ? – ჰკითხა გულიკომ გურამს და კვამლი სახეში მიაბოლა.

– ტარი რომ გაგიკეთონ, ნამდვილი დროშა ხარ! – თქვა გურამმა და მე შემომხედა.

– მართლა? – მკითხა ახლა გულიკომ.

– ადი და ახლავე გამოიცვალე! – ვუთხარი მე.

– რატომ, გენაცვალე? შენ ხომ ასეთი ქალები მოგწონს? ოფიციანტ! – დაუძახა უცებ გულიკომ ოფიციანტს. იგი მოცუნცულდა.

– გისმენთ, ბატონო!

– ერთი კონიაკი, ერთი შამპანური, სამი ტაბაკა!

– ერთიც ექიმი და ერთიც მილიციელი, ექიმი ამას, მილიციელი მე. მე მაგის გადამხდელი არა ვარ. – თქვა გურამმა. ოფიციანტი შეყოყმანდა.

– რასაც გეუბნებიან, მოიტანეთ! – უთხრა გულიკომ. ოფიციანტი წავიდა.

– რა მოგივიდა, გულიკო?! – ვკითხე მე ჩუმად და თვალი მეზობელი სუფრისკენ გავაპარე. ლიას შამპანურით სავსე მაღალი ჭიქა აეწია თვალებამდე და ჭიქის მეორე მხრიდან გვიყურებდა გაღიმებული.

– ხელს თუ გიშლით, წავალ. – თქვა გულიკომ და პაპიროსი ჩააქრო. ცოტა გულზე მომეშვა.

– იყავი თუ ქალი ხარ, ოღონდ ასე გამომწვევად ნუ იქცევი! – ვთხოვე მე.

– ვაშავებ რამეს, გურამ? – ჰკითხა ახლა გურამს.

– პირიქით, აწითლებ! – უთხრა გურამმა, ოფიციანტმა კონიაკი და ტაბაკა მოგვართვა. გულიკომ კონიაკი დაასხა და სადღეგრძელო დაიწყო.

– ლამაზ ქალებს გაუმარჯოს, თეძომაღალ, ლამაზ და ენებიან ქალებს. – მერე ჭიქა მომიჭახუნა და გადაკრა, მე უხმოდ დავლიე. სად წავსულიყავი, არ ვიცოდი.

– გულიკოს გაუმარჯოს! – თქვა გურამმა.

– მე კი არა, ლამაზ ქალებს გაუმარჯოს! – გაუსწორა გულიკომ და ისევ დაასხა.

– გულიკოს შემოვევლე, თუ იცი, რა ღირს ეს კონიაკი? – ჰკითხა გურამმა და ბოთლი შეატრიალა ხელში.

– მილიონი!

– ცოტა დაუკელი!

– ნახევარი მილიონი!

– საიდან მოგაქვს მერე ის ნახევარი მილიონი?

– თემური იხდის! – მე ჭიქა გამივარდა ხელიდან. გურამს კონიაკი გადაცდა და სლოკინი აუტყდა.

– შეავსეთ ჭიქები! – ბრძანა გულიკომ. გურამმა ჭიქები შეავსო.

მეზობელი მაგიდიდან თმაშეკრეჭილი ადგა და ჩვენკენ წამოვიდა.

გულიკომ გაკვირვებული მზერა მიაპყრო.

– ბოდიში, ბიჭებო! – თქვა მან და თავი დაგვიკრა. მერე ჯიბიდან სტუდბილეთი ამოიღო, გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა: – გულნარა დავითის ასული ციბაძე, ეკონომიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი. თქვენი სტუდბილეთი, ქალიშვილო! – და სტუდბილეთი მაგიდაზე დადო.

– გმადლობთ, დაბრძანდით! – სთხოვა გულიკომ.

– გმადლობთ, მელოდებიან! – მკერდზე მიიდო ხელი გაკრეჭილმა.

– თემო, სთხოვე! – მითხრა გულიკომ.

– ერთი ჭიქა დაგვილიეთ! – ვთხოვე მე და ჭიქა გავუწოდე.

– ეს ჩემი თემურია, ეს კი გურამ ჭიჭინაძე, კრიტიკოსი, ლექსებსაც წერს, „ნიკორწმინდა“ წაგიკითხავთ?

– არა.

– ჰოდა, ამისი დაწერილია! – უთხრა გულიკომ და გაიცინა.

– სასიამოვნოა, თქვენს სუფრას გაუმარჯოს, კარგად იყავით...

– თქვენი სახელი? – ჰკითხა გულიკომ.

– ავთო!

– ავთანდილი კარგი სახელია, მიირთვით, ჩემს საქმროს თეიმურაზი ჰქვია. ის ქალიშვილი თქვენი ცოლია? – არ მოეშვა გულიკო.

– არა! – შეიშმუშნა ავთო.

– აბა, თქვენი მეგობრის?

– არა.

– აბა, არავისი?..

– კარგად იყავით... – აჩქარდა ავთო.

– ესე იგი, ქალი არავისია? გესმის, თემო, არავისი არ ყოფილა...

– გულიკო! – შევევედრე მე.

– კარგად იყავით, გმადლობთ! – თქვა ავთომ, გადაკრა და სასწრაფოდ წავიდა. მე მეზობელი სუფრისკენ გავიხედე, ლია იჯდა თავდახრილი ჭარხალივით წითელი და ნერვიულად ხევდა პაპიროსის კოლოფს.

– არ გრცხვენია, გოგო, ყველაფერი გაიგონა! – ვუთხარი გულიკოს. გულიკომ ყურადღება არ მომაქცია. იგი გურამს მიუბრუნდა:

– გაუმარჯოს იდიოტებს, სიმპათიურ იდიოტებს, ჩემს თემურის, უსიმპათიურეს იდიოტს უსიმპათიურესთა შორის. კაცობრიობის არცერთ ერას არ ახსოვს ასეთი ბაჯაღლო იდიოტი, როგორც ეს...

– გულიკო, შენ მთვრალი ხარ! – უთხრა გურამმა. ლია ადგა და კაფედან გავიდა. ბიჭები უკან გაყვნენ.

– შენც იდიოტი ხარ, მაგრამ თემური უფრო დიდი იდიოტია ამიტომ მიყვარს შენზე უფრო.

– გულიკო, მორჩი! – ვთხოვე მე და ავდექი.

გულიკომ ხელჩანთიდან ოთხი ასმანეთიანი ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

– დღეს ფული მივიღე, დედამ გამომიგზავნა, ორასი კიდევ მაქვს. – მერე ადგა და კაფედან გავიდა.

– გაყევი, თუ ძმა ხარ! – ვთხოვე გურამს. გურამი გაყვა, მთელი კაფე მე შემომცქეროდა. მაგიდები გავიარე და ძია დურსუნთან მივედი.

– გამარჯობა, ძია დურსუნ! – ვუთხარი მე.

– დაჯექი! – თქვა მან და ყავა მოსვა.

– მოგკლავს ამდენი ყავა, ძია დურსუნ!

– რაც გიყვარს, იმისგან სიკვდილი საამოა!

– ვინ თქვა?

– ვინც თქვა, მართალი თქვა.

– კონიაკი და ყავა მოიტანე, – გაეძახე ოფიციანტს.

ოფიციანტმა კონიაკი და ყავა მოიტანა. მაგიდაზე დადგა.

უხმოდ ვისხედით. მე დურსუნს ჭიქა ავუვსე, მან გადაკრა და ისევ მომიშვირა ჭიქა, ისევ ავუვსე, ისევ გადაკრა, მე ყავას ვსვამდი, დურსუნი კონიაკს. თითქმის ნახევარი ბოთლი დალია უხმოდ. მე ყავა დავამთავრე და ფინჯანი თეფშზე დავამხე.

– მიმარჩიელე, ძია დურსუნ.

– ვერა!

– რათა, ძია დურსუნ?

– არ ვიცი მარჩიელობა.

– შენ თუ არ იცი, აბა, ვინ იცის?

– არავინ.

– მაშ, სხვებს რომ მარჩიელობ?

– ვატყუებ სხვებს.

– შენს თავს?

– ჩემს თავს რომ ვერ ვატყუებ, ამიტომ ვზივარ აქ.

– მეც მომატყუე.

– ვერა.

– რათა, ძია დურსუნ, რათა!

– შენი მოტყუება არ შეიძლება, ალალი ბიჭის თვალები გაქვს! – თქვა დურსუნმა და ადგა.

– წავედი!

– მოიცა, ძია დურსუნ, მაინც მიმარჩიელე, – ხელი მოვკიდე და დავსვი.

– კარგი! – თქვა მან და ჩემი ფინჯანი აიღო.

– სად ცხოვრობ? – მკითხა დურსუნმა.

– მე თბილისელი ვარ.

– თბილისი მისამართი არ არის. აქაური რომ არა ხარ, გატყობ, ბათუმში სად ცხოვრობ?

– სასტუმროში.

– ჩემგან რა გინდა, შვილო? – მკითხა მან უცებ. შევიშმუშნე.

– შენგან არაფერი არ მინდა, ძია დურსუნ!

– მაშინ დამანებე თავი! – მითხრა და ფინჯანი ისევ დაამხო თეფშზე.

– რატომ არ გინდა მიმარჩიელო...

– აკი გითხარი, არ მინდა მოგატყუო–მეთქი.

– მომატყუე.

დურსუნმა თავი ჩაღუნა. დიდხანს დუმდა. მერე ყრუდ, ძალიან ყრუდ დაიწყო, მისი ჩახლეჩილი და გაბზარული ხმა ისე აუღერდა, სხეულში უსიამო ჟრჟოლა ეიგრძენი.

– აი ის ქალი, წითელთმიანი ქალი, შენ რომ გახლავს, შენი ცოლი გახდება. ჯერ ხომ არ არის შენი ცოლი?

– არა!

– ჰოდა, გახდება! – დურსუნმა ფინჯანი ხელში შეატრიალა, ოდნავ გადახარა, ცოტა ხანს უცქირა, ფსკერზე დალექილ ყავას და განაგრძო:

– მერე თქვენ გეყოლებათ შვილები ქალი და ვაჟი, ჯერ ქალი, მერე ვაჟი, შენ გექნება კარგი სამსახური, გეყოლება ლამაზი ცოლი, ლამაზი ბავშვები და არ იქნება ქვეყანაზე კაცი შენზე ბედნიერი ერთ, ორ, სამ, ათ წელიწადს. – დურსუნმა ფინჯანი დადო და ხელები საფეთქლებზე შემოიწყო, თვალები დახუჭა და დადუმდა.

– მერე, ძია დურსუნ, მერე?

– მერე შენ დაკარგავ შენს ლამაზ ცოლს, შენი ლამაზი ცოლი გემს გაყვება, თეთრ, უზარმაზარ გემს. შენ დაუწყებ ძებნას ცოლს და გაიგებ, რომ შენმა მეგობარმა ჩაგაფურთხა სულში. შემდეგ შენ დაუწყებ ძებნას სიკვდილს, და სიკვდილი არ მოვა შენთან იმიტომ, რომ სიკვდილს არ სჭირდება შენი მძორი, სული კი ამორთმეული გექნება. მერე შენს ნაკვალევზე წაიშლება ყველაფერი – გვარი, სახელი, სიყვარული, ძმა, მეგობარი, შვილი, თესლი და ნაყოფი. მერე შენ იტყვი, რომ არ ღირს სიცოცხლე და გაუყრი თავს ბაწარში, მაგრამ შენ ჩამოგხსნიან,

მერე შენ გადაწყვეტ რომ არ ღირს სიკვდილი, რადგან არ არსებობს არაფერი, რისთვისაც სიკვდილი ღირდეს...

ძია დურსუნი ისევ დადუმდა.

– მერე, ძია დურსუნ? – ვკითხე მე და ვიგრძენი, როგორ მიკანკალებდა ხმა.

– მერე შენ ფეხებზე დაიკიდებ ყველაფერს, უპირველეს ყოვლისა, შენს თავს, მერე მთელ სამყაროს და შენ გახდები სხვა.

– ვინ?

– შენ გახდები მე, დურსუნი, იპოვი ადგილს აი, ასე ჩემსავით და ყავის ფინჯნის ფსკერზე დაუწყებ ძებნას რაღაცას, რისი პოვნაც საერთოდ არ შეიძლება. და იქნები ასე, ჩემსავით არაფერი... – დურსუნი ისევ დადუმდა და მე მივხვდი, რომ მას სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. ჩემს წინ იჯდა კაცი, კაცი კი არა, ის, რაღაც, რომელიც ოდესღაც ღმერთმა თიხისაგან შექმნა, სული ჩაუდგა და შემდეგ ერთი ვაშლის გულისთვის გაწირა, გაიმეტა და უპატრონოდ დააგდო ამ ვეებერთელა ცის ქვეშ.

– ტყუილია! – ვთქვი მე.

– რა არის ტყუილი? – თქვა დურსუნმა და უაზრო თვალებით შემხედა.

– ტყუილია სულ ყველაფერი, რაც შენ თქვი!

– მე არაფერი არ მითქვამს. – გაიქნია თავი დურსუნმა.

– როგორ არა, შენ თქვი, რომ არ არსებობს არაფერი. არც მეგობარი, არც სიყვარული, არც რამე, რისთვისაც სიკვდილი ღირდეს.

– მე არაფერი არ მითქვამს, მე შენ გირჩევდი და მეტი არაფერი... – ჯიუტად თქვა დურსუნმა, – მე არაფერი არ მითქვამს, მე შენთვის არაფერი არ მომიყოლია, ყველაფერი არსებობს, სიყვარულიც, მეგობრობაც, სიცოცხლეც, სიკვდილიც, ბედნიერებაც, სიხარულიც, მე სხვა არაფერი არ მითქვამს...

– მე მყავს ისეთი მეგობარი, რომელიც სულში არასდროს ჩამაფურთხებს...

– შენ ჯერ პატარა ხარ! – გაიღიმა დურსუნმა.

– მე პატარა აღარ ვარ!

– ღლაპი ხარ. – თქვა დურსუნმა.

– ტყუილია.

– აკი გითხარი, მოგატყუებ–მეთქი!

– არაფერიც, რაც მითხარი, სიმართლე იყო!

– თუ სიმართლეა, რადა გინდა ჩემგან?

– შენ რომ არაფერი გწამს ამ ქვეყანაზე, მე რა ვიწამო.

– იწამე, რაც გინდა, ქვეყანა ხატებით არის სავსე.

– მე ერთი ხატი მინდა.

– ჰოდა, ამოირჩიე!

– მირჩიე!

– ვერა!

– არაფერი გწამს, არც ხატი, არც ღმერთი?

– არა!

– გლახაკი ხარ შენ, მათხოვარი, მშიშარა!

– ღმერთი რომ იყოს, მე არ გამაჩენდა. არ არის ღმერთი!

– არის!

– რას ეძახი შენ ღმერთს? – მკითხა დურსუნმა.

– სიყვარულს, სიკეთეს, სიმართლეს, მეგობარს, დედას... ამაზე ყველაფერზე უარს ამბობ, ძია დურსუნ? – ვკითხე მე.

დურსუნს ნიკაპი აუკანკალდა, თვალები ცრემლით აევსო, იგი ფეხზე წამოდგა, ავდექი მეც. მერე ათრთოლებული ხელით ფინჯანი აიღო და მაგიდაზე დაანარცხა, ფინჯანი მარილივით დაიფშვნა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე... მე ორთავე ხელი მკერდში ჩამავლო და შემანჯღრია.

– და მაინც არ არის, არ არის, არ არის ღმერთი, გესმის, შენ, არ არის! – იყვირა მან, მერე ხელი გამიშვა და ატირებული მაგიდაზე დაემხო. მე ფული დავდე და კაფედან გამოვედი.

გარეთ წვიმდა.

ბულვარი გადაეჭერი და ზღვას მივადექი. წვიმდა უსაშველოდ, მაგრამ წვიმა იყო თბილი, ძალიან თბილი. ბნელოდა. უცებ პროუექტორის ვეება თვალმა გახია ზღვაზე ჩამოშვებული წვიმის სქელი ფარდა და ზღვა გაანათა, მერე ნაპირზე გაწვა და ასე იწვა ნაპირზე მთელი წუთი. მერე ისევ ზღვაზე გადაინაცვლა და ბოლოს სულ ჩაქრა. მერე ისევ აინთო, ისევ გახია წვიმის ფარდა, ისევ გაწვა ნაპირზე. მე სიბნელეში გადმოვინაცვლე და ქვიშაზე დავჯექი. ზღვა შრიალებდა, შრიალებდა, შრიალებდა განუწყვეტლივ, გეგონებოდათ მთელი მსოფლიოს მოცლილი ხალხი მიდგომია ნაპირს და პეშვებით სილას აბნევენო ზღვაში. ზღვა კი შრიალებდა და შრიალებდა. უსაშველოდ წვიმდა.

– თემო! – მომესმა უცებ გურამის ხმა. – თემოო! – ხმა არ გავეცი.

– თემო! – მიახლოვდებოდა ხმა. მე პერანგი გავიხადე და ახლა წელზევით შიშველი დავჯექი, წვიმის ათასმა, ათი ათასმა, ასი ათასმა თბილმა თითებმა გადამირბინეს სხეულზე. – თემო! – მომიახლოვდა გურამის ხმა, მერე ფეხის ხმაც გავიგე, ჯერ შორს, მერე სულ ახლოს.
– თემო, შენა ხარ?
– რა გინდა?
– გაგიუდი?
– დაჯექი!
– სად?
– დაჯექი ჩემს გვერდით.
– ადე, თუ ძმა ხარ, ნუ იბრიქები. რაა ეს ტანზე რომ გაგიხდია! – მითხრა გურამმა და ხელი მომკიდა მკლავში.
– დაჯექი, სალაპარაკო მაქვს შენთან.
– შენ, თუ ძმა ხარ, „ვადალაზი“ ხომ არ გგონივარ, წამო ნომერში, ვილაპარაკოთ. – ისევ მომქაჩა გურამმა.
– შენ მე სულში ჩამაფურთხებ? – ვკითხე მე.
– კრეტინი რომ იყავი კი ვიცოდი, მაგრამ გიუი?
– გეკითხები – სულში თუ ჩამაფურთხებ?
– ადექი, თორემ წავალ!
– წადი!
– გულიკოს რა ეუთხრა?
– გაგიუდა–თქო უთხარი.
– ეგ იცის.
– მაშინ უთხარი, ვერ ვნახე–თქო!
– ადე, თუ ძმა ხარ, შენი თავი არ მაქვს, დავსველდი.
– დაჯექი, მეტს აღარ დასველდები.
– რა დალიე, ასე რომ გამოშტერდი, ამის ღმერთი არ იყოს, ერთად არ ვსვამდით? – თქვა გურამმა, გადააფურთხა და გვერდით მომიჯდა.
– თქვი რა გინდა!
– რას შვება გულიკო?
– ტირის!
– იტიროს, არა უშავს, დურსუნიც ტირის.
– ვინ? – მკითხა გურამმა.
– დურსუნი.
– დურსუნი ლოთია. – გაიცინა გურამმა.
– ლოთი შენ ხარ! – ვუთხარი მე.
– რა გინდა, ძმაო! შენ თუ თავს იკლავ, მე რას მერჩი, გამიშვი ნომერში! – შემომტირა გურამმა.
– ბიჭო, შენ თუ გინახავს კაცი, რომელსაც არაფერი არ სწამს ამ ქვეყანაზე?
– შენ! – თქვა გურამმა. – ღმერთი შენ არ გწამს და ამხანაგი. დაგისვივარ წვიმაში და მკლავ უდანაშაულო ადამიანს.
– შენ თუ გწამს რაიმე? – არ მოვეშვი მე.
– რა, მაგალითად?
– რამე!
– რამე რას ნიშნავს, რას გულისხმობ? – მკითხა გურამმა.
– ამხანაგი, სიყვარული, სიძულვილი, ბედნიერება, უბედურება. რისი გჯერა ამ ქვეყანაზე და რისი არა?
– მაგის დროა ახლა, თემო? – თქვა გურამმა და ფეხად ჩამოსულ ცას ახედა.
– თქვი, რა გიყვარს ამ ქვეყანაზე? – შევანჯღრიე მე.
– ღვინო, დუდუკი, ქალები! – გაიკრიჭა ისევ გურამი.
– გეკითხები და მიპასუხე!
– დედა, მამა.
– კიდევ?
– კიდევ სიცოცხლე, სიხარული, ბედნიერება.
– კიდევ!
– კიდევ მზე მიყვარს, ზღვა მიყვარს.
– კიდევ, კიდევ!
– შენ მიყვარხარ, შე თათარო, ოღონდ ადექი და წამოდი ახლა!
– შემომატრიალა გურამმა.
– შენ მე ჩამაფურთხებ სულში როდისმე?
– არა, ბატონო, არა.
– არასდროს?

– არასდროს.
– მე რომ ჩაგაფურთხო სულში, არც მაშინ? – ვკითხე მე. გურამი დადუმდა.
– რას გაჩუმდი?
– არ უნდა ჩამაფურთხო. – თქვა მან ყრუდ.
– რომ ჩაგაფურთხო?
– არა, არა, არა, გესმის, არ უნდა ჩამაფურთხო! – წამოხტა გურამი.
– ვთქვათ და ჩაგაფურთხე, რას იზამ? – გურამი ისევ დადუმდა, მერე დაჯდა და მხარზე დამადო ფუთიანი მკლავი.
– მაშინ მეც ჩაგაფურთხებ.
– სულში?
– სახეში, სახეში ჩაგაფურთხებ!
– მერე?
– მერე თუ კიდევ მკითხავ ასეთ რამეს, მე შენ დაგამტვრევ ყბებს და დაგიმტვრევ ხერხემალს. – თქვა გურამმა და მე მივხვდი, რომ იგი რასაც დამპირდა, იმის ნახევარს მაინც შემისრულებდა, თუ არ გავჩუმდებოდი. წვიმა შეწყდა, პროექტორი ახლა უფრო დაჟინებით ათვალიერებდა ზღვას. ზღვა კი დუღდა ვეებერთელა ქვაბივით და ნაპირზე ყვითელ ქაფად იღვრებოდა.
ავდექი, ადგა გურამიც. „ინტურისტისკენ“ წავედით.
სასტუმროს ფოიეში არავინ იყო, მხოლოდ გაკრეჭილი ავთო იდგა ადმინისტრატორის ტელეფონ–თან და ვიღაცას ელაპარაკებოდა. ძალაუნებურად შევჩერდი და ყური მივუგდე.
– ძალიან გთხოვ... – ამბობდა გაკრეჭილი.
– წამოდი! – მითხრა გურამმა.
– წადი და დაგეწევი! – ვუთხარი მე. გურამმა ალმაცერად გადმომხედა და წავიდა.
– ერთი წუთით!.. – განაგრძო ავთომ, მერე საათზე დაიხედა.
. . .
– მაშინ მე მოვალ!
. . .
– შენი ხვალ აღარ გათავდა!
. . .
– მეც აღარ შემიძლია!
. . .
– მოიცა!
. . .
– შენ არ გინდა, მე მინდა.
. . .
– რატომ?
. . .
უცებ ავთომ ყურმილი დაკიდა და ისევ დაიწყო რეკვა.
მე კიბეს ავყევი. პირველი სართულის დერეფანთან გავჩერდი და უცებ მარჯვნივ გავუხვიე. ოთხმოცდათვრამეტი, ას ორი, აქეთ წყვილი ნომრებია, მარჯვნივ ას ერთი, ას სამი, ას ხუთი... ას ხუთი ნომერი. გული შემეკუმშა, ას ხუთ ნომერზე უნდა დავაკაკუნო! ხელი ავწიე და ვერ გავბედე დაკაკუნება, საკუთარი გულის ცემა მესმის. ნომერში კი განუწყვეტლივ რეკავს ზარი, ეს გაკრეჭილი რეკავს, რეკავს განუწყვეტლივ, დაჟინებით, ლია არ იღებს ყურმილს, არ იღებს. ისევ არ იღებს. ისევ ზარი... და ბოლოს ლიამ აიღო ყურმილი.
– გისმენთ! – ახლა უნდა ელაპარაკოს, ისევ შემეკუმშა გული, პირი გამიშრა, ათრთოლებული ხელი ავიღე და კარზე დავაკაკუნე. ოთახში საუბარი შეწყდა, ისევ დავაკაკუნე.
– ვინ არის? – მომესმა ოთახიდან.
– მე ვარ! – სხვა ვერაფერი მოვიფიქრე.
– ვინ თქვენ?
– მე, თემური! – ოთახში ისევ დარეკა ტელეფონმა.
– ლია, ძალიან გთხოვთ გამიღოთ კარი.
– ახლავე გაბრუნდით უკან!
– ლია, ერთი წუთით, რაღაცას გეტყვით და წავალ!
– ახლავე წადით, თორემ ადმინისტრატორს დავურეკავ!
– ერთი სიტყვა!
– რა გნებავთ?
– გამიღეთ კარი!
– მაქედან მითხარით!
– აქედან არ შემიძლია, შემომიშვით!
– გაეთრიეთ, თორემ ახლავე დავრეკავ! – თქვა ლიამ და გავიგონე ფეხის ხმა. სისხლი მომაწვა სახეში.
– ლია!

– თქვით რა გინდათ!
– თქვენი ავთო არის ნაგავი, მათხოვარი და მაიმუნი!
– ვინ ავთო?
– აი, ის, თქვენი ავთო, ახლა რომ გირეკავთ!
– ის ჩემი ავთო არ არის!
– ვისიც არ უნდა იყოს, მათხოვარია, მას თქვენ არ უყვარხართ!
– ვიცი!
– იგი თქვენზე ამბობს, რომ თქვენ... რომ თქვენ...
– რა მე?
– რომ თქვენ აეკიდეთ მას... – მე გავჩერდი პასუხის მოლოდინში. გული ყელში მებჯინებოდა და მახრჩობდა. პასუხი არ ისმოდა.
– თქვენი ავთო ლაწირაკია, ჭუჭყიანი ლაწირაკი, მაგას არაფერი არ სწამს ქვეყანაზე, არც თქვენ, არც ძმაკაცი, მაგან სულში ჩაგაფურთხათ თქვენ, დღეს, ჩემს თვალწინ, ვიდრე კაფეში მოხვიდოდით... მე არაფერი არ მინდა თქვენგან,მე მარტო მინდა, იცოდეთ, რომ ავთო მათხოვარია და თქვენ არ უნდა გიყვარდეთ ასეთი ნაგავი...
– წადით, თემური, თქვენ მთვრალი ხართ!
– ვიცი, და მაინც თქვენი ავთო მათხოვარია...
– წადით! – თქვა ლიამ შიგნიდან ძალიან წყნარად, ისე წყნარად, რომ მე გამიკვირდა, როგორ გავიგე. ჩემი სათქმელი ვთქვი და ახლა წასვლის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა. სველ შუბლსა და სახეზე გაყინული ხელი ჩამოვისვი. თვალი რომ გავახილე და შემოვბრუნდი, ჩემს წინ გაფითრებული ავთო იდგა. იგი იღიმებოდა.
– გამარჯობათ, საშინლად დავსველდი! – ვთქვი მე უხერხულად და აღელვება რომ დამეფარა, სველი და დაჭმუჭნილი პერანგის სახელოების ჩამოშვება დავიწყე, თან დავიძაბე. ყოველ წამს რაღაცას ველოდი. ავთო მშვილდივით მოზიდული იდგა და უცებ ტანმა მიგრძნო, თავი გვერდზე გავწიე, ავთოს მუშტმა ყურთან ქარივით ჩამიქროლა, მან თავი ვერ შეიკავა და მთელი სხეულით დამეჯახა. მე წავბორძიკდი, ნოხს ფეხი წამოვდე და გულაღმა გადავვარდი. ელვის სისწრაფით წამოვხტი, და, ვიდრე წელში გავიმართებოდი, თვალებს შორის საშინელი ტკივილი ვიგრძენი და დავეცი. ისევ წამოვხტი, მაგრამ ვერაფერს ვერ ვხედავდი. ავთომ მკერდში ჩამავლო ორთავე ხელი და კედელს მიმაყუდა. აზრი და სინათლე თანდათან დამიბრუნდა. ავთომ ახლა სილა გამაწნა ლოყაში. სისხლი ისე მომაწვა საფეთქლებში, ძარღვები დამისკდებოდა მეგონა, და ვიდრე ავთო ისევ მაჭმევდა სილას, მხრებში ხელი დავავლე, ჩემკენ დავქაჩე და რაც ძალი და ღონე მქონდა, თავი დავარტყი. ავთომ დაიკენესა, ჯერ მკერდზე ჩამომეკიდა და შემდეგ ორთავე მუხლზე დაეშვა ჩემს წინ, პერანგზე ხელი დააცივდა, ვერაფრით ვერ გავაშვებინე, გავიქაჩე უკან და ნახევარი პერანგი ხელში შერჩა.
– ადექი! – ვუთხარი მე დამხობილ ავთოს, მას ხმა არ გაუცია, ორთავე ხელი სახეზე აიფარა და ასე დამხობილი დარჩა.
– ადექი! – გავუმეორე მე და მხრებში ხელი მოვკიდე. იგი ჯერ ცალ მუხლზე წამოდგა, შემდეგ მეორეზე, იგივე რომ არ განმეორებულიყო, რაც წუთის წინ, უკან დავიხიე. ავთო წელში გაიმართა, დიდხანს მიყურა უაზრო თვალებით.
– სადმე შეგხვდები! – თქვა მან ყრუდ და გახეთქილი ტუჩიდან სისხლი მოიწმინდა.
– სადაც გინდა! – ვუთხარი მე. იგი შეტრიალდა და დერეფანს გაყვა, მერე გაჩერდა და ჩემკენ მოტრიალდა.
– კაცი არ ვიყო, თუ შეგარჩინო! – თქვა მან.
– ფეხები არ მომჭამო!
– ენახოთ! – გაიღიმა მან ცალყბად.
– ენახოთ! – ვუთხარი მე. იგი შეტრიალდა და წავიდა.
მესამე სართულზე ავედი და ვიდრე ჩემს ნომერში შევიდოდი, გულიკოს კარზე დავაკაკუნე.
– ვინ არის? – მომესმა შიგნიდან.
– გულიკო, მე ვარ, თემური, გააღე კარი!
– ვწევარ!
– არა უშავს, გააღე კარი!
– დილით მოდი, ახლა მძინავს.
– დილით არა, ახლა გამიღე! – კარი გაიღო, გულიკო არ იწვა. სველი პერანგშემოხეული და ნაცემი რომ დამინახა, უკან დაიხია.
– რა მოგივიდა, ბიჭო? – მითხრა მან გაკვირვებულმა.
– დაჯექი! – ვუთხარი მე. გულიკო საწოლზე დაჯდა და გაკვირვებული თვალს არ მაცილებდა.
– რა მოგივიდა?
– მე ახლა იმ კრეტინს ვეჩხუბე, – ვთქვი მე და პაპიროსს მოვუკიდე, ნაფასი დავარტყი და პაპიროსს რომ დავხედე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ ტუჩები გახეთქილი მქონდა. პაპიროსი სისხლიანი იყო.

–ვინ კრეტინს? – გაუკვირდა გულიკოს.
– იმ გაკრეჭილ კრეტინს!
– რისთვის?
– არ ვიცი!
– იმ გაპრანჭული გოგოსთვის?
– ჰო!
– მერე, იმდენად თავხედი ხარ, მოდიხარ და ყველაფერს მე მიყვები?
– იმ კრეტინმა იმ გაპრანჭულ ქალზე თქვა, კახპაოო.
– მერე შენი რა საქმეა?
– აბა, ვისი საქმეა?
– შენ მიგაჩნია, რომ ეს შენი საქმეა?
– მე ვიცი, რომ ის ქალი პატიოსანი ქალია!
– მაინც საიდან იცი? – დამცინავად გაიღიმა გულიკომ.
– არ ვიცი, ისე მიეხვდი!
– არ იცი, ისე მიხვდი?
– შენც, ალბათ, მე რომ მახლავხარ, ვიღაცას კახპა გონიხარ.
– ჯერ ერთი, მე შენ არ გახლავარ, მეორეც, ეგ მე სულ არ მაწუხებს.
– შენ არ გაწუხებს, რას ფიქრობს ხალხი შენზე?
– არა! – თქვა გულიკომ.
– მე მაწუხებს!
– შენ მიხვდი, რომ ის ქალი პატიოსანია და ამიტომ მოდი ჩემთან? – მკითხა გულიკომ და ისევ დაცინვით გაიღიმა.
– არა, მე მივედი მასთან და ვუთხარი, რომ ის გაკრეჭილი მათხოვარია და მაიმუნი.
– მერე?
– მერე ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ვიჩხუბეთ.
– ჩემგან რა გინდა ახლა? – მკითხა გულიკომ და წამოდგა.
– მე მინდა, რომ შენ ახლა ადგე და ჩვენ წავიდეთ თბილისში.
– რატომ?
– მე აღარ მინდა აქ ყოფნა.
– გეშინია?
– ხო, მეშინია! – ვთქვი მე.
– იმ ბიჭის გეშინია?
– არა, ჩემი თავის მეშინია!
– მე არსად არ წამოვალ, გადი ახლა, უნდა დავიძინო.
– არა, შენც უნდა ადგე და წამოხვიდე, მატარებელი თორმეტ საათზე გადის.
– მე არ წამოვალ! – თქვა გულიკომ ჯიუტად და დაჯდა.
– შენ თუ გიყვარვარ, ახლავე ადგები და წამოხვალ ჩემთან ერთად.
– არა! – თქვა გულიკომ.
– კარგი, მე დამნაშავე ვარ, მაპატიე რაც მოხდა, ოღონდ ახლა ადექი და წამოდი თბილისში.
– მე არავისი არ მეშინია, არც იმისი, რომ ვინმე შემიყვარდება, ამიტომ არ წამოვალ! – თქვა გულიკომ.
– შენ გგონია, მე იმიტომ მივდივარ, რომ მეშინია ლია არ შემიყვარდეს? – ეკითხე გულიკოს.
– ჰო! – თქვა გულიკომ და თვალებში შემომხედა, გულიკო მართალი იყო, ველარაფერი ვუპასუხე, ისევ პაპიროსს მოვუკიდე და გავჩუმდი. დიდხანს ვისხედით ასე. მერე მე ავდექი, გულიკო ადგილიდან არ განძრეულა.
– მაშინ მე მარტო წავალ! – ვთქვი მე.
– წადი! – თქვა გულიკომ ისე, რომ ჩემკენ არც გამოუხედავს.
ჩემს ნომერში რომ შევედი, გურამს ეძინა. ფეხაკრეფით მივედი და საწოლის ქვეშიდან ჩემოდანი ფრთხილად გამოვათრიე. ტანზე გამოვიცვალე და ასევე ფეხაკრეფით გამოვედი გარეთ. დერეფანში კედლის საათს შეეხედე – თორმეტის ათი წუთი იყო. რესტორნიდან გულისამრევი მრავალჟამიერი ისმოდა. ფოიეში ჩავედი, ადმინისტრატორი თავის ჯიხურში იჯდა და თვლემდა.
– საშა! – ვთქვი მე წყნარად.
– ნომერი არ არის! – მოიფშვნიტა სახე ადმინისტრატორმა, მერე შემხედა და თვალები გადმოკაკლა.
– პასპორტი მომეცი!
– რას გავხარ? – მკითხა გაკვირვებულმა.
– სადგურზე მაგვიანდება, პასპორტი მომეცი, თუ ძმა ხარ! – ვთხოვე მე.
– ყველა მიდიხართ?
– მარტო მე!
– იჩხუბეთ?
– არა!

– აბა, რა გჭირს?
– კაცო, შენ ექიმი ხარ თუ ადმინისტრატორი? პასპორტი მომეცი.
– ჩემს ტერიტორიაზე ექიმიც ვარ და ინჟინერიც!
– არ მაძლევ პასპორტს? – ადმინისტრატორმა კატალოგში მოძებნა ჩემი პასპორტი და გამომიწოდა.
– ფულს შენ გადაიხდი თუ შენი ძმაკაცი?
– ჩემი ძმაკაცი!
– მაინც რა მოგივიდა? – არ მომეშვა ადმინისტრატორი.
– ხეს დაევჯახე!
– გვერდი ვერ აუქციე?
– ვერა!
– ხშირად მოგდის მასე?
– ხშირად!
– კარგ დროს გაატარებ, აბა, შენ, კაცმა ტყეში რომ შეგიშვას!
– ნახვამდის!
– კარგად იყავი, კედელ–კედელ იარე, თუ ძმა ხარ, თორემ გზაში ისეთი გამწვანებაა, სადგურამდე სული არ ჩაგყვება! – მთხოვა ადმინისტრატორმა.
– ვეცდები, ბატონო! – დავპირდი მე.
– აბა, შენ იცი! – გამომიწოდა ხელი საშამ. – გუშინ რომ ლექსი დავწერე, ხომ არ გინდა წაგიკითხო? – მკითხა უცებ საშამ.
– გრძელია? – ვკითხე მე და საათზე დავიხედე, მატარებლის გასვლას ოცი წუთი აკლდა.
– არა!
– თუ ძმა ხარ, არ დამაგვიანო! – ვთხოვე საშას.
– ა, ბატონო...

კარგი არის ზღვა შავი მდელვარების ჟამს,
იგი თითქოს მთვრალია, თუმც ღვინოს არ სვამს.
ყოველ წუთს, ყოველ დღეს და საღამოს ჟამს
გაუმარჯოს სიყვარულით მობობოქრე ზღვას.
ახლა როცა ღამეა და გარეთ წვიმა ცრის,
მე ვდარაჯობ დღე და ღამე სასტუმრო ინტურისტს,
გარეთ ქარი, გარეთ ქარი, გარეთ ქარი ქრის,
ჩვენ ოთხნი ვართ – მე, ზღვა შავი, ბათუმი და ის...

– რას იტყვი? – დადარაჯებული ხმით მკითხა საშამ და თვალები მოწურა.
– გალაკტიონს გავს სადღაც, რაღაცაში, შე ეშმაკო! – ვუთხარი მე და თითი დავუქნიე.
– მერე ცუდია მაგი? – გაუხარდა საშას.
– ცუდი როგორაა, პირიქით, კარგია! – მხარზე დავკარი ხელი საშას.
– აბა, კარგი თუა, ნუ დამამადლი და თბილისში რომ ჩახვალ, „მნათობის“ რედაქტორს მიუტანე ჩემი სახელით, არ მოგერიდოს, ყოველ წელს აქ ისვენებს ჩემთან, „ინტურისტში“.
– მაგას როგორ დაგამადლი.
– ჰონორარი „ინტურისტის“ მისამართით გამომიგზავნოს. ჰო, უთხარი ფსევდონიმით დაბეჭდოს.
– რა ფსევდონიმით?
– იცის მან.
– მაინც?
– „დელფინი!“
– სტავრიდა ან ბარაბულკა არ აჯობებდა? – ვურჩიე მე.
– კაცო, შენ რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე! – მითხრა საშამ და ეჭვის თვალით შემომხედა.
– შენ იცი, ნახვამდის! – გავუწოდე ხელი საშას.
– ნახვამდის! – მითხრა მან და ხელი მაგრად ჩამომართვა.
ლექსი ჯიბეში ჩავიდე და სასტუმროდან გამოვედი.

აბიბო

აბიბო თოდრია ჩვენს ქვედა სართულზე ცხოვრობს. იგი მამაჩემის მეგობარი იყო თურმე, ბავშვობაში კისერზეც კი მისვამდა ხოლმე და აჩუ, აჩუს ძახილით დამარბენინებდა. ეს, რა თქმა უნდა, მე არ მახსოვს, სამაგიეროდ ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც სამხრეები შემოიღეს, აბიბო სადარბაზოში შემხვდა, კიბეებზე, სამხრეებიანი კიტელი და ხრომის ჩექმები ეცვა. თითო ორხაზიან სამხრეზე, იქით–აქეთ, ორ–ორი ვარსკვლავი ეკეთა. – პოდპოლკოვნიკია, – გავიფიქრე მე და გაზეთში გამოქვეყნებული სამხრეების ნიმუშები გამახსენა.
მე კიბეზე ჩამოვრბოდი, ხელში პურის წიგნაკი მეჭირა.

– სად მიდიხარ? – მკითხა მან ღიმილით და სამხრეებზე დაიხედა.
– პურზე!
– გშია?
– ჯერ არა!
– საერთოდ თუ გშია?
მე ვერ გავიგე რა უნდოდა და მხრები ავიწურე.
– დედაშენის რა ისმის?
– არაფერი!
– მამაშენის?
– არაფერი!
– ყვითელი ფერი რატომ გაქვს, ავად ხომ არ ხარ?
– არა!
– არც ყოფილხარ?
– კი!
– რა გჭირდა?
– პლევრიტი!
– სულფიდინს სვამდი?
– არა!
– რატომ?
– ვერ ვიშოვე, ძვირია!
– მდა, კია ძვირი!.. ხომ სწავლობ?
– კი!
– როგორ სწავლობ?
– კარგად!
– შენ მაინც ივარგე, შენმა მშობლებმა შეირცხვინეს თავი და... – აბიბო წავიდა.
აბიბო ყოველთვის მხვდებოდა კიბეზე ან დილით ადრე, ან გვიან საღამოს და ყოველთვის მეკითხებოდა:
– როგორ ხარ, ბიჭო, თეიმურაზ?
– კარგად, აბიბო ბიძია!
– ხომ არ გშია, თუ მოგშივდეს, არ მომერიდო. დღეს ჭამე რამე?
– არა!
– რატომ მერე, უნდა ჭამო! სიცხე ხომ არ გაქვს, რაღაც თვალები გიპარპალებს!
– არა!
– ხომ სწავლობ?
– კი!
– კომკავშირში მიგიღეს?
– კი!
– აბა, შენ იცი!
და ასე ყოველთვის.
დედა რომ დაბრუნდა, ერთი კვირის თავზე, აბიბო კიბეზე შემხვდა. იგი თავისი სახლის კარს აღებდა. მე რომ დამინახა, სახე გაუნათდა!
– ო, თეიმურაზს ვახლავარ, თეიმურაზს!
– ძია აბიბოს გაუმარჯოს!
– შემოდი, ბიჭო, ჩემთან, არ გრცხვენია, ამხელა კაცი გაიზარდე და ერთხელ არ შემოგიყვია ცხვირი ჩემს ქოხში. აბა, შემოდი! – ვიდრე უარს ვეტყოდი, მხარზე ხელი დამარტყა და ოთახში შემიყვანა.
– დაჯექი! – მითხრა მან და რაღაც მძიმე ქსოვილგადაფარებულ მრგვალ მაგიდასთან დამსვა.
მე დავჯექი და ოთახის თვალიერება დავიწყე. აბიბო მეორე ოთახში გავიდა. ოთახში, რომელშიც მე ვიჯექი, კედელთან, შორაპნის სადგურში რომ უზარმაზარი ბუფეტი დგას, იმხელა შავი ბუფეტი იდგა, ვერცხლის და ოქროს წყალში ამოვლებული ჭურჭლით სავსე. ბუფეტის თავზე ორი ვეებერთელა ბროლის ვაზა იდგა აქეთ–იქით. შუაში კიდევ ერთი, გემის ფორმის ბროლის ვაზა. სამივე ვაზა ხილით იყო სავსე და ისე შორს იდგა ჩემგან, რომ როგორც ნატურმორტს ისე აღვიქვამდი. ხელმარჯვენივ, მთელ კედელზე იმხელა ნოხი ეკიდა, იატაკსაც ჰფარავდა, ნოხზე უსაშველოდ დიდი ირმის რქები ეკიდა. ირმის რქებზე ათასი ჯურის იარაღი. ცოტა ქვევით, დიდი, შავი ჩარჩოდან ვიღაც ულვაშებაპრეხილი, ფაფახიანი კრეტინი და სანდომიანი სახის ქალი მიმზერდა. მათი სურათი ვერცხლისვარაყიანი ხმლების ჯვარედინში იყო მომწყვდეული. ჩემს პირდაპირ საწერი მაგიდა იდგა. საწერ მაგიდაზე თეთრი მარმარილოს უხმარი საწერი მოწყობილობა იდო. მის გვერდით, – თეთრივე მარმარილოს მსუქანი კაცის ბიუსტი. საწერი მაგიდის უკან წიგნებით გამოჭედილი კარადა. ჩემს უკან შავი როიალი და როიალის თავზე თეთრი სპილოები. იქით ოთახში რა ხდებოდა, ეშმაკმა იცის, უცებ კარი გაიღო და ოთახში აბიბო შემოვიდა. მას ლურჯი და თეთრზოლიანი პიუამა ეცვა, თავზე ზამშის ჩაჩი ეხურა, ფეხები

ფოსტლებში გაეყარა და ორივე ხელში ყავით სავსე, სათითურისოდენა, ორი ფინჯანი ეკავა და ძალიან ჰგავდა გამოქცეულ კატორღელს. იგი მოვიდა, ყავა მრგვალ მაგიდაზე დადგა, საწერი მაგიდის უჯრიდან კონიაკი გამოიღო, ისიც მაგიდაზე დადგა, მერე ბუფეტის თავიდან ხილი გადმოიღო, ისიც მაგიდაზე დადგა და გვერდით მომიჯდა.

– რას იტყვი? – მკითხა მან.

– რა ვთქვა? – ვკითხე მე.

– ხომ ხარ მაგრად?

– ისე რა!

– აბა, თითო გადავკრათ! – თქვა მან და დაასხა.

ჩვენ გადავკარით. მე ისევ ოთახის თვალიერება დავიწყე.

– მამაჩემია! – თქვა მან და თავი სურათისკენ გაიქნია.

– ძალიან გავხართ!

– მამაა და, აბა, რა იქნება. დედაშენი ჩამოსულა, გავიგე! – მითხრა უცებ აბიბომ და თვალი თვალში გამიყარა.

– კი, ერთი კვირაა უკვე! – ვუპასუხე მე და თვალი ავარიდე.

– რაო, საწყალმა? – არ მომაცილა თვალი აბიბომ.

– არაფერი!

– არაფერს არ ყვება?

– არაფერს! – ვთქვი მე და თავი გავიქნიე.

– სულ არაფერს?

– ცოტას რაღაცას!

– მაინც?

– გვიჭირდაო!

– მერე?

– მერე არაფერი!

– მაინც?

– არც კი ვიცი, რაზე ვიტანჯებოდიო.

– არაო?

– არაო!

– მამაშენი ხომ არ შეხვედრია?

– სად?

– იქ!

– არა.

– ჩემზე ხომ არ უთქვამს რამე? – მკითხა აბიბომ და თვალები მოწურა.

– თქვენზე რა უნდა ეთქვა?

– ისე, არ ვუკითხივარ?

– კი!

– რაო? – თქვა აბიბომ და ჩემკენ გადმოიხარა.

– როგორ გადარჩა ეგ საწყალიო!

– აბა, აბა, – გადაიქნია თავი აბიბომ და ისევ დაასხა კონიაკი. – კიდევ რას ამბობს?

– მეტს არაფერს, რა უნდა თქვას, მთელი დღე ზის და კითხულობს.

– რას კითხულობს?

– რაც შეხვდება!

– აბა, ჩემზე სხვა არაფერი უკითხავს? – მკითხა ისევ დადარაჯებულმა აბიბომ.

– მეტი არაფერი. თქვენ, რა, იცით რამე, აბიბო ბიძია? – ვკითხე ახლა მე.

– მე რა უნდა ვიცოდე, ბიჭო?! – შეკრა წარბი აბიბომ.

– რა ვიცი, ისე ჩამაცივდით, ჩემზე რა თქვაო, რა თქვაო...

– ჩაგაცივდი რას ქვია, ბიჭო, ისე გეკითხები, მეზობელმა მეზობელი არ უნდა მოიკითხოს?

– ჰო, ამობრძანდით და ნახეთ, თუ რამე სათქმელი აქვს, თვითონ გეტყვით.

– როდესაც მექნება საშუალება, ამოვალ.

– წავალ ახლა მე, აბიბო ბიძია!

– წადი!

მე ავდექი და კარისკენ წამოვედი.

– ნახვამდის! – ვთქვი კართან.

– ნახვამდის! – თქვა აბიბომ. – მოიცა! – გამაჩერა უცებ. – დედაშენს ნურაფერს ნუ ეტყვი. ჩემთან რომ იყავი, იმასაც ნუ ეტყვი, ხომ იცი, მოიგონებს ძველ ამბებს და გული ეტკინება. გასაგებია? – ეს ბოლო სიტყვა კი არ მითხრა, მიბრძანა და თვალი თვალში გამიყარა. მე ურუანტელმა დამიარა ტანში.

– ახლა წადი! – თქვა მან და კონიაკი პირდაპირ ბოთლიდან მოსვა.

მე კარი გავიხურე.

თავერა

– ადექი, შვილო, ვიღაც კაცი გკითხულობს! – გამაღვიძა დედამ შუაღამისას.

გაკვირვებული ავდექი და შარვალი ჩავიცვი.

– ვინ არის, შემოვიდეს!

– არ შემოდის, ერთი წუთით თემოს სთხოვეთო. – თქვა დედამ და შეშინებული თვალებით შემომხედა. მე გარეთ გავედი. სადარბაზოში ოთახთან შედარებით ბნელოდა. კარებში საშუალო ტანის, თვალებზე კეპჩამოფხატული კაცი იდგა. ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა.

– ვინ გნებავთ? – ვკითხე მე.

– თემო, ბოდიში, მეგონა, მარტო იყავი. გნახე და წავალ!.. – თქვა უცნობმა. მისი ხმა საოცრად მეცნაურა, მაგრამ მაინც ვერ მიეხვდი, ვინ იყო.

– ვერ მიცანი?

– უკაცრავად, ვერ გიცანით!

უცნობმა ცალყბად გაიღიმა.

ღმერთო, სად მინახავს ეს ღიმილი. როგორ გავს. მეცხრე კლასი... ვერა... უკანა მერხი... დიდი დასვენება... კოჭი... ჯილა, თავერას ჯილა კოჭები... სიზი აღრანი... თავერას მტრედები... რამაზ კორსაველი, თავერა, თავერა, თავერა...

– თავერ!.. – ვიბღავლე მე და სკოლის დაკარგულ მეგობარს მოვეხვიე. – თავერ, შენა ხარ, ბიჭო? შემოდი, თავერ, სადა ხარ, თავერ, შენა ხარ, ბიჭო?.. – თავერა თავს აკანტურებდა, უხერხულად იღიმებოდა. ოთახში შემოვათრიე და პირდაპირ ჩემს ლოგინზე დავსვი.

– დედა, რამე გაქვს? დედაა ჩემი! – თავერა წამოდგა და თავი დაუკრა.

– დაჯექი, შვილო! – უთხრა დედამ და სამზარეულოში გავიდა.

– საიდან, თავერ, მოყევი, ახლა გაგანთავისუფლეს? – ვკითხე თავერას და პიჯაკის ღილებს გახსნა დავუწყე.

– შენ როგორ ხარ, თემო?

– ვარ, რა!

– გნახე და წავალ ახლა.

– გიჟი ხომ არა ხარ, სად უნდა წახვიდე! დედა, მოგაქვს რამე? – გავძახე დედას.

– თემო, წავალ და ხვალ გნახავ, შენთან დიდი საქმე მაქვს.

– რა საქმე, ახლა მითხარი.

ოთახში დედა შემოვიდა, მაგიდაზე პური, ყველი და ხახვი დადო, – მერე მაგიდასთან დაჯდა.

– ჭამე, თავერ, გშია, ალბათ.

– გმადლობთ. – თქვა თავერამ და პატიჟი არ დაუწყია. იგი ჭამდა დინჯად, ენერგიულად და თავდაჭერილად, ეტყობოდა, ძალიან შიოდა და არ იმჩნევდა. მე არაფერს არ ვეკითხებოდი, არც ის ამბობდა. ბოლოს, ჭამა რომ დაამთავრა, პაპიროსი ამოიღო, მეც მომაწოდა. ერთად გავაბოლეთ.

– თქვი სათქმელი. – ვუთხარი მე.

– წავალ. – თქვა თავერამ.

დედა გაკვირვებული გვიმზერდა.

– ეს ჩემი სკოლის მეგობარია, დედა, რამაზ კორსაველი, არ გახსოვს? ზედმეტ სახელად თავერას ვეძახდით...

დედამ გაიღიმა და თავი გაიქნია, არ მახსოვსო.

– თავერა კორსაველი როგორ არ გახსოვს, თავერა, მტრედები რომ ჰყავდა, მე რომ მაჩუქა, ორი საფოსტო მტრედი... პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით.

– არ მახსოვს, შვილო. – თქვა დედამ წყნარად. მერე წამოდგა და აივანზე გავიდა. – მე იქ დავწვები. შენ ჩემს ლოგინში დაწექი.

– მე წავალ, ქალბატონო! – თქვა თავერამ.

– იყავი, შვილო! – გაუღიმა დედამ. – ყველანი დავეტევით.

დედა დაწვა. მე და თავერა ერთმანეთის პირდაპირ ვისხედით. მე თავერას თვალს არ ვაცილებდი, ის კი დანის წვერით მაგიდაზე პურის ნაფჩხვენებს აგროვებდა, მერე შუაზე ყოფდა, ისევ აგროვებდა, ასე განუწყვეტლივ.

– თქვი, თავერ! – ვუთხარი მე და მოსასმენად მოვემზადე.

– მომბეზრდა, თემო, აღარ შემიძლია, 10 წელი ძალიან ბევრია...

მე საშინელმა ეჭვმა გამიელვა თავში.

– ექვსი წელი მეყო... კიდევ ოთხ წელიწადში სიცოცხლე მორჩება. არც მაგათი „პრავა“ მინდა, არც მაგათი „რამკები“, არც მაგათი კარგი ბიჭობა, მე ქურდი არა ვარ... მორჩა, ან ახლა უნდა დამიჯერონ, ან უნდა მოვკვდე, მეტი აღარ იქნება, მე ჩემი ბაზარი მოვრჩი...

– თავერ, შენ რა, გამოიპარე? – ვკითხე მე და პასუხის მოლოდინში პირი გამიშრა.

– მე, გიჟო, გივია, ლამაზ ვახო და ირაჩა...

– როგორ?

– ზონაში სტუდებეკერი იდგა, გასაღები შიგ იყო. იდგა უშოფროდ, ნახევარი საათი, ერთი, ორი, მერე გიჟო რულზე დაჯდა, მე გვერდით, გივია, ლამაზ ვახო და ირაჩა ძარაზე დაწვნენ.

გიჟომ მოტორი ჩართო, ყურადღება არავინ მოგვაქცია, უკან დაიხია, მერე პირველი სიჩქარე, მეორე, ბოლომდე მისცა გაზი და პირდაპირ ჭიშკარს დაარტყა, ჭიშკარი შუაზე გაიხსნა და წავედით... ოთხივე კოშკიდან გვესროდნენ ავტომატებს... პარპრიზი მარილივით დაიფშვნა, ვიდრე აზრზე მოვიდოდნენ, გზაზე გავედით, მანქანა გზაზე დავაგდეთ. ლამაზ ვახო და ირაჩა დაბრედილები იყვნენ. ლამაზ ვახოს თავის ქალა ჰქონდა ახდილი... – თავერა ადგა. – სხვადასხვა მხარეს წავედით, ეს სამი დღის წინ მოხდა... – თქვა მან და დანა ისე გადაღუნა, ხელში ჩაატყდა. – ახლა მე მეძებენ. მეტი აღარ შემიძლია, კიდევ ოთხ წელს იქ ვერ გავძლებ, ან უნდა დამიჯერონ, ან მორჩა... – თავერა დაჯდა და ისევ დადუმდა. მე ციცი ოფლი მოვიწმინდე შუბლიდან, ავდექი და ოთახში გავიარე.

– ახლა მეძებენ. მე შენთან ვარ, გნახე და წავალ, შენ მაინც იცოდე, იმიტომ არ გამოვქცეულვარ, იქ რომ დავბრუნდე ისევ... მეც შენსავით მინდა თბილ ლოგინში წოლა, სწავლა, მუშაობა... მეყო, ოთხ წელიწადში ცხოვრება გათავდება... ან უნდა მაპატიონ, დამიჯერონ, ან თავს მოვიკლავ და იქ აღარ წავალ...

– დაჯექი! – ვუთხარი მე. თავერა დაჯდა. – რამე უნდა მოვიფიქროთ! – ვთქვი მე და თვითონვე გამეცინა ჩემს ნათქვამზე. მე რა უნდა მოვიფიქრო–მეთქი.

– რა უნდა მოვიფიქროთ! – თითქოს მიხვდაო ჩემს ფიქრს თავერა, ცალყბად გაიღიმა.

თავერა ისევ პურის ნამცეცებს აგროვებდა დანით. მე გადატეხილი დანის ნაწილებს ვაერთებდი. დანა ისე ერთდებოდა, გადატეხილ ადგილს ვერ შეამჩნევდი. ხელს რომ ვუშვებდი, პირი მაგიდაზე ეცემოდა და მე მეორე ხელში მხოლოდ ტარი მრჩებოდა. დიდხანს ვისხედით ასე. ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, თავერას შევხედე. იგი კვლავ თავჩაღუნული იჯდა.

– დედა! – ვთქვი მე ჩუმად.

– ჰო, დედა! – მიპასუხა დედამ აივნიდან.

– გაიგონე?

– გავიგონე!

– ყველაფერი გაიგონე?

– ყველაფერი. – მე თავერას შევხედე, თავერას თავი არ აუწევია.

– რა ვქნათ, დედა?

დედა დადუმდა, ალბათ, ფიქრობდა, რა უნდა გვექნა. იგი დიდხანს ფიქრობდა. პასუხი რომ დააგვიანა, თავერამ თავი აწია, იგი იმედით იცქირებოდა იქითკენ, საითაც დედა იწვა და თვალები მოლოდინით ჰქონდა სავსე. პაპიროსი აიღო, ასანთს რომ უკიდებდა, შევატყვე, ხელები უკანკალებდა.

– ა, დედა?! – ველარ გავუძელი მოლოდინს.

– ძალიან ძნელი საქმეა, შვილო... – თქვა ბოლოს დედამ.

– მაინც რა ეშველება?

– არ ვიცი, მე მგონი, ასეთი საქმის პატიება არ შეიძლება!

– რატომ? – ვკითხე მე და თავერას შევხედე.

– არ ვიცი რატომ, მაგრამ არ შეიძლება.

– კაცს თუ სწავლა უნდა, თუ ქურდობას თავს ანებებს, თუ მოსწყინდა ასეთი ცხოვრება...

– ამას ყველა პატიმარი ამბობს, მაგრამ არ უჯერებენ, – თქვა დედამ წყნარად.

– რატომ?

– არ ვიცი რატომ, ალბათ, ყველას არ დაეჯერება!

– თავერა ყველა არ არის, მე ვიცი, თავერა რასაც ამბობს, მართალია.

– შე რომ იცი, შენ არავინ გკითხავს! – მითხრა დედამ. შევატყვე, ვბრაზდებოდი.

– როგორ არ მკითხავს, შენ ყველაფრის გეშინია, არაფრის არ გჯერა, ყველაფერზე არას და არ ვიცის ამბობ. მე მივალ ყველასთან, ვთხოვ, აეუხსნი, შევეხვეწები, დავუმტკიცებ, რომ თავერასაგან კაცი გამოვა, სულაც ძია აბიბოსთან მივალ...

– მიდი, შვილო! – თქვა დედამ წყნარად და ამის შემდეგ ხმა არ ამოუღია...

– ნუ გეშინია, თავერ, რამეს გავაკეთებთ, მოვიფიქრებთ, ხვალ დილით აბიბოსთან მივალ...

– ვინ არის აბიბო? – მკითხა თავერამ.

– აბიბო პოდპოლკოვნიკია!

– დედაშენი მართალია, არაფერი გამოვა. ასჯერ მაინც დავწერე განცხადება, ყველაფერს ვწერდი შიგ, ან არ კითხულობენ, ან არ ჯერათ... – თქვა თავერამ.

– დედაჩემმა რა იცის, შენ რა გინდა, მე მივალ, ვთხოვ, გინდა ახლავე მივალ? გავაღვიძებ, ვთხოვ... ბოლოსდაბოლოს, კაცია, გაიგებს, ან ჰოს იტყვის, ან არას, გინდა შენც მიგიყვან?

– ჩემი მისვლა არ შეიძლება.

– მაშ, შენ ჩემთან იყავი, არსად წახვიდე!

– ჩემი ქუჩაში გასვლა და მოკვლა ერთია... – გაიღიმა მწარედ თავერამ.

– მე წავალ და ყველაფერს ვეტყვი, დედა, მე მივდივარ!

– მაინც ნუ ეტყვი სად არის! – დამაწია ხმა დედამ.

კიბეზე ჩავედი. აბიბოს კარს რომ მივადექი, ცოტა შევყოყმანდი. იქნებ ხვალ აჯობებდა მისვლა, იქნებ სულაც არაფერი არ უნდა ვუთხრა ამ კაცს? იქნებ, მაგრამ მე სხვას არავის ვიცნობ, სხვა

რა შემიძლია? ან თაევრას სხვა რა გამოსავალი აქვს? თვითონ ამბობს: ქუჩაში მომკლავენო, თუ არ დამიჯერეს, თავს მოვიკლავო... სხვა გზა არც თაევრას აქვს, არც მე.

ელექტროღილს თითი დავაჭირე გაბმულად. ცოტა ხანში შიგნიდან ფოსტლებისა და აბიბოს ხრინწიანი ხმა გაისმა:

– ვინ არის?!

– მე ვარ, ძია აბიბო, თემური!

– რა მოხდა?

– საქმე მაქვს, ძია აბიბო, გადაუდებელი! – ვთქვი მე.

ჯაჭვით დაბმული კარი ოდნავ გაიღო, აბიბომ ცხვირი გამოყო, გაკვირვებულმა ამათვალიერ–ჩამათვალიერა, ბოლოს მკითხა:

– მარტო ხარ?

– მარტო.

აბიბომ ჯაჭვი ახსნა და კარი გააღო.

– შემოდი!

მე შევედი.

– ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, ძია აბიბო, მაგრამ ისეთი საქმე მაქვს...

აბიბო საწერ მაგიდას მიუჯდა, მთავარი ნათურა ჩააქრო და მაგიდის ნათურა აანთო. მე სიბნელეში აღმოვჩნდი.

– დაჯექი! – თქვა აბიბომ და ნათურა პროჟექტორივით მომანათა თვალებში. მე თვალები დავხუჭე.

– ცოტა მიაბრუნეთ, თორემ ვერაფერს ვხედავ! –ვთხოვე აბიბოს.

აბიბომ ნათურა მიაბრუნა, მე ახლოს მივედი მაგიდასთან და წინ დავუჯექი.

– რაშია საქმე? – მკითხა აბიბომ.

მე ისევ შევყოყმანდი, ვუთხრა თუ არ ვუთხრა? იქნებ არ ღირს?.. არ უთხრა, არ უთხრა, არ უთხრა... ჩაქუჩივით მცემდა საფეთქლებში ეს ორი სიტყვა... უთხარი, უთხარი, უთხარი... დაგადუგი გაჰქონდა გულს...

– დამუნჯდი? – მკითხა აბიბომ და სკამზე შეწრიალდა.

ვეტყვი, გადავწყვიტე მე და ნერწყვი გადავყლაპე.

– ძია აბიბო, ამ სამი დღის წინ, კოლონიიდან პატიმრები გაიქცნენ სტუდებეკერით...

– ვიცი! – თქვა აბიბომ და თვალები შემომანათა.

ღმერთო, რა ლურჯი და გამჭვირვალე თვალები აქვს ამ კაცს, ისეთი გამჭვირვალე, მგონი, კეფა უჩანს. როგორ შეიძლება ამ თვალების პატრონს არ ენდო... გავიფიქრე მე.

– ხუთნი გაიქცნენ: გივია, გიჟო, ლამაზ ვახო, ირაჩა და თაევრა... რამაზ კორსაველი.

– ვიცი, მერე? – თქვა აბიბომ მოუთმენლად.

– იმ ხუთში ორი მოკლეს, ირაჩა და ლამაზ ვახო.

– ეგეც ვიცი!

– დარჩენილ სამში ერთ–ერთი ჩემი სკოლის მეგობარია.

– გვარი?

– კორსაველი!

– სახელი?

– რამაზი, თაევრა.

– სად არის? – ისე მოულოდნელად მკითხა აბიბომ, რომ ენა დამება.

– სად არის?.. ახლა არ ვიცი... დილით ვნახე, მერე... ახლა სად არის, არ ვიცი...

– არ იცი?

და მე მივხვდი, რომ ეს უკვე დაკითხვა იყო.

– ახლა სად არის, არ ვიცი! – როგორც იქნა, დავიწმინდე ხმა.

– მერე?

– ძია აბიბო, მე და თაევრა ერთად ვსწავლობდით... თაევრა ექვსი წელია ზის, მეტი აღარ შეუძლია, თაევრამ თქვა, ექვსი წელია ასი განცხადება დავწერე, ან არავინ კითხულობს, ან არ მიჯერებენ.მეტი აღარ შემიძლიაო, თავს ვანებებ ქურდობასო, სწავლა მინდაო, მშვიდი ცხოვრება მინდაო, პატრონი არ მყავს, ვისთან მივიდე არ ვიციო, ან უნდა დამიჯერონ, ან თავს მოვიკლავო. კიდევ ოთხ წელს ვერ გავძლებ, სიცოცხლე გათავდებაო... ახლა ჩემს მეტი პატრონი არავინ ჰყავს. მე კიდევ თქვენს მეტს...

– შენს მეტი პატრონი არ ჰყავს? – მკითხა აბიბომ.

– არა!

– და დასახმარებლად შენთან მოვიდა?

– ჰო!

– და შენ – ჩემთან, შუადამეზე? – მკითხა აბიბომ.

მე აბიბოს მზერას ვერ გავუძელი და თვალები დავხარე.

– ახლა სად არის, არ იცი? – არ მომეშვა აბიბო.

– მე ვუთხარი თქვენზე, როგორი კარგი კაცი ხართ, თქვენ დაეხმარებით და რომ თქვენ დაუჯერებთ მას...
– თვითონ რატომ არ მოვიდა?
– ვერ გაბედა!
– მაპატიონო?
– დამიჯერონო, ალარ მინდა ქურდობა, ადამიანური ცხოვრება მინდაო.
– მინდაო?
– ძია აბიბო, თქვენ ჩემი თუ გჯერათ? – ვკითხე უცებ აბიბოს. აბიბო, ეტყობა, ასეთ კითხვას არ ელოდა და ოდნავ შეყოყმანდა.
– ჩემი თუ გჯერათ, ძია აბიბო? – გავუმეორე კითხვა.
– გაჩნია რა?
– საერთოდ!
– საერთოდ? საერთოდ შენ კარგი ბიჭი ხარ და რატომ არ უნდა მჯეროდეს შენი?
– ჰოდა, თავერა ჩემზე კარგი ბიჭია, იგი ჩემთან რომ სწავლობდა, ფრიადოსანი იყო, ცხრა ქების სიგელი აქვს სახლში, ცხრა... ერთხელ შეცდა, არ უნდა აპატიონ? არ უნდა დაუჯერონ? ჩემი თუ გჯერათ, თავერასაც უნდა დაუჯეროთ... ძია აბიბო, ისე გააკეთეთ, ვითომ მე ვარ თავერა. თქვენ ყველა დაგიჯერებთ, ყველა პატივს გცემთ...
– ხვალ! – თქვა აბიბომ და შუქი ჩააქრო.
– რა ხვალ? – ვკითხე მე.
– ხვალ გავიგებ ყველაფერს, ხვალ საღამოს.
მე ვერ ვხედავდი აბიბოს სახეს. ოთახში საშინლად ბნელოდა.
– ხვალ მოვიდე, ძია აბიბო? – ვკითხე მე და ავდექი.
– ხვალ საღამოს! – აბიბომ ოთახის მთავარი შუქი აანთო. იგი ზურგით იდგა ჩემკენ, რომ შემოტრიალდა, სახე ისევ ისე მშვიდი და თვალები ისევ ისე ლურჯი და საოცრად გამჭვირვალე ჰქონდა.
– ხვალ! – თქვა მან და კარი გამიღო.

777

ბოლო ლექციაა. საქართველოს ისტორია, ცხრის ნახევარია, თხუთმეტ წუთში ლექციები დამთავრდება. თავერა ახლა ზის და მელოდება, აბიბო მოსული იქნება სამსახურიდან, ისიც მელოდება. დედა სამზარეულოშია, ფანჯარასთან ზის, საათსა და ქუჩას თვალს არ აცილებს, ის ყველაზე უფრო მელოდება...
კათედრაზე დგას პატარა ტანის პროფესორი. იგი ძალიან კარგად კითხულობს ლექციებს, ამიტომ მის ლექციაზე ტევა არ არის, აუდიტორია დუღს და გადადუღს.
...ვახტანგ გორგასალი გოლიათური აღნაგობის კაცი იყო, როგორც მემატიანე აღნიშნავს, „სიმაღლე მისი იყო ათორმეტი ბჭყალი კაცისა...“
მე და გურამი ერთად ვსხედვართ. გურამი თვალს არ აცილებს ლექტორს, მაგრამ, ჩემი არ იყოს, ისიც სხვა რამეზე ფიქრობს, ალბათ, თავერაზე, ამ დილით მოვუყევი ყველაფერს, სულელი ხარო, მითხრა. გულიკო ჩემს წინ მეოთხე მერხზე ზის. მისი წითელი თავი მზესავით ანთია ამდენ შავ თავებში. იგი დროდადრო იწერს ლექტორის ნალაპარაკევს...
...მოიწვია დიდებულები ჭაბუკმა მეფემ და გაუმხილა თავისი განზრახვა, ალანთა ანუ ოვსთა და ხაზართა დალაშქრის შესახებ, რათა თავისი გატაცებული და, მირანდუხტი, გამოეხსნა...
რაც ბათუმიდან დავბრუნდით, მე და გულიკო ერთმანეთს არ შევხვედრილვართ. მას დედაკაცური სიამაყე ახრჩობდა. მე მამაკაცური თავმოყვარეობა. იგი ჩემს გატეხას ელოდა, მე მისას. გურამი ერთ ხანს დარბოდა ჩემსა და გულიკოს შორის შუამავლად. მერე თქვა, მეც მაქვს თავმოყვარეობაო, და თავი დაგვანება.
თავერა ახლა ზის და მელოდება... დედა მელოდება, აბიბოც მელოდება...
აბიბომ უკვე ყველაფერი იცის...
...დარიალის ხეობა ვიწრო იყო, ჯარით საომრად ვერსად გაიშლებოდა. ამიტომ მეომარმა მხარეებმა მოილაპარაკეს, ფალავნები გამოვიყვანოთო. გამოიყვანეს ხაზარებმა ვინმე ახმახი ფალავანი თარხან, ხაზარი, ქართველებმა კი ფარსმან ფარუხი... დაჰკრა თარხან ხაზარმა მახვილი ფარსმან ფარუხს და ცხენიანად შუაზე გააპო. დაღონდნენ ქართველები და მაშინ ამხედრდა ცხენზე ვახტანგ გორგასალი...
– ხომ არ უთხარი ჩემთან არისო? – მეასედ მეკითხება გურამი. მე უარყოფის ნიშნად თავს ვუქნევ. რა იქნება ახლა, რომ თავერა ჩვენთან ერთად იჯდეს უნივერსიტეტში? ისევ ის უნივერსიტეტი იქნება. ძია მოსე ისევ იდგება კარში და თავერასაც გაუსინჯავს სტუდბილეთს, რათა იგი უსტუდბილეთოდ არ შეძვრეს ლექციაზე და სხვისი წილი ცოდნა არ მოიპაროს. კლუბის გამგედ ისევ ვახტანგ მჭედლიშვილი იქნება და შეიძლება თავერა დრამწრეშიც ჩაწეროს. დრამწრე მესამე წელია „ოტელოს“ ამზადებს და ძალიან სჭირდება ხუჭუჭთმიანი და ბოხხმიანი სტუდენტი მავრის როლის შესასრულებლად.

...იხილეს რა თარხან ხაზარი თავმოკვეთილი, შეკრთა ალანთა და ხაზართა ლაშქარი; მაშინ ოვსებმა გამოიყვანეს ბაყათარ ოსი გოლიათი, რომლის სიმძიმის ქვეშ ცხენი იზნიქებოდა.– გამოდი გამოღმა და შემებრძოლეო, გამოსძახა ბაყათარმა ვახტანგს, – მე მეფე ვარ, შენ კი მონა ხარ ჩემი, შენ გამოდიო. – გასძახა ჭაბუკმა მეფემ. გამოვალ, ოღონდ მდინარეში არ შემოხვიდეო, ჩამოართვა ფიცი ბაყათარმა...

თაეერამ პაპიროსის წევა მერვე კლასში დაიწყო. მერვე კლასში ვიყავით, თაეერამ რომან ჩარექიშვილის პიესაში ჰიტლერი რომ ითამაშა. პიესას „ბერლინის აღება“ ერქვა.

ბერლინის აღება

ისტორიული დრამა ერთ მოქმედებად და ორ სურათად. მოქმედი პირები:

ჰიტლერი – რამაზ კორსაველი

ჰებელსი – ვაჟა ჭანიშვილი

ჰერინგი – არჩილ ერგემლიძე

პაულიუსი – პავლე რატიანი

ევა ბრაუნი – ინოლა ტყემალაძე

წითელარმიელები

ლეიტენანტი – თეიმურაზ ბარამიძე

I ჯარისკაცი – გურამ ჭიჭინაძე

II ჯარისკაცი – ნესტორ ჯაფარიძე

III ჯარისკაცი – ნოდარ მიქიაშვილი

ავტორი – რომან ჩარექიშვილი

დამდგმელი რეჟისორი – პიონერხელმძღვანელი ლილი უგულავა. რეპეტიციები მიმდინარეობს ყოველდღე 6–დან 9–მდე, მეთხუთმეტე სკოლის კლუბში.

პრემიერა 3 თებერვალს. დასწრება უფასო. მოსაწვევებით.

პიონერხელმძღვანელმა და რეჟისორმა ლილი უგულავამ როლები დაგვირიგა და მაგიდის თავში დაჯდა.

– რომან, დაიწყე კითხვა! – უთხრა მან ავტორს. ავტორმა სქელ ყდაში ჩასმული პიესა გაშალა, მუშტში ჩაიხველა და გაუბედავად დაიწყო.

„მოქმედება მიმდინარეობს ბერლინში, რაიხსტაგში. გრძელ მაგიდას უსხედან ჰებელსი, ჰერინგი, პაულიუსი, ევა ბრაუნი და ჰიტლერი, ოღონდ ჰიტლერი ფეხზე დგას. იგი ფრჩხილებს იჭამს, კეფას იფხანს, ეგზემა აქვს, და ყვირის გიჟივით. ხანდახან ისმის ბერლინის დაბომბვის ხმები.

ჰიტლერი – მე მიწასთან გავასწორებ რუსეთს, მე დავაჩოქებ სტალინს. ერთ კვირაში სტალინგრადი ჩემი იქნება!

ევა – შენი იქნება, გენაცვალე, შენი, ოღონდ ნუ ნერვიულობ! (ევა ლოყაზე უსვამს ხელს ადოლფს, ამშვიდებს და თვალებში შესციცინებს. ჰიტლერი თავის მხრივ კოცნის ევას ლოყაზე და ჯდება).

ჰებელსი – ჩემო ფიურერო! (დგება) ჩვენი ჯარები საეჭვოდ გაჩერდნენ სტალინგრადთან. საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, თორემ დამარცხება გარდაუვალია. მე მეშინია, რომ...

ჰიტლერი – (წამოხტება, პირიდან ქაფი გადმოსდის. მაგიდაზე ხელს დაარტყამს) მშიშრებო, გეშინიათ? დაიკარგეთ აქედან! თქვენი ბურდღა არ დავინახო რაიხსტაგში, მშიშრებო, ლაჩრებო, ცხვრებო, ცხვრები ხართ, ცხვრები!

ჰერინგი – (წამოხტება), მე არ ვარ ცხვარი, მე არ მეშინია!

ჰიტლერი – მოდი, გაკოცო! (ჰერინგი მივა, ჰიტლერი გულში ჩაიკრავს. სანამ ჰიტლერი ჰერინგს გულში იკრავს, ევა ეუბნება ჰებელსს).

ევა – არ გრცხვენია, ჰებელს? ამას კიდევ ნერვების აშლა უნდა? ხომ ხედავ, გაგიჟებულია კაცი.

ჰებელსი – ბოდიში, ბატონო, მართლის თქმა თუ არ შეიძლება, გავჩუმდები. (ჰებელსი ჩუმდება. ჰიტლერი ამასობაში ამთავრებს ჰერინგის კოცნას და აღტაცებით წამოიძახებს).

ჰიტლერი – შენ წახვალ სტალინგრადში, ჩემო მსუქანო და ერთგულო ჰერინგ.

ჰერინგი – (შეშინებული) მეე?

ჰიტლერი – შენ, აბა, მეე? (ჰერინგს ფერი წაუვა).

ჰერინგი – ძმაო ჰიტლერო, მე აქ ეჭირდები ჩემს ფიურერს. უწინამც დღე კი დამელევა, ვიდრე შენ მიგატოვებ. სტალინგრადში წავა პაულიუსი. (პაულიუსს სახე მოექცევა).

ჰიტლერი – წახვალ?

პაულიუსი – წავალ, აბა, არ წავალ?! (ამოიკნავლებს)

ჰიტლერი – შენი ჭირიმე, შენი, არ მომეშვა გულზე?! (კოცნის ჯერ ევას, შემდეგ – პაულიუსს. შემდეგ იხსნის ორდენებს და გულზე ჰკიდებს პაულიუსს. პაულიუსი ტირის).

პაულიუსი – ჩემო ფიურერო, ეს არის ჩემს სიცოცხლეში ყველაზე ბედნიერი წუთები. მე წავალ სტალინგრადში, მე მოვსპობ კომუნისტებს, ცეცხლს მივცემ იქაურობას. ვეცდები სტალინი ჩავიგდო ტყვედ. (ევა აღტაცებისაგან ტაშს შემოჰკრავს და წამოხტება).

ევა – (ჰიტლერს) შეიძლება ვაკოცო პაულიუსს?

ჰიტლერი – მიდი! (ევა კოცნის პაულიუსს, პაულიუსი შეშინებული თვალებით უმზერს ჰიტ–ლერს, არ იეჭვიანოსო).

ჰიტლერი – მიდი, მიდი! (ამხნევებს პაულიუსს. პაულიუსი კოცნის ევას. ჰიტლერი თვალს არიდებს).

პაულიუსი – (კოცნას ამთავრებს) მე ვაჩვენებ კომუნისტებს რა არის გერმანული იარაღი! (ისმის დაბომბვის ხმა. პაულიუსი მაგიდის ქვეშ მიძვრება. სროლა რომ მიწყდება, გამოდის). მე კართაგენივით გადავხნავ სტალინგრადს და თუ არ დავბრუნდი ცოცხალი ბრძოლის ველიდან, იცოდეთ, რომ ჩემი უკანასკნელი სიტყვა იქნება – ფიურერი! (ჯდება და ტირის).

ჰებელსი – ჩემო ფიურერო, მე ბოდიშს ვიხდი, წეღან რომ უიმედობა გამოვთქვი. ახლა ისევ მომეცა იმედი და საჯაროდ ვაცხადებ შენს ერთგულებას, კომუნიზმის დღეები დათვლილია, სტალინი, დღეს თუ არა, ხვალ დაგვნებდება, რუსეთი იქნება ჩვენი კოლონია. გაუმარჯოს გერმანიას!

ჰიტლერი – მოდი, შენც გაკოცო! (ჰებელსი მიდის. ისინი კოცნიან ერთმანეთს. ევა მაღალ ჭიქებში ასხამს ღვინოს).

ევა – ბატონებო, გაუმარჯოს გერმანიას, გაუმარჯოს ფიურერს! (ყველანი სვამენ და მღერიან მრავალჟამიერს გერმანულად).

ჰიტლერი – ახლა წადით, მე და ევას გვეძინება! (ევა ამთქნარებს, ყველანი გადიან. ოთახში სინათლე ქრება).

ფარდა

პირველი მოქმედების პირველი სურათის დასასრული.

მეორე მოქმედება უმთავრესად ხმის და სინათლის ეფექტებზე იყო აგებული. მოქმედება მიმდინარეობდა ისევ ბერლინში, ოღონდ თავშესაფარში. ჩანდა ჰიტლერის აფირიაქებული კანცელარია და კარშენგრეული მისი ოთახი, უწესრიგოდ მიყრილ–მოყრილი ნივთები და ქაღალდები. სინათლე ინთებოდა და ქრებოდა, ინთებოდა და ქრებოდა. ოთხი მძლავრი ვენტი–ლატორი ბუღს აყენებდა სცენაზე, კულისებში განუწყვეტლივ ისმოდა დოლზე ძლიერი დარტყმები, ბერლინი სულს ღაფავდა. უცებ კანცელარიის კარში ეჩნდებოდი მე ჩემი ჯარისკაცებით, ავტომატები მომარჯვებული გვქონდა.

– ხელები ზევით, ჰიტლერო, ჰერინგო, ჰებელსო, რიბენტროპო დ ქალბატონო ევა! – ეყვიროდი მე.

– კანცელარიიდან ხმა არ ისმოდა. მაშინ მე შევდიოდი რაიხკანცელარიაში იარაღმომარჯვებული და რას ხედავდა ჩემი თვალები: იატაკზე ეგდნენ ევა, ჰიტლერი და გერმანული ნაგაზი, იქვე ეგდო საწამლავიანი ბოთლი.

– თავი მოუწამლავთ ლაჩრებს! – ვამბობდი მე და ამაყად ვიცინოდი.

– თავი მოუწამლავთ! – ამბობდნენ ჩემი ჯარისკაცები ერთხმად და ისინიც იცინოდნენ.

– მეგობრებო! – ვიწყებდი მე მონოლოგს. – მტერი განადგურებულია საკუთარ ბუნაგში. ბოროტსა სძლია კეთილმან. რიგითო ჭიჭინაძე, გადაეცი ამხანაგ ჟუკოვს, რომ ომი დამთავრებულია. გურამი მხედრულ სალამს მაძლევდა და გადიოდა. ამით მთავრდებოდა სპექტაკლი.

– გენერალურ რეპეტიციას პედაგოგთა და მშობელთა სამხატვრო საბჭო დაესწრო.

– დახურეთ კარი დ არავინ გაუშვათ გარეთ! – ბრძანა დირექტორმა. კარი დახურეს. პირველად ინოლა ტყემალაძის მამამ აიღო სიტყვა:

– პატივცემულო დირექტორო! – დაიწყო მან. – მე მგონი, ჩვენი ოჯახი არ ზრდის ცუდად ბავშვს, იგი დადის მუსიკაზე, ინგლისურზე, თქვენობით ელაპარაკება უფროსებს და სწავლობს ფრიადებზე. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ იგი გარყვნილი დედაკაცის, კაცობრიობის უსასტიკესი მტრის, კაციჭამია ჰიტლერის საყვარლის, ევა ბრაუნის როლს ასრულებს?

– ეს ხელოვნებაა, ბატონო! – თქვა პიონერხელმძღვანელმა.

– ეს არის გარყვნილება, სპექტაკლში სამჯერ კოცნიან მას: ორჯერ ჰიტლერი და ერთჯერ ჰებელსი. მე მიმყავს იგი ამ წრიდან და სკოლიდანაც. წამოდი, შვილო! – ევა წაიყვანეს.

არჩილ ერგემლიძის მშობელმა უხერხულობა გამოთქვა იმის გამო, რომ მისი, ძველი ბოლშევიკის, შვილი ჰერინგის როლს ასრულებს და მისი ტექსტი ძირითადად სტალინისა და კომუნისტების გინებაზე არის აგებული. ხომ არ აჯობებდა, რომ ჰერინგის როლი მე, თეიმურაზ ბარამიძეს, ტროცკისტის შვილს, შემესრულებინა, ხოლო საბჭოთა ოფიცრის როლი მის შვილს, არჩილ ერგემლიძეს, – ეს წინადადება დირექტორმა ჩაიწერა.

ვაჟა ჭანიშვილის დედამ კატეგორიულად დასვა საკითხი ჰებელსის კოჭლობის შესახებ და თქვა: – მე არ მინდა ხალხმა იფიქროს, რომ ჩემი შვილი კოჭლია!..

– ჰებელსი მართლა კოჭლი იყო, ქალბატონო! – აუხსნა რეჟისორმა.

– მაგას არა აქვს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა! ნახევარმა თბილისმა არ იცის, რომ ჰებელსი კოჭლი იყო.

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ეჭვი გამოთქვა პიესის სიუჟეტის განვითარებაზე.

– სამამულო ომის მძიმე დღეებიდან, – თქვა მან, – გამოტოვებულია მთელი რიგი ეპიზოდები. რაც მთავარია, ჰიტლერი გამოიყურება ძალიან ახალგაზრდად და ამიტომ აკლია დამაჯერებლობა. ესეც არ იყოს, ყურს ცოტა ეხამუშება, როდესაც ჰიტლერი და სხვები ქართულად ლაპარაკობენ. აჯობებდა პირველი სურათი მთლიანად მოგვეხსნა! – დაასრულა მან.

– ჰიტლერი არც მე მომწონს! – თქვა დირექტორმა, – ჩარექიშვილო, – მიმართა მან უცებ გაფითრებულ ავტორს, – საიდან მოიტანეთ ტექსტი, რომელსაც ჰიტლერი ამბობს სიკვდილის წინ?

– ის ტექსტი, პატივცემულო მასწავლებელო, მე თვითონ მოვიგონე!

– რა უფლება გაქვს, შენ, გამოიგონო ტექსტი, რომელიც არავის მოუსმენია, რა იცი შენ, რას აკეთებდა ჰიტლერი თავის კანცელარიაში?

ჩარექიშვილმა ვერ გაიხსენა, ვინ მოუყვა, რას აკეთებდა ჰიტლერი თავის კანცელარიაში და თავი ჩაქინდრა.

– პატივცემულო დირექტორო, როგორ შეიძლება ასე პედანტურად მივუდგეთ საკითხს, ბავშვები თავს ირთობენ, რაღაცას წერენ, რაღაცას თამაშობენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ.– თქვა ნოდარ მიქიაშვილის დედამ.

– თქვენ რა გენაღვლებათ, ქალბატონო, თქვენი შვილი წითელარმიელს თამაშობს, ჩემი კი მთელი სპექტაკლის განმავლობაში დედ-მამის სულს უტრიალებს ჩვენს მთავრობას! – წამოხტა ფეხზე პაულიუსის მამა.

– სირცხვილია, ამხანაგებო, ამაზე ლაპარაკი! როგორ შეიძლება, სერიოზულად მივიჩნიოთ ყოველივე ეს, ბოლოს და ბოლოს, მერვე კლასია. – გაიღიმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა.

და მაინც პრემიერა არ შედგა. პიონერხელმძღვანელს გამოეცხადა სასტიკი საყვედური ცუდი მუშაობისათვის, ხოლო რომან ჩარექიშვილს აეკრძალა სამამულო ომის თემაზე პიესების წერა...

– აღარ ირეკება ეს ოხერი? უკვე ცხრას თხუთმეტი წუთი აკლია...

... და გასტეხა ფიცი, შეუვარდა მდინარეში... ბაყათარი წყალმა წაიღო, მაშინ იბრუნეს პირი ალანებმა და ხაზარებმა...

ზარი დაირეკა. მე ყველაზე ადრე გამოვვარდი აუდიტორიიდან, გურამი უკან მომდევდა. გიუვით გავირბინე უნივერსიტეტის ეზო, ქუჩა, სადარბაზო, კიბეები, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე სართული... დედა გაფითრებული იდგა კარში.

– რა იყო, დედა?!

– წაიყვანეს! – თქვა მან.

– რომ არ წავქცეულიყავი, იქვე კიბეზე ჩამოვჯექი და ჩემს უკან მომავალ გურამს მივაშტერდი. მერე რაღაცამ მიჩხვლიტა გულთან და სუნთქვა შემეკრა... რას იფიქრებს თავერა... ღმერთო, ეს რა მომივიდა, რას იფიქრებს თავერა... რას იფიქრებს თავერა... საფეთქლები ამეწვა და სახეზე სისხლი მომაწვა.

– არ არის? – მკითხა შეშინებულმა გურამმა.

– არა! – ვუთხარი მე და ავდექი.

– შემოდი, შვილო, სახლში. – მთხოვა დედამ.

– შემოდი! – მთხოვა გურამმაც. მაგრამ მე აღარაფერი მესმოდა, კიბეს დავყევი ქვევით.

– არ ქნა, შვილო! – წინ გადამიდგა დედა... მე დედა ფრთხილად მოვიცილე და გზა განვაგრძე.

– თუ გიყვარვარ, არ ქნა, შვილო. – მეხვეწებოდა გაფითრებული დედა და გვერდით მომდევდა. მე აბიბოს კარს მივადექი და ზარი დავრეკე. კარი არავინ გააღო. მაშინ მუშტი დავარტყი კარს, ერთი, ორი, სამი, შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მე კარს წიხლი დავარტყი.

– გაგიუდი?! – მომქაჩა გურამმა. მე გურამს ხელი ვკარი და კარებს ბეჭით დავეჯახე.

– გამოდი, გამოდი, შე მათხოვარო, გამოდი, დამიჭირე, ეიცი სახლში ხარ, გამოდი... სულ ერთია, ჩამოვიღებ კარს, გამოდი, შე დამპალო, გამოდი, ეგ არის შენი კაცობა!.. მათხოვარო, გამოდი, დამიჭირე, გამოდი, გამოდი!

– ნუ იზამ, შვილო, წამოდი სახლში... – მეხვეწებოდა დედა. ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ და გაკვირვებულები სეირს უყურებდნენ.

– გამოდი, გააღე კარი, სახეში შეგაფურთხო! – მე კარს მივაფურთხე და მუშტების ბრახუნი ავტეხე, მერე ფეხები მომეკვეთა, კართან ჩავჯექი, თავი მუხლებში ჩავიდე და არაფრისათვის გალახული ბავშვივით ტირილი დავიწყე.

ბატონი შალვა

თეიმურაზ ბარამიძე, მზე ამოდის და მზე ჩადის შენთვის უკვე ოცდაორი წელიწადია. იგი ამოდის და ჩადის შენთვის, როგორც სხვისთვის. „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“. თეიმურაზ ბარამიძე, შენ იყავი უდარდელი ბიჭი, კეთილი ბიჭი, გიყვარდა მზე, ზღვა

და გულიკო. უდარდელი იყავი იმიტომ, რომ არავინ გყავდა სადარდებელი, კეთილი იყავი იმიტომ, რომ არ იცოდი რა იყო ბოროტი, გიყვარდა მზე იმიტომ, რომ მზე გათბობდა და არ გწვავდა, გიყვარდა ზღვა იმიტომ, რომ ზღვა გიალერსებდა, და არ გახრჩობდა, გიყვარდა გულიკო იმიტომ, რომ გენატრებოდა, უიმისობა არ შეგეძლო და მასაც უყვარდი. შენ გყავს მეგობარი გურამი, კაცი, რომელიც არასდროს გიღალატებს ცხოვრებაში... ჰოდა, რა მოხდა, ბიჭო, ასეთი შენს ცხოვრებაში, წლები რომ გემატება და სადარდებელიც გემატება. რატომ გწვავს ახლა მზე ასე მწვავედ, რატომ გეშინია ზღვის, რატომ აღარ გენატრება გულიკო, რატომ გაურბი მასთან შეხვედრას, ისეთი რა მოხდა... საიდან, ბიჭო, ამდენი ეჭვი და დარდი, საიდან. ნეტავი კაცი ასი წლის იბადებოდეს და შემდეგ წლები აკლდებოდეს და წლებთან ერთად დარდიც. მერე მხედველობაც, სმენაც, აზრიც, დედის საშოში რომ უგრძნობი და უდარდელია, ისე უდარდელი კვდებოდეს. კვალი? რა კვალი, კაცს გინდა წინ გივლია, გინდა უკან, კვალი კვალია. თეიმურაზ ბარამიძე, რაზე ფიქრობ. არ გინდა უკუღმა ნავალი კაცის კვალი დატოვო? მაშინ წინ იარე, ბიჭო. გეშინია? რისი გეშინია?

არაფრისაც არ მეშინია, ვინ გითხრა, რომ მეშინია? ვინ გითხრა, რომ მზე მწვავს, ვინ მოგატყუა, რომ ზღვა მახრჩობს, ვინ გითხრა, რომ გულიკო არ მიყვარს? ვინ? ვინ გითხრა, რომ დარდი მემატება ყოველ წელს?

შენ, შენ მითხარი.

მე გითხარი?

ჰო, შენ, თეიმურაზ ბარამიძემ.

შენ მითხარი, რომ ცხოვრების გეშინია.. მაგრამ არ გითქვამს რატომ. იქნებ იმიტომ, რომ შენ და დედაშენი ბევრ რამეში ვერ უგებთ ერთმანეთს? იმიტომ ხომ არა, რომ დურსუნისთანა კაცი შეგხვდა ყავახანაში და თავისი ჩამქრალი გულის სარდაფში ჩაგახედა, ან იმიტომ, რომ აბიბომ სულში ჩაგაფურთხა. იქნებ იმიტომ, რომ თავერასი არავის სჯერა. შეიძლება იმიტომაც, რომ დაკარგე გულიკო...

– გულიკო, რამდენი ხანია არ მინახიხარ, გულიკო!

– გამარჯობა, თემო!

– რა მოხდა, გულიკო, ჩვენს შორის ისეთი, რომ ასე გავციედით ერთმანეთის მიმართ?

– არ ვიცი, თემო!

– მაინც?

– არ ვიცი.

– იქნებ ის პატარა, გაუგებარი შემთხვევა, ზღვაზე რომ მოხდა?

– არა მგონია, თემო, ალბათ, ეგ უბრალოდ მიზეზი იყო...

– მიზეზი?

– ჰო, მაშ რად აღარ მომინდა შემდეგ შენი ნახვა?..

– აკი ყოველდღე ვხედავთ ერთმანეთს ლექციებზე.

– კი მაგრამ, ხომ აღარ ვხვდებით?

– რატომ მერე, გულიკო?

– არ ვიცი, თემო, დედას გეფიცები, არ ვიცი.

– სხვა შეგიყვარდა ვინმე?

– არა, თემო, არავინ. ვფიცავ, არავინ. აღარ მენატრები, აღარ ვფიქრობ შენზე, აღარ მომწონხარ, უცნაური გახდი.

– რაში მეტყობა უცნაურობა?

– თუნდაც იმაში, რომ აღარ გიყვარვარ და ამდენს მელაპარაკები, თავსაც იტყუებ, მეც მატყუებ.

– რატომ ფიქრობ, გულიკო, რომ აღარ მიყვარხარ, ან რა მიზეზით?

– ალბათ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მე აღარ მიყვარხარ.

– რა არის ეს მიზეზი?

– არ ვიცი, ამ მიზეზს მიზეზი არა აქვს. გამოტყდი, რომ შენც აღარ გიყვარვარ. შენ ხომ მართალი ბიჭი ხარ, ჰოდა, თქვი ხომ აღარ გიყვარვარ?

– ისე აღარ მიყვარხარ, როგორც წინათ...

– აი, ხომ ხედავ, მე მიზეზს არ გეკითხები.

– მაშ, როგორ მოვიქცეთ, გულიკო?

– როგორც სხვები იქცევიან, დავივიწყოთ ერთმანეთი...

– ყველაფრის დავიწყება არ შეიძლება, გულიკო...

– შეიძლება.

– როგორ?

– აი, მე აღარ მახსოვხარ შენ, მე აღარ მახსოვს, რა გქვია შენ.

– მე თემური მქვია!

– უკაცრავად, ვერ გაგიხსენეთ, რა გვარი ბრძანდებით?

– თემურ ბარამიძე, თქვენთან ერთად ვსწავლობ, ეკონომიკის ფაკულტეტზე, IV კურსზე...

– არ ვიცი, არ შემხვედრიხართ, ალბათ, ლექციებზე არ დადიხართ.

– როგორ არა, თქვენს უკან ვზივარ, მეორე მერხზე, თქვენ გულიკო არ ხართ, ციბაძე? ლოტკინის გორაზე ცხოვრობთ!

– არა, თქვენ ვიღაცაში გეშლებით, ბოდიშს ვიხდი, მეჩქარება, მშვიდობით...

– მშვიდობით, გულიკო.

777

ამხანაგო ბარამიძე, მოგვაქციეთ, თუ შეიძლება, ყურადღება, მე მგონი, ფაკულტეტის კომკავშირის კრებაზე თქვენი საკითხი ირჩევა და არა ჩემი. – გააწკარუნა ზარი კრების თავმჯდომარემ.

კრება ოთხმოცდამეათე აუდიტორიაში მიმდინარეობდა. ორმოცდაათი სტუდენტის გარდა, კრებას ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი, ბატონი დავითი, სამართლის ლექტორი, ბატონი გიორგი და ჩვენი ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ბატონი შალვა ესწრებოდნენ. დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იდგა, კერძოდ, „სტუდენტ ბარამიძის გამოხდომების შესახებ, რომელმაც მთვრალ მდგომარეობაში დებოში ატეხა სახლში, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეზობლის კარს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პასუხისმგებელ მუშაკს, რომელსაც მათხოვარი უწოდა, მაშინ როდესაც უკანასკნელი მსგავს მოქმედებაში არასოდეს ყოფილა შემჩნეული“.

მე კედელთან მიდგმულ მერხზე ვიჯექი ბრალდებულივით და, საკუთარ ფიქრებში წასულს, არც კი მომისმენია საბრალდებო დასკვნა, რომელსაც კომიტეტის მდივანი უშანგი ქოჩაკიძე კითხულობდა. ალბათ, ამიტომ მომცა შენიშვნა კრების თავმჯდომარემ.

– ამხანაგებო! – განაგრძო მდივანმა. – ადნიშნული შემთხვევა იმაზე ლაპარაკობს, რომ პოლიტიკურ–აღმზრდელობითი მუშაობა ჩვენს ფაკულტეტზე მოიკოჭლებს. მოიკოჭლებს კი არა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ ჩავარდნილია... და შემდეგ კომკავშირის კრებაზე ჩვენ გამოვიტანთ ამ საკითხს. გვეყო, ამხანაგებო! გვეყო ამდენი თავის მოჭრა. ვინ აცდენს ლექციებს? ბარამიძე და ჭიჭინაძე. ვის გამოყვა საშემოდგომო გამოცდები? ბარამიძეს და ჭიჭინაძეს. ვინ არ იხდის საწევროებს დროზე? ბარამიძე და ჭიჭინაძე.

– ძვირფას უშანგის შემოევლოს ჭიჭინაძის თავი, მე მგონი, ჩემი საკითხი არ ირჩევა დღეს... – წამოდგა ფეხზე გურამი.

– ამხანაგო ჭიჭინაძე, თქვენი რიგიც მოვა! – დაემუქრა უშანგი.

– ჰოდა, მაშინ ილაპარაკე, ჩემზე, სანატრელო!

– ამხანაგო ჭიჭინაძე, თქვენ ნუ მასწავლით მე როდის და რა ვილაპარაკო! – თქვა უშანგიმ და თავმჯდომარეს გადახედა. თავმჯდომარემ ზარი დარეკა. გურამი დაჯდა.

– ამხანაგო ბარამიძე, უთხარი კრებას შენი ხულიგნობის მიზეზი. – მომმართა უშანგიმ.

– არაფერი არ მახსოვს, ძალიან მთვრალი ვიყავი! – ვთქვი მე.

– ესე იგი, თქვენ არ უარყოფთ, რომ მთვრალი იყავით? – მკითხა თავმჯდომარემ.

– დიახ!

– ტყუილს ამბობს, მე ვიყავი იმ დროს იქ, თემო მთვრალი არ ყოფილა! – წამოდგა გურამი.

– ესე იგი, ჭიჭინაძე აღიარებს, რომ ხულიგნობას ფხიზელ მდგომარეობაში ჰქონდა ადგილი.

– მე არაფერს არ ვაღიარებ, მე ვამბობ, რომ თემო არ იყო მთვრალი.

– ამხანაგო ბარამიძე, რას იტყვით ჭიჭინაძის განცხადებაზე?

– აკი გითხარით, არაფერი არ მახსოვს.

– რა განზრახვა გამოძრავებდათ, როდესაც ზემოხსენებულ პასუხისმგებელ პირს, თქვენს მეზო–ბელს, უმტვრევდით კარს და აგინებდით უშვერი სიტყვებით?

– ალბათ ჰქონდა მიზეზი და აგინებდა. – თქვა გურამმა.

– რა მიზეზი გქონდათ, ბარამიძე?

– არ მახსოვს!

– იქნებ თქვენ გახსოვთ, ჭიჭინაძე, თუ თქვენც გალეშილი ბრძანდებოდით?

– შენ თუ ძმა ხარ, წესიერად მელაპარაკე, თორემ თუ გადმოგიღე, იმდენს გირტყამ, იმ პასუხისმგებელმა პირმაც ვერ გიცნოს.

– ამხანაგო ჭიჭინაძე, თქვენს თავხედობას ჩვენ კრების ოქმში შევიტანთ!

– შეიტანეთ სადაც გინდა, თუ ამხანაგი ხარ ჩვენი, ამხანაგურად გველაპარაკე. რაა, რომ დაგიბოხებია ხმა ანგინიანი კაცივით, რა განზრახვა გამოძრავებდათ, როდესაც... – გასცინა ლაპარაკში გურამმა.

– ეს ოფიციალური კრებაა, ჭიჭინაძე, და ყველაფერს თავისი წესი აქვს! – შეიშმუშნა უშანგი.

– თუ ოფიციალური კრებაა, მოვიდეს ის პასუხისმგებელი პირი და დაესწროს კრებას.

– ეს თქვენ არ გეხებათ, ამხანაგო ჭიჭინაძე, კრების პრეზიდიუმმა იცის თავისი საქმე. – თქვა უშანგიმ და პრეზიდიუმს გადახედა. პრეზიდიუმმა თავი დაუქნია.

– თქვით, ბარამიძე, რაში იყო საქმე! – მომმართა ახლა მე.

– არ ვიტყვი.

– არა?

– ყოველ შემთხვევაში, შენ არ გეტყვი.

– კრებას უთხარი.

– კრებას ეს საკითხი არ უნდა აინტერესებდეს, ეს ჩვენი მეზობლური ამბებია.

– ესე იგი, თქვენ არ ემორჩილებით კრებას. იცით თქვენ რა გელით ამისთვის? თქვენ გაირიცხებით კომკავშირიდან.

– შენ შენი მიღებულები გარიცხე, მე საერთო კრებამ მიმიღო!

– გვეყო, ამხანაგებო, დროა ბოლო მოეღოს უმსგავსობას. ვინ ატეხა დებოში მთვრალ მდგომა–რეობაში? ბარამიძემ. ვინ მიაყენა შეურაცხყოფა პასუხისმგებელ პირს? ბარამიძემ. – დაიწყო თავიდან უშანგიმ.

– ვინაა ეს პასუხისმგებელი პირი, გვაჩვენეთ ერთი, გვარი და სახელი არა აქვს, რა სჭირს ასეთი უხსენებელი?! – იკითხა აგრაფინა დანელიამ და მიამიტად მოავლო თვალი დარბაზს.

– თქვენი საქმე რაც არ არის, ნუ ეჩრებით, ამხანაგო დანელია! – დარეკა ზარი თავმჯდომარემ.

– ამხანაგო თავმჯდომარე, ჩვენი საქმე თუ არ არის, რაღას გვეძახით? მაშინ ავდგებით და წავალთ, – ეწყინა აგრაფინას.

– თქვენ წახვალთ მაშინ, როდესაც ჩვენ გეტყვით. თქვენ ისიც გეყოფათ, აქ საყურეებით და პომადაწასმული რომ მოსულხართ, სად გგონიათ თავი?

– ამხანაგო თავმჯდომარეე, რა თქვენი საქმეა საყურეებით და პომადით ივლის აგრაფინა, თუ მურაბით მოთხუპნული ტუჩებით? – იკითხა არჩილმა.

– ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ თუ არა, ამხანაგო არჩილ? – ჰკითხა უცებ უშანგიმ.

– შენი არ ვიცი და მე კი ვაშენებ. – თქვა არჩილმა.

– ესე იგი, მე არ ვაშენებ, ხომ, კომუნიზმს? – ისე გაუკვირდა უშანგს, თითქოს აგური გააგდებინეს ხელიდანო.

– არ ვიცი, ბატონო, მე სხვა ბრიგადაში ემუშაობ. – აარიდა კითხვას თავი არჩილმა.

– და, საერთოდ, რა უფლება გაქვს შენ გამოექომაგო ქალს, რომელსაც ორი თითის დადებით მოკლე კაბა აცვია და მუხლისთავები უჩანს.

აუდიტორიაში ჩოჩქოლი ატყდა, ყველამ აგრაფინასკენ გაიხედა. აგრაფინა ჭარხალივით გაწითლდა და თვალები ცრემლით აევსო.

– გადმოდით ისევ ჩემზე, ამხანაგო მომხსენებელო, აგრაფინას მოკლე კაბა შემდეგ კრებაზე გამოიტანეთ, ჭიჭინაძესთან ერთად! – შეეახსენე თავი უშანგის.

– აი, ხომ ხედავთ, ამხანაგებო, კრებას მასხრად იგდებს, არც სცნობს თავს დამნაშავედ… – გამოიშვირა ჩემკენ საჩვენებელი თითი უშანგიმ.

– კრებას შენ თვითონ იგდებ მასხრად, აქ სერიოზული საკითხი ირჩევა და შენ მოკლე კაბებზე და საყურეებზე ლაპარაკობ! – წამოხტა გურამი.

– ამხანაგო ჭიჭინაძე, ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ მოკლე კაბა, საყურე და პომადა არ არის სერიოზული საკითხი. ეს ისევე სერიოზული საკითხია, როგორც… – უშანგიმ პაუზა გააკეთა, მაგრამ ვერ გაიხსენა…

– როგორც? – ჰკითხა გურამმა.

– როგორც… – კვლავ ვერ გაიხსენა უშანგიმ, – როგორც ყველაფერი და, გახსოვდეთ, რომ ჩვენ, მოკლეკაბიან, საყურეებიან და პომადიან ხალხს ვერ შეეუშვებთ კომუნიზმში.

– კი, შენ თუ დაგაყენეს კართან! – თქვა არჩილმა.

– არც ვიწროშარვლიანებს… – შეაშინა უშანგიმ არჩილი.

აუდიტორიაში მორიდებული სიცილი გაისმა.

– ესე იგი, შენ იდგები კომუნიზმის კარში და მარტო ფართოშარვლიანებს, თმაგაბურძგნულ, დაუვარცხნელ, უპომადო, უსაყურეებო, გრძელკაბიან და პირდაუბანელ ხალხს შეუშვებ? – ჰკითხა უშანგის არჩილმა. აუდიტორიამ ისევ გაიცინა, თავმჯდომარემ ზარი დარეკა.

– ამხანაგო არჩილ, მერე გამოდი სიტყვით!

– მაგ პროვოკაციისათვის შენს საკითხს გამოვიტანთ შემდეგ კრებაზე! – გაზარდა მომავალი კრების დღის წესრიგი უშანგიმ.

– შეიტანე, შეიტანე, არ დაგავიწყდეს! – სთხოვა არჩილმა.

აუდიტორიაში თითქოს ქარმა დაბერაო, ხმამაღალი ჩოჩქოლი ატყდა.

– როგორ, ჩვენ ლამაზად და კოხტად სიარულის უფლება არ გვაქვს? – წამოხტა გაკაპასებული ლუბა.

– ამხანაგო ნოდია, თქვენც აგრაფინასნაირ სტუდენტთა რიცხვს მიეკუთვნებით, შემჩნეულია, რომ სისტემატურად იქნით წარბებს და ბეჭედი გიკეთიათ მარცხენა ხელის შუათითზე ლექციების მსველელობის დროს. სხვათა შორის, ძალიან წითელი მანიკურიც გიცხიათ, სირცხვილი თქვენი. თქვენს ადგილას, მე ხმას არ ამოვიღებდი! – დაარიგა ჭკუა უშანგიმ.

– ვინ არის შენი ამხანაგი, შე კრეტინო, მე გათხოვილი ვარ და მინდა ბეჭედს გავიკეთებ, მინდა წარბებს ამოვიქნი და მინდა სულ გადავიპარსავ თმებს, ვინ გკითხავს, შე უზრდელო! – იკივლა ლუბამ.

– ამხანაგო ნოდია, პიროვნების შეურაცხყოფისათვის თქვენ საკითხსაც გავიტან შემდეგ კრებაზე. – იბღავლა ახლა თავმჯდომარემ.

ლუბას ტირილი აუვარდა და მერხზე დაემხო. აუდიტორია გადაირია.

– ჩამოდი ძირს!

– შენ ვის ასწავლი ჭკუას!
– მოდი, თემო, ჩვენთან დაჯექი...
– პროფკავშირის ფული რომ შეჭამეთ შენ და ილომ, იმას მიხედე!
– ვინ თქვა ეს? – გალურჯდა უშანგი.
– მე ვთქვი! – თქვა ოთარ სანებლიძემ და ადგა.
– რა უფლებით?
– ვიცი!
– საიდან?
– თვითონ ილომ მითხრა! – უშანგის ყბა მოენგრა. დარბაზი აზრიალდა.
– მე ამ საკითხს, ასე არ დავტოვებ, შემდეგ კრებაზე... – ვიღაცამ დაუსტვინა აუდიტორიაში. უცებ ბატონი დავითი წამოდგა ფეხზე და სიტყვა ითხოვა. დარბაზი გაიტრუნა.
– ამხანაგებო! – დაიწყო მან. – ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი სიტუაცია შეიქნა. ეტყობა, კომკავშირის კომიტეტს არ მოუმზადებია, კიდევ მეტი, საერთოდ არ შეუსწავლია ბარამიძის საკითხი და ისე გამოაქვს კრებაზე. ამხანაგო უშანგი, ასე არ შეიძლება, მე არ ვიცი, რამდენად მტყუანია ან მართალია ბარამიძე, მაგრამ ფაქტია, რომ აქ არ არის იოტისოდენა ურთიერთგაგება და პატივისცემა. რას იტყვით თქვენ, ბატონო გიორგი, ასეთ პირობებში თუ შეიძლება კრების ჩატარება? – ჰკითხა მან ჩვენს ლექტორს.
ბატონი გიორგი წამოდგა. მან საყვედურით სავსე თვალები მოაელო აუდიტორიას, მერე სინანულით დაიქნია თავი და სათვალე მოიძრო.
– მართალი გითხრათ, ჩვენ დისციპლინის მოყვარული და მკაცრი დისციპლინის მოყვარული ვართ... ალბათ, ეს იმით არის გაპირობებული, რომ ჩვენ, ჩვენი მეცნიერული მოღვაწეობის ხანგრძლივ პერიოდში, ხშირად გვიხდება სტუდენტებთან მჭიდრო კონტაქტში ყოფნა, ასე ვთქვათ, ურთიერთობრივი დამოკიდებულება და ამ ურთიერთობრივი დამოკიდებულების მრავალწლიანი ანალიზისა და გონებრივი, თუ შეიძლება ითქვას, ინტერპრეტაციის დღევანდელ ეტაპზე, მოვლენათა განვითარების, – ჩვენ ვგულისხმობთ კადრების შეფასებას, – რიტმიკაში, საშინელი არიტმია, ანუ დეპულსაცია, კაზუსური, ასე ვთქვათ, მორალურ–ესთეტიკური ნორმატივების დარღვევის თვალ–საზრისით. სიტყვა სტუდენტი, როგორც ცნება, აბსოლუტური გაბათილების, თუ შეიძლება ითქვას, მორალური ანულირების საშინელ პროცესს განიცდის. ვინ არის ხულიგანი? – სტუდენტი. ვინ არის ჯიბგირი? – სტუდენტი. ვინ არის უზრდელი? – სტუდენტი. სადაც კი შეიმჩნევა რამე დანაშაული ჩვენი სახელმწიფოს მეურნეობის რომელიმე დარგში, ვინ არის დამნაშავე? – სტუდენტი. მე ათასობით სტუდენტი გამიზრდია, ამხანაგებო!..
– აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ თუ გაქვთ წაკითხული, გიორგი ბატონო? – ჰკითხა ბატონმა შალვამ. დარბაზში თავშეკავებული სიცილი გაისმა.
– მე მივხდი თქვენს მინიშნებას, პატივცემულო შალვა, მაგრამ იცოდეთ, მე წამიკითხავს დიდრო, რუსო, ვოლტერი, მაკიაველი, ნაპოლეონისა და ბისმარკის მემუარები. მე მაწუხებს ჩვენი ახალგაზრდობის ბედი და ამიტომ ვლაპარაკობ ასე მკაცრად. მე მომწონს ჩვენი დღევანდელი მომხსენებლის, მართალია, ცოტა თავშეუკავებელი, მაგრამ პრინციპულად სწორი გამოსვლა. მომავალი თაობა ჩვენი ერის იმედი უნდა იყოს. ვინ უნდა ჩაიბაროს ეს სიმწრითა და სისხლით აშენებული ქვეყანა. ამათმა? ვიწრო შარვლებსა და ცხვირწაგრძელებულ ფეხსაცმელებში გამოჭიმულმა თაობამ? წარბებგამოქნილმა, პომადით მოთხუპნულმა და მოკლეკაბიანმა ქართველმა დედებმა?
– კაცო, ალექსანდრე მაკედონელი სულ შიშველი დადიოდა, მაგრამ მთელი მსოფლიო დაიპყრო. ამ დასაწვავ წარბებს კი თამარ მეფეც იქნიდა და ფერ–უმარილსაც იცხებდა თურმე. – თქვა ბატონმა შალვამ.
აუდიტორიაში ხარხარი ატყდა.
– ეს არ არის პოლემიკის ხერხი, ბატონო შალვა, მაცალეთ ლაპარაკი. თქვენ არ იცით; მე ახალგაზრდობაში, როდესაც ამ ქვეყანას ვაშენებდით, ცალ ხელში მაუზერი მეჭირა, მეორეში კი – წიგნი. – გაცეცხლდა უცებ ბატონი გიორგი.
– ეგ არ ვიცოდი, ჩემო გიორგი, და ახლა რომ გაკვირდები, ორივე ხელში წიგნი გჭერიდა, უკეთესი იყო! – გაუღიმა ბატონმა შალვამ.
ბატონი გიორგი გაშრა.
– თქვენ იცავთ ამ ახალგაზრდობას, რომელსაც ზრდილობა არა აქვს, პატიოსნება, არ იცის დისციპლინა, უმცროსი, უფროსი. თქვენ იცით, რომ ამათმა ტოლმა სტუდენტმა გუშინ კაცი მოკლა კიროვის სახელობის ბაღში! თქვენ იცით, რომ ერთი კვირის წინ ამათმა ტოლმა ორმა სტუდენტმა მაღაზია გაძარცვა! ამის ტოლმა სტუდენტმა, – მოათითა ჩემზე ბატონმა გიორგიმ, – ქალი გააუპატიურა კუკიის სასაფლაოზე და ამათმა ტოლმა სტუდენტმა გოგონამ უკანონო შვილი გააჩინა? – დაარტყა ხელი მაგიდაზე გიორგიმ.
– თქვენ იცით, ბატონო გიორგი, რომ ამისი ტოლი ბიჭი ამბრაზურას გადაეფარა მკერდით? თქვენ იცით, რომ ამის ტოლა გოგონა სახრჩობელაზე ავიდა? თქვენ იცით, რომ გუშინ ამის ტოლმა ვაჟმა თქვენი ტოლი კაცი ამოათრია მტკვრიდან? – არ იცით, არც გინდათ იცოდეთ და არც არის სავალდებულო, რომ თქვენ იცოდეთ!.. – წამოდგა ბატონი შალვა.

დარბაზში ტაშმა იგრიალა. ბატონმა შალვამ ხელით გვანიშნა, დაწყნარდითო და გააგრძელა:

– მე არ ვიცი, ამხანაგებო, რა ბრალი მიუძღვის ბარამიძეს. ეს ადვილი გასაგებია და, ალბათ, ამას დღეს თუ არა, ხვალ გამოარკვევს პარტბიურო, ან რექტორატი, რადგან ამხანაგ უშანგი ქაჩაკიძეს ამის უნარი არ აღმოაჩნდა, და თუ დასასჯელია ბარამიძე, დასჯის. მე ახლა სხვა რამე მაწუხებს. საიდან მოვიდა ეს ნიღილიზმი ახალგაზრდობის მიმართ, ვინ მოგცა შენ უფლება, უშანგი, ასეთი ბრალდებით რომ მიმართავ აუდიტორიას და შენს ტოლებს, შენს ამხანაგებს. რა იცი შენ, რამდენი თითის დადებით მოკლე კაბა აცვია ამხანაგ დანელიას, ან ვინ გაზომა კაბების სიმოკლე რამდენი თითის დადება უნდა იყოს!

– წყალს რომ სვამდა სოკოდან, ბატონო შალვა, წაიხარა და მე დავუნახე შიშველი სხეული! – წამოხტა უშანგი.

– რას უყურებდი მერე, შე ოჯახაშენებულო, შენი შიშით დანელიამ წყალი ვერ უნდა დალიოს?

– ბატონო შალვა, ძალაუნებურად!..

– ვერ მოწყვიტე თვალი? – ჰკითხა ბატონმა შალვამ, დარბაზი სიცილით გადაიქცა.

– რა შენი საქმეა, ამხანაგო უშანგი, რაფერად აქვს შეღებილი ფრჩხილები ლუბა ნოდიას. ვინ გკითხავს შენ არჩილის შარვლის სივიწროვეს, მაგის ერთი ლექსი მირჩევნია შენს თავს და შენს ფართო შარვალს.

– თქვენზე არ არის ქვეყანა დამოკიდებული, ბატონო შალვა! – წამოიძახა უშანგიმ.

– არც შენზე, ჩემო უშანგი! ვინ დაგაყენა შენ კომუნიზმის კარიბჭესთან, ვინ დაგავალა კომუნიზმში შემავალი ხალხის შარვლისა და კაბის ზომის აღება! ეს კიდევ საკითხავია, შენ თუ შეგიშვეს შიგ. ვინ მოგცათ უფლება თქვენ, ბატონო გიორგი, გამოდიხართ აქ და თავზე ლაფს ასხამთ ჩვენს სასიქადულო ახალგაზრდობას! ვინ გკითხავთ თქვენ ამ ქვეყნის ჩაბარება–გადაბარებას! თქვენ ეს ქვეყანა საწყობი ხომ არ გგონიათ? ახალგაზრდობა მოვა თავის დროზე და მისით ჩაიბარებს თავის ქვეყანას. ახალგაზრდობა დაგვმარხავს ჩვენ და დაგვაწერს საფლავის ქვაზე სახელებსა და გვარებს.

– ბატონო შალვა, ეგ პროვოკაციაა! – იყვირა ბატონმა გიორგიმ. ბატონმა შალვამ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

– ახალგაზრდობა ჩვენი იმედია, იაროს ახალგაზრდობამ ვიწრო და მოკლე კაბებში, ოღონდ იკითხოს წიგნი, უყვარდეს ერი, ქვეყანა, სამშობლო; ეკეთოთ საყურე გოგონებს, ეკეთოთ ბეჭდები, ოღონდ კარგი დედები იყვნენ და სწამდეთ სიკეთე და პატიოსნება. იჩხუბოს ბარამიძემ, ოღონდ იჩხუბოს საქმისთვის. და ის, თუ ვიღაცამ კაცი მოკლა და ვიღაცამ მაღაზია გაქურდა, არ არის ეროვნული ტრაგედია, ეროვნული ტრაგედია ის არის, რომ ამის მეტი ვერაფერი დაინახო... – ბატონი შალვა დადუმდა, მას ხელები და ტუჩები უთრთოდა.

– მაპატიეთ! – თქვა მან ბოლოს და თავის ადგილზე დაჯდა.

– კრება დამთავრებულია! – თქვა ბატონმა დავითმა. ბატონი გიორგისა და უშანგის გარდა, აუდიტორიიდან არავინ გასულა.

777

რექტორის მოსაცდელში ვზივარ, პირველი საათისთვის დამიბარა. ჯერ თორმეტია, მაგრამ მაინც ვზივარ და ველოდები. ჩემს გარდა სხვა სტუდენტებიც არიან. შედიან და გამოდიან, შედიან და გამოდიან. ზოგი გახარებული გამოდის, ზოგი ატირებული. რექტორი მკაცრი კაცია, ძალიან მკაცრი. მართალი გითხრათ, ჯერ მასთან არავითარი საქმე არ მქონია, არც სიმკაცრე გამომიცდია მისი, არც სიკეთე. მაგრამ ამბობენ მკაცრიაო და შიშისაგან გული მიმდის. ოთხი წელი ისე მაშინებდნენ ამ კაცით, როგორც დედა მაშინებდა მეეზოვე მამედათი...

... გასაოცარია პირდაპირ, მამედას შვიდი შვილი ჰყავს და არც ერთს არ ეშინია მისი. მე კი ეზოში ჩასვლას ვერ ვბედავ მამედას შიშით. მერედა მარტო მე? მთელი ეზოს ბავშვები მამედას დანახვაზე წივილ–კივილით ამორბიან კიბეებზე. მამედა განცვიფრებული იცქირება აქეთ–იქით.

– დაგვიზაფრა ბავშვი ამ უმსგავსომ, სხვა სახლმმართველობაში ვერ გადაიყვანეს? – ამბობს დეიდა მართა.

– სსუულ მმაგგის ბრალია ჩჩემი დათო რრომ ენა ბლუბლუბლუა... ალბათ, მაგან შშშეაშინა. – ამბობს პეტრე ბიძია და დათოს თავზე უსვამს ხელს.

საღამოს დედას ვუზივარ კალთაში. დედას უზარმაზარი მათლაფა უდგას მაგიდაზე და ბრინჯის ფაფით სავსე სუფრის კოვზს ბურღივით მიტრიალებს კბილებში.

– აბა, დიდი პირი გააღე, თორემ მამედას დავუძახებ, ტომარაში ჩაგსვამს და... – მე შეშინებული ვაღებ პირს.

– კიდევ ერთი, თორემ მამედას ვეტყვი და ხვალ გაგყიდის ბაზარში...

– აბა ერთიც, თორემ მამედა სანაგვე ყუთში ჩაგსვამს.

– არ გადაგიყლაპავს? ახლავე დავუძახებ მამედას და მილიციაში წაგიყვანს. მამედ, მამედ, მოდი, მამედ, თემო არ ჭამს!!!

– ეჭამ, ეჭამ! – ეყვირი მე და კოვზს ვადამდე ვიჩრი ხახაში. მერე მთელი ღამე მამედა მესიზმრება. მამედას მოაქვს დიდი ტომარა, მკუჭავს მუშტით შიგ, ისე როგორც სიმინდის ქუჩეჩს,

უკრავს თავს ტომარას და მივყავარ სადღაც. ტომარაში ბნელა, ძალიან ბნელა. მე ვირწევი მამედას ზურგზე, ვირწევი, როგორც ჰამაკში. მამედას დიდი ლაჯები აქვს, იგი რბილად მიალაჯებს. დიდხანს, დიდხანს მიდის მამედა, მერე უცებ ჩერდება, ტომარას ატრიალებს, ატრიალებს და ხელს უშვებს... მე ვვარდები დაბლა, ყურებში რაღაც მიწივის. მიშველეეთ! მიშველეეთ! ვკივი მე, ტომარას თავი ეხსნება და მე ტომარიდან თავს ვყოფ. ჩემს ქვემოთ არის უზარმაზარი კლდე, კლდეზე ხე, ამ ხეზე თუ შევრჩი, კლდეზე დასკდომას გადავრჩები. თუ იმ კლდესაც ავცდი, უფრო ქვევით უზარმაზარი ზღვაა და იმ ზღვაში დავიხრჩობი... მიშველეეთ! მიშველეეთ! და მე ვეხეთქები აქაფებულ ტალღებს... აი, ახლა დავიხრჩობი, აი, ახლა, მაგრამ მე ვსუნთქავ, ზღვაში ვსუნთქავ. ზღვა არის ძალიან თბილი, ლურჯი და გამჭვირვალე, ზღვაში ყველაფერი ჩანს. მე ვსუნთქავ და ნელ-ნელა ვიძირები. დავდივარ ფსკერზე, ვცურავ, ვტრიალებ, თავდაღმა ვეკიდები, ზურგზე ვწვები, მუცელზე ვწვები, ვსუნთქავ და ბუშტებს ვუშვებ მაღლა. მერე მე ვჯდები დიდ ხავსიან ქვაზე, ვიღებ უბიდან სალამურს და ვუკრავ სევდიან, ძალიან სევდიან სიმღერას:

სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო.
ჩემი შვილი მანდ არის, კარგად შემინახეო!

ამ სიმღერას სურამში მღეროდა მოხუცი მათხოვარი. დედა ტიროდა. მეც ვტიროდი, მერე დედა მაძლევდა ხურდა ფულებს. მე ვუყრიდი იმ ხურდას მოხუც მომღერალს გაქონილ ქუდში, და, როდესაც ახლოს მივდიოდი, მიკვირდა, თვითონ მოხუცი რომ არ ტიროდა.

მე ვუკრავ სალამურზე, ვუკრავ და ვუკრავ... მოდიან ოქროსფერი, ვერცხლისფერი, მწვანე, წითელი, ლურჯი, პატარა თევზები, ჩერდებიან გარშემო მონუსხულებივით, კუდებს იქნევენ ოდნავ, სულ ოდნავ, ბუშტებს უშვებენ და ტირიან, ტირიან, მერე ისევ ბუშტებს უშვებენ და მეკითხებიან:

– რა გატირებს, პატარა ბიჭო?

– ჩემო ოქროს თევზებო, ჩემო ვერცხლის თევზებო, ჩემო მწვანე თევზებო, ჩემო ლურჯო თევზებო... წადით და უთხარით ჩემს დედიკოს, რომ ემ აქ ვარ, რომ არ დავმხრჩვალვარ, ვსუნთქავ წყალში და კარგად ვარ, ოღონდ დედა მენატრება, მოვიდეს და წამიყვანოს...

– რა ჰქვია შენს დედას, ბიჭიკო? – მეკითხებიან თევზები.

– ჩემს დედას ანიკო ჰქვია!

– მერე როგორ მივაგნოთ შენს დედას?

– ჩემი დედა ყველაზე კარგი, ყველაზე ტკბილი და ყველაზე ლამაზი დედაა მთელს ქვეყანაზე. როგორც კი შეხედავთ, იცნობთ... ჩემო ოქროს თევზებო, ჩემო ვერცხლის თევზებო...

– კარგი, ბიჭიკო, წავალთ, ოღონდ ერთხელ კიდევ დაუკარი.

მე ვუკრავ:

სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო.
ჩემი შვილი მანდ არის, კარგად შემინახეო!

თევზები მიცურავენ, მიცურავენ, მიცურავენ... თანდათან ქრებიან და ისევ მარტო ვრჩები. მაინც ვუკრავ და ვტირი, ვუკრავ და ვტირი, მერე უცებ, ვხედავ, მოცურავს დედა ჩემსკენ გამოშვერილი ხელებით, მოცურავს დედა ოქროს, ვერცხლის, წითელი, მწვანე, ლურჯი თევზების თანხლებით და იგი ყველაზე ლამაზი თევზია ამ თევზებს შორის.

– დეეედაა! – ვეძახი მე და მის შესახვედრად მივცურავ...

დილით ვიღვიძებ. დედა მაცმევს, მაჭმევს და ეზოში მიშვებს სათამაშოდ. ეზოში დიდი აკაციის ხეა, მისი ტოტები ლამის ჩვენს ფანჯარაში შემოვიდეს, ფეხზე ვიხდი, თან მაღლა ვიყურები, დედამ არ დამინახოს, ავდივარ აკაციაზე, ვპუტავ ყვავილებს და უბეში ვიტენი, მერე ჩამოვდივარ, აგურის კედელზე მიშენებული ფიცრულის კუთხეში ვჯდები, მამედას ცოცხის გვერდით და აკაციის ყვავილებით ვივსებ პირს. ტკბილია, როგორც თაფლი, აკაციის ყვავილი. ამას რომ დავამთავრებ, კიდევ დავკრეფ, ვფიქრობ მე და ისევ ვივსებ პირს.

– რას ყვები, ბიჭო, ჟენ ზულელი არი? – მესმის მამედას ხმა, ხელ-ფეხი მიცივდება, მინდა ვიბღავლო, მაგრამ აკაციის ყვავილით მაქვს გამოტენილი.

– ახლავე გადაყარო, თორემ სულ ყურები გაგითალო, ერთი ბატარა ჟანჟველა შეხდეს, მუცელი როგორც ბარაბანი გაგიბეროს, ახლავე გადმოყარო... – მამედა ხელს მავლებს ნიკაპში და პირს მიღებს, მე ხელისგულზე ვუყრი ნახევრად დაღეჭილ ყვავილებს.

– აი, აი, რა კარგი ბიჟი, რა სუდი საქმე აკეთებ. – თავს აქნევს მამედა.

– ტომარაში არ ჩამსვამ? – ვეკითხები მე შეშინებული.

– სად არის დომარა? – მეკითხება მამედა.

– სანაგვე ყუთში არ ჩამაგდებ? – ისევ ვეკითხები შეშინებული.

– სოთა ნაგავია, შენისთანა ოქრო ბიჟი სანაგვე არ ჩაუშოს? – იღიმება მამედა.

– მილიციელს არ დაუძახებ? – უნდობლად ვეკითხები.

– მილისია? მილისია დავეუხახებ, თუ კიდე აკასია ჟამო! – მემუქრება მამედა.

– აღარ შეეჭამ, ძია მამედ! – ეპირდები მე.

– აი, საღოლ, საუმელი უნდა, ბური და ყველი ჟამოს, – ამბობს მამედა, მერე მიდის თავის სარდაფთან, ცოლს ეძახის, რაღაცას ეუბნება ქურთულად, მამედას ცალს შავი პური და ყველი მოაქვს, მამედა ართმევს და მე მაძლევს.

– უამე, – მე ვართმევ შავ პურსა და ყველს, მამედას ძაღლი თვალებში შემცინინებს.

– უამე, თორემ ზაღლი წაიღებს! – მაფრთხილებს მამედა, ცოცხს იღებს და მიდის. მე მადიანად ვილუკმები!

– თემური, რას ჭამ, ახლავე გადააგდე და ამოდი სახლში! – მეძახის დედა აივნიდან.

– მოვდივარ! – ვეძახი მე და არ მივდივარ...

777

– ბარამიძე რომელია? – კითხულობს რექტორის კაბინეტიდან გამოსული მდივანი თინა.

– მე ვარ! – ვამბობ მე და ვდგები. თინა სიბეცისაგან ისედაც მოჭუტულ თვალებს უფრო ჭუტავს. მაკვირდება, მართლა ბარამიძე ვარ თუ არა და მერე ისე მეუბნება შებრძანდითო, თითქოს ერთი თვე მაინც ვეხვეწებოდი შემიშვი–მეთქი. კარი ფრთხილად შევაღე და ზურგს უკან მივიხურე. დიდ საწერ მაგიდას ორნი უსხდნენ – ჩვენი ფაკულტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი და რექტორი. ასეთ დიდ, ნათელ და გაწყობილ კაბინეტში პირველად ვიყავი ჩემ სიცოცხლეში და არც რექტორი მენახა ადრე ასე ახლოს. მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, ხელისგულებში ოფლი გამომივიდა, ფეხი ვერ გადავდგი წინ.

რექტორი წამოდგა. იგი იყო ძალიან მაღალი, მელოტი, მის მკაცრ სახეს აბურდული, ვეება წარბები უფრო მკაცრ იერს აძლევდა.

– ეს არის ბარამიძე! – უთხრა ბატონმა დავითმა და გაიღიმა.

– დაჯექი! – მითხრა რექტორმა და ტყავის დიდ სავარძელზე მიმითითა. მე ადგილიდან არ დავძრულვარ.

– დაჯექი, ბარამიძე! – მითხრა ახლა ბატონმა დავითმა.

– არა უშავს, აქ ვიქნები! – ვუპასუხე მე და შევიშმუშნე.

– ბიჭო, არ გესმის, შენა, მოდი და დაჯექი! – მითხრა რექტორმა. მე მაგიდასთან მივედი.

– გამარჯობათ!

– გაგიმარჯოს! – გამომიწოდა ხელი რექტორმა. მე ოფლიანი ხელი თეძოზე შევიხოცე და ჩამოვართვი. რექტორს გაეღიმა.

– გლეხია! – უთხრა მან პარტკომს. მე დავჯექი. დაჯდა რექტორიც. დუმილი ჩამოვარდა. რექტორმა უზარმაზარი წითელი ფანქარი აიღო და ბლოკნოტში რაღაცის ხატვა დაიწყო.

– რა გქვია? – მკითხა უცებ.

– თეიმურაზი, – ვთქვი მე და ისევ ავდექი.

– იჯექი, იჯექი! – ხელით მანიშნა მან და ხატვა განაგრძო. პარტკომი გაზეთს ათვალიერებდა და ხმას არ იღებდა. ვგრძნობდი, რაღაცას მიპირებდნენ კომკავშირის საერთო კრებასთან დაკავშირებით, მაგრამ რას, ვერ ვხვდებოდი. ასე ვდუმდით დიდხანს სამივე. მე თანდათან ცუდად ვხდებოდი, გული გამიწვლილდა და დამელია, ადგომა მოვინდომე, მაგრამ ვერ ავდექი, პირი ისე გამიშრა, ენას ველარ ვაბრუნებდი. თვალი გავაყოლე კედლის საათის ვეებერთელა სპილენძის ქარხანას, მარჯვნივ, მარცხნივ, მარჯვნივ, მარცხნივ, თვალები ამიჭრელდა, ისრები ერთმანეთში აირია, ალბათ, გავიდა ათი წუთი, თხუთმეტი, ერთი საათი თუ რამდენი? ნეტა იმ წყლის დალევა შეიძლებოდეს, ვარდისფერ ქილაში რომ ასხია. ღმერთო, რა იქნება ახლა, რომ დაასხას რექტორმა წყალი ჭიქაში და მითხრას დალიეო. რომ არ დამისხას, გავგიჟდები, გული შემიწუხდება და გავგიჟდები. რაც იქნება, იქნება, ავიღებ და დავისხამ, დავლევ, მერე რაც უნდა მიქნან, დავლევ და მორჩა... რომ მითხრან არ შეიძლებაო? მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ახლა ვდგები და დავისხამ წყალს, სულ გამოვწურავ ქილას. პირდაპირ ქილიდან დავლევ...

– პატივცემულო რექტორო! – წამოვდექი მე.

– გისმენ! – ასწია მან თავი.

– შეიძლება წყალი?

– მიირთვით! – თქვა რექტორმა და ხატვა განაგრძო. მე წყალი დავისხი, დავლიე ერთი ჭიქა, მეორე...

– ცოტა ჩვენც დაგვიტოვე! – თქვა რექტორმა. მე ჭიქა დავდგი და სული მოვითქვი.

– წყალი არ მოდის თქვენთან? – მკითხა მზრუნველი კომენდანტივით.

– კი, ბატონო! – ვთქვი მე.

– აბა, მოყევი, როგორ იყო! – მითხრა უცებ და სასმენად მოემზადა.

– მე, ბატონო, არაფერ შუაში არ ვარ.

– იცი, რას გეკითხები? – მკითხა რექტორმა.

სახტად დავრჩი.

– კრების შესახებ მეკითხებით... – ვთქვი მე და პარტკომს შევხედე.

– კრების შესახებ დავითმა მითხრა. მაგაზე ცალკე მოგელაპარაკებით მთელ ფაკულტეტს. შენ ის მოყევი, მეზობელს მთვრალი როგორ მიუვარდი. – თქვა რექტორმა და წარბები შეიკრა.

ახლა იგი კლდის ქიმზე შემჯდარ და გადასაფრენად მომზადებულ დიდ არწივს ჰგავდა. სულერთია, ამას ვერ მოვატყუებ, ჯობს, ყველაფერი მართალი ვუთხრა, ალბათ იცის კიდევაც, რაკი დარეკა, ამასაც დაურეკავდა აბიბო... თუ გარიცხვა უნდათ ჩემი, ისედაც გამრიცხავენ, თუ არა და... ჯობს მართალი ვუთხრა, იქნებ დამიჯეროს, იქნებ გამიგოს, და თუ გამიგო... არ შეიძლება ამ კაცმა რომ არ გამიგოს...

– პატივცემულო რექტორო, დედას გეფიცებით, მთვრალი არ ვყოფილვარ. – დავიწყე მე.

– ღვინოს არ სვამ? – მკითხა რექტორმა.

– კი, მაგრამ მაშინ არ ვიყავი მთვრალი.

– ეგ უარესი შენთვის! – მითხრა რექტორმა. – ესე იგი, შეგნებულად მისულხარ!

– კი, შეგნებულად მივედი.

– რატომ?

– ერთი კვირის წინ, კოლონიიდან, პატივცემულო რექტორო, პატიმრები გაიქცნენ, ორი მოკლეს, სამი გადარჩა. იმ სამში ერთ–ერთი ჩემი მეგობარი იყო, სკოლის მეგობარი. – მე ხმა ამიკანკალდა.

– ის მეგობარი, ქურდი, შენი სახლიდან წაიყვანეს, ბარამიძე. – მითხრა რექტორმა და უფრო შეიკრა წარბი.

– დიახ, ჩემი სახლიდან. არავინ არ იცოდა, რომ ის ჩემთან იყო, ვიცოდით მარტო მე, დედამ და აბიბომ.

– აბიბო თოდრია უშიშროებაში მუშაობს, იგი პასუხისმგებელი პირია, იგი ვალდებული იყო! – შემაწყვეტინა რექტორმა. მე გული შემეკუმშა. გათავდა, არ უნდა მეთქვა, ვიფიქრე მე, სულერთია ვერაფერს გაიგებს. ან რა უნდა გაიგოს, როდესაც ამბობს ვალდებული იყოო; არაფერს აღარ ვეტყვი,მორჩა. მე დავდუმდი.

– მერე, თეიმურაზ? – მკითხა ბატონმა დავითმა. მე ვიჯექი თავჩაღუნული და ხმას არ ვიღებდი. რექტორი ადგა, შუა ოთახში გამოვიდა და ბოლთისცემა დაიწყო, მერე ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– მომიყევი, ოღონდ ყველაფერი მართალი თქვი.

მე ხმა არ გავეცი.

– ბარამიძე, მე მელაპარაკნენ შენზე ბატონი შალვა და დავითი. მე არ მინდა მივიღო ზომები, ვიდრე ყველაფერს არ გავიგებ! – თქვა რექტორმა.

– თემო! ჩვენ შენ გეხმარებით და შეგვიწყე ხელი, – მთხოვა ბატონმა დავითმა.

– მე არავისი დახმარება არ მინდა, ყველაფერს მართალს ვიტყვი. თავერა ექვსი წელია არ მინახავს, ახლა ციხიდან გამოიქცა და ჩემთან მოვიდა, აღარ უნდა ქურდობა, სწავლა უნდა, აბიბო უსინდისოა, ბინძური კაცია, მე მოვკლავ აბიბოს... –

სული შემეხუთა და ავდექი. რექტორი და პარტკომი გაოცებული მიცქეროდნენ.

– დაჯექი და გაგვაგებინე რაშია საქმე. – დამადო მხარზე ხელი რექტორმა. მე დავჯექი.

– თავერამ ათასი განცხადება დაწერა, მაპატიეთო, აღარ მინდა ქურდობაო, დავიღალეო, სწავლა მინდაო, მუშაობა მინდაო, ათასი წერილი დაწერა, არავინ წაიკითხა, არავინ დაუჯერა, არავინ ენდო, მაშინ გაიქცა. ჩემთან მოვიდა, მენდო, მთხოვა დავხმარებოდი...

– მერე, თეიმურაზ? – მკითხა ბატონმა დავითმა.

– მერე, – დავიწყე მე, – მერე მე აბიბოს გარდა არავის ვიცნობდი. მივედი. დავუჩოქე, ვთხოვე, დაუჯერეთ თავერას, თუ არ დაუჯერებთ, ისევ იქურდებს, დაიღუპება ან თავს მოიკლავს–მეთქი. დავუჩოქე, შეეეხვეწე. დამპირდა და დააჭერინა... მერე მე მივუვარდი აბიბოს, არ დამხვდა სახლში, ან იყო და კარი არ გამიღო. თუ პატიოსანი კაცია, რატომ არ გამიღო კარი... სულ ერთია, მოვკლავ აბიბოს...– ვთქვი მე და გავჩუმდი.

რექტორი დიდხანს იჯდა თავჩაღუნული და ისევ რაღაცას ხატავდა. არა, კი არ ხატავდა, ფანქრის ჩქარი მოძრაობით ნახატს ამუქებდა.

– შენ გჯერა შენი თავერასი? – მკითხა უცებ რექტორმა და თვალი თვალში გამიყარა.

– მჯერა! – ვთქვი მე.

– სწავლა უნდა?

– სწავლა უნდა.

– რამდენი წელი დარჩა?

– ოთხი. ოთხ წელიწადში სიცოცხლე გათავდებაო...

– ოთხ წელიწადში სიცოცხლე არ გათავდება.

– თავერასთვის გათავდება, პატივცემულო რექტორო.

– რა გვარია შენი თავერა?

– კორსაველი თავერა, თავერა კი არა, რამაზი. თავერას სკოლაში ვეძახდით!

– რამაზ კორსაველი, რამაზ კორსაველი. – რატომღაც ორჯერ გაიმეორა რექტორმა. მერე იმავე ქაღალდზე, რომელზეც რაღაცას ხატავდა, დაწერა – რამაზ კორსაველი.

– რომელ კურსზე ხარ? – მკითხა რექტორმა.

– მეოთხეზე, პატივცემულო რექტორო.

– როგორ სწავლობს? – ჰკითხა ახლა ბატონ დავითს.

– სწავლობს. – თქვა ბატონმა დავითმა და გაიღიმა.

– როგორი ბიჭია?
– აი ასეთი, როგორსაც ხედავთ.
– მეგობრები თუ უყვარს და თუ სჯერა მეგობრების, კარგია, მაგრამ ყველას ნდობა არ შეიძლება, ბიჭო. – მომიბრუნდა ახლა მე.
– თავერას ნდობა შეიძლება. – ვთქვი მე.
– შენს თავერას თუ სწავლა უნდა და კარგი ცხოვრება, ოთხ წელსაც მოითმენდა, ციხიდან გაქცევა დანაშაულია, იცი შენ ეს?
– ვიცი.
– წადი ახლა, შენს ჯგუფში დაჯექი, ჩხუბს და აყალმაყალს თავი დაანებე, კარგად ისწავლე, შენ საქმეს მიხედე, თავერა თვითონ მოუვლის თავის თავს.
რექტორი ადგა. მეც ავდექი. ადგა ბატონი დავითიც. რექტორის წინ დადებულ ფურცელს დავხედე. ზედ ლამაზი, ყურებპარტყუნა გულუბრყვილო ვირი ეხატა, წითელი თავჩაქინდრული ვირი, სევდიანი თვალებით. ვირის ქვეშ წითელივე ფანქრით ეწერა – რამაზ კორساველი (თავერა). სულ ბოლოს კი დიდი ასოებით გამოყვანილი იყო ჩემთვის გაუგებარი სამი ციფრი 2 – 33.
– ნახვამდის! – ვთქვი მე.
– ნახვამდის! – თქვა რექტორმა.
კარისკენ წამოვედი. ბატონი დავითი უკან გამომყვა.
– დავით, შენ დარჩი! – უთხრა რექტორმა. ბატონი დავითი დარჩა. მე კარი გავიხურე.
– როგორ გუნებაზეა? – მომვარდა ვიღაც სტუდენტი.
– არ შეხვიდე. მოგკლავს! – ვუთხარი მე და მოსაცდელიდან გამოვედი. ეზოში ჩავედი და მტირალა თუთის ძირას დადგმულ სკამზე დავჯექი.

777

უნივერსიტეტი შორიდან უზარმაზარ სკას ჰგავს. მის კართან განუწყვეტლივ ბზუიან ფუტკრები, მუშა და ზარმაცი ფუტკრები, ისინი განუწყვეტელ ნაკადად შედიან და გამოდიან, შედიან და გამოდიან მოჩუქურთმებულ კარში. ზუსტად ისევე, როგორც სკაში, კართან დგანან მკლავზე წითელლენტიანი დარაჯები, ისინი გულმოდგინედ უსინჯავენ უნივერსიტეტში შემავალ სტუდენტებს საბუთებს. ვისაც აქვს საბუთი, უშვებენ სკაში, ვისაც არა, უკან აბრუნებენ ზარმაცი ფუტკრებივით. არის ერთი აურზაური და ორომტრიალი, დღე და ღამე, დღე და ღამე. ლექტორებს, ისე, როგორც დედა ფუტკრებს, უფრო მოწიწებით ეპყრობიან. დარაჯები მათ გამოჩენაზე თავს მიწაზე ხრიან, ლექტორები თავის მხრივ ასევე მოწიწებით იხდიან ქუდებს და, როგორც სალოცავ ტაძარში, ისე თავშიშველი და წელში მოხრილნი შედიან მათთვის ფართოდ გაღებულ კარში. საოცრად ჰგავს უნივერსიტეტი სკას თავისი, ფიჭასავით ჩაწყობილი ბიბლიოთეკებით, აუდიტორიებით, მერხებითა და კათედრებით, კართან მდგარი დარაჯებითა და მოფუსფუსე სტუდენტებით. ჰგავს კი არა, უნივერსიტეტი, ალბათ, მართლაც სკაა, უზარმაზარი დევების სკა, დევების კი არა, ღმერთების, თაფლით გატენილი სკა და რა ბედნიერებაა, როდესაც იცი, რომ შენც ამ სკაში ცხოვრობ, როგორც ღმერთის სამსახურში მყოფი პატარა ფუტკარი.

გალაკტიონი

გვერდით ვიღაც მომიჯდა და მუხლზე ხელი დამადო. მივიხედე, გურამი იყო.
– რაო, თემო, რას ფიქრობ?
– არაფერს.
– მაინც?
– რექტორთან ვიყავი, აბიბოს და კრების გამო დამიბარა.
– გაიგო?
– ყველაფერი.
– მერე?
– ყველაფერი მოვუყევი... მართალი მოვუყევი.
– რა გითხრა?
– წადი, შენს საქმეს მიხედე, მეორეჯერ არ დაგემართოსო, თავერას გვარი და სახელი ჩაიწერა...
– რისთვის?
– არ ვიცი!
– წამო, სადმე დავჯდეთ, მომიყევი. – მე ავდექი.
„ინტურისტის“ ბაღში ყველა კუპე დაკავებული იყო. მე და გურამი აუზის გვერდით მაგიდას მივუსხედით და ვიდრე საჭმელს მოგვიტანდნენ, ლუდი მოვითხოვეთ. ოფიციანტმა ორი ბოთლი ცივი ლუდი მოიტანა. მე ჭიქის პირს მარილი მოვაყარე და ნელა მოვსვი. სასიამოვნო სიგრილემ დამიარა სხეულში. ჩვენს მარჯვენივ, კუთხეში, კაცი იჯდა, ჩვენკენ ზურგით, ძალიან განიერი, ოდნავ მოხრილი ბეჭები ჰქონდა. ღვინოს სვამდა. ძალიან ნაცნობი ტანი ჰქონდა, ძალიან. უცებ მან თეფშზე ჩანგალი დააკაკუნა, ჩვენკენ მობრუნდა და ჩვენს ოფიციანტს მიმართა:

– ძამიკო, რამდენ ხანს უნდა გელოდო?
– მოვდივარ, შე კაცო, ფრთებს ხომ არ გამოვისხამ, შენისთანა მილიონია და მე ერთი, – წყენით უთხრა ოფიციანტმა და ჩვენი შეკვეთის მოლოდინში ფანქარი და ქაღალდი მოიმარჯვა.
– გურამ, შეხედე. – ვუთხარი მე.
– ვის?
– გალაკტიონი! – გურამი სწრაფად შეტრიალდა. ახლა გალაკტიონი ისევე ზურგით იჯდა ჩვენკენ.
– ჯერ იმას მიუტანე. – ვუთხარი მე.
– შეკვეთა მომეცი, შე კაცო, და იმას კი მიეხედავ. ასე ზის მაგი ორი საათია და მიჩიჩინებია იმ ერთ ბოთლ ღვინოს. – გაიკრიჭა ოფიციანტი. მე შევუკვეთე რაც გვინდოდა და ვთხოვე ოფიციანტს გალაკტიონის მაგიდასთან მიეტანა.
– მივიდეთ, გურამ?
– არ ეწყინოს, ბიჭო.
– რატომ უნდა ეწყინოს, მივიდეთ და დაველაპარაკოთ.
– მივიდეთ. – გადაწყვიტა გურამმა და ადგა. თავზე რომ დავადექით, გალაკტიონმა გაკვირვებით ამოგვხედა.
– შეიძლება, ბატონო გალაკტიონ, თქვენ მაგიდასთან დავსხდეთ? – გავუბედე მე. გალაკტიონმა მაგიდებს მოავლო თვალი, ცარიელი მაგიდები რომ დაინახა, გაეცინა.
– მაგიდების მეტი რა არის, ძამიკო, ამ რესტორანში?
– ჩვენ თქვენთან გვინდა! – ისე სთხოვა გურამმა, გალაკტიონს კი არა, მე ამიჩუყდა გული.
– დაბრძანდით, დაბრძანდით! – მიგვიპატიჟა გალაკტიონმა. ჩვენ დავსხედით. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.
– ვინ ხართ თქვენ, ყმაწვილებო? – დაარღვია სიჩუმე გალაკტიონმა.
– ჩვენ სტუდენტები ვართ, ბატონო გალაკტიონ. – ვუთხარი მე.
– სწავლობთ?
– დიახ.
– კარგია, შესანიშნავია, უშესანიშნავესი! – თქვა გალაკტიონმა და ბოთლი აიღო ხელში. უცებ აწრიალდა, რაღაცის ძებნა დაიწყო, მერე წამოდგა, მეზობელი მაგიდიდან ორი ჭიქა აიღო და მე და გურამს დაგვიდგა:
– ღვინოს ხომ სვამთ?
– კი! – თქვა გურამმა.
– მე მიცნობთ, არა? – გვკითხა და ღვინის დასხმა დაიწყო.
– თქვენ ვინ არ გიცნობთ, ბატონო გალაკტიონ! – უთხრა გურამმა.
– ოფიციანტი არ მიცნობს, ძამიკო, ერთი საათია მიყურებს და ვერ მიცნო! – გაიღიმა გალაკტიონმა. ოფიციანტი მოვიდა, სამი ბოთლი ღვინო მოიტანა, ყველი, მშრალად მოხარშული ხორცი და სალათი.
– შენ ვერ მიცნობ მე, ძამიკო? – ჰკითხა გალაკტიონმა.
– რავა ვერ გიცნობ, შე კაცო, სულ ჩვენთან არ დადიხარ? – გაულიმა ოფიციანტმა.
– აბა, ვის ვგავარ თუ იცი?
– ვის გავხარ და მღვდელს. – გამოიცნო ოფიციანტმა და გალაკტიონს წვერზე შეხედა.
– სწორი ხარ, ძამიკო, მღვდელს ვგავარ. – ჩაიხითხითა გალაკტიონმა.
ოფიციანტი გაბრუნდა. გალაკტიონი ხითხითებდა.
– ხომ გითხარით, ვერ მიცნობს–მეთქი. – გვითხრა ბოლოს, ხითხითი რომ მოათავა. – აბა, თქვენ თუ მიხვდებით ვის ვგავარ? – მე ჟრუანტელმა დამიარა ტანში. რა ვუპასუხო ახლა?
– დაგვცინით, ბატონო გალაკტიონ? – ჰკითხა გურამმა მომაკვდავი კაცის ხმით.
– არა, ძამიკო, მართლა გეკითხებით.
– თქვენ არავის არ გავხართ, ბატონო გალაკტიონ, თქვენ ხართ გალაკტიონი, დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. სხვას ვის უნდა გავდეთ? – ვთქვი მე.
– გალაკტიონ ტაბიძე კი ვარ, მაგრამ ვის ვგავარ?
– გოეთეს! – თქვა გურამმა.
– არა! – გაიღიმა გალაკტიონმა.
– პუშკინს.
გალაკტიონმა თავი გაიქნია.
– მიცკევიჩს, ბაირონს, რემბოს...
– არა!
– რუსთაველს, ბოდლერს, ფირდოუსს...
– არა, ძამიკო, არა, აკაკის არ ვგავარ, წერეთელს? – თქვა მან და წვერზე ხელი ჩამოისვა.
– კი, როგორ არა, ძალიან გავხართ, ბატონო გალაკტიონ, ძალიან! – ვთქვი მე.
– აი, ხომ გითხარით! ყველა მეუბნება აკაკის გავხარო, ოფიციანტმა კი ვერ მიცნო. გაუმარჯოს აკაკის! – თქვა გალაკტიონმა და ჭიქა გამოცალა. ჩვენც გამოვცალეთ.

გალაკტიონი ოდნავ მთვრალი იყო, საოცრად ღრმა, ჭკვიან და გაღიმებულ თვალებში ეშმაკური ნაპერწკალი ენთო. იგი ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა.

– თქვენ რას აკეთებთ, ძამიკოებო, ლექსებს არ წერთ?

– მე არა, ეს წერს! – თქვა გურამმა.

– მე აღარ ვწერ ლექსებს! – ვუთხარი მე.

– რატომ მერე, ძამიკო, ყველა წერს და შენ რა დააშავე, წერე, წერე, კარგია ლექსების წერა. – მითხრა და თავზე გადამისვა ხელი.

– თქვენ რომ ლექსებს წერთ, ისეთი ლექსების წერა კია კარგი, ბატონო გალაკტიონ. – ვთქვი მე.

– ცუდი ლექსის წერაც კარგია, არ არის საკალდებულო ყველამ კარგი ლექსები წეროს. – გაიცინა გალაკტიონმა და შევატყვე, უკვე ბურთივით გაგვიგდო მე და ჩემი გურამი. გურამს პირი ჰქონდა დაღებული. მინდოდა ხელი ამეფარებინა, რამე სისულელე არ წამოსცდეს–მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი.

– როგორ წერთ ლექსებს, ბატონო გალაკტიონ? – წამოაყრანტალა მან და გამარჯვებული სახით გადმომხედა.

გალაკტიონმა ისე ახედა გურამს, რომ გურამის საცოდაობით გული დამეთუთქა. მერე ისევ დაასხა ღვინო, პატარა ხორცის ნაჭერი გადაიღო და თეფშის კიდეზე დადო. თვალები დახუჭა.

– მე ზღვა მიყვარს ძალიან, ზღვა და მზე. ყოველ ზაფხულს დავდივარ ზღვაზე. სახლი მაქვს სოხუმში. სოხუმი ხომ იცით? – გვკითხა მან და თვალები გაახილა. ჩვენ თავი დავუქნიეთ. გალაკტიონმა ისევ დახუჭა თვალები. – ყოველ ზაფხულს ჩავდივარ სოხუმში, ამოვთხრი დიდ ორმოს სილაში, ჩაეწვები შიგ და ჩავიმარხები კისრამდე, აი ასე. – მან გვიჩვენა თუ როგორ აკეთებდა ამას. – მერე ვიზამ პირს მზისკენ და ვხუჭავ თვალებს, როგორც ახლა, ასე. ჯერ ბნელა, მერე ჩნდება რგოლები, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი. მერე ნათდება, ნათდება და მზე ჩამოდის თვალებში, დიდი, უდიდესი ნათელი მზე. მზე ატანს ქუთუთოებში, ძვალში, რბილში, სისხლში, მზე ყველაფერში ატანს, სამარეშიც ატანს მზე. მერე ციდან ეშვება თეთრი ანგელოსი, ლამაზი, თეთრი ანგელოსი, ეშვება ჩემს ყურთან და მკარნახობს ლექსებს... – გალაკტიონი დადუმდა. იგი დიდხანს იჯდა ასე თვალდახუჭული და მე მჯეროდა, რომ იგი ახლაც ხედავდა მის ყურთან დახრილ თეთრ ანგელოსს, რომელიც ყურში მზესავით უდიდეს და ნათელ ლექსებს კარნახობდა. მერე მან გაახილა თვალები და მე ხატზე დავიფიცებ, რომ მის თვალებში ორი უზარმაზარი თაკარა მზე დავინახე.

– ასეა, ძამიკოებო. – თქვა მან ძალიან სერიოზულად და ჭიქა ასწია. – გაუმარჯოს ანგელოსს. – თქვა და დალია.

– ბატონო გალაკტიონ, მართლა ანგელოსი გკარნახობთ? – ვკითხე მე გაუბედავად.

– კი, ძამიკო. ანგელოსი მკარნახობს, აბა, მე სად მცალია ლექსების საწერად. – დაისაწყლა თავი გალაკტიონმა.

– „ნიკორწმინდაც“ ანგელოსმა გიკარნახათ? – ჰკითხა გურამმა.

– „ნიკორწმინდაც“ ანგელოსმა მიკარნახა. – დააქნია თავი გალაკტიონმა.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

– სად არის ჩვენი ოფიციანტი, აღარ მოდის? – აწრიალდა უცებ გალაკტიონი.

მე თეფშზე ჩანგალი დავაკაკუნე. რესტორნის მარცხენა კუთხეში დიდი ორომტრიალი იყო, ვიღაცებს ოთხი მაგიდა შეეერთებინათ და მთელი რესტორნის ოფიციანტები მათ ემსახურებოდნენ. ჩვენი ოფიციანტიც იქ ტრიალებდა ჯარასავით.

– რას შვები, კაცო! – დავუქნიე ხელი. რა ექნაო, გაშალა ხელები და სამზარეულოსკენ გაიქცა.

– მოვა ახლავე, ბატონო გალაკტიონ! – დავამშვიდე მე.

– შორეული ქალის ეშხი მოვა, მაგრამ როდის... – თქვა გალაკტიონმა. ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტი მოვიდა.

– სად ხარ, ძმაო, დაგვხოცე შიმშილით! – გაუჯავრდა გურამი.

– შენთვის მეცალა, შე კაცო? ვერ ხედავ, ვინ გვესტუმრა? – გაუკვირდა ოფიციანტს.

– ვინ? – ჰკითხა გურამმა.

– ვინ და, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში.

– რა გვარია?

– რავა, პირველად გესმის ქიტუაშვილი გოგია, გაზეთებს არ კითხულობთ? – ახლა ოფიციანტი გაუჯავრდა გურამს. – ექიმებმა თქვეს, ორი სამწლიანი მოზვრის ღონე აქვსო. – თქვა ოფიციანტმა და ისევ გავარდა. გაერთიანებული სუფრის თავში აღტაცებული ხალხის და ოფიციანტების ალყაში პატარათვალებიანი, ორი სამწლიანი მოზვრის ღონის შარავანდედით მოსილი ქიტუაშვილი გოგია იჯდა და ძლიერი ყბებით მოხარშული ბეჭის ძვალს ფშვნიდა.

– მე წავალ, ძამიკოებო, დიდი მადლობა, დიდი მადლობა. მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით. – გალაკტიონი წამოდგა.

– გაგაცილებთ, ბატონო გალაკტიონ! – წამოვცვივდით ჩვენც.

– არა, ბატონო, არა, რად მინდა გაცილება.

იგი წავიდა ნელი ნაბიჯით. ისე გაიარა ამ ღმერთკაცმა მთელი რესტორანი, არავის არ შეუმჩნევია. და მე ისევ შემეცოდა ღმერთი, კაცში ჩასახლებული ღმერთი, რომელიც ისე ახლობელია, ისე ჰგავს ადამიანს, ისე ხელშესახებია და ისე უბრალო, რომ არავის სჯერა მისი ღმერთობა. გალაკტიონმა გაიარა რესტორანი და ქუჩაში გავიდა...

გაერთიანებული მაგიდის მეორე თავში, უზარმაზარი თასით ხელში, ფეხზე იდგა თამადა და სვამდა კაცის სადღეგრძელოს, რომელმაც ჩვენი პატარა საქართველოს სახელი მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა, გააჯირითა, მთელ მსოფლიოს გააცნო ჩვენი თავი, რომლის ბეჭი ჯერ ნოხს არ შეხებია, რომელიც ორფუთიან გირს სამასჯერ წევს, მკლავზე იხვევს მაჯისსიმსხო რკინის მილს, მუხლზე იღუნავს რელსს და თავით ტეხს მუხის ფიცარს, რომელმაც მსოფლიოს რომელიღაც ქალაქში რვა მისნაირი მუტრუკი გააკრა მიწას, არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია და ძლევამოსილი დაბრუნდა მშვიდობით მის მშობლიურ მიწაზე, და რომ მადლიერი ქართველი ხალხი უსურვებს მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, და რომ ჩვენი ერის დიდება არასოდეს არ შეერცხვინოს.

– ძმებო და მეგობრებო, – მიმართა თამადამ საზოგადოებას სიტყვის დასასრულს, – გთხოვთ, ფეხზე ადგომით ვცეთ პატივი რაინდს, რომელმაც იმდენი რამე გააკეთა საქართველოსთვის, ალბათ, თვითოეულმა ჩვენთაგანმა ას–ასი წელი რომ იცოცხლოს, იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს. – მთელი რესტორანი ფეხზე ადგა.

გურამმა ბოთლი აიღო და ფსკერით თეფშს დაარტყა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. თეფში მარილივით დაიფშვნა. ყველამ ჩვენკენ მოიხედა.

– რაშია საქმე! – მოვარდა ჩვენი ოფიციანტი.

– არაფერში, თეფში გამიტყდა, გვიანგარიშე. – თქვა გურამმა.

– ას ორმოცდათექვსმეტი მანეთი თეფშიანად. – თქვა ოფიციანტმა. ფული მივეცით. ოფიციანტი ისევ ჩემპიონის სუფრისკენ გავარდა. ჩვენ გამოვედით. რომ გამოვდიოდი, უკან მივიხედე, თამადა კისერზე ეკიდა ჩემპიონს და ყბებს ულოკავდა. ქაშუეთამდე უხმოდ მოვედით.

– კაცი თავის საქმეს აკეთებს, კარგ საქმეს, ჩემპიონია, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ნამდვილად მადლობის ღირსია, რას ერჩი. – ვთქვი მე.

– არაფერს არ ვერჩი! – თქვა გურამმა და მწარედ გაიღიმა.

– ის კრეტინებია მოსაკლავი – ოფიციანტი და თამადა.

– ან იმ კრეტინებს რას ვერჩი. – აიწურა მხრები გურამმა და მკლავი მკლავში გამიყარა.

მთაწმინდის პლატოზე გაჩირაღდნებული რესტორანი შარავანდედივით ადგა საღამოს თბილისს თავზე.

კიროვის ბაღი

ჰაიდპარკში არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ არა მგონია იქ იმდენ სენსაციურ, ანეგდოტურ, ფანტასტიკურ და გადასარევ ამბებს ყვებოდნენ, როგორც კიროვის პარკში.

მე, მაგალითად, პირველად აქ გავიგონე, რომ სპარსეთის პრემიერ–მინისტრი მოსადიკი აფერისტი იყო, რომ ჩერჩილი დღეში სამ ბოთლ კონიაკს სვამს, რომ ტრუმენმა მოწამლა რუზველტი, რომ ჰარიმანი 14 წლამდე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და ბორია პაიჭაძე ბასკებთან ოქროს ბუცებით თამაშობდა.

კიროვის პარკში ყოველდღე იხსნებიან და ინიშნებიან მინისტრები, დირექტორები, გამგეები, რედაქტორები და მილიციის უფროსებიც კი, არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის, არამედ საზღვარგარეთისანიც. კიროვის პარკი დუღს და გადადუღს პენსიონერებით, ჯარისკაცებთან პაემანზე მოსული შინამოსამსახურეებით, ზაფხულში უაგარაკოდ დარჩენილი მოქალაქეებით, ბავშვიანი დედებით, შინაბერა დედაკაცებითა და მამაკაცებით, გასათხოვარი გოგონებით, საცოლო ვაჟკაცებით, ფეხბურთის გულშემატკივრებით, უბინაო სტუდენტებითა და საერთოდ, სტუდენტებით. კიროვის ბაღში ყველა კატეგორიის ხალხს თავისი კუთხე აქვს; მოჭადრაკეები ქვევით, მყუდრო ადგილას სხედან, დომინოსმოყვარულები – გადაჭრილ მორებთან, ფეხბურთის გულშემატკივრები – წყლის სოკოსთან, პოლიტიკოსები – სასაუზმე–პავილიონთან, შეყვარებულები – სულ ქვევით, მტირალა თუთებისა და ტირიფების ჩრდილში, პენსიონერები – ელექტრობოძზე ჩამოკიდებული რეპროდუქტორის ქვეშ, ბავშვიანი ქალები – უწყლო შადრევანთან, და ასე შემდეგ.

და მაინც რით იზიდავს კიროვის ბაღი ამდენ ხალხს? ღმერთმანი, არ ვიცი. კიროვის ბაღი, როგორც ყველა კარგი ბაღი, წინათ სასაფლაო იყო. აქ არის დანიელ ჭონქაძის საფლავი. კიდევ რა? კიდევ ალპინისტთა კლათბურთის მოედანი, კინო. კიდევ? კიდევ თვითონ კიროვის ძეგლი და მეტი არაფერი.

პირადად მე კიროვის ბაღი იმით მიზიდავს, რომ იგი ახლოა ჩემს სახლთან და ვერის ბაზართან.

ბინდდება. მე ვზივარ გრძელ სკამზე, ნაძვის ძირში და ჩემს წინ მოსეირნე ხალხს ვაკვირდები. აი ესენი შარშან გაცილებით ყოჩაღად გამოიყურებოდნენ. წელს კი, როგორ მოტეხილან, შემოვიდნენ ბაღში და მთელი საათია მოჩოჩავენ, ჯერაც ვერ მოაღწიეს ჩემამდე. ალბათ, გაისად სულ აღარ მოვლენ. მერე დადგება დრო და მეც ასე შემოვალ, მერე აღარ შემოვალ. კიროვის

ბაღი წინათ სასაფლაო იყო. ვერის სასაფლაო უკვე დახურეს, აღარავის მარხავენ. ალბათ, ერთ–ორ წელიწადში ბაღად გადააკეთებენ... ვაკის სასაფლაოზე ტევა აღარ არის, იმასაც მალე დახურავენ. მერე ხალხი ვერის ბაღში დაიწყებს სიარულს და ჩემი ტოლა ბიჭები იტყვიან, – აქ წინათ სასაფლაო იყოო, მე რომ მოვკვდები, ალბათ, ვაკის სასაფლაოც ბაღი იქნება და ასე დაუსრულებლივ, ყველა სასაფლაო ბაღებად იქცევა, ლამაზ ბაღებად... სასაცილოა პირდაპირ. ვერის სასაფლაო რომ დახურეს და სასაფლაო ვაკეში გადაიტანეს, იმ ადგილს ბული ასდიოდა, ბალახი რა იყო, ისიც არ ხარობდა. მერე ვიღაცის სასთუმალს ტირიფი დაირგო, მერე თუთა, ნაძვი, ჭადარი, ფიჭვი... მოჰქონდათ წყალი შორიდან, ძალიან შორიდან, ბაგებიდან, მდინარე ვერიდან... ეზიდებოდნენ ზურგით, ვირებით, კასრებით, ქილებით, პეშვითაც კი, ყიდდნენ საცხოვრებელს, რომ არ გამხმარიყო ხეები... და ხეები იზრდებოდნენ, იზრდებოდნენ, ჩრდილავდნენ საფლავებს, აგრილებდნენ ჰაერს, შრიალებდნენ, შრიალებდნენ, ამშვიდებდნენ ჭირისუფალს და ისე ყველა ჩვენთაგანმა იხაროს, როგორც აქ ხეებმა იხარეს, მშვენიერი ბაღი გამოვა ვაკის სასაფლაოდან, მშვენიერი, როდესაც ამაზე ფიქრობ, გგონია, ცხოვრება ბოლოსდაბოლოს, სასაფლა–ოების ბაღებად გადაკეთების დაუსრულებელი პროცესია, მეტი არაფერი. სასაცილოა, ღმერთმანი.

– თემო, გამარჯობა!

– ქართლოსს გაუმარჯოს.

– ფეხბურთზე იყავი?

– არა! – ქართლოსი ჩემს გვერდით დაჯდა.

– რატომ?

– არ მიყვარს ფეხბურთი. – ვუთხარი მე.

– აბა, რა გიყვარს, ბიჭო, – გაიღიმა ქართლოსმა.

– ფელამუში. – გავუღიმე მეც.

– წამოიღე ხოლმე ფეხბურთზე და იქ ჭამე. – მირჩია ქართლოსმა.

– ეგრე ვიზამ დღეიდან. – დავპირდი მე.

– შენ რომ ბასას თამაში გენახა დღეს, ჭკუას დაანთხევდი!

– რა ქნა ასეთი?

– მარღანიამ ბურთი ხელით გაუგორა ხოჭოს, ხოჭომ გრძელი პასი მისცა ავთოს, ავთომ დრიბ–ლინგით წაიღო, ორი მცველი, ბასას რომ ედგა, უცებ მოსწყდა ადგილს და ავთოსკენ წამოვიდა... ბასა მარცხენა ფრთაზე გავარდა, ტყუილია, ეგ რომ უბურთოდ თამაშობს. ავთომ ჩართო მესამე სიჩქარე. ახლა წინ სამი კაცი ედგა, აჭამა ერთს, მეორეს და გრძელი პასი მისცა გაგნიძეს. მარჯვენა ფრთაზე, გაგნიძემ ბურთი გააჩერა. ყველას ეგონა, ბასას მისცემსო ისე შევარდა საჯარიმოზე. ოთხმა კაცმა ჩაკეტა უცებ და ამ დროს გაგნიძემ ისევ ავთოს დაუბრუნა, ავთო ცარიელი იყო, მიიღო თუ არა, დაარტყა, ისეთი ცუცურმა ბურთი იყო, ღმერთი ვერ აიღებდა. ჭამა იაშინმა, მარჯვნივ გადახტა და ძელს შეასკდა, ბურთი მარცხნივ შეგორდა, ადგომა აღარ უნდოდა საწყალ იაშინს.

– ბასამ რაღა გააკეთა? – ვკითხე მე. ქართლოსს სახე მოენგრა.

– რა უნდა გელაპარაკო, კრეტინი ხარ! – მითხრა მან და ხელი ჩაიქნია.

– ბოლო–ბოლო ვინ მოიგო? – არ მოვეშვი მე.

– იღბალი არა გვაქვს, თავზე ვასხედით, იმათ მოიგეს: ოთხით ერთი.

– მაგრად გვითამაშია!

– არ გინახავს და რა უნდა გელაპარაკო. ნაღდი დირიჟორია ბასა, ნაღდი. სტრავინსკია. – აღტაცებით წამოიძახა ქართლოსმა და შემოკრებილ ბიჭებს გადახედა.

– შენც კაცი გინახია და ელაპარაკები! – უთხრა ელგუჯამ ქართლოსს. ხელით გამწია და ჩემსა და ქართლოსს შორის ჩაჯდა. ბიჭებმა გაიცინეს.

– იმის დედა ვატირე, ვინც ფეხბურთზე თქვა, სპორტიაო, – თქვა ქართლოსმა.

– აბა, რა არის? – ვკითხე მე.

– ნაღდი ხელოვნებაა! – თქვა გოგიამ.

– მაშ, ბეთჰოვენი ვინღა არის? – ვკითხე მე.

– მორჩი, კაცო, თავის საქმეში ბასა ბეთჰოვენიც არის და კარუზოც.

– რომელ საქმეში?

– რომელში და სპორტში. – ცხვირი ცხვირზე მომადო გოგიამ.

– ესე იგი ფეხბურთი მაინც სპორტი ყოფილა! – დავიჭირე სიტყვაზე.

– სპორტი, შენ რომ ლექსებს წერ, ის არის! – მომიჭრა ქართლოსმა. კმაყოფილმა მსმენელებმა ტაში დაუკრეს. ჩემი ლექსების იმედი რომ მქონოდა, კმათს გავაგრძელებდი, მაგრამ ვერ ვენდე და გაჩუმება ვარჩიე.

– მოკეტე? – მკითხა ელგუჯამ.

– მოკეტე! – ვუთხარი მე და პირზე ხელი ავაფარე.

– მორჩა, ფეხბურთი ხელოვნებაა! – დაასკვნა გოგიამ და მხარზე ხელი დამარტყა.

– კი, ბატონო, ბასა ბეთჰოვენია, ავთო მოცარტია, გაგნიძე სერვანტესია, ხოჭოლავა ტოლსტოია, მარღანია მარკ ტვენი და კლოვეი პუშკინი. კი, ბატონო...

– მიქელანჯელო არ გამომიტოვო, თუ ძმა ხარ! – მთხოვა ნოდარ დვალმა, რომელსაც ზედმეტ სახელად გაპონას ვეძახდით. ყველას გაგვეცინა.
– გაპონ, რამე ახალი ამბავი გეცოდინება! – სთხოვა გოგია დემეტრაძემ.
– გუშინ ამერიკის ხმამ გადმოსცა, ესპანური ჭიანჭველის წვენს თმა ამოჰყავსო. – არ გააწბილა გაპონამ.
– ამის დედა ვატირე, ჩვენი რომ ჭიანჭველაც არ ვარგა! – გადაისვა მელოტ თავზე ხელი გოგიამ.
– რაშია საქმე? – იკითხა ახალმოსულმა კარლომ, რომელსაც თან პატარა, დიდთვალება, ცხვირგაბუშტული და ჭორფლიანი ბიჭი ახლდა.
– კარლოს გაუმარჯოს! ვისია ეგ ბიჭი? – ვკითხე მე.
– ჩემი დისშვილია.
– რა გქვია, ბიჭო?
– გია!
– ყოჩაღ!
– ლექსი იცი? – ჰკითხა ქართლოსმა.
– ვიცი!
– აბა, თქვი!
– არ მინდა! – უთხრა ბიჭმა და ბიძამისს სახელო დაქაჩა, წავიდეთო.
– დაჯექი, სად უნდა წავიდეთ! – წაარტყა თავში ხელი ბიძამ.
ბავშვი დაჯდა.
– დღეს ექიმთან მყავდა! – თქვა კარლომ.
– ავად არის? – ვკითხე მე.
– ავად არა, მხეცივით არის!
– რაღად გყავდა ექიმთან?
– გვაგიუებს, კაცო, ეუნდერკინდია, ნებისმიერ ციფრებს ყოფს, ამრავლებს, უმატებს და აკლებს...
– კარგი, თუ ძმა ხარ! – გაუკვირდა გაპონას.
– გია, სამჯერ სამი რამდენია? – ჰკითხა ბიძამისმა.
– ცხრა! – თქვა თვალის დაუხამხამებლად ბავშვმა.
– ბიჭოს! – გაგვიკვირდა ჩვენ.
– თერთმეტს გამოვაკლოთ ორი?
– ცხრა!
– ხუთს მივუმატოთ ოთხი?
– ცხრა!
– 1712–ს გამოვაკლოთ 1703?
– ცხრა!
– ვაა!!! – აღმოგვხდა განცვიფრებისაგან. ბავშვი ღვთის კალთიდან ჩამოვარდნილივით იდგა ჩვენს წინ და შარავანდედიღა აკლდა თავზე.
– ორი ათასს გამოვაკლოთ ათას ცხრაას ოთხმოცდათეთრმეტი? – არ ეშვებოდა ბიძა!
– ცხრა! – არ იშლიდა ბავშვი.
– ვაა! – ვიძახდით ჩვენ.
– მოიცა, თუ ძმა ხარ. ახლა მე ვკითხავ! – თქვა გაპონამ.
– სხვის შეკითხვებს ვერ იტანს. – აარიდა თხოვნას თავი ბიძამ.
– ერთი მაგალითი და მორჩა! – არ დაიხია უკან გაპონამ.
– წადი, ბიჭო, ითამაშე! – ისე წამოჰკრა თავში ხელი ბიძამ.
– თავში ხელს ნუ ურტყამ, რამე არ მოუვიდეს! – შეეშინდა ქართლოსს.
– ორს მივუმატოთ ოთხი, რამდენია, ბიჭი? – არ აცალა წასვლა გაპონამ.
– ცხრა! – ააფახულა თვალები პატარა გენიოსმა – ბიჭებს კვილი აუტყდათ. მე სკამიდან გადმოვვარდი.
– გასაგებია! – თქვა ქართლოსმა.
– რამდენი წლის ხარ, ბიჭი? – ვკითხე მე, სული რომ მოვითქვი.
– ცხრა! – თქვა ბიჭმა და გაიქცა.
– დისშვილი ბიძას ასე დამსგავსებოდეს, არ მინახავს! – აუჩუყდა გული ელგუჯას.
– კრეტინო, მაგხელა რომ იყავი, ცხრამდე თვლა იცოდი? – გაიქაჩა ელგუჯაზე კარლო.
– მერე რაო, ექიმმა რა გითხრათ? – ჰკითხა ქართლოსმა.
– მიხედეთ ბავშვსო!
– მიხედეთ, დროზე მიხედეთ! – სთხოვა გოგია დემეტრაძემ.
– დამცინი? – იკითხა კარლომ.
– ჩემი დასაცინი რა გჭირს, მე რა მენაღვლება, მუსხელიშვილმა იკითხოს, ორ წელიწადში, ასე თუ იანგარიშა მაგან, უმუშევარს დატოვებს. – თქვა გოგიამ.
ბიჭები ერთმანეთს შეასკდნენ. კარლომ ერთ ხანს გვიყურა, მერე შებრუნდა და იქით წავიდა, საითაც ბავშვი გაიქცა.

– გაყევი, თემო, თორემ მოკლავს ბავშვს! – მთხოვა ქართლოსმა. მე ავდექი.

პავილიონისკენ გავიარე. კარლო და მისი დისშვილი აინშტაინი არსად ჩანდნენ. ერთ სკამთან შევყოვნდი. ორი მოხუცი ჭადრაკს თამაშობდა. დაფას დავაკვირდი. მელოტს, რომელიც თეთრებით თამაშობდა, სამ სვლაში შამათი ჰქონდა. შავებით მოთამაშე წითურ ძიას ხელი თავზე შემოედო და თვალებს ნაბავდა. ეტყობოდა, თეთრების სვლა იყო და არაფრად ეპიტნავებოდა სვლის გაკეთება. დიდხანს ვიდექი. თეთრები სვლას არ აპირებდნენ.

– მემდური? – ჰკითხა წითურმა.

– რაშია საქმე? – გაუკვირდა მელოტს.

– აღარ ითამაშებ?

– ჩემი თამაშია?

– აბა, ჩემი?

– ვერ თქვი მერე?

– თქმა არ შველის მაგას, თამაში უნდა.

– ა, ბატონო. უდედოფლოდ არ იქნება ჩვენი არსენას დაჭერა. – წაიღიღინეს თეთრებმა და პაიკი წასწიეს წინ.

– ქიში! ერთი ქიშიც მოახსენა, თავად გახლავარ არსენა, – ღიღინით უპასუხეს შავებმა.

– ხელი არ გამიშვია! – დაიბრუნეს სვლა თეთრებმა.

– სხვა ითამაშე, ბატონო, – სთხოვეს შავებმა. თეთრებმა მხედარი ითამაშეს.

– ცხენი მასე არ დადის! – გაუსწორეს სვლა შავებმა.

– მაშინ არ ვთამაშობ! – თქვეს თეთრებმა და ისევ ის პაიკი წასწიეს.

– ქიში!

– ჩემი კი არა, შენი სვლა იყო! – დაიწყეს თეთრებმა ინტრიგა.

– კარგი ბატონო, – არ აყენენ შავები.

– ითამაშე!

– ქიში!

– მეფე გასწიეთ და ქიშს ვერ გეტყვით. – ვასწავლე მე.

– გაიარე, ბიძია, შენი საქმე არ არის! – დამარიგა ჭკუა წითურმა.

მართლაც და, რა ჩემი საქმე იყო. მაგრამ არსადაც არ გავიარე, იქვე დავჯექი. მოხუცებმა ახალი პარტია დაიწყეს. ვიდრე პირველ ტრადიციულ სვლებს აკეთებდნენ, კვლავ დავუწყე მოქალაქეებს თვალიერება. ჩემს პირდაპირ გვერდშექცევით ახალგაზრდა გოგონა იჯდა. მას ფეხი ფეხზე გადაედო, მარჯვენა მკლავით სკამის ზურგს დაყრდნობოდა. ისე იჯდა, მარცხენა ხელისგულზე გაშლილ წიგნს ნათურის მკრთალი შუქი ეცემოდა. გულმოდგინედ კითხულობდა რაღაცას. მზისგან დამწვარი ლამაზი ფეხები ჰქონდა, ოდნავ მოკლე კაბა ეცვა და მუხლისთავი უჩანდა. შავი თმა ლოყაზე ჰქონდა ჩამოშლილი და სახეს ვერ ვხედავდი.

– მორჩა, ნათამაშებია!

– ხელი არ გამიშვია!

– ნათამაშებია!

– გეუბნები, არ გამიშვია! – აყვირდნენ ჩემი მოხუცები.

გოგონამ სახე მოაბრუნა. მოაბრუნა და მე გული კინაღამ ჩამწყდა მოულოდნელობისაგან. ჩემს წინ ლია იჯდა. მოხუცები რომ დაწყნარდნენ, კვლავ მიბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოტრიალდა და დამაკვირდა სულ რაღაც ორიოდე წამით, მერე თავი ჩაღუნა, ალბათ ფიქრობდა, სად მინახავსო, ახლა ქვევიდან გამომხედა, უცებ შებრუნდა და წიგნის კითხვა განაგრძო.

ღმერთო, ნუთუ ვერ მიცნო. თუ ვერ მიცნო, რატომ დამაკვირდა ასე, თუ მიცნო, წიგნის კითხვა რაღად განაგრძო. მიცნო? ვერა, ვერ მიცნო. იგი კითხულობდა გაშლილ წიგნს ისევ ისე, როგორც წინათ, გვერდშექცევით, ლოყაზე თმაჩამოშლილი. კითხულობდა დიდხანს, ძალიან დიდხანს. მე საკუთარი გულის ბაგაბუგი მესმოდა. დავწყნარდები და მივალ, აი, ახლა, გული დამიწყნარდება და მივალ. აი, დამიწყნარდა... წამოდგომა დავაპირე. გულმა უარესად დამიწყო ცემა. თვალს არ ვაცილებ ლიას... ლია, ბათუმი, „ინტურისტი“, კაფე, გაკრეჭილი, გულიკო, ლია, ლია, გულიკო. ყველაფერი ერთმანეთში აირია. მე თვალს არ ვაცილებ. ლია წიგნს კითხულობს კიროვის ბაღში. ალბათ, ვერ მიცნო, ვერ მიცნო, ვერ მიცნო... და უცებ მივხვდი, რომ ლიამ მიცნო და რომ ლია წიგნს არ კითხულობდა. იგი არ კითხულობდა წიგნს, რადგან ამდენი ხანია ვუცქერ და არ გადაუფურცლავს. უნდა მივიდე, უნდა მივიდე, უნდა მივიდე... და მე მივედი.

– გამარჯობა, ლია! – ვთქვი მე და გვერდით სკამის კიდეზე ჩამოვჯექი ისე, რომ პირდაპირ სახეში მეცქირა. ლიამ თავი აიღო და ჩამოშლილი თმა გაისწორა.

– უკაცრავად... – დაიწყო მან. ალბათ, უნდოდა ეთქვა, ვერ გიცანითო.

– მე თემური ვარ, – შევაწყვეტინე სიტყვა, – თემური. ბათუმი გახსოვთ, შარშანწინ?

– მახსოვს, – თქვა ლიამ და წიგნი დახურა...

– ჰოდა, მე თემური ვარ. როგორ გაგახსენოთ თავი, აი ის, თქვენ რომ... ღამე რომ თქვენს ნომერში მოვედი და...

– მახსოვს... – თქვა ლიამ და ისევ გაშალა წიგნი.

– როგორ ბრძანდებით, ლია? – ვკითხე მე, წიგნის კითხვა რომ არ დაეწყო.

– გმადლობთ, არა მიშავს.
– საოცარია პირდაპირ. რომ ჩამოვედი ბათუმიდან, სულ გეძებდით, გეძებდით და გეძებდით.
– მართლა? – თქვა ლიამ და გაიღიმა ისე, როგორც მატყუარებს უღიმიან.
– დედას გეფიცებით, გეძებდით, გეძებდით და ვერსად ვერ გიპოვეთ.
– ცუდად მეძებდით, ალბათ! – თქვა ლიამ და ისევ დახურა წიგნი.
– კარგად გეძებდით, დედას გეფიცებით, და მაინც ვერ გიპოვეთ. დღეს კი სულ არ გეძებდით და გიპოვეთ.
– რა მოხდა მერე? – მკითხა ლიამ.
– არაფერი. გამეხარდა!
– ძალიან სასიამოვნოა.
– თქვენ არ მეძებდით, ლია? – ვკითხე მე.
– არა.
– რატომ?
– იმიტომ, რომ არ დამიკარგვიხართ.
– მე კი გეძებდით...
– რა გინდათ, თემური, ჩემგან? – მკითხა უცებ ლიამ და წამოდგა. ასეთ პასუხს არ ველოდი და ენა დამება.
– მე, არაფერი, ისე, ძველი ნაცნობი რომ გნახეთ, გამიხარდა...
– მეც გამიხარდა, მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, ნახვამდის... – ლია წასასვლელად მოემზადა.
– ლია, თქვენ რომ ახლა წახვიდეთ, მე გავგიჟდები. – ვთქვი მე ისე გულწრფელად, რომ ლიას თვალები გაუფართოვდა.
– ლია, ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება, ცოტა ხანს კიდევ დარჩით.
– გვიანაა უკვე. – თქვა ლიამ და შევატყვე, რომ ყოყმანობდა.
– ცოტა ხანს, სულ ცოტა ხანს, ლია...
ლია დაჯდა. დავჯექი მეც. უამრავი, უამრავი დრო გავიდა დუმილში. მე ვიჯექი ლიას წინ, ვუმზერდი მის ლოყაზე ჩამოშლილ კუპრივით თმას, ტუჩებს, დიდრონ დახრილ წამწამებს, წიგნზე დაწყობილ თხელ და საოცრად გრძელ, სიფრიფანა თითებს, სავსე მკერდს, მესმოდა მისი ზომიერი სუნთქვა და ისე მომინდა უცებ მოვხვეოდი ამ ლამაზ, მიმზიდველ ქალს, როგორც უდაბნოში უწყლობით მომაკვდავ კაცს ენატრება წყაროზე დამხობა და სიკვდილამდე თუ დახრჩობამდე სმა. ფეხზე წამოვდექი. წამოდგა ლიაც. მან თვალი თვალში გამიყარა.
– წავიდეთ! – ვთქვი მე, რამე სისულელე რომ არ ჩამედინა.
ლია უხმოდ წავიდა, მე გვერდით გავყევი. გავედით კიროვის ბაღიდან. ვერის ბაზართან ლენინის ქუჩა გადავჭერით და ბელინსკის ქუჩას შევუდექით.
– ლია, თუ შეიძლება, გაგაცილებთ! – ვუთხარი მე დუმილი რომ დამერღვია. ლიას გაეღიმა და გზა განაგრძო.
– მაშინ, ალბათ, ბევრი უსიამოვნება მოგაყენეთ! – განვაგრძე საუბარი.
– როდის?
– აი, იმ გაკრეჭილ ბიჭზე რომ გელაპარაკეთ!
– ავთოზე?
– არ მახსოვს რა ერქვა.
– ის გოგონა ვინ იყო, თქვენ რომ გახლდათ ზღვაზე? – მკითხა უცებ ლიამ.
– ის გოგონა? ის გოგონა ისე, ჩვენი ამხანაგი, უნივერსიტეტის ამხანაგი.
– აკი ქმარია ჩემიო, ამბობდა?
– ხუმრობდა, ალბათ, არ მახსოვს, მართლა თქვა? – გავიკვირვე მე.
– არ გახსოვთ?
– არა. – ლია გაჩუმდა.
– ალბათ, ბევრი უსიამოვნება მოგაყენეთ მაშინ! – დავიწყე თავიდან.
– არა, თქვენ რომ წამოდით, მეორე დღეს მეც წამოვედი.
– ის გოგონა, გულიკო, ჩემი ცოლი არ არის, არც ყოფილა! – რატომღაც ვიმართლე თავი და თვითონვე შემრცხვა.
– კარგი გოგო იყო! – თქვა ლიამ.
– რა წიგნს კითხულობთ? – ბანზე ავუგდე სიტყვა. ლიამ წიგნი გამომიწოდა. „მარტოდმარტო კაციჭამიებს შორის“ წავიკითხე.
– ეიცი ეგ წიგნი, ბავშვობაში დედა მიკითხავდა ხმამაღლა. სიზმარივით მახსოვს – „ყველას ვეკითხებოდი, ახალი ზელანდიისაკენ მიმავალ გემზე მეზღვაური ხომ არ სჭირდებათ, იქ ჩემი ეშუ მელოდებაო“ მგონი, ასე თავდებოდა. – ლიამ წიგნი გამომართვა და ბოლო ფურცელი გადაშალა.
– „იქ ჩემი ეშუ მელოდება“ – წაიკითხა მან. – კი, ასე თავდება. – თქვა და გამიღიმა.
– ბელადს ემაი ჰქვია, არა?
– ემაი! – თავი დამიქნია ლიამ.

– დედა რომ წიგნებს მიკითხავდა ბავშვობაში, სულ ზეპირად მახსოვს. ნეტავი ლექციები მამახსოვრდებოდეს ისე. – ვთქვი მე. ლიას გაეცინა.

ქართული პურის თორნესთან რომ ჩავიარეთ, ისეთი სურნელი მეცა, თავბრუ დამეხვა.

– აუჰ, რა სუნია! – აღმოხდა ლიას.

– ერთი წუთით, ლია! – ვთხოვე და თონეს ეზოდან შემოვუარე, კარი გადარაზული იყო შიგნიდან, დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. ხელმეორედ დავაკაკუნე, კარი ოდნავ გაიღო და ვიღაცამ ოფლიანი თავი გამოყო.

– პური მინდა, ძია! – ვუთხარი მე.

– არ არის პური! – თქვა მან და კარი ცხვირწინ მომიხურა. ისევ დავაკაკუნე. ისევ გაიღო კარი.

– რა გითხარი, შე კაცო, არ არი პური და რა გიყო?

– ერთი პური, ძია, ქუჩაში მშიერი კაცი მელოდება. – ვთხოვე მე.

– ცა და ქვეყანა მშიერია, შე კაცო, და ასე რომ ვარიგო, პური, შენ არჩენ მერე ჩემ ცოლ–შვილს? – მკითხა მან.

– ნუ მეტყვი უარს, შენი ჭირიმე, მომეცი ერთი პური.

– ხუთი მანეთი გაქვს? – მკითხა მან.

– სამი მანეთი მაქვს!

– სამმანეთიან პურს არ ვაცხობთ ჩვენ!

– პატარა პური იქნება და ამოარჩიე.

– შე ვინ ყოფილხარ, კაცო! – გაუკვირდა მეპურეს. მერე კარი გაიხურა. ერთ წუთში ისევ გაიღო კარი და მრგვალი, ლოყებდაბრაწული ცხელი პური მომაჩეჩა.

– ა, და წადი ახლა! – მე სამი მანეთი მივეცი და პური ჩამოვართვი.

– გმადლობთ, ბიძაჩემო! – ვთქვი მე.

– არაფრის, შე კაცო! – მითხრა მეპურემ.

მე გამოვბრუნდი. ქუჩაში გამოვედი, აკაციის ძირას, სადაც ლია დავტოვე, არავინ იდგა. გავიხედ–გამოვიხედე, ქუჩა ცარიელი იყო.

– ლია! – დავიძახე მე. ხმა არავინ გამცა. ზევით, ბელინსკის თითქმის ბოლოში, ვიღაც მიდიოდა. გამოვეკიდე, გულამოვარდნილი დავეწიე.

– ლია! – დავუძახე. მოიხედა. ლია არ იყო. არ იყო და მკერდში რაღაც ჩამწყდა, გული დამეწურა და ისე დამეწვა, თითქოს მდუღარე ჩამასხეს... გამეპარა, რაღა იპოვის ახლა. მაგას. ნეტავ რატომ გამეპარა... ალბათ, არ ესიამოვნა ჩემთან შეხვედრა. ცუდი ხომ არაფერი მითქვამს... ალბათ, არ უნდოდა ვინმეს მასთან ერთად დავენახე. არ უნდოდა, ალბათ... და ისევ ამეწვა გული. ფილაქანზე ჩამოვჯექი და ცხელი თორნის პური გულზე მივიკარი...

– ღმერთო, ძლივს ვიპოვე და რა სულელურად დავკარგე...

– რა დაკარგე, როდის ეძებდი, რომ დაკარგე.

– როგორ არ ვეძებდი, სულ ყოველთვის ვეძებდი, ორი წელია ვეძებდი...

– არც ერთი დღე არ გიძებნია.

– მაშ, რატომ გამიხარდა ასე მისი დანახვა?

– რა ვიცი, რატომ გაგიხარდა, მაგის დანახვა ვის არ გაუხარდება.

– ალბათ, ჩემსავით არავის, რა სულელურად დავკარგე?!

– კიდევ იპოვი, თუ მოინდომე.

– სად ვიპოვი, სად? – პურმა მკერდი გამითბო და რაღაც გალღვა, გალღვა და ძარღვებში საამოდ ჩამეღვარა. პურს დამწვარი ყუა მოვტეხე და ღეჭვა დავუწყე.

– რა სულელურად დავკარგე მე იდიოტმა! სადღა ვიპოვნი ან როდის?

ავდექი და ლენინის ქუჩისკენ დავეშვი. რა ჯანდაბად მინდოდა ეს დასაწვავი პური, ნეტავი რა ოხრად მინდოდა. ვერის ბაზართან ჩავედი. მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების კუთხეში რამდენიმე მოქალაქე ტრამვაის ელოდა. ფეხით წასვლა დამეზარა და მეც დაველოდე ტრამვაის. გაჩერებაზე ორი მამაკაცი და ერთი, ასე ოცდაათი წლის ლამაზი, ჩასუქებული, ქერა ქალი იდგა. ხელში მძიმე ჩანთა ეკავა. სახელოებგაცრეცილი კოსტუმი ეცვა, წარბები წვრილად ჰქონდა ამოქნილი და წამწამები აპრეხილი, სახეზე უმარული ეცხო. ოდნავ ვულგარული იერი ჰქონდა, ისე, ლამაზი იყო. გვერდით რომ მოეუდექი, ისე შემომხედა, როგორც ჯიბგირებს უყურებენ ფრთხილი მგზავრები. თავი უხერხულად ვიგრძენი და გვერდზე გავიხედე. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ პური მკერდზე მქონდა მიკრული და უშნოდ ვიცოხნებოდი, ლუკმა სასწრაფოდ გადავყლაპე, პური იღლიაში ამოვიჩარე და ქალს გავხედე. ქალმა სიცილი ვერ შეიკავა და მიბრუნდა. მეც გამეცინა.

– გემრიელია? – მკითხა ქალმა.

– გადასარევია, ხომ არ მიირთმევთ? – ვკითხე ახლა მე და პურს ყუა მოვაგლიჯე.

– არა, გმადლობთ.

– შორს ცხოვრობთ? – ვკითხე ისევ.

– არც ისე.

– მეც ახლოს ვცხოვრობ.

– ერთი საათია ველოდები ტრამვაის და არ ჩანს, ამდენ ხანს ასჯერ მივიდოდი! – თქვა ქალმა.
– ფეხით ხომ არ წავსულიყავით? – გავთავხედდი მე.
– ეს ჩანთა რომ არა... – ტრაგიკული სახე მიიღო ქალმა და წარბები შეიჭმუხნა.
– მე წამოგიღებთ!
– როგორ შეგაწუხოთ!
– რას ბრძანებთ!
– მომეცით!
– არა, რას ბრძანებთ! – დაიწყო ჩანთის ქაჩვა აქეთ–იქით. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვართვი, ჩანთა არც ისე მძიმე აღმოჩნდა.
კავშირის ქუჩის ბოლოში რკინის ჭიშკარში შევედით და ხელისგულისოდენა ეზოში აღმოვჩნდით. შუაგულ ეზოში მავთულით ყბაახვეული ონკანი თუხთუხებდა და კავებშეყენებული, გარდიგარდმო გაბმული სარეცხის თოკები ქათქათა საცვლებითა და ზეწრებით იყო დახუნძლული. ქალმა გასაღები ამოიღო და პირდაპირ ეზოში გამომავალ თეთრფარდებიან და რკინებაკრულ კარს მიადგა. კარი გაიღო, ქალი ოთახში შევიდა, სინათლე აანთო.
– შემოდი! – მითხრა მან. შევედი და ჩანთა პატარა შუშაბანდში ნავთქურის გვერდით დავდე.
– დაჯექი! – მითხრა მან და ტახტზე ვარდისფერი ბალიში გაასწორა.
დავჯექი.
ოთახი იყო პატარა, დაახლოებით თხუთმეტ–თექვსმეტი მეტრი. შიგ იდგა ნოხგადაფარებული ტახტი, რომელზეც მე ვიჯექი, ერთი საწოლი მწვანე საბნით დახურული, მრგვალი მაგიდა, ოთხი სკამი, ერთი წიგნების კარადა და ერთიც ტანსაცმლის სარკისკარიანი კარადა. ეს იყო და ეს.
ქალმა კარადის კარი გააღო, ვარდისფერფოთლებიანი ხალათი გამოიღო, სარკესთან დადგა და მოურიდებლად დაიწყო კოსტუმისა და ქვედა ტანის გახდა. იგი იყო მკვრივი, ძლიერი, მარმარილოსავით თეთრი სხეული, მრგვალი მხრები და მაღალი მკერდი ჰქონდა. სუნთქვა შემეკრა. სახე ავარიდე. ხალათი გადაიცვა და მაგიდას მიუჯდა.
– ეჭამოთ რამე? – მკითხა მან.
პური, რომელიც ამ დრომდე ხელში მეკავა, მაგიდაზე დავდე. ქალი ადგა და შუშაბანდში გავიდა, იქიდან ცოტა ყველი, თევზის კონსერვი და ნახევარი ბოთლი არაყი გამოიტანა.
– მოდი! – თქვა მან.
მე ავდექი და მაგიდას მივუჯექი. ქალმა არაყი დაასხა.
– კარგად ვიყოთ, მადლობელი ვარ, რომ მომაცილე. ლიდა მქვია. შენ? – მკითხა და ჭიქა ჭიქაზე მომიჯახუნა.
– მე თემური მქვია. კარგად იყავი, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს!
– გაგვიმარჯოს! – დაალიეთ. – ეს ჩემი ქმარია, ომში დაიღუპა. – თქვა მან და კედელზე დაკიდებულ კაცის სურათისკენ გაიხედა. კედლიდან ახალგაზრდა უწვერულვაშო ბიჭი იღიმებოდა.
– მე შვილი მეგონა! – ვთქვი და ჭიქა დავდგი.
– ქმარია. შენ რამდენი წლისა ხარ?
– ოცდაორის!
– ის ოცდასამის იყო! – თქვა ლიდამ და ისევ დაასხა, მეც დამისხა.
– მე წავალ! – ვთქვი და ავდექი.
– მოიცა, ეს ერთი ბოთლი დავლიოთ! – მითხრა მან. მე დავჯექი.
– ისევ ჩვენ გაგვიმარჯოს!
– გაგვიმარჯოს!
მესამეც დავასხით.
– გაგვიმარჯოს.
– შეიძლება, ლიდა,შენს გვერდით დავჯდე? – ვკითხე მე და შევატყვე, როგორ დაირწა ოთახი და ამეწვა საფეთქლები.
– შეიძლება! – თქვა ლიდამ, გაიღიმა და თვალები დახუჭა.
მე გვერდით მივუჯექი და ხელი კალთაზე დავადე. ლიდამ არაფერი თქვა. არც თვალები გაუღია, არც ღიმილი შეუწყვეტია, მხოლოდ ორივე ხელით საფეთქლები დაისრისა და ასე დარჩა. მაშინ ხელი მხარზე გადავხვიე და ჩემკენ მოვიზიდე, ჯერ ყურის ძირში, მერე ყელთან ვაკოცე და ასე დავრჩი. მას რაღაც, დღემდე ჩემთვის უცნობი, აუხსნელი, გაუგონარი და საოცარი სუნი ჰქონდა მიწის, მზის, სისხლის, ოფლის, ზღვის, პურის, ყველაფრის, ყველაფრის, რასაც ქვეყანაზე ბედნიერება და სიცოცხლე ჰქვია, ყველაფრის ერთად.
– ლიდა, გენაცვალე, დავრჩები შენთან, თუ შეიძლება, ლიდა... – ვჩურჩულებდი და ვეკვროდი.
ლიდა ხმას არ იღებდა.
– ლიდა, დავრჩები, ჩემო საყვარელო ლიდა, ძვირფასო ლიდა, – ლიდა ჩემკენ მოტრიალდა, დიდხანს მიცქირა დიდრონი თვალებით, მერე უცებ ადგა. მეც ავდექი.
– დარჩი! – თქვა მან. ოთახი ისევ დაირწა, მერე დატრიალდა, დატრიალდა და ყველაფერი უკუღმა დაბრუნდა, ცოტა გონს რომ მოვედი, ოთახში ბნელოდა, ლიდა ლოგინში იწვა და ჩემკენ იცქირებოდა.
– მოდი! – თქვა მან. მე ადგილიდან არ ვიძროდი.

– მოდი ჩემთან! – გაიმეორა ლიდამ საიდანღაც, ზღაპრიდან, ექონარევი ხმით. – მოდი, მოდი, მოდი, – გუგუნებდა ზღაპრიდან მოსული ხმა ჩემს საფეთქლებსა და ყურებში და მე შევედი ზღაპარში...

777

ეს იყო ფიჭვის, არყის, წიფლის, მუხის, ნაძვისა და ბზის უზარმაზარი, დაბურული ტყე, ცაში ასული, მზემდის აზიდული, ზურმუხტში და ოქროში მოცურავე ტყე. მე ვიდექი შუა ტყეში ფეხშიშველი, ფეხისგულებს წიწვები მჩხვლეტდნენ, ხელებაწვდილი შევყურებდი ფოთლებში ჩამომდნარ სხივებს და ველაპარაკებოდი ღმერთს.

– ეჰეჰე, ჰე მაღალო ღმერთო, მაღალო ღმერთო!

მე ვსუნთქავდი ცას, ვბანაობდი სხივებში, ფესვებით გადგმული მიწაში ვიყავი ტყესავით მაღალი, ძლიერი და ბედნიერი.

– ეჰეჰე, ჰე, ღმერთო, მაღალო ღმერთო, გმადლობთ, ღმერთო, ძლიერო ღმერთო...

მერე უცებ სხივები იქცნენ ცეცხლად, ავარდა ალი და ცეცხლი მოეკიდა ცას, ცეცხლი მოეკიდა ტყეს. მოეკიდა და გათავდა ჰაერი, ჰაერი გათავდა, ღმერთოოო... მიშველე, ვიწვები... მე ვიდექი და ვიწვოდი ისე, როგორც ჩემს წინ მდგარი ფიჭვი და წიწვი ჩემს ფეხებქვეშ.

– ღმერთო მაღალო, მიშველეეე... მერე მე ვთხრიდი უზარმაზარ მუხებს, წიფლებს, არყის ხეებსა და ფიჭვებს, ვთხრიდი ფესვიანად, ვიმტვრევდი მუხლებზე, ვლეწდი და ვგლეჯდი ჩემს გარშემო ყველაფერს და ვამხობდი დედამიწაზე, ვეძახდი ღმერთს, მაგრამ საშველი არ ჩანდა, და მე დავემხე მიწაზე ქვითინით. მაშინ ისმინა ღმერთმა ჩემი ვედრება... მოვიდა წვიმა, საოცრად თბილი და ალერსიანი წვიმა, მერე იმატა, იმატა, ჩაქრა ცეცხლი და დატრიალდა რძესავით სუფთა და ტკბილი ოხშივარი. მე ვეკვროდი სველ მიწას, როგორც სიცოცხლეს, ისიც მეკვროდა მასზე მინდობილს, და ჩვენ ერთად ვტიროდით – მე, ზეცა და მიწა... და მიწა მეჩურჩულებოდა მე, როგორც ცოცხალი:

– თემური, ჩემო სიხარულო, თემური, ჩემო მზეო, სიცოცხლევ ჩემო...

მერე ყველაფერი გახდა იასამნისფერი. მე ძუძუმწოვარა დამკარგა დედამ ტყეში და მიპოვა ძუ მგელმა, დიდმა, ნაცრისფერმა მგელმა. იგი მოვიდა ჩემთან, დამყნოსა, თავი ასწია მაღლა და დაიყმუვლა. მოვიდნენ მგლის ლეკვები, იმათაც დამყნოსეს და დაიყმუველეს. მერე რუხი მგელი მოუწვა ლეკვებს და ძუძუ აჭამა. მე მშიოდა. მივცოცდი დედა მგელთან, მივწიე–მოვწიე ლეკვები და სველი ძუძუ ჩავიდე პირში. მგელმა ხმა არ ამოიღო, თვალები მინაბა და გაიტრუნა. მე ვლეჭავდი მგლის ძუძუს და მიკვირდა, რომ იგი არ იყო დედის რძესავით თბილი და გემრიელი, მგლის რძე შაბიანი და მლაშე იყო. მერე მე შევეჩვიე მგლის რძეს და ძალიან გემრიელი მეჩვენებოდა. როდესაც გავიზარდე, ძუ მგელს, ჩემს დედას, ჩემს და–ძმებთან ერთად, სანადიროდ დავყავდი. მე არ ვიცოდი რამდენი და–ძმა მყავდა, რადგან თვლა არ ვიცოდი, ისე კი ბევრნი იყვნენ... და, როდესაც მე მათზე დიდი გავიზარდე და მათზე ძლიერი გავხდი, მგლებმა მაუგლი შემარქვეს. მე არ ვიცოდი რას ნიშნავდა მაუგლი, მაგრამ ვიცოდი, რომ მაუგლი ვიყავი მე და მეტი არავინ. მერე ვისწავლე მგლებივით ყმუილი და მიყვარდა ძუ მგელი, როგორც ჩემი დედა. როდესაც სულ დიდი გავხდი და ტყიდან გამოსულმა, სოფელში დავინახე ჩემსავით ორ ფეხზე მოსიარულე ხალხი, მე მომინდა მათთან ყოფნა. მერე კიდევ ვნახე ადამიანები ტყეში. ისინი ისხდნენ ცეცხლის პირას. მე სულ ახლოს მივედი და დიდხანს ვუცქერდი მათ და რაც უფრო დიდხანს ვუცქერდი, მით უფრო მინდებოდა მათთან ყოფნა. მაგრამ მაშინ მისვლა ვერ გავბედე. მერე მივედი დედასთან და მოვუყევი ყველაფერი.

– დედა, მე დღეს სულ ახლოს ვნახე ადამიანები.

– მე ვიცოდი, მაუგლი, რომ დაგკარგავდი, ამას მაშინ მივხვდი პირველად, როდესაც შენ ცეცხლის არ შეგეშინდა. ჩვენ, მგლებს, ძალიან გვეშინია ცეცხლის.

– მე უნდა წავიდე, დედა, მათთან, ისინი ჩემი ხროვისანი არიან.

– ნუ წახვალ, შვილო, იყავი ჩვენთა...

– მე გული მათკენ უფრო მიმიწევს. უნდა წავიდე. – და მე ავდექი.

– ნუ წახვალ, ნუ, ნუ წახვალ, ნუ!.. – ყმუილით მომდევდნენ დები და ძმები. – ნუ წახვალ, ნუუუ! – ღმუილით მომდევდა დედა, მაგრამ მე მაინც წავედი.

– თემო, თემური, ადექი ახლა და წადი. წადი, თემური, თენდება, მეზობლებმა არ დაგინახონ. – მაღვიძებდა ლიდა. მე სწრაფად წამოვდექი და ჩავიცვი.

– შენ არ ადგები? – ვკითხე ლიდას.

– მე არა, დღეს ღამის ცვლაში ვარ. – თქვა ლიდამ.

– ღამის ცვლაში? სად მუშაობ? – ვკითხე მე.

– აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში.

– რას აკეთებ?

– კომბოსტოს ვამუავებ, – გაიცინა ლიდამ.

– ლიდა, შეიძლება შენთან ვიარო ხოლმე? – ვკითხე მე და საწოლზე ჩამოვჯექი.

– თუ მოგენატრები... ისე არ გირჩევ, არ ღირს, ვითომ სიზმარი იყო, – თქვა ლიდამ.
– კი მომენატრები! – გულწრფელად ვთქვი მე. ლიდას გაეცინა.
– ვნახოთ, მაგრამ არ გირჩევ, ჭამე ის დარჩენილი პური და წადი. – თქვა ლიდამ და მაგიდისკენ ხელი გაიშვირა.
– მაგ პურმა გუშინ ორი წლის წინ დაკარგული და ძლივს ნაპოვნი გოგონა დამაკარგვინა. – ვთქვი მე და მაგიდას მივუჯექი. ბოთლში კიდევ იყო ცოტა არაყი.
– ვინ გოგონა? – დაინტერესდა ლიდა.
– ლია, ბათუმში გავიცანი, მხოლოდ ერთი დღე ვიცნობდი... მერე ორი წელი არ მენახა, კიროვის ბაღში ვნახე დღეს და... რომ მივაცილებდი, ბელინსკზე თონე რომ არის, ამ პურის საყიდლად შევედი. გამოვედი და აღარ დამხვდა.
– გაქრა? – გაეცინა ლიდას.
– გაქრა, გამეპარა! – ვთქვი მე. – ამ პურმა დამღუპა...
– აბა, მართალი ყოფილა „არა პურითა ხოლო“...
– რა თქვი?
– „ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“. – წაიმღერა ლიდამ.
– ეგ სად წერია? – ვკითხე მე.
– სახარებაში.
– კიდევ რა წერია? – ვკითხე მე სხვათა შორის და არაყი დავისხი.
– კიდევ, – თქვა ლიდამ და თვალები დახუჭა, – ახლავე გავიხსენებ. კიდევ წერია: „ხოლო მე გეტყვით თქუენ, რამეთუ ყოველმან, რომელმან განუტევოს ცოლი თვისი თვინიერ სიტყვის სიძვისა, მან ამრუშა იგი; რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“.
მე გაკვირვებული ვუგდებდი ყურს. ლიდამ თვალები გაახილა და, გაკვირვებული რომ დამინახა, გაეღიმა.
– არ წაგიკითხავს სახარება? – მკითხა მან.
– არა! – ვუპასუხე მე.
– აი, მანდ დევს, თაროზე, ქვევიდან მესამე წიგნი, ლურჯყდიანი. „ახალი აღთქუმაი“ აწერია. წაიკითხე, გამოგადგება. – მითხრა მან.
მე ავდექი, წიგნი თაროდან ავიღე და გადავშალე.
– სახლში წაიკითხე, ახლა კი წადი.
– გმადლობთ, ლიდა, რომ წავიკითხავ, მოგიტან. – ვთქვი მე.
– ნუ მომიტან, გქონდეს, მე ზეპირად ვიცი! – ისევ მივედი საწოლთან, დავიხარე და ლიდას ლოყაზე ვაკოცე.
– გმადლობთ, ლიდა!
– არაფრის!
– შენ კარგი ქალი ხარ, ლიდა, ძალიან კარგი ქალი!
– არ ვიცი, თემო, – აიჩეჩა მხრები ლიდამ.
– ნახვამდის!
– ნახვამდის!
ოთახიდან გამოვედი და კარი ფრთხილად გავიხურე.
თბილისი რძისფერ ბურუსში ცურავდა. შორიდან ისმოდა დილის ტრამვაის ბორბლების ჭრიალი და ქარხნის საყვირების ბოხი, ხრინწიანი გადაძახილები. ქალაქი გაფერმკრთალებული ნათურებით ციმციმებდა, თვალებს იფშვნეტდა, იზმორებოდა და მტკვრის პირას დაფენილ ღამენათევ, უზარმაზარ ცხვრის ფარასავით იშლებოდა.

რაისთვის დამიტევებ მე?

დედამ კარი გამიღო. მას მხრებზე თეთრი შალი ჰქონდა მოხვეული და გაფითრებული იყო.
– სად ხარ, შვილო, ამდენ ხანს, ჯავრით გავთავდი! – მითხრა მან და ოთახში შემომყვა.
– გურამთან ვიყავი! – ვიცრუე მე.
– მერე, არ უნდა გამაფრთხილო, შვილო? მით უმეტეს ასეთ დროს.
– რა დროს, დედა? – ვკითხე მე გაკვირვებულმა.
– შენ არაფერი გაგიგია? – ჩემზე უფრო გაუკვირდა დედას.
– რა უნდა გამეგო?
– დავიღუპეთ, შვილო, სტალინს დამბლა დაეცა! – თქვა დედამ და ცოცხალ–მკვდარი მაგიდას მიუჯდა.
– გაგიუდი, ქალო? – ვკითხე მე. ურუანტელმა დამიარა.
– გავგიუდი, შვილო, გავგიუდი. რადიომ გადმოსცა, სტალინს სისხლი ჩაექცაო...
– მერე?

– მერე რა? ძალიან მძიმედ არისო, დავიღუპეთ, შვილო...
– რას ამბობ, დედა! – ვთქვი მე და საწვიმარი ჩავიცვი.
– ავად ვარ და ნუ დამტოვებ, არსად წახვიდე, ძალიან ავად ვარ, შვილო, ძალიან ავად. – დედას ადამიანის ფერი აღარ ედო და თვალებზე ორი დიდი ცრემლი ეკიდა.
მე მინდოდა , მივმხვდარიყავი, რას განიცდიდა, რა აწუხებდა, რა სტკიოდა, რისი ეშინოდა, ან რას ტიროდა დედაჩემი, მაგრამ ვერ მივხვდი და, ალბათ, ჩემს სიცოცხლეში ვერასოდეს ვერ მივხვდები და ვერ ავხსნი ამ სათნოებით სავსე პატარა, შეშინებული, შეძრწუნებული, ჭაღარა ქალის ცრემლების მიზეზს, იმ მისთვის საშინელ დღეს.
– ნუ წახვალ, ნურსად, შვილო, სახლში იყავი, ცუდად ვარ, შენს თავს გეფიცები. – ისევ მთხოვა დედამ და ძალით დამსვა სკამზე.
– რა მოგივიდა, დედა, წავალ, გურამს ვნახავ, უნივერსიტეტში შევივლი, ამბავს გავიგებ, მერე ისევ მოვალ, შენ დაწყნარდი, დაწექი, დედა. მე წავალ და სულ მალე მოვალ. – მხრებზე ხელი მოვხვიე, ვაკოცე, მოვეფერე, – დედა თითქოს დაწყნარდა ცოტათი.
– წადი, ოღონდ მალე დაბრუნდი. – როგორც იქნა, დამრთო ნება. მე გარეთ გამოვედი. კარში დამეწია.
– შვილო!
– რა იყო, დედა?
– შენ ნუ იტყვი, შვილო!
– რას, დედა?
– ნუ იტყვი, შვილო, რომ სტალინს დამბლა დაეცა.
– რატომ, დედა, რადიომ თუ თქვა, ალბათ, მთელმა მსოფლიომ იცის.
– შენ ნუ იტყვი, შვილო, რადიომ თქვას, შენ მაინც ნუ იტყვი, თუ დედა გიყვარს. – მითხრა მან და ჩემი ხელი გულზე მიიკრა.
– კარგი, დედა! – ვუთხარი მე და კიბეზე კისრისტეხით დავეშვი.

სტუდენტები, ასპირანტები, ლექტორები, პროფესორები, დარაჯები, დამლაგებლები, პარტიულები, უპარტიოები, კომკავშირლები იდგნენ ქუდმოხდილი და მკლავებმოწყვეტილი. დაცარიელებული აუდიტორიები, კათედრები, ლაბორატორიები, დეკანატები, კაბინეტები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები შავი ჭირით დამფრთხალი ხალხისაგან მიტოვებულ ნასოფლარებსა და ნაქალაქევებს ჰგავდნენ.
იმ დღეს და იმ ღამეს, მერე კიდევ მთელ დღესა და მთელ ღამეს უნივერსიტეტი უზარმაზარ, თალმაღალ, დამწუხრებულ და ზარჩამდგარ ტაძარს ჰგავდა, სადაც თავი მოეყარა უამრავ მუხლმოყრილ მლოცველს და კლუბის სცენაზე დასვენებულ რეპროდუქტორს თვალცრემლიანი, მუდარითა და ვედრებით შესცქეროდა, რომელიც ყოველ ორ საათში, მზის დაბნელების შემზარავ პროცესს გადმოსცემდა.

777

შუადამისას უცნაური ხმაური შემომესმა. თავი წამოვწიე. დედა საწოლზე ტრიალებდა, კვნესოდა და რაღაცას გაურკვეველს ამბობდა. წამოვვარდი და მის საწოლთან მივირბინე.
– დედა, რა მოხდა, დედა! – სიზმარში მეგონა.
– პერანგი, პერანგი! – თქვა მან და თვალები მომაშტერა.
– რა პერანგი, დედა?
– პერანგი, თეთრი პერანგი...
– რა გინდა, დედა!
– მოიტანე თეთრი პერანგი, ვკვდები...
– დედა! – ვიყვირე და შევანჯღრიე.
– თავი, თავი მისკდება, შვილო, პერანგი მომიტანე, თეთრი პერანგი! – მე კარადას მივვარდი და თეთრი პერანგი მივუტანე.
– გადი! – თქვა დედამ. მე მივხვდი, პერანგის გამოცვლა უნდოდა და ოთახიდან გავედი. მეზობლის კარს მივვარდი.
– ელიკო! ელიკო! – ხმა არავინ გამცა.
– ელიკოო! – ვიყვირე მე და კარზე ბრახუნი დავიწყე. ისევ არავინ გამცა ხმა. ყველანი წასულები იყვნენ. ისევ შევვარდი ოთახში. დედა გულაღმა იწვა, ფართოდ გახელილი თვალებით ჭერს შესცქეროდა, მძიმედ სუნთქავდა და საფეთქლებზე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა.
– დედა!
– ამას... აღარაფერი... ეშველება... პერანგი... ჩამაცვი... თავს ვერ ვწევ! – თქვა მან ნაწყვეტ–ნაწყვეტად.
მე მივეხმარე და პერანგი გადავაცვი.
– ასე ჯობია, თეთრი პერანგი, გაზაფხულივით თეთრი პერანგი...
– რას ამბობ, დედა! – დედამ გაიღიმა.
– ერთი წუთი... წამი და გათავდება ყველაფერი... ნუ გეშინია, შვილო!

– დედა, დედიკო, არ დამღუპო, ახლავე გავიქცევი და ექიმს მოვიყვან! – ავტირდი მე.
– არ დამტოვო! – გაიქნია თავი დედამ.
– რა გტკივა, დედა, რა გინდა, მითხარი, დედიკო!..
– ჩემო დიდო ბიჭო, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, არაფერი არ უნდა დედაშენს, დედაშენს სიკვდილი უნდა შენს მკლავზე...
– ნუ ამბობ მაგას, დედა, არ დამღუპო, დედა, გესმის, არ დამღუპო, თორემ თავს მოვიკლავ!
– ვკვდები, დედა!
– ახლა კვდები?.. ახლა, ძლივს რომ შეგეჩვივე, ძლივს რომ დაგიძახე დედა, ძლივს რომ გიპოვე, გაგიჟდი, დედა?! – ავბღავლდი მე და მის მკერდზე დავემხე.
– სინათლე აანთე, შვილო... – მთხოვა დედამ და თავზე ხელი გადამისვა. მე ავდექი და სინათლე ავანთე.
– იდექი მანდ. – მითხრა დედამ. მე კართან გავჩერდი. დედამ დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყურა. მერე თვალები დახუჭა. როდესაც გაახილა, მე ისევ კართან ვიდექი. დედამ თვალებით მანიშნა – მოდი ჩემთანო. მე ნელი ნაბიჯით წავედი. დაჟინებით მიყურებდა, თვალს ახამხამებდა. მივუახლოვდი, მის წინ მუხლებზე დავეშვი და ორთავე ხელი ლოყებზე მოვკიდე, სახეზე ცეცხლი ეკიდებოდა.
– დედიკო, რა მოგდის, დედიკო! – ისევ ავტირდი მე. დედამ ისევ დახუჭა თვალები.
– გხედავ, როგორც ცხადში, ისე გხედავ, ასეთი წამყვები, ასეთი დამამახსოვრდები... მადლობელი ვარ შენი, ღმერთო, მადლობელი ვარ შენი, ღმერთო, მადლობელი... – უცებ ისევ აბორგდა.
– პერანგი, თეთრი პერანგი...
– აკი გაცვია, დედა...
– თემური, ჩემი თემური, პატარა ბიჭი...
– დედა, შენი ჭირიმე, დედა, არ დამღუპო, დედა, რა ვქნა მე მარტო, მითხარი... – ვტიროდი მე.
– რამხელა გაზრდილა, აუ, რამხელა ბიჭია, კაცია, ნამდვილი კაცი...
– დედა, არ გამაგიჟო, არ მოკვდე, არ გრცხვენია, დედა?!
– კარგად იყავი, შვილო, მზეც შენია, ზღვაც შენია, მთელი ქვეყანა შენია...
– დედა!
– ვინ ატირებს ჩემს პატარა თემურის, ვინ ატირებს... – დედამ ორთავე ხელი მომხვია ყელზე და კოცნა დამიწყო ძლიერად, ძალიან ძლიერად, მერე სუსტად, უფრო სუსტად, სულ სუსტად, ბოლოს უბრალოდ შემახო ცხელი, თაკარა ტუჩები ლოყაზე და ასე დარჩა, ახლა ყურში მეჩურჩულებოდა...
– ერთი წუთიც... ერთი წამიც... ღმერთო... სად ხარ, ღმერთო... ოფლი გაქვს, დედა შემოგევლოს, ბევრი ირბინე, შვილო!.. არ გაიხადო, არა... აღარ ჩახვიდე ეზოში... მე წავალ... აი, მივდივარ, ჩემს მოსვლამდე ბებიას დაუჯერე...
– დედა, არ წახვიდე, დედა,შენი ჭირიმე, დედა, გააღო თვალები, დედა, თვალები გააღე, გააღე, გააღე...
დედამ უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია, მერე ორთავე მკლავი დაუცურდა ჩემი ყელიდან და მოწყვეტით დაუცვივდა საწოლზე.
– დეეედაააა!
– გმადლობთ, ღმერთო, გათავდა... – თქვა დედამ და ნიკაპი აუკანკალდა, მერე ორი დიდი კურცხალი გადმოუგორდა თვალებიდან და სუნთქვა შეწყვიტა.

შუშაბანდში გავედი და ყველა ფანჯარა გავაღე. სუსხიანი ჰაერი შემოვარდა, ცრემლი შემაშრო და ლოყები შაბივით დამწვა. ვარაზის ხევში ნისლი იწვა, თბილისს ეძინა ალიონის ღრმა ძილით. აკაციის შიშველი ხეები ოდნავ ირხეოდნენ, მთაწმინდის მხარეს არცერთ სახლში შუქი არ ენთო, ენთო მხოლოდ ერთ ადგილას, შორს, შორს, სემიონოვის დასახლებაში. ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით და ის პატარა ნათურა ამ ვეებერთელა ციდან ჩამოსულ ვიღაცის ბედის ვარსკვლავს ჰგავდა. მე ვიდექი ძალიან დიდხანს და ვუცქერდი ამ სინათლეს. ვინ იცის, რატომ ანთია ამ უდროო დროს ეს სინათლე, იქნებ, იქაც დახუჭა თვალი ვინმემ სამუდამოდ ან პირიქით, ახლა გაახილა... ან ქორწილია, დიდი და გადაბმული ქორწილი. და მე ისე მომინდა აქედან მეკივლა იმ სინათლისათვის, გამეგო რა მოხდა, რისთვის ანთია იგი ამ უდროო დროს, რისთვის ან ვისთვის, იქნებ სულაც არ არის სინათლე და ეს დედაჩემის ბედის ვარსკვლავია ციდან ფეხად ჩამოსული და დაეძებს მას. უცებ შემეშინდა მარტოობის, სიცოცხლესავით მომინდა გათენება, მომინდა კივილი, რომ შემეძრა ცა და ქვეყანა, მეკივლა, რათა გაეგო იმ ვარსკვლავს, რომ მე და დედა აქა ვართ, აქ. მაგრამ ის ბედის ვარსკვლავიც ჩაქრა.
თბილისში თენდებოდა.
მე ოთახში დავბრუნდი, დედას ზეწარი გადავაფარე და მაგიდას მივუჯექი. მაგიდაზე გუშინ მოტანილი სახარება იდო, სხვათა შორის გადავშალე და კითხვა დავიწყე:

„და მეცხრესა ოდენ ჟამსა ხმა–ყო იესო ხმითა დიდითა და თქუა: ელი, ელი! ლამა საბათქანი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევებ მე?..“

...და შემდეგ გავიდა ძალიან ბევრი, ძალიან ბევრი დრო. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა, მერე ფრთხილად შემოვიდა. მოვიხედე, ოთახში გურამი იდგა.

– სტალინი გარდაიცვალა. – თქვა მან ჩურჩულით.

– რა თქვი? – ვკითხე მე.

– სტალინი გარდაიცვალა.

ლია

– გამარჯობა, ლია!

– საიდან მომაგენი?

– გეძებდი და მოგაგენი.

– შემოდი ოთახში.

მე შევედი და ოთახის კუთხეში დავჯექი. ლიამ ხალათის ზედა ღილი შეიკრა და ოთახის მეორე კუთხეში დაჯდა.

– როგორა ხარ, ლია? – ვკითხე მე.

– გმადლობთ, არა მიშავს. – თქვა ლიამ.

– სად გამეპარე, ლია, იმ ღამით?

– არსად არ გავპარულვარ, გელოდე, გელოდე და წავედი... – ლიამ გაიღიმა.

– მერე?

– მერე რა? წავედი.

– მერე აღარ მელოდი?

– დღეს არა.

– აბა, როდის?

– არ ვიცი...

– საერთოდ კი მელოდი?

– კი! – ლიამ თავი დაღუნა. მე ტირილი მომინდა, რატომღაც.

– ლია, მე ძალიან ბევრს გეძებდი, ძალიან ბევრს, დღე და ღამე გეძებდი.

ლიამ მაგიდაზე დადგმულ ვაზას ნაქარგი ახადა, ვაზა სავსე იყო ატმითა და ლეღვით.

– მიირთვით. – თქვა მან და ისევ კუთხეში დაჯდა. ოთახში დუმილი ჩამოვარდა.

– არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე! – თქვა ლიამ ცოტა ხნის შემდეგ.

– არც მე! – ვთქვი და უხერხულობა რომ დამეფარა, პაპიროსი ამოვიღე.

– ლია, მე დედა მომიკვდა.

– ვიცი! – თქვა ლიამ და სულაც არ გამკვირვებია.

– არაყი არ გაქვს, ლია? – ვკითხე უცებ. ლია უხმოდ ადგა, კარადიდან ვარდისფრად შეფერადებული არაყი გამოიტანა ბროლის სურით და წინ დამიდგა. მე ჭიქა გავავსე, რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე: და ისე, უხმოდ დავლიე. ლია თვალს არ მაცილებდა. მეორე ჭიქაც ასე დავლიე. მხოლოდ მესამე ჭიქის შემდეგ ამოვიღე ხმა.

– ლია, შენ მე არ მიცნობ. ალბათ, არც კი იცი ვინ ვარ... არაყს რომ ვსვამ, ლოთი ხომ არ გგონივარ? პირველად ვსვამ ჩემს სიცოცხლეში არაყს მარტო. შენც ხომ არ დალევ? – ლიამ არაყი დაისხა და დალია.

– რა კარგი გოგო ხარ, ლია. – ვთქვი მე და ისევ დავასხი – შენ მე არ მიცნობ, ლია. მე კი გიცნობ, ხუთი თითივით გიცნობ. – გავშალე ხელი და შევატყვე როგორ მიკანკალებდა. – არ დაიჯერებ და ნუ დაიჯერებ. შენ გგონია, არ შეგხვედრივარ ორი წელია? ყოველდღე გხვდებოდი, გელაპარაკებოდი, გისმენდი, სად არ ვყოფილვარ შენთან ერთად... ათასჯერ მითქვამს შენთვის ის, რასაც ახლა გეუბნები... შენ კი სულ არ მიცნობ... – ვთქვი მე და დავლიე.

– გიცნობ, თემო. – თქვა ლიამ.

– რომ მიყვარხარ, ის თუ იცი? – ვკითხე მე და წამოვდექი.

– მაგის გარდა, ყველაფერი ვიცი. – თქვა ლიამ და ისიც წამოდგა. მე მივედი სულ ახლოს ლიასთან, უზარმაზარ ჭკვიან თვალებში ჩავხედე და ათრთოლებული ხელი ლოყაზე ჩამოვუსვი.

– ნუ, ნუ მოხვალ ჩემთან, თემური, ძალიან გთხოვ... – თქვა ლიამ და უკან დაიხია.

– ლია, ჩემო ლია, ხომ იცი როგორ მიყვარხარ...

– ვიცი, თემური, ოღონდ ახლა ნუ, ახლა ნუ მოხვალ... – მეუბნებოდა ლია და კედელს ეკვროდა. სულ ახლოს მივედი. მისი გულისცემა, მძიმე და ცხელი სუნთქვა მესმოდა.

– ლია, ჩემო კარგო ლია!.. – ვჩურჩულებდი მე.

– თემო, ოღონდ ახლა წადი, მარტო დამტოვე, თემური, გემუდარები, ოღონდ ახლა წადი... – ლიას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

– ლია, ოღონდ ახლა ნუ გამაგდებ და მომკალი... – შევევედრე მე.

– კარგი, არ გაგაგდებ, ოღონდ ნუ მომეკარები, თემური, ჩემო თემური, გემუდარები, თუ გიყვარვარ, ნუ მომეკარები...

იგი იდგა ჩემს წინ როგორც სიყვარულის ქალღმერთი, როგორც უკვდავება და მთხოვდა მე, თემური ბარამიძეს, სიყვარულისაგან ჭკუიდან გადასულ კაცს, არ მივკარებოდი. და მე ვერ გავბედე მისი მიკარება. უკან გამოვბრუნდი და ისევ ჩემს ადგილზე დავჯექი.

დიდხანს ვიჯექი თავჩაღუნული. მერე ლია მოვიდა ჩემთან და თავზე ხელი გადამისვა. მე მისი ცხელი ხელი ლოყაზე მივიხუტე და თვალები დავხუჭე. ლიამ ფრთხილად გამომართვა ხელი და ისევ თავზე გადამისვა.

– წადი ახლა, თემური, ხვალ მოდი, ზეგ, როდესაც გინდა, მოდი... – წყნარად თქვა მან.

– ლია, წამოდი ჩემთან! – ვთხოვე მე.

– სად, თემური?

– წამოდი, ჩაიცვი და წამოდი, ქალაქში ვიაროთ.

– გვიანაა ახლა, თემური, სხვა დროს.

– არა, ახლა, ახლა, თუ გიყვარვარ, ახლა ჩაიცვი და წამოდი, წამოდი, ლია, რომ არ წამოხვიდე, თავს მოვიკლავ... წამოდი, რა!.. – ლია ცოტა ხანს ყოყმანობდა. შემდეგ ჩაიცვა და წამოვიდა.

ნატვრისთვალს გავდა, გაჩახჩახებულ ნატვრისთვალს თბილისი იმ ღამით, მე კი მის გლახაკ პატრონს და რასაც ენატრობდი, სულ ყველაფერს მისრულებდა, დალოცვილი.

777

– ძია ართავაზას გაუმარჯოს!

– გაგიმარჯოს, ვინა ხარ?

– თემური!

– აბა, თემური?

– აღარ გახსოვარ, კაცო, ამ სამი წლის წინ ღამით რომ მოვედი შენთან?

– ვა, არ მახსოვს, აი!..

– დედა რომ დამიბრუნდა გადასახლებიდან, არ გახსოვს?

– მერე და, შე ბუმერაზო, ეგრე უნდა დავიწყება?

– როგორ ხარ, ძია ართავაზ!

– რაღა როგორა ვარ, ვაგდივარ ძველი ჯიგარივით, თვალში სინათლეს ვკარგავ, ყურში სმენას, მუხლში ძალას...

– ნუ გეშინია, ძია ართავაზ, კარგად იქნები.

– შენ როგორ ხარ თავად, ეგ ჯანმრთელი ქალი ვინ არი?

– აი, მოგიყვანე სანახავად, ჩემი საცოლეა, ლია!

– დღისით ვერ მომიყვანე, დალოცვილო? ამ ღამით რა შევატყო, ისე კარგი ქალი ჩანს...

– შეხედე, ძია ართავაზ, რა ლამაზია...

– კაცო, შენ საქმე მითხარი, ლამაზი ჩემი გასტრონომიც არის, შიგ რა ყრია რო?!

– არა, ძია ართავაზ, კარგი ქალია!

– ღმერთმა აგაშენოთ!

– გმადლობთ, ძია ართავაზ.

– დედა როგორა გყავს?

– დედა აღარა მყავს, ძია ართავაზ!

– ეგ რა თქვი, კაცო?!

– აღარა მყავს!

– ღმერთმა განუგეშოს!

– გმადლობთ!

– ძნელია უდედობა...

– ძალიან ძნელია, ძია ართავაზ.

– ეგ რა მითხარი, კაცო...

– ეგრა, ძია ართავაზ, ნახვამდის!

– ნუ დამივიწყებ, ბიჭო, ნამუსი არა გაქვს? ერთხელაც მოდი და კარგი ამბავი მითხარი.

– მოვალ, ძია ართავაზ, და გეტყვი.

– პაპიროსი არ გაქვს?

– როგორ არ მაქვს, აჰა პაპიროსი, ესეც ასანთი. გქონდეს, მე არ მინდა.

– გმადლობთ.

– კარგად იყავი.

– გაიხარეთ!

777

– გურამ! გურამ! გურამიი!!!

– რამ გაგაგიჟა, ამ შუაღამისას რა გაბღავლებს!

– ჩამოდი, რა გაჩვენო!

– ხვალ, ხვალ, მეძინება.

– ჩამოდი, სულერთია არ დაგაძინებ.
– უხ, შენი!..
– ჩამოდი!..

– გაიცანი, ეს ლიაა.
– ვაააᲐ!!
– გამარჯობათ, გურამ!
– გამარჯობათ, ლია... როგორ ბრძანდებით?
– გმადლობთ, არა მიშავს. თქვენ?
– მე ალბათ გავგიჟდები, საიდან?
– სახლიდან!
– ვაა!
– ახლა საით?
– სახლში!
– დედას გეფიცებით, გავგიჟდები...
– ახლა წადი და დაიძინე.
– ახლა რა დამაძინებს, ბიჭო?!
– მაშ, იდექი და გვიყურე, ნახვამდის.
– მოიცათ, მოიცათ. ესე იგი...
– ჰო, მე და ლიას ერთმანეთი გვიყვარს!
– მართლა, ლია?
– ...
– ვაააᲐ!!!
– ნახვამდის!
– ხვალ გნახავთ?
– კი!
– ერთად?
– დღეიდან სულ ერთად.
– დედას გეფიცებით, გავგიჟდები.
– წავედით...

777

– მოვედი, ეს მე ვდგავარ შენი საფლავის ქვაზე, შენი სისხლი და ხორცი, ვდგავარ შენი საფლავის ქვაზე და არ მერიდება, რადგანც მინდა მიგრძნო, მე ვტირი შენს საფლავზე და არ მრცხვენია არც ლიასი და არც შენი, რადგანც მინდა, რომ მიხვდეს ლია, რა იყავი შენ ჩემთვის და გახდეს იგი ამ საფლავის პატრონი და ჭირისუფალი, როგორც მე, რადგან იგი მე ვარ დღეიდან... ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც იმ დიდი სიყვარულის საფასურად, ჩემი ხელით გაგითხარე სამარე, ჩემი ხელით ჩაგასვენე შიგ და ჩემი ხელით დაგადე ეს დიდი ლოდი გულზე. ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც ძლივს გიპოვე და ისე გიპოვე, რომ აღარასოდეს დაგკარგავ, რადგან ეს სასაფლაო არის ჩემი. ეს არის ლია, ნაწილი იმ დიდი სიცოცხლისა, რომელიც შენ დამიტოვე ქვეყანაზე. შენ კი იმდენი სიცოცხლე დამიტოვე, რომ მე მარტოს არ შემიძლია ამდენი სიცოცხლე. ამიტომ, არ გეწყინოს, რომ მე მივეცი მას ჩემი და შენი სიცოცხლის ნაწილი.

– ეს მე ვარ, შენი შვილი, შენი სისხლი და ხორცი. შუაღამისას ვდგავარ საფლავებს შორის და არ მეშინია. არ მეშინია, რადგან ის, რისაც ქვეყანაზე უფრო მეშინოდა, უკვე მოხდა. ეს იყო შენი სიკვდილი და, რადგან სიკვდილის არ მეშინია, აღარც სიცოცხლის მეშინია...

არც იმის მეშინია, რომ ამ სასაფლაოსაც, როგორც ყველას, ბაღად გადააკეთებენ, დიდ, ლამაზ ბაღად. შენს საფლავზე მე ცაცხვი დავრგე და ვახარებ. მერე მოვალთ მე და ლია ჩვენი ბავშვებით და შენ უკვე აღმოცენებული იქნები ვეებერთელა, უზარმაზარ სიმწვანედ, ჩრდილად და სიგრილედ, ჩემი ბავშვები ითამაშებენ შენს სიმწვანეში, ჩრდილში, სიგრილეში, იქნებ სახელებიც ამოგაჭრან გულზე და, ნუ გეწყინება, მერე, ალბათ, ჩემსა და ლიას საფლავებზეც იხარებს ცაცხვი, აღმოცენდება ვეებერთელა სიმწვანედ და ყველა ჩვენთაგანის საფლავი ხელმეორე სიცოცხლედ იქცევა ქვეყანაზე... და ყველა სასაფლაო ბაღად და უკვდავებად.

ეს მე ვდგავარ შენს საფლავთან, ბედნიერიც, უბედურიც, მტყუანიც, მართალიც, სუსტიც, ძლიერიც, ოღონდ შენზე ძლიერი, და ვიცი, შენ ეს გაგეხარდება.

ეს მე ვარ ამ შუაღამისას შენს საფლავთან ქადაგად დავარდნილი და მაპატიე, თუ რამეს შენს საკადრისს არ ვამბობდე, დედა.

არა

კაც

ჰკლა

იგი გულაღმა ეგდო სადარბაზოში და სულს ღაფავდა. მე დავიხარე და თვალებში ჩავხედე. თვალები დაბინდული ჰქონდა. ზურგზე მოვიკიდე და მესამე სართულზე ავიყვანე, დავაწვინე კართან, ჯიბეები მოვუჩხრიკე, გასაღები ვიპოვე, კარი გავაღე და მის სამუშაო ოთახში ნოხგადაფარებულ ტახტზე დავაწვინე, საკინძე გავუხსენი, ქამარი შევხსენი და ფეხზე გავხადე.

აბიბო იწვა ჩემს წინ და კვდებოდა. კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილს ვნატრობდი, კაცი, რომელმაც სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა, და ამ კაცის სული ახლა ჩემს ხელში იყო. ახლა მე ამას მოვკლავ, თუმცა რა, თავისითაც კვდება, დავჯდები და ვუყურებ, ვიდრე არ მოკვდება, იქნებ წყალი უნდა, მე წყარო ვარ ახლა მისთვის. თუ ვარ, იცოდეს, რომ დამშრალი წყარო ვარ... იქნებ ხმა უნდა გაიგონოს კაცის და ჩემი ხმა ღმერთის წყალობა იქნება მისთვის, – თუ ასეა, იცოდეს, რომ მუნჯი ვარ... იქნებ რამის თქმა უნდა და ყურადღებას ითხოვს, – იცოდეს, რომ ყრუ ვარ... იქნებ სინათლე უნდა და მე ვარ მისთვის მზე, – მაშინ იცოდეს, რომ არა ვარ, არა... იქნებ ჰაერი უნდა, და მე ვარ მისი მაცოცხლებელი ჰაერი, – არა, არა, დახშული სარკმელი ვარ მისთვის... ეს მე ვარ, სიკვდილი, თავზე რომ ვადგივარ და მე მოვკლავ მას, რომ თავისი სიკვდილით არ მოკვდეს და ეს უნდა იცოდეს აბიბომ. მე ხელები მიკანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა. ათასი ურო მირტყამდა საფეთქლებში და მეძახდა – მოჰკალი, მოჰკალი, მოჰ–კალი, ეს შენ ხარ მისი სიკვდილი და ეს უნდა იცოდეს მან.

– აბიბო! – ვთქვი მე ისეთი გამოცვლილი ხმით, თვითონვე შემეშინდა.

აბიბომ თვალები გაახილა და უაზროდ შემხედა.

– ეს მე ვარ, აბიბო! – ვუთხარი მე.

– მიშველე! – მთხოვა მან და თვალები დახუჭა.

– აი ახლა ავდგები, ავდგები და... – დამბლა თუ არ დამეცემოდა, არ მეგონა, მაგრამ ავდექი, ტელეფონთან მივედი, 03 ავკრიფე და სასწრაფო დახმარება გამოვიძახე.

– წყალი! – თქვა აბიბომ და გამშრალი ტუჩები გაილოკა. სამზარეულოში გავედი, ჭიქა წყლით ავავსე და ტუჩებთან მივუტანე. ცოტა მოსვა, ხველება აუვარდა.

– ჰაერი, ჰაერი! – თქვა მან, სული რომ მოითქვა, ყველა ფანჯარა გავაღე, ოთახში გრილი ჰაერი შემოვარდა, და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ოთახი ნაფტალინისა და მტვრის სუნით იყო გაჟღენთილი.

– მიშველე! – თქვა მან ისევ და აბორგდა.

– ნუ გეშინია, გიშველი, ახლა ექიმი მოვა! – ვუთხარი მე და ტახტზე ჩამოვჯექი.

– მიშველე! – გაიმეორა მან.

კარზე დარეკეს. გავაღე. ოთახში ერთი ძალიან მსუქანი ქალი და გამხდარი კაცი შემოვიდნენ. მსუქანი ქალი ძლივს სუნთქავდა, გამხდარ კაცს წითელჯვრიანი ყუთი ეჭირა ხელში.

– სად არის ავადმყოფი? – მკითხა მსუქანმა.

– აი! – ვაჩვენე აბიბო.

– რა წინასწარი ზომები მიიღეთ?

– არაფერი, წყალი დავალევინე და ფანჯრები გავაღე.

– წნევა რამდენი აქვს?

– არ ვიცი, ქალბატონო.

– წნევა! – ბრძანა მსუქანმა, გამხდარმა წნევის აპარატი გახსნა.

მსუქანმა ნაწლავებივით ამოათრია ფონედოსკოპი ჯიბიდან.

– 240! – თქვა მან. მერე თვალის ქუთუთოები ჩამოუქაჩა. რაღაც შეკითხვები მისცა აბიბოს. აბიბო ხმას არ იღებდა.

– ინსულტია! – თქვა მსუქანმა.

– მაგნეზია ნოვოკაინით?– ჰკითხა გამხდარმა.

–დიაფილინიც! – თქვა მსუქანმა. ნემსი გაუკეთეს.

– როგორ მოხდა? – მკითხა ახლა მე ექიმმა.

– სადარბაზოში ვიპოვე, უგონოდ ეგდო. ამოვიყვანე. მეტი არაფერი არ ვიცი.

– დროზე მოგისწრიათ. ნუ გეშინიათ, გადარჩება, ასეთებს ვარჩენთ?! – თქვა მან და ექთანს გადახედა.

– თქვენი ჭირიმე, ექიმო! – ვთხოვე მე.

– ციცი ტილო არ მოაცილოთ კეფაზე და შუბლზე, ყინული აჯობებს! – დამარიგა ექიმმა. მე გავედი სამზარეულოში, ღრმა თეფშით წყალი შემოვიტანე, სასთუმალთან დავუდგი აბიბოს და შიგ ტილო ჩავალბე, მერე გავწურე და თავზე დავადე.

– ნუ გეშინიათ! – დამამშვიდა ისევ ექიმმა. – თქვენ შვილი ხართ მისი?

– არა!

– ძმა ხართ?

– არა, ბატონო, მეზობელი ვარ.

– ახლა ამას სიმშვიდე უნდა, მეტი არაფერი, რაც საჭირო იყო, გავუკეთეთ. ტილო ხშირ–ხშირად უცვალეთ, დილით მოვალთ და ვინახულებთ, აბა, ყოჩაღად იყავით. – თქვა ექიმმა. წასვლის წინ მაჯა გაუსინჯა, კმაყოფილმა თავი დაიქნია.

– ნუ გეშინიათ, აგერ კარდიამინს გიტოვებთ კოფეინით, მაგრამ, მე მგონი, არ დასჭირდება, – კიდევ ერთხელ დამამშვიდა და წავიდნენ.

კარი დაეხურე და ისევ აბიბოს სასთუმალს მიეუჯექი. ალბათ წამალმა იმოქმედა და ერთი საათის შემდეგ აბიბომ ცოტა მოიხედა. მან თავი მოაბრუნა ჩემკენ და დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყურა.

– რომელი ხარ? – მკითხა ბოლოს გაუბედავად.

– თემური ვარ!

– რა მოხდა, რა მჭირს?

– არაფერი, დაიძინე, ცოტა ცუდად იყავი, ახლა კარგად ხარ! – აბიბომ თვალები დახუჭა, მაგრამ არ დაუძინია, ეტყობა, რაღაცას იგონებდა და ვერც იგონებდა.

– თემური, შენ ხარ? – მკითხა ბოლოს.

– მე ვარ, ძია აბიბო, მე! – ვუთხარი და ტილო გამოვუცვალე.

– არ მოკვდები?

– არა, ექიმმა თქვა, არ მოკვდებაო.

– შენ?

– არ მოკვდები, ნუ გეშინია, დაიძინე.

– არ დამტოვო, ბიჭო!

– არა, ნუ გეშინია, დაიძინე. – აბიბომ თვალებში შემხედა, მერე, ალბათ, მენდო, თვალები დახუჭა და გვერდზე გადაბრუნდა...

დილის ექვს საათამდე აბიბოს სასთუმალს ვეჯექი და ტილოებს ვუცვლიდი, მას ეძინა მშფოთვარე ძილით. დროდადრო თვალს ახელდა. შეშინებული მიმზერდა, მერე ისევ ბურანში თუ ძილში მიდიოდა. მე თავიდან სიძულვილით ყელამდე სავსე, ჩემდა გასაოცრად, თანდათან დავიცალე, გული დამიწყნარდა, საფეთქლები აღარ მეწვოდა, ვეჯექი სასთუმალს და ვუცქერდი სიკვდილისაგან შეშინებულ და მუშტისხელად ქცეულ, მოტეხილ აბიბოს, მერე მთლიანად დავიცალე სიძულვილისაგან და ვიჯექი სრულიად ცარიელი, არაფერი გრძნობა არ მქონდა ამ კაცის მიმართ. ჩემს წინ იწვა არაფერი, ქვა, ხე, თუ კუნძი, არ ვიცოდი, უბრალოდ იწვა რაღაც, რასაც ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ ვხედავდი. მერე მოხდა საოცარი რამ... მე შემეცოდა ის, ჯერ როგორც უბრალოდ ავადმყოფი, მერე როგორც მეზობელი, მერე როგორც ახლო მეზობელი, ყურის მეზობელი, და ბოლოს შემეშინდა კიდევაც, როდესაც შევატყვე, რომ ტირილი მომინდა. ხელი შუბლზე გადავუსვი და სასთუმალი დავუსწორე. მერე მე ავივსე ყელამდე სიბრალულით ამ კაცის მიმართ, იმხელა სიბრალულით, რომ მისი ცქერა აღარ შემეძლო და ფეხზე ავდექი. თითქოს იგრძნოო, აბიბო აწრიალდა.

– თემური, თემური.

– აქ ვარ.

– არ დამტოვო, ბიჭო, მომკალი და ნუ დამტოვებ. – იგი ჩემკენ გადმოტრიალდა.

– არ დაგტოვებ, ძია აბიბო, ნუ გეშინია.

– მაპატიე, ბიჭო, თუ შეგიძლია!... – მე ტილო დავადე თავზე, აბიბომ ჩემი ხელი დაიჭირა და კოცნა დაუწყო.

– რას შვები, ძია აბიბო! – ვუთხარი მე და ხელი წავართვი.

– მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! – მე ხმას არ ვიღებდი.

– მაშინ, მომკალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო?

– მე მკვლელი არა ვარ, ძია აბიბო! – აბიბო მიყურებდა თავისი გამჭვირვალე ლურჯი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დავინახე რაღაც და ეს რაღაც ცრემლი იყო – აბიბო ტიროდა.

777

დილით ექიმი მოვიდა, აბიბოს კვლავ ჩაეძინა და მე სახლში ავედი. ტანში რაღაც საოცარ სისუსტეს თუ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. რაღაც დიდი, მძიმე, აუტანლად მძიმე დავტოვე წუხელ აბიბოს ოთახში, თუ დამრჩა, იქნებ დავკარგე კიდევაც და მის ნაცვლად რაღაც საოცრად სუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამივსო სხეული, ეს უჩვეულო რაღაც ახლა ბანგივით მათრობდა.

... ავდიოდი ჩემი სართულის კიბეზე მოაჯირს დაყრდნობილი. ჩემი ოთახის კარი, როგორც ყოველთვის, ახლაც ღია იყო, კარს მივაწექი და – კინაღამ კივილი აღმომხდა, შუა ოთახში სამართებლით თავგადაპარსული და გაღიმებული თაევრა იდგა.

– რამაზ, შენა ხარ?

– მე ვარ, თემო!

– ისევ გამოიპარე?

– არა, მაპატიეს!

მერე მე გამახსენდა რექტორის კაბინეტი. ქაღალდზე წითელი ფანქრით თავდახრილი რექტორი, ბატონი დავითი, გამახსენდა რექტორის მიერ დახატული ლამაზი, ყურებპარტყუნა გულუბრყვილო ვირი, წითელი, თავჩაქინდრული ვირი, სევდიანი თვალებით, ვირის ქვეშ წითელივე ფანქრით

დაწერილი – რამაზ კორსაველი (თაევრა), სულ ბოლოს დიდი ასოებით გამოყვანილი, ჩემთვის გაუგებარი სამი ციფრი 2–33. გამახსენდა... მეტი ვეღარ მოვითმინე. ყველაფერი ერთად მოვიდა, მოზღვავდა, გასკდა და ტირილი დავიწყე.

777

არავითარი ჟუჟუნა და შხაპუნა წვიმებით – ჭექა–ქუხილითა და თქეშით მოვარდა მაისი თბილისში.

დღეს სამჯერ იწვიმა და სამჯერ გამოიდარა. ფანჯარა გავაღე. ოთახში აკაციის თეთრი ტოტი შემოვარდა, ერთ ხანს იქანავა და შემდეგ ლამაზი ქალის თეთრი ხელივით გაიტრუნა ჩემს სახესთან. მე მოკრძალებით ჩამოვართვი ხელის მტევანი აკაციას და ფრთხილად ვაკოცე. თეთრი აკაცია შემოვიდა ჩემს ოთახში, თან შემოიტანა უზომო სურნელი მიწის, ჰაერის, წვიმისა და მზის. პირველი, თეთრი აკაცია მოვიდა ჩემთან და მომილოცა დაბადების დღე – 14 მაისი. იგი ჩემთან ერთად გაიზარდა ამ ეზოში, იგი ჩემი ხნისაა და რა არის ამაში გასაკვირი, რომ უხარია ჩემი დაბადების დღე. დღეს ბევრი არავინ მოვა ჩემთან, მოვა გურამი, ერთ ბოთლ ღვინოს მოიტანს და თვითონვე დალევს, მოვა ლია, ლია პირველად მოვა ჩემს დაბადების დღეზე. მოვა, დაჯდება კუთხეში. მიყურებს, მიყურებს და რას იზამს, არ ვიცი, წავა თუ არ წავა. იქნებ არ წავიდეს. მე ვთხოვ და არ წავა. აკაცია კი, აკაცია ვერსად წავა, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერსად წავა. იქნებ სულაც არავინ მოვიდეს, უბრალოდ, არავის გაახსენდეს ჩემი დაბადების დღე. მაშინ მე ჩამოვიელი ყველას, თვითონ, ჩემი ფეხით და ყველას, ყველას დავპატიჟებ.

– ლია, გამარჯობა, დღეს ჩემი დაბადების დღეა, ხომ მოხვალ?

– გურამ, არ დაგავიწყდეს, ჩემი დაბადების დღეა, ბიჭო, დღეს!

– უკაცრავად, მოქალაქე, მართალია, თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ მე გიცნობთ. თითქმის ყოველდღე მხვდებით ქუჩაში, თუ არ შეწუხდებით, მობრძანდით დღეს ჩემთან, დაბადების დღე მაქვს, 24 წლის გავხდი. ძალიან გთხოვთ, ნუ დამზარდებით, აქვე ვცხოვრობ, აი, ამ სახლში, მეოთხე სართულზე, ხელმარცხნივ, კარი ღია იქნება...

– მაპატიეთ, ქალბატონო, უზრდელი არ გეგონოთ, უცნობ ქალს ქუჩაში რომ გაჩერებთ, მაგრამ ძალიან მინდა, ჩემს დაბადების დღეზე იყოთ დღეს. უხერხული თუ არ იქნება თქვენთვის, მობრძანდით, ძალიან გამეხარდება. თქვენ ისე გავხართ დედაჩემს...

– ძია ართავაზ, ნუ გეშინია, მაგ გასტრონომს არავინ წაიღებს, მალე გაგიშვებ, თითო ჭიქა შევსვათ, ღამის სადღეგრძელო შევსვათ, ღამისა, რომელიც თენდება...

– თაევრ, შენც დაპატიჟება გინდა? მოდი და ერთად გადავიხადოთ დაბადების დღე. სულაც ჩემთან დარჩი, აკრიფე შენი გუდა–ნაბადი და მოდი, გესმის? არ მომატყუო, უეჭველად მოდი. ისეთი დაბადების დღე გადავიხადოთ, ჯერ რომ არავის გადაუხდია... მოდი, თუ ძმა ხარ...

– თბილისო, ჩემო თბილისო, შეკრიბე მთელი შენი ქუჩები და მოდით დღეს ჩემთან, რა მოხდა, ერთი საათით მოდით, ბოლოს და ბოლოს, თქვენი შვილი არა ვარ?.. თქვენს ქუჩებში და ჩიხებში არ ავიდგი ფეხი? ჰოდა, მოდით და დამლოცეთ, თქვე დალოცვილებო...

და ვიცი, რომ ყველა მოვა, ყველა და რაც არ უნდა პატარა იყოს ეს ოთახი, მაინც ყველა დაეტევა, ყველა თუ არ დაეტევა, რიგრიგობით შემოვლენ და მომილოცავენ. რა მოხდა მერე? ჩემს დალოცვას და დღეგრძელობას რა უნდა? არაფერი, სულ ორიოდე სიტყვა.

– გაგიმარჯოს, თემური, ბედნიერად და ჯანმრთელად იყავი. შენს მეგობრებს გაუმარჯოს, ძმაკაცის იმედი და ძმობა ნუ მოგიშალოს, შენს მარჯვენას გაუმარჯოს, შენი ცხოვრების გზას გაუმარჯოს, შენს ფიქრს გაუმარჯოს, შენს ოცნებას, მამული გიცოცხლოს ღმერთმა, და ოჯახი... გაგიმარჯოს, თემური...

მეტი მე არაფერი არ მინდა...

კუკარაჩა

დეიდა მართას პატარა ორსართულიანი სახლი ვარაზის ხევის პირას იდგა: თუთებით, ატმებით, ალუბლებითა და ფშატით გარშემორტყმული.

ზაფხულში უბნის გოგო-ბიჭები ამ ხეხილზე ბეღურებივით ვიყავით შესეული და იყო დეიდა მართას ეზოში გაუთავებელი წყევლა-კრულვა, გნიასი, ხვეწნა, მუდარა და მუქარა:

– ჩამოდი, შე არგასაზრდელო!

– ისე ვერ ჩახეთქავ, ტოტი რომ არ მოგლიჯო, შე ოხერო?!

– დაბრმავდი, აჰანდე, ვერა ხედავ, რომ ჯერ მკვახეა?!

– ჟორა, გამოიტა ის მარილიანი თოფი!

– ჯიბგირებო, ყაჩაღებო, ქურდებო, არამზადებო და დამტაცებლებო!!!

– ჩამოდით ახლავე, ვიდრე კუკარაჩასთვის არ დამიძახნია!..

– არა გყავთ პატრონები? მაშ, თუ გყავთ, რად არ გამოდიან და არა მშველიან, ღმერთო, შენ გაუჩინე ამ ურდოს მუცლის გვე-მა და ფაღარათი!

დეიდა მართა ერთი ხის ძირიდან მეორესკენ გადარბოდა შინდის წკნელის ქნევით, მერე არაქათგამოცლილი შუა ეზოში ჯდებოდა და ახლა ხვეწნაზე გადადიოდა:

– გოგო, ნათელა, მასწავლებლის შვილი მაინც არ იყო, დედაშენი მთელ ვაკეს ღრამატიკას და „ვეფხისტყაოსანს“ რომ ასწავლის, შენ საკუთარისა და სხვისის გარჩევა ველარ გასწავლა?!

– აი და-და-და-და, დუდუ, შე თავგასიებულო, მეხი კი ინჟინერ მამაშენს დავაყარე, ნახევარი თბილისი ააშენა და რაღა ჩემი ოჯახის დამანგრეველს გზრდის!

– შენ რა გაცინებს, უდღეურო გურიელო, რაიკომის მდივნის შვილი კი არა და, მეხაშის შვილი უნდა იყო და ღორის ჯიგარსა რეცხამდე ვერეზე. ჩამოდი ძირს და მაწონს გაჭმევ – ემანდ რამე არ მოგივიდეს და დასაჭერად არ გამიხადო საქმე...

– უი, ბროძელო, შენც აქა ხარ? ირაკლი კი არა, ვირაკლი უნდა გერქვას შენა, რადგან კაცის არ გეყურება, რამდენჯერ გითხარი, მაგ გიზიკას აყოლა ხელს არ მოგცემს-მეთქი, დღეს ალუბალს მოიპარავ, ხვალ სახლს გასტეხავ, ზეგ მატარებელს გააჩერებ, მაზეგ პარახოდსა და.. უი, თვალი დამიდგეს, კუჭიკო, შენც აქა ხარ? კუჭიც და თავიც ერთად გაგიხმეს, ჩამო, შე საციმბირე, შენა...

– ბერძენო კოსტია, აქ იმიტომ ჩამოეთერით, რომა ჩემი ოჯახი დაანგრიოთ, საბერძნეთში ცოტა ალუბალი და თუთა იყო?!.

– კუკარაჩა, ეგ არი, უბნის რწმუნებული ვიყო, ქურდების ხორიალა ვარო, შავი ჭირი ვარო, ახალგაზრდობის აღმზრდელი ვარო, შენ ვისი გამზრდელი ხარ, შენ თვითონ პრიუტში გაზრდილო, შენა?!.

კუკარაჩა ჩვენი მილიციის უბნის რწმუნებული იყო, კაცი მეტად უცნაური, სამართლის გამგები, გაჭირვებულის ქომაგი და საყვარელი. უბანში ვინმესთვის რწყილს რომ ეკბინა, კუკარაჩას შესჩივლებდა, სხვა უფრო დიდი საქმე ხომ უკუკარაჩოდ ვერა და ვერ გადაწყდებოდა. ფინეთის ომიდან დაბრუნებულს წითელი ვარსკვლავის ორდენი უმშვენებდა მკერდს. დაბრუნდა თუ არა ფრონტიდან, იმ დღესვე რაიკომში მისულა, – სამუშაო მომეცითო. – რა იციო? – უკითხავს რაიკომის მდივანს. – კაცის კვლაო, – უპასუხნია. რაიკომის მდივანს გასცინებია და მილიციაში გაუმწესებია უბნის რწმუნებულად. ეს იყო და ეს. ისე, ამბობდნენ, ფრონტზე დიდი გმირობა ჰქონდა ჩადენილი, ის კი არა, იმასაც ამბობდნენ, თურმე ის ორდენი ვოროშილოვმა საკუთარი მკერდიდან მოიხსნა და თვითონ დააბნია კუკარაჩას მკერდზეო, მერე მხარზე ხელი დაჰკრა და ასე უთხრაო:

– მალადეც, კუკარაჩა, დზალიან კარგი ბიჩი ხარო!..

– ქართული საიდან იცით, ამხანაგო კლიმენტ ეფრემის ძეო! – გადარეულა თუმე კუკარაჩა.

ვოროშილოვს გასცინებია თურმე კუკარაჩას გულუბრყვილობაზე და ასე უპასუხნია:

– იოსიფ ვისარიონოვიჩმა მასცავლაო.

მართალია თუ არა ეგ ამბავიო, რომ ჰკითხავდნენ ხოლმე კუკარაჩას, პასუხს თავს არიდებდა, არც უარს ამბობდა, არც ჰოს.

– ეგ რა მოსაყოლია, სჯობია, იმას მოგიყვებით, ორდენი რაში მივიღეო.

და მეასედ ჰყვებოდა…

ტანკსაწინააღმდეგო თხრილში ჩავარდნილა თურმე კუკარაჩა თავის ტანკიანად. დიდხანს უბუქსავია შიგ, ვერც ამოსულა და ვერც ჩვენებისთვის მიუწვდენია ხმა. მერე მთელი დღის ნაჯაჯგურებსა და არაქათგამოცლილს ჩასძინებია. შუაღამისას ესმის, ვიღაც მის ტანკს ექაჩება. გახარებია, ჩვენებმა მომაგნესო, გაუხედავს სამზერში და რას ხედავს – მისი ტანკისთვის ორი მსუბუქი ტანკი ჩაუბამთ ტროსებით ფინელებს და თხრილიდან მიათრევენ. გატრუნულა კუკარაჩა, თავი მოუმკვდარუნებია. რის ვაი–ვაგლახით ამოუთრევიათ ფინელებს კუკარაჩას ტანკი თხრილიდან და ჩოჩიალ–ჩოჩიალით წაუთრევიათ თავიანთი პოზიციისაკენ. ერიჰა, – გაუფიქრებია კუკარაჩას, – მე თუ მაგათ ვუყურე, ტყვეობა არ ამცდებაო. – დაუქოქია თავისი ტანკი, ჩაუგდია მესამე სიჩქარეში, მიუცია მაგარი გაზი, შემოუბრუნებია ჩვენი პოზიციისაკენ და ვიდრე ფინელები აზრზე მოვიდოდნენ, სულ ხრიგინ–ხრიგინით მიუთრევია ის ორი ტანკი ჩვენს სატანკო დივიზიაში… მართალია, ფინელებს მოუსწრიათ თავიანთი ტანკებიდან ამოძრომა და გაქცევა, მაგრამ, რაც მთავარია, ის ორი ტანკი ცხვრებ–ივით მიურეკია კუკარაჩას სახლში.

აქ წყვეტდა კუკარაჩა ამბავს. ვოროშილოვთან ქართულად საუბარი კი კვლავ საიდუმლოდ რჩებოდა.

დეიდა მართას ეზოს ბიჭები „ვირების გარაჟს“ ვეძახდით, იმიტომ, რომ წყნეთიდან სისხამ დილით ჩამოსული მემაწვნეები თავიანთ ვირებს დეიდა მართას ეზოში ტოვებდნენ, ხურჯინებს მხარზე გადაიკიდებდნენ და სიმღერაჩადგმული „მალაკო–მაწონის“ ძახილით მოედებოდნენ თბილისის ქუჩებსა და ეზოებს. ნაშუადღევს ხელგაცლილები კვლავ ბრუნდებოდნენ ვირების გარაჟში, დეიდა მართას ხეხილის ბაღში ჩადგმულ გრძელ მაგიდას მოუსხდებოდნენ, თითო ლიტრა კახურ ღვინოს დაამშრალებდნენ და სადღეგრძელოდან სადღეგრძელომდე დღის განმავლობაში გაგონილ ქვეყნის ჭორებსა და საკუთარი თვალით ნახულ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს.

ხანდახან წყნეთელი მემაწვნეები ვირების დოღსაც მართავდნენ დეიდა მართას ეზოში. დოღი ეზოს ჭიშკრიდან იწყებოდა, ხოლო ფინიში ეზოს უკანა ღობე იყო, რომელზეც ვირები ება დღის განმავლობაში. მანძილი ჭიშკრიდან ფინიშამდე დაახლოებით 25–30 მეტრი გახლდათ.

ვირების პატრონები ეოკეებად ჩვენ გვქირაობდნენ, ბავშვებს. თუ მოვიგებდით, ერთი ქილა მაწონი ჩვენი იყო, თუ არა და, ყურის აწევა, დაცინვა და პანღური არ აგვცდებოდა.

ყველა ვირს, რა თქმა უნდა, საკუთარი სახელი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ჩვენზე მინდობილ ვირებს პატრონების სახელებს ვეძახდით.

იმ დღეს შეზარხოშებულ წყნეთელ მემაწვნეებს ვირების დოღი ჰქონდათ. სანაძლეო 5 მანეთი იყო.

მე ქიტესაზე ვიჯექი, ნათელა – არშაკაზე, დუდუ – შაქროზე, ირაჩა – იმედოზე, კოსტია ბერძენი – ხალვათაზე. კიდევ იყვნენ ვირები: ნიკალა, ნუგეშა, ვარდო, ბეგლარა და ქსენია, მაგრამ ეგენი პირველ ტურში მონაწილეობას არ იღებდნენ, რადგან სტარტის ხაზზე ხუთი ვირის მეტი ვერ ეტეოდა. მსაჯები დეიდა მართა და იმ ვირების პატრონები იყვნენ, რომლებიც დოღში არ მონაწილეობდნენ. დეიდა მართამ სამამდე დაითვალა და დოღი დაიწყო…

ვირები პატარა ჩლიქების პაკაპუკითა და ყურების პარტყუნით დაიძრნენ ფინიშისაკენ. აზარტში შესული ფეხზე წამოცვენილი პატრონები ველური ყიჟინით, შეძახილებითა და ლანძღვა–გინებით გვამხნევებდნენ ჩვენც და ვირებსაც.

– მიდი, შე დაკოდილო, ვაი, რა უქმად გაჭმევ ორაბაზიან ქერსა!

– ბიჭო გავაზე დააჯექი, გავაზე, უფრო გარეკავს!

– ნახე, როგორ დადგა ეგ მართლა ვირი, დეზი, ბიჭო, დეზი ამოჰკრა!

– ნელა, შე უდღეურო, ხომ იცი, ვირიდან გადმოვარდნას ცხენიდან გადმოვარდნა სჯობს!

– ცოტაც, ქალაბიჭავ, და პირველი ხარ, შენ კი გენაცვალე, ჩემო მაია წყნეთელო!

– ჩამოდით, თქვენი დოყლაპია დედა კი ვატირე, ამ უნიფხო გოგომ ყველას როგორ უნდა გაჯობოთ!

ნათელამ ერთი ქილა მაწონი მოიგო, არშაკამ ხუთი მანეთი, მე – პანღური… ის იყო, მეორე ტური უნდა დაგვეწყო, რომ მიტკალივით გაფითრებული ჩვენი ძმაკაცი ზევერა მოვარდა, შუა ეზოში დადგა, ხელები გაშალა და გადარეულივით იკივლა:

– კუკარაჩა მოკლეს!

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა ეზოში, რომ ბელურებიც კი შეკრთნენ ხეებზე.
– ხალხო, კუკარაჩა მოკლეს! – ახლა წყნარად თქვა ზევერამ და გამშრალი ტუჩები აილოკა.
– ვინ? – იკითხა დიდი ხნის შემდეგ ხმაწართმეულმა დეიდა მართამ.
– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ზევერამ.
– სად? – იკითხა ისევ დეიდა მართამ.
– ქობულეთის აღმართზე! – თქვა ზევერამ და ხელი იქითკენ გაიშვირა, საითაც ქობულეთის აღმართი ეგულებოდა.
– ინგას სახლში?
ზევერამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დეიდა მართამ თავშალი მოიძრო და ეზოდან გავიდა…
ათ წუთში მთელი უბანი ინგას ეზოში იყო.
ორმა სანიტარმა და ორმა მილიციელმა კუკარაჩა საკაცით გამოასვენეს ინგას ოთახიდან. გვერდით სახეშეშლილი და ღაწვებდახოკილი ინგა მოსდევდა გონდაკარგულ კუკარაჩას.
– არ მოკვდე, კუკარაჩა, არ დამღუპო, თორემ ვინ დამიჯერებს, რომ უბრალო ვარ… არ მოკვდე, ბიჭო, შენი ჭირიმე, დედას გაფიცებ, კუკარაჩა, არ მოკვდე… – ამას ყურში ჩასჩურჩულებდა ინგა კუკარაჩას და შიშისაგან გადარეული თვალებით დასცქეროდა მკერდზე ორ ადგილას ტყვიით გაგლეჯილი ძუძუსთავიდან ზანტად რომ მოჟონავდა უკვე ნახევრად შედედებული სისხლი და მჭიდროდ გადაკრულ დოლბანდზე ორ ყაყაჩოსავით რომ ულვივოდა…
…და ვიდრე სასწრაფო დახმარების მანქანაში შეასვენებდნენ, კუკარაჩა გონს მოვიდა.
– არ მოკვდე, კუკარაჩა, შენი სიცოცხლის ჭირიმე… – ისევ სთხოვა ინგამ და მის წინ მუხლებზე დაეშვა. კუკარაჩამ დანისლული თვალები მოავლო მის გარშემო შეკრებილ ხალხს.
– კუკარაჩა, არ მოკვდე ბიჭო, თორემ ვინ დამიჯერებს, რომ უბრალო ვარ..
– ჩუმად… ადექი და წადი, ვითომ აქ სულაც არ ყოფილხარ, წადი, ქალო…
– არ დამღუპო, კუკარაჩა… – ინგა ხელებს უკოცნიდა კუკარაჩას, ის კი ვიღაცას დაეძებდა ხალხში თვალით, იპოვა ბოლოს.
– დავით! – თქვა მან.
ხალხს გაფითრებული მილიციის უფროსი გამოეყო და კუკარაჩასთან მივიდა.
– დავით, შენ ხომ იცი, ეს ქალი ცოლია ჩემი… ცოლია და იმ ცრემლივით წმინდაა, ლოყაზე რომ ჩამოსდის… შენ ხომ იცი, დავით?! – დავითმა თავი დაუქნია. კუკარაჩამ მშვიდად გაიღიმა.
– ინგა, ნისლი მოვიდა, ვარდისფერი ნისლი და ველარ გხედავ… მურტალო, შენი ოხერი დედა ვატირე, რა დედლურად გამაფუჭე.. – თქვა თავისთვის ჩურჩულით კუკარაჩამ და თავი სინანულით გადიქნია. მერე ინგას ახედა, ხელი ასწია, უნდოდა ლოყაზე მოალერსებოდა, მაგრამ გზაშივე მოსწყდა მკლავი და მარჯვნივ გადაუვარდა. ღიმილი ცოცხალივით შერჩა პირზე.
არც ერთი დაკვნესება, არც ერთი „მიშველეთ!“ და არც ერთი „ვაი დედა!“
ლამაზად მოკვდა კუკარაჩა.

ანასტასიევის ქუჩიდან ნიკო მარის ქუჩაზე რომ გადმოვედით საცხოვრებლად, პირველი, ვინც გვესტუმრა, მაღალი, შავტუხა, ლამაზი მილიციის ლეიტენანტი იყო. ზარი რომ დარეკა და დედამ რომ კარი გაუღო, იგი მოუპატიჟებლად შემოვიდა სახლში, სამზარეულოში გავიდა და ტაბურეტზე ჩამოჯდა.
– ვინ ბრძანდებით თქვენ, ბატონო, და რა გნებავთ?! – ჰკითხა მილიციელის თავხედობით გაკვირვებულმა დედამ.
– მე, ქალბატონო… – მილიციელი შეყოვნდა და დედას კითხვით სავსე თვალები მიაპყრო.
– ანიკო! – მკვახედ უკარნახა დედამ.
– მე, ქალბატონო ანიკო, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორჯონიკიძის რაიონის მილიციის უბნის რწმუნებული გოგი თუშურაშვილი გახლავართ, ზედმეტ სახელად კუკარაჩას მეძახიან, – სულმოუთქმელად თქვა დაუპატიჟებელმა სტუმარმა.
– კარგად შეურქმევიათ, – გაეცინა დედას, გოგიას მუგუზალივით შავ სიფათს რომ შეხედა.
გოგიასაც გაეცინა.
– სიშავის გამო შემარქვეს.
– კი ხართ, სულო ცოდვილო, ცოტა შავგვრემანი.
– შეგიძლიათ დღეიდან კუკარაჩა დამიძახოთ! – დართო ნება დედას.
– დიდი მადლობა, მაგრამ არა მგონია, მაგის შესატყობინებლად იყოთ მოსული, – უპასუხა დედამ და მეორე ტაბურეტზე ჩამოჯდა.

– დიახ, მე უბანში ახლად დამკვიდრებული მოზარდების აღრიცხვას ვაწარმოებ, რადგან მათი სახლგარეთ აღზრდა და მეთვალყურეობა მევალება, – კუკარაჩამ პლანშეტიდან საერთო რვეული და ფანქარი ამოიღო.

– ბატონო კუკარაჩა, თქვენ მისამართი ხომ არ შეგშლიათ? – ჰკითხა დედამ.

კუკარაჩა ვერ მიხვდა დაცინვას და სერიოზულად უპასუხა:

– რას ბრძანებთ, ქალბატონო ანიკო, ნიკო მარის ქუჩა. №2, სადარბაზო I, სართული 4, ბინა №8, ვლადიმერ ივანეს ძე გურიელი... ხომ არ მეშლება?

– ძალიანაც გეშლებათ, ამხანაგო კუკარაჩა, ჩემი მეუღლე ვლადიმერი ბაღდადის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი გახლავთ. ჩვენს ოჯახს მილიციასთან არაფერი საერთო არა აქვს, მე ჯერჯერობით ცოცხალი ვარ და შვილის აღზრდაში თქვენი დახმარება არ მჭირდება, – დედას სახე აეფარკლა, – და წესიერ ოჯახებში სიარულს გირჩევნიათ ქუჩაში ჯიბგირებსა და ხულიგნებს მიხედოთ!

– მაგას ნუ იტყვით, ქალბატონო ანიკო! – მშვიდად თქვა კუკარაჩამ და რვეული დაკეცა.

– მე ვიცი, რასაც ვამბობ, ჩემი შვილი ჯერ თორმეტი წლისაც არ არის და მილიციაში აღრიცხვაზე ასაყვანი არაფერი სჭირს...

– მაგას ნუ იტყვით, ქალბატონო ანიკო! – გაიმეორა კუკარაჩამ.

– რას დაგიჩემებიათ, მაგას ნუ იტყვით და მაგას ნუ იტყვით, ქალბატონო ანიკოო, მეორეჯერ არ დაგინახოთ ამ საქმეზე ჩვენთან მოსული, – გაწიწმატდა დედა და ფეხზე წამოდგა. წამოდგა კუკარაჩაც.

– ღმერთმა ქნას, ჩემი თავი არასდროს არ დაგაჭირვოთ, ქალბატონო ანიკო. ისე, იცოდეთ, თქვენი შვილის ტოლი რომ ვიყავი, ჩუმ–ჩუმად პაპიროსსაც ვეწეოდი, ყომარის თამაშსაც მასწავლიდნენ უბნის ბიჭები და სვირინგიც გამიკეთეს... – კუკარაჩამ სახელო აიწია და მკლავზე ამოსვირინგებული დახვეული ლურჯი გველი აჩვენა.

– ნუ წუხდებით, უმაგისოდაც გეტყობათ! – მოკლედ მოუჭრა დედამ.

– მე საჩხუბრად არ მოვსულვარ, ბალბატონო ანიკო, და ნუ მკადრებთ მაგას.

– მშვიდობით! – უთხრა დედამ.

– ნახვამდის! – უპასუხა კუკარაჩამ და კარისაკენ წამოვიდა. მე გასასვლელში ვიდექი და გაკვირვებული ვისმენდი მათ საუბარს. ასე გაცეცხლებული და უხეში დედაჩემი ადრე არასოდეს მენახა. კუკარაჩამ რომ ჩამომიარა, შეჩერდა და ლოყაზე მომითათუნა ხელი.

– რა გქვია? – მკითხა ღიმილით.

– თამაზი! – დავულრინე მეც დედაჩემივით და ლოყა მოვარიდე.

– ხელს თუ არ მომაჭამ, მადლობელი ვიქნები! – მითხრა კუკარაჩამ და კარი გაიხურა.

– Хам! – თქვა დედამ და კარი გადაკეტა.

ეს ამბავი კუკარაჩას გამოცხადებიდან ერთი თვის თავზე მოხდა. ვარაზის ხევით მდინარე ვერეზე დავეშვით, ზოოპარკის ღობეზე გადავძვერით და კაკლის ძირში გავჩნდით. კუჭიკო წელში მოიხარა.

– აბა მიდი! – ჩურჩულით მითხრა კუჭიკომ, – თითო უბე გვეყოფა!

მე ზურგზე შევაჯექი და ხეს შევაფორთხდი. კუჭიკო წელში გაიმართა და ხელი შემაშველა. ჯერ ქვედა ტოტზე ჩამოვეკიდე მაიმუნივით, მერე მკლავზე ავიწიე, ტოტს გადავაჯექი და ფრთხილად ავცოცდი კენწეროსკენ. მე დუდუ მომყვა, დუდუს კოსტია ბერ–ძენი, კოსტიას ირაჩა, კუჭიკო ბოლო ამოძვრა ხეზე. ვმუშაობდით უხმოდ და გამალებით. თხუთმეტ წუთში უბეები გატენილი გვქონდა რძეჩამდგარი ნიგვზით.

– წავედით! – დაისისინა კუჭიკომ და კაკლის ძირისკენ დავიძარით.

ნიგვზით უბეებგამოტენილები რის ვაი–ვაგლახით გადმოვძვერით ღობეზე და ვერეს მაღლა ავყევით.

– აი, აქ! – თქვა კუჭიკომ და პატარა ტბორთან შეჩერდა. შარვლიდან პერანგის უბე ამოიქაჩა და თოთო ნიგოზი სილაზე დაახვავა. ყველამ იგივე გავიმეორეთ.

– აბა, დავიწყოთ! – გასცა განკარგულება კუჭიკომ. ორ–ორი რიყის ქვა მოვძებნეთ და საქმეს შევუდექით. გამალებით ვთეთქვავდით ნიგოზს, თან აქეთ–იქით ვიცქირებოდით გაფაციცებით. ხელისგულები და სახე ისე გვქონდა ნიგვზის ნაჭის შხეფებისაგან ჩაშავებული და დაჭორფლილი, ერთმანეთს ველარ ვცნობდით.

– აბა, ჩავყარეთ! – ბრძანა კუჭიკომ და მთელი ეს დაჩეჩქვილი ნიგოზი ტბორში გადავუშვით. დაიწყო მოლოდინის გაუთავებელი წუთები; ერთი წუთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი და... პირველი მოწამლული თევზი გულაღმა ამობრუნდა და წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. ხუთ წუთში პატარა მორევის ზედაპირი თევზებით გადათეთრდა. მოულოდნელი ეფექტისაგან სიფრთხილედაკარგულები წყალში შევცვივდით და თევზს შევესიეთ: ვწიოდით, ვყვიროდით, ვბღაოდით, ვიცინოდით, ვხარხარებდით, ერთმანეთს ხელიდან ვგლეჯდით ჯერ კიდევ ცოცხალ თევზებს...

– არ გაუშვა!

– ჩემია!

– პირველმა მე დავიჭირე!
– დაყვინთე, ნუ გეშინია!
– უბეში ჩაიყარე, უბეში!
– საღოლ, კუჭიკო, ვინ გასწავლა?!
– ჩემით მოვიგონე!
– მხეცი ხარ, მხეცი!

ნახევარი საათი მაინც გრძელდებოდა ეს ველური ყიჟინა და როდესაც ტბორი თევზისაგან დაიცალა, გალუმპულები და ილაჯგაწყვეტილები ჩვენც ჭერეხზე ამოყრილი თევზის გვერდით დავეყარენით. სული რომ მოვითქვით, კუჭიკომ თევზი თანაბრად გაჰყო, თან გაგვაფრთხილა, თუ ვინმემ გკითხოთ, უთხარით – ანკესით დავიჭირეთ–თქო და ნანადირევით დატვირთულები, სასტიკად ამაყები დავბრუნდით შინ.

თავით ფეხებამდე ჩაშავებული და გალუმპული რომ დამინახა, დედაჩემს გული კინაღამ შეულონდა. თევზს რომ თვალი მოჰკრა, გაუკვირდა. როდესაც გაიგო, რომ საკუთრად ჩემი ნანადირევი იყო, ცოტათი დამშვიდდა. ერთი პირობა თევზის გადაყრა დააპირა, მაგრამ ნახევარსაათიანი მუდარის შემდეგ გამოკუჭა, მზესუმზირის ზეთსა და ფქვილში შეწვა, ცნობისმოყვარეობის გამო ერთი თავი გასინჯა – უყურე შენ, რა გემრიელიაო, – თქვა და დანარჩენი წინ დამიდგა.

თევზის ძვლებით აჩონჩხილი თეფში ჯერ კიდევ ალაგებული არ ჰქონდა დედას, მე კი გაფშეკილი თითების ლოკვა დამთავრებული, რომ კართან ზარის ხმა გაისმა. დედამ კარი გააღო. კარში კუკარაჩა იდგა და იღიმებოდა. მისი მოსვლა იმდენად მოულოდნელი არ იყო, რამდენადაც გაუგებარი.

– გამარჯობათ, შეიძლება, ქალბატონო ანიკო? – იკითხა მან დიდი მოკრძალებით.

– მობრძანდით! – შემოიპატიჟა დედამ ამჯერად ლმობიერად და მრგვალ მაგიდას მიუჯდა. კუკარაჩამ ბამბუკის ჯოხზე გაწყობილი ანკესი ოთახის კუთხეში მიაყუდა, პლანშეტიდან წითელყდიანი წიგნი ამოიღო და დედას პირდაპირ დაჯდა.

– რაზე შეწუხებულხართ, ბატონო კუკარაჩა, ან ეს ბამბუკი რა არის? – ჰკითხა დედამ.

– ახლავე მოგახსენებთ, ქალბატონო ანიკო: ეს წიგნი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი გახლავთ, ეს კი ჩვეულებრივი ანკესია.

– კი, მაგრამ რა კავშირი აქვს ჩემს ოჯახთან ან ერთს, ან მეორეს? – გაუკვირდა დედას.

– ანკესით, ქალბატონო ანიკო, მოგეხსენებათ, თევზს იჭერენ, სისხლის სამართლის კოდექსით კი – ადამიანებს... – თქვა კუკარაჩამ და წითელყდიანი წიგნი გადაშალა.

– ბატონო კუკარაჩა, ძალიან გთხოვთ, ქარაგმებით ნუ მელაპარაკებით, პირდაპირ თქვით, რა გნებავთ. – დედას ხმაში გაღიზიანება დაეტყო. კუკარაჩამ ამას ყურადღება არ მიაქცია, თავისი საქმე განაგრძო. იგი წიგნს ფურცლავდა, ბოლოს მიაგნო სასურველ ადგილს და დედას ახედა. დედა მოუთმენლად ელოდა, რას იტყოდა კუკარაჩა. კუკარაჩამ დაიწყო:

– ვნახოთ, რა წერია ამ დალოცვილ წიგნში, – თქვა და ახლა მე ამომხედა. – დაბრძანდით, პატივცემულო! – მომმართა და სკამზე მიმითითა. უსიამო ჟრუანტელმა დამიარა ტანში, მაგრამ მაინც დავჯექი.

– სახელმწიფო საკუთრების დატაცებაზე, რაც ნიგვზის მკვახე ნაყოფის დაკრეფასა და ბარბაროსულ განადგურებაში გამოიხატა, აღარაფერს ვამბობ. სხვა უფრო წვრილმანი დანაშაულიდან დავიწყებ. მაშ, ასე... მუხლი 175, – განაგრძო კუკარაჩამ, – თევზისა და სხვა მოპოვებითი სარეწების უკანონო წარმოება... ეს ჩვენ არ გვეხება, არც ეს... აგერ, ბატონო, ეს გვეხება ჩვენ... – თქვა უცებ ხმამაღლა და გამოთქმით წაიკითხა: – ქმედობა, ჩადენილი ფეთქებადი ან მომწამვლელი, ვიმეორებ, – მომ–წამ–ვლე–ლი ნივთიერების გამოყენებით, ან საყოველთაო საშიში, ვიმეორებ, – სა–ში–ში საშუალებებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ, ვიმეორებ, – სამ–წლამ–დე, მთელი მოპოვებულისა და საჭერი იარაღის კონფისკაციით.

კუკარაჩამ წიგნი დახურა და შემომხედა. მე ცივმა ოფლმა გამომყონა შუბლზე. ახლა კი მივხვდი, რატომ გვაფრთხილებდა კუჭიკო, არსად გვეთქვა თევზის ნიგვზის ნაჭით დაჭერის ამბავი. მე ნიგვზის ქურდობას ერიდებოდა მეგონა, თორემ რას ვიფიქრებდი, თუ ამ ლიფსიტების დაჭერისათვის საციმბიროდ გვამზადებდა ყველას. დედას გავხედე. იგი გაფითრებული იჯდა და თვალს არ მაცილებდა. მის ცქერას ვერ გავუძელი და თავი დავხარე.

– რა ვქნა ახლა მე? – იკითხა კუკარაჩამ, – თევზის კონფისკაციას ველარ მოვასწრებ, რადგან ზეთიან ტუჩებზე გეტყობა, შეჭმული გაქვს, ნიგვზის შხეფები კი სახეზე ჭორფლივით გაყრია, – მომიბრუნდა მე.

დედა ადგა, სამზარეულოში გავიდა და სასწაულით გადარჩენილი თევზნახევარი გამოიტანა თეფშით.

– იმედია, ამ თევზის კონფისკაციის შემდეგ პიანინოსა და ავეჯს არ აგვიწერთ, ბატონო კუკარაჩა, ხოლო რაც შეეხება ნიგოზს, დარჩეულს მოგართმევთ, – უთხრა მან კუკარაჩას და

თევზიანი თეფში წინ დაუდო. – ისე, მართალი გითხრათ, არ მეგონა თუ საბჭოთა კავშირში ლიფსიტების ჭერა აკრძალული იყო.

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონ ანიტა, თევზის ჭერა აკრძალულია მხოლოდ ფეთქებადი და მომწამვლელი ნივთიერებით, ანკესით კი, რამდენიც გნებავთ, – უპასუხა კუკარაჩამ.

– აბა, თქვენ რითი დაიჭირეთ? – მკითხა დედამ. მე თავი არ ამიღია ზევით.

– დანაყული ნიგვზის ნაჭით, ქალბატონო ანიკო! – აუხსნა კუკარაჩამ.

დედა ჩემთან მოვიდა და ნიკაპი ხელით ამიწია.

– მართალია, რასაც ბატონი კუკარაჩა ამბობს?

მე თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად. დედამ ისე ამიწია ყური, ერთი დაკივლება ქვეყანას მერჩია, მაგრამ კუკარაჩასი შემრცხვა და გავიტრუნე.

– იქ არ იყავი? – დაადასტურა კუკარაჩამ.

– იქ თუ იყავი, დალოცვილო, და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახე, რაღა აქ მოდიხარ და მიკითხავ ამ სახარებას?! – უთხრა დედამ კუკარაჩას ნაწყენი ხმით.

– მაპატიეთ, ქალბატონო ანიკო... – გაწითლდა კუკარაჩა და დედას ხელზე აკოცა. დედამ უხერხულად გაუღიმა და ისევ სამზარეულოში გავიდა. დაბნეული კუკარაჩა ცოტა ხანს იდგა შუა ოთახში, მერე ქუდი დაიხურა და სწრაფად წავიდა.

მილიციის უფროსმა თუშურაშვილი იხმო. ხუთი წუთის შემდეგ კუკარაჩა დავითის საწერ მაგიდაზე მიდგმულ გრძელ მაგიდას უჯდა.

– რაო, დავით, რაზე მეძახი?

– ბიჭო, რით ვერ ისწავლე, – რაზე მეძახდი კი არა, – ამხანაგო მაიორო, თქვენი ბრძანების თანახმად ლეიტენანტი თუშურაშვილი გამოცხადდა–თქო! გაიგე? – თქვა წყენით მილიციის უფროსმა და საქაღალდე გვერდზე გადადო. თუშურაშვილი ფეხზე წამოდგა, გაიჭიმა, ხელი საფეთქელთან მიიდო, და დაიწყო:

– ამხანაგო მაიორო...

– დაჯე, დაჯე, ახლა ეგ პატაკი ბებიაშენ აღათის მოახსენე, – გააწყვეტინა მილიციის უფროსმა. თუშურაშვილი ცივად დაჯდა.

– რა გინდა, კაცო, სხვებთან სულ ბატონოს და გენერალოს გეძახი და ერთი–ერთზე, ძმაკაცთან კაცურად აღარ დამალაპარაკებ?! – ეწყინა კუკარაჩას.

– სამსახურმა ძმაკაცობა არ იცის, ძმაკაცობა სახლში, ქუჩაში და... რესტორანში... ისედაც აავსეს კომისარიატი საჩივრებით, საბაშვილმა მილიცია ძმაკაცებით აავსოო, – უკმაყოფილოდ ახედა დავითმა კუკარაჩას და პაპიროსს მოუკიდა. კუკარაჩასაც მიაწოდა.

– აღარ ვეწევი! – თქვა კუკარაჩამ.

– როდის აქეთ?

– გუშინს აქეთ!

– ჯანმრთელი გინდა მოკვდე? – გაიღიმა ცალყბად და ახლად მოკიდებული პაპიროსი საფერფლეს დააჭყლიტა.

– მაინც ვინ გიჩივის? – ჰკითხა კუკარაჩამ.

– ყველა ოხერი და მამაძაღლი, ვისაც წერა შეუძლია და არ ეზარება.

– იმ შენ მომჩივნებს უთხარი, თქვე ვირიშვილებო, მა მილიციაში უცხოსა და მტერს ხომ არ მოვიყვან, თანაც იარაღს ხომ არ მივცემ–თქო! – ასწავლა კუკარაჩამ.

– ნეტაი შენ, ჭკუა არ გაწუხებს და დარდი, – ამოიოხრა მილიციის უფროსმა და თუშურაშვილს ქაღალდი გადასცა. – ქობულეთის აღმართის მცხოვრებლების კოლექტიური განცხადებაა. ნახე ერთი და შეამოწმე, ან იმ გოგოს დაუძახე და მოელაპარაკე. – თუშურაშვილმა განცხადება ჩამოართვა.

ქალაქ ბაკურიანის ორჯონიკიძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მილიციის უფროსს ამხ. დ. საბაშვილს ქობულეთის აღმ. №137 მცხ. კოლექტიური

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ჩვენს ეზოში ცხოვრობს და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა (პაპიროსსაც) ინგა ლალიაშვილი.

ღამის ორ და ხანდახან ოთხ საათზე მისი ოთახიდან ისმის ჭიქების ჭახჭუხი, უწმაწური სიტყვები და სიმღერები. მას ინტიმური კავშირი აქვს მრავალგზის ნასამართლებ ვინმე მურტალოსთან (ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია). გვრცხვენია, მაგრამ საქმის საჭიროების გამო ვასახელებთ იმ უწმაწურ სიტყვებსა და სიმღერებს, რომლებიც გვესმის ამ გარყვნილების ბუდიდან.

სიტყვები: ბოზი, ჩათლახი, ნაბიჭვარი, ვირიშვილი, ყომარი, დურა, ატანდა, პლეტი, ხოში, ბითური და სხვ.

სიმღერები:

პარახოდმა ბათუმისკენ გასწია,
სვოი ბიჭმა ჩემოდანი ასწია...
შე ვირიშვილო სუდია,

რა დაგიშავე ცუდია.

ჰოპ, სტოპ, ზოია...

გთხოვთ ჩვენ თუ არა, ჩვენი მომავალი (ბავშვები) მაინც იხსენით გახრწნისა და გათახსირებისაგან“.

განცხადებას რვა კაცი აწერდა ხელს, იმათგან ერთი წითელი ფანქრით.

„ამის დაწერილია“, გაიფიქრა კუკარაჩამ დ გაელიმა.

– რას იღიმები? – ჰკითხა დავითმა.

– ისე!

– სასაცილო არაფერია, ეგ გოგო ადრეც გვყავს შემჩნეული, იმ მურტალოსთან დადის თუ პირიქით, მოკლედ, როგორც არის... ის მურტალო კი, შენც იცი, ვინ არის, მაგრამ რომ ვერ დავიჭირე საქმეზე? მაგის დედა ვატირე, ვერსაიდან ვერ მივუდექი... – თავისთვის ჩილაპარაკა მილიციის უფროსმა.

– ნება მომეცით, ამხანაგო მაიორო, წავიდე! – ფეხზე წამოდგა კუკარაჩა და მხედრულად გაიჭიმა.

– წადი, წადი, შენც კარგი მიმუნი ხარ, – ხელი აიქნია დავითმა და საქალალდეში ჩარგო თავი.

მორიგე იყო ინგა. ღამის 12 საათი იქნებოდა, აფთიაქში ახალგაზრდა ვაჟი შევიდა. მიუხედავად ულვაშისა, ზედა ტუჩზე ღრმა ნაჭრილობევი ემჩნეოდა, საშუალო ტანისა იყო, ჩასკვნილი, მაგრამ ფერი ჰქონდა რალაც უცნაური, ერთად შეზავებული მიწისა და ბაიისფერი. უშიშარი, თავხედი და დამცინავი გამოხედვა ჰქონდა, რაც ანტიპატიურობის გარდა, რალაც ვაუკაცურ იერსაც კი აძლევდა.

გული შეეკუმშა ინგას ამ კაცის დანახვაზე, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და წამლების დალაგებას შეუდგა მოგონილი სიმშვიდით.

– გამარჯობათ, ქალიშვილო! – თქვა უცნობმა და გასაცემი წამლების სარკმლის რაფას ცალი იდაყვით დაეყრდნო.

– გაგიმარჯოთ! – თავაუღებლად უპასუხა ინგამ და საქმე განაგრძო.

– აქეთ მომხედეთ, ქალიშვილო! – გაუღიმა უცნობმა.

– რა გნებავთ? – ჰკითხა ინგამ და სარკმელს მიადგა.

– მარტო ხართ?

– არა, გამგეც აქ არის და მთავარი პროვიზორიც, – იცრუა ინგამ.

– ორივეს დაუძახე! – თქვა უცნობმა. ეს თქმა ბრძანებას უფრო ჰგავდა.

– თუ რამე მზა წამალი გნებავთ, მე მითხარით და მოგცემთ, თუ არადა, რეცეპტი დამიტოვეთ, – უპასუხა ინგამ.

– რასაც გეუბნები, ის გააკეთე! – უთხრა უცნობმა და ნაჭრილობევის ქვეშ ოქროს ორი კბილი გამოაჩინა. ინგას ისევ შეეკუმშა გული. „ღმერთო, რამ გაწყვიტა ეს ავადმყოფები, ვინმე მაინც შემოიხედავდეს“, – გაიფიქრა და კარისაკენ გაიხედა. უცნობმაც გაიხედა კარისაკენ. მერე კართან მივიდა და ზედ ჩამოკიდებული თეთრი მუყაოს ტაბლო გადმოატრიალა, რომელზეც შავი ასოებით ეწერა – აფთიაქი დაკეტილია, – შაბაშ! – თქვა სიცილით უცნობმა, – ახლა წადი და დაუძახე გამგესაც და პროვიზორსაც...

ინგა გამგის კაბინეტისაკენ წავიდა, უცნობი თან გაჰყვა.

– სად მოდიხართ? – ჰკითხა ინგამ.

– გაგაცილებ! – ისევ გაუღიმა უცნობმა. ინგა გამგის კაბინეტში შევიდა. უცნობი შეჰყვა. კაბინეტი, რა თქმა უნდა, ცარიელი იყო.

– სად არიან? – ჰკითხა უცნობმა და თვალებში შეხედა.

– წასულან! – თქვა დაკარგული ხმით ინგამ და მოწყვეტილი ჩაეშვა გამგის სავარძელში...

– მაგას რა სჯობია, ახლა გამგეც შენა ხარ და მთავარი პროვიზორიც, – თქვა სიცილით უცნობმა.

– რა გნებავთ, მითხარით! – თქვა ინგამ და შუბლზე ცივმა ოფლმა გამოუონა.

– მორფი! – თქვა მოკლედ უცნობმა. ინგა გაფითრდა.

– მე მორფი ვინ მომცა, სეიფშია ჩაკეტილი, – ძლივს მოაბრუნა გამშრალი ენა პირში ინგამ, – ხვალამდე მოითმინეთ, გამგე მოვა და...

– მორფმა ხვალ და ზეგ არ იცის, ქალიშვილო, ან ახლა, არ არასოდეს! – თქვა უცნობმა.

ინგამ უცნობის ამღვრეულ თვალებს შეხედა და მიხვდა, რომ მკვლელთან ჰქონდა საქმე.

– დავრეკავ და ვკითხავ! – თქვა ინგამ და აკანკალებული ხელით ტელეფონის ყურმილი აიღო. უცნობი ადგა, ჯიბიდან დანა ამოიღო, დანამ გაიჩხაკუნა და შავი ტარიდან გველის ენასავით ამოსრიალდა დანის პირი. ინგამ პირი დაალო, მაგრამ დაკივლების მაგივრად ყელიდან ყრუ ხრიალი აღმოხდა. უცნობმა პირზე ხელის დაფარება მოასწრო.

– ჩუმად, ნუ გეშინია, – გააფრთხილა მან. ინგას შიშისაგან კრიჭა შეეკრა. უცნობმა ყურმილის ზონარს დანა დაუსვა და ინგას მარტო ყურმილიღა შერჩა ხელში.

– მორფს ტელეფონი და მოწმე არ უყვარს, – თქვა უცნობმა. ამის შემდეგ ინგა მონუსხულივით მოქმედებდა. იგი ადგა, საგანგებო უჯრასთან მივიდა, გამოაღო, მორფის ორი ამპულა ამოიღო და უცნობს გადასცა. უცნობმა ხელის კანკალით ჩამოართვა მორფი და სავარძელში ჩაჯდა. საოცარი სისწრაფით მოქმედებდა. ჯიბიდან ორგრამიანი შპრიცი ამოიღო, გააწყო, ამპულებს თავი წაამტვრია, შპრიცი აავსო, მარცხენა მკლავი იღლიამდე დაიკოტავა, მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაძრო, აქეთ–იქით ყურებში ორთავე ხელი წაავლო, დაატრიალა, მკლავზე დაიხვია, ცხვირსახოცის ცალი ყური კბილებით დაიჭირა, მეორე ხელით მაგრად გაისკვნა და გამობერილ ვენაში საოცარი ოსტატობით შეიყვანა ნემსი... მერე ყველაფერი შესაშური წესრიგით ჩაალაგა თავის ადგილას, თავი სავარძლის სკამზე გადაჰკიდა, თვალები დახუჭა და რაღაცას დაელოდა თვალმინაბული. ინგა შიშისაგან გაფართოებული თვალებით უმზერდა მთელ ამ პროცესს. უცნობი დაახლოებით ორ–სამ წუთს გარინდული იჯდა სავარძელში.

– მოვიდა! – თქვა უცებ უცნობმა და თვალები გაახილა, ინგამ მის ამღვრეულ თვალებში უზომო სიმშვიდე და ნეტარება დაინახა.

– ხომ არ გასინჯავდით, ქალბატონო, – ჰკითხა ღიმილით უცნობმა. ინგა მუნჯივით იჯდა და განცვიფრებული უმზერდა ადამიანის საოცარ მეტამორფოზას.

– თქვენ არ იცით, ეს რა არის. ხომ არ გნებავთ გუმილიოვი წაგიკითხოთ, გნებავთ, ესენინს წაგიკითხავთ, იქნებ გალაკტიონი გირჩევნიათ?

ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი
არ არის, არ არის, არ არის...

თქვენ კი შეგეშინდათ, ღირდა ამისთვის ნერვიულობა? – იგი ზანტად წამოდგა სავარძლიდან, გულის ჯიბიდან სამთუმნიანების შეკვრა ამოიღო, ინგას წინ მაგიდაზე დადო და კარისაკენ წავიდა.

– ოპერაცია „მორფი“ დამთავრებულია. შეგიძლიათ მშვიდად იძინოთ, ეკოცნი თქვენს ნაფეხურებს, მორფინისტი არ გეგონოთ, ვიყავი ერთ დროს, ახლა ათასში ერთხელ მომივლის, როდის და სად, მე თვითონ არ ვიცი და ასეთ სისულელეებს ჩავდივარ ხოლმე... სხვათა შორის, მე თქვენ გიცნობთ, ინგა გქვიათ, ქობულეთის აღმართზე ცხოვრობთ, 137 ნომერში... დღეიდან თქვენი შემწუხებელი ჩემი შემწუხებელია, ჩემი შემწუხებელი კი ყველა ვერის სა–საფლაოზე წევს... – ამას გზადაგზა ამბობდა. კართან მობრუნდა და ინგას დაამტერდა.

– არ გაინძრე, ეგრე იჯექი... ხელში პატარა ბავშვიც რომ გეჭიროს, ღვთისმშობელი ხარ ნამდვილი... – თქვა და გავიდა.

თითქოს თხოვნა შეუსრულაო, ინგა არ განძრეულა. დილის შვიდ საათზე მოსულმა დამლაგებელმა იგი აფთიაქის გამგის სავარძელში ნახა, ზონარგადაჭრილი ყურმილით ხელში.

ინგასთვის მურტალოს სიყვარული არ აუხსნია. ერთი წელი ზამთარ–ზაფხულ ქურთი მარატიკას ხელით თითო კალათა წითელ ვარდებს უგზავნიდა ქობულეთის აღმართზე. ყველა თვის ბოლოს ვიღაც ქოსა, უცნობი მამაკაცი მოდიოდა და ათას მანეთს უტოვებდა.

– ქალბატონო, მურტალომ ვალი მოგართვათ და დაგვიანებისათვის ბოდიშს გიხდითო. – ვიდრე ინგა რამეს მოიფიქრებდა, ის კაცი მოლანდებასავით ჰქრებოდა ხოლმე.

ორი თვის თავზე ინგამ შეამჩნია, რომ ყველა მისი თაყვანისმცემელი უბნის ბიჭი შეხვედრისას უხერხული ღიმილით არიდებდა თავს და უზომო მოწიწებით ეპყრობოდა.

ყველგან და ყველაფერში გრძნობდა ინგა მურტალოს უჩინარ და ძლიერ ხელს, თვითონ მურტალო კი არსად ჩანდა.

ინგა ხელშეუხებელი დედოფალი გახდა უბანში.

მურტალო კი არ ჩანდა.

ინგას შიშთან ერთად რაღაც იდუმალი ძალის, აუხსნელი სიამაყისა და შემზარავი მოლოდინის გრძნობა გაუჩნდა. ეს გრძნობა დღითი დღე მატულობდა. იზრდებოდა, ღვივდებოდა და ამ მაჯლაჯუნა ფიქრისგან თავი რომ დაეღწია და ამ იდუმალი საქმისათვის ბოლო რომ მოეღო, ინგამ თავად დაუწყო ძებნა მურტალოს.

პირველად უბნის განთქმულ ბარიგასთან, ანუელიკასთან მივიდა.

წვრილად მოუყვა ყველაფერს. ანუელა ყურს უგდებდა, თან „ყაზბეგს“ ერთიმეორეზე მიყოლებით აბოლებდა. ინგამ ამბავი დაასრულა და კითხვით სავსე თვალები მიაპყრო ორმოცდაათი წლის მკერდდამჭკნარ და ყელზე ძარღვებდაბერილ ქალს. ერთი საათი ახველა ანუელიკამ, ბოლოს სული რომ მოითქვა, ცრემლით სავსე წამწამებგაცვენილი თვალებით ახედა ინგას.

– იმ ფულს რა უშვრები? – ჰკითხა.

– კაპიკი არ მომიკლია.

– თორმეტი ათასი მანეთი ძალიან დიდი ფულია, – თქვა თავისთვის ანუელიკამ.

– რა უნდა ვქნა? – შეეკითხა ინგა.

– უნდა დახარჯო! – ხელები გაშალა გაკვირვებულმა ანუელიკამ.

– მაგას არ გეკითხები.

– მა რას მეკითხები?

– საერთოდ რა ექნა?!
– ჰოო, – გააგრძელა ანჟელიკამ, – საერთოდ მძიმე საქმე მოგსვლია, სატანას შეყვარებოდი სჯობდა, ეგ მე მკითხე.
– ჰოდა, გეკითხები.
– მე რას მეკითხები, ვარდივით გოგო ხარ, ვიდრე ცოცხალია, ისე დაგაჭკნობს, სხვა კაცი შენს სურნელებას ვერ გაიგებს...
– მაშ, ქვეყნად სამართალი არ არსებობს, არც მილიცია, არც მთავრობა, არც ხალხი, არც ციხე?!
– ციხე მაგათი სახლია, დანარჩენი კი მაგათთვის არ არსებობს, – გადაუწურა წყალი ანჟელიკამ.
– ეგ არის შენი ბოლო სიტყვა?
– ეგ არის!
– მაშ, საშველი არ არის?
– არა, ვიდრე თავად არ დაგანებებს თავს.
– ეგ როდის მოხდება?
– ჩემსავით რომ დაჩამიჩდები.
– სხვა საშველი არ არის?
– არის!
– რა? – იმედი მიეცა ინგას.
– უნდა მოკვდეს.
– ვინ?
– ერთ-ერთი თქვენგანი, ეს ყველაზე ნაღდი გამოსავალია, – გაიღიმა ანჟელიკამ.
– რომ დავაჭერინო? – ჰკითხა ფრთხილად ინგამ.
– რამეს გიშავებს?!
– ჯერ არაფერს! – შეყოყმანდა ინგა.
– მაშ, თუ არაფერს გიშავებს, დალოცვილო, სიყვარულისთვის რომ ხალხს იჭერდნენ, მთელი დუნია ციხეში იქნებოდა, – ხრინწიანად გაეცინა ანჟელიკას.
– შემახვედრე მაინც, – სთხოვა ინგამ.
– თვითონ მოვა! – დაამშვიდა ანჟელიკამ.
– ვიდრე მოვა, მე თვითონ უნდა ვნახო.
– მაშინ ნახალოვკელ კოლასთან მიდი, ის გასწავლის, როგორ მოიქცე, – ანჟელა ფეხზე წამოდგა, ამით ინგას აგრძნობინა აუდიენცია დამთავრებულიაო.
ნახალოვკელ კოლასთან საუბარი ძალიან ხანმოკლე და ლაკონური იყო:
– მურტალო? რას ბრძანებთ, ქალბატონო, მურტალო ძალიან პროგრესული და კეთილშობილი ახალგაზრდაა.
– მაგას არ გეკითხებით, ბატონო კოლა, სად ვნახო-მეთქი, – უთხრა ინგამ.
– მე რა ვიცი, ქალბატონო, მაგის მისამართი საბჭოთა კავშირია, – ხელები გაშალა კოლამ.
– მშვიდობით! – უთხრა ინგამ და ადგა.
– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, – დალოცა კოლამ.

ახალი წლის ღამე ინგამ თანამშრომლებთან ერთად გაატარა. რამდენიმე ჭიქა შამპანური დალია, ბევრი იმღერა, ბევრი იცეკვა, ბევრი იცინა და სახლში ღამის სამ საათზე დაბრუნდა. თავი სასიამოვნოდ უბრუოდა, ძალიან კარგ გუნებაზე იყო. კიბის ხუთი საფეხური ასკინკილათი აირბინა, კარი გააღო, პალტო ძუნძულ-ძუნძულით ჩამოიცურა მხრებიდან, ოთახში სინათლე აანთო და ინგას ზუსტად ისეთი ხრიალი აღმოხდა ყელიდან, როგორც ერთი წლის წინათ აფთიაქში. შუა ოთახში პირამდე სანოვაგითა და შამპანურის ბოთლებით გაძეძგილ მაგიდას მურტალო უჯდა. იგი ფეხზე არ წამომდგარა, არც სალამი უთქვამს. პაპიროსს აბო-ლებდა, თვალს არ აცილებდა ინგას და იღიმებოდა.
ინგა თანდათან დამშვიდდა. მოულოდნელმა შიშმა გაუარა და, მისდა გასაკვირად, რაღაც სიხარულის მაგვარიც კი იგრძნო. კაცი, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში დღე და ღამე დაეძებდა, ახლა მის წინ იჯდა და მორჩილი თვალებით უცქერდა.
– გამოჩნდი? – ჰკითხა ინგამ და ტახტის კუთხეში დაეშვა. ხელები მუხლებზე დაიწყო და პასუხს დაელოდა. როდესაც ხელები მუხლებზე დაიწყო, შეამჩნია, რომ ხელებიცა და მუხლებიც ორივე ოდნავ მაინც უთრთოდა. ამიტომ კალთაზე ყურთბალიში დაიდო და ათრთოლებული ხელები იმის ქვეშ დამალა.
– მოხვედი? – შეუბრუნა კითხვა ინგამ. მის ხმაში არც ზიზღი იყო ამ კაცის მიმართ, არც შიში, არც პატივისცემა, იყო მხოლოდ ცნობისმოყვარეობა. მურტალომ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, შამპანური გახსნა რაღაცნაირად, უხმაუროდ, ჭიქებში დაასხა, ქაფს დაჯდომა აცალა, მერე ერთი ჭიქა აიღო და დაილოცა.
– გილოცავ ახალ წელს, საქართველოს დიასახლისო, ყოვლადწმინდა ღვთიშობელი მარიამი იყოს შენი მფარველი.

– როგორ შემოდი დაკეტილ სახლში?! – ჰკითხა ინგამ.
მურტალომ არაფერი უპასუხა, ადგა, ჭიქა აიღო, მაგიდას შემოუარა და ინგას გაუწოდა. ინგამ ჭიქა არ ჩამოართვა, რადგან ხელები ისევ უთრთოდა და არ უნდოდა, რომ მურტალოს შეეშინია. მაშინ მურტალომ ჭიქა სკამზე დაუდგა და ადგილზე დაბრუნდა.
– როგორ შემოხვედი დაკეტილ სახლში? – გაუმეორა ინგამ კითხვა.
– კარი ღია დაგრჩენია! – გაუღიმა მურტალომ.
– მაშ, დაკეტილი რატომ დამხვდა?
– არ ვიცი, ღმერთმანი, მე მოვედი, ვთქვი „სიმ–სიმ, გაიღე!“ და კარი გაიღო. – თქვა მურტალომ ისე გულწრფელად, თითქოს მართლაც ასე მომხდარიყოს.
– მაშ, ახლაც იგივე თქვი და წადი! – უთხრა ინგამ.
მურტალოს ხმა არ ამოუღია, ისევ შეავსო ჭიქა.
– რა გინდა ჩემგან? – ჰკითხა ინგამ.
– არაფერი, – უპასუხა მურტალომ ძალიან მშვიდად.
– არაფერი, – გაიმეორა ინგამ. – კაცს, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, არ ვიცი მისი პროფესია, ასავალ–დასავალი, კაცს, რომელიც ყოველ დღე ერთ კალათა წითელ ვარდებს მიგზავნის, ყოველ თვე ვიღაცის ხელით ათას მანეთს მიტოვებს, კაცს, რომელმაც ჩამომაცილა უბნის ყველა ვაჟი და საეჭვო გახადა უბანში ჩემი ქალობა და პატიოსნება, არაფერი არ უნდა ჩემგან... თქვი, ვინა ხარ შენ და რა გინდა ჩემგან...
მურტალოს სახეზე სევდა გამოეხატა.
– მე შენთვის არაფერი არ მითხოვია.
– მე – მით უმეტეს! – თქვა ინგამ. ადგა, კარადასთან მივიდა, უჯრა გამოაღო, თორმეტი ათასი მანეთი გამოიღო და წინ დაუყარა. მურტალოს ფულისთვის არ შეუხედავს.
– ვარდები დამიბრუნე, თუ შეგიძლია! – უთხრა დიდი ხნის დუმილის შემდეგ.
– როგორ? – გაუკვირდა ინგას.
– როგორც გინდა! – უპასუხა მურტალომ.
– ხვალვე დაგიბრუნებ, – უთხრა დაუფიქრებლად.
– იცოდე, სამას სამოცდახუთი კალათი უნდა იყოს, ყველა წითელი, დარჩეული, არც ერთი თეთრი. – თქვა მურტალომ და ჭიქა გამოსცალა.
– მე შენთვის ვარდები არ მითხოვია. ვარდები მოკვდა, დაჭკნა, ფული კი აქ არის, ხელი არ მიხლია და წაიღე.
– ეს ფული მკვდარია, ქალალდისაა, ვარდები კი ცოცხალი იყო! – თქვა მურტალომ.
– მე შენი ქარაგმები არ მესმის. აიღე ფული და წადი! – თქვა ინგამ და ფული მიუჩოჩა.
– ერთი ჭიქა ღვინო დალიე, დამლოცე და წავალ! – დაპირდა მურტალო.
– შენზე ამბობენ, რომ მკვლელი, ქურდი, მორფინისტი და არამზადა ხარ!..
– ამბობენ. – სინანულით დაეთანხმა მურტალო.
– ხარ თუ არა?
– მე თავისუფალი კაცი ვარ! ვაკეთებ, რაც მინდა, როდესაც მინდა და როგორც მინდა.
– რამდენი წლისა ხარ?
– ოცდაათის.
– რატომ ეშინია შენი ყველას?
– ალბათ იმიტომ, რომ მე არ მეშინია არავისი.
– იმ ღამით მორფი რომ არ მომეცა შენთვის, რას მიზამდი?
მურტალო ჩაფიქრდა.
– მოგკლავდი? – თქვა თავაუღებლად.
– ახლა?
– ახლა რომ გამაგდო, თავს მოვიკლავ.
– მე?
– შენ ვეღარა.
– სტყუი.
მურტალომ ნაგანი ამოიღო და მაგიდაზე დადო. ინგას ურუანტელმა დაუარა.
– მაშინებ?
– არა, შენს მზეს ვფიცავარ.
– სტყუი! – გაიმეორა ინგამ და მურტალოსთან სულ ახლოს მივიდა.
– თუ გინდა, შენ მომკალი, – უთხრა და ნაგანი მიუჩოჩა.
– იცი, რომ მკვლელი არა ვარ და იმიტომ ხარ დიდ გულზე.
– ნუ გეშინია, არაფერს გეტყვიან, ჩემი მოკვლისთვის შეიძლება ორდენიც მოგცენ, – გაეღიმა მურტალომ.
– დიდი წარმოდგენა გაქვს შენს თავზე.
– პირიქით. რასაც გეუბნები, სულ პირიქითაა.
– ადექი და წადი ჩემი სახლიდან, გეყოფა მასხარაობა, – უთხრა ინგამ.

– სიცოცხლეს უფრო ადვილად დავტოვებ, ვიდრე შენ, – თქვა მშვიდად გაფითრებულმა მურტალომ და ისევ დაისხა ღვინო. ინგა მიხვდა, რომ ეს კაცი სიტყვებს როყიოდ არ ისროდა.

– ვიკივლებ! – თქვა მან და წუთში მიხვდა, რომ არ იკივლებდა, – ვიკივლებ და მეზობლები შემოცვივდებიან.

– რამდენი მეზობელი გყავს? – ჰკითხა მურტალომ.

– ოცი! – ათი მიუმატა ინგამ.

– ოც მკვდარს გაიტანენ ამ ოთახიდან, – თქვა მურტალომ და ღვინო მოსვა.

ინგას ისევ გააჟრუოლა ტანში.

– რამდენი კაცი გყავს მოკლული?

– ყველა კაცი თვითონ იკლავს თავს და, ვინც მოკვდა, ყველა სიკვდილის ღირსი იყო.

– მე ეგ შენი ქურდული ფილოსოფია არ მესმის, ახლავე ადექი და გაეთრიე ჩემი სახლიდან!

– ტყუილად ცდილობ, ინგა, ჩემ გაგდებას, მე შენი თავი ყომარში კი არ მომიგია, ღმერთმა მაჩუქა...

– ხვალვე განვაცხადებ მილიციაში! – დაემუქრა ინგა.

– როგორ შემეშინდააა, – გააგრძელა მურტალომ და გაიცინა.

– ნუთუ მართლა არაფრის გეშინია ქვეყანაზე? – ჰკითხა გაკვირვებულმა ინგამ.

– ერთი რამის მეშინოდა, მეშინოდა იმის, რომ უსიყვარულოდ წავიდოდი ამ ქვეყნიდან, ახლა ამისიც აღარ მეშინია, ჩემზე ბედნიერი კაცი არ დადის ქვეყანაზე და რაღა მნიშვნელობა აქვს, როდის მოკვდები...

ინგამ ვერ იგრძნო, როგორ გაექცა ხელი და როგორ გააწნა სილა მურტალოს. მურტალო არ განძრეულა, გაფითრდა მხოლოდ.

– თავხედი ხარ შენ და სალახანა, წაეთრიე აქედან, სახელს ნუ მიტეხ. ამ ეზოში ჩემს გარდა, ხალხი ცხოვრობს...

– ხალხი ბრბოა, ხვალ მოვა, შენს ფეხის ნაბან წყალს დალევს და მაგდალინელივით წმინდანად გამოგაცხადებს, – თქვა მურტალომ. ინგას სახეზე ცეცხლი წაეკიდა და ახლა მეორე ლოყაზე გააწნა სილა ისე მაგრად, რომ მურტალოს სისხლი წასკდა ცხვირიდან. მან თავი დახარა და მაგიდის თეთრი საფარი სისხლით შეიღება. ინგა შეკრთა სისხლის დანახვაზე, უკან დაიხია, მერე ანგარიშმიუცემლად სამზარეულოში შევარდა, ტილო ცივ წყალში დაასველა, გაწურა და ოთახში დაბრუნდა. მურტალო თავის ადგილას იჯდა და სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა ცხვირიდან. ინგამ იგი წამოაყენა, ტახტზე წამოაწვინა და ცივი ტილო დასიებულ სახეზე დაადო. ტილოს რომ ადებდა, ხელზე მურტალოს ტუჩების შეხება იგრძნო და, მისდა გასაოცრად, ინგას მისთვის ხელი არ წაურთმევია.

დილამდე ენთო ინგას ოთახში სინათლე. დილით, როდესაც ტახტის კუთხეში გაუხდელად ჩაძინებულ ინგას გამოეღვიძა, ოთახში არავინ იყო. და თუ არა სისხლით შეღებილი მაგიდის საფარი, ყველაფერი სიზმარი ეგონებოდა.

მოსე შაფთოშვილს დეიდა მართას სახლის სარდაფში ორი ბნელი ოთახი ჰქონდა დაქირავებული, შიგ სამღებრო საამქრო იყო გამართული. თვითონაც იქვე ცხოვრობდა თავისი ჯალაბით: ცოლით – რებეკათი და ასე თოთხმეტ–თხუთმეტი წლის ჭორფლიანი და ბობრი ვაჟით – ისხააკით.

მომხმარებელთაგან დაკვეთებს, რაღა თქმა უნდა, მოსე იღებდა, სამღებრო საქმეებს კი ძირითადად რებეკა და ისხააკი ასრულებდნენ. ასე რომ დეიდა მართას ეზო მარტო ვირების გარაჟი კი არა, რაც არ უნდა მსუბუქი გეძახათ, მაინც ჩვენი უბნის ერთ–ერთი სამრეწველო ცენტრი გახლდათ.

საამქრო მუშაობდა. საქმე მშვენივრად მიდიოდა და ყველანი უზომოდ ბედნიერნი იყვნენ. რებეკა რომ მთელი ღამის ნამუშევარს დილით მზეზე გამოფენდა ხოლმე, დეიდა მართას ეზოს ყურებას არაფერი არ სჯობდა. ბაწარზე გასაშრობად ჩამოკიდებული ფერად–ფერადი პერანგები, საცვლები, შარვლები, თავსაფრები, წინსაფრები, ცხვირსახოცები, პირსახოცები, ხელსახოცები, ბავშვების ტანსაცმელი ქარში იალქნებივით რომ დაიბერებოდა და ატკარცალდებოდა, მაშინ დეიდა მართას ეზო საღლუმოდ გაწყობილ პატარა ხომალდს ჰგავდა ხოლმე და მიჰქროდა სადღაც შორს, ბობოქარი ცხოვრებისზღვაში და ამ ხომალდის მესაჭეცა და კაპიტანიც მოსე შაფთოშვილი გახლდათ, ჩვენ კი – მას მინდობილი, თითქო მუჭა კანფეტად დაქირავებული მეზღვაურები, რათა ამ მოფრიალე ფერად–ფერად აფრებზე ტალახში ამოსვრილი ჯოხით რამე უწმაწური და უნაირო არ დაგვეწერა და დაგვეხატა.

საათივით ჰქონდა მოსე შაფთოშვილს ცხოვრება აწყობილი, მაგრამ სწორედ იმ ზაფხულს, მეოთხე კლასში სამჯერ ჩარჩენილი ისხააკი რომ მეხუთე კლასში გადავიდა, მოსეს ოჯახის ცხოვრების უამთააღმრიცხველმა საათმა პირველი გლოვის ზარი შემო–ჰკრა... ვიღაც ოხერმა და ცოდვილმა ამბავი მოუტანა რებეკას: შენი ქმარი სვანეთისუბნელ ანგელინას ყვარობსო, მთელი შემოსავლის ნახევარი იმასთან მიაქვსო, შენ რომ გადაბრუნებული დრაფის პალტო

გაცვია, ანგელინა კრაველის ქურქით დადისო... და ერთ მშვენიერ დღეს რებეკამ დეიდა მართას ეზოში სულ შავი აფრები გამოფინა. ყველაფერი: ხელსახოცი, პირსახოცი, წინდა, პერანგი, შარვალი შავად იყო შეღებილი, ისე, თითქოს ჩვენი პატარა ხომალდის კაპიტნის დაღუპვას გლოვობდა.

ქალაქიდან შინ დაბრუნებულმა მოსემ ეს რომ დაინახა, თვალები მოისრისა, მერე შავად შეღებილ აფრებს მიუახლოვდა, ხელი შეახო და გაშავებულ ხელისგულზე დაიხედა. მაინც არ დაუჯერა თვალებს და იქ მყოფ ბიჭებს დაგვიძახა.

– თამაზის დავენაცვლე, რა ფერისაა ეს? – მიმითითა ვიღაცის პერანგზე.

– შავია, ძია მოსე.

– გიზიკ, ბიჭო, თქვი, რომ მატყუილებს და მაროჟნს გიყიდი, – შეეხვეწა გიზიკას.

– შავია, ძია მოსე, და რა გიყო?

– დუდუ, მაბითურებენ ხომ? – ხავსს მოეჭიდა მოსე.

– მთვრალი ხომ არა ხარ, ძია მოსე? – ჰკითხა დუდუმ.

– ბროძელო შენ მაინც მითხარი, რა ფერისაა ეს ჩემი მანუფაქტურა?!

– შაეს და თეთრს ვეღარ არჩევ, ძია მოსე? – გაუკვირდა ირაჩას.

– რებეკა!!! – იკივლა უცებ მოსემ და თავში წაიშინა ხელები, – რებეკა, ოჯახის დამაქცეველო, ღორის გაგდებულო და ჯიგარში დანაგასაყრელო... ისხააკ, მამის გამყიდველო, იუდა ისკარიოტელო! – ახლა შვილს უხმო მოსემ. სარდაფში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მაშინ იგი გიუივით ეცა შიგნიდან გამოკეტილ კარს და მტვრევა დაუწყო.

– გამოდით, ქმრის და მამის მკვლელებო, გამოდით, თორემ ნავთს გადავასხამ სახლს და ვირთხებივით გამოგწვავთ შიგ, თქვენი დედის ჯიგარი... გამოდით!! – მოსეს მუშტები და ფეხები რომ დაუბუქდა კარზე რტყმევისგან, გაქანდა და მუხის კარი თავით ჩამოიღო.

სარდაფში ჯოჯოხეთი დატრიალდა, ეზო ხალხით გაივსო, მაგრამ ჯოჯოხეთში შესვლას, რომლის წიაღიდან გმინვა, კვნესა და ოხვრა ისმოდა, ვერავინ ბედავდა.

– კუკარაჩას, კუკარაჩას დაუძახეთ! – მოიფიქრა ვიღაცამ. ხუთ წუთში კუკარაჩა მოვარდა და სარდაფში შეიჭრა. რამდენიმე წუთს მაინც არ შეწყვეტილა გმინვა სარდაფში, უცებ ჯოჯოხეთიდან მოსეს განწირული ღაღადისი გაისმა.

– არ მომკლა, დაგენაცვლე, და გნებდები! – მერე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კიბეზე იღლიაში მოსეამოჩრილი კუკარაჩა გამოჩნდა. მოსეს ერთ მუჭში ისხააკის ცეცხლივით წითელი თმა ჰქონდა ჩაბღუჯული, მეორეში რებეკას ყორნისფერი თმა.

კუკარაჩამ ასე იღლიაში ამოჩრილი წაიყვანა მოსე. ცოტა ხნის შემდეგ სარდაფიდან დაბეჟილი რებეკა და ისხაკი ამოფორთხდნენ, უხმოდ ჩამოხსნეს შავი აფრები და ისევ სარდაფში შეიყუჟნენ. საღამოს მოსე აბრეშუმის ჭიასავით თვინიერი და ჩუმი დაბრუნდა კუკარაჩას თანხლებით და სარდაფიდან დილამდე ისმოდა ოთხ ხმაში ხან კახური მრავალჟამიერი, ხან თბილისური ბაიათი, ხან მეგრული არირა, ხან გურული კრიმანჭული, ხანაც „სამტრედიაში, ვადაი, ბურდღა გავყიდე...“

– რა თილისმა წაუსვა ამ კაცმა ამ ცოფიან ხვადაგს, ასე ანგელოსივით რომ გალობს? – თქვა გაკვირვებულმა დედამ და აივნის ფანჯარა მიხურა.

მოსეს საქმე ასე მშვიდობიანად არ დამთავრებულა. იმ დღიდან ვირების დოღი ვიღას ახსოვდა, მოსემ დეიდა მართას ეზო ცირკის არენად აქცია და ყოველ კვირა ახალ-ახალ სანახაობებს წარმოგვიდგენდა ხოლმე. იგი გაგლეჯილი მთვრალი მოდიოდა და სანახაობაც ხუთ წუთში იწყებოდა.

– მაშ, ანგელინა თმებით ათრიე, არა?.. მაშ, კარაკულის შუბაზე გოგირდის მუავა შეასხი, არა?.. მაშ, ავადმყოფებს ლოგინში უწვება, არა? მაშ, ექთანი კი არა, ბოზი და კახპაა, არა?.. მაშ, შენ ვინა ხარ?

– არ გინდა, მოსე, არ გინდა, აჰა, დანა და ბარემ ყელი გამომღადრე! – მუხლებზე დაჩოქილი ემუდარებოდა რებეკა მოსეს.

– პაპიკ, დედას ხელი არ ახლო, თორემ!.. – ემუქრებოდა ისხააკი და დედამისის ზურგს უკან იმალებოდა. ამასობაში კუკარაჩაც გამოჩნდებოდა დაბარებულივით და მოსე იმ წუთში ხავერდად იქცეოდა.

ერთ კვირა დღეს მოსემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რებეკა სარდაფიდან ეზოში გამოიყვანა, წელზევით კაბა შემოახია და ქამრით დაუწყო ცემა.

– მაშ, ანგელინას ქუჩაში კაბა შემოახიე, არა?.. ლიფი მოგლეჯე, არა?.. მთელი სვანეთის უბნის ბიჭები ახარხარე, არა?.. ეგეც შენ, ეგეც შენ, ეგეც შენ... – რებეკა იდგა და უხმოდ იტანდა გვემას. ისხააკი მამამისის გარშემო დარბოდა ქვით ხელში და წვრილი ხმით ემუქრებოდა:

– პაპიკ, დედას ხელი არ ახლო, თორემ ხომ იცი!..

მოსემ ისეთი ჭიტლაყი ამოჰკრა ისხააკს, რომ საბრალომ ორი მეტრი იფრინა და ვირების სადგომთან თავით დაერჭო, მაშინ კი იკივლა რებეკამ.

– გოლგოთაზე სასეირნოდ მოსულო პირუტყვებო, ღმერთის ხმა არ გესმით? გვიშველეთ რამე, კუკარაჩას დაუძახეთ!

თითქოს ღმერთმა უსმინაო, ეზოში კუკარაჩა შემოვარდა.

...და მოხდა სასწაული. მოსე არ დანებდა კუკარაჩას.

– გაიწი, თორემ მოგკლავ! – უთხრა მოსემ კუკარაჩას და ქამარი ისე შეაბრუნა ხელში, რომ რკინის ბალთა ბოლოში მოექცა.

– დააგდე ქამარი, უბედურო! – უთხრა კუკარაჩამ და ერთი ნაბიჯი წინ გადადგა.

– უკან, თორემ მოგკლავ, კუკარაჩა! – თქვა მოსემ.

ქამრის აბზინდმა კუკარაჩას საფეთქელთან გაიშხუილა. კუკარაჩამ უკან დაიხია და მკლავები დაიკოტავა.

– ცოდვა არ ჩამადენინო, კუკარაჩ! – გააფრთხილა მოსემ კუკარაჩა.

კუკარაჩა არ შეეპუა და ისევ წინ წაიწია, ოღონდ ახლა უფრო ფრთხილად, მაგრამ არ უშველია სიფრთხილემ კუკარაჩას, მოქნეული აბზინდი ყვრიმალზე მოხვდა და ლოყა შუაზე გადაეხსნა, სისხლმა იფეთქა კუკარაჩას სახიდან. ქალებმა კივილი ატეხეს. ყველამ გავიგონეთ, როგორ ააღრჭიალა კუკარაჩამ ტკივილისა და სიბრაზისაგან კბილები.

სისხლი რომ დაინახა, მოსე სულ გადაირია, ქამრის ბალთა მეორედ მოხვდა კუკარაჩას სახეში. შემდეგ რაც მოხდა, ბევრს გარკვევით არც კი გვახსოვს, რადგან ყველაფერი რამდენიმე წამში შესრულდა.

სახედასისხლიანებული კუკარაჩა წელში შეუვარდა მოსეს, ერთ წამს მოსე უმოწყალოდ აფართხალებდა ხელ-ფეხს ჰაერში, მერე კუკარაჩამ თითქოს რაღაცას ფერთხავსო, ისე ჩამოიხია თავზე მოსე და გულშელონებული და ყბამონგრეული რებეკას ფეხებთან დაუგდო...

მოსე რომ არ გაინძრა, კუკარაჩამ მის წინ დაიჩოქა, ყბა გაუსწორა და გულზე ხელი დაადო, მერე საყელო გაუხსნა და წყალი მოითხოვა. წყლის მომლოდინე დაჩოქილმა კუკარაჩამ უცებ იგრძნო, როგორ დაეშვა თავზე რაღაც უსაშველოდ მძიმე და თვალთ დაუბნელდა. ოდნავ გონს რომ მოეგო და მაღლა აიხედა, მის წინ სახეშეშლილი რებეკა იდგა შუაში გადამტვრეული სარეცხის საბიჯგი როკის სარით ხელში.

– მოჰკალი, შე ურჯულო?.. მოჰკალი მარჩენალი და მსაზრდოებელი?.. შენ არჩენ აწი ჩემს ობოლ ისხააკს? შენ უშველი აწი ჩემს დაბნელებულ ქვრივ ცხოვრებას?.. მოკვდი, შე კაცის მკვლელო!.. – რებეკამ ისევ მოუქნია კუკარაჩას ხელში შერჩენილი სარის ნახევარი, მაგრამ კუკარაჩამ დროზე გამოსტაცა სარი ხელიდან და გვერდზე მოისროლა.

– ახია ჩემზე! – თქვა და დასისხლიანებულ სახეზე ხელი მოისვა.

– როგორც მომიკალი, ისე გამიცოცხლე! – ახლა ქვით მივარდა შეშლილი რებეკა კუკარაჩას. კუკარაჩამ ქვა წაართვა რებეკას, მერე ვიღაცას ერთი ვედრო წყალი ჩამოართვა და თავზე დაამხო გულშელონებულ მოსეს. მოსემ ჯერ ამოიკვნესა, მერე ქუთუთოებიც შეარხია პრანჭია პატარძალივით. ბოლოს თვალიც გაახილა და თავი აქეთ-იქით გადაიქნია.

– აჰა, შენია, მიჩუქნია, არავინ წაგართვას და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, – უთხრა კუკარაჩამ რებეკას. ცარიელი ვედრო ხმაურით დააგდო მოსეს გვერდით, ცალყბად გაიღიმა და ეზოდან გავიდა.

რებეკა და ისხააკი მუხლებზე დაეცნენ მოსეს წინ და საიქიოდან დაბრუნებულივით გამოიცხადეს.

– მობრუნდი, შენი სიცოცხლის ჭირიმე, ჩვენო მარჩენალო, იმედო, მზეო და სიხარულო!.. ხელი და ენა გაუხმეს შენს მტერს და დამაწყევარს... ათასი საყვარელი გაიჩინე, ოღონდ შენს ანგელოსის ხმას ნუ მოგვაკლებ, ჩვენო ღმერთო და უზენაესო!.. ხმა გაგვეცი. ჩვენო მოსევ, ჩვენო მოციქულო და ჩვენო წინასწარმეტყველო, ხმა გაგვეცი!

მოსეს ძალიანაც უნდოდა გაეცა თავისი ჯამაათისათვის, მაგრამ ყბა ჰქონდა გაბზარული და ენას პირში ვერ აბრუნებდა.

სახედასახიჩრებული კუკარაჩა მილიციის უფროსის კაბინეტში იჯდა და სველი ცხვირსახოცით იშუშებდა იარებს.

– გოგია თუშურაშვილო, რამდენჯერ გითხარი, საკუთარ ინიციატივას მორჩი-მეთქი?! – ეკითხებოდა მილიციის უფროსი.

– კაცო, რომელ საკუთარ ინიციატივაზე მელაპარაკები, როდესაც თვითონ მეძახდნენ, გვიშველეო, დღეს სულ გადაირია, ცოლ-შვილს კლავდა...

– მერე, ეგ არის ცოლ-შვილს კლავდაო?! – ნიშნის მოგებით უთხრა მილიციის უფროსმა და კუკარაჩას შეშუპებულ ცხვირპირზე მიუთითა.

– მე რა ვიცოდი, აქეთ მომდგებოდნენ! – დააპირა სკამიდან წამოდგომა და თავის მართლება კუკარაჩამ, მაგრამ, ნურას უკაცრავად, წელი ვერ აითრია და ადგილზე დარჩა.

მილიციის უფროსმა ღილაკს ხელი დააჭირა. ოთახში მდივანი გოგონა შემოვიდა.

– რა გნებავთ, ბატონო დავით?

– ერთი, შენ რომ პატარა სარკე გაქვს, ის შემოიტანე და ამ ვაუბატონს ათხოვე.

მდივანმა გოგონამ პირზე ხელი აიფარა, რომ არ გასცინებოდა და ისე გავიდა კაბინეტიდან.

– მასხრად მიგდებ? – ჰკითხა კუკარაჩამ.

– მასხრად კი არა, ერთ საკითხზე მინდა მოგეთათბირო და შენი დასტური მჭირდება, – უპასუხა უფროსმა და ვიდრე სარკეს შემოიტანდნენ, რაღაცის წერა დაიწყო. ერთ წუთში მდივანმა გოგონამ პატარა ოთხკუთხედი სარკე შემოიტანა, კუკარაჩას გადასცა და ისევ პირზე ხელაფარებული გავიდა. კუკარაჩამ უხალისოდ ჩამოართვა სარკე, შიგ ირიბად ჩაიხედა და მილიციის უფროსის მაგიდაზე უკულმა დადო.

– როგორი ნამუშევარია? – ჰკითხა უფროსმა.

– მაგარი, მაგრამ ხურდაც კარგი მიიღო, – მიაყოლა გულის მოსაფხანად.

– როგორ ფიქრობ, რამდენ დღეში მოგიშუშდება? – არ მიაქცია უფროსმა ყურადღება კუკარაჩას ტრაბახს. კუკარაჩამ მხრები აიჩეჩა.

– აბა, რა ვიცი?!

– მაინც?

– მე მგონი, ორი კვირა მაინც დასჭირდება, რაც უნდა იყოს, ბალთით არის დაჩეჩქვილი, – თქვა კუკარაჩამ გამოცდილი ქირურგივით.

– დავიჯერო, ათი დღე არ ეყოფა? – ჩაჰკითხა უფროსმა.

– არა მგონია, თხუთმეტი დღე, მინიმუმი! – კატეგორიულად თქვა კუკარაჩამ.

– კარგად დაფიქრდი, ნუ აჩქარდები, – გააფრთხილა უფროსმა.

– კაცო, მაგ კანის ამბავს შენ მასწავლი? – ეწყინა კუკარაჩას.

– კარგი, ჩემო კუკარაჩა, რადგან არ იშლი, თხუთმეტი სუტკა გაუპტვახტიც შენ, ეგ რუსულად, ქართულად კი თხუთმეტი დღე–ღამე ნაობახი, საუბედუროდ, ებრაულად როგორაა, არ ვიცი, – თქვა დავითმა და წერა შეწყვიტა.

– რათა, კაცო?! – ახლა კი იკადრა წამოხტომა კუკარაჩამ.

– ათი დღე ჭრილობების მოშუშებისათვის, ხუთი დღე ხულიგნობისა და საკუთარი ინიციატივისათვის.

– მაშ, სამართალი არ არის?

– სამართალი რომ არ იყოს, ამხანაგო თუშურაშვილო, ახლა სახლში იქნებოდი, თბილ ლოგინში ჩაღუღუნებული, – განუმარტა მილიციის უფროსმა და ქაღალდი გადასცა კუკარაჩას, – ბარემ შენ თვითონ გაუტანე თინიკოს, თან უთხარი, ეს შენი დაპატიმრების ბრძანება ახლავე დაბეჭდოს.

კუკარაჩა კარისკენ წავიდა.

– მოიცა! ეგ იარაღი აქ დამიტოვე, სეიფში ჩავკეტავ.

– ოჰ, მოსე, შენი ოხერი დედა ვატირე! – ამოიკვნესა კუკარაჩამ კბილების კრაჭუნით და იარაღი მაგიდაზე დაუგდო დავითს.

– ნუ იღრინები, თხუთმეტი დღე ხელად გაირბენს, წამალს და საჭმელს არ მოგაკლებ… – დააიმედა დავითმა.

კუკარაჩა გალახული ძაღლივით გაძვრა მილიციის უფროსის კაბინეტის კარში და თხუთმეტი დღე უბანში არ გამოჩენილა.

ერთი თვე იწვა ქრომონიკელის მავთულით ყბააკრული მოსე მიხეილის საავადმყოფოში და ერთი თვის განმავლობაში დღეში სამჯერ მიირთმევდა ვერცხლის კოვზით რებეკას მზრუნველი ხელიდან ბრინჯის ფაფას.

საავადმყოფოდან იგი ჩვენს უბანში აღარ დაბრუნებულა. სამღებრო საამქრო, რა თქმა უნდა, გაუქმდა და რადგან ცირკი მოგვესპო, ჩვენ ისევ ვირების დოღზე გადავედით.

ჩელუსკინელების ხიდის მარჯვენა ბურჯის მხრიდან ჩავყევით ბილიკს და ხუთ წუთში მტკვრის ნაპირზე ვიყავით. ისეთი პაპანაქება იყო, ჰაერი თახთახებდა და რიყეს ბუღი ასდიოდა.

სწრაფად გავიხადეთ და მტკვარში შევცვივდით.

კუჭიკო ჩვენს შორის ყველაზე უფროსი იყო და ყველაზე კარგადაც ცურავდა. არც მე, დუდუ და ირაჩა ჩამოვუვარდებოდით ცურვაში. მარტო კოსტია ბერძენს ჰქონდა ცურვა ახალ–ნასწავლი და ისე აპარტყუნებდა ხელ–ფეხს, ისე ჭყუმპალაობდა, რომ მის გვერდით არ დაიდგომებოდა. მაინც გვეკითხებოდა ხშირ–ხშირად და თავმომწონედ: – როგორ ვცურავო.

– როგორ ცურავ და, დილდილაობით პირს რომ იბან, „სპასატელნი კრუგის“ ჩამოცმა არ დაგავიწყდეს, თორემ დაიხრჩვები, – ასწავლა დუდუმ.

– აბა, წავედით გაღმა, ვისაც შეგიძლიათ, მომყევით! – დაიძახა კუჭიკომ და მტკვრის მეორე ნაპირს მიაშურა მხარულით.

გვალვის გამო მტკვარი საგრძნობლად დაკლებული იყო და ყველანი თამამად მივყევით. მდინარის შუაწელს რომ მივაღწიე, უკან მოვიხედე და გული კინაღამ გამიჩერდა, ეს სულელი ბერძენი კოსტია კუდში არ მომდევს? თავი წყალში ჩაუყვია და ხელ–ფეხს ისე

იქნევს, გეგონებათ, ათ კაცს ერთად ეჩხუბებაო. ჰაერის მარაგის დასაგროვებლად ხანდახან თავს ჰყოფს წყლიდან და გადმოცვენილი თვალები ისე აქვს ჩასისხლული, როგორც დეიდა მართას ალუბლები. ახლა ამას რომ ყვირილი დავუწყო, სულ გაფუჭდება–მეთქი, – გავიფიქრე და ამიტომ იმედიანად შევუძახე:

– მიდი, კოსტია, შე ძველო, ნუ გეშინია, აქა ვარ!

ისე იყო დაღლილი, მგონი, არც კი გაუგონია ჩემი შეძახილი. ერთი კი მოიქნია ხელ–ფეხი ულონოდ და მივხვდი, რომ ვიღუპებოდით.

– მიშველეთ, ბიჭებო, კოსტია ბერძენი იხრჩობა! – ვიკივლე მე.

– სად არის?! – იყვირა კუჭიკომ და უკან მოტრიალდა, მაგრამ კოსტია აღარ ჩანდა.

– დაყვინთეთ! – იყვირა უცებ კუჭიკომ და თვითონაც დაყვინთა.

გაქრა კოსტია ბერძენი, წყლის დინებამ კარგა მანძილზე გვათრია, შუაწელს გავცდით, ახლა უკვე ფეხზე დგომა შეიძლებოდა, თუმცა წყალი ნიკაპთან მწვდებოდა...

– გვიშველეთ! – ისევ ვიყვირე განწირული ხმით. ვხედავ, ჩემს ქვემოთ დაახლოებით ხუთ მეტრზე კოსტიამ თავი ამოჰყო, ერთი კი ჩაისუნთქა და ისევ გაქრა.

– გვიშველეთ, გვიშველეთ!!! – ავყვირდით ახლა ყველანი ერთად და იმ ადგილისაკენ გავქანდით ცურვით, სადაც კოსტია ბერძენმა თავი ამოჰყო.

უცებ დავინახეთ, როგორ მოარღვევდა მტკვრის ჩქერს გადარეული და სახეშეშლილი კაცი.

– ნუ გეშინიათ, ბიჭებო, აქა ვარ, ოღონდ ცოტა მომეხმარეთ, ცურვა არ ვიცი!.. – გვემუდარებოდა იგი. ფეხდაფეხ დაეწია გულშეღონებულ კოსტიას, ხელი სტაცა და გულში ჩაიკრა. ჩაიკრა და წაიქცა. ახლა ორთავე გაქრა წყალქვეშ, თუმცა იმწამსვე ჯერ ხელში ატაცებული კოსტია გამოჩნდა, მერე იმ ძლიერი ხელების პატრონის თავი...

– კუკარაჩა, გვიშველე! – შეღაღადა ტირილით კუჭიკომ და კუკარაჩასთან მიცურა.

– შენ თვითონ მიშველე, შე მამაძაღლო, ხომ ხედავ, ცურვა არ ვიცი, ქვევით წამოდით, ფონია აქეთ... – ყველანი კუკარაჩას შემოვეხვიეთ და ქვევით დავყევით მტკვარს. როდესაც წყალი კუკარაჩას მკერდზე მისწვდა, შვებით ამოვისუნთქეთ.

ვიდრე დედის ხსენი არ წამოუვიდა პირიდან, მანამდე ჰყავდა კუკარაჩას კოსტია ბერძენი ფეხით დაკიდული. ბოლოს თვალებგადმოკარკლული და ენაგადმოგდებული რიყეზე დაასვენა და გვერდით მიუჯდა. ჩვენც გარშემო შემოვუცუცქდით.

– როგორ ხარ? – ჰკითხა კუკარაჩამ კოსტია ბერძენს, თვალები რომ გაახილა და ენა რომ დამალა.

გაკვირვებულმა კოსტიამ ჯერ ჩვენ შეგვხედა, მერე კუკარაჩას, რომ იცნო, შიშისაგან ისევ დახუჭა თვალები და დაიკვნესა.

– მე ვარ, მე! – ცალყბად გაეღიმა კუკარაჩამ და თითით თვალის ქვედა ქუთუთო ჩამოქაჩა, – კარგად დამაკვირდი... – ნიშნის მოგებით უთხრა და ტანსაცმლის გახდა დაიწყო. კუკარაჩა რომ გახდას შეუდგა, ჩვენ სასწრაფოდ ჩაცმა დავიწყეთ.

– ტანსაცმელს ხელი გაუშვით! – ბრძანა კუკარაჩამ. ჩვენ ცივად გავუშვით ხელი ტანსაცმელს. კუკარაჩამ ხელის ერთი მოსმით მოხიკა ჩვენი ტანსაცმელი და ფეხებთან დაიყარა.

– ახლა სიმაღლის მიხედვით დადექით! – ისევ ბრძანა კუკარაჩამ.

– კუკარაჩა, ტრუსები მაინც მოგვეცი! – შეეხვეწა კუჭიკო და სასირცხვო ადგილზე ხელი აიფარა.

– მე რა გითხარი? – მკაცრად იკითხა კუკარაჩამ. სხვა რა გზა გვქონდა, დავდექით სიმაღლის მიხედვით – ჯერ კუჭიკო, მერე ირაჩა, მესამედ დუდუ და მეოთხედ მე. ბერძენი კოსტია ისევ რიყეზე იწვა გულაღმა, მზისგან ტვინი რომ არ გამოლაყებოდა, კუკარაჩამ რომელიღაც ჩვენთაგანის პერანგი თავზე გადააფარა, მერე მოზრდილ ქვაზე დაჯდა და მწყობრს გამოგვხედა.

– ახლა თქვენს შორის ყველაზე დიდი ვირი გამოვიდეს, – თქვა კუკარაჩამ. კუჭიკომ მშვენივრად იცოდა, ჩვენს შორის ყველაზე დიდი ვირი რომ იყო, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც გადმოგვავლო თვალი, იქნებ ამ ერთ საათში რომელიმე წამომეწიაო, და საიმედო რომ ვერაფერი დაინახა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა კუკარაჩას.

– ხელები ჩამოუშვი! – კუჭიკომ ხელები ჩამოუშვა და პატარძალივით გაწითლდა. კუკარაჩას სადღაც ტუჩის კუნჭულში გაურბინა ღიმილმა და ისე სწრაფად გაუქრა, თითქოს იმ ადგილას ბუზი დააჯდა და მოიგერიაო. ჩექმა გაუშვირა კუჭიკოს.

– მომეხმარე! – კუჭიკო რაღაც საშინელებას ელოდა და ასეთი უბრალო საქმე რომ დაავალეს, ისე გაუხარდა და ისეთი გულმოდგინებითა და სისწრაფით გახადა კუკარაჩას ჩექმა, რომ თავი ვეღარ შეიკავა და უკან ყირაზე გადავიდა, მაგრამ უცებ წამოხტა და ახლა მეორე ჩექმაზე დააცხრა.

– ნელა ბიჭო, თეძო არ ამომგლიჯო, – აღარ მალავდა სიცილს კუკარაჩა.

ჩვენც ძალიან გავმხიარულდით. კუკარაჩამ ქამარი მოიძრო, რიყეზე დააგდო, ახლა ხალათი და გალიფე გაიხადა, ჯერ ხალათის ჯიბიდან რაღაც მოწმობა და სამი სისველისაგან ერთმანეთზე მიწებებული სამმანეთიანი ამოიღო, სასოებით დააცილა ერთმანეთს, მზეზე გაშალა, ზემოდან პატარა კენჭები დააწყო, ნიავს რომ არ აეფრიალებინა და წაეღო, ახლა ის მოწმობა

გაშალა, ალბათ, წყლისაგან გადღაბნილ თავის გვარსა და სახელს დახედა, სინანულით თავი გადაიქნია, ის საბუთიც მზეზე გასაშრობად დადო და თავისთვის ჩაიბურდღუნა.

– გაიგე ახლა, თუშურაშვილი ვარ თუ ჩიბურდანიძე... გაწურეთ მაინც, თქვე ოხრებო! – გვითხრა და შარვალ–ხალათი გადმოგვიყარა. მაისურის წურვა თვითონ დაიწყო. დაცოფილებივით ვეცით კუკარაჩას ტანსაცმელს, რომ როგორმე მისი გული მოგვეგო.

– ჰა, არ დამიხიოთ, ხომ არ გგონიათ, წელს კიდევ ახალს მომცემენ, – კუკარაჩამ ნაგანი ამოიღო ბუდიდან, ტყვიები ამოალაგა ბარაბნიდან და ბრტყელ ქვაზე დააწყო სათითაოდ გასაშრობად. სუნთქვა შეგვეკრა ბიჭებს. როგორც გამრავლების ტაბულა, ისე ზეპირად მახსოვს დღესაც – შვიდი ცალი იყო, მოგრძო, თავწაჭრილი და თითოეული მათგანიდან სიკვდილი იხედებოდა, ნაგანი იქვე გვერდით დადო კუკარაჩამ და კოსტია ბერძენს მიუბ–რუნდა:

– ახლა როგორა ხარ?

– ახლა კარგად! – თქვა კოსტიამ და წამოდგომა დააპირა.

– იწექი! – უბრძანა კუკარაჩამ, – თქვენ კი ისევ სიმაღლის მიხედვით დადექით, – გვითხრა ჩვენ. რა ხანია შიში დაგვავიწყდა და ამიტომ დიდი ხალისით დავდექით. კუკარაჩამ თათარივით მოირთხა ფეხი, ორთავე ხელები მუხლებზე დაიბჯინა, ირიბად ამოგვხედა ქვევიდან ზევით.

– რომელმა თქვით პირველად მტკვარზე წავიდეთო?! –იკითხა უცებ.

მართალია, ხმა არც ერთს არ ამოგვიღია, ან მეგობრის დაბეზღებას როგორ ვიკადრებდით, მაგრამ ძალაუნებურად ყველამ კუჭიკოს შეეხედეთ. თხასავით გაყიდულმა კუჭიკომ თავი და–ხარა.

– ვერე აღარ გყოფნით საბანაოდ, არა? დღეს მტკვარი მოგინდათ, ხვალ შავი ზღვა, ზეგ დარდანელი, მაზეგ ბოსფორი, მერე ხმელთაშუა ზღვა, მერე რა ჰქვია იმ სრუტეს?..

– გიბრალტარის, – ამოვილუღლუღე მე.

– გიბრალტარიო, მერე ატლანტის ოკეანეო... – გააგრძელა კუკარაჩამ.

– სუეცის არხის გავლითაც შეიძლება ინდოეთის ოკეანეში გასვლა, მეწამული ზღვის გავლით, – შეუცვალა მარშრუტი ირაჩამ.

– ხმა გაიკმინდე, შე მეხუთე კლასში ჩარჩენილო თავგასიებულო მაგელანო! – დატუქსა კუკარაჩამ არამკითხე ირაჩა და ფეხზე წამოდგა.

– გამოდი – უთხრა კუჭიკოს. კუჭიკო მორჩილად გავიდა, – ლაწ! – ისე მოულოდნელად გაულაწუნა კუკარაჩამ კუჭიკოს მარცხენა ყბაში, რომ კუჭიკომ ხელის აფარება კი არა, თავის გაწევაც ვერ მოასწრო.

– რას მირტყამ, რას, შენი გაზრდილი ვარ? – იბღავლა კუჭიკომ.

– ჯერ არა, მაგრამ მალე გახდები! – შეპირდა კუკარაჩა.

– კაცი არა ხარ, ტყავი გადამძვრა მუხლებზე ვერეში ფორთხვით... – შესტირა კუჭიკომ. კუკარაჩამ ყურადღება არ მიაქცია მის ჩივილს.

– შემდეგი! – შემდეგი ირაჩა იყო. მან შესანიშნავად გამოიყენა მისი წინამორბედის გაკვეთილი და გასვლისთანავე საოცარი სისწრაფით აიფარა ხელი მარცხენა ყბაზე, და უცებ ისეთი ალიყური მიიღო მარჯვენა ყბაში, რომ ბროძელი ორჯერ დატრიალდა ადგილზე, მაგრამ ჭკუა ეყო და უხმოდ დაბრუნდა.

– ყველა უნდა გვცემო? – ჰკითხა მორჩილად დუდუმ, რადგან მისი ჯერი მოვიდა.

– რა ვქნა? – გაეცინა კუკარაჩას, – რომ არ გცემო, სამართალი დაირღვევა, თან ამათაც ეწყინებათ...

დუდუ გამოუძახებლად გავიდა.

– რადგან ეგეთი თვინიერი და მჯერი ხარ, ყურის აწევით დავკმაყოფილდები, – უთხრა კუკარაჩამ და ისე გადაუგრიხა ყური, პირადად მე გასილაქებას ვარჩევდი.

ჩემი ჯერიც დადგა. კუკარაჩა თვითონ მომიახლოვდა, არ გამოვუძახებივარ.

– დედაშენმა იცის, აქ რომ ხარ?

– არა! – პასუხი დამთავრებული არ მქონდა, ალიყური რომ მივიღე, ცოტა შევქანდი, მაგრამ თავი შევიკავე.

– გეტკინა? – მკითხა.

– კი! – არ მოვატყუე მე, – ოღონდ დედას ნუ ეტყვი და კიდევ დამარტყი, – ვთხოვე. კუკარაჩა დაფიქრდა, მერე შეტრიალდა და ბერძენ კოსტიას დაადგა თავზე. იმანაც სულ მოიმკვდარუნა თავი, მაგრამ კუკარაჩას მომტყუებელი ვინ იყო?

ბიჭო, გაჭყლეტილი ბაყაყივით რომ გადმოგცვენია ეგ თვალები, ცურვა თუ არ იცოდი, რას მისდევდი ამ ბიჭებს, კარგი, მე დავიხრჩობოდი შენს გამო, დავიხრჩობოდი და ჯანდაბას, მაგრამ შენ რომ დამხრჩვალიყავი, შენი საცოდავი მშობლებისათვის რა გვეთქვა ან მე, ან ამ ბიჭებს?..

კუკარაჩა გაფითრდა, მერე ხმა აუკანკალდა, დაიხარა, ტანსაცმელი გადმოგვიყარა და თვითონ ისევ ქვაზე ჩამოჯდა. ჩვენ ტანსაცმელს შევესიეთ და გაქცევა დავაპირეთ.

– ამ წყალქვეშა ნავს მე მიტოვებთ? – გვკითხა კუკარაჩამ. – ახლავე წაიყვანეთ და მის მშობლებს ჩააბარეთ, ვიდრე ჩემით დამიხრჩვია.

კოსტია ბერძენმა ჩვენ შორის ყველაზე მკვირცხლად ჩაიცვა.

– თქვენ არ წამობრძანდებით? – ზრდილობისათვის ჰკითხა კუჭიკომ.

კუკარაჩამ რიყეზე გაფენილ თავის სველ ტანსაცმელს და აჯლაფიდებას გახედა ღიმილით. კუჭიკო მიხვდა, რა სისულელეც ჰკი–თხა, ამიტომ სწრაფად შეტრიალდა და წავიდა. ჩვენ ჭუკებივით უკან მივყევით. ფერდობს რომ მივუახლოვდით, კუკარაჩას ხმამ გაგვაჩერა.

– ბიჭებო, არაფერი გეწყინოთ, ხომ იცით, სამსახური სამსახურია... თან ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან... – გაკვირვებულებმა შევხედეთ ერთმანეთს, კუკარაჩას თხოვნა ჰქონდა ჩვენთან... – ერთი პატარა სათხოვარი, – გაიმეორა მან, – უბანში არ მოყვეთ, კუკარაჩამ ცურვა არ იცისო... – არც „ჰოს“ დაელოდა, არც „არას“, ზურგი შეგვაქცია და გათავდა.

ჩვენ იმავე ბილიკით ავიარეთ ჩლუსკინელების ხიდის მარჯვენა ბურჯის ფერდობი, რომლითაც ჩამოვედით და ვარაზის ხევით უნივერსიტეტის აღმართს შევუდექით.

გასაკვირი ის კი არ იყო, ჩემი ასაკისა და ასეთი მკაცრი დედის პატრონი ბიჭი პაპიროსს რომ ვეწეოდი ჩუმ–ჩუმად. პაპიროსს ჩუმ–ჩუმად ჩვენი უბნის თითქმის ყველა ბიჭი ეწეოდა. გასაკვირი ის გახლდათ, რომ პაპიროსის წევა ყველას ჩემმა კარის მეზობელმა, თითქმის ჩემმა ტოლმა, ნათესავებთან სამოწყალოდ და შინამოსამსახურის უფლებებით სოფლიდან ჩამოსულმა გოგონამ, ცაცა ბარამიამ გვასწავლა. მისთვის, თავის მხრივ, თამბაქოს წევა, უნე–ბურად, მის უზომოდ მოსიყვარულე გამზრდელ ბაბუას, ნოსირელ ივანე ფირცხალავას უსწავლებია. კაკლის ძირში ჭილოფზე მონებივრე ივანე ფირცხალავას ჩიბუხი რომ ჩაუქრებოდა ხოლმე, საყვარელ შვილიშვილს გასძახებდა თურმე:

– ცაცა, ოოო, ცაცა!

– პატრონი! – უპასუხებდა ცაცა.

– ქუმმიღი, ძღაბი, დაჩხირი! – ცეცხლი მომიტანე, გოგოო! – მოურბენინებდა თურმე ცაცა დაჩხირს. ისევ რომ ჩაუქრებოდა, ახლა ყალიონს გაატანდა, – შენ თვითონ მოუკიდეო, – გაიქცეოდა ცაცა თურმე და სულ ფშუკუნ–ფშუკუნით მოარბენინებდა ყალიონს, გზაში არ ჩამიქრესო. ასე გრძელდებოდა თურმე ყოველდღე ასჯერ და დაეჩვია საწყალი ცაცა თამბაქოს. ჰოდა, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ახლა, ამ ვაკელ გაჯიბგირებულ, გაყალთაბანდებულ, ვირაკუდა ბიჭებს ერთმა უსათნოესმა, უპატიოსნესმა და საწყალმა სოფლელმა გოგონამ, ცაცა ბარამიამ გვასწავლა პაპიროსის წევა.

ჩემ დროს ახალგაზრდის მიერ პაპიროსის მოწევა საზოგადოებაში დაახლოებით ისე ფასობდა, როგორც ახლა ნარკომანობა. ამიტომ წარმოიდგინეთ ჩემი, დუდუს, ირაჩას, კოსტია ბერძენისა და კუჭიკოს მდგომარეობა, როდესაც პაპიროსის წევისაგან დარეტიანებულებსა და დეიდა მართას ღობის ძირში მიყუჟულებს თავზე კუკარაჩა დაგვადგა.

სხვაზე ვერაფერს გეტყვით, პირადად ჩემთვის კი მზე ჩაქრა, დედამიწა დაინგრა და ჰაერი გათავდა. მუშტი, რომელშიც პაპიროსს ვმალავდი, მაჯამდე ჩავთხარე მიწაში, თამბაქოს კვამლი ფილტვების ნაცვლად კუჭში გავგზავნე გამხმარ ნერწყვთან ერთად, რომ თავის დღეში უკან აღარ ამოსულიყო და გაგუდული კუკარაჩას გადმოკარკლულ, განცვიფრებულ შავ თვალებსა და დაკრეჭილ თეთრ კბილებს მივაშტერდი. არ ვიცი, გველაპარაკებოდა იგი თუ გვესისინებოდა, ყოველ შემთხვევაში, ეს არ იყო ნორმალური ადამიანის ხმა.

– რას შვრებით, თავს იკლავთ, ფილტვებს ილპობთ, ტვინს იხმობთ? საფლავში მიძვრებით? ვინ გასწავლათ, ვინ დაგღუპათ?.. თავის მოკვლა თუ გინდათ, მითხარით და აქ არა ვარ? – კუკარაჩამ ნაგანი ამოიღო და ცხვირწინ აგვითამაშა, – რაღა ნელი სიკვდილით იკლავთ თავს. აჰა და ერთ წამში გათავდება ყველაფერი... რა ვქნა ახლა მე, დაგხოცოთ თუ თავი მოვიკლა?... – იგი იმ წუთში ორივეს ჩამდენი იყო, რომელიმე ჩვენთაგანს ხმა რომ ამოეღო. ჩვენ რაღაც საშინელის მოლოდინში ენაჩავარდნილები მივჩერებოდით მას, მაგრამ მოხდა სასწაული, თითქოს რაღაცა გაახსენდაო, კუკარაჩა უცებ მოეშვა, ნაგანი შეინახა, რაღაცნაირად გაიღიმა, შეტრიალდა და წავიდა...

ათჯერ დარეკა იმ საღამოს კარზე ზარმა და ათჯერ ჩამწყდა გული. და როდესაც ვიფიქრე წარღვნამ ჩაიარა–მეთქი, სწორედ მაშინ დარეკა ზარმა მეთერთმეტეჯერ. უტყუარად მივხვდი, რომ ეს მეთერთმეტე კუკარაჩა იყო.

კარი დედამ გააღო. მე უბრალოდ სკამიდან წამოდგომაც კი ვერ შევძელი.

– გამარჯობათ, ქალბატონო ანიკო! – გავიგონე სადარბაზოში.

– მობრძანდი, კუკარაჩა! – შემოუძღვა დედა ოთახში. – დაბრძანდი! – უთხრა დედამ და მე შემომხედა. მივხვდი, ეულკანი მოქმედებას იწყებდა და სკამიდან წამოვდექი, რათა ჯერ ოთახიდან გავპარულიყავი, შემდეგ საერთოდ სახლიდან, ქალაქიდან და ამ ქვეყნიდან...

– დაჯექი! – მიბრძანა დედამ. მე და კუკარაჩა ერთად დავსხედით. კუკარაჩას იღლიაში უსაშველოდ სქელი და დიდი წიგნი ჰქონდა ამოჩრილი.

– შენ ტყუილად არ მოხვიდოდი, კუკარაჩა, – მიუბრუნდა დედაჩემი, – რაშია საქმე?

კუკარაჩამ შემომხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

– მტკვარი მოწამლა?

კუკარაჩამ თავი ჩაღუნა.

– ბანკი გატეხა?

კუკარაჩა დუმდა.

– კაცი მოკლა? – დედას ხმაში გაღიზიანება დაეტყო. კუკარაჩა მიხვდა, რომ კრიტიკული მომენტი დადგა, ის უზარმაზარი წიგნი იღლიიდან გამოიღო და მუხლებზე დაიდო.

– რა არის ეს?

– ეს, ქალბატონო ანიკო, დიდი საბჭოთა ენციკლოპედია გახლავთ БСЕ, – დააყოლა რუსულად. – ტომი 18, გვერდი 55. რაღაცას წავიკითხავ, თუ არ გეწყინებათ, – თქვა კუკარაჩამ და ტომი აღნიშნულ გვერდზე გაშალა.

– რას მოიკალი თავი მაგის თრევით, ენციკლოპედიის მეტი რა გვაქვს სახლში?! – უთხრა დედამ და ენციკლოპედიებით გამოტენილ კარადის თაროზე მიუთითა ღიმილით.

– ეგ ველარ მოვიფიქრე, – შეიშმუშნა კუკარაჩა.

– მარტო მე გინდა წამიკითხო თუ ამასაც? – ჰკითხა დედამ და ჩემსკენ გამოიქნია თავი.

– უფრო მაგას, მაგრამ თქვენც თუ დაგვესწრებით კარგი იქნება, – სთხოვა კუკარაჩამ.

დედა სკამზე ჩამოჯდა და სმენად იქცა. კუკარაჩამ მუჭში ჩაახველა, ხმა დაიწმინდა.

– აბა, ჰე, გაგვანათლე! – შეაგულიანა დედამ.

– ნიკოტინი! – თქვა კუკარაჩამ და უსაშველო პაუზა გააკეთა. ჩემი და დედას თვალები ერთმანეთს შეხვდნენ ერთი წამით. მე მეგონა, რომ ორთავე თვალში გახურებული შანთები გამიყარეს, თვალები საშინლად ამეწვა, ამომიშრა და ჩამიქრა. თავი ჩავღუნე. ამის შემდეგ, ვიდრე ყურში მესმოდა კუკარაჩას ჩახრინწული ხმა, სულ ვგრძნობდი დედის მოუცილებელ მწველ მზერას.

– ნიკოტინი ფრანგული სიტყვაა, ᲮᲨᲜᲬᲔᲨᲢᲣ – კითხულობდა კუკარაჩა, – წარმოდგება ფრანგი დიპლომატის ჟ. ნიკოსგან, რომელმაც 1560 წელს პირველმა შემოიტანა თამბაქო საფრანგეთში. თამბაქოს მოწევისას ნიკოტინი იწვის და კვამლთან ერთად შედის სასუნთქ ორგანოებში, შეიწოვება და მოქმედებს ნერვული სისტემის ჰოლინორეაქტიულ, სტრუქტურულ და პერიფერიულ სისტემებზე. ნიკოტინი ნერვული სისტემის დამთრგუნველი და დამბლის გამომწვევია. იგი ხელს უწყობს სუნთქვისა და გულის მოქმედების შეწყვეტას. ნიკოტინი ერთ–ერთი ყველაზე მომწამვლელი ალკალოიდია. რამდენიმე წვეთი ნიკოტინისა იწვევს სიკვდილს... – კუკარაჩა დადუმდა. ძალიან ბევრი დრო გავიდა, ვიდრე დედა რამეს მოიმოქმედებდა.

– მერე? – ჰკითხა დედამ შეცვლილი ხმით.

– რა მერე, ქალბატონო ანიკო, პანაშვიდზე და ქელეხის ხარჯებზე აქ არაფერი წერია, – სცადა ხუმრობა კუკარაჩამ.

– მაგას არ გეკითხები, შენ რა ჰქენი მერე, შენ, ეს რომ დაინახე?

– მე... მე რა უნდა მექნა? ავდექი და თქვენთან მოვედი, – დაიბნა კუკარაჩა.

– მარტო იყო თუ ვინმესთან ერთად?

– იმათთან უკვე ვიყავი, ხელწერილებიც ჩამოვართვი...

– რა ხელწერილები? – განცვიფრდა დედა.

– აი, – კუკარაჩამ ჯიბიდან ოთხად გაკეცილი რვეულის ფურცლები ამოიღო სასწრაფოდ და ერთ–ერთი მათგანი წაიკითხა.

„მე, დუდუ დობორჯგინიძე, პიონერულ სიტყვას ვიძლევი, რომ არამცთუ მოვწევ პაპიროსს ჩემს სიცოცხლეში, არამედ არც კი გავიხედავ პაპიროსისაკენ, დედას ვფიცავარ, მამას ვფიცავარ და ყველას ვფიცავარ“. – კუკარაჩამ ხელწერილი დაკეცა, ისევ ჯიბეში ჩაიდო.

– ერთი ხელწერილი გაკლია ჩვენგან, არა? და ბრძოლა ნიკოტინის წინააღმდეგ დამთავრებულია. – ჰკითხა დედამ დაცინვით. მერე ადგა და ჩემკენ წამოვიდა. არც გავნძრეულვარ, რადგან ტკივილი უკვე გადატანილი მქონდა, ახლა უბრალოდ გარტყმას ველოდი. დედამ ისეთი სილა გამაწნა, მაინც მეტკინა.

– რას შვრებით?! – წამოხტა და ხელში ეცა კუკარაჩა დედას.

– თავი დამანებე, მე ვიცი, რასაც ვშვრები! – სცადა კუკარაჩას მოცილება დედამ, მაგრამ კუკარაჩა ადგილიდან ვერ დაძრა, იგი კედელივით ამეფარა წინ.

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ანიკო, ცემა რომ საქმეს შველოდეს, იქ არ მყავდა?

– ვინ დამღუპა? – მკითხა კედლის იქიდან დედამ. მე კი ვიცოდი, ვინც დაგვღუპა მეც და დედაჩემიც, მაგრამ ახლა ჩემი ხმის ამოღება ჩემსავე სიკვდილს უდრიდა.

– თქვენ, ქალბატონო ანიკო! – დინჯად თქვა კუკარაჩამ.

– რაო? – დედას მოულოდნელობისაგან ხმა წაერთვა.

– დადგენილია, რომ ყველაზე ხშირად პაპიროსს იმ ოჯახის ბავშვები ეჩვევიან, რომელთა მშობლებიც ეწევიან პაპიროსს, – იმავე ტონით თქვა კუკარაჩამ.

– ესე იგი, შენ ჩემს გამოსასწორებლად ხარ მოსული, არა? –კუკარაჩამ თავი დახარა, – ხელწერილი ხომ არ გინდა ჩემგან, რომ მე, ანიკო ივანეს ასული ბახტაძე პიონერულ სიტყვას ვიძლევი...

– ისე მელაპარაკებით, ქალბატონო ანიკო, თითქო მე ვიყო ამ ენციკლოპედიის დამწერი და თამბაქოს ჩამომთესლებელი, – შეაწყვეტინა დედას ნაწყენმა და მოთმინებიდან გამოსულმა კუკარაჩამ. დედა სახტად დარჩა, სახეზე ალმურმა გადაუარა, უცებ შეტრიალდა და სწრაფი

ნაბიჯით გავიდა სამზარეულოში. არ ვიცი, შერცხვა თუ გაბრაზდა, ვგონებ, უფრო შერცხვა. კუკარაჩა მიხვდა, რომ მისი წასვლის დროც მოვიდა. მან თავისი ენციკლოპედია იღლიაში ამოიჩარა და კარისაკენ წავიდა. კართან შედგა და გამომხედა, მივხვდი, რაღაც ბოდიშის მაგვარის თქმა უნდოდა, მაგრამ არ დავაცალე, თავად დავასწარი.

– ჯაშუში ხარ შენ, კუკარაჩა, შპიონი, ნამდვილი მაბეზღარა და მეზიზღები, ჭირივით მეზიზღები! – იმ წუთში ზუსტად ასე ვფიქრობდი. ვფიქრობდი და უზარმაზარი ლოდი მომეხსნა მხრებიდან, რადგან ზუსტად ის ვთქვი, რასაც ვფიქრობდი.

იმ დღეს ჩემი თვალით დავინახე, როგორ გათეთრდა შავი კუკარაჩა.

ბორჩალოს ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას ხილ–ბოსტნეულის ფარდული ზედ ვარაზის ხევის პირას ედგა, ჩვენი სახლის გვერდით. შიგ ოქროს კბილებით პირგამოტენილი ალი და მისი თანაშემწე იბრაჰიმა მუშაობდნენ. ორთავე აზერბაიჯანელი იყო და ორივე, ქართულად რომ ლაპარაკოდა, „ჭ“–ს მაგივრად „უ“–ს ამბობდა, ხოლო „ძ“–ს მაგივრად „ზ“–ს.

– შენ ბიუო, ზალიან ცემა ხომ არ მოუნდა?! – გვეკითხებოდნენ ისინი, როდესაც ბიჭები დახლიდან მზესუმზირას ან ჩირის მოპარვას ვცდილობდით.

ყიდიდნენ ყველაფერს, რაც კოლმეურნეობას შემოუდიოდა – ყურძნიდან და ღვინიდან დაწყებული, საზამთროთი დამთავრებული. ასე რომ დედას ბაზარში წასვლა თითქმის არც კი სჭირდებოდა, მით უმეტეს, თუ დუქანში ხორციც გამოჩნდებოდა.

ალი უფროსი იყო, ასე მამაჩემის ხნის, იბრაჰიმა ასე ჩვიდმეტ–თვრამეტი წლისა, ელამი. ალი ცუდ გუნებაზე რომ იყო, იბრაჰი–მას „ქორია მამაზაღლოს“ ეძახდა ქართულად, აზერბაიჯანულად კი ალაჰმა უწყის – რას. ახლა მაშინდელი ფასები ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ის კი მახსოვს, დედა რომ მანეთს გამატანდა, ალი სახლში იმდენ მწვანილს მატანდა ხოლმე, სამზარეულოს მაგიდაზე ძლივს ეტეოდა, თან მაფრთხილებდა:

– დედაშენი უთხარი, ალი ხურდა არ ქონდათქო... – დედა ამის გამო ალისაცა და იბრაჰიმასაც ორთავეს ჯიბგირებს ეძახდა, მაგრამ პირადად მათთვის საყვედური არასდროს უთქვამს.

ცოდვას ვერ ვიტყვი და, ალის ჩვენთვის, ბიჭებისათვის ხშირად მოუცია მზესუმზირაც, ჭანჭურიც და გარგარიც...

ასე, შუა ივლისში ალი და იბრაჰიმა საზამთროსა და ნესვს მოაგორებდნენ ხოლმე ურმით და დუქნის გვერდით დაახვავებდნენ პირდაპირ მიწაზე.

მერე იბრაჰიმა საღამომდე პირზე დუყმომდგარი გაიძახოდა:

– აბა, ხაბურზაკი და ნესვი, ბორჩალოს ხაბურზაკი!!!

Кому борчалинский харфуз и дыня на разрез1

ბევრს ყვიროდა იბრაჰიმა და მუშტარიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ მე სხვა დარდი მკლავდა და სხვა რამის მუშტარი ვიყავი. დილიდან საღამომდე ვიდექი და მონუსხულივით მივშტერებოდი იმ ჩემი ცოდვით სავსე იბრაჰიმის ქამარში გაჩრილ შავტარიან ოსმალურ ბებუთს, რომლითაც იგი საზამთროზე „რაზრეზს“ აკეთებდა და ისევ ქამარში ირჭობდა.

არ არსებობდა ჩემთვის დედამიწაზე ნივთი უფრო სანატრელი და უფრო ლამაზი, ვიდრე ეს შავტარიანი ბებუთი, ეს იყო ჩემი ნატვრისა და ოცნების დასაწყისიცა და დასასრულიც.

ორშაბათი დილა იყო, რიცხვი ცამეტი, ყოველ მხრივ თარსი და დაწყევლილი დღე. დედამ მწვანილზე ჩამაგზავნა. უცებ დავინახე ის, რასაც ასი წელი რომ მეცხოვრა და მენატრა, ვერ დავინახავდი...

ალი და იბრაჰიმა დუქანში ფუსფუსებდნენ. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო, საზამთროს პირამიდაზე კი სულ წვერში ვეებერთელა საზამთროზე დარჭობილი პირალაპლაპებული შავტარიანი ოსმალური ბებუთი მზეს ეთამაშებოდა.

არ მახსოვს, ვინ მოვიდა, ვინ ამხადა თავის ქალა, ვინ ჩამიყო შიგ ხელი, ვინ გადამიტრიალა ტვინი, ვინ მკრა ზურგში ხელი და ვინ ჩამჩურჩულა ყურში: „მიდი, ნუ გეშინია, შენია...“ მხოლოდ ის მახსოვს, როგორ აღმოჩნდა ბებუთი ჩემს ხელში, როგორ შემო–ვურბინე სახლს გარშემო, როგორ შევვარდი დეიდა მართას ეზოში, როგორ ჩავმარხე ღობის ძირში ბებუთი, როგორ მივაყარე მიწა და როგორ მომწყდა კიდურები, როდესაც მოვიხედე და ორ ნაბიჯზე კუკარაჩა დავინახე.

– თამაზ, გამარჯობა! – თქვა კუკარაჩამ.

იმის ნაცვლად, რომ ავმდგარიყავი და მივსალმებოდი, მიწაზე დავჯექი.

– როგორა ხარ? – მკითხა.

კუკარაჩასთან დამდურება ახლა არაფერში გამომადგებოდა. ამიტომ გავულიმე და მხრები ავიჩეჩე. რაღაი ფეხზე არ ვდგებოდი, თვითონ ჩაცუცქდა, რათა ერთ დონეზე გვესაუბრა.

– სად არიან შენი ძმაბიჭები?

– არ ვიცი, ზოგი აგარაკზეა, ზოგი თბილისში...

– შენ აქ რას აკეთებ?

– მამას ველოდებით, ხვალ–ზეგ ჩამოვა. ალბათ ქობულეთში წაგვიყვანს.

– მაგას არ გეკითხები, აქ რას აკეთებ, სადღეისოდ რა გაქვს დაგეგმილი–მეთქი, – ისე განმიმარტა კუკარაჩამ, თითქოს თავიდან არ ვიცოდი, რას მეკითხებოდა.

– სადღეისოდ... ჯერ არაფერი, ალბათ ბიჭები გამომივლიან, მერე ან ვერეზე წავალთ, ან ზოოპარკში.

– მანამდე რას აპირებ? – არ მომეშვა კუკარაჩა.

– სახლში წავალ, – ვუპასუხე და წამოდგომა დავაპირე.

– ბიჭებს არ დაელოდები?

– არა, როცა მოვლენ, თვითონ დამიძახებენ, – ვუთხარი მე და სადღაც გულის კუნჭულში სულ ერთი ნამცეცი ნაპერწკლისოდენა იმედი ჩამესახა და გაღვივდა; იქნებ ვერ დაინახა? იქნებ შერიგება უნდა ჩემთან იმ პაპიროსის ამბის შემდეგ?.. ზედმეტი უდარდელობით წამოვზოზინდი და წასვლა დავაპირე.

– დაჯექი, – მითხრა კუკარაჩამ, – ვიდრე ბიჭები მოვლენ, შევრიგდეთ, თან რამე ვითამაშოთ.

– რა ვითამაშოთ?

– თუნდაც „არიოლ–რეშკა“. – კუკარაჩამ გულის ჯიბიდან ვერცხლის მანეთიანი ამოიღო, საჩვენებელ თითზე დაიდო, ქვემოდან ცერი ამოჰკრა და ჰაერში ააბზრიალა, მერე მარცხენა ხელის ზურგზე ისე დაიგდო და ისე დააფარა ხელი, მაღლა არც კი აუხედავს.

– რეშკა, – ვთქვი მე. კუკარაჩამ ფულს დახედა.

– წაგებული ხარ! – თქვა კმაყოფილმა და ფული ისევ ააბზრიალა.

– აღარ მინდა თამაში. – ვთქვი და ისევ დავაპირე წასვლა.

– მოიცა, იქნებ დანობანა გვეთამაშა?! – არ გამიშვა კუკარაჩამ.

– რაა? – ვთქვი მე და გული რომ არ ჩამწყვეტოდა ხელი შევაშველე გარედან.

– დანობანა ხომ არ გვეთამაშა–მეთქი? – გამიმეორა მან.

– რა გინდა, კუკარაჩა, შენ ჩემგან, რას მერჩი? – ვკითხე და ტირილი მომინდა.

– არაფერს, ბიჭო, კარგის მეტი რა უნდა მინდოდეს, მეგობრობა მინდა შენთან, მეტი არაფერი.

კუკარაჩა წამოდგა, ეზოში მოფოცხილი ნამჯისა და ფოთლების ნამწვიდან ნახშირი ამოიღო და დეიდა მართას ჭიშკარზე ორი წრე შემოხაზა – ერთი დიდი, მეორე პატარა, იმ დიდი წრის შიგნით. ნახშირი გადააგდო, ხელები დაიფერთხა, ჭიშკრიდან ათი ნაბიჯი გადაზომა, ჩექმის ჭვინტით ხაზი გაავლო და ხელი ჩემკენ გამოიშვირა.

– აბა, ერთი, ის ბებუთი მომაწოდე!

ვიცოდი, რომ იმ წუთში ჩემზე უსინდისო კაცი არ დადიოდა დედამიწის ზურგზე და მაინც ვკითხე:

– რომელი ბებუთი?

– აი ის, ლობის ძირში რომ მარხია, – ისე მიმასწავლა, თითქოს მისი დამარხული ყოფილიყო. სხვა რა გზა მქონდა, ბებუთი ამოვთხარე და დარცხვენილმა კუკარაჩას გადავეცი. კუკარაჩამ დიდხანს ატრიალა ბებუთი, მერე ხელისგულზე დაიდო, აწონა, უკმაყოფილმა დაიქნია თავი და უცებ ბებუთი ელვასავით გასხლტა კუკარაჩას ხელიდან, შხუილით წავიდა და ზრიალით დაერჭო დიდ წრეში.

– აბა, მომიტანე! – თქვა უკმაყოფილო კუკარაჩამ. გავიქეცი, ძლივს ამოვაძვრე ბებუთი ჭიშკრის ფიცრიდან და უკან მივურბენინე. ისე გასხლტა კუკარაჩას ხელიდან ბებუთი და ისევ დიდ წრეში ჩაერჭო. შემდეგი სამი ნასროლი შიდა, პატარა წრეში ჩაასო კუკარაჩამ და სახე გაებადრა.

– შენი ჯერია, ხუთ–ხუთჯერ ვესროლოთ, იცოდე, ორმოცდარვა ქულა ავიღე, – სამი ათიანი და ორი ცხრიანი.

ბებუთი ჩამოვართვი. შევეცადე ზუსტად ისე მესროლა, როგორც კუკარაჩა ისროდა, ქვემოდან ზევით, სხარტად და მოწყვეტით. ბოლოს ვისროლე და აკი დავასვე კიდევაც ოღონდ ჭიშკრის გვერდით, თუთის ხეზე.

– აბა, შენა ყოფილხარ! – გაგიუდა კუკარაჩა.

– თუთას ვესროლე! – უნამუსოდ ვიცრუე.

– მიდი, მიდი! – თავში წამომარტყა ხელი კუკარაჩამ.

დანარჩენი ოთხი სროლა სულ არ გამომივიდა, ბებუთი ან ყუით ეხეთქებოდა ჭიშკარს, ან ბრტყლად. ხმაურზე და ბრახაბრუხზე ეზოში დეიდა მართამ გამოიხედა. ჩემი და კუკარაჩას საქმიანობა რომ დაინახა, ლოყები ჩამოიხოკა.

– რატომ თვალები არ დამევსება, იმის მაგივრად, ყურებს აჭრიდეს, ამოდელა ვირი დამდგარა და ძუძუთა ბავშვს დანის ფრიალს ასწავლის, მეხი კი შენცა და შენს მილიციას დავაყარე, შე მართლა კუკარაჩა და ჯოჯოხეთის მაშხალავ, შენა!..

– ჰო, ჰო, კარგი, დეიდა მართა, რეები ამოგდის პირიდან, შენს სიცოცხლეში შაქარი არ გიჭამია? – სიცილით ჰკითხა კუკარაჩამ, მხარზე ხელი მომხვია და ეზოდან გამიყვანა.

– ახლა მე და შენ წავიდეთ და ეგ ბებუთი ალის დავუბრუნოთ, – მითხრა კუკარაჩამ და ისევ ჩაცუცქდა ჩემ წინ. გულზე მდუღარე გადამევლო, აზარტში შესულს ბებუთის ამბავი გადავიწყებული მქონდა და ისევ რომ გამახსენა კუკარაჩამ, ადგილზე გავქვავდი.

– შენ მიუტანე, მე ვერ წამოვალ.
– რატომ?
– მრცხვენია.
– შენ ნუ გრცხვენია, წამოდი და ალის მე ველაპარაკები, – კუკარაჩამ ხელი ჩამკიდა და გამიყოლა.
ფარდულთან რომ მივედით, ალის ბებუთი უკვე შეცხადებული ჰქონდა და დაჩეჩქვილ იბრაჰიმას ამკობდა რუსულ–ქართულ–თათრულად.
– შე ქორია მამაზაღლო, სუკინსინო, ქოფოიოღლი, ისეთი ბებუთი დაკარგოს... ეხლა მე ჰარფუზი ნარაზრეზ როგორ გაყიდოს?! რომ იზახი, ვიღაც მოიპაროს, ერთი ზაღლი არ ჟობია მყავდეს, დაიღეფოს მაინც...
კუკარაჩა რომ დაინახა, სულ გადაირია.
– მილისია სადა ხარ, ქასი ალიონზე გაქურდოს!
– აქა ვარ, ალი! – უთხრა კუკარაჩამ და ბებუთი გადასცა.
– ვახ, შენ გენაცვალე, კუკარაჩა, მილიცია კი არა, ბაჟაღლო ოქრო ხარ!
ალი დახლიდან გადმოიწია და კუკარაჩას ჩაეხუტა.
– მე რას მეფერები, ამას უთხარი მადლობა, ამან მაპოვნინა, – დამაბრალა კუკარაჩამ.
– შენ გენაცვალოს ალი, თამაზო! უთხარი, ვინ მოიპაროს, ყურები სულ ამ ბებუთით დააჩრას...
– აბა, რა ვიცი, კუკარაჩამ წაართვა, – ახლა მე დავაბრალე კუკარაჩას.
– აი, მაგის დედა ატიროს, – შემიკურთხა ალიმ ისე, რომ ეჭვიც არა ჰქონია, ორი პატრა საზამთრო აიღო და გამომიწოდა, – ზაიღე, ფული არ გინდა.
მე უკან დავიხიე უარის ნიშნად.
– გამოართვი, გამოართვი, – წამაქეზა კუკარაჩამ.
ავიღე და გამოვართვი.
– რა უნდა უთხრა? – შემახსენა ზრდილობა კუკარაჩამ დამრიგებლის ტონით.
– ძია ალი, ორი საზამთრო რად მინდა, ერთი ნესვი მომეცი, – ვთქვი მე.
კუკარაჩას გიჟივით გაეცინა.
– შენ ვიღაცა ხარ, ზალიან ყურუმსაღო ხარ! – თქვა ალიმ და ერთი საზამთრო ნესვში გამიცვალა.
– ეს რომ დედას მივუტანო, მომკლავს, – ვუთხარი კუკარაჩას, თან ნესვი და საზამთრო გავუწოდე. კუკარაჩამ ორივე ჩამომართვა და წინ გამიძღვა.

საზამთროთი და ნესვით დატვირთული კუკარაჩა რომ დაინახა, დედა კინაღამ გადაირია.
– კუკარაჩა, არ მითხრა, რომ ყველაფერი ეს ჩემმა შვილმა მოიპარა, თორემ თავს მოვიკლავ, – თქვა დედამ და გაფითრებული დაეშვა სკამზე.
– რას ბრძანებთ, ქალბატონო ანიკო, ეს ალიმ მე მომართვა, მე კი – თქვენ. – დაამშვიდა კუკარაჩამ.
– რით დავიმსახურე შენი ასეთი ყურადღება, სახლიდან რომ გაგაგდე? – ჰკითხა დედამ.
კუკარაჩამ მხრები აიჩეჩა და უხერხულად გაიღიმა.
ოთახში დუმილი ჩამოვარდა.
– ერთი მითხარი, კუკარაჩა, ოღონდ არ გეწყინოს, – დაარღვია დუმილი დედაჩემმა, – შენ მარტო ჩემს თამაზს დასდევ ასე კუდში და მარტო ჩვენთან დადიხარ თუ ყველგან?
კუკარაჩა დაფიქრდა, ეტყობა, არ ელოდა ასეთ შეკითხვას.
– არა, ქალბატონო ანიკო, – თქვა ფიქრის შემდეგ, – არც მარტო თქვენს თამაზს დავსდევ და არც მარტო თქვენთან დავდივარ... მე უბნის ინსპექტორი ვარ და ყველგან მიწევს სიარული... ერთი კია, თქვენთან რომ მოვდივარ, რაღაცნაირად სხვანაირად ვგრძნობ თავს. ვღელავ, როგორც გამოცდის წინ, თუ რაღაც უბედურება მემართება... სხვაგან სულ ბატონ გოგის მეძახიან: – მობრძანდით, ბატონო გოგი! ჩვენი ბავშვების სულიერი მწყემსი ბატონი გოგი მობრძანდა! თქვენ რომ არ გვყავდეთ, ბატონო გოგი, რა გვეშველება, – და ასე შემდეგ... თქვენ კი, თქვენ რაღაცნაირად მხვდებით, მეჩხუბებით, მეკამათებით, შენობით მელაპარაკებით, კუკარაჩას მეძახით..
– აკი თვითონ მხოვე, კუკარაჩა დამიძახეო, – შეწუხდა დედა.
– საქმეც მაგაშია, განა სხვებს არ ვთხოვე... თუმცა ტყუილს ვამბობ, არავისთვისაც არ მითხოვია... მოკლედ, ქალბატონო ანიკო, ვერც ვამბობ და ვერც ვერასოდეს აგიხსნით, ალბათ, თქვენთან რომ მოვდივარ, ასე მგონია, თითქოს ოდესღაც უკვე ვცხოვრობდი ამ სახლში თამაზივით, მერე უსაქციელობისთვის დამსაჯეს და გამაგდეს, ახლა ისევ დავბრუნდი საკუთარ სახლში, ცოდვამონანიებული... კუკარაჩამ თავი ჩაღუნა, დედამ პაპიროსი ამოიღო და გააბოლა. აღელდა, თორემ ამას კუკარაჩას თანდასწრებით არ გააკეთებდა.
– მაინც რა გევალება შენ, კუკარაჩა, მილიციაში? – ჰკითხა დედამ, თუმცა მშვენივრად იცოდა, რაც ევალებოდა კუკარაჩას, ეს ისე, სიტყვის მასალად ჰკითხა, უხერხული დუმილი რომ დაერღვია. ამჯერად კუკარაჩა თავის მოვალეობას უფრო ვრცლად მოჰყვა.

– მე, ქალბატონო ანიკო, ყველაფერი მევალება: ქურდებისა და ბანდიტების დევნა…
– რაღაც არ გამიგია, კუკარაჩამ ბანდიტი დაიჭირაო, – გაეცინა დედას.
– კუკარაჩას შიშით რომელი ბანდიტი გაივლის, ქალბატონო ანიკო, ვაკეში, – ხუმრობითვე უპასუხა კუკარაჩამ.
– კიდევ რა გევალება? – არ მოეშვა დედა.
– კიდევ ბავშვების იდეური აღზრდა.– თქვა ამაყად კუკარაჩამ. – ის, რომ სწორად წარემართო მოზარდის სულიერი ცხოვრება…
– რა იცი შენ, ბიჭო, რა არის სულიერი აღზრდა, სულიერი ცხოვრება ან სული, საერთოდ, – გაეღიმა დედას.
კუკარაჩა შეცბა.
– როგორ არ ვიცი, ქალბატონო ანიკო, სული სულია, სულიერი ცხოვრება კი – კინო, თეატრი, მხატვრობა, მუსიკა… კიდევ ყველაფერი ამის სიყვარული და საერთოდ სიყვარული, – თქვა სხაპასხუპით კუკარაჩამ.
– და შენ გგონია, ნაძირალები კინოში, თეატრში ან ოპერაში არ დადიან? შენ გგონია, ნაძირალები წიგნს არ კითხულობენ, ნაძირალებს ცოლ–შვილი არა ჰყავთ და არავინ არ უყვართ? – დედამ პაპიროსის ნამწვი საფერფლეს დააჭყლიტა და კუკარაჩას შეხედა.
კუკარაჩა დაფიქრდა, მერე თავი გაიქნია უარყოფის ნიშნად.
– გამოდის, რომ არ მცოდნია. თქვენ თუ იცით, ქალბატონო ანიკო? – ჰკითხა უცებ. ახლა დედაჩემის ფიქრის ჯერი დადგა.
– ეგ, ჩემო კუკარაჩა, დანამდვილებით არავინ არ იცის, – თქვა ბოლოს – სული მე მაინც ზღაპრული ჯინივით ბოთლში გამომწყვდეული ადამიანის ფიქრი და ოცნება მგონია, რომელიც თავისი გაჩენის დღიდან თავისუფლებას ელოდება, თავისუფლებისაკენ მარადიული ლტოლვა და სწრაფვა ახასიათებს. მერე ჩვენ ზოგჯერ ნებით, ზოგჯერ უნებლიეთ ვათავისუფლებთ მას ამ ბოთლიდან, უფრო ხშირად იგი თვითონ ითავისუფლებს თავს და უკვე თავისუფალი სასწაულებს სჩადის მეცნიერებაში, ხელოვნებაში და ლიტერატურაში… ყველა გენიოსი მე ბოთლიდან განთავისუფლებული ჯინი მგონია… მართალია, ზოგი დიდია, ზოგი უფრო პატარა, ზოგი უფრო სუსტი, ზოგი უფრო ძლიერი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ბოთლიდან განთავისუფლების ბედნიერებას ყველა ერთნაირად განიცდის… – დედა არც კუკარაჩას უყურებდა, არც მე, ლაპარაკობდა ძალიან მშვიდად, თავისთვის. მერე შეხედა კუკარაჩას, სულ ბოლოს, ფიქრიდან რომ დაბრუნდა. – კარგია, კუკარაჩა, ყველაფერი ეს თუ შენ გაბარია მილიციაში…
– სად წაიკითხეთ ასეთი რამ, ქალბატონო ანიკო? – ჰკითხა განცვიფრებულმა კუკარაჩამ.
– არ ვიცი, არ მახსოვს, ალბათ, არსად, უბრალოდ ასე ვფიქრობ, – უპასუხა დედამ.
– სიყვარულიც სულში შედის, ქალბატონო ანიკო? – დაინტერესდა კუკარაჩა.
– ალბათ, – თქვა დედამ, ყოველ შემთხვევაში, თუ რამ საგანძური და ჯილდო მიუცია ღმერთს ადამიანისათვის, სიყვარულის ნიჭია. ცოდვაა ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან.
– მე ბავშვები მიყვარს ძალიან, – თქვა კუკარაჩამ.
– ბედნიერი ადამიანი ხარ, – გაულიმა დედამ.
– თქვენ?
– მე დედა ვარ და ეგ ჩემი პირდაპირი მოვალეობაა…
– ძალიან ძნელი კია, ქალბატონო ანიკო, აი, თქვენ რომ ბრძანეთ, კუდში დასდევ ჩემს თამაზსო, ასე მიხდება ხშირად ჯაშუშივით ბავშვების კუდში დევნა, რამე არ დააშავონ, არ იჩხუბონ, არ მოიპარონ, – კუკარაჩამ მზერა ჩემკენ გამოაპარა. – ასეთ ბავშვებს შეიძლება ვეზიზღები კიდევაც, მაგრამ რა ვქნა? ყველაფერს მათი სიყვარულით ვაკეთებ, თორემ ჩემისთანა ყანის მუშას ან მჭედელს მთავრობა სად იშოვის, – კუკარაჩამ ვეებერთელა ტორებზე დაიხედა.
– ძალიან ძნელია, სხვისი კი არა, საკუთარი შვილის აღზრდა უჭირს ხალხს, – კვერი დაუკრა დედამ.
– დიახ, აი მარტო ქურდობისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სამი წლიდან თხუთმეტ წლამდე სასჯელს ითვალისწინებს…
– ძალიან მკაცრი კანონია, – შეაწყვეტინა დედამ.
– ძალიან მკაცრი, მაგრამ საჭირო, – თავი დაუქნია კუკარაჩამ.
– ერთი ის მითხარი, თქვენ როგორ იჭერთ ქურდებს? – დაინტერესდა დედა.
– ჩვეულებრივად, მოიპარავს და დავიჭერთ, არ მოიპარავს – არ დავიჭერთ, ხშირად ასეც ხდება, ვიცით, კაცი ნამდვილად ქურდია, მაგრამ ხელს ვერ ვახლებთ, ვიდრე საქმეზე არ წავასწრებთ, დაჭერის უფლება არ გვაქვს.
– კანონია ასეთი. გამოთქმაც არსებობს. Не пойманъ не воръ! – განუმარტა კუკარაჩამ.
– ეგ ხომ ძალიან ადვილია, – გაუბითურა დედამ მთელი მონაყოლი.
– არც ისე ადვილია, თქვენ რომ გგონიათ! – ეწყინა კუკარაჩას.
– მანამდე, ვიდრე ქურდი მოიპარავდეს, რაიმე ღონისძიებას თუ ატარებთ?

– როგორ არა, ჩვენი ხალხი გვყავს ქურდებში, ისინი გვატყობინებენ ხოლმე – ამა და ამ დროს, ამა და ამ ქუჩაზე...

– მაგას არ გეკითხები, – შეაწყვეტინა დედამ, – აი, მანამდე ქურდებთან რაიმე საუბარს თუ ატარებთ ხოლმე?

– რა საუბარს? – გაუკვირდა კუკარაჩას. დედა ადგა, კარადიდან შავყდიანი წიგნი გამოიღო და სასურველ ადგილზე გადაშალა.

– აბა, ყური დამიგდე! – მიუბრუნდა კუკარაჩას.

კუკარაჩა სმენად იქცა.

„უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცდუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაითა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენიასა.

და უკუეთუ მარჯუენე ხელი შენი გაცდუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა რაითა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენისა“.

– გაიგე? – ჰკითხა დედამ, კითხვა რომ დაამთავრა.

– თუ შეიძლება, კიდევ წაიკითხეთ, – სთხოვა კუკარაჩამ. დედამ განმეორებით წაიკითხა წაკითხული, ოღონდ ამჯერად უფრო დინჯად.

– აბა რთული და უმკაცრესი კანონი ეგ ყოფილა, თუ სწორად გავიგე, – თქვა შეძრწუნებულმა კუკარაჩამ. – „აღმოიღე იგი და განაგდე შენგან“, ხელი მოიჭერიო, ჩვენი კანონი ამ კანონთან სამოთხეა... – თქვა კუკარაჩამ და გაკვირვებისაგან ფართოდ გახელილი თვალები დედას მიაპყრო.

– ეგ კანონი არ არის, კუკარაჩა, მცნებაა. ეგ რომ კანონი იყოს, ნახევარი მსოფლიო ცალთვალა და ცალხელა იქნებოდა, – უთხრა დედამ.

– მაშ, მცნება რაღაა?

– ყველა კანონი მცნებებიდან გამომდინარეობს და მეც იმას გეკითხები, მსგავს მცნებებს თუ უკითხავთ ადამიანებს, ვიდრე დაიჭერთ–მეთქი.

– ჩვენთან რომ კაცი მოვა, იმისთვის მაგ მცნების კითხვა უკვე გვიანია, ადრე კი, ალბათ ეგ მცნებები სკოლაში და სახლში უნდა ასწავლონ ბავშვებს... რა წიგნია ეგ, ქალბატონო ანიკო?

– ოთხთავი, მათეს სახარება.

– თამაზს თუ უკითხავთ მაგას?

– თამაზს? – დედა ცოტათი დაიბნა, – სხვათა შორის, არა, და მაგაზე არც მიფიქრია, მე მგონი ჯერ ადრეა...

– მაგის კითხვა ადრე არასდროს არ არის, – თქვა ფიქრში წასულმა კუკარაჩამ.

– შეიძლება მართალი იყო, – თავი დაუქნია დედამ.

– ქალბატონო ანიკო, მათხოვეთ ეგ წიგნი, ორ დღეში დაგიბრუნებთ, – სთხოვა კუკარაჩამ. დედამ სახარება წინ დაუდო.

– ალბათ გამიჭირდება წაკითხვა, მაგრამ, რასაც ვერ გავიგებ, თქვენ გკითხავთ, თქვენ ალბათ კარგად იცით ძველი ქართული.

– ...ფრანგულიც, ინგლისურიც და გერმანულიც... – წაიტრაბახა დედამ.

– როდის მოასწარით, ქალბატონო ანიკო, ამდენი ენის სწავლა? – ჰკითხა გაკვირვებულმა კუკარაჩამ.

– ჩვენ, ჩემო კუკარაჩა, მთელი მსოფლიოს ადამიანები, ფაქტიურად ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ერთმანეთის ყურისგდება არ ვიცით და ამიტომ არ გვესმის ერთმანეთის, – თქვა დედამ და ხმამაღლა გაიცინა.

– თავის ტკივილის წამალი ხომ არ გაქვთ? – იკითხა მოულოდნელად კუკარაჩამ.

დედა ოთახიდან გავიდა, რაღაც ორი აბი და ნახევარი ჭიქა წყალი გამოუტანა კუკარაჩას.

– თუ ცოტათი გტკივა, ერთი დალიე, თუ ძალიან, ორივე. – კუკარაჩამ ორივე დალია, მერე ადგა და კარისაკენ წავიდა.

– ქალბატონო ანიკო, თუ შეიძლება, მილიციაში ჩვენებთან მოვყვე, რაც დღეს მომიყვეთ? – ჰკითხა კართან მისულმა.

– რა, კუკარაჩა?

– აი, რაც სულზე, ბოთლში გამომწყვდეულ ჯინზე და მცნებებზე თქვით.

– მოყვები, კუკარაჩა, არც ეგ სახარებაა ჩემი დაწერილი და არც ის, რაც სულზე გითხარი, არ წარმოადგენს ჩემს საიდუმლოს.

– გმადლობთ, ქალბატონო ანიკო!

– ახლა მაინცდამაინც კრებაზე ნუ მოყვები, ისე, მოყვები, სადაც გინდა, როდესაც გინდა და მე დამაბრალე, – გაეცინა დედას.

– ნახვამდის, ქალბატონო ანიკო! – თქვა კუკარაჩამ და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ორი დღის შემდეგ კუკარაჩამ სახარება დააბრუნა. დედასთვის არაფრის ახსნა არ უთხოვნია, უბრალოდ, მადლობა თქვა და წავიდა. ამის შემდეგ კუკარაჩა ჩვენს სახლში აღარ მოსულა. ისე თუ შემხვდებოდა ქუჩაში, დედას მოიკითხავდა, ლოყაზე ხელს მომითათუნებდა და წავიდოდა.

კუკარაჩას სხვა საქმე გაუჩნდა, ჩემი და ჩემი მეგორების დევნაზე გაცილებით სერიოზული, რთული და საინტერესო საქმე... რასაც აწი კუკარაჩაზე მოგიყვებით, თუ ჩემი თვალით ნახული არა, ზოგი უბანში დარხეული ან მილიციიდან გამოსული ჭორია და ზოგიც მართალი ამბავი.

სამჯერ გამოიძახა კუკარაჩამ ინგა მილიციაში. არც ერთხელ არ გამოცხადდა ინგა. ბოლოს კუკარაჩა თავად შეუყვა ქობულეთის აღმართს. ინგა არ დახვდა სახლში. მეზობლებში მოიკითხა.

– მაგას შენ ეგრე ადვილად ვერ მიიყვან მილიციაში, ძალიან აჩაინი ვინმეა, – უთხრა მეეზოვე შაქრომ. კუკარაჩამ კარის ჭუჭრუტანაში დაუტოვა ინგას უწყება და უკან გაბრუნდა. გზაში მკერდზე წაბლისფერნაწნავგადმოფენილი, საშუალო ტანის, ოდნავ სრული და ლამაზი ქალიშვილი შეხვდა. ისე უდარდელად და არხეინად მოიქნევდა ხელჩანთას და ისე ლაღად მოდიოდა, თითქოს ეს ქვეყანა მისი იყო. კუკარაჩა გუმანით მიხვდა რაღაცას და შედგა. ქალიშვილმა ისე ჩაუარა, თითქოს ქუჩაში კაცის ნაცვლად ხე იდგა. კუკარაჩა შეტრიალდა და ახლა ზურგიდან გააყოლა თვალი მის მოხდენილ ტანსა და ფეხებს.

ქალიშვილმა იგრძნო მამაკაცის დაჟინებული მზერა, უცებ შემოტრიალდა, დოინჯი შემოირტყა და ძალიან გამომწვევად დადგა. კუკარაჩას ხმამაღლა გაეცინა.

– რა გაცინებს?! – კოპები შეიკრა ქალიშვილმა.

– თქვენ ინგა ხომ არ ბრძანდებით?

– დავუშვათ, ინგა ვარ, მერე?

– დავუშვათ კი არა, ნამდვილად თუ ხართ? – სერიოზულად ჰკითხა კუკარაჩამ.

– დიახ, ინგა ვარ, შენ ვინა ხარ?

– მე ის კუკარაჩა ვარ, სამჯერ რომ დაგიბარეთ მილიციაში.

– ააა! – გააგრძელა ინგამ. – რა გნებავთ, კუკარაჩა? – ჰკითხა და უფრო გამომწვევად დადგა.

– მაგას მილიციაში გეტყვით, ჩემო ინგა! – კუკარაჩა ახლოს მივიდა ინგასთან.

– შენ ჩემი მილიციაში მიყვანა ასე ადვილი გგონია? – შეეკითხა ინგა და წარბები გაკვირვებით აზიდა.

– ადვილი რომ მგონებოდა, ამ აღმართს არ ამოვასკდებოდი, – გულახდილად უთხრა კუკარაჩამ, – მაგრამ მაინც მიგიყვანთ.

– ძალით თუ წამათრევ, არ ვიცი! – გაიცინა ინგამ.

– თქვენ კი არა, ორი ტანკი მოვათრიე ძალით ფინეთიდან შტაბში. – ძალიან სერიოზულად, თუმცა ღიმილით უთხრა კუკარაჩამ.

– მართლა?

– დიახ.

– როგორ?

– მაგას ხვალ დილით ცხრა საათზე თუ მობრძანდებით ჩემთან სამსახურში, იქ მოგიყვებით. ჩემი ნამდვილი სახელი გოგი თუშურაშვილია.

– მართლა?

– მართლა!

– კუკარაჩა სჯობია.

– სჯობია და კუკარაჩა დამიძახეთ! – დართო ნება კუკარაჩამ.

– იქნებ ჩემთან წამობრძანებულიყავით და იქ გეთქვათ სათქმელი, – ინგას ხმაში მისთვის შეუმჩნევლად ზრდილობა, სინაზე, ცნობისმოყვარეობა, რიდი და პატარა შიში გაჩნდა.

– დღეს დაღლილი იქნებით, სამსახურიდან მობრძანდებით, თქვენთან სხვა დროს მოვალ, ჯერ ჩემთან მობრძანდით.

– კეთილი.

– ქალიშვილო, იქ კარში უწყება დაგხვდებათ და არ გეწყინოთ, არ მეგონა თუ ქუჩაში შემხვდებოდით, ნუ წაიკითხავთ, დახიეთ და გადააგდეთ...

– კეთილი, ბატონო!

– ნახვამდის.

– ნახვამდის.

ინგა და კუკარაჩა მთაწმინდაზე შეჩერებული ფუნიკულიორის ვაგონებივით ზანტად და უხალისოდ დასცილდნენ ერთმანეთს.

ათის ნახევრამდე ელოდა კუკარაჩა ინგას თავის კაბინეტში. მანამდე საპასპორტო მაგიდის არქივიდან ამოღებული ინგას ავტობიოგრაფია ედო წინ და მეასედ კითხულობდა.

ავტობიოგრაფია

მე, ინგა ამირანის ასული ლალიაშვილი, დავიბადე 1920 წლის 19 აპრილს, ქ. თბილისში. მამა – ამირან დავითის ძე ლალიაშვილი გარდამეცვალა 1926 წელს გულის მანკით. დედა – ანასტასია სანდროს ასული ხმალაძე–ლალიაშვილისა გარადმეცვალა 1927 წელს ტუბერკულოზით. ამის შემდეგ ვიზრდებოდი ზემოავჭალის უპატრონო ბავშვთა სახლში. აქვე დავამთავრე შვიდწლედი 1934 წ. იმავე წელს შევედი ორწლიან საპროვიზორო სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე წარჩინებით 1936 წელს. ვარ უპარტიო, გაუთხოვარი. ვმუშაობ №128 აფთიაქში წამლების გამცემად.

ამჟამად ვცხოვრობ ქ. თბილისში, ქობულეთის აღმართი №137.

ინგა ლალიაშვილი. 1936 წ.,
27 სექტემბერი,
ქ. თბილისი.

არ მოვიდა ინგა, გული ჩაწყდა და აეწვა კუკარაჩას. არ ეგონა, თუ მოატყუებდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. ინგა არ მოვიდა. კუკარაჩა წამოდგა, ქუდი დაიხურა, ავტობიოგრაფია საქაღალდეში ჩადო, უჯრა გამოაღო და... ოთახის კარი აქოშინებულმა ინგამ შემოაღო. კუკარაჩამ შვებით ამოისუნთქა და ყურებამდე გაიღიმა.

– გამარჯობათ ინგა! – დაასწრო სალამი.

– გამარჯობა, კუკარაჩა! – თქვა ინგამ და მიუპატიუებლად დაჯდა.

– გულახდილად რომ გითხრათ, აღარ გელოდით. – გამოტყდა კუკარაჩა. ინგას გაეცინა, – რა გაცინებთ?

– ის მაცინებს, რომ ნახევარი საათია მოსული ვარ.

– მერე რატომ არ შემოდით? – გაუკვირდა კუკარაჩას.

– ქალებს ასეთი წესი გვაქვს, პაემანზე ადრე მივალთ ხოლმე, სადმე დავიმალებით, მერე, როდესაც შევატყობთ, ვაუს მოლოდინის ძაფი გაუწყდაო, უცებ გამოვჩნდებით. აი მეც ფანჯარაში გიყურებდი, ტირიფს ვიყავი ამოფარებული, როდესაც დავინახე, რომ ადექი, ქუდი დაიხურე და წასვლა დააპირე, სწორედ მაშინ გამოვჩნდი... – ინგამ ისევ გაიცინა.

– ეგ ყველაფერი სწორი და ლამაზია, როდესაც საქმე სიყვარულს ეხება, – თქვა კუკარაჩამ. ინგას სახე შეეცვალა.

– რაზე მიბარებდი? – ჰკითხა ცივად კუკარაჩას და ხელჩანთა მაგიდაზე დაუდო.

– საიდან დავიწყო, ორი ტანკიდან თუ... – კუკარაჩამ ინგას ხელჩანთა გვერდზე გადადო.

– შენი ორი ტანკის ამბავი მთელმა თბილისმა იცის, საქმიდან დაიწყე. – თქვა ინგამ და ხელჩანთა კალთაზე დაიდო. კუკარაჩამ უჯრიდან ინგას მეზობლების განცხადება ამოიღო, იქ გადაკეცა, სადაც მეზობლები გვარს აწერდნენ, გადახია და განცხადება წინ დაუდო ინგას. გადანახევი ისევ უჯრაში ჩადო.

ინგამ განცხადება ხელში აიღო. კუკარაჩა თვალს არ აცილებდა მისი სახის გამომეტყველებას. ინგა ჯერ სკამზე აწრიალდა, მერე გაწითლდა, მერე გაფითრდა, ხელები აუთრთოლდა, თვალები ცრემლებით აევსო, უცებ წერილი შუაზე გადახია და მაგიდაზე და–აგდო.

– მაგის დახევა არ შეიძლება, ქალბატონო ინგა, – უთხრა კუკარაჩამ და გადახეული განცხადების ნაწილები შეაპირისპირა.

– უკაცრავად, – თქვა ინგამ და ცრემლები გადაყლაპა. – ქალამნიშვილის დაწერილია.

კუკარაჩას ძალიან გაუკვირდა, რადგან ინგამ სწორედ იმ ქალის გვარი თქვა, რომელიც წითელი ფანქრით აწერდა ხელს.

– ჯერ ერთი, ამ განცხადებას ძალიან ბევრი ხალხი აწერს ხელს, მერე მეორე, რატომ გგონია, რომ იგი მარტო ქალამნიშვილის მიერ არის დაწერილი? – ჰკითხა კუკარაჩამ.

– იმიტომ, რომ ქალამნიშვილი ძველი ნაბოზარია, დაბერდა, ახლა არავის აღარ უნდა, აღარავინ ეკარება და შურს ჩემი...

– შენ რა გაქვს შესაშური, ერთი ნაძირალა, ქურდი, ყომარბაზი და მორფინისტი გყვარობს, – შეაწყვეტინა კუკარაჩამ.

ინგა გაშრა.

– ის კაცი, როგორიც არ უნდა იყოს, ქმარია ჩემი... – ინგა ფეხზე წამოდგა და ჩანთა იატაკზე დაუვარდა. – ქალამნიშვილს კი აღარც ქმარი ჰყავს, აღარც საყვარელი, აღარც მტერი, აღარც მოყვარე, იგი სულ მარტოა, მარტო, ოდესღაც ულამაზესი ქალი იყო და ამიტომ შურს ჩემი... მაგრამ შენ ამას ვერასდროს გაიგებ, რადგან მამაკაცი ხარ, კუკარაჩა, და რაც მთავარია, მილიციელი... რაც ამ წერილში ცუდი სიტყვები და სიმღერებია ნახსენები, სულ ქალამნიშვილის სახლიდან მაქვს გაგონილი და ნასწავლი. ეს მაგასთან იკრიბებოდნენ ყომარბაზები და ქურდები, მურტალოს არასდროს არავინ არ მოუყვანია ჩემთან და არც არასდროს მოსულა მთვრალი, იმიტომ რომ ვუყვარვარ და არ მკადრებს ასეთ რამეს... – ინგას აშკარად უღალატა ნერვებმა, სახე ლაქებისაგან აუჭრელდა და ტუჩები გაუფითრდა. როგორც იქნა, მოიფიქრა და დაჯდა.

– როდის არის ხოლმე სახლში? – ჰკითხა კუკარაჩამ. ინგამ იჭვით გახედა კუკარაჩას.
– იგი არასოდეს იბარებს, როდის მოვა.
– ყაჩაღივით, არა?
– მურტალოზე ვერავინ იტყვის თბილისში, რამე მომპარა და წამართვაო, – თქვა ამაყად ინგამ.
– ვიცი. ჩვენს კარტოთეკაში წერია შენს ანგელოზ ქმარზე, რომ იგი ძალიან საშიში რეციდივისტია, საქართველოში არ ქურდობს, არის ოთხჯერ ნასამართლევი, აქედან ორჯერ მკვლელობისათვის და არ დახვრიტეს მხოლოდ იმიტომ, რომ მასავით ნაძირალები დახოცა. აი, ვინ არის შენი საყვარელი„ – ჩამოუყაჭა კუკარაჩამ მურტალოს ყველა ღირსება.
– მე მიმიფურთხებია თქვენი კარტოთეკისათვის, შენ შეგიძლია ყოველდღე ქალს ერთი კალათა წითელი ვარდი მიართვა? – ჰკითხა მან კუკარაჩას.
– რატომაც არა! ჩვენს უბანს სულაც ვარდისუბანი არ ჰქვია? – გაეცინა კუკარაჩას.
– ზამთარშიც?
– ზამთარში ცოტა გამიჭირდება, – გამოტყდა კუკარაჩა.
– ჰოო, მურტალოს კი შეუძლია, – ნიშნის მოგებით მიუგო ინგამ, – შენ შეგიძლია ყოველ თვე ქალს ათასი მანეთი მიუტანო?
– ათას მანეთს როგორ მივუტან, როდესაც ხელფასი რვაასი მანეთი მაქვს, – გაუკვირდა კუკარაჩას.
– მურტალოს კი შეუძლია! შენ შეგიძლია ყოველი ახალი წელი და დაბადების დღე მიულოცო ქალს, სადაც არ უნდა იყო და რა დროც არ უნდა იყოს? არ შეგიძლია. მურტალოს კი შეუძლია. „ღმერთო, რა სულელია დედაკაცი, მაინც წამოსცდა, როდის ხვდება იმ ნაძირალას“... – გაიფიქრა კუკარაჩამ. – შენ შეგიძლია მთელი უბნის ბიჭები ჩამომაცილო და დედოფალივით მარტო მატარო? არ შეგიძლია, მურტალოს კი შეუძლია! რატომ? იმიტომ რომ მურტალოს არავისი არ ეშინია დედამიწის ზურგზე, არც მილიციის, არც შენი. შენ კი გეშინია მურტალოსი...
– კუკარაჩას შემშინებელი კაცი ჯერ არ დაბადებულა! – წყნარად ჩაურთო ისტერიკაში ჩავარდნილ ინგას კუკარაჩამ.
– მართლა? – წარბები აქაჩა ინგამ.
– მართლა! – მოკლედ მოუჭრა კუკარაჩამ.
– ახლა რა გინდა ჩემგან, რაზე დამიბარე? – ჰკითხა ინგამ.
– არაფერი, ხელწერილი უნდა დამიდო, რომ განცხადებაში აღნიშნული ფაქტები არ განმეორდება.
– რაც არ ყოფილა, იმაზე ხელწერილი როგორ დავდო? – გაიკვირვა ინგამ.
– მაშინ ის დაწერე, რომ განცხადებაში აღნიშნული ფაქტები ტყუილია და ცილისწამება, – მოუჭრა კუკარაჩამ.
კუკარაჩა შეუძლებელს არაფერს არ სთხოვდა ინგას. ინგამ დაწერა და წასასვლელად მოემზადა. კუკარაჩამ ვერ მოითმინა და ჰკითხა:
– ინგა, თუ არ გეწყინება, მითხარი, მართლა გიყვარს ის ბინძური კაცი თუ გეშინია მისი? – ინგა დიდხანს იდგა ჩაფიქრებული.
– იცი შენ, კუკარაჩა, რა არის სიყვარული? – ჰკითხა ბოლოს.
კუკარაჩამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.
– აბა, მითხარი.
– ყველაზე დიდი ნიჭი, რაც ღმერთმა ადამიანს უბოძა... და უბედურია ის კაცი, ვინც ამ ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან.
– ვინ გასწავლა შენ ეგ, კუკარაჩა? – ჰკითხა ჩურჩულით ინგამ.
– ქალბატონმა ანიკომ.
– ვინ არის ქალბატონი ანიკო.
– არის.
– და შენ განგიცდია ეს ნიჭი? – ჰკითხა ინგამ.
– ჯერ არა, – უპასუხა კუკარაჩამ, – შენ? – ჰკითხა თავის მხრივ.
ინგამ არაფერი უპასუხა, შეტრიალდა, კარი მიხურა და წავიდა.
კუკარაჩას ერთხანს ესმოდა მისი ქუსლების პაკაპუკი დერეფანში და როდესაც ხმა მიწყდა, უჯრა გამოაღო, მოხეული სია გუმიარაბიკით მიაწება განცხადებას, ისევ უჯრაში ჩადო, ადგა და ფანჯარას ხელი ჰკრა, ოთახიდან დახუთული ჰაერი რომ გასულიყო. ფანჯარას ხელი ჰკრა კუკარაჩამ და გაშტერდა: ტირიფის უკან ინგა იდგა და კუკარაჩას უყურებდა.

Народному комиссару
внутренних дел ГССР

Прошу довести до сведения всех органов милиции республикиЈ в ночь ѕ . на ; марта в гу Таганроге ограблен ювелирный магазину Похищены драгоценности стоимостью “:Іу„/:ру“?ку

УстановленоЈ один из скрывшихся участников грабежа грузинѣ по кличке ∂Мурталоѳ 8фамилия неизвестна9у

Объявлен всесоюзный розыску

ПриметыЈ – коренастыйѣ среднего ростаѣ верхняя губа рассеченаѣ два золотых зубау

Начу уголовного розыска Нарком

внудела СССРу №№ марта №;“? гу

ახლა ამ რადიოგრამის ასლი, ისევე, როგორც ყველა მილიციის თანამშრომელს, კუკარაჩასაც წინ ედო. მისთვის ამ რთული ოპერაციის შესრულება და თუნდაც მასში მონაწილეობა არავის დაუვალებია. ასეთ ოპერაციებს თავად დავითი ატარებდა და ხელ–მძღვანელობდა ხოლმე. ამჟამად მილიციის ყველა ოპერრწმუნებულსა და თვით დავითსაც ღიმილს ჰგვრიდა ეს გულუბრყვილო რადიოგრამა. მურტალო სწორედ ის ჩიტი იყო, რომ ასეთი საქმის შემდეგ თბილისში ჩამოფრინდებოდა, საკუთარ ბუდეში ჩაჯდებოდა, შიგ კვერცხებს ჩადებდა გამოსაჩეკად და დაელოდებოდა, როდის მიაკითხავდა მილიცია!

ერთი კვირა მაინც უთვალთვალეს ინგას სახლს. ბოლოს, არაფერი რომ არ გამოუვიდათ, თავი დაანებეს – თვითონ რუსეთში მოუვლიანო – და ხელი ჩაიქნიეს.

ყველა ასე ფიქრობდა, კუკარაჩას გარდა.

ცხრამეტ აპრილს, ღამის პირველ საათზე კუკარაჩამ ინგას სახლის კარი შეაღო და გაშიშვლებული ნაგანით გასასვლელში დადგა.

მაგიდას ორნი უსხდნენ – ინგა და მურტალო. მურტალოს შამპანურის გაუხსნელი ბოთლი ხელში შეაცივდა. მან ჯერ ინგას შეხედა, შემდეგ კუკარაჩას და ბოთლის მაგიდაზე დადგმა დააპირა.

– არ გაინძრე, მურტალო! – უბრძანა კუკარაჩამ. იგი მიხვდა, რომ მურტალოს იარაღი მარჯვენა ჯიბეში ედო და ხელის განთავისუფლება უნდოდა.

– მაგრად მოუჭირე მაგ ბოთლს ხელი და ცოტათი მაღლა ასწიე!

მურტალომ ბოთლი ოდნავ მაღლა ასწია. უცებ კუკარაჩას ნაგანმა იგრიალა, ბოთლს თავგასიებული საცობი წააგლიჯა და ბოთლიდან ქაფმა იფეთქა. ეს ქაფი ინგას და მურტალოს ახლა თავზე ესხმებოდა, მაგრამ არც ერთი არ გატოკებულა, კუკარაჩამ ნაგანი მაცხენა ხელში გადაიგდო. მაგიდას მიუახლოვდა, სკამის საზურგეზე გადაკიდებული ფრენჩი საჩვენებელი თითით აწონა, რომ ემსუბუქა, ისევ დაჰკიდა, მერე მარჯვენა ჯიბიდან რე–ვოლვერი ამოუცურა მურტალოს და საკუთარ ჯიბეში ჩაიდო. მაგიდას მესამე კაცად მიუჯდა და ჭიქა დაიდგა.

– შეგიძლია დაასხა! – უთხრა მურტალოს. მურტალომ ბოთლში ჩარჩენილი შამპანური ჩამოასხა.

– შეიძლება, დავჯდე? – ჰკითხა მწარე ღიმილით მურტალომ.

– რა თქმა უნდა, მაგრამ იმდენ ხანს მოგიწევს ჯდომა, რომ შენს ადგილზე მე ფეხზე დგომას ვირჩევდი, – გაეღიმა კუკარაჩას.

– ხუმრობ. კარგია, როდესაც მილიციელი ხუმრობს, – თქვა მურტალომ და დაჯდა.

– მე კუკარაჩა ვარ.

– გიცნობ! – თავი დაუქნია მუნრტალომ, – რატომ ფანჯრიდან არ შემოდი?

– იმიტომ, რომ კარიდან არ გასულიყავი.

– საიდან იცი, რომ კარი ღია იყო?

– მეთოდები დაგიძველდა, მურტალო, ახლა მაგას არავინ ჭამს, – უპასუხა კუკარაჩამ.

– კარგად ისვრი ნაგანს! – შეაქო მურტალომ.

– დანასაც, ხუთიდან ორს ცხრიანში ვასობ, სამს ათიანში, ნაგანიდან ხუთს ათიანში, ორს ცხრიანში, მანძილი ხომ არ გაინტერესებს? – ჰკითხა კუკარაჩამ. მურტალომ ისევ მწარედ ჩაიღიმა.

– რა გინდა, კუკარაჩა, რაზე მოდი. ხომ იცი, მე საქართველოში არ ვმუშაობ, ადგილობრივ ხელისუფლებას არ ვაწუხებ, დურის ტარებისათვის სროკს ნუ ამკიდებ, არ მეკადრება მე, მურტალოს, იარაღზე ჯდომა. არ გემუქრები, მაგრამ, ხომ იცი, ციხეს ორი კარი აქვს, ერთი შესასვლელი... – მურტალოს მარჯვენა ხელი აუთამაშდა და ხელი ფრენჩისაკენ წაიღო.

– არ გინდა, მურტალო! – მშვიდად გააფრთხილა კუკარაჩამ და ნაგანი ფეხზე შეაყენა.

– პაპიროსი მინდა! – დაიღრინა მურტალომ.

– პაპიროსი შეიძლება.

მურტალომ პაპიროსი ამოიღო ფრენჩის ჯიბიდან, მოუკიდა და ისეთი ნაფაზი დაარტყა, შუამდე ჩაიყვანა.

– რისი სადღეგრძელო დავლიოთ? – ჰკითხა კუკარაჩამ მურტალოს.
– მილიციის! – გაიღრიჭა მურტალო და ახალ პაპიროსს მოუკიდა.
– გაუმარჯოს მილიციას! – თქვა კუკარაჩამ და ჭიქა გამოსცალა. არავინ მხარი არ აუბა.
– მაშ, დურის ტარებისათვის ნუ გაგაფუჭებ, არა? – ჩაჰკითხა მურტალოს.
– ჩემმა მზემ, არ ღირს, კუკარაჩა, მურტალოს დურის გამო გაფუჭება. – თქვა მრავალმნიშვნელოვნად მურტალომ. კუკარაჩა ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე ამდენ ხანს უხმოდ მჯდარ და პირგამეხებულ ინგას მიუბრუნდა.
– ქალბატონო ინგა, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ გთხოვთ მოიძროთ ეგ ბრილიანტის საყურეები, ბრილიანტის ბეჭედი და მაგიდაზე დააწყოთ.
ინგას სახეზე ცეცხლი წაეკიდა.
– კუკარაჩა, ასე ძვირია ეგ დამპალი საქმე? ქალს თავი დაანებე და მაყუთი წაიღე, – ურჩია მურტალომ.
– ტაგანროგის საიუველირო მაღაზიიდან წამოღებული დანარჩენი ნივთები სად გაქვს, მურტალო? – სხვათა შორის ჰკითხა კუკარაჩამ. მურტალომ რაღაცის თქმა დააპირა, პირიც კი გააღო, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა და თავი ჩაჰკიდა. ასე იჯდა დაახლოებით ხუთი წუთი. უცებ გიუივით წამოვარდა და ვიდრე კუკარაჩა რაიმეს მოიმოქმედებდა, ანთებული პაპიროსი ინგას თვალისაკენ გააქანა. ინგამ შეჰკივლა, თავი ოდნავ გადასწია და მის ლოყაზე მარცხენა თვალის ქვეშ საზარელი, ყაყაჩოსავით წითელი იარა გაჩნდა.
– გამყიდე, ნაბოზარო?! – მოასწრო დასისინება მურტალომ და კუკარაჩას ძლიერი დარტყმისაგან გულშელონებული გულაღმა გადავარდა, კუკარაჩამ ჯერ ხელები გაუთოკა მურტალოს, მერე ინგასთან მივიდა და იარაზე დახედა.
– როგორ ვერ მოვასწარი! – თქვა სინანულით. ინგა კარადასთან მივიდა, იარაზე რაღაც საფენი დაიდო და იქვე დარჩა. მურტალო გონს მოვიდა. კუკარაჩამ საყელოში ხელი ჩაავლო და ფეხზე წამოაყენა.
– ძალიან დამპალი ყოფილხარ, მურტალო, შენი ნათლია არ შემცდარა, – უთხრა კუკარაჩამ.
– ეგრე უბრალოდ ვერ გამოხვალ ამ საქმიდან, კუკარაჩა, შენი გადახსნილი ვენებიდან სისხლი თუ არ დავლიე, მურტალო არ ვიყო!
– ჯერ ჩემ რიგია, – უთხრა კუკარაჩამ და ხელის კვრით წინ გაიგდო. წინ გაიგდო კარისკენ და მოხდა ის, რასაც კუკარაჩა ვერასოდეს ვერც იფიქრებდა და ვერც წარმოიდგენდა, უცებ მის წინ ინგა დადგა და მუხლებზე დაეშვა.
– არ დამღუპო, კუკარაჩა, არ წაიყვანო, თორემ მერე რომელი ქურდი დამიჯერებს, რომ მე არ გავყიდე და არ დავასმინე მილიციაში... არ დამღუპო, კუკარაჩა, აი დაჩოქილი გემუდარები და ხელებს გიკოცნი... – ინგა ცხელი ტუჩებით დაეწაფა კუკარაჩას გაყინულ ხელებს. – გაუშვი, კუკარაჩა, თუ ვაუკაცი ხარ და გეცოდები, თორემ ერთ ღამეს ყელგამოღადრულს მნახავ ამ აღმართზე.
– რას ამბობ, ქალო, ამ ნაძირალას გულისთვის როგორ იმცირებ თავს? – ადექი ახლავე!
– არა, კუკარაჩა, შენ მერე ვერ დამიცავ მე, გაუშვი, შენი სიცოცხლის ჭირიმე! დედას გაფიცებ, კუკარაჩა, ოღონდ ჩემი სახლიდან უვნებელი გაუშვი...
– რას მეუბნები, ქალო, მე სახელმწიფო დავალებას ვასრულებ, შენ კი მთხოვ ეს ყაჩაღი გავუშვა?!
– თავს მოვიკლავ, კუკარაჩა... – თქვა ინგამ და კუკარაჩა მიხვდა, რომ ინგა არ აშინებდა. კაცი იყო კუკარაჩა, რკინა არ იყო და გატყდა კუკარაჩა. მან დანა ამოიღო ჯიბიდან და გაკრულ ხელებში ბაწარი შეაჭრა მურტალოს.
– წადი! – უთხრა მოკლედ.
მურტალო ყურებს არ უჯერებდა.
– წადი! – უთხრა ინგამ.
მურტალო კარისკენ წავიდა.
– ფანჯრიდან! – უთხრა კუკარაჩამ. მურტალო დაბრუნდა და ფანჯრიდან გადაძვრა. ათი წუთის შემდეგ კუკარაჩამ ფანჯარას ტყვია ესროლა. ინგა ფეხებზე მოეხვია კუკარაჩას და გულამოსკვნილი აქვითინდა.
– ადექი! – უთხრა კუკარაჩამ...
– რა გეშველება ახლა შენ? – ჰკითხა ინგამ.
– რამე მეშველება, – თქვა კუკარაჩამ, ნაგანი ქამარში გაირჭო, ინგა ფეხზე წამოაყენა და ვიდრე კიდევ რამეს ეტყოდა, კუკარაჩამ კარი გაიხურა და ეზოში გავიდა.
ყველა მეზობლის ფანჯარა ჩამქრალი იყო, მაგრამ კუკარაჩა შანთივით გრძნობდა სარკმელზე აწებებულ მეზობლების ცნობისმოყვარე, შეშინებულ და საზიზღარ მზერას.

მილიციის უფროსის კაბინეტის კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი. კუკარაჩა თავჩაღუნული იჯდა სკამზე, დავითი კი გალიაში გამომწყვდეული აფთარივით აწყდებოდა ოთახის კედლებს

და თითებს იმტვრევდა. დროდადრო კუკარაჩას პირდაპირ შეჩერდებოდა და ცოფიანივით ულრენდა.

– …შენ მურტალო შენი ვაკელი ლაწირაკები ხომ არ გეგონა?.. კაცზე საკავშირო ძებნაა გამოცხადებული, ეს კრეტინი შერლოკ ჰოლმსი კი მიდის და ოპერაციას მარტო ატარებს… მაინც რა დაარქვი ოპერაციას – „ვაკელი კუკარაჩა“ თუ „ინგა და კუკარაჩა“? – დავითი წყლით სავსე გრაფინს ეცა და ბოლოში ჩაიყვანა, – ტრიბუნალს გადაგცემ, როგორ გაბედე და არ შემატყობინე თუ იცოდი?!

– საიდან უნდა მცოდნოდა, დაბადების დღეზე მივედი ქალთან და შემთხვევით უცხო კაცი დამხვდა… – თავაუღებლად ბუტბუტებდა კუკარაჩა.

– რის უცხო, რა უცხო, შენ ვის ატყუებ, ან იმ ქალთან რა გინდოდა შუაღამისას!

– როდესაც მოვიცალე, მაშინ მივედი.

– რა შენი მეგობარი და დეიდაშვილი ეგ არის, თუ გაგიჟდი და სიყვარულობანას თამაში დამიწყე უბნის კახპასთან?!

– ეგ ჩემი მოვალეობაა, – დინჯად თქვა კუკარაჩამ.

– რაო? – გადაირია მილიციის უფროსი.

– ჩემი მოვალეობაა, მორალური ზეგავლენა მოვახდინო…

– გაჩერდი, თორემ შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ! მივარდა დავითი. კუკარაჩამ თვალი აარიდა. – თუმცა ვის წარვუდგინო ვექსილები, ჩემი ბრალია. შენ მილიციაში რა გინდოდა?! ტვინი უკუღმა გიდევს თავში… შენ ერთი დიდი საბავშვო ბაღის გამგე უნდა იყო…

– კაცო, აკი გითხარი, შემთხვევით გადავეყარე და გამექცა–მეთქი…

– მაშინ ის ორი გასროლა რაღა იყო? – ჰკითხა დავითმა.

– ორი გასროლა?.. გაიქცა და ავაცილე…

– ერთი საათის შემდეგ? – არ მომეშვა დავითი.

– გამექცა, ბიჭო, და მომკალი! კაცი არ გაგქცევია? ღმერთი არა გწამს? თუ გინდა, ახლა შენს წინ თავი მოვიკლა? – ამოიგმინა კუკარაჩამ. დავითი მუხლმოკვეთილი დაეშვა სკამზე და ორივე ხელი თავზე იტაცა. დიდხანს იჯდა ასე, მერე საწერ–კალამი და ქაღალდი დაუდო წინ კუკარაჩას.

– რაც გინდა დაარქვი, გინდ განცხადება, გინდ თხოვნა, გინდ მუდარა, ოღონდ შიგ დაწერე, რომ მიდიხარ, მუშაობა აღარ გინდა და მიდიხარ… – დავითმა ზურგი შეაქცია კუკარაჩას.

დრო გადიოდა, კუკარაჩა კი კალმისტარს ხელში არ იღებდა. დავითი მიხვდა, რომ კუკარაჩას ტვინში რაღაც საშინელი ხდებოდა, ამიტომ თავი ხელში აიყვანა, ნერვები მოთოკა და რაც შეეძლო მშვიდად ჰკითხა.

– თქვი, კუკარაჩა, რა ხდება?

– შენ იცი, დავით, მე არც განცხადების დაწერისა მეშინია, არც მილიციიდან წასვლისა, მე ერთი რამ მაწუხებს უფრო, შენ არ დაგკარგო და, რაც მთავარია, საკუთარი თავის პატივისცემა არ დამეკარგოს… ამიტომ გთხოვ, ნუ გამაგდებ, ცოტა მაცალე, ჩემს ჩადენილ შეცდომას მე თვითონ გამოვასწორებ… მოვკვდები და გამოვასწორებ… – კუკარაჩამ დაამთავრა ლაპარაკი. დავითმა შიდა ყურმილი აიღო.

– გაბო, შემოდი, თუ კაცი ხარ! – თქვა და ყურმილი დაკიდა.

– რას მიპირებ? – ჰკითხა კუკარაჩამ.

– ცოტას გაგაგრილებ.

– რამდენი ხნით?

– ვიდრე ჭკუას არ ისწავლი.

– სამუდამო პატიმრობას მისჯი? – მწარედ გაიღიმა კუკარაჩამ, – ისე, ვიდრე გაბო მოვიდოდეს, გეტყვი, პირადად მე ინგას ამ ქვეყნისაკენ შემობრუნება უფრო დიდ საქმედ მიმაჩნია, ვიდრე იმ შენი დამპალი მურტალოს დაჭერა…

– რაო? – გაფითრდა დავითი, – ესე იგი, გაუშვი?!

– თავიდან დაიწყე? აკი გითხარი, გამექცა–მეთქი!

დავითი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ კაბინეტში მისი მოადგილე გაბო შემოვიდა.

– გამარჯობათ! – თქმა მან. სალამზე არავინ უპასუხა. გაბო მიხვდა, შეკითხვების დრო არ იყო და გაიტრუნა.

– აჰყარე იარაღი და კარცერში ჩასვი! – უბრძანა დავითმა.

– კარცერი დაკავებულია!

– ვინ ზის შიგ?

– მთაწმინდელი ქურდი აპო.

– არავითარი აპო, გამოუშვით და ეგ ჩასვით.

– აპოს რა ვუყოთ?

– რაც გინდათ ის უყავით, გაუშვით.

– როგორ?

– რა დააშავა?

– ვერაზე მებუფეტე სცემა. ზედმეტი უანგარიშა.
– გაუშვით!
– სად?
– თქვენ ყრუ ხომ არა ხართ, ამხანაგო კაპიტანო, გაუშვით სახლში ის აპო, და მის ადგილზე კარცერში ჩასვით გიორგი თუშურაშვილი, კუკარაჩა, გასაგებია?
– არის, ამხანაგო მაიორო! – გაიჭიმა გაბო. და ვიდრე გაბო კუკარაჩას იარაღს აჭყრიდა, დავითი კაბინეტიდან გავიდა.

იმ დღიდან კუკარაჩას ცხოვრებაში რაღაც მოხდა. ზოგი ამბობდა, კუკარაჩას ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდაო, ზოგი ამბობდა, პირიქით, წაღმა დატრიალდაო, ზოგი ამბობდა, კუკარაჩაში ანგელოზი ჩასახლდაო, ზოგი ამბობდა, პირიქით, სატანაო. ერთი სიტყვით ზემელიდან ვიდრე სასაფლაომდე და ვერიდან ვიდრე მთაწმინდამდე ხალხს სხვა სალაპარაკო და საჭორაო არ ჰქონდა.
– გუშინ კუკარაჩა აფთიაქში უნახავთ...
– რაღაც ქობულეთის აღმართზე მოუხშირა კუკარაჩამ სიარულს...
– ეს ინგა ისე ინაზება თითქოს მურტალოს საყვარელი მე ვიყავი...
– მალე ვნახავთ მაგათ ნაწლავებს ერთმანეთზე გადასკვნილს მურტალოს ხელიდან...
– ძველებურად ვეღარ აცვია ინგას, მაგრამ რაღაც ბედნიერღიმილიანი დადის...
– ეგ თავისას მაინც არ მოიშლის...
– ერთი კვირაა კუკარაჩა დილის ექვს საათზე მაგის სახლიდან გამოდის...
– ხელი ხომ არ მოაწერეს?..
– ხელი არა...
ასე იყო თუ ისე, ინგასა და კუკარაჩას სახელები შედუღაბდა.

დედა და მე სტუმრად ვიყავით დეიდა ანისოსთან და იქიდან ვბრუნდებოდით. დეიდა ანისო დედაჩემის სიყრმის მეგობარი იყო, ანასტასიევის ქუჩაზე ერთ სახლში ვცხოვრობდით და ჩვენი ნიკო მარის ქუჩაზე გადასვლის შემდეგ კვირა არ გავიდოდა, ერთმანეთი არ ენახათ. მე მუდამ თან დავყავდი დედას. მთელი დღე ისხდნენ და ჭორაობდნენ ძველი მეგობრები, მე კი მანამდე დეიდა ანისოს შვილთან, ზურაბთან ერთად ბურთს ვთამაშობდი ხელისგულისოდენა ეზოში.
ჰოდა, იმ დღეს დეიდა ანისოსაგან ვბრუნდებოდით მე და დედა. გზაში დედას ვუყვებოდი, მე და დუდუმ, ვარაზის ხევზე რომ წყალსადენის წვრილი მილია გადებული, იმაზე თვალახვეულებმა გავიარეთ–მეთქი. დედა გულიანად იცინოდა.
– აბა, თუ იცი, ასეთი ცრუპენტელა რატომ ხარ?! – მკითხა, სიცილით რომ გული იჯერა.
– რატომ? – დამაინტერესა გულწრფელად, რადგან აშკარად ვგრძნობდი, ხანდახან მართლაც აუტანელი ცრუპენტელა ვიყავი.
– იმიტომ, რომ შენ როდესაც გამიჩნდი, სტუდენტი ვიყავი, მომვლელი არ მყავდა და ინსტიტუტში წასვლისას შენს თავს დედა ანისოს ვუტოვებდი. ის ჩემი ცოდვით სავსე კი, რომ არ გეტირა, ცარიელ ძუძუს გაწოვებდა. ჰოდა, ცნობილია, ვისაც ბავშვობაში ცარიელი ძუძუ უწოვია, ყველა ცრუპენტელაა... – ახლა მე და დედა ერთად ვიცინოდით.
ვერის ბაზართან კუკარაჩა შეგვხვდა. გვერდით სადად ჩაცმული, ლამაზი ქალი მოჰყვებოდა. მე ხელათ ვიცანი, ინგა იყო.
– გამარჯობათ ქალბატონო ანიკო, – მოწიწებით მიესალმა კუკარაჩა დედაჩემს.
– სად დაგვეკარგე, კუკარაჩა, როგორ ხარ? – დედას ისე გაუხარდა კუკარაჩას დანახვა, გაუჩერდა კიდევაც.
– რაო, ქალბატონო ანიკო, თამაზი ხომ არ გაბრაზებთ? მითხარით და ტყავს გავაძრობ! – კუკარაჩამ თავზე გადამისვა ხელი.
– რას ამბობ, შენი ლექციების შემდეგ სულ აბრეშუმის ჭიასავითაა, ეგ არის, ცოტა ტყუილები ისწავლა.
– ცოტა ტყუილები ყველამ ვიცით, ქალბატონო ანიკო! – გამამართლა კუკარაჩამ და ინგას გახედა, რომელიც გვერდზე გამდგარიყო და უხერხულად იღიმებოდა.
– გაიცანით, ქალბატონო ანიკო, ჩემი მეგობარია, ინგა ლალიაშვილი! – დედამ ხელი გაუწოდა. ინგამ გაუბედავად ჩამოართვა ხელი.
– მაშ, ეს არის ინგა? რა კარგი გოგო ყოფილა?! – თქვა დედამ.
– თქვენ საიდან იცით ინგა, ქალბატონო ანიკო? – გაუკვირდა კუკარაჩას.
– ახლა, ჩემო კუკარაჩა, მთელი მსოფლიო შენზე, ინგაზე და საბჭოთა კავშირ–გერმანიის ხელშეკრულებაზე ლაპარაკობს, მეტი არაფერზე. – გაეცინა დედას. ინგა გაწითლდა.
– რა მართალი ბრძანდებოდით მაშინ, ქალბატონო ანიკო... – თქვა კუკარაჩამ.
– როდის, კუკარაჩა?

– აი მაშინ, ის რომ ბრძანეთ... ცოდვაა კაცი იმ ნიჭის განცდის გარეშე წავიდეს ამ ქვეყნიდანო...
– ჰოო, – გაახსენდა დედას.
– გმადლობთ, ქალბატონო ანიკო!
– მე რა შუაში ვარ?
– მაინც გმადლობთ.
– არაფრის.
– ნახვამდის.
– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! – დაილოცა დედა.
კუკარაჩა და ინგა წავიდნენ.
– რა კარგი გოგოა, – გაიმეორა დედამ და თვალი გააყოლა.
– ძალიან! – დავუდასტურე მე.
– Тоже мне специалист! – წამარტყა დედამ, მერე მარჯვენა ხელისგულზე დაიხედა და მოიფშვნიტა.
– რა უცნაურად სასიამოვნო და თბილი ხელი ჰქონდა იმ გოგოს, – თქვა თავისთვის.

იმ დღიდან კიდევ რამდენიმე თვე გავიდა და ის იყო, ვირების დოღის დროს, დეიდა მართას ეზოში ზევერა შემოვარდა, ხელები გაშალა და გიჟივით იკივლა:
– კუკარაჩა მოკლეს!!!
ათ წუთში მთელი ვაკე ქობულეთის აღმართზე იყო...
ორმა სანიტარმა და ორმა მილიციელმა გამოასვენეს საკაცით კუკარაჩა ინგას ოთახიდან.
ღიმილი ცოცხალივით შერჩენოდა სახეზე. არც ერთი დაკვნესება, არც ერთი „მიშველეთ!“ და არც ერთი „ვაი დედა!“
ლამაზად მოკვდა კუკარაჩა...
დავითმა მიწაზე დამხობილ ინგას მხარზე შეახო ხელი. ინგამ ქვევიდან ზევით ამოხედა ამღვრეული თვალებით.
– საით წავიდა? – ჰკითხა.
ინგამ უძოსკენ გაიხედა.
დავითმა ხალხის წრე გაარღვია და ისე დაადგა უძოსაკენ მიმავალ ბილიკს, როგორც ნაგაზი დაადგება ხოლმე მგლის ნაკვალევს.
დილით ბეთანიის ეკლესიიდან ცხენით ჩამოიტანა დავითმა მურტალოს სახეწაშლილი სხეული და მილიციის ეზოში დააგდო. მურტალო ცოცხალი იყო. სუნთქავდა.

ზუსტად ერთი თვის თავზე, მრგვალ ბაღთან რომ სასამართლოა, იქ მურტალოს სასამართლო პროცესი გაიმართა. პროცესზე დასწრების მსურველებს ერთი ციცქნა დარბაზი კი არა, ბაღიც ვერ იტევდა. დარბაზიდან გამოსული ყოველი სიტყვა ჩურჩულით გადადიოდა ბაგიდან ბაგეზე, ყურიდან ყურში...
დედა სასამართლოზე არ დადიოდა. დავდიოდი მე. სასამართლოდან დაბრუნებულს ხარბად და დაწვრილებით მეკითხებოდა სხდომაზე მომხდარ ამბავს.
ეს იყო უნიკალური სასამართლო, ბრალდებულს დამცველი არ ჰყავდა. ვერც ერთმა თბილისელმა ვექილმა ვერ გაბედა მურტალოს დაცვა. ეს იყო პირველი შემთხვევა უბანში, როდესაც ხალხს ხალხისა უფრო ეშინოდა, ვიდრე ქურდებისა...
სასამართლო სამ დღეს გრძელდებოდა, დილიდან გვიან საღამომდე, პატარ–პატარა შესვენებებით. ბევრი მოწმე დაჰკითხეს, უფრო მეტი ბრალდება წაუყენეს მურტალოს – ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი...
მესამე დღის დილის სხდომა ისტორიული გამოდგა. მესამე დღეს ინგა, რომელიც სასამართლოზე არ დადიოდა, მოვიდა, მოვიდა დავითის თხოვნით.
მოვიდა ლამაზი და მკაცრი, როგორც ამორძალი. თავით ფეხამდე შავებში გამოწყობილი და მიტკალივით სახეგაფითრებული. იგი დავითის თანხლებით შემოვიდა გატრუნულ დარბაზში და ისე დადგა მოსამართლისა და მსაჯულების წინ, რომ მურტალოსაკენ, რომელიც სახედაგლეჯილი და თავგადახოტრილი იჯდა მოაჯირს მიღმა ორ მილიციელს შორის, არც გაუხედავს.
ფორმალური პროცედურის შემდეგ დაკითხვა დაიწყო.
მოსამართლე: – მოუყევით სასამართლოს, რა იცით არსებული საქმის შესახებ.
ინგა: – კუკარაჩა შუადღეზე მოვიდა სახლში...
მოსამართლე: – გიორგი, არა?
ინგა: – მე ყველგან, სადაც დამჭირდება, კუკარაჩას ვიტყვი, თქვენ გიორგი იგულისხმეთ.
მოსამართლე: – კეთილი, ერთი ის მიბრძანეთ, რატომ მაინცდამაინც თქვენთან მოვიდა კუკარაჩა?
ინგა: – კუკარაჩა ქმარი იყო ჩემი...

მოსამართლე: – ბრალდებული რაღა იყო თქვენი?
ინგა: – (დიდი დუმილის შემდეგ) მურტალო?
მოსამართლე: – შალვა ფრიდონის ძე ხიზანიშვილი.
ინგა: – ასეთ კაცს მე არ ვიცნობ.
მოსამართლე: – იგი თქვენს ხელმარცხნივ ზის, ბრალდებულის სკამზე.
ინგა: – მაგ არაკაცს მურტალო ჰქვია.
მოსამართლე: – მაინც ვინ არის იგი თქვენი?
ინგა: – იგი საყვარელი იყო ჩემი, ვიდრე (დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა)...
მოსამართლე: – ვიდრე?
ინგა: – ვიდრე კუკარაჩას გავიცნობდი.
მოსამართლე: – რამდენადაც სასამართლოსათვის ცნობილია, თქვენ არც თუშურაშვილთან ბრძანდებოდით რეგისტრირებული, როგორც მეუღლე.
ინგა: – (ჯიუტად) კუკარაჩა ქმარი იყო ჩემი!
მოსამართლე: – ესე იგი, თქვენ უპირატესობას მაინც თუშურაშვილს ანიჭებდით?!
ინგა: – ბატონო მოსამართლე, თქვენ რა გაინტერესებთ, როგორ მოჰკლა ამ პირუტყვმა კუკარაჩა თუ ჩემი არჩევანი?
მოსამართლე: – დაზარალებულის მკვლელობის მოტივი, მოწმე ლალიაშვილო.
ინგა: – კუკარაჩა დაზარალებული არ არის, იგი მკვდარია (დარბაზში ჩოჩქოლი).
მოსამართლე: – (უხერხულად) განაგრძეთ.
ინგა: – კუკარაჩას ეძინა. უცებ კარი გაიღო და ოთახში მურტალო შემოვიდა, ხელში ნაგანი ეჭირა. მე შიშისაგან და მოულოდნელობისაგან შევკივლე, თუმცა ამ საშინელ წუთს ყოველდღე ველოდი. კივილზე კუკარაჩა საწოლიდან წამოვარდა და სკამზე გადაკიდებულ იარაღს ეცა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, კუკარაჩას ნაგანი მურტალოს ეჭირა ხელში. ახლა იგი ორი ნაგანით ადგა თავზე კუკარაჩას... – (ინგა დადუმდა).
მოსამართლე: – განაგრძეთ, განაგრძეთ.
ინგა: – საცვლების ამარა იყო კუკარაჩა და ტანსაცმლისაკენ წაიწია. „ნუ შესწუხდები, შენი სიშიშვლე ჩვენს გამუსაიფვებას ხელს არ შეუშლის“, – გააფრთხილა მურტალომ.
„რისთვის მოხვედი, მურტალო?“ – ჰკითხა კუკარაჩამ.
„ამას მე მეკითხები?“ – გაუკვირდა მურტალოს.
„მე და ინგას ერთმანეთი გვიყვარს!“ – უთხრა კუკარაჩამ.
„მართლა? ძალიან, ძალიან გიყვართ?“ – დაცინვით გამოაჯავრა მურტალომ.
„მურტალო, იარაღი დადე თავის ადგილზე და წადი“, – უთხრა კუკარაჩამ.
„მარტო შენი თუ ჩემიც?“
„ორივე!“
„ბორკილები თუ გაქვს თან, მომეცი, ბარემ იმათაც დავიდებ და მილიციაში წამოგყვები...“
„შენ რომ ჭკუა გქონდეს, ასეც მოიქცევი!“ – უთხრა კუკარაჩამ და ჩაცმა დაიწყო.
„კუკარაჩა, გაფრთხილებ, როგორც კი წამოდგები, გესვრი“, – ისევ გააფრთხილა მურტალომ.
„ვერ მესვრი, მურტალო, შენ რომ მე მომკლა, დაგხვრეტენ...“
„ – არა, კუკარაჩა, ის სისხლის სამართლის კოდექსი, შენ რომ გგონია, რომ მარტო შენ იცი, მეც ალილუიასავით ზეპირად ვიცი, მე შენ დღეს ეჭვიანობის ნიადაგზე მოგკლავ და დიდი–დიდი ხუთი ან რვა წელი მომცენ. სულ ეგა ხარ, შენი ნაბოზარი სული მეტი არ ღირს“.
– მეც მომკალი, – ვთხოვე, – თქვა ინგამ.
„არა, გენაცვალე, შენთვის ახლა სიკვდილი ბაირამობაა, ამისთვის კი წამება... შენ დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლო, ვიდრე არ დალპები...“ – ასე მიპასუხა.
„ახია ჩემზე“, – თქვა კუკარაჩამ.
„ახია! – დაუდასტურა მურტალომ, – ჩვენს საქმეში შენ რომ იაღლიში მოგივიდა, ეგეთი იაღლიშები არ მოდის და იცი, რატომ მოგივიდა ეგეთი იაღლიში? იმიტომ, რომ პროფესიონალი არ ხარ, ჰარიფი ხარ და კახპამ დაგაბა...“ (ინგა ისევ დადუმდა).
მოსამართლე: – რატომ თქვა კუკარაჩამ ახია ჩემზეო და რა „იაღლიშზე“ ელაპარაკებოდა ბრალდებული?
ინგა: – საქმე იმაში გახლავთ, ბატონო მოსამართლე, რომ ერთი წლის წინ ეს მათხოვარი კუკარაჩამ დაიჭირა ჩემს სახლში და ჩემი თხოვნით გაუშვა.
მოსამართლე: – როგორ?! (ფეხზე წამოდგა გაკვირვებული).
ინგა: – თქვენ არ იცნობდით კუკარაჩას, ბატონო მოსამართლე, იგი ქრისტესავით სათნო, უცოდველი და წმინდა იყო...
მოსამართლე: – კარგი, განაგრძეთ.
ინგა: – გასაგრძელებელი აღარაფერია.
„თუ გახსოვს, კუკარაჩა, მე გაგაფრთხილე, რომ ჩემი ჯერიც მოვა–მეთქი და აჰა, დადგა“. – მურტალომ ორივე ნაგანი ფეხზე შეაყენა.
„არ მომკლა, მურტალო!“ – უთხრა კუკარაჩამ შიშით კი არა, სინანულით (ინგამ სუნთქვას მოუხშირა).

მოსამართლე: – მერე?

ინგა: – მერე მურტალო მიუახლოვდა საწოლს (ინგამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მოაჯირისკენ, რომლის მიღმა მურტალო იჯდა და ვიდრე მილიციელები გონს მოვიდოდნენ, ფრენჩის ღილი შეეხსნა, ნაგანი ამოიღო, მურტალოს დაუმიზნა და ჩახმახი დაუშვა).

მურტალო გიჟივით წამოიჭრა ფეხზე, სახეზე ხელები აიფარა და უცებ იატაკზე გაგორდა. ნაგანის ყველა დაქუხებაზე იგი პირუტყვივით ბღაოდა. დარბაზში შემზარავი წივილ–კივილი ატყდა.

შვიდჯერ დაიქუხა ინგას ნაგანმა და როდესაც ქუხილი შეწყდა, სასამართლო დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ინგამ ნაგანი დააგდო, იატაკზე დაჯდა, თავი მუხლებში ჩაირგო და მწარედ აქვითინდა.

სასამართლოდან დაბრუნებულს დედამ სადილი დამახვედრა. ჯერ წვნიანი დამისხა, ჩემს პირდაპირ დაჯდა, ხელები ნიკაპქვეშ შემოიწყო და, როგორც ყოველთვის, პროცესის ამბის მოყოლას დაელოდა. მე ხმას არ ვიღებდი, არც წვნიანს გავეკარე. მაშინ დედამ თეფში მომაცილა და ახლა ჩემი საყვარელი ცივი კატლეტი და თეთრი პური დამიდო წინ. კატლეტსაც რომ არ გავეკარე, შეწუხდა, შუბლზე ხელი დამადო.

– რა მოხდა, შვილო, ავად ხომ არა ხარ? – მკითხა დაზაფრულმა.

– დღეს ინგა დაკითხეს, – ვთქვი მე.

– რაო, იმ საცოდავმა?

– შვიდი ტყვია ესროლა ნაგანიდან მურტალოს!..

– როგორ?

– ამოიღო ნაგანი და ესროლა...

– შვიდი ტყვია?.. სასამართლო დარბაზში? – დედა საკუთარ ყურებს არ უჯერებდა, იგი ფეხზე წამოდგა.

– სასამართლო დარბაზში.

– შვიდი ტყვია... და შენ ყველაფერ ამას უყურებდი?..

– ვუყურებდი!

დედა ისევ დაჯდა.

– მერე?

– შვიდივე ტყვია ააცილა!

– შვიდივე?

– შვიდივე.

– წარმოუდგენელია!.. – თქვა დედამ დაკარგული ხმით და სამზარეულოში გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მეც გავედი სამზარეულოში. დედა ფანჯარასთან იჯდა, პაპიროსს ეწეოდა და უნივერსიტეტის თეთრ გუმბათს გასცქეროდა. მე მივუახლოვდი, ფეხებთან დავუჯექი და თავი კალთაში ჩავუდე, ასე ვისხედით დიდხანს. მერე თავზე მისი თბილი ხელი ვიგრძენი. მეფერებოდა. ავხედე. წამწამებზე ორი დიდი კურცხალი ეკიდა, ნიკაპი უკანკალებდა და თითებშუა პაპიროსი უთრთოდა.

– შვიდივე ტყვია ააცილა? – მკითხა ისევ. მე თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად და ვიგრძენი, ერთი ხმამაღალი ტირილი სიცოცხლეს ერჩია დედას, მაგრამ უსაშველოდ ამაყი ქალი იყო დედაჩემი და უზომოდ თავდაჭერილი.

მე გული ყელში მომეჯინა. ისევ ჩავუდე თავი კალთაში და ავტირდი ჩუმად, ჩემთვის, შემდეგ კი ხმამაღლა. დედას არც უცდია ჩემი გაჩერება და დაწყნარება. იგი მხოლოდ თავზე მეფერებოდა თბილი ხელით და მე მიეხვდი, რომ ორივეს მაგივრად ეტიროდი.

ეს ამბავი 1941 წლის 21 ივნისს მოხდა. მეორე დღეს ინგა და კუკარაჩა აღარავის ახსოვდა, რადგან 22–ში, დილით, ხალხმა თავზარდამცემი ამბავი გაიგო – გერმანია თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას.

მხოლოდ ერთხელ გაახსენდა დეიდა მართას ინგა და კუკარაჩა, როდესაც 1943 წელს ფრონტიდან ინგას დაღუპვის ცნობა მოვიდა კომისარიატში. თუმცა, არა, ერთხელ მეც გამახსენდა კუკარაჩა. ოღონდ კი არ გამახსენდა, დამესიზმრა. 1979 წლის 12 სექტემბერს გულრიფშში, ღამის თორმეტ საათზე, ნახევარი საათით ადრე, ვიდრე მეორედ დამემართებოდა ინფარქტი.

გასაოცარი ის გახლდათ ამ სიზმარში, რომ კუკარაჩა კვლავ 21 თუ 22 წლისა იყო, მე ორმოცდაათს გადაცილებული, ის კი კვლავ მარიგებდა და ჭკუას მასწავლიდა.

სასაფლაო

– გამარჯობა!
– ვინა ხარ? – ვკითხე და საფლავთან შეუმჩნეველად მოსულ მაღალ კაცს აეხედე.
– მე?.. მე ვანო ვარ, აქაური, – თქვა კაცმა, ბაზალტის ქვაზე ჩამოჯდა და გულის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, – აქაური ვარ, ბაგებიდან.
– ერთი სიგარეტი მომეცი.
– პრიმაა...
– სულერთია, – სიგარეტი მომაწოდა და ასანთიც გაჰკრა. ალმა წუთით გაანათა მისი სახე. ძალიან ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და სწორი, ლამაზი ცხვირი. ასე, ორმოცდაათი, ორმოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, შეიძლება უფრო ნაკლებისაც, გაუპარსავი წვერი აბერებდა.
რომ არ ჩამქრალიყო, ასანთი ორივე მუჭში მოიმწყვდია და ისე გამომიწოდა მოსაკიდებლად. ცეცხლი დაჭერილ ციცინათელასავით იმზირებოდა მისი ვეებერთელა ტორებიდან.
– აქ რას აკეთებ? – ვკითხე.
– მე?.. აკი გითხარი, აქაური ვარ–მეთქი, – მიპასუხა და სიგარეტს მოუკიდა.
– ჰო...
– წელან გამარჯობა გითხარი...
– ღმერთმა გაგიმარჯოს! – ვუთხარი და მუხლზე ხელი შევახე ბოდიშის ნიშნად.
– რა არის შენი? – მკითხა და საფლავის ქვას შეხედა.
– შვილია!
ვანოს ხველება აუვარდა.
– ძნელია? – მკითხა, სული რომ მოითქვა.
– ?!..
– მეც გეკითხები რა?.. – გაიღიმა ცალყბად, – მაგაზე ძნელი რაღა უნდა იყოს... ქიზიყში ვიყავი მოყვრებთან, რომ ჩამოვედი, მითხრეს, ქრისტეს ტირილი იყოვო... – არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ თავი დავუქნიე. – კაცი რომ დაუფიქრდეს, ჭკუაზე გადავა. აქ წინათ სოფელი იყო, ახლა სასაფლაოა, აი, ამ ადგილას ბაღები მქონდა! გაღმა გავედით მთელი სოფელი, – თქვა და მთის კალთაზე შეფენილ სოფელს გახედა. – გავრბიეართ და მოგვდევს ეს შობელძაღლი... – ახლა სასაფლაოს გახედა: – სად გაექცევი?! – იკითხა ბოლოს.
– ვერსად! – ვუპასუხე და ახალი სიგარეტი გამოვართვი.
– დაბადება–გარდაცვალების თარიღი და მამის სახელი რად არ დააწერე საფლავის ქვაზე? – მკითხა დიდი ხნის დუმილის შემდეგ.
– ჩემთვის მაგას მნიშვნელობა არა აქვს.
– სხვისთვის?
– სხვისთვის მით უმეტეს.
ვანო დაფიქრდა, მერე თავი მოიფხანა.
– ეგეც მართალია... – მაინც რამდენი წლისა იყო?
– ხუთის.
– ღმერთი არ არის?! – ვანომ მუხლზე დაირტყა ხელი.
– აბა, რა ვიცი, – საფლავის ბორცვიდან წამოვდექი. მიწა ჩამოვიფერთხე.
– ღამით რომ დადიხარ, არ გეშინია? – მკითხა უცებ.
– რისი უნდა მეშინოდეს?
– აბა, რა ვიცი, რაც არ უნდა იყოს, სასაფლაოა, ეს მკვდრის სულებიო, ეს ლანდებიო, ეს აჩრდილებიო, მაგას რომ თავი დავანებოთ, ათასი ჯურის ყაჩაღი და ყომარბაზი დადის ღამით სასაფლაოზე...
– ამაზე უარესი რა უნდა დამემართოს?!
– ეგეც მართალია, – თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ვანომ.
– ნახვამდის! – გამოვეთხოვე მე და პატარა რკინის ჭიშკარი მოვიხურე.
– ღმერთმა მშვიდობით გატაროს და ნუგეში მოგცეს. – თქვა ვანომ და წამოდგა.
– გმადლობთ, – ვუთხარი და წავედი. ცოტა რომ გავიარე, უკან მოვიხედე. იგი ისევ ჩემი შვილის საფლავთან იდგა. სიბნელეში შავი მარმარილოს ქანდაკებას ჰგავდა. ისე ჰგავდა, სხვა ქანდაკებებში ვერ გაარჩევდი... და ჩემდა გასაოცრად სიცოცხლეში პირველად შემეშინდა სასაფლაოსი.

ჭირისუფალთაგან თითქმის უკვე მიტოვებული ვერის სასაფლაო იყო მყუდრო, მოშრიალე ტყით, სადა, ბალახმორეული საფლავებით და ალაგ–ალაგ შავ–თეთრი მარმარილოთი ლამაზად გაწყობილი. იგი სამოთხის ბაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე სასაფლაოს, ყოველ შემთხვევაში მე და ჩემს ბიძაშვილებს, ზურაბსა და ვახტანგს, ასე გვეგონა, როდესაც ბიცოლაჩემ ნინას ბავშვობისას კვირაობით დედამისის საფლავზე დავყავდით.

ვიდრე იგი სევდიანი და თავდახრილი იჯდა დედის საფლავთან, ჩვენ ვთამაშობდით ყაჩაღობანას, თვალდახუჭობანას, დაჭერობანას, ვეძებდით დავიწყებული საფლავების ლურჯ სუროში ჩამალულ ჩიტის ბუდეებს, ზღაპრული კალათებივით ჭრელ-ჭრელი, ჭორფლიანი კვერცხებით სავსეს, მერე მადიანად შევექცეოდით თეთრ პურსა და ცივ კატლეტს და უამრავი თავსატეხი კითხვებით ვაწუხებდით ჩემს ანგელოზივით ლამაზ და მწვანეთვალებიან ბიცოლას.

– ბიცოლა ნინა, რატომ არის ჩიტის კვერცხები ჭრელი და ჭორფლიანი?

– იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ბარტყები ჭრელფრთება და ლამაზები გამოიჩეკოს.

– დედა, რატომ მოკვდა ბებია? – ამას ვახტანგი ეკითხება.

– იმიტომ, შვილო, რომ... ბებია კი არ მოკვდა, ბებია ძალიან მოხუცდა, დაიღალა და წავიდა ჩვენგან...

– შენც რომ ძალიან მოხუცდები და დაიღლები, წახვალ ჩვენგან? – ამას ზურაბი ეკითხება.

– წავალ... ალბათ წავალ, შვილო...

– მაშინ ჩვენც წამოვალთ შენთან. – ეუბნება ვახტანგი.

– არა, შვილო, თქვენ ჩემს საფლავს უნდა მოუაროთ. – პასუხობს შეწუხებული ბიცოლა.

– არა, წამოვალთ! – ჯიუტად იმეორებენ ჩემი ბიძაშვილები. ბიცოლა პირზე ხელს აფარებს ორივეს და ისევ სათამაშოდ გვისტუმრებს.

ჩვენ ისევ ვთამაშობთ ამ მყუდრო სავანეში და მხოლოდ მზის ჩასვლისას ებრუნდებით შინ.

ასე რომ, სასაფლაო ბავშვობიდანვე საოცარი სიმშვიდითა და სილამაზით შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი ბიცოლა ძალიან ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ შვილებმა შემზარავი სიჯიუტით შეუსრულეს დანაპირები და მე შემძულდა სასაფლაო საშინელი სიძულვილით. იმდენად შემძულდა, რომ არც ერთი მათგანის საფლავი აღარ მინახავს.

შემდეგ, როდესაც მე საკუთარი საფლავი გამიჩნდა, ჩემდა მოულოდნელად და გასაოცრად, კვლავ დამიბრუნდა სასაფლაო სიმშვიდითა და სილამაზით, რომლითაც მიზიდავდა ბავშვობაში.

– ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემო ბატონო, ინდუსტრიალიზაციის რელსებზე გადავედით... – ამას სასაფლაოს დირექტორი მეუბნება, – დიდი და საპასუხისმგებლო მეურნეობაა. დღევანდელი სასაფლაო ის სასაფლაო აღარაა, გუშინ რომ იყო... წელს უკვე მოვრჩით სასაფლაოს სრულ ელექტროფიკაციას და მელიორაციას, ახლა უკვე მუდმივ გაზზე ვფიქრობთ, ასე ვთქვათ, მარადიული ცეცხლის ორგანიზაციისათვის მილები უკვე ჩავყარეთ. ცოტა ხელის შეწყობა გვაკლია, ორი ჰექტარიღა დაგვრჩა ასათვისებელი, მოთხოვნილება კი მოგეხსენებათ...

– აი აქ, თუ შეიძლება. – გავაწყვეტინე.

– აქ?!.. ეს ადგილი უკვე დაბეებულია, მაგრამ თქვენთვის ყველაფერს გავაწყობთ... – თქვა ყოყმანის შემდეგ.

– ისე კარგი ადგილია, საუცხოო ჰაერი და გადასახედი, აქეთ მცხეთა, იქით თბილისი... სამეზობლოც ძალიან სოლიდურია. ეს პროფესორი ხეთაგური გახლავთ, ეს აკადემიკოსი ჯანჯღავა, ეს ექიმი თათარაშვილი, ეს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გულარიძე, ეს... ამან არ შეგაწუხოთ, ნახალოვკელი ქურდი ჭყეტელაა, მაგრამ ქურდები დაპირდნენ, მალე გადავასვენებთო, სხვათა შორის, ქურდებმა დამარხეს, ეს ლაბრადორიც მაგათმა ჩამოუტანეს კიევიდან.

– თქვენ რა ქვას ინებებთ?

– ბაზალტისას!..

– ხელოსნებმა არ გაგაბრიყვონ, ბატონო, ტყავს აძრობენ ჭირისუფალს, აქაოდა დამწუხრებულები არიან და ვაჭრობას არ იკადრებენო.

– აქ! – ვთქვი მე.

– გასაგებია!

– ნახვამდის.

– ნახვამდის, ბატონო, მიიღეთ ჩემი სამძიმარი, თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მამა. – დირექტორი გაშრა.

– უკაცრავად, ბატონო, რამე ზედმეტი თუ გითხარით. – შეწუხდა ძალიან.

– ყველაფერი კარგად ბრძანეთ.

– ნახვამდის, ბატონო.

– ნახვამდის.

ორი წელი ყოველდღე ეკვდებოდი. მესამე წელს მივედი სასაფლაოზე, დილით ადრე, ექვს საათზე. სასაფლაო იყო მყუდრო, გრილი, საამოდ მოშრიალე ტყით, ფრინველთა გალობითა და მარმარილოს ძეგლებით სავსე.

წელზევით გადაჭრილი და გაქვავებული ქანდაკებები, ტყეს შეფარებული, შეშინებული ლტოლვილებივით იცქირებოდნენ ყოველი ხის ძირიდან და ბუჩქიდან.

დიდხანს ვიჯექი ჩემს საფლავთან. შორიდან ქვაზე ჩაქუჩისა და საჭრეთელის კაკუნი ისმოდა. ავდექი და იმ ხმას გავყევი გაბმული თოკივით. მივედი და რაც მე იქ ვნახე, იმის სრულად გადმოცემა შეუძლებელია.

– გამარჯობა, ვანო!

– ვინა ხარ? – გადმომხედა ზემოდან.

– ვერ მიცანი? – ვანო დამაკვირდა და მიცნო.

– შენზე მითხრეს, კვდებაო.

– არ მოვკვდი.

– მან ჩაქუჩი და საჭრეთელი კვარცხლბეკზე დააწყო, კალთიდან ქვის მტვერი ჩამოიბერტყა და სკამზე დაჯდა.

კვარცხლბეკიდან წელზევით გამოკვეთილი საოცრება იმზირებოდა. ეს იყო ძეგლი, არა, არც ძეგლი, არც პორტრეტი, არც ბარელიეფი, არც გორელიეფი და არც არაფერი. ეს იყო არა–ფერი და ყველაფერი ერთად, ბრტყელ ბაზალტის ქვაზე ამოკვეთილი ადამიანის გამოსახულება, ყოველგვარი ფორმის, მოცულობის, პერსპექტივის, ნაკვთის და ძარღვის გარეშე. ეს იყო რაღაც ხელოვნების მიღმა, ათასი საუკუნის იქიდან მზირალი, რაღაც პირველყოფილი ქმნილება, რასაც სახელი არ აქვს... და მაინც, მე ვფიქრობ, ეს იყო კერპი, ბუნების გამოუცნობი საიდუმლოთი განცვიფრებული, პირველყოფილი ადამიანის ხელით ქვაში გამოკვეთილი ღვთაება, კერპი, მაგრამ რისი?

– აქ რას აკეთებ, ვანო? – ვკითხე და გვერდით მივუჯექი. მან პრიმა ამოიღო გულისჯიბიდან, მეც მომაწოდა, მოუკიდა, ძალიან ღრმად ჩაისუნთქა და გვიან მიპასუხა.

– ვერა ხედავ, რას ვაკეთებ?

– ეგ რა არის, ვანო?

ვანო ისევ დადუმდა, პრიმა ბოლომდე ჩაიყვანა და გვიან მიპასუხა:

– შვილია ჩემი.

– ტანში ურუანტელმა დამიარა და ვიგრძენი როგორ წამომიდგა თმები საფეთქლებზე.

– რას ამბობ?

– შარშან ამ დროს... ქსნის ციხის ქონგურზე ასულა ნასვამი, ფეხი დასცურებია და მოწყვეტილა... არწივივით მხრებგაშლილი მოდიოდა თურმე, ბიჭებმა სთქვეს... ეჰე–ჰეი... ყიოდაო, ვაი მამაშენს შვილო. – ვანომ ქვევიდან ირიბად ახედა კერპს.

– ეგ რა არის, ვანო? – ვკითხე ისევ და კვლავ შემაჟრუოლა ტანში.

– აკი გითხარი, ადამიანო, შვილია–მეთქი ჩემი.

– შენ თვითონ გააკეთე?

– მე. ცოტაღა დამრჩა, აი ეს ადგილი.

ადგა და მკერდზე დაადო ხელი კერპს.

– შენ ქანდაკებისა რა იცი, ვანო? – ვკითხე უზომოდ შეწუხებულმა.

– ჩემზე კარგად ჩემი შვილი ვინ იცის? – შემომხედა გაკვირვებულმა.

– ეგ მართალია, მაგრამ მაგას მაინც ცოდნა უნდა, ეგ ხო შენ შვილს არა ჰგავს.

– ვინ გითხრა, რომ არა ჰგავს, მაშ, ეს რა არის, აი მისი ლამაზი შავი თვალები, აი მისი მოშვილდული წარბები, აი მისი არწივივით კისერი და ღონიერი მკლავები, ოთხი მტკაველი ბეჭები, მამა ენაცვალოს... – ვანო თან ლაპარაკობდა, თან ათრთოლებულ ხელს უსვამდა მოფერებით ბრტყელ ქვაზე ამოკოდილ თვალებს, ცხვირს, ყელს, ბეჭებს და უცებ თითქოს ღვთის ხელი შეეხოო, ქვა გაცოცხლდა და ამოძრავდა...

თვრამეტი წლის ჯმუხი, შავგვრემანი ბიჭი მიღიმოდა ბაზალტის ქვიდან და მე კინაღამ გული გამიჩერდა. ვანო დადუმდა, ათრთოლებული ხელი ჩამოუვარდა და მოწყვეტილი ტოტივით დაეკიდა მხარზე. ქვა კვლავ შემზარავ კერპად იქცა

– შენ კი ამბობ, არა ჰგავსო... სხვებიც ამბობენ, მე ხომ სხვისთვის. არ ვაკეთებ, სხვამ ჩემი შვილი რა იცის?

– თუ შენთვის აკეთებდი, ეგ ძეგლი სახლში დაგედვა, ვანო. – შევბედე ფრთხილად.

– მაგის სახლი ახლა აქ არის! – თქვა ჯიუტად.

ვერაფერი ვერ ვუპასუხე. ავდექი და წამოსვლა დავაპირე.

– ნუ წახვალ, ბიჭო, ნუ დამტოვებ მარტო, მომკლა ამ მარტოობამ... – მთხოვა და ორი დიდი კურცხალი გადმოუვარდა თვალებიდან.

უკვე ბინდდებოდა, სასაფლაოდან რომ გამოვედი.

ვაკის პარკის პირდაპირ გადახურულ საცურაო აუზს აშენებდნენ. უზარმაზარი ბაზალტის ლოდები ეყარა მშენებლობაზე. ამწეს მკლავზე დაკიდებული ერთი მათგანი ნელა ირწეოდა ცაში და სულ მაღლა, მაღლა მიიწევდა.

უნებურად თვალი იმ ლოდისკენ გამექცა.

– ეჰე–ჰეეე!!! – იძახდა მშენებლობის მაღალ ქონგურზე მდგარი არწივივით მხარგაშლილი ბიჭი, თან ამწეს მაღალ ჩონჩხში პატარა ბუდესავით ჩამჯდარ ბუდრუგანაში გამომწყვდეულ კაცს ანიშნებდა. აქეთ, აქეთო.

შეშინებული მოვწყდი ადგილს.

– ეჰეი, ბიჭო, კაცო, შვილო, ძმაო, ვიღაცა ხარ, რა გქვია! – შევკივლე იმ ბიჭს ქვემოდან.

– რა იყო, ძია?

– ჩამოდი, თუ ძმა ხარ, ჩამოდი, შენი ჭირიმე, არ ჩამოვარდე.

– ნუ გეშინია, ძია, არ ჩამოვვარდები…

– მაინც ჩამოდი, დედას გაფიცებ, ჩამოდი!..

ბიჭმა ხელი ჩაიქნია და თავისი საქმე განაგრძო.

ბაზალტის ლოდი კი ნელ–ნელა ირწეოდა და იმ ბიჭისაკენ მიცურავდა მაღლა ცაში.

გონს მოვეგე, შემოვტრიალდი და ჩქარი ნაბიჯით წამოვედი სახლისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ გულმა არ მომითმინა და უკან მოვიხედე. ახლა ის უზარმაზარი ბაზალტის ლოდი, როგორც ზღაპრულ გოლიათს, იმ ბიჭს თავს ზევით ეჭირა აღმართული ორთავე ხელით და მშენებლობის მაღალ ქონგურზე ასვენებდა.

მზე ბიჭის ზურგს უკან იყო და მისი შუქი ნათელივით ადგა თავზე.

ახლა სასაფლაოს გავხედე. ჩამავალი მზის შუქით განათებული, სამოთხის ბაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე სასაფლაოს და მე სადღაც, გულის კუნჭულში, აუხსნელი სიმშვიდე ვიგრძენი, რომ ამ სამოთხეში საკუთარი საფლავი მქონდა.

ბოშები

გურიაში ბოშებს ჩაჩნებს ან ციგნებს ეძახიან.

ამიტომ, როდესაც 1943 წლის ივლისში ჩვენს სოფელს მაცნე მოედო, ზენობანში ჩაჩნები და ციგნები ამოვიდნენ და ლაშის ღელის ჭალაში დაბანაკდნენო, – ეს ცნობა ისე აღვიქვი, როგორც ყაჩაღების შემოსევა, რადგან ციგანიცა და ჩაჩანიც ეშმაკისა და გაღლეტილის სინონიმებია აგრეთვე გურიაში.

მათი ბანაკის დასაზვერად რომ წავედი, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ჯიბეში, სხვათა შორის, ბაბუაჩემის ნაქონი დიდი ჯაყვა მედო, მხარზე მისივე ნაქონი ფილთა თოფი მეკიდა, 1905 წლის შემდეგ რომ არ გავარდნილა, და არც გავარდებოდა, რადგან იმ გავარდნის დროს მოგლეჯილი ჩახმახის თავის ადგილას მიმაგრებაზე აღარავის უზრუნვია.

ასე იყო თუ ისე, ბანაკს მივეპარე, შორიდან დავზვერე და რას ვხედავ… ბოშები, ჩემი ხმაურიანი, მოცეკვავე, მომღერალი, ქურდ–ბაცაცა და მოჩხუბარი, საყვარელი, შავტუხა ბოშები…

ბოშებს თავის მხრივ ისე გაუკვირდათ და გაუხარდათ ამ მთაში დაკარგულ სოფელში რუსულის მცოდნე ბიჭის აღმოჩენა, რომ კინაღამ მიშვილეს.

ის დღე დაბანაკებას, სამჭედლოს გამართვას და ცხენების დაბორკვას მოანდომეს. დილით კი, როდესაც მამაკაცებმა ქურები დაბერეს, გრდემლზე ურიების კაკუნი ასტეხეს და სამფეხების, საბუხრე ჯაჭვების, ნამგლების, ნაჯახების და ცელების გამოჭედვას შეუდგნენ, ძუძუთა ბავშვებით ახინძლული მათი ჯალაბი – ზოგი ორსული, ზოგი გასათხოვარი და ყველა მაინც ერთნაირად მზეთუნახავი და ეშხიანი ბოშაქალი – კალიასავით შეესია სოფლის ხეხილსა და ბოსტნეულს, და თუ არა კერკეტა ნიგოზივით დედაკაცები, ალბათ საღამოსათვის ხეებს ფოთლებიც აღარ შერჩებოდათ.

– ყველაფერი ერთ დღეს უნდა ჩახეთქოთ და ჩათქვლიფოთ, თქვე ოხრებო და ქაჯებო?! პატარა ხვალიზაც მეიტიეთ! – უკივოდნენ ისინი ბოშებს და და ეს დაუოკებელი, მორჩილებას მიუჩვეველი ბოშები, ჩემთვის აუხსნელი მორჩილებით ანებებდნენ თავს რბეგას და თავიანთ ენაზე ტუქსავდნენ აღვირახსნილ ბავშვებს, რომლებსაც მაინცდამაინც არ მოსწონდათ მშობლების მორჩილება.

მოკლედ რომ ვთქვა, სწორედ ამაზე იყო ნათქვამი: მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო.

ბოშებზე იმდენი რამ თქმულა, დაწერილა, დადგმულა და გადაღებულა მსოფლიოში, თანაც იმ სათაურით, რა სათაურიც ჩემს მოთხრობას აქვს, რომ მე ახალი აბა, რა უნდა ვთქვა, მაგრამ ის, რაც ჩვენს სოფელში მოხდა ორმოცდასამი წლის ზაფხულის ორ კვირაში, ვფიქრობ, მაინც ღირს მოსაყოლად.

წელან ვთქვი – ბოშები სოფელს კალიასავით მოედვნენ–მეთქი.

იმ დროს მთელი სოფელი თუ არა, ნახევარი მაინც მგლოვიარე იყო. მოგეხსენებათ, ქართულ სოფლებში გვარებად და უბნებად ცხოვრობენ. ბევრი ერთმანეთის ღვიძლი და ახლო

ნათესავია. ფრონტიდან მოსული დაღუპულის ერთი ცნობა ბარე ხუთ ოჯახს ჩააცმევდა ხოლმე ძაძებს.

ასე გადაძაძულ სოფელში მოხვდნენ ბოშები, ამიტომ ცდილობდნენ თავიანთი თანდაყოლილი ცხოვრების ხალისი, ენთუზიაზმი და ხელმრუდობა მინიმუმამდე დაეყვანათ, თუმცა აქა-იქ მაინც იფეთქებდა ხოლმე ქართული წყველა და ბოშური გინება, მაგრამ მწვავე კონფლიქტამდე საქმე მაინც არასოდეს არ მიდიოდა.

მე ხელად დამიმეგობრეს ბოშებმა. ის კი არა, რომ გაიგეს, ობოლი ვიყავი, მათთან ბანაკში წასვლა, ცხოვრება და გაბოშებაც კი შემომთავაზეს. – ვინ იცის, დროთა განმავლობაში ბოშათა ბარონიც კი გახდეო, მაგრამ მე ისევ ბებიაჩემის თხის მწყემსვა ვარჩიე და ძირითადად სოფლისა და ბოშა დედაკაცებს შორის თარჯიმნის ფუნქციებით დავკმაყოფილდი, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ, რადგან თავის მხრივ ბოშები საღამოობით ასევე უსასყიდლოდ, მასწავლიდნენ ბოშურ სიმღერებს, „ჩიჩოტკას“ და გიტარაზე დაკვრას.

კაცებს თარჯიმანი მაინცდამაინც არ სჭირდებოდათ, რადგან ძირითადად სასოფლო-სამეურნეო იარაღებით ვაჭრობდნენ და, მოგეხსენებათ, ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის ენა ის საერთაშორისო ენაა, რომელსაც თარჯიმანი არ უნდა, რომლითაც დაიწყო კაცობრიობამ თავისი არსებობა და რომლითაც აპირებს მის დამთავრებას.

– ნენა, მომიყვანე ერთი კაი მარჩიელი ჩაჩანი ქალი და მე ვიცი შენი პატივისცემა, მინდა ჩემს ვანოიაზე ვარჩევიო, რაცხა წერილს შეაგვიანდა, – მთხოვდა მეზობელი და მეც მომყავდა.

– აგრაფინასთან რომ მარჩიელი ციგნის ქალი გყავდა, მეც იგი მომიყვანე, კაი ამბები უწინასწარმეტყველებია, ნენა, და მე ვიცი შენი პატივისცემა! – მთხოვდა მეორე და მეც მომყავდა, აბა, რა მექნა?!

ყველა დაქცეულ ოჯახს თუ არა, ნახევარს მაინც გაუცოცხლეს ომში დაღუპული შვილები, ქმრები, ძმები, სიძეები, სასიძოები. მამები და ნათესავები ბოშებმა...

ყველა მწუხარეს თუ არა, ნახევარს მაინც ამოუმშრალეს მდულარე ცრემლები თვალთაგან, ბევრ ჩაქრობაზე მიმდგარ კერას შეუბერეს სული, ისევ გააღვივეს, ისევ ააფუტეს, და ყოველივე ამას რაღაც ერთი მუჭა თუთუნად, ორ თუ სამ კვერცხად, ნახევარ წველა ყველად, ერთ პატრა მჭადის ნატეხად, ერთ ბოთლ ადესა ღვინოდ და ხანაც სულ უფასოდ, წყაროზე მირთმეული ერთი ჭიქა ცივი წყლის საფასურად აკეთებდნენ.

ერთი მარჩიელობის ამბავი მაინც მინდა, მოგიყვეთ.

დილით ძნელაძის ქალი გადმოვიდა ჩვენს ეზოში და ბებიაჩემს დაუძახა.

– რა იყო, ნინა? – გამოეხმაურა ბებია.

– ქერქაძის ქალო, შენი ბაღანა უნდა მათხოვო!

– მთლად გყავდეს, თუ მიაგნებ და რამეში გამოიყენებ მაგ უგვანოს, მე მაინც არაფერში არ მარგია, მთელი დღე იმ ციგნებთან აგდია და გიტარას უბარტყუნებს, გუშინ ხუთი მასავით ყაჩაღი მომიყვანა, პირის გასასველებელი ბალი და პრასი აღარაა ჩემს ეზოში, რაც მიწის ქვეშ იყო და მიწის ზევით, სულ გააწყვეს ყვე-ლაფერი...

– დედა, ჩემი სიკვდილი, სულ არ დოუტოვებიათ არაფერი? – შეიცხადა ნინამ.

– რავა არა, ტილი დოუტოვეს იმდენი, წუხანდელს აქეთ ვხილავ და ვერ გამოვულიე.

– მაინც მათხოვე! – არ დამიწუნა ძნელაძის ქალმა.

– ხომ გითხარი, თუ მიაგნებ, შენი იყოს თქვა! – გამაჩუქა ბებიამ.

ამას ჩემი ყურით ვისმენდი, რადგან ხეზე ვიყავი გასული და გუშინის მერე ეგერ-აგერ სასწაულით გადარჩენილ ბალს ვეძებდი ზედ. ჩამოვედი და ვეახელი ძნელაძის ქალს.

– რა იყო, ბებია ნინა, რაზე დაგჭირდი?

– დამასახლე, ნენა, მომიყვანე ერთი კაი მარჩიელი ჩაჩნის ქალი, და მე ვიცი შენი პატივისცემა, ჩემს გრიშაზე მინდა ვარჩევიო... – ნინა ბებიას თვალები ცრემლითა და მუდარით ჰქონდა სავსე. უარს როგორ ვეტყოდი. წავედი, თან გზაში ვფიქრობდი, ვინ მიმეყვანა ამ უბედურისთვის, შვილის დაღუპვის ცნობა და მისივე გულის ჯიბიდან ამოღებული დედამისთან გამოსაგზავნი, ტყვეით გაგლეჯილი წერილი შინ ედო...

აგერ უკვე მეორე წელია მოთქვამს, ნეტა თუ კიდევ რაიმეს იმედი აქვს?.. როგორც ჩანს, დედის გული მაინც სხვაა, რაც თავისი თვალით არ უნახავს, არ სჯერა... სულ ცოტა, ერთი ციცქნა იმედი მაინც აქვს გულის კუნჭულში...

ამ ფიქრებით მივადექი ბოშათა ბანაკს. თითქმის ყველა საშოვარზე იყო წასული, მარტო ბანაკის უფროსის ნიკოლას ორსული ქალიშვილი ოქსანა დამხვდა კარავში, უკვე მეცხრე თვეში იყო, სიარული უჭირდა და იშვიათად დადიოდა სამარჩიელოდ. დავუჩოქე:

– ოქსანა, ყელი არ გამომჭრა, უარი არ მითხრა, წამყევი, უბედური ქალია, ცოტა ანუგეშე...

– აქვს რამე? – მკითხა ოქსანამ უხალისოდ.

– ალბათ, აქვს, რაკი გეძახის, – დაეჭვებულმა ვუთხარი, რადგან როგორც ყოველი სოფელი, ომის დროს ჩვენი სოფელიც შიმშილობდა და ძირითადად ხილსა და ფხალეულზე გადადიოდა. უფრო მართალი რომ ვთქვა, სულს ღაფავდა.

– ალბათ, ალბათ... ვერა ხედავ, ძლივს ვსუნთქავ, – წამოდგა უკმაყოფილო ოქსანა, მაგრამ ხათრი ვერ გამიტეხა და წამომყვა.

მე კი გამოვეცხადე მესასავით ბებია ნინას, მაგრამ ოქსანა რომ დაინახა, ცოტათი შეკრთა.

– ეს ვინ მომიყვანე, ბიჭო, ამას რომ მშობიარობა დაეწყოს ახლა, საიდან მოვუყვანო ბებია ქალი? – ლოყა ჩამოიხოკა ძნელაძის ქალმა.

– მაგას ნუ წუხარ შენ, თავისი საქმე თვითონ უკეთ იცის, – დავამშვიდე.

– რას ამბობს? – მკითხა ოქსანამ.

– ძალიან ახალგაზრდაა და მარჩიელობა საიდან იცისო, – მოვატყუე.

– არხეინად იყოს! უთხარი, ტაშტი მოიტანოს, წყალი, ერთი პეშვი მარილი, ოქროს ბეჭედი და სამი ნატეხი შაქარი, – ყველაფერი ვუთარგმნე ძნელაძის ქალს.

– მაგი ხომ არ გადარეულა, ნენა, შაქარი სამი წელიწადია არ დამსიზმრებია! – შეიცხადა ბებია ნინამ. ახლა ოქსანას ვუთარგმნე ძნელაძის ქალის ნათქვამი. იმდენი იცინა, გული კინაღამ შეუღონდა.

ყველაფერი მოუტანა ბებია ნინამ ოქსანას შაქრის გარდა, მერე ძლივს წამოიძრო მარჯვენა ხელის არათითიდან თავისი ქორწილისდროინდელი სანიშნო ოქროს ბეჭედი და ისიც გადასცა ოქსანას. ოქსანამ ხვნეშით მოიკალათა ბუხართან, ტაშტზე წყალი დაასხა და ის ერთი პეშვი მარილი შიგ ჩაყარა.

– უშაქროდ გამოვა? – იკითხა შეშინებულმა ძნელაძის ქალმა.

– უშაქროდ არა! – თქვა ოქსანამ.

– აბა, რა გვეშველება? – შეწუხდა ბებია ნინა. ოქსანამ ჭრელი და ფარფაშა წელქვედას ჯიბიდან შაქარყინულის სამი პატარა ნაჭერი ამოიღო და წყალში ჩაყარა.

– ღმერთო, სიტკბო და სიკეთე არ მოუშალო ამ ღვთისნიერ ქალს! – დალოცა ძნელაძის ქალმა და პირჯვარი გამოსახა ოქსანას.

– რაო? – გვერდზე გაიწია ოქსანა.

– გლოცავს, – ავუხსენი მე.

ოქსანამ დიდხანს ურია ხელი წყალში, და როდესაც მარილი და შაქარყინული გადნა, შიგ ძნელაძის ქალის ბეჭედი ჩააგდო.

ბეჭედმა წკაპანი გაადინა ტაშტის ფსკერზე, ცოტა ხანს ძგიდეზე იდგა, მერე დაწვა.

– სუფთა ოქროა? – იკითხა ოქსანამ.

– ბაჯაღლო! – ამაყად თქვა ძნელაძის ქალმა.

– ვისზე ვურჩიო? – მკითხა ოქსანამ.

– შვილზე, შვილზე, გრიშაზე... – ორჯერ უთხრა ძნელაძის ქალმა და ამით აგრძნობინა, სხვა დარდი და საფიქრალი არ მაქვსო.

ოქსანამ მარჩიელობა დაიწყო, იგი ნახევარ საათს ბუტბუტებდა რაღაცას თავის ენაზე.

– მითარგმნე, – მეხვეწებოდა ბებია ნინა.

– თავის ენაზე ლაპარაკობს და არ მეყურება! – ვუხსნიდი მე.

ოქსანამ უცებ შეწყვიტა ბუტბუტი და ძნელაძის ქალს მიუბრუნდა.

– ვხედავ, – თქვა მან, – ვხედავ, ცოცხალია, უცხო ხალხშია, წამოსვლა უნდა, არ უშვებენ, ტყვედ არის...

– ვაი, შვილო, – ამოიგმინა ძნელაძის ქალმა, – სული ედგას და იყოს...

– თავი აქვს შეხვეული თეთრი დოლბანდით, დაჭრილია ალბათ, მაგრამ ცოცხალია... – განაგრძო ოქსანამ. ძნელაძის ქალმა ეჭვით შემხედა ჯერ მე, მერე ოქსანას, უცებ ადგა, ის ტყვიით გაგლეჯილი წერილი მოიტანა და ოქსანას გადასცა.

– ამას რას უშობი?! – სისხლშემხმარი წერილი რომ დაინახა, ოქსანას სახე შეეცვალა.

– Ты куда меня привелъ болван?! – მკითხა ხმადაკარგულმა.

რა მეთქმოდა, თავი ჩავღუნე და ოქსანას განაჩენს დაველოდე. ოქსანა ძალიან დიდხანს ფიქრობდა, ძალიან დიდხანს, მე და ძნელაძის ქალი გაოგნებული მივჩერებოდით და ოქსანამ თქვა:

– წერილი სხვისი ხელით არის გამოგზავნილი და ის კაცია მოკლული...

ძნელაძის ქალი მუხლებზე დაეშვა ოქსანას წინ.

– იმ შვილს გაფიცებ, რომელსაც ელოდები, – შეჰღაღადა მან ოქსანას, როდესაც ძნელაძის ქალის ნათქვამი ვუთარგმნე, ოქსანა გაშრა, შიშისაგან თვალები გაუფართოვდა, გაფითრდა, სახე გაუქვავდა და მუცელზე ხელები დაიფარა, თითქოს რაღაცისაგან თუ ვიღაცისაგან იცავდა. მერე ფერება დაუწყო, თან რაღაცას ბუტბუტებდა თავის ენაზე; მე მომეჩვენა, რომ იგი ლოცულობდა, თან ისე მხურვალედ, რომ რაღაც უსაშველო პატიებას სთხოვდა თავის ღმერთსა და კერპს. უცებ სახეზე ღვთიური სიმშვიდე გადაეფინა, ფერი დაუბრუნდა და ნაღვლიანი ღიმილით მითხრა:

– Скажи этой старой стервеъ что жив ее сынуууу и вот знамениууу У меня роды начались ъ родится сын и я его Гришей назову!.. – და ვიდრე ხმის კანკალით ყველაფერ ამას ვუთარგმნიდი ბებია ნინას, რომელიც შიშველ ფეხებს უკოცნიდა ბოშა ქალს, ოქსანას კივილმა ცა და დედამიწა შეძრა.

ნახევარ საათში მთელი ზენობანი და საბოშეთი ძნელაძის ქალის ეზოში იყო.

ღვთიშობელივით ხელში ატატებული წაიყვანეს ბოშებმა თავიანთი ბელადის ქალიშვილი და გრიშა.

მეც მათთან ვიყავი.

უზარმაზარი კოცონის გარშემო დილამდე არ შეწყვეტილა ცეკვა, სიმღერა, თამაში, სმა, კოცნა, ხვევნა, ყაყანი და შიგადაშიგ ჩხუბიც.

მაგრამ ეგ არ არის მთავარი ამბავი, არც ის, რომ ძნელაძის ქალმა ოქსანამ თავისი ნიშნობის ბეჭედი აჩუქა. არა, მთავარი მერე მოხდა...

ერთ მშვენიერ დილას, სოფელმა რომ გაიღვიძა, ლაშის ღელის ჭალაში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ბოშები ღამით აყრილიყვნენ, საკუთარი გუდა-ნაბადი აეკრათ, თან სოფლის ერთი თხა, ორი გოჭი, ერთი ხბო, ოციოდე ქათამი, კიდევ რაღაც, წვრილწვრილი საოჯახო ნივთები აეწაპნათ და უგზო-უკვლოდ გამქრალიყვნენ.

ეხლა ეს ქონება შეიძლება, ვინმეს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ მაშინ ეს დიდი კაპიტალი იყო და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი გოჭის გულისთვის კაცი კაცს ჰკლავდა.

ბოშების დაწევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ისეთი ოთხთვალა დროგები და გადარეული ცხენები ჰყავდათ, მით უმეტეს არავინ იცოდა, ოზურგეთის გზით ეძებნათ ციგნები თუ ჩოხატაურის გზით...

და ვიდრე სოფელი მძვინვარებდა...

და ვიდრე სოფელი ქოთქოთებდა...

და ვიდრე სოფელი ბჭობდა...

საღამოს კაცი ამოვიდა ზენობანში და ამბავი მოიტანა: – მილიციამ იჭვით ჩაჩნები დააკავა ჩოხატაურში, გამოტეხა ქურდობაში და ზენობნელ დაზარალებულებს რაიონში გიბარებენო.

ყველა არა, მაგრამ ნახევარი სოფელი მაინც წავედით, ზოგი მართლა დაზარალებული, ზოგი სეირის საყურებლად.

მივედით, მილიციის ეზოში იდგნენ ბოშები. თვალს ვერ გვისწორებდნენ, რომელ წუთს გამისკდებოდა გული, არ ვიცოდი, ისე მრცხვენოდა, ტირილი მინდოდა, და იმ წუთში რატომღაც ბოშებთან დგომა მერჩია, ვიდრე ჩემ სოფლელებთან.

„ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ეს უბედურები ქურდები არ არიან, უბრალოდ, სისხლში აქვთ ქურდბაცაცობა და რომც არ უნდოდეთ, გვერდით რომ ჩაუვლიან ნივთს, ის ნივთი თვითონ აეკვრებათ ხოლმე როგორც მაგნიტს“, – ვფიქრობდი მე, მაგრამ მე ვინ მკითხავდა.

როგორც იქნა, გამოეტია კაბინეტიდან მილიციის უფროსი კიკიტიე ოსეფაიშვილი, აივნის მოაჯირს დაეყრდნო და ისე მიმართა ზენობნელებს, როგორც სარდალმა აღლუმის მონაწილეებს:

– იცნობთ თქვენ ამ ხალხს?

– რავა არ ვიცნობთ, შე კაცო, ორი კვირაა ზენობანში დგანან, – გამოვიდა სოფლის უხუცესი, ბრძენი ლევარსი ბერეჟიანი.

– თქვენია იგი საქონელი? – მიუთითა კიკიტიამ ხალხს მოპარულ პირუტყვსა და ნივთებზე, რომლებიც ეზოს ერთ კუთხეში იყო მიყუჟული და მიბმული.

– აგი ჩემია!

– აგი ჩემი!

– აგი ჩემი! – მიცვივდა ყველა თავის პირუტყვს, ფრინველს და ნივთს.

– დაბრუნდით უკან, თქვე უგვანოებო! – მიუბრუნდა თანასოფლელებს ლევარსი ბერეჟიანი. ხალხმა დამდუღრულივით დაყარა ნივთები და ხელი უშვა პირუტყვს.

– რაშია საქმე, ბატონო კიკიტია, რაზე დაგვიძახე? – ჰკითხა ახლა მილიციის უფროსს.

– დაყრუვდი, ლევარსია ბერეჟიანო? ხომ გეუბნებით, მიხედეთ თქვენ-თქვენ საქონელს და ამათ მე მივხედავ მერე.

– რომელ საქონელს, კიკიტია ბატონო?

– კაცო, ხომაა ეს საქონელი თქვენი? – გადაირია კიკიტია.

– იყო, ბატონო კიკიტია!

– რას ქვია – იყო?! – გადახედა სოფლელებს მილიციის უფროსმა.

– იყო, ბატონო კიკიტია, და გავუცვალეთ, ზოგი სამფეხში, ზოგი ჯაჭვში... არსენა გუდავაძე, რომელია შენი საქონელი? – მიუბრუნდა ლევარსი თავის მეზობელს.

– რომელია და ის ყურგაჭრილი გოჭი! – ხელი გაიშვირა არსენამ თავისი გოჭისაკენ.

– ხომ გაუცვალე მაგი შენ ჩაჩნებს სამფეხში და ჯაჭვში?

– გავუცვალე, აბა, არ გავუცვალე?

– არ გამიგია მე სამფეხის ოთხფეხში გაცვლა, – გაეცინა კიკიტიას.

– მაგი ჩემი საქმეა! – ამაყად თქვა არსენამ და გვერდზე გადგა.

– აგი მეორე გოჭი? – იკითხა კიკიტიამ.

– მაგას არ ჰყავს პატრონი! – თქვა ვიღაცამ ხალხიდან.

– ეს თხა ვისია?

– რა ვიცი მე! – რომ არ უკითხავთ მისთვის, ისე იუარა ძნელაძის ქალმა და ისიც გვერდზე გადგა. გვერდზე რომ გადგა, თხა პეტელით გამოეკიდა თავის პატრონს.

– შენი თუ არაა, რაზე მოგდევს, ნინა, აგი თხაი? – ჰკითხა კიკიტიამ.

– იმაზე მომდევს, კიკიტია, რომ თხაია და უჭკუოა ჩემსავით. – უპასუხა ძნელაძის ქალმა, მერე მოკიდა თხას ხელი, ძალით მიათრია ბოშების დროგთან და ზედ მიაბა.

– ქალებო, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ქათმები მაგ მარჩიელობაში და კარგ ამბებში გაუცვალეთ თქვენ ამ ჩაჩნის ქალებს, – მიმართა სოფლის დედაკაცებს ლევარსი ბერეჟიანმა.

– ნამდვილად მასეა, – აყაყანდნენ ქალები.

– აბა, თუ არაფერი არ დაგიკარგავთ, რამ გადმოგაცვინათ ამ შუადამეზე ჩოხატაურში? – იკითხა მოულოდნელობისაგან საქციელწამხდარმა კიკიტიამ.

– რაღაც სხვა ფარცაგი და უბედურება გვეგონა, კიკიტია ბატონო, ხომ იცი, ომია და... – გაამართლა სოფელი ლევარსი ბერეჟიანმა.

– არც ამ ხბოს ჰყავს პატრონი? – უკანასკნელად გაიბრძოლა კიკიტიამ.

– მაგი ჩემი იყო და ვაჩუქე ჩაჩნების უფროსს, – თქვა ლევარსიმ.

– რატომ აჩუქე, ლევარსი, ბიძაშვილად გერგება? – ჰკითხა კიკიტიამ.

– რატომ და მის ქალიშვილს ბაღანე გაუჩნდა ჩვენს სოფელში და ზენობნიდან წასული გრიშაიე ძნელაძის სახელი დაარქვა...

განცვიფრებული ბოშები ხან ჩვენ გვიყურებდნენ და ხან მილიციის უფროსს. გრძნობდნენ, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა მათ გარშემო მაგრამ როგორ და რა – ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ.

– კარგი, – თქვა ბოლოს მილიციის უფროსმა, – რახან ასეა საქმე, დაბრუნდით ზენობანში, მაგრამ არ იფიქროთ, ავტობუსი გათხოვოთ, რავარც გამაბითურეთ და შემარცხვინეთ ამ ჩაჩნებთან, ის წაბლაყუნდით ახლა ფეხით! – გვითხრა და ზურგი შეგვაქცია.

Езжайтеб дорогиеб и извинитеб пожалуйстаб нет у них к вам никаких претензий, – მიუბრუნდა იგი ბოშათა ბანაკის უფროსს, ნიკოლას.

ჩვენ და ბოშები ერთად გავედით მილიციის ეზოდან.

კარგა ხანს ვიდექით ერთმანეთის პირდაპირ. მერე ბოშებს ნიკოლა გამოეყო, მივიდა ლევარსი ბერეჟიანთან და მკერდზე ემთხვია. მერე უხმოდ შეტრიალდა და წინა დროგის კოფოზე დაჯდა.

უცებ გაისმა ველური ყიჟინა, სტვენა, მათრახების ტკაცუნი, ბორბლების გრიალი და ბოშების თავაწყვეტილი ბანაკი საჯავახოს გზაზე გაფრინდა.

წავიდნენ ჩემი შავტუხა, ხალისიანი, მოჩხუბარი, მჭედელი, მოცეკვავე, მარჩიელა და ქურდბაცაცა ბოშები. წავიდნენ უკან მოუხედავად, თან წაიღეს ჩვენი სოფლის ერთი ციცქნა დოვლათი, სამაგიეროდ, ლაშის ღელის ჭალაში იმედის ისეთი კოცონი დაგვიტოვეს, დღესაც მინთია გულში.

წავიდნენ ჩვენი ბოშები... ჩვენ კი, სევდიანები, მაგრამ საკუთარი საქციელით უზომოდ კმაყოფილები და ბედნიერები, ფეხით შევუდექით ზენობნის გრძელ და გაუთავებელ აღმართს.

ნუ გაალვიძებ

შარშანდელი სექტემბერი სოფელში გავატარე ერთ დილას სიყრმის მეგობარმა მიტუშა მარშანიამ გამოიარა და მდინარეზე გამიტყუა. ახალგაზრდობა გავიხსენეთ და ნაფიცარაში ვიხელავეთ. ერთი ბათმანი თევზი ამოვყარეთ ჭერეხზე, სულ წვერა იყო. შინ კოლმეურნეობის კანტორაზე გავლით დავბრუნდით. ნაცრის კვერივით პატარა, მრგვალ და სუფთა მოედანზე შევისვენეთ. თევზიანი კალათი ფეხებშუა დავიდგი და გარშემო შემოხვეულ მეზობლებს თუთუნი ვთხოვე. თუთუნს ვიღა ეწევა ახლა სოფელში, ყველას სიგარეტი ჰქონდა ისიც „პრიმა“.

– მე მოგიტან, ბიძია, ბაბუას გამოვართმევ! – მითხრა ერთმა ნახევრად ტიტლიკანა ბიჭმა და ხვლიკივით გაძვრა სადღაც. ვიდრე თუთუნს მიიტანდა, სოფლის მოედანზე ომიდან შინმოუსვლელთა სტენდთან მივედი. უნებურად სტენდზე გამოფენილ სურათებს თვლა დავუწყე.

ას ორმოცდათერთმეტი: გულუბრყვილო, გაკვირვებული, წარბშეკრული, გაცინებული, დაფიქრებული, შეშინებული, ლაღი, ამაყი და უდარდელი კაცის სახე მიყურებდა სტენდიდან. ზოგს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ზოგს – ძველი, სამხედრო ფარაჯა, ზოგს – სამხრეებიანი, ზოგის სურათს ეტყობოდა, საოჯახო ალბომიდან იყო ამოჭრილი და შემდეგ გადიდებული. ზოგს საერთოდ არ ვიცნობდი, ზოგი ბუნდოვნად მახსოვდა, ზოგიც მიტუშამ გამახსენა. უმრავლესობა დოლ–გარმონით, დაფა–ზურნით, ცეკვა–ცეკვით, ტაშ–ფანდურითა და კრიმანჭულით მე თვითონ გავაცილე ომში. აგერ ა... გუშინდელივით მახსოვს.

დანიელა ბასილაია: იაპონურ წვრილკაკალა ხურმაზე იყო გასული და იზაბელას კრეფდა, ომმა რომ მოაკითხა, გიდელი თვითონ ბაკურა ფოსტალიონმა გამოუცვალა, – მშვიდობით ჩამოდიო! – ასძახა ბოჯიყაში ჩამჯდარ დანიელას და ცარიელ გიდელში კომისარიატის უწყება ჩაუდო.

ხიდან კი ჩამოვიდა დანიელა მშვიდობით და ომშიც კი წავიდა მშვიდობით, მაგრამ იქიდან აღარ დაბრუნებულა.

ვაუიკო ცენტერაძე: ძლივს გამოათრია კოლმეურნეობის პარტუჯრედის მდივანმა ლუდვიგა კვიტაიშვილმა ქორწილის მესამე დღეს პატარძლის ოთახიდან. ცეცხლივით ბიჭი იყო ვაუიკო, ხუმარა და ენაკვიმატი.

– ლოგინი არ აალაგო, ტუხია, ორ დღეში დედას ეუტირებ ჰიტლერს და დაბრუნდები! – ელაზღანდარებოდა გულამომჯდარ ცოლს.

არც ის დაბრუნებულა.

თამაზ ჯაბუა: მეცხრე კლასში იყო. სამჯერ დააბრუნეს კომისარიატიდან: ისე არ გვიჭირს შენნაირი შეუბუმბლავი ბღარტები წავიყვანოთო. გაიპარა. მერე დაღუპულს მისცეს სიმწიფის ატესტატი. ახლა, სადაც სწავლობდა იმ კლასის კედელზე ჰკიდია ის ატესტატიც და მისი სურათიც, დედამისს კი მას შემდეგ შემოუტეხავი შავი კაბა არ გაუხდია.

ცენზორიე ჭელიძე, ბარნაბა მაღულარია, მაშაიე გოგიბერიძე, ლადიკო ანთიძე, ბუჭუტა კალანდაძე, ლეოიე ფოცხიშვილი და...

– ეს ვინაა, მიტუშა? – ვკითხე, თვალმა და მახსოვრობამ რომმიღალატა.

– მაგი ვერ იცანი, ბიჭო? – გაუკვირდა მიტუშას.

– მომკალი და ვერ ვიცანი!

– შენ რა გითხრა, შენ, კუკურაა მაგი, წყლის მზიდველი, წიფნაგვარელი კუკურა. – მითხრა ნაწყენმა მიტუშამ და სტენდის შუშა, იქ, სადაც კუკურას ფოტო იყო, სახელოთი გაწმინდა.

...კუკურა, წიფნაგვარელი კუკურა, ნათელას ძმაი, როგორ არ მახსოვს?!

– მერე, ცხენი რა იქნა მისი, ცხენის სურათი რატომ არ გამოაკარით? – ვთქვი მე. ვისაც კუკურა ახსოვდა, ყველას გაეცინა. მეც გამეცინა ჩემს როყიო შეკითხვაზე, მერე მოგონებიდან თავად კუკურა ამოცურდა, ამოტივტივდა და გამოუთქმელმა სევდამ შემიპყრო.

ულამაზესი ბიჭი იყო წიფნაგარელი კუკურა. დროგზე მუშაობდა კოლმეურნეობაში. წყალს დაატარებდა ჩაის პლანტაციებში უზარმაზარი კასრით და ზაფხულის მზით დასიცხულ და დაგვალულ ქალებს აბრიალებულ გულღვიძლს უგრილებდა.

აღდგომა იყო გოგოებისათვის პლანტაციაში კუკურას გამოჩენა. შემოეხვეოდნენ გარშემო, სცხელოდათ თუ არ სცხელოდათ, სწყურდათ თუ არ სწყუროდათ, ისხამდნენ ამ წყალს თავზე, წიოდნენ, კიოდნენ და კუკურასაც შეუბრალებლად წუწავდნენ, კუკუკურა კი იდგა გაუნძრეველად და იღიმებოდა. ვინ, ვინ და კუკურამ იცოდა თავისი ფასი.

– წადი აწი, ბიჭო, ხომ ხედავ, მოსწყდათ მკლავები ამ შეჩვენებულებს და აღარ უნდა მუშაობა!

– მაყურებიე, ნინა; ერთხანს ამ თხებიზა! – ეხვეწებოდა თავის მხრივ კუკურა ბრიგადირი ნინას.

– მერე, შენ შემისრულებ ჩაის კრეფის გეგმას?! – კაპასობდა ნინა და ჯიკავ-ჯიკავით აგდებდა კუკურას.

– არ გაუშვა, ნინა, თვარა სულ არ მოვკრეფ ამ ძირგასახმობს! – აფრთხილებდა ერთი ნინას.

– კუკურა, დაგეფსო თვალები მაგ შენი ცხენივით, ვერ ხედავ, გული რომ მიბრიალებს და ჩამომახმო შენმა სიყვარულმა კორკიმელივით? – უცინოდა მეორე.

– წაწყდა, კუკურა, დედაშენი, გაეჩინა ერთი ათი შენნაირი და მოისვენებდა ნინას ბრიგადა.

– კუკურა, რავა აცდენ, ბიჭო, ყოველღამე ქვეშაგებელს, წაგეკიდათ ცეცხლი ორივეს! – წყევლიდა ყველაზე თამამი.

– სუ, ქალებო, მოგვეჭრა თავი, სად გაგონილა ქალისაგან კაცზე ასე გადარევა! – ლოყას იხოკავდა ნინა ბრიგადირი. გაწუწული, გაბრუებული და სახეგაბადრული კუკურა კი ჯდებოდა თავის დროგზე და ახლა სხვა პლანტაციისაკენ მიერეკებოდა თვალზე ლიბრგადაკრულ თავის ლურჯას.

ქვეყანას ძალიან რომ გაუჭირდა, კუკურას და მის ცხენს ერთად დაუძახეს ომში.

ფილიპე ჩამოვიდა მახარაძე, მახსოვს, მაშინ ჩვენს სოფელში და ასე მიმართა კლუბში თავმოყრილ დაზაფრულ ხალხს:

– ხალხო, პირსისხლიანი ჰიტლერი მოდის, მოგვეხმარეთ, გათხარეთ აკოპები, გალესეთ ნაჯახები და წალდები, ჩახერგეთ გზები და არ შემოუშვათ გურიაში მტერიო!.. – მერე ჩვენ გადმოგვხედა წინა რიგებში პირდაპირ იატაკზე დაყრილ მოსწავლეებს და ახლა ჩვენ მოგვმართა:

– ბაღნებო, ამოუდექით მშობლებს მხარში, თქვენია ეს ქვეყანა და ნუ მისცემთ საჯიჯნად კანიბალ ჰიტლერსო! – მერე ალბათ იფიქრა, ესენი სიტყვა „კანიბალს“ ვერ გაიგებენო და იქვე გვითარგმნა.

– ნუ დაუთმობთ ამ სამოთხეს ბაღნისჭამია ჰიტლერსო!

თქვენმა მტერმა იძინა ისე, მე რომ იმ ღამით მეძინა. სანგარიც გავთხარე, წალდიც გავლესე და ხიდის აფეთქების გეგმაც კი შევიმუშავე, მაგრამ მიტუშამ თავისი სტრატეგიული გეგმა გაიტანა:

– ბონდის ხიდს აფეთქება რად უნდა, ბიჭო, ბაგირი გადავჭრათ და გვიყაროს მერე კაკალი ჰიტლერმა, როგორ გადმოვა გუბაზოულის ამკედაროს, იმასაც ვნახავო.

ფილიპე მახარაძის გამოსვლის მეორე დილას ნახევარი გურია გაიკრიფა ფრონტზე. კუკურაც და მისი ცხენიც სწორედ იმ დღეს წავიდნენ.

... და თქვენ გგონიათ კუკურა შეჯდა თავის ცხენზე და ისე წავიდა კომისარიატში?.. დილით ადრე გამოიყვანა კოლექტივის ახორიდან, ერთი საათი ბანა და ვარცხნა სამონელით გუბაზოულში, მერე ფაფარი და ძუა დაუწნა ცირკის ცხენივით, ზურგზე ყაჭის პრემიაზე მიღებული წითელი ატლასი გადააფარა, ჯარისკაცივით ამოუდგა გვერდში და ასე ლაგამდაჭერილი ატარა შეკრების პუნქტამდე.

სახელდახელო მიტინგი გაიმართა კომისარიატის წინ. ყველა რაღაცას ამბობდა, იყო პატრიოტული სიტყვების გრიალი, ლოზუნგების ფრიალი და ლექსების კითხვა. ერთმა ადგილობრივმა პოეტმა ასეთი ლექსი წაიკითხა:

ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.
დედაშვილობას, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო
და რომ მოკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო.
ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
ასე ამბობდა აკაკი,
მის კალამს ვენაცვალეო...

ისიც წაიყვანეს კუკურასთან და ცხენთან ერთად, არც ერთი აღვარ დაბრუნებულა.

ამ ამბავმა კიდევ ერთი ამბავი გამახსენა.

ეს უკვე, კუკურას ომში წასვლამდე, ერთი თვით ადრე მოხდა. კვირა დღე იყო. მარჩენალი ძროხა გამოეყვანა კუკურას ბაზარზე და ყიდდა. გვერდით გაცრეცილ, ლურჯ კაბაში გამოწყობილი თავისი ფეხშიშველი დაი ნათელა ედგა. კი არ ედგა, ორივე ჭადრის ძირში დაგორებულ ქვებზე ისხდნენ. დიდზე – კუკურა, მომცროზე – ნათელა.

კუკურა თუთუნს აბოლებდა თავჩაღუნული და ჯოხით რაღაცას ხაზავდა მიწაზე. ნათელას გვერდით ბალახით გაძეძგილი კალათა ედგა და ჭადარზე მიბმულ აზმუვლებულ ძროხას დროდადრო თითო მჯიღ ქალახს აჩრიდა პირში.

არავინ არ ევაჭრებოდა კუკურას, ისე კი ცა და ქვეყანა ეკითხებოდა:

– რაცა ყიდი მაგ ძროხას, კუკურა?

– რამდენს იწველის, კუკურა, შენი ძროხა?

– ყველი თუ იცის ერბოიანი?

– რქენიე ხომ არაა, ბიჭო?

– სახელს რას უძახით?

– დერგში ხომ არ იცის ფეხის ჩადგმა?

ზოგს პასუხობდა კუკურა, ზოგს – არა.

ანანია მივიდა ბოლოს, ნიბლაძე.

– როგორ ყიდი, ბიჭო, მაგ ძროხას?

ფეხზე წამოუდგა ანანიას კუკურა. კუკურას ძროხას კი არა, მთელ ბაზარს რომ იყიდდა, ის კაცი იყო ანანია ნიბლაძე.

– სამი ათას მანეთად ვყიდი, ანანია ბატონო!

– ძვირია, ბიჭო!

– ვიცი.

– მერე, დოუკელი, თუ იცი!

– შენთვის ქაღალდია მაგი ფული, ანანია ბატონო, ჩემთვის კი საცხოვრებელია აგი ძროხა.

– რატომ ყიდი მერე? – მოუჭრა ანანიამ და თავმოყრილ ხალხს შეხედა კმაყოფილმა. კუკურამ არაფერი არ უპასუხა. ქვაზე დაჯდა ისევ.

– არ გეყურება? – გაუმეორა კითხვა ანანიამ.

– ამ შიშველ ციცას ხედავ შენ, ანანია? – ამოხედა ქვევიდან კუკურამს და ყვრიმალზე კუნთი აუთამაშდა.

– ორი ათას ხუთასი! – თქვა ანანიამ და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

– ერთი თვეა კლასში არ უვლია ამ ბალანას, წული და კაბა ჭირდება. – თქვა კუკურამ და ნათელას შეხედა.
– მიცი, ბიჭო, კაი ფასს გაძლევს! – ურჩია ვილაცამ.
– მე რომ წავალ ჯარში, ამას და ნენას ჭამა არ უნდათ? – ჰკითხა შუამავალს კუკურამ.
– ორი ათას რვაასი! – თქვა ანანიამ და ფული ამოიღო ჯიბიდან... კუკურამ თვალი შეავლო ვეებერთელა ასმანეთიანებს. ანანიამ ცერსა და საჩვენებელ თითზე დაიფურთხა და ფული გადაკეცა.
– წაიყვანე! – თქვა კუკურამ და ფულს თვალი აარიდა. ანანიამ საოცარი სიწრაფით დათვალა ფული და კუკურას გადასცა. კუკურამ თავის მხრივ დიდხანს თვალა ფული, მერე ფაქიზად გაახვია გაზეთში და ჯიბეში ჩაიცურა. ანანიამ ჯროხა ახსნა და იქვე მდგარ გლეხს გამოელაპარაკა.
– რამდენ კაცს ჩამოიარს, თუ იცი, აკაკია?
– კაცს გააჩნია, ანანია ბატონო.
– დღეს 10 კაცი ნადი მყავს და ხვალ 60 – სახლის გადახურვაზე.
– გაუჭირდება, ბატონო ანანია.
– გოჭს და ინდაურს მივახმარ.
– მაშინ, იცოცხლე, გეყოფა.
– რაც არ უნდა იყოს, ძროხაა მაინც! – და თქვა ანანიამ და ძროხას გავაზე დაჰკრა ხელი. მთელი ამ საუბრის განმავლობაში გაკვირვებული კუკურა ხან გლეხს უყურებდა, ხან ანანიას, ხან გლეხს, ხან ანანიას. მერე უცებ ნესტოები დაებერა და ტუჩები გაუფითრდა.
– რისთვის გინდა, ბატონო ანანია, მაგი ძროხა შენ? – ჰკითხა.
ანანიას გაეცინა.
– რისთვის და დასაკლავად! – უპასუხა ანანიას მაგივრად გლეხმა.
– დასაკლავად?
– აბა, შენ რავა გეგონა?! – გაუკვირდა ანანიას.
კუკურამ სწრაფად ჩაიყო ჯიბეში ხელი და გაზეთის შეკვრა ამოიღო, მერე ძროხასთან მივიდა და ყელზე ხელი მოხვია.
– რას ბრძანებ, ანანია ბატონო, ამის დაკვლა ვინ გაიგონა?! ა, ბატონო, თქვენი ფული, მიჭირს თვარა, ამისთვის მემეტება?
– გაგიუდი, ბიჭო, რალა დროს პირის შეშლაა! – მოქაჩა ბაწარი ანანიამ.
– როგორ გეკადრება, ანანია ბატონო, მე გამომისვი აგერ დანა ყელში და მაგას არ დაგაკვლევინებ, ამის დამკვლელს ხელი არ უნდა შეახმეს? – კუკურამ ფრთხილად გამოართვა ბაწარი ხელდან ანანიას, ჯიბეში ფული ჩაუკუჭა და ნათელას მიუბრუნდა:
– წაიყვანე, გოგო, სახლში აგი ძროხა!
– სამი ათასი მანეთი! – თქვა ანანიამ.
– წაიყვანე, გოგო!
– სამი ათას ორასი!..
– რას ბრძანებ, ანანია ბატონო? – გაიღიმა კუკურამ.
– სამი ათას ხუთასი, ბიჭო! – თქვა ანანიამ. ნათელა გაჩერდა და ძმას შეხედა თვალებში. კუკურა გაშრა. ჯერ ნათელამ შეხედა შიშველ ფეხებზე, მერე – ფულს, მერე – ანანიას და მერე ძროხას. ერთხანს ასე იდგა. ხალხი გატრუნული უცქეროდა საოცარ სანახაობას.
– რა გითხარი, გოგო, მე შენ? – გაუჯავრდა კუკურა ბოლოს გაშტერებულ ნათელას დაკარგული ხმით და ძროხას ხელი ჰკრა ფერდში.
– წადი, ძროხა, შინ! – ახლა ძროხას გაუჯავრდა კუკურა და ძროხა წავიდა შინ, კუკურა უკან მიჰყვა.
– ვაი, შენს პატრონს! – თქვა ანანიამ.
– აგი სულელი ყოფილა! – თქვა ვილაცამ.
1942 წლის გაზაფხულზე მოხდა ეს ამბავი.

ეს ამბავი კი, რომელსაც ახლა მოვყვები, 1943 წლის თებერვალში მოხდა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე.
ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბონდისხიდის საშუალო სკოლის მერვე კლასის გათოშილი მოსწავლეები ნედლი შეშით მბუტავ ბუხარზე ვიყავით მისეული და ქართულის მასწავლებლის ჯოკონდა მელიმონაძის შემოსვლას ველოდით.
სოფელი ბონდისხევი ცნობილი მდინარის (როგორც მას ხალხში ეძახიან – გურიის მეორე არტერიის, პირველი სუფსაა) გუბაზოულის ხეობის ორივე ნაპირზეა გაშენებული და წელზე ლეკერთხა ქამარივით ბონდის ხიდი აქვს გადაჭერილი. ბონდისხიდიც სწორედ ამიტომ ჰქვია. ადრე, ესე იგი ვიდრე მდინარეზე ბონდის ხიდს გადაჭიმავდნენ, სოფელს ჯვარცმა რქმევია, და არა იმიტომ, რომ აქ ქრისტე აცვეს ჯვარს, არამედ იმიტომ, რომ ბახმაროს მხრიდან გადმოვარდნილმა თათრებმა სწორედ აქ აცვეს ჯვარს ქრისტეს რჯულისათვის ცნობილი ცენტერაძის მონაზონი. თუ შუშანიკსა და ქეთევან წამებულს არ ჩავთვლით სათვალავში,

ცენტერაძის მონაზონი პირველი ქალია მსოფლიოში, რომელიც მოწამებრივი სიკვდილით ეწამა ქრისტეს რჯულისათვის. ეს ყველაფერი ჩვენი სოფლის კლუბის ათეიზმის წრის ხელმძღვანელის, აგნესა ბაღათურიას ლექციებიდან იცის თითოეულმა ბონდისხიდელმა და სამართლიანადაც ამაყობს ამით.

ბონდისხიდს, ისე როგორც ოქროს ბეჭედს მარგალიტის თვლები, გარშემო გორაკებზე შეფენილი, წვრილ–წვრილი თემები აკრავს. კერძოდ: მეწიეთი, ჭაჭიეთი, ბუქსიეთი, წკვარამეთი, უკუნეთი, კვირიკეთი, კაკაბეთი, ქოქოლეთი და წიფნაგვარა.

მეწიეთელი, ჭაჭიეთელი, ბუქსიეთელი, წკვარამეთელი, უკუნეთელი, კვირიკეთელი, კაკაბეთელი და წიფნაგვარელი ბავშვები ბონდისხიდელი ბავშვებისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან, გარდა იმისა, რომ დაწყებით განათლებას თავთავიანთ თემებში იღებენ და შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად ბონდისხიდის საშუალო სკოლაში გადმოდიან. ერთი კია, ბონდისხიდელ ბავშვებს, ბონდის ხიდზე გაღმა–გამოღმა ხშირი სიარულისაგან ტვინი ოდნავ უფრო გამოლაყებული აქვთ. სამაგიეროდ წიფნაგვარელ ბავშვებს ბონდისხიდელ ბავშვებზე უფრო სევდიანი და უძილო გამოხედვა აქვთ. რადგან მათი თემი ბონდისხიდის საშუალო სკოლისაგან ზუსტად შვიდი ვერსითაა დაშორებული და სკოლაში რომ არ დააგვიანდეთ, ამიტომ სხვა თემის ბავშვებისაგან განსხვავებით დილით ერთი საათით ადრე უწევთ ადგომა. სხვა მხრივ ბონდისხიდი თავის თემებიანად ჩვეულებრივი გურული სოფელია და არც მისი ათწლედია მაინცდამაინც იყალთოს აკადემია.

კუკურა და მისი დაია ნათელა წიფნაგვარელები გახლდნენ, მე კი ქალაქიდან ომისა და შიმშილის ტალღით ბონდისხიდელ ნათესავებთან გადმოსრულილი ლტოლვილი და ამ ამბის დროს, რომელსაც ახლა გიყვებით, სხვებთან ერთად ვიდექი ბუხართან ხელფეხგასიპული და ველოდი ქართულის მასწავლებლის ჯოკონდა მელიმონაძის მობრძანებას.

არც გამარჯობა უთქვამს ჯოკონდა მასწავლებელს, არც დაჯექითო, არც სია ამოუკითხავს. მივიდა მაგიდასთან, ზედ ჟურნალი დააგდო, სკამი აიღო, ბუხართან მივიდა, მიგვწი–მოგვწია, დაჯდა და გათოშილი ხელები ცეცხლს მიუშვირა.

– რას შვებით, ბავშვებო, გცივათ? – გვკითხა, ცოტა რომ მოთბა, მერე.

– გვცივა, მასწ!

– რამდენი ხართ? – თექვსმეტიდან რვანი ვიყავით.

– ნახევარი, მასწ!

– ცოტაა! – გააქნია თავი.

– კია ცოტა, მაგრამ დავიწყოთ და შემოგვესწრებიან. – ურჩია ტიტიკო ჭანტურიამ.

– მაინც სად არიან? – იკითხა ისევ ჯოკონდა მასწავლებელმა.

– გზაში არიან, ალბათ...

– მაგალითად, რომელი?

– მაგალითად, ნათელა ნიჟარაძე, მასწ!

– მოვა ალბათ, არ დაგვაღალატებს. – თქვა ჯოკონდა მასწავლებელმა და კარს გახედა.

– არა მგონია, რომ დაგვღუპოს! – შეეხმიანა გური გოგიბერიძე.

– გაკვეთილი იცი? – ჰკითხა ჯოკონდა მასწავლებელმა.

– აბა, არ ვიცი? – გაუკვირდა გურის.

– რა გვქონდა, აბა, თუ იცი? – და უცებ კარის ჭრიალმა გადაარჩინა გოგიბერიძე, კლასში ნათელა შემოვიდა.

თავის ძმა კუკურასავით ლამაზი იყო ნათელა და ახლა ფრთამოყინული ანგელოსივით იდგა კლასის კარებში.

– ოხ! – ყალბი აღტაცებით წამოიძახა ჯოკონდა მასწავლებელმა. – რა გაჩქარებდა?!

– დედაჩემი შეიქნა შეუძლოთ, მასწ! – თქვა ტყუილი ნათელამ, მერე თვითონვე შერცხვა, თავი დახარა, თოვლში სიარულისაგან გათოშილ ფეხებზე დაიწყო ყურება.

– ნუ მოუსავებ ახლა ჯანმრთელ ადამიანს! – მიუხვდა მასწავლებელი.

– რა ვქნა, მასწ, შვიდი ვერსია ჩემი სახლიდან კლასამდე...

– ადრე უნდა ადგე!

– როდის, ღამე?

– ნუ გაგისლექია, გოგო, ენა, გაკვეთილი თუ იცი? – ნათელამ უფრო დაბლა დახარა თავი. – შენ გეკითხები, ნიჟარაძე, გაკვეთილი თუ იცი? – გაუმეორა კითხვა ჯოკონდა მასწავლებელმა.

– არა, მასწ! – თქვა ნათელამ და თავი გააქნია. კლასში უსიამოვნო დუმილი ჩამოვარდა. მასწავლებელი თვალს არ აცილებდა ნათელას, დუმილი დიდხანს გაგრძელდა.

– გოგო, ამ თოვლ–ჭყაპში, თავსხმაში, ყინვაში და ჯანდაბაში იმიტოს დგები უთენია, იმიტომ გრიხავ საძროხე ბაწარივით ამსიგრძე გზას და იმიტომ მოხრაგუნობ შკერნალში, რომ მოხვიდე და გაკვეთილი არ ვიციო, მითხრა? – ჰკითხა განცვიფრებულმა მასწავლებელმა. – მაგას სხვისი პირით ვერ შემომითვლი? რატომ იგდებ თავს განსაცდელში? არ გეშინია, გზაში ფეხი რომ დაგიცდეს სადმე და კლდეზე გადავარდე, ან ტყიდან გამოვარდნილი

მგელი დაგეტაკოს, ან შენ თავს რატომ უშვები ამას, ან ჩვენ რას გვერჩი? დეპეშით გვაცნობე მაინც: ასე და ასე, გაკვეთილი არ ვიცი და ვწუხვარ, ვერ გესწრებითო! – კლასში ისეთი სიცილი ატყდა, ნათელას კი არა, თვითონ ჯოკონდა მასწავლებელს გაეცინა.

– მოდი ახლა ბუხართან. – უთხრა, თავისი ადგილი დაუთმო, თვითონ მაგიდასთან მივიდა, წიგნი აიღო და გადაშალა.

– ეგნატე ნინოშვილი, „განკარგულება“. – თქვა მან. და ამოიოხრა.

დიდხანს ყვებოდა ჯოკონდა მასწავლებელი გურული გლეხობის და მათსავით მშიერ–მწყურვალი, გაუბედურებული და ჭლექისაგან ფილტვებდახრული მათი ქომაგის, ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებას. ის ყვებოდა დალოცვილი, თვითონაც ტიროდა და ჩვენ ხომ გვატირებდა და გვატირებდა. მაგრამ განცდებმა უსაშველო აპოთეოზს მაინც მაშინ მიაღწიეს, როდესაც განკარგულების შესასრულებლად რკინიგზაზე სადარაჯოდ გამოსულმა ქანცგამწყდარმა და კუჭგამომხმარმა კაცა მუნჯაძემ თავი რელსზე დადო. აქ, ამ ადგილას, მასწავლებელი ჩურჩულზე გადავიდა, მოჭუტული თვალები სიცარიელეს მიაპყრო და ზეპირად თქვა:

„ედვა თავი რელსებზე და ეძინა კაციას. სავსე მთვარე კი, თითქოს ეტრფის მის გაბურგნილ წვერ–ულვაშსო, ნარნარად დაჰყურებდა ზევიდან, ბულბული კი სმენის დამატკბობელად გაიძახოდა: „ტიავ, ტიავ, ტიავ“. მასწავლებელი უცებ ჩვენსკენ შემობრუნდა, წიგნი გაშალა და აღელვებული ხმით განაგრძო:

„...ი, მიუახლოვდა კაციას მატარებელი... კაცია ხედავს სიზმარში, ვითომ იმან შორს შეუტყო მატარებელს მოდისო, წამოვარდა ზეზე, მოიმარჯვა თოფი და დგას მარდად. მოდის მატარებელი სულ ერთიანად ოქროსი; შიგ სხედან ოქროს ტანსაცმლით კაცები... მწყრომარედ უყურებენ კაციას, ვითომც გაუგიათ კიდეც, კაციას ეძინაო... „ვაი, დავღუპე ცოლ–შვილი!“ ამბობს ვითომ კაცია თავისთვის, „ციმბირში გამგზავნიანო“. ...მატარებლის თვლებმა გაისრიალა რელსზე, რომელზეც კაცია იწვა და განაგრძო გზა“.

მასწავლებელმა კითხვა შეწყვიტა, ამას იქით რამის წაკითხვა აღარ შეიძლებოდა. მას ხმა გაუქრა. ჩვენ ხმამაღლა ვტიროდით.

– მერე, ჯოკონდა მასწავლებელო?! – ჩურჩულით ჰკითხა გულამომჯდარმა სისიკო გიგინეიშვილმა.

მასწავლებელმა ძლივს დაიოკა აკანკალებული ნიკაპი, ნერწყვი ცრემლთან ერთად გადაყლაპა და ძლივს გასაგონად თქვა:

– განთიადისას რკინიგზის დარაჯმა იპოვა ლიანდაგზე მკვდარი კაცი, რომელსაც თავი ჰქონდა წაგლეჯილი, ეს იყო კაცია მუნჯაძე.

კლასი მოკვდა. ხუთ წუთს გრძელდებოდა შემაძრწუნებელი დუმილი. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჯოკონდა მასწავლებელი უცებ ბუხართან მივიდა, ნათელა წამოაყენა, თავის სკამზე დაჯდა და ღიმილით იკითხა:

– ბავშვებო, მოთხრობის გარშემო რამე შეკითხვა ხომ არ გაქვთ?

ხმას არავის არ ამოღია. ან რად უნდა ამოეღოთ, როდესაც ყველაფერი მზესავით ნათელი იყო – მოკვდა კაცია.

...და უცებ:

– მე მაქვს შეკითხვა, მასწავლებელო! – თქვა ნათელამ. გაკვირვებული კლასი მისკენ შეტრიალდა.

– თქვი! – უთხრა მშვიდად ჯოკონდა მასწავლებელმა. ნათელა რატომღაც ბუხარს მოსცილდა, თავის მერხთან მივიდა და იქიდან იკითხა ოდნავ შემკრთალი ხმით:

– მასწავლებელო, თუ მატარებელმა თავი მოჭრა კაციას, იგი სიზმარი ვინ მოყვა?! – მეხი რომ გავარდნილიყო და ჩვენი კლასი ქვესკნელში ჩაეტანა, ისე არ გაუკვირდებოდა ჯოკონდა მასწავლებელს, როგორც ეს შეკითხვა გაუკვირდა. კლასმა ისე გადაიხარხარა, ფანჯრებმა ზრიალი გაიღეს. ბავშვები ერთმანეთს შეასკდნენ.

ჯოკონდა მასწავლებელი მაგიდასთან მივიდა, ზედ იდაყვებით დაემხო და გაოგნებული თავი ხელებში ჩარგო. ნათელა დაჯდა, თან შეშინებულ თვალებს აქეთ–იქით აცეცებდა, ასეთი რა ვთქვიო. ბოლოს, კლასში ისტერიკამ რომ გაიარა, მასწავლებელმა თავი ასწია, სახე ჭარხალზე წითელი ჰქონდა.

– შტერო ნიუარაძე, ადექი! – თქვა მან. ნიუარაძე ადგა.

– მოხიკე შენი წიგნები! – ნიუარაძემ მოხიკა თავისი წიგნები.

– გადი გარეთ! – ნიუარაძე უხმოდ დაიძრა კარისაკენ.

– ნიუარაძე, არ დაგინახო ჩემს გაკვეთილზე აწი! – დააწია ხმა მასწავლებელმა.

ნიუარაძემ კარი გაიხურა.

კლასი გატრუნული იჯდა. არავინ ელოდა ასეთ დასასრულს.

– მასწავლებელო! – ვთქვი მე.

– რა გინდა, ნანაძე? – ამომხედა მასწავლებელმა. მე არ ვიცოდი რა მინდოდა, უბრალოდ, ვგრძნობდი, ახლა, ამ წუთიშ, საკინძე რომ არ შემეხსნა და რამე არ მეთქვა – ან

დავიხრჩობოდი, ან გული გამისკდებოდა, საკინძე შევიხსენი და დავიწყე, დავიწყე სულმოუთქმელად, უაზროდ, მაგრამ მტკიცედ:

– რაა, ჯოკონდა მასწავლებელო, რომ დაგვზაფრეთ ამ დილით, გვიკითხავთ და გვიკითხავთ ამდენ უბედურებას! ეს მშიერიო, ე გაღლეტილიო, ეს გაყინულიო, ეს დამხრჩვალიო, დუხჭირიო, თავიო, ვაიო, ვუიო. ჩვენ ჩვენი გაჭირვება არ გვეყოფა?.. მაგი ეგნატე ნინოშვილი, წადით და გამძღარ, გამთბარ და გაფუშფუშებულ ბავშვებს წაუკითხეთ, სხვაიც რომ შეეცოდოთ და პატარა მჭადი რომ მოუტეხონ. არ გვინდა ჩვენ ამ ზამთარში, შიმშილში, ომში და გაჭირვებაში მაგის სწავლა... და კიდევ, რომ იცოდეთ, ტყვილა გააგდეთ ნათელა ნიჟარაძე კლასიდან. ასეა მაგი! – მე ძლივს მოვაბრუნე პირში გამშრალი ენა და დავჯექი. მე რომ დავჯექი, უცებ მასწავლებელი ადგა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს ერთი ფიცრის სხვადასხვა ბოლოში ვიჯექით და აიწონა–დაიწონას ვთამაშობდით.

– მორჩი, ნანაძე? – მკითხა მან.

– მოვრჩი, მასწ!

– ყველაფერი თქვი?

– კი, მასწ, ყველაფერი ვთქვი!

– ეგნატე არ მოგწონს ნინოშვილი, ნანაძე?

– არ მომწონს, მასწ.

– შენ არ იყავი ერთი წუთის წინ რომ ბღაოდი, ნანაძე, თუ მომეჩვენა მე?

– მე ვიყავი მასწ.

– მერე, ნანაძე?

– რომ ვბღაოდი იმიტომ არ მომეწონა... ახლა არ მომწონს და არ მინდა მაგის გაგონება, მასწ.

– ადექი, ნანაძე, და მოხიკე შენი წიგნები! – მე ველოდი ასეთ დასასრულს და წიგნები უკვე მოხეკილი მქონდა.

– აბა, გაიხურე, კარი, ნანაძე, და გამოეკიდე ნიჟარაძეს, არ იქნება ჯერ შორს წასული. – დერეფანში გავედი და ზურგს უკან კარი გავიხურე. უცებ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელი საათი გავარვარებულ თონეში ვიჯექი. მერე ვიღაცამ მტაცა ხელი და პირდაპირ თოვლის ზვავში მიკრა თავი.

კუდუნეთის გორის ძირში დავეწიე. ნელი ნაბიჯით მიდიოდა თავჩაღუნული. დავუძახე. მომხედა და დამელოდა.

– მეც გამომაგდო! – ვუთხარი, რომ მივედი და გავულიმე.

– რა ვთქვი, ბიჭო ნოდარა, ისეთი, რომ გადაირიეთ მთელი კლასი? – მკითხა სევდანარევი გაკვირვებით.

– მასეთი შეკითხვის დასმა მწერლობაში არ შეიძლება! – ავუხსენი მე.

– რატომ? – ეგ უკვე აღარ ვიცოდი.

– არ ვიცი, მაგრამ არ შეიძლება.

– ტყუილი რომ გამოდის?

– სიზმრის მოყოლა კი გამოდის ტყუილი, მაგრამ ამბავია ართალი... – ნათელამ მხრები აიწურა.

– შენ რაზე გამოგაგდო?

– ვეჩხუბე შენი გულისთვის.

– რატომ? – გაუკვირდა ნათელას.

– ეგნატე ნინოშვილს რაზე გვასწავლი, ჩვენ ჩვენი გაჭირვება გვეყოფა–მეთქი! – ძალიან ამაყად შევხედე. – ხომ ვიყავი მართალი? – ნათელამ ისევ აიწურა მხრები.

– ტყუილა გიჩხუბია, მე, ანაგებად რომაა, არ დაუზაფრივარ, პირიქით, ცოტა იმედი მომეცა, თურმე ჩვენზე გაჭირვებული ხალხიც ყოფილა ქვეყანაზე. – პასუხი იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ გავჩუმდი და გაკვირვებისაგან პირი დავაღე.

შვიდი ვერსი გავიარეთ თოვლში უხმოდ. არც მას უკითხავს, სად მიდიხარო, არც მე მითქვამს, გაცილებ–მეთქი. უჩვეულო არაფერი ყოფილა არც ჩვენთვის, არც იმათთვის, ვინც გზაში გვხვდებოდა. ჩვენი ამბავი მთელმა დუნიამ იცოდა და არც არავინ გვიშლიდა ასე ერთმანეთის კუდში ბორიალს. ყველა ხვდებოდა, რომ ეს იყო რაღაც საოცრად წმინდა, სუფთა და გამჭვირვალე დასაწყისი დიდი სიცოცხლისა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და მეტი არაფერი. მართალია, ერთხელ დადგა უამი, ცუდი ჩრდილი დასცემოდა ამ თაკარა მზით დათუთქულ ორ აბრიალებულ გულს, მაგრამ თვით ღმერთი ჩადგა მაშინ ჩვენ შორის.

შემოდგომა იყო, თბილი და მზით სავსე.

გუბაზოულის მოთიბულ ჭალაში ვიწექით გულაღმა მე და ნათელა ზვინის ქვეშ. მე მას ლექსებს ვუკითხავდი და უცებ ორივეს გვეახლა ისეთი მღელვარება, ისეთი სიმთვრალე,

ისეთი თავბრუსხვევა, და თავზე ისეთი მზის გვირგვინი და მზის თვალი დაგვადგა, რომ ველარაფერს ვხედავდით. გვესმოდა მხოლოდ სუნთქვა ერთმანეთის და ხმა ძალიან, ძალიან შორიდან მოსული. მერე ჩვენ დავკარგეთ ერთმანეთი და ყველაფერი ფერად სიზმარს დაემსგავსა. საოცრად დამძიმდნენ ქუთუთოები და მოვიდა ძალიან ღრმა ძილი...

თვალი რომ გავახილე, თავზე მეველე გვადგა, მიხაკო არობელიძე, და წარშეკრული გვიმზერდა. წამოვჯექი და აუხსნელი მოულოდნელად მოსული სასწაულით განცვიფრებული, მიხაკოს მივაჩერდი.

– რა ქენი, ბიჭო, დაღუპე ობოლი გოგო? – მკითხა ჩაწყვეტილი ხმით.

– რას ბრძანებთ, მიხაკო ბიძია?!

– რა ხდება აქ?

– გვძინავს, მიხაკო ბიძია!

– მეტი არაფერი?

– მეტი რა უნდა იყოს?!

– კი, შენ თუ დაგიჯერე!

– ჩემს დედას გეფიცები, გვძინავს, მიხაკო ბიძია!

– თქვი ნამუსი შემირცხვეს–თქვა!

– შემირცხვეს!

– არ გავალვიძო, აბა?

– ნუ გააღვიძებ! – ვთხოვე მე და ტირილი მომინდა.

მიხაკომ ერთხანს უყურა თივაში გულაღმა გაწოლილ ნათელას:

– რავა ანგელოზს გავს ეს მამაძაღლი! – თქვა.

– კი გავს, – დავემოწმე.

მიხაკომ თავზე ხელი დამადო, გაიღიმა და წავიდა.

ეს იყო და ეს.

ფოცხიშვილების გაუქმებულ წისქვილთან ნათელა შედგა და სოფელს მიაყურა, მერე გაიქცა სულმოუთქმელად. უკან მივყევი. თამარ დედოფლის ნასაყდრალთან კვლავ შედგა და გაქვავდა.

– კუკურა! – თქვა მერე და პირდაპირ ტალახში ჩაჯდა.

სოფლიდან გაბმული, შემზარავი და განწირული კივილი ისმოდა.

არც უტირია, არც ხმა ამოუღია, ასე იჯდა ტალახში. წავედი და ხალხი მოვიყვანე სოფლიდან. ვერ ააყენეს. მაშინ ხელში ატატებული მიუყვანეს სახეზე ტყავგაცლილ დედამისს.

– კვდება, ქალო, და ამას მაინც მიხედე... – უთხრეს.

– მოკვდეს! – თქვა დედამისმა, – მზე ჩამქრალა, ცაი დამხობილა და სორომ–გორომად მოქცეულა აწი ქვეყანა!

ერი თვე იწვა ელდანაცემი. მერე ცოტათი მობრუნდა ამქვეყნისკენ. მაგრამ სკოლაში აღარ მობრუნებულა.

და მე იმ დღიდან სულ მარტო ვიჯექი უკანა მერხზე.

– წავიდეთ აწი, ნოდარა, თორემ აქოთდა აგი თევზი! – მითხრა მიტუშამ და მკლავზე მომკიდა ხელი. შინმოუსვლელთა სტენდს მოვცილდით და სახლისკენ დავეშვით.

არ მეგონა, თუ ამდენ სევდას მომგვრიდა ეს მოგონება, მე იგი უფრო მხიარულ, ღიმილიან და ფრთიან მოგონებად მესახებოდა, ვიდრე ასე დეტალურად გავიხენებდი, მაგრამ როგორც ჩანს, ბავშვობის მოგონებას, რაც არ უნდა მხიარული და სასიამოვნო იყოს იგი, მაინც ახლავს რაღაც ყრუ ტკივილი და სხვისთვის შეუმჩნეველი, თითქმის აუხსნელი სევდა.

დილით მამიდაშვილი შემოვიდა ჩემს ოთახში და მითხრა:

– ვიღაც ქალია, შენ გკითხულობსო.

– უთხარი შემოვიდეს. – ვთხოვე მე და სამუშაოს თავი დავანებე.

– ეზოში დგას, ალაგესთან, არ მოდის, თუ არ შეწუხდება, აქ მოვიდეს ერთი წუთითო.

რა გზა მქონდა, ეზოში ჩავედი. ალაგესთან 45–50 წლის ჭაღარა სოფლელი ქალი იდგა. ხელში რაღაცით სავსე სამლიტრიანი ქილა ეჭირა და უხერხულად იღიმებოდა. სათნო და ლამაზი სახე ჰქონდა.

– გამარჯობათ, ნოდარ ბატონო! – მომესალმა.

– გამარჯობათ, მობრძანდით სახლში! – მოვიპატიჟე ცალყბად, თან გულში გავიფიქრე, ძღვენით არის მოსული, დაიწყება ახლა: „შვილი მყავს მოსაწყობი“, ან „ამას მიმიწერე“, „იმას დაურეკე...“

– არა, ბატონო, მხოლოდ ერთი წუთით გეახელით.

– რაზე შეწუხებულხართ, ქალბატონო?

– ალბათ ვერ მიცანით, ნოდარ ბატონო. – მითხრა მან და ძალზე სევდიანად გაიღიმა.

– გამოგიტყდებით და, ვერა, ქალბატონო. – შემრცხვა, მაგრამ ტყუილი ვერ ვთქვი.
– არ მეგონა, თუ ვერ მიცნობდით. – მითხრა მან და თავი დახარა.
– რატომ გეგონათ, რომ გიცნობდით, ქალბატონო?! – გამეღიმა მე.
– ნათელა ვარ მე, ნიუარაძე, კუკურას დაი. – თქვა მან.
– ნათელა! – საოცარი სისუსტე ვიგრძენი ხმაშიც, მკლავებშიც, მუხლებშიც…
– ნათელა! – გავიღიმე უნაიროდ და იქვე წაქცეულ ხის გრძელ მორზე ჩამოვჯექი. იგი მოვიდა, ის ქილა ფეხებშუა ჩამიდგა და ჩემს გვერდით ჩამოჯდა. უხერხულობის დასაფარავად თუთუნის გახვევა დავიწყე.
– მაისის თაფლია, ნოდარ ბატონო, ჩემი ბუკისაა, სუფთა ქარვასავით.
– გმადლობთ, რაზე ირჯებოდით.
– სოფელში თქვეს – ჩამოვიდაო, გულს უჩივაო, აგი თაფლი გულის წამალია… შენი ძმაი იკითხა, კუკურა და მისი ცხენიო… – თავი დავუქნიე უაზროდ. – რამდენი ხნით ჩამობრძანდით, ნოდარ ბატონო, მარტო ბრძანდებით თუ შემადგენლობით… – იგი ლაპარაკობდა წყვეტილად, თავაუღებლად. ხმა უთრთოდა.
– როგორ ხარ, ნათელა? – შეეაწყვეტინე ლაპარაკი… მან სული მოითქვა და თვალებში შემომხედა.
– ჩემი არ იყოს, ხანი შეგპარვია, ნოდარ ბატონო! ახლა ხომ არ უჩივით რამეს?
– ჩემი საქმე გამორკვეულია. შენ როგორ ხარ, ნათელა?
– ვარ ისე, როგორც შეეფერება სოფლის დედაკაცს.
– მაინც?
– ჩაის ვკრეფ, ყანას ვთოხნი, საქონელს ვწველი, ქმარ–შვილს ვუვლი.
– გათხოვდი?
– გვინ გავთხოვდი, ნოდარ ბატონო… ოთხი შვილი მყავს, ოთხივე სწავლობს…

. . . . . .
– ქმარი კარგი მყავს, წესიერი კაცია, მშრომელი…
– სახლში შემოდი, ნათელა! – ვთხოვე მე და წამოვდექი.
– არა, ჩემო ბატონგო, აღარ შეგაწუხებთ. – თქვა და უხერხულად შეიშმუშნა. მივხვდი, რაღაც აწუხებდა, მაგრამ თქმა ეუხერხულებოდა.
– რაღაც გაწუხებს, ნათელა, და მითხარი, ნუ მომერიდები, – ვუთხარი მე.
– აგერ, ეს მოგიტანეთ, არ იფიქროთ, რომ… სხვანაირად ნუ ჩამომართმევთ და… თქვენ ახლა სახელიანი კაცი ბრძანდებით, თქვენ უფრო გამოგადგებათ, რამეში გამოიყენეთ, მე კი… – მან რაღაც ძველი, გაცრეცილი ქაღალდი გადმომცა ათრთოლებული ხელით.
– რა არის ეს, ნათელა?
– ლექსია. თქვენი დაწერილი… – გული გამიწვრილდა ცნობისმოყვარეობისაგან, ქაღალდი გავხსენი და ელდა მეცა.

> წიფნაგვარელი ნათელა
> ულამაზესი ქალია,
> ო, ჩემო ციცინათელავ,
> ჩემო ციხევ და გალია…

და შემდეგ:

> შენი თვალები მაღლები
> სამხრეთის ზღვების ფერია,
> კბილები – თეთრი ძაღლები
> მიღრენენ, არაფერია.
> მოგონებებში წასული
> შენს ბაგეს დავეხარბები,
> ოცნების ორი ასული
> გადაწოლილან წარბები
> გადაუთიბავთ თივები…

. . . . . .
…და მე გუშინდელ დღესავით გამახსენდა, როგორ შევიზიარე გალაკტიონი ჩემი ბავშვრობის სიზმრებში დაბადებულ პირველ სიყვარულში, როგორ მიმქონდა მისგან სესხი, რომელსაც არასდროს არ აბრუნებენ, და როგორ ვკვებავდი ამ საზრდოთი ჩემი და ნათელას სიყვარულის მშიერ სულს.
– კიდევ ბევრი ლექსი მაქვს თქვენი, მაგრამ ეს ყველაზე კარგია, ცოდვაა ამის ასე დაკარგვა… – მითხრა მან.
– და შენ ეს ლექსი არავისთვის არ გიჩვენებია?

– რას ბრძანებთ, ჩემზე დაწერილ ლექსს სხვას როგორ წავაკითხებდი? – მითხრა მან და გაკვირვებულმა შემომხედა.
– არც შვილებს?
– არც შვილებს და არც არაფერ სულიერს, – მიპასუხა. ერთი ტირილი ქვეყანას მერჩია.
– კარგი ქალი ხარ, ნათელა, შენ. მაპატიე, რომ ვერ გიცანი, ახლა კი გიცანი და გამახსენდი, მაგრამ ვაი რომ გვიანია. მაპატიე, ნათელა!
– რა გჭირთ, ბატონო, ჩემი საპატიებელი?!
ნათელას გაეღიმა. მერე ისევ დუმილი ჩამოვარდა.
– ნათელა!
– ბატონო?!
– სუყველაფერი გამახსენდა, კუკურა, კუკურას ცხენიც, ჯარში რომ ერთად დაუძახეს. ის დღეც კი მახსოვს, ძროხას რომ ყიდდით შენ და კუკურა და მერე ფული რომ უკან დაუბრუნეთ... ის თუგახსოვს, კაცია მუნჯაძის სიზმრის და მატარებლის ამბავი! – ნათელა ხმას არ იღებდა. – თუმცა, როგორ არ გემახსოვრება, იმ დღეს არ შეიცხადეს კუკურა?.. ლექსებს რომ გიკითხავდი ზვინის ძირში და რომ დაგვეძინა უცებ ორივეს... ისიც გახსოვს ალბათ.
ნათელა წამოდგა, თვალებიდან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი და ნიკაპთან ეკვროდა.
– ბიჭო ნოდარა, სძინავს მაგას ყველაფერს ჩემში და ნუ გააღვიძებ, შენ შემოგევლე – მთხოვა მან. მე ავიღე, ქალისათვის შეუფერებელი შრომისაგან დაკოჟრილი და დამსკდარი მისი ხელი, მოწიწებით ვაკოცე და გული ამომიჯდა. მან ძალიან ფრთხილად გამომართვა ხელი, გულის მხარეს მკერდზე მაკოცა, მერე შეტრიალდა და წავიდა.
– მაპატიე, ნათელა! – ვთქვი მე. ნათელამ არაფერი არ მიპასუხა, ისე გადავიდა ალაგეზე. მე დიდხანს ვიდექი იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც მოიხედავს–მეთქი, მაგრამ ნათელას არ მოუხედია. იგი წავიდა და ასე უკანმოუხედავად წაიღო თან ჩემი საბრალო ბავშვობა.

მზე

ვუძღვნი ჩემი მეგობრის, ***გულდა კალაძის ხსოვნას***. მან პირველმა დამანახა ზღვაში ჩამავალი მზის ქიმზე მწვანე შუქი.

იგი დილის 6 საათზე ამობრძანდა და ოქროს ჯიღასავით დაადგა ერცახუს მთას.
– გამარჯობა, ერცახუ!
– სადა ხარ, შემოქმედო, დავილიე შენს ლოდინში! – შესჩივლა ერცახუმ.
– მოვედი! – თქვა მზემ.
– ყინვის სალტემ ლამის თავის ქალა ამხადოს, სუნთქვა მეკვრის, ჩემს თვალს მთელი ღამე რული არ უნახავს, მიშველე!
– ახლავე! – მზემ ოდნავ აიწია. დისკო შარავანდედით შეიმოსა და უცებ იმდენი ნათელი დაღვარა, რომ მყინვარი შეტორტმანდა. ყინულის სალტემ გაიჭრიალა, მერე ნელ–ნელა დაიძაბა, დაიძაბა და უცებ გასკდა. ერცახუს შეაჟრჟოლა.
– დაილოცოს შენი ძალა, შემოქმედო! – აღმოხდა მყინვარს და შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. მზეს გაეღიმა და ღვთიური თვალის გარეშემო უთვალავი ნაოჭი გაუჩნდა.
– დაილოცა შენი ძალა! – გაიმეორა ერცახუმ და წუთით გაყუჩდა.
მზემ ისევ აიწია. კავკასიონის კალთები, ნაპრალები, ხევები ზათქით, გუგუნითა და თავაწყვეტილი ზვავების შემზარავი გრიალით აივსო. ერცახუ ორთქლსა, ნისლსა და ავარდნილი თოვლის ბურში გაეხვია. მერე ნელ–ნელა გამოჩნდა, თვალი გამოახილა და შემკრთალი მზერა გააპარა მზისკენ. მზე უფრო მაღლა ასულიყო.
– დაიწყო! – თქვა ერცახუმ ყრუდ.
– რა? – დაინტერესდა მზე.
– დაბადება!
– ვისი?
– შვილების, ბადიშების: კოდორის, ფსოუს, კელასურის, მოქვის, ღალიძგის, ჩალბაშის, მაჭარას, ქეთევანას...
– სუყველა შენია? – ჰკითხა მზემ ისე, თითქოს არ იცოდა.
– ჩემი და ჩემი ძმების.
– გამრავლდით! – დალოცა მზემ.
ახლა ერცახუს გაეღიმა.
– ჩვენ პირიქითა ვართ, შემოქმედო, შვილი უამრავი გვყავს, ბადიში – ნაკლები, იმათი შვილები – კიდევ უფრო ნაკლები და ბოლოს ერთი უზარმაზარი ნაგრამი – ზღვა!
კავკასიონის ფერხთით თვალუწვდენელ, გაუთავებელ და უსასრულო ზღვას ეძინა.

– ზღვა! – გაახსენდა მზეს. ერცახუმაც გადმოხედა მისსა და მის ძმათა ნაგრამს, ახლა იგი, ნისლიდან ამომართული და მზით გაჩახჩახებული, წელზევით გახდილ გოლიათს ჰგავდა.

პატარა ბიჭმა თხა გადადენა ეზოდან. ჭიშკარი რომ მოიხურა და ოდისაკენ შემობრუნდა, უცებ აღმოსავლით ვეებერთელა მზე და ერცახუ ერთად დაინახა.

– დედა, შეხედე მზესა და ერცახუს! – დაიძახა.

დედა ჯარგვალში ცეცხლზე შემომდგარ რძეს დარაჯობდა. შვილის ხმაზე წამით გაიხედა აღმოსავლეთისაკენ და იმ წამში რძე გაექცა.

– შენ არ გაეზარდე შენს დედას! – დაწყევლა დედამ, მაგრამ მზეს და ერცახუს თვალი მაინც ვერ მოწყვიტა.

– რა იყო, დედაკაცო, ბაშვს გაღვიძებას რომ არ აცლი! – უსაყვედურა ქმარმა.

– ერცახუს გახედე, – უპასუხა ცოლმა.

გლეხი სიმინდს თოხნიდა. თვალი მოჭუტა და ისე გახედა შეჩვეულ სასწაულს.

– დღეს კარგი დარი იქნება. – თქვა ცოლის გასაგონად და თოხნა განაგრძო.

მზე რომ წამოადგა, ზღვა თვლემდა და თეთრ წამწამებს შრიალით აფახურებდა ქვიშაზე.

– შშშრრრრ... შშშრრრრ... შშშრრრრ...

– დილა მშვიდობისა!

– იცოცხლე!

– რასა იქმ?

– ადამიანი დამეხრჩო სამი დღის წინ, სადღაც უბეში დამეკარგა, ძალიან ვღელავდი, ვაითუ ვერ ვიპოვო–მეთქი. გუშინ ვიპოვე და აი, დავწყნარდი, მოვისვენე.

– ვინ იყო? – დაინტერესდა მზე.

– არ ვიცი, ეტყობა, არავინ, არც უძებნიათ, მე თვითონ გავრიყე და შემდეგ იპოვეს. ორმა იპოვა და ორმა წაიღო. სად, არც ის ვიცი.

– რატომ? – ჰკითხა მზემ.

– მე ხომ შენსავით ვერ ავდგები და თან ვერ გავყვები ადამიანს! – გაელიმა მზეს.

– დაიწყო! – თქვა მზემ.

– რა? – დაინტერესდა ზღვა და ქუთუთოები მაღლა ასწია.

– ადამიანები მოვიდნენ.

ადამიანები თითო–თითოდ ან ჯგუფ–ჯგუფად მოდიოდნენ ზღვისპირას. იხდიდნენ ტანზე. მერე წვებოდნენ მზისგულზე, დარბოდნენ, გორაობდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ, იჭერდნენ, ლამაზ კენჭებს, ნიჟარებსა და გახვრეტილ ქვებს ეძებდნენ, გულზე იკიდებდნენ, ზღვის გამორიყულ ფიჩხს სწვავდნენ. ან, უბრალოდ, იდგნენ და ზღვაში ქვებს ისროდნენ. ბოლოს კარვებს, ქოლგებს, ზეწრებს შლიდნენ და მზეს ემალებოდნენ. ამ დროს მზე ვერ ხედავდა მათ.

– საოცარია, ვიდრე არ ვარ, კვირაობით დგანან, ცას შეჰყურებენ და სასოებით მელიან. გამოჩნდები თუ არა, წამსვე ქუდების, ქოლგების, ზეწრების, კარვების, ხეებისა და კიდევ ვინ იცის რის ქვეშ მემალებიან. – თქვა მზემ.

– სხვას რას აკეთებენ წაღმართს? – ჰკითხა ზღვამ.

მზემ კიდევ უფრო მაღლა აიწია და მის თვალში ადამიანები სულ დაპატარავდნენ.

ქვის ყორეშემოვლებული აგარაკის ეზოდან მოხუცი კაცი გამოვარდა და ძუნძულით გაჰყვა შარას. იგი სხვა აგარაკის ჭიშკარს მიადგა, მუხლმოკვეთილი დაეშვა ჭიშკართან დაგდებულ დიდ ქვაზე და დაიძახა:

– გამოდი, ადამიანო, შვილი მიკვდება!

ადამიანი გამოვიდა და ანუგეშა:

– ნუ გეშინია!

– რაღა ნუ მეშინია, დალოცვილო, კვდება!

მაშინ ის ორი ადამიანი ადგა და სულ სხვა მიმართულებით გაიქცა და ბევრი სხვა ადამიანი მოიყვანა. იმ ბევრ ადამიანს სამი გამოეყო და ავადმყოფთან შეეიდა.

– პროფესორებია! – თქვა ვიღაცამ.

– რას მელაპარაკები?!

ეზოში იმედი და დუმილი ერთად დაიბადა.

– რას უჩივით? – ჰკითხა პირველმა ექიმმა ავადმყოფს და თვითონვე შერცხვა ნათქვამის.

ავადმყოფი ყველაფერს უჩიოდა, ოღონდ ვეღარ ამბობდა.

– რამდენი დღეა ასე? – ჰკითხა მეორე ექიმმა ახალგაზრდა, შეშინებულ ქალს და მასაც შერცხვა, რადგან იცოდა, ავადმყოფი უკვე რამდენიმე წელია ამ დღეში იმყოფებოდა.

– ჰაერი! – ითხოვა ავადმყოფმა.

ფანჯრები გააღეს.

– უკან კარი მიხურეთ, თორემ გამჭოლი ქარია და გაცივდება. – თქვა მესამე ექიმმა და მიხვდა, რომ ყოველივე ეს იმიტომ თქვა, რომ შემდეგ არ ეთქვათ – იმ მესამემ არაფერი არ თქვაო. მიხვდა და მასაც შერცხვა.

– გააღეთ ყველა კარი, ფანჯარა, აყარეთ ჭერი, იატაკი, გაანგრიეთ ოთხივე კედელი და მომეცით ბევრი, ბევრი ჰაერი...

შუა ოთახში ახალგაზრდა ცოლისა და მეგობრის მხრებზე დაყრდნობილი გოლიათი ავადმყოფი ბორგავდა და შეშინებული თვალებითა და დამშეული ფილტვებით კაცობრიობის სამყოფ ჰაერს ითხოვდა.

მამამ პირველი ექიმი გვერდზე გაიყვანა და ჰკითხა:

– რა გეჭირს, ბატონო ექიმო?

– მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ თუ დროზე მივხედავთ... – იცრუა პირველმა ექიმმა.

დაიმედებული მამა მეორე ექიმს მიუბრუნდა.

– თუ სასწრაფოდ მოსკოვში გადავაფრენთ... – იცრუა მეორემაც.

– რა ჰქვია ამ ოხერ ავადმყოფობას? – ჰკითხა ახლა მესამე ექიმს მამამ.

– სიკვდილი! – წამოსცდა მესამე ექიმს.

– რა ბრძანეთ? – მამამ იფიქრა მომესმაო.

– სიკვდილი! – გაიმეორა მესამე ექიმმა.

– კი მაგრამ, წამლები?.. – დაიბნა მამა.

– ამ ავადმყოფობის წამალი სიკვდილია! – მესამე ექიმმა ქუდი დაიხურა და წავიდა. პირველი და მეორე ექიმიც თან გაჰყვნენ.

– რაო? – ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა ოთახში შებრუნებულ მამას.

– გადარჩებაო, – თქვა მამამ.

– რა ამბავია? – ჰკითხა ზღვამ ოთახში შესულ მზეს.

– ადამიანი კვდება! – უპასუხა მზემ.

– ასე უბრალოდ, კვდება და მეტი არაფერი? – ჰკითხა გაკვირვებულმა ზღვამ.

– ექიმებმა უკვე მიატოვეს. – თქვა მზემ და მხრები აიჩეჩა.

– შენ ნუ მიატოვებ, – უთხრა ზღვამ.

– როგორ თუ ნუ მივატოვებ, ჩემი გაჩერება ვინ გაიგონა?! – გაუკვირდა მზეს.

– ნუ მიატოვებ. – გაუმეორა ზღვამ.

– მე რას ვუშველი, კვდება. ესეც არ იყოს, ადამიანებმა უკვე მიატოვეს.

– შენ ადამიანებს რას უყურებ, ადამიანები ძალიან ხშირად და ადვილად ტოვებენ ერთმანეთს. შენ თუ არ მიატოვებ, ადამიანი არ მოკვდება. ნუ მიატოვებ! – სთხოვა ზღვამ.

– არ შემიძლია. მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია, ხვალ ზუსტად ამ დროს მოვიდე კვლავ. – იმართლა თავი მზემ. ოთახიდან გავიდა, აივნის მოაჯირს გადაალაჯა და წავიდა.

– მიდიხარ? – ჰკითხა ზღვამ.

– მივდივარ! – უპასუხა მზემ უკანმოუხედავად.

– სიყვარული ადამიანთა ერთმანეთთან უზომოდ მიჩვევა და სიახლოვეა, მეტი არაფერი! – თქვა ვაუმა და პლაჟზე გასაშავებლად გულაღმა გაშოტილ ქალს ჭიპზე თეთრი, თბილი ქვა დაახურა.

– თქვენ ასე გგონიათ? – ჰკითხა ვაუს თვალდაუჭულმა ქალმა და ლამაზი თითების მომხიბვლელი მოძრაობით ქვა მუცლიდან გადმოიგდო.

– გავიდა ხუთი კალორია, გადაბრუნდით! – გამოაცხადა ხრინწიან რეპროდუქტორში პლაჟის საექიმო პუნქტმა.

გოგონა გადაბრუნდა.

– მგონია კი არა, ასეა! – უპასუხა ვაუმა და ახლა ორთავე თეძოზე ჩაზნექილ მომხიბვლელ ორმოებში, სწორედ იმ ორმოებში, ღვთის ყავარჯენს რომ ეძახიან, ჩაუწყო ქვები. გოგონა არ განძრეულა. მაშინ ვაუმა კისრის მალიდან ვიდრე კუდუსუნის მალამდე დაუსვა ათრთოლებული ხელი. გოგონა სასწრაფოდ წამოჯდა. შავი ტუშით დამძიმებული ქუთუთოები აწია და ცისფერი თვალები მიანათა ვაუს.

– თქვენ რა ჩქარი ყოფილხართ! – უთხრა ქალმა.

ვაუმა ახლა ნახევრად გაშიშვლებულ უბეში ჩახედა ქალს და ყავისფერი ძუძუსთავები დაინახა.

– მეე? – ჰკითხა ქალს სულელივით.

– თქვენ. – უთხრა ქალმა და მზეს ახედა. მზემ ვერ გაუძლო ცდუნებას და ავხორცად დაუსვა ქალს მხრებზე და თეძოებზე გავარვარებული ხელები. ქალი შეწუხდა. უცებ ადგა, აიმართა, აიზიდა, აიშოლტა. ახლა მკერდზე შეავლო მზემ ხელები.

– გამოუშვი. – სთხოვა ზღვამ მზეს. მზემ გაიცინა და შუბის წვერზე დადგა.

– გამოუშვი! – გაუმეორა ზღვამ თხოვნა.

– მიიღე! – უთხრა მზემ ზღვას და ქალს ხელი ჰკრა. ქალი ზღვაში გადავარდა. ათასი აღგზნებული, ანთებული და ხარბი თვალი გადაჰყვა ქალს ზღვაში.

– სიცოცხლეა! – თქვა ქალმა, ზღვაზე გულაღმა გაწვა და მზეს ახედა.
– სიცოცხლეა! – დაუდასტურა მზემ.

– აქ გაიხადეთ, მამაო, ნაკლები ხალხია. – უთხრა მილიციელმა ახალგაზრდა მღვდელს, ქვიშაზე დაეშვა და სალოკი თითით შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა. მღვდელმა აქეთ–იქით გაიხედა, იასამნისფერი ჩაჩი მოიხადა, ქვიშაზე დააგდო, ყელიდან ვერცხლის უზარმაზარი ჯვარი მოიხსნა, ჩაჩის გვერდით დადო და ზედ თეთრი ანაფორა გადააფარა.
– ბარემ სინოპის პლაჟზე გვებანავა, ამაზე მეტი ხალხი არც იქ ყოფილა. – ნახევრად წყენითა და ნახევრად ირონიით თქვა მღვდელმა.
– უხალხო ზღვას ახლა ვერსად ვერ ვნახავთ, მამაო, – წყენითვე უპასუხა მილიციელმა და მანაც დაიწყო ტანთ გახდა, თან გულში თავის უფროსს შეუკურთხა, რაღა მე გამომიშვი ამ უპატრონოს მწყემსადო.
ზღვაში პირველი მილიციელი შევიდა.
– თბილია? – ჰკითხა მღვდელმა.
– ჩამოდით, მამაო. მდუღარეა. – უპასუხა მილიციელმა და დასაყვინთად გაემზადა.
– ამოდი, თუ ძმა ხარ, ესენი მოაცილე ამ ჯვარსა და ანაფორას, რაღაც ულამაზოა მაგათი ასე გვერდიგვერდ ყოფნა. – უთხრა მღვდელმა და თავისი ტანსაცმლის გვერდით დაგდებულ მილიციელის ქუდსა და რევოლვერს ირიბად გადახედა.
მილიციელი უხალისოდ ამოძვრა ზღვიდან და ქუდს შარვალი გადააფარა, ხოლო რევოლვერს – ხაკის ხალათი.
– ასე ივარგებს? – ჰკითხა მღვდელს.
– რად გინდოდა, რომ მოგქონდა? – კითხვაზე კითხვით უპასუხა მღვდელმა და ცალი ფეხი ჩაყო ზღვაში.
– რა ვქნა, მამაო, ჩემი ჯვარი ეგ არის. – გაუცინა მილიციელმა და ხელით მოსინჯა ხალათის ქვეშ რევოლვერი.
– სატანის ჯვარია ეგ! – გადაისახა ახალგაზრდა მღვდელმა პირჯვარი და წყალში დაყვინთა. თავი რომ ამოყო, თვალები დახუჭული ჰქონდა და სიამოვნებისაგან სახე უცინოდა.
– სიცოცხლეა! – თქვა მან. მკერდზე ოქროსჯვარდაკიდებული, შავწვერმოშვებული და მხრებზე სველთმადაფენილი, ახლა იგი შინიდან გაქცეულ ჰიპს ჰგავდა, მილიციელი კი მეტისმეტად ზრდილ, ზომაზე გაკრეჭილ და სუფთად გაპარსულ, წესიერი ოჯახის შვილს.
– შეხედეთ, მამაო, ის გოგონები როგორ გიყურებენ! – გაახედა მილიციელმა. მღვდელმა თვალი გაახილა. მათგან მოშორებით გახდილი, გათქვირული გოგონები იდგნენ და ახალგაზრდა მღვდელს თვალებს უჟუჟუნებდნენ.
– ამათ მე ბერი ხომ არ ვგონივარ? – ჰკითხა მღვდელმა მილიციელს.
მილიციელს გაეცინა.
– მწყერივით გოგოებია, ასეთ მწყერს გაუპუტავადაც მიირთმევდა კაცი, რას იტყვი, მამაო? – ჰკითხა მილიციელმა.
– ცოდვა გამხელილი ჯობია. – თქვა მღვდელმა, მერე თვითონაც გაიცინა.
– რა კარგი ბიჭი ჩანს ეგ მამაძაღლი, ნეტავი რა გაუჭირდა ისეთი, მილიციელად რომ წავიდა. – გაიფიქრა მღვდელმა და ზღვაში შესცურა.
– რა კარგი ბიჭი ჩანს ეს მამაძაღლლი, ნეტავი რა გაუჭირდა ისეთი, მღვდლად რომ წავიდა. – გაიფიქრა თავის მხრივ მილიციელმა და ზღვაში შესცურა.
– ცოლ–შვილი გყავს, მამაო? – ჰკითხა, ახლოს რომ მისცურა.
– არა! – იცრუა მღვდელმა და დაყვინთა.
– სულიწმინდა ხარ? – გაეხმაურა მილიციელი მღვდელს, თავი რომ ამოყო წყლიდან.
– სულიწმინდა ერთია ქვეყანაზე. – უპასუხა მღვდელმა და გულაღმა დაწვა ზღვაზე.
– აკი სამიაო?! – ნიშნისმოგებით უთხრა მილიციელმა.
– ვინ სამი? – ჰკითხა მღვდელმა და გადმობრუნდა.
– მამა, ძე და სულიწმინდა! – თქვა მცოდნე კაცის სიამაყით მილიციელმა.
– ეგ სამივე ერთია, ბიჭო! – უთხრა მღვდელმა.
– როგორ შეიძლება სამივე ერთი იყოს, მამაო? – აგდებულად ჰკითხა მილიციელმა.
– მზეს ხომ ხედავ, მზეც სამებაა – დისკო, შარავანდედი და ნათელი. აი, როგორც ესენია განუყოფელი და წარმოუდგენელია მათი ცალ–ცალკე ყოფნა, ისე წარმოუდგენელია ცალ–ცალკე სამებაც, გაიგე? – ჰკითხა მღვდელმა.
– კი, შენ თუ თქვი და მე დაგიჯერე, – თქვა მილიციელმა.
მღვდელმა ხმა არ გასცა, ზღვიდან ამოვიდა და ცხელ ქვიშაზე დაჯდა.
– რა გქვია, მამაო? – ჰკითხა მილიციელმა უცებ.
– ნოდარი. – მღვდელმა კენჭი აიღო და ზღვაში ისროლა. მილიციელს სიცილი აუვარდა.
– რა გაცინებს? – ჰკითხა გაოცებულმა მღვდელმა.
– მე ვთქვი, ან ონოფრე, ან იობი, ან ლუკა, ან კალისტრატე ერქმევა–მეთქი, ამას კი ნოდარი ჰქვიებია. – სულ ჩაბუირდა მილიციელი.

მღვდელსაც გაეცინა, მერე ადგა და მილიციელს მხარზე ხელი დაჰკრა.
– ეგ ჩემი საერო სახელია. გეყოფა, ჩაიცვი!
– ცოტაც ვიყოთ, მამაო! – შეეხვეწა მილიციელი.
– კონფერენცია დაიწყება, თორემ ახლა აქ ყოფნას რა ჯობია! – თქვა მღვდელმა და ჩაცმა დაიწყო. მოსახვევში შავი „ვოლგა“ გამოჩნდა და მათკენ დაიძრა. – აჰა, აკი გითხარი, მანქანაც მოვიდა.
– ცოტაც, მამაო!
– ვინ ოხერი, სიტყვა რომ არ მქონდეს სათქმელი! – სინანულით გაშალა მხრები მღვდელმა და ანაფორაზე ის უზარმაზარი ვერცხლის ჯვარი ჩამოიკიდა. ახლა იგი კვლავ მღვდელი იყო, მაგრამ მილიციელმაც რომ ჩაიცვა და გვერდით ამოუდგა, რატომღაც პატიმარს დაემსგავსა.
– არ დაგვწვა ამ უპატრონომ? – თქვა მილიციელმა და მზეს გახედა.
– მზეზე ამბობ მაგას? – ჰკითხა მღვდელმა.
– აბა, მთვარეზე? – თქვა დასიცხულმა მილიციელმა.
– ახლავე პირჯვარი გადაისახე და თქვი, ღმერთო, შეგცოდეო! – უთხრა მღვდელმა მკაცრად.
მილიციელმა გაკვირვებით შეხედა მღვდელს, ვინმეში ხომ არ ვეშლებიო და ვარსკვლავიანი ქუდი ორივე ხელით შუბლზე მაგრად ჩამოიჩაჩა. მღვდელი მიხვდა თავის შეცდომას და ახლა დაყვავებით აუხსნა:
– მზეს არ ეკადრება ეგ, მზე ხატია მზიანი ღამისა, – თან სასოებით ახედა მზეს.
– მზიანი ღამე რაღა ოხრობაა? – ჰკითხა თავის მხრივ მილიციელმა.
მღვდელი გაშრა.
– ღმერთო, შეუნდე ცოდვილს, რამეთუ ბრიყვია, უმეცარი და არ ესმის რას ლაპარაკობს, – შეავედრა უფალს მილიციელი მღვდელმა.
– მაინც რა არის მზიანი ღამე? – ჩააცივდა მილიციელი.
– ღმერთი!
– თან მზეა და თან ღამე?
– ჰო, და იმდენად ნათელია, რომ უკუნია, ღამეა ადამიანის თვალისათვის, ამიტომ არის მზიანი ღამე! – აუხსნა მღვდელმა.
მილიციელს გაეცინა.
– ახედე მზეს! – უბრძანა უცებ მღვდელმა მილიციელს.
მილიციელმა ახედა და, რომ ვერ გაუძლო ნათელს, თვალი აარიდა.
– გაუსწორე თვალი! – ისევ უბრძანა მღვდელმა.
– ვერ ვუსწორებ, მამაო!
– უყურე, უყურე დიდხანს.
მილიციელმა თავს ძალა დაატანა. როგორც მჭრელი დანა, ისე სჭრიდა შუქი თვალის გუგებს, მაგრამ შერცხვა და გაუძლო.
– რა ფერია? – ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ მღვდელმა.
– სპილენძის ფერი!
– კიდევ უყურე.
მილიციელს ისე მოეჩვენა, თითქოს მზე ჩამოღვენთა თვალებში და უნებურად ხელი აიფარა თვალებზე. აიფარა და განცვიფრდა.
– გაშავდა, მამაო, – თქვა მან ათრთოლებული ხით. – მზე გაშავდა!
მღვდელი შებრუნდა და მანქანისაკენ წავიდა.
– გესმის? – ჰკითხა ზღვამ მზეს.
– მესმის. – თქვა მზემ და დღე გააშუადღევა.
– რასაც ამბობენ შენს შესახებ, მართალია?
– სისულელეა. მე სულ სხვა ვიღაცა ვარ, თვითონ იცი, ადამიანს ამის ახსნა არ შეუძლია.
– რა ვიცი, შენი შექმნილი ადამიანი ეგ არის. – გაეცინა ზღვას.
– ტყუილია ეგ. მე მაგის შექმნაში მონაწილეობა არ მიმიღია. მე რომ მოვედი, ეგ უკვე არსებობდა. მე მაგისათვის სახელი არ შემირქმევია. თვითონ შეირქვა ადამიანი, და არ ვიცი ვინ არის, როდის გაჩნდა და საიდან მოვიდა. – დაიბანა მზემ ხელი და, რაც სხივი ჰქონდა, ყველა დედამიწაზე დაუშვა.

– Дельфинъ я чайка справа от вас большой косяк! – გადასცა სეინერს ვერტმფრენმა.
– Я Дельфинъ вас понял! – უპასუხა სეინერმა და ზღვაში უშველებელი ბადის ჩაშვება დაიწყო. ლურჯ ტალღებზე თეთრი ტივტივების მრავალწერტილი გაჩნდა.
– შემოდით უფრო ღრმად, ადამიანები მოგდევენ! – გააფრთხილა ზღვამ თევზების ქარავანი. თევზებმა პირი იბრუნეს და შუა ზღვისაკენ გაეშურნენ.

– Дельфинъ косяк уходит влевоъ курс против солнца1 Курс против солнца! – გააფრთხილა ვერტმფრენმა სეინერი.

სეინერი უცებ შეტრიალდა, მზის საპირისპიროდ დადგა და მთელი სვლით მარცხნიდან დაუწყო შემოვლა თევზების ქარავანს. ტივტივების მრავალწერტილი მოირკალა და ცოტა ხანში წრედ შეიკრა.

– ქვევით, ქვევით!

მოუხმო ზღვამ თევზებს, მაგრამ ქარავანი უკვე ბადეში იყო.

– Есть! – მოულოცა ზევიდან ვერტმფრენმა სეინერს.

– Спасибо1 – შეუთვალა სეინერმა ვერტმფრენს.

– გათავდა! – ამოიგმინა ზღვამ.

ბადე ამოზიდეს და ზღვა ბადეში საკუთარი სიმძიმით დასრესილი თევზის სისხლით შეიღება. გემბანი გამყივარი, მშიერი თოლიებით გაივსო, სანაპიროს კი თევზის მოყვარული და მოსეირე ადამიანები მოაწყდნენ. მზემ ოქროს ხელი ამოურია თევზით სავსე ბადეში, მერე ვერცხლის ხურდასავით დაყარა თევზი სეინერის გემბანზე და სისხლიანი ხელი ზღვაში ჩაყო გასაბანად.

– ყოველ ცისმარე დღე ასეა! – შესჩივლა ზღვამ მზეს.

– ყოველ ცისმარე დღე ამის ცქერა შეუძლებელია! – თქვა მზემ და პირი ოდნავ დასავლეთისაკენ იბრუნა.

პირველი საათიდან ოთხამდე ადამიანები ისე გაქრნენ ერთად, გეგონებოდა მიწამ ჩაყლაპაო, მერე ისევ ერთად გამოძვრნენ სოროებიდან და ოთხი საათიდან დაახლოებით იმისივე კეთება დაიწყეს, რასაც დილის ექვსი საათიდან დღის პირველ საათამდე აკეთებდნენ.

მზე ახლა დასავლეთის თეთრ, ქათქათა ღრუბელზე იწვა და ქვეყანას ალმაცერად უმზერდა.

მზე არაფერზე არ ფიქრობდა. და როდესაც სულ უფრო და უფრო დაიხარა და მკვდრის მზე გახდა, ზღვამ შეატყობინა:

– ის ადამიანი, შენ რომ დილით მიატოვე, მზეო, მოკვდა.

– გაქრა, გათავდა? – შეწუხდა მზე.

– არა, ადამიანები არ ქრებიან და არ თავდებიან.

– მაშ, რა დარჩა?

– მამა – უბედური და ცოლი – უბედური!

– მეტი არაფერი? – ეცოტავა მზეს.

– ესკიზი დარჩა ქანდაკების, სულ პატარა, დაუმთავრებელი ესკიზი…

– ვისი ქანდაკია?

– არ ვიცი, თავი არა აქვს. არც ის ვიცი – ქალია თუ კაცი.

– რა მინდაო?

– ლამაზი ტანი აქვს, თხელი და მოქნილი, ძალიან მაღალი თეძოებითა და გრძელი, გაშლილი მკლავებით: არ ვიცი მღერის, ცეკვავს, მისცურავს, გაფრენა უნდა, ეხვევა ვინმეს, ან რამეს, იცინის, თუ ტირის. იქნებ გარბის სადმე, ან გაურბის რამეს არ ვიცი…

– მაშ, ვინ იცის, რა უნდოდა?

– ალბათ, არავინ. ფიქრი თან გაიყოლა.

– ადამიანებმა თვითონ არ იციან, რა უნდათ. – თქვა მზემ,

– მაგას ნუ იტყვი, მზეო, – დაანამუსა ზღვამ.

– სიკვდილის წინ არაფერი უთხოვია? – იკითხა მზემ.

– ჰაერი ითხოვა.

– მერე?

– მისცეს! – უთხრა ზღვამ.

– მერე?

– არ ეყო.

– ჰაერი არ ეყო? – გაუკვირდა მზეს.

– არა. – თქვა მწუხარედ ზღვამ.

მზემ აღარაფერი თქვა. ღრუბელს მოეფარა.

ზღვა ოდნავ აღელდა.

საღამოს, როდესაც მზის ჩასვლას სამი თითის დადებაღა აკლდა, მზემ კვლავ მოხედა ნაპირს, მაგრამ უკვე იმდენად დაბლა იყო, რომ მისი ჩაბრძანების მომლოდინე ადამიანებში ქალსა და კაცს ვეღარ არჩევდა. ყველა ერთნაირად, ოქროცურვილი შანდალივით იწვოდა ნაპირზე და ზღვის ნისლში გახვეული ყველა ერთნაირად ბოლავდა. მაშინ მზემ ოქროს მკლავი გადმოზიდა დასავლეთიდან ვიდრე აღმოსავლეთამდე, ნაპირზე დაგდებულ შავ კუნძს შეახო და ზღვას ჰკითხა:

– ეს კუნძი ახლა გამორიყე, თუ მანდ იყო და მე არ შემიმჩნევია?

ზღვა ისე შეჩვეული იყო ამ კუნძის ნაპირზე ყოფნას, რომ ეს უკანასკნელი ხუთი წელია, ყურადღებას აღარ აქცევდა. მზემ რომ გაახსენა, შეხედა და გაეცინა:

– ეს კუნძი არ არის, მზეო, ადამიანია.

– ჰკითხე რა უნდა, რას აკეთებს აქ?

– რა უნდა ვკითხო? – რამდენჯერაც ეკითხე, იმდენჯერ რაღაც მთხოვა. არ იქნა მაგის სურვილის საწყაულის ამოვსება. შენ თვითონ ჰკითხე. – თავი აარიდა ზღვამ.

– მაინც რას გთხოვს?

– ჯერ იყო და, ამინდს მთხოვდა, მერე – შეშას, მერე – თევზს, მერე – ქვიშას, ნიუარას, მარილს, მიწას მთხოვდა. ეს უკანასკნელი 33 წელია, შვილს მთხოვს, მეტს არაფერს. დამიბრუნეო ჩემი შვილი. მე საიდან დავუბრუნო შვილი? – ამოიოხრა ზღვამ.

– თუ წაართვი, დაუბრუნე! – უთხრა მზემ.

– მე არ წამირთმევია, სხვამ წაართვა, მერე იმ სხვამ მე გადამაბრალა. – იმართლა თავი ზღვამ.

– უთხარი, მზეს უნდა შენთან ლაპარაკი–თქო. – დაავალა მზემ.

– ადამიანო, მზეს უნდა შენთან ლაპარაკი. – შეახო ზღვამ შიშველ ფეხზე სველი ხელი. ადამიანი არ განძრეულა.

– ადამიანო, შენ გესმის ჩემი თუ არა? მე მზე ვარ და შენთან ლაპარაკი მინდა.

– ბრძანე! – უპასუხა ადამიანმა და მზეს ირიბად ახედა.

– შენ იცი ჩემი ენა, რომ მელაპარაკო?

– ვიცი, შენიც და ზღვისაც.

– მაშ, რატომ არ სცემ ხმას? – ჰკითხა მზემ.

– მე რაც მქონდა სათქმელი ზღვისთვის, ახალგაზრდობაში ვუთხარი. ახლა არაფერი საქმე არა მაქვს მასთან, შვილის გარდა.

– შეუძლებელს თხოვ.

– ჩემსას ვთხოვ და არა მოწყალებას. უნდა დამიბრუნოს. – თქვა ჯიუტად ადამიანმა.

– ამაყი ხარ შენ, ადამიანო! – უთხრა მზემ.

– ვარ! – უპასუხა ადამიანმა. – ძლიერიც ვარ! – დაუმატა.

– მაინც რა შეგიძლია? – ჰკითხა მზემ.

– შენ რა შეგიძლია? – ჰკითხა ადამიანმა.

– მე ყველაფერი: ზღვის დაშრობა, ტრამალის გადაწვა, ტყის უდაბნოდ ქცევა, სიცოცხლის ჩაქრობა. – ჩამოთვალა მზემ.

– კიდევ? – ჰკითხა ადამიანმა ღიმილით.

– კიდევ აი, რა!.. – წამოიძახა მზემ და უცებ წითელ, გამომწვარ ქოთანს დაემსგავსა, მერე – დამხობილ ჭერს, სოკოს, ნემსის ყუნწს, მერე თავის თავში გაძვრა და კურდღლად იქცა, მერე – მგლად და ის კურდღელი გადასანსლა, მერე სპილოდ გადაიქცა, მერე – ლომად, მერე – ვეფხვად, მერე – კატად, მერე – თასად, მერე – ჩაიდნად, მერე – ფიალად, მერე – საყურედ, მერე – ყელსაბამად, მერე – სამეფო გვირგვინად და ბოლოს კვლავ მზედ იქცა. – ახლა მე მალე ჩავალ და ქვეყნად წყვდიადს დავტოვებ, ის წყვდიადიც მე ვარ, მე ვარ ყველაფერი! – თქვა არაქათგამოცლილმა მზემ და ცის კიდურზე მიესვენა.

ადამიანს ისევ გაეცინა.

– რა გაცინებს? – ჰკითხა მზემ.

– ყველაფერი ვარ მე, ადამიანი, – თქვა მან.

– მაჩვენე, რა შეგიძლია! – გამოიწვია მზემ.

– მე შემიძლია, სულ გაგაქრო შენ, რადგან შენ ხარ ჩემში. მე შემიძლია ისე გავაკეთო, რომ შენ აღარ იარსებო ჩემთვის. თან ისე უბრალოდ, რო გაგეცინება. – უთხრა ადამიანმა და თვალზე ხელი აიფარა. – მორჩა, აღარა ხარ!

– თავხედი ყოფილხარ. – უთხრა განცვიფრებულმა მზემ.

– ვარ! – არ უარუყვია ადამიანს. – მე შემიძლია უარესი გიყო, დაგშალო, დაგაწიწილაქო, დაგაპატარაო. – უთხრა ადამიანმა და ქუთუთოები საფეთქლებისაკენ გაზიდა საჩვენებელი თითებით.

მზემ იგრძნო, როგორ დაიშალა იგი უცებ ადამიანის თვალის გუგებში, როგორ დაპატარავდა, გაათდა, გაასდა და დაწვრილმანდა.. იგრძნო და სული შეეხუთა.

– ადამიანო, გამიშვი ხელი! – სთხოვა მან. ადამიანმა ხელი გაუშვა თვალთა ქუთუთოებს.

მზემ შვებით ამოისუნთქა.

– აკი გითხარი, ჩემში ხარ–მეთქი! მე ვარ სამყარო და შენ მე მემსახურები. აი, ახლაც იმიტომ ჩადიხარ, რომ ჩემს იმიერ ძმას ეახლო, ხვალ კი კვლავ მე მეახლები, რათა მთელი დღე მემსახურო.

– რომ არ გეახლო? – თქვა მზემ, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, საკუთარი თავის აღარ სჯეროდა.

– დილის ექვს საათზე, ისე რომ წუთი არ დააკლდება, მეახლები და მემსახურები! – გაუმეორა ადამიანმა.

– გესმის? – ჰკითხა ზღვას შეურაცხყოფილმა მზემ.
– მესმის! – უპასუხა ზღვის მაგივრად ადამიანმა. ზღვა უკვე სთვლემდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი ესმოდა, ოღონდ ლაპარაკი ეზარებოდა, ამიტომ დუმილი არჩია და თავი მოიმძინარა.
მზე გადაირია. იგი სიამოვნებით დაბრუნდებოდა უკან ადამიანის ჯიბრით, მაგრამ დრო, ყველაფრის უფალი დრო, თავისას აკეთებდა. მზე უკვე ნახევრად ჩასულიყო ზღვაში.
– ადამიანო! ყველაფერს თავისი ადგილი აქვს სამყაროში: ძროხამ იცის, რომ დედამიწაზე უნდა იცხოვროს და იბალახოს, დელფინმა იცის, რომ ზღვაში უნდა იცხოვროს და თევზზე ინადიროს, ჩიტმა იცის, რომ ცაში უნდა იფრინოს და ხეზე იძინოს. ქვეწარმავალმა იცის, რომ მუცლით უნდა იხოხოს და მიწაში იცხოვროს... რა გახდა შენთვის, ამ ქვეყანაზე ადგილი რომ არ მოიძებნა! რატომ დაძრწი და არ იცი სად იცხოვრო: ზღვაზე, ხმელეთზე თუ ცაში. ან ცაში დაეტიე, ან ხმელეთზე, ან ზღვაში... ბოლოს და ბოლოს, ვინ ხარ, საიდან მოსულხარ და რა გინდა, ადამიანო? – აღმოხდა მზეს.
მისი ბოლო სიტყვები ადამიანს აღარ გაუგონია, რადგან მზე თითქმის ჩასული იყო და რაც თქვა, ჯერ კიდევ ძილ–ღვიძილში მყოფმა კაცობრიობის მხოლოდ მეორე ნახევარმა გაიგონა. ისიც ბუნდოვნად. მზემ უკანასკნელად გაიბრძოლა და თვალის კუნჭული შეაელო დაცარიელებულ ნაპირს. იმ ადამიანის გვერდით ახლა მეორე პატარა ადამიანი იდგა.
– ვის ელაპარაკები, ბაბუ? – ჰკითხა პატარა ადამიანმა დიდს.
– არავის, ჩემს თავს ველაპარაკები! – გაულიმა დიდმა.
– შეხედე, მზის ადგილზე მწვანე შუქი აინთო, – გაახედა პატარამ.
– ვინც ჩამავალი მზის მწვანე ნათელს დაინახავს, ბედნიერი იქნებაო, ასე ამბობენ. – უთხრა დიდმა ადამიანმა პატარა ადამიანს და თავზე ხელი დაადო.
იმ დღეს, იმ ბავშვის გარდა, მზის მწვანე შუქი თითქმის არავის დაუნახავს.

მეორე დღეს მზე დაბარებულივით გამოცხადდა ექვს საათზე და ოქროს ჯიღასავით დაადგა ერცახუს მთას.

კორიდა

დათომ თავისი მოთხრობა კროსვორდივით დაიწყო:
– გარიჟრაჟისას ესპანეთის ერთ–ერთ ქალაქში შეევდით...
– მადრიდში! – ერთდროულად წამოვიძახეთ მე და ნანამ.
– როდის ამისრულდება?! – მტაცა ნანამ თმაში ხელი.
– არასდროს! – ვუთხარი მე და თავი გავინთავისუფლე.
– დებილი! – თქვა ნანამ და ხელი გამიშვა.
– ნუ ჩხუბობთ, მადრიდი არ ყოფილა. – გაგვაშველა დათომ.
– სარაგოსა! – თქვა ლილიმ.
– არა!
– ბარსელონა!
– არა!
– ბილბაო!
– არა!
– სევილია?!
– არა!
– იქნებ ესპანეთში არ შესულხართ? – ჰკითხა ნანამ.
– ზღვით შედით თუ ხმელეთით? – ვკითხე მე.
– ზღვით! – თქვა დათომ.
– ვალენსია! – ვცადე ბედი.
– ვალენსია! – თქვა დათომ და მუხლზე დამკრა ხელი. – ნაშუადღევს ქალაქში გაგვიშვეს. – გააგრძელა ამბავი, – სანაპიროს მივყვები, თან მალიმალ უკან ვიხედები, მეშინია, ჩვენი გემის ანძა თვალთახედვიდან არ დავკარგო.
– ო, ომბრე სიმპატიკო! – მესმის უცებ, ვხედავ ჩემს წინ ღვთისმშობელი დგას და განცვიფრებული მიყურებს...
– ისე შენ რა გითხრა, – თქვა ლილიმ.
– საკუთარი თვალებისა და ყურების არ მჯერა. – განაგრძო დათომ.
– მიდი, მიდი, – წააქეზა ნანამ.
– ერეს ხეორხიანო? – მკითხა, ესე იგი, ქართველი ხარო? – გვითარგმნა კიდეც უსინდისოდ.
– სი, სენიორ, სიო ხეორხიანო! – ესე იგი ქართველი ვარ–მეთქი, ვეუბნები.

– ვივა ხეორხიანოო! – იკივლა მადონამ და ყელზე ჩამომეკიდა.

– ო, პალომა ბლანკა, ეს ესპანიოლა უსტედ? – ესე იგი, თქვენ ესპანელი ბრძანდებით– მეთქი? – ვეკითხები.

– კლარო კესი, კლარო კესი! – მეუბნება.

– ვივა ისპანია! – ვიკივლე და ახლა მე ჩამოვეკიდე ყელზე ცრემლმომდგარ ღვთისმშობელს. – თქვა დათომ და თვალები დახუჭა.

– Болван! – თქვა ლიამ და სამზარეულოში გავიდა.

დათო ასე თვალდახუჭული იჯდა, ვიდრე ლია სამზარეულოდან არ დაბრუნდა და ცხელი თურქული ყავა არ შემოიტანა. მერე თავისი ფინჯანი აიღო, ენებიანად დაყნოსა, მოსვა და განაგრძო:

– რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და ის ქალი კორიდაზე აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, იმისი ფულით, – ჩაურთო გაფრთხილებული, რაიმე პროვოკაციულ მახეში არ გაებათო, ესპანეთი მაინც ესპანეთიაო, მაგრამ მე მაშინ რა ქართველი ვიქნებოდი, ქალის სურვილს რომ... – დათომ სათქმელი არ დაამთავრა და გოგონებს გადახედა.

– მოწმე! – თქვა ნანამ.

– ასეთ საქმეზე მოწმეები არ დაჰყავთ! – თქვა დათომ და ისევ მოსვა ყავა.

– მერე? – ჰკითხა ლილიმ.

– ბრძოლა დაიწყო, იმ დღეს დომინგინი მუშაობდა – ესპანელების სალოცავი ხატი, – თქვა დათომ და წამოდგა. – არენაზე უსპეტაკესი თეთრი ხარი შემოვარდა, მარტო სიზმარში მინახავს ასეთი ხარი, რქები დანისლული ქარვისფერი ჰქონდა, ძირს დახრილი და ოდნავ გამჭირვალე. ბრბოს კმაყოფილებისაგან ბღავილი აღმოხდა.

– ტორررროოოო! – ასეთი ხარი თურმე წელიწადში ერთხელ გამოჰყავთ, ისიც მხოლოდ დომინგინისნაირი მატადორებისათვის. ხარი ჯერ ციბრუტივით დატრიალდა, მერე თითქოს რაღაც განსაცვიფრებელი დაენახოს, გაჩერდა და თვალი გაუშტერდა. არენის ცენტრში დომინგინი იდგა და სისხლისფერი მულეტის შესამჩნევი რხევითა და ჩურჩულით ხარს თავისკენ უხმობდა. – ტორო, ტორო, ტორო, – თან ხარის მოლოდინში ფეხებს სამბას რიტმში აბაკუნებდა.

– მაგარია დომინგინი! – თქვა ლილიმ.

– სანჩეს მეხია მაგასთან ლაწირაკი იყო! – ისე უპასუხა დათომ, ლილისკენ არც კი გაუხედავს და იმ პოზაში დადგა, რომელშიც დომინგინი უნდა მდგარიყო. – უცებ ხარი ადგილს მოწყდა და მეტეორივით დომინგინისკენ გაქანდა. დომინგინი ოდნავ შეტოკდა, წელში მოხდენილად გაიზნიქა და მულეტი ხარს თვალებზე ააფარა. გაწბილებულმა ხარმა წაიფორხილა, თავი ვეღარ შეიკავა და დრუნჩითა და რქებით კვალი გაიტანა სილაში.

– ოლეე, ოლეე! – იკივლა კორიდამ.

ხარი სწრაფად წამოდგა, წამოდგა, თავი გაიბღერტა სილისაგან და დარცხვენილი ისევ გაქანდა დომინგინისაკენ. ერთი და ორი, ერთი და ორი... ხარს იერიში იერიშზე მიჰქონდა, მაგრამ დომინგინი განსაცვიფრებელი ოსტატობით იგერიებდა შემოტევებს, ისე ჩაუქროლებდა ხოლმე ხარი, როგორც გრიგალი ტანკენარ ალვას, ის კი იდგა ერთ ადგილას, ირწეოდა და ირხეოდა ქარდაქარ, მაგრამ არ კი ტყდებოდა.

– ოლეე, ოლეე, ტორ�оо! – გაბმულად ზმუოდა კორიდა.

ხარი კი ბდღვინავდა და ბორგავდა ამ საგიჟედ ქცეულ მოჯადოებულ წრეში. რომ დაიღალა და შედგა, საქმეში პიკადორი ჩაერია, შუბი გავაზე და–ჰკრა და ცხენიანად განზე გადგა. სისხლმა იფეთქა და ხარის მანამდე სპეტაკი ბანალი წითლად შეღება. გაოგნებული ხარი მიტრიალდა, რაკი მის წინ ადამიანის ნაცვლად უზარმაზარი ლეიბებით ახუნძლული ცხენი დაინახა, დაურიდებლად ეძგერა გვერდში, მაგრამ ვერაფერი დააკლო და ჯიქურ მიაწვა. ცხენმა ჯერ წაიფორხილა, მერე მხედრიანად აიპლაკა და ფლოქვები უმწეოდ გაასავსავა ჰაერში. ხარმა, თითქოს ამას ელოდაო, უკან დაიხია და ვიდრე წინა ფეხებზე წამომდგარი ცხენი უკანაზეც შედგებოდა, მუცელზე სულ პაწია გაშიშვლებული ადგილი უპოვა, დაეძგერა და თვალის დახამხამებაში ზეწარივით გახია ფაშვზე. ხმაც კი გავიგონე, – თქვა აგზნებულმა დათომ და გვაჩვენა, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს. – ცხენის სისხლით რქებ და დრუნჩმოთხვრილი, ჭკუაზე გადასული ხარი დამხმარე მატადორებმა არენის ცენტრში გაიტყუეს, ნაწლავებგადმოყრილი და სულთამბრძოლი ცხენი კი ლამაზად მორთულმა ვირიკელებმა ზანზალაკებისა და ეუნების ჟღარუნით ჩოჩიალ–ჩოჩიალით გაათრიეს არენიდან. დათომ ეს პროცესი გვაჩვენა. ახლა ბანდერილიეროები შეესივნენ ხარს და ქედზე ჭრელ–ჭრელი ბაფთიანი ბანდერილიები დააყარეს. ხარი სულ გადაირია. სხეულზე თეთრი ადგილი აღარ დარჩა. მხოლოდ ხერხემლის გასწვრივ გასდევდა სასწაულით გადარჩენილი თეთრი ზოლი. იგი სისხლიდან იცლებოდა, რეტიანივით იქნევდა თავს და მთვრალივით დაბორიალობდა. ბოლოს ენაგადმოგდებული შედგა. არ იკადრა დომინგინიმ დაღლილთან მისვლა. აცალა სულის მოთქმა. ხარი კი ადგილიდან არ იძროდა, თითქოს გაქვავდაო. მაშინ დომინგინიმ ზურგი შეაქცია ხარს, ჩვენსკენ შემობრუნდა, ხელები აღმართა მაღლა და გამარ–ჯვებულის სალამი გამოგვიგზავნა ერთ უზარმაზარ ბღავილად შეკრულ კორიდას, მაგრამ ეს მანევრი აღმოჩნდა, ვიდრე დომინგინი თავს გვაწონებდა, ხარი ისარივით მოწყდა ადგილს...

– უაა! – ამოიგმინა უცებ კორიდამ. ახლა სამარისებურ სიჩუმედ ქცეული კორიდა, როგორც ერთი, ისე წამოიჭრა ფეხზე. და არ ვიცი რამ, ტორეადორის უტყუარმა ალღომ თუ ხალხის იმ უეცარმა ამოგმინვამ, ბეწვზე გადაარჩინა დომინგინი. სულ ერთი წამი, სულ ერთი მილიმეტრი და მის ბეჭებში წყვილად გაივლიდა სიკვდილით ალესილი ორი საშინელი რქა…

ისევ გაგიუდა ხარი, ისევ დაიწყო მულეტის ფრიალი სიკვდილის სისხლიან ფრთასავით, ისევ დაიწყო გაუთავებელი კასკადი იერიშებისა, დემონსტრირება თვალის სისწრაფისა, მუხლის სიძლიერისა, სიმამაცისა, პლასტიკისა და სილამაზისა. ეს იყო მაღალი ხელოვნების ფეიერვერკი…

… და ბოლოს გამოელია ილაჯიც, ხერხიც, ღონეც ხარს, დაიშრიტა. დადგა, თავი ჩაღუნა და მიწას დააშტერდა. ერთხანს ასე უყურა, მერე სიმწრით ჩა–ჰბღავლა გაოგნებულმა.

– რა იქნა ერთი საათის წინ სისხლით, ჯანით, ღონითა და სიცოცხით სავსე ჩემი სხეული, რა უყავიო?

მაშინ ამოიღო დაშნა დომინგინიმ და ხარის წინ დადგა.

ახლა მის პირისპირ, თითქოს შეუცვალესო, თეთრის ნაცვლად, წითელი ხარი იდგა…

მის წინ ჩემი წითელი ხარი იდგა, ჩვენი მარჩენალი, ჩვენი დამპურებელი, ჩვენი დამსახლებელი, ქედ და მუხლდალოცვილი შვინდა. შვინდა იდგა დომინგინის წინ ფერდებჩაცვენილი, მუხლებზე და ქედზე ტყავგადამძვრალი, იდგა საბრალო. გამხმარ ჩალას უგემურად ღეჭავდა, კუდის ქნევითა და ყურების პარტყუნით იარებიდან აბეზარ მწერებს იგერიებდა, დრუნჩზე ლორწო ჩამოსდიოდა, დინჯად აფახულებდა უზარმაზარ ჭკვიან თვალებს და მოთმინებით ელოდა ნასამხრალზე როგორ შეაბამდა მამაჩემი ისევ უღელში და როგორ ჩააყენებდა ალაზნის ველზე სიცოცხლის გზასავით გაწყვეტილ კვალში.

…და ახლა ეს ჩემი მარჩენალი, მშრომელი, შვილივით გაზრდილი და ერთგული შვინდა უნდა მოეკლა წამებით, ღალატით, მიპარვითა და უნამუსოდ. უნდა მოეკლა ესპანეთის ამ ამაყ შვილს… ყელში მუშტისოდენა ბურთი მომაწვა და სახეზე ხელები ავიფარე. მერე ის ყელში მომდგარი ბურთი ცრემლიანად გადავყლაპე და ავდექი. აღარ მახსოვს, როგორ დავტოვე ის ქალი, კორიდა და როგორ გამოვედი გარეთ. ერთი კი მახსოვს გაოგნებულს, ვულკანიდან ამოფრქვეულ გავარვარებულ ლავასავით უკან მომდევდა კორიდას ბღავილი და ცხელი სუნთქვა. გემზე დავბრუნდი. ვიდრე ჩვენი გემი ესპანეთს გარშემო უვლიდა, ნაპირზე არც ერთხელ არ გადავსულვარ და ესპანეთის მიწაზე ფეხი აღარ დამიდგამს. – დაამთავრა დათომ მოთხრობა და დაჯდა.

ოთახში ჩემთვის მოულოდნელი სიწყნარე და დუმილი ჩამოვარდა. სახტად დარჩენილი გოგოები განცვიფრებული თოჯინებივით ისხდნენ და ხმას ვერ იღებდნენ. დათომ ამბავი ნახევრად ხუმრობითა და ლაზღანდარული კილოთი დაიწყო და, მართალი გითხრათ, ასეთ დასასრულს არცერთი ჩვენგანი არ ელოდა. ახლა მე ვიჯექი თვალდახუჭული და ვგრძნობდი, როგორ ინთქმებოდა თანდათან ვარდისფერ ნისლში ჩემი ბავშვობის ტკბილი ზმანებანი, ჩემი ესპანეთი თავისი ბასკებით, ანდალუზიის ღამეებით, კარმენსიტებითა და დონხოსეებით, კასტანეტებითა და ალეგროებით, მცხუნვარე მზით, რესპუბლიკანელებით, „ბანდერა როსათი“, გარსია ლორკათი და ქვეყნიერების მამით, სერვანტესით. სადღაც მეკარგებოდა ჩემი ბავშვობის ერთი ყველაზე ლამაზი და აუხდენელი სიზმარი. ყველაფერი ეს ისე ცხადად ვიგრძენი, რომ ბრაზი მომივიდა საკუთარ თავზე და ფეხზე წამოვდექი.

– ბითურობაა თავიდან ბოლომდე, რაც შენ მოყევი! – მივუბრუნდი დათოს. იმწამსვე მივხვდი, რომ, ცოტა არ იყოს, უხეშად მომივიდა ნათქვამი, მაგრამ რატომღაც არ მინანია.

– რატომ?! – მკითხა დათომ რაც შეიძლებოდა მშვიდად, მაგრამ მაინც შევამჩნიე, როგორ დაქაჩა ორჯერ ნერვმა გაფითრებული ყვრიმალი.

– იმიტომ, რომ ესპანეთის სასაფლაოები სავსეა კორიდაზე მკერდშელეწილი და ბეჭებგალურსმნული ტორეროებით. – ვუპასუხე.

– მე ჯერ არ მსმენია ისეთი ტორერო, რომელიც ხარს გამოეწვიოს საჩხუბრად. – ღიმილით ქვა დათომ.

– და მაინც ბითურობაა!

– შენგან მიკვირს! – მომიბრუნდა ნანა.

– თუ ღმერთი გწამს, ნუ გიკვირს! – ვუპასუხე მე და დავჯექი.

– ძირს ჰუმანიზმი, გაუმარჯოს კანიბალიზმს! – ტაში დამიკრა ლილიმ.

– ვის უნდა, გოგო, შენი წირპლიანი ფსევდო– ჰუმანიზმი?! – ვკითხე მე.

– ხარი? – მკითხა თავის მხრივ გაკვირვებულმა ლილიმ.

– რა ხარი?

– თეთრი ხარი, ბატონო, თეთრი, არ შეგეცოდა?

– თქვენ რომელ ცხოველს გაიმეტებდით, ბატონო, ტორეროსთვის? – ვკითხე დაცინვით.

– არც ერთს, ბატონო! – გამომაჯავრა ლილიმ.

– მაშ, რა ჰქნას საწყალმა ტორერომ, როგორ მოიქცეს?

– ისე მოიქცეს, ბატონო, როგორც ჩვენ, ქართველები ვიქცევით! – მასწავლა ლილიმ.

– მაინც?
– ყოველ შემთხვევაში, ასე წამებით ხარის მოკვლა ბარბაროსობაა.
– აბა, ის არის კარგი, ერთი წლისას რომ დაგკოდავენ, ორი წლისას რომ გაგხედნიან, სამი წლისას რომ უღელში შეგაბამენ, ათი წლის მანძილზე მუხლს და ქედს არ გაგამართვინებენ, მიწას გახვნევინებენ, გათესვინებენ, გალეწვინებენ, ქვასა და ღორღს გა–ზიდვინებენ, სახრის რტყმევით ზურგზე ტყავს აგაძრობენ, მერე დაბერებულს, დაჩაჩანაკებულს, ვენებდაბერილს, გაძვალტყავებულს ყელში დანას გამოგისვამენ, გაგატყავებენ, დახლზე თავუკუღმა დაგკიდებენ, ასო–ასო აგქნიან და ოთუსბირად გაგყიდიან, ეს არის კარგი?! – ვთქვი და აღელვება რომ დამეფარა, ავდექი, ფანჯარასთან მივედი, ქუჩაში ვეებერთელა ხორთუმის ქნევით ექსკავატორი მიხრიგინებდა. დაბალ მაგიდაზე დაწყობილი ყავის ფინჯნები უსიამოდ წკრიალებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ექსკავატორმა ჩაიარა და ოთახში დუმილი ჩამოწვა.
– Даꙗ чем больше любим мы животныхъ тем они вкуснее. – თქვა ლილიმ ძალიან დიდი ხნის შემდეგ და უგემურად გაიღიმა.
დათო ჩიბუხს აწვალებდა. ნანას სახეზე ხელები აეფარებინა და ისე დაჯდა.

ქორწილი იყო... ვაიმე, მტკიოდა გული საღადრე,
წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგიღადრეთ...

დაიწყო უცებ ნანამ საოცარი ლექსი და სხეულზე ბუსუსები დამაყარა.

ცხედარიც მიპატიოსნე აღაპ–ქალეხის წესებით...
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე ტირილით ვწერე ლექსები...

დაამთავრა მან. მერე სახიდან ხელები ჩამოიღო და დამნაშავესავით გამიღიმა. უზარმაზარი ქვა მომეშვა გულზე. ქუდი ავიღე და კარისკენ წავედი.
– მოიცა, სად მიდიხარ, არ უნდა გამაცილო? – მკითხა ლილიმ და თვითონაც წამოდგა.
– დღეს დათო გაგაცილებს! – ვუთხარი და ქუჩაში გავედი.
ვერის ბაზართან, ხორცის მაღაზიის წინ, მატარებელივით გრძელი მანქანა–მაცივარი იდგა. კუსკლუსკლანელებივით ზურგზე კაპიშონიან ტომარამოსხმული ქურთი მუშები ყაყანით ეზიდებოდნენ პირუტყვის ხორცს მაღაზიაში. ქუჩაში ერთმანეთში არეული შედედებული სისხლისა და სინესტის ამაზრზენი სუნი იდგა.
რა სასეირო სანახაობა ეგ იყო, მაინც გავჩერდი და ცქერა დავუწყე. ძარაზე ზურგით მომდგარ ორ მუშას ძარაში მყოფი სხვა ორი მუშა გინებით აწვდიდა გატყავებულ პირუტყვს და იმათაც გინებით მი–ჰქონდათ შეშადქცეული წიქარები, შვინდები, ღვინიები, ნიკორები და საყადელივით ახვავებდნენ მაღაზიის დახლზე.
– სიგარეტი გაქვს? – მკითხა მაღაზიიდან გამოსულმა ერთ–ერთმა მუშამ და შეციებულ ხელებზე დაიორთქლა.
– გაყინულია? – ვკითხე მე და სიგარეტი მივაწოდე.
– თბილი მინდორში ბალახობს! – მიპასუხა მან და ახლა ცეცხლი მთხოვა.

ცხედარიც მიპატიოსნე აღაპ–ქალეხის წესებით...
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე ტირილით ვწერე ლექსები...

გამახსენდა ნანას თქმული ლექსი და ტირილი მომინდა. მუშას ხმა არ გავეცი, გამოვბრუნდი და წამოვედი. ფილარმონიის გაჩირაღდნებულ სასახლესთან ისევ შეჩერდი და მკლავებგაშლილ მუზას ავხედე. ისე მიღიმოდა დალოცვილი უსაშველოდ დიდი, მწვანე და ლამაზი თვალებით, თითქოს მეუბნებოდა – რას იზამ ჩემო ბატონო, ასეა ქვეყანა მოწყობილი.

ძილი დიდხანს არ მოდიოდა. მერე სიბნელე ვარდისფერ ნისლად იქცა და ვიგრძენი, როგორ მიბრუნდებოდა კვლავ შორიდან სადღაც დაკარგული ჩემი ბავშვობის ტკბილი ზმანება, ჩემი ესპანეთი, თავისი ბასკებით, ანდალუზიის ღამეებით, თავისი კარმენსიტებითა და დონხოსეებით, კასტანეტებითა და ალეგროებით, მცხუნვარე მზით, დონკიხოტითა და სანჩოპანსათი, რესპუბლიკანელებით, „ბანდერა როსათი“, გარსია ლორკათი და ქვეყნიერების მამით, სერვანტესით. მე ვიძინებდი ვარდისფერ ნისლში უზომოდ ბედნიერი, რომ კვლავ ვხე–დავდი ჩემი ბავშვობის ერთ–ერთ ყველაზე ლამაზ სიზმარს.

დედა

– თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო! გთხოვთ, გაიღოთ მოწყალება და შეუგროვოთ ფული ლოთს, ზნედაცემულ ნაძირალასა და სალახანას, კაცს, რომელმაც ერთ ჭიქა არაყში გაცვალა კაცობა და ახლა თქვენს წინაშე დგას ხელგაწვდილი. ეს კაცი მე ვარ, მე მენატრება ჩემი დედა. დედა, რომელსაც თავსლაფი დავასხი, მე მენატრება იგი, მენატრება,

როგორც სიკვდილი, და მე მჭირდება ფული, ბილეთის ფული, რომ წავიდე და ვნახო ჩემი საყვარელი დედა. თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო, გაიღეთ მოწყალება... გემუდარებით...

ხმა ოდნავ მთრთოლვარე, პათეტიკური, მაგრამ ყალბი იყო.

ჩექმის, არყის, მდოგვის, მუავე ღვინის, მყრალი თამბაქოს, ნესტის, ოფლისა და აქოთებული ქაშაყის სუნით გაჟღენთილი სარდაფი გუგუნებდა. მიუხედავად ყალბი პათეტიკურობისა, ეს შემზარავი მონოლოგი–აღსარება ამ ჯოჯოხეთურ სალხინობელში მეხივით გავარდა და რამდენიმე წამით, ვიმეორებ, მხოლოდ რამდენიმე წამით, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სარდაფი გაქვავებულ ზღაპრულ ქალაქს დაემსგავსა, ქალაქს, რომელსაც ღვთის რისხვამ სწორედ იმ დროს მოუსწრო, როდესაც არავინ არ ელოდა და ყველა თავისი საქმით იყო გართული.

...და როდესაც მთელი ეს მასა კვლავ ამოძრავდა, ხელგაწვდილი ლოთი უკვე პირველ მაგიდასთან იდგა და ხელის კანკალით იღებდა მაგიდის კუთხეში ერთმანეთზე დაწყობილ სამ მანეთიანსა და შავ ხურდას. სუფრის არც ერთ წევრს სიტყვა არ დაუძრავს, არც კი გაუხედავს ლოთისაკენ, არც მაშინ, როდესაც ლოთმა ათრთოლებული ხმით მადლობა გადაიხადა, მხოლოდ ერთმა, იმ ოთხთაგან უფრო ახალგაზრდამ, თქვა თავაუღებლად:

– გაიარე!

ლოთი მეორე მაგიდასთან მივიდა და ხელი გაიშვირა:

– თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო!..

– არ გინდა ტლიკინი! – შეაწყვეტინა ერთ–ერთმა და არყით სავსე ჭიქა მიაწოდა: – დალიე!

ლოთმა არყიანი ჭიქა ჩამოართვა და პირთან მიიტანა, ხელთან ერთად ქვედა ტუჩიც უკანკალებდა.

– თქვი რამე! – უთხრა მეორემ. სუფრას სამნი უსხდნენ.

– „რამე“! – თქვ ლოთმა და სახე რაღაც ღიმილის მაგვარმა მოუბრიცა.

– ანგლობ კიდევაც?! – გაუკვირდა მესამეს. ლოთმა არაფერი უპასუხა, არაყი გადახუხა და ცხვირ–პირი მოხრილ იდაყვში ჩამალა. თავი რომ ისევ აიღო, სახე ოდნავ დამშვიდებული ჰქონდა, ხოლო თვალებში არყით გამოწვეული სისველე ედგა.

– გაამოს! – დალოცა პირველმა. ლოთმა ჭიქა დადგა, მაგრამ მაგიდას არ მოსცილებია.

– ეხლა ფულიც არ მოგვთხოვო! – უთხრა მეორემ და წარბი შეჰკრა.

– ბილეთის ფული... დედა მენატრება...

– ვიცი მე შენი დედა, შენი მონატრება და შენი ბილეთი...

– სამი მანეთი!

– ხურდას მიირთმევ თუ ქაღალდის ფულად გნებავს? – გააჯავრა პირველმა.

– მანეთი! – უცებ დაუკლო ლოთმა.

– მიეცი, მაგის ოხერი დედაც ვატირე! ხომ ხედავ, არ მიდის? – უთხრა მესამემ პირველს. მაშინ პირველმა ჯიბიდან აბაზი ამოიღო, მარჯვენა ხელის ცერზე დაიდო, ჰაერში ააბზრიალა, მერე მარცხენა ხელისგული შეუშვირა ჩამოვარდნილ ფულს, სწრაფად დააფარა მარჯვენა და ლოთს კითხვით სავსე თვალებით მიაჩერდა.

– არიოლი! – დაუფიქრებლად თქვა ლოთმა და ნაღდი მოგებულის ხელი გაუწოდა, პირველმა მარჯვენა აიღო, აბაზი „არიოლზე“ იჯდა.

– იღბალი არ გინდა? – მიუბრუნდა იგი ამხანაგებს და ფული ლოთს გადასცა. ლოთი მესამე მაგიდას მიადგა.

– ბიჭებო, ჩვენი მომავალი მოვიდა! – გაუხარდა ერთს. ამ მაგიდას ხუთნი უსხდნენ.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! – მიესალმნენ არეულად.

– დალიე! – მიაწოდა კუთხეში მჯდომმა თავისი ჭიქა.

– უკვე დავლიე! – თქვა ლოთმა, მაგრამ არყიანი ჭიქა მაინც ჩამოართვა.

– ბებიაშენისამ, პირველადა სვამ აი ორ ჭიქას ზედიზედ! – უთხრა ერთმა, რომელიც ძალიან ჭკვიანდა მეორეს, ის მეორე – მესამეს და ყველანი ერთად კი მეოთხესა და მეხუთეს. ძმებივით ისხდნენ და არაყს სვამდნენ.

– კარგად იყავით! – თქვა ლოთმა და ისევ სულმოუთქმელად გადაჰკრა, ოღონდ ამჟამად არ დამანჭულა, მხოლოდ ჭუჭყიანი სახელო მიტანა ცხვირთან და ღრმად შეისუნთქა ჰაერი.

– მონოლოგი არ გინდა, პირდაპირ თქვი, რა ღირს დედაშენის სახლამდე ბილეთი, – გააფრთხილა ერთ–ერთმა, მერე გულის ჯიბეში ორი თითი ჩაიყო და ხუთმანეთიანების შუაზე გაკეცილი დასტა ამოაცურა.

– ერთი ცალი მომეცი! – ნერწყვი გადაყლაპა ლოთმა.

– ვირისთავო, ჩვენთან რომ მოგინდა გამდიდრება, იმ კომბინატრებთან ვერ მიხვალ, მახორკას რომ სამთუმნიანებში ახვევენ?! – გაუბრაზდა ხუთმანეთიანების პატრონი და და მიუთითა დიქტით გადაღობილ ერთ–ერთ კაბინეტზე, რომლიდანაც თუთუნის ბოლი ქულებად ამოდიოდა და მთვრალი ქალების თავშეუკავებელი კისკისი ისმოდა.

– მიეცი, ნუ აწვალებ, ხომ იცი, ჩვენი ბოლოც ეგ არის! – თქვა რომელიღაცამ.

– აჰა ორი ცალი და მეუდუნაროდნით წადი, ჟოსტკში კოზლა არ გეტკინოს! – უთხრა ფულის პატრონმა და უკბილო პირი დააფჩინა. დანარჩენ ოთხსაც გაეცინა.

– კაცი ხარ! – უთხრა ლოთმა და ფული ჯიბეში ჩაიკუჭა, – ჩემ ქუჩაზეც მოვა პრაზდნიკი და გადაგიხდი.

– დროშის წამოღება არ დაგავიწყდეს! – გააფრთხილა იმ ფულის პატრონმა. ამაზე ექვსივეს გაეცინა.

მეოთხე მაგიდასთან ლოთი არ მისულა, მეოთხე მაგიდას ორნი უსხდნენ. ერთი მათგანი იცნო ლოთმა, ვერელი ჯიბგირი იყო, ზარზანა. იცოდა ლოთმა, რომ ჯიბგირებს ლოთი და მათხოვარი ერთნაირად არ უყვართ, ის კი ორივე ერთად იყო და ამიტომ მეოთხე მაგიდას გვერდი აუარა და პირდაპირ ფარდაჩამოფარებულ კაბინეტში შეევიდა. მალე უზომოდ გონებადაბინდული გამოვიდა. იგი ახლა ვაკელი ბიჭების სუფრასთან ირწეოდა. ვაკელები ბლომად იყვნენ, წითელი ღვინით ქეიფობდნენ.

– თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო… – დაიწყო ლოთმა, თან ცალი ხელი რატომღაც თვალებზე აიფარა.

– გთხოვთ, გაიღოთ მოწყალება და შეუგროვოთ ფული ლოთს, სალახანას… – გააგრძელა ლოთის მონოლოგი ერთმა. ლოთმა თვალებზე აფარებული ხელი ფრთხილად ჩამოაცურა და ამღვრეული თვალები იმას მიაშტერა, ვინც მისი მონოლოგი ზეპირად იცოდა.

– რას მიყურებ? – ჰკითხა იმან.

– დედა მენატრება მე.. სიკვდილივით მენატრება….

– მერე ვინ გიშლის, აჰა, ან თავი მოიკალი, ან წადი! – გაუწოდა დანა.

– დედა მინდა… – გაიმეორა უაზროდ ლოთმა.

– ძუძუ არ გინდა?

– დედა…

– მტყუნის, რომ დედა საერთოდ არა გყავს, – წამოუხტა თხელი ბიჭი, თან თავი ძლივს შეიკავა, რომ ლოთისთვის ღვინო სახეში არ შეესხა, ვიღაცამ დასვა. – ეგრეა, რა, სწორედ მაშინ მოვა ეგ ჩათლახი, გახურებულ ქეიფში რომ ვარ, და სულს ამიტირებს ხოლმე. გეყო, რა, შე დამპალო, გეყო, რა, კაცი არა ხარ?! – სახე აარიდა თხელმა.

– მოდი, სიმონ, წაიღე, ოღონდ წადი და ნუღარ მოხვალ! – დაუგდო მაგიდაზე თუმნიანები საფეთქლიდან ნიკაპამდე ნაჭრილობევმა ვაუმა.

– ვიცი, სიმონ, რაც მე შენთვის დედასთან წასასვლელი მაყუთი დამიადებია, იმ მაყუთით კაცი დედამიწას სამჯერ შემოუვლიდა მაგელანივით.

– დედა მენატრება მე… – ატირდა ლოთი და ორივე ხელი აიფარა სახეზე. იმ ვაუმა ის ფული აიღო, ლოთს ჯიბეში ჩაუკუჭა და მსუბუქად უბიძგა.

– ჰო, მორჩი, გეყოფა, ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენცა გვაქვს გული… – მერე სუფრის წევრებს მიუბრუნდა: – ბიჭებო, ამის ოხერი თავიც რა ვთქვი, მოდი, ჩვენი დედები ვადღეგრძელოთ, თორემ ტირილი მომინდა. – თქვა, თან ჭიქა შეავსო.

ლოთი ახლა სხვა მაგიდასთან იდგა, ხმას ვეღარ იღებდა, უბრალოდ იდგა ხელგაწვდილი, თვალებს ნაბავდა და ქანაობდა.

– რა უნდა? – ჰკითხა ერთმა მეორეს, ეგ ერთადერთი კაცი იყო, ალბათ, სარდაფში, რომელმაც არ იცოდა ლოთს რა უნდოდა.

– ვიცი რო? რა გინდა? – მიუბრუნდა ლოთს კითხული, თუმცა მშვენივრად იცოდა, რაც უნდოდა.

– მეე… – დაიწყო ლოთმა და რომ ვეღარ გააგრძელა, ის გაშვერილი ხელი ჩაიქნია.

– „მეე“ თხას ჰქვია, – გაეხუმრა ოფლში გახვითქული მსუქანი მოქეიფე.

– ფრონტზე რატომ არა ხარ? – ჰკითხა მაგიდის ბოლოში მჯდომმა აფერისტმა, რომელიც, თავად რომ წასულიყო ფრონტზე, ტანკად გამოდგებოდა.

– ფრონტზე ნამყოფია! – უპასუხა მეზობელმა.

– მერე დაჭრილი რატომ არ არის?

– არის!

– გვაჩვენოს! – დაინტერესდა აფერისტი.

– მე ვიცი, ეგ სადაც არის დაჭრილი, ჰკითხე ერთი, ქალი ხომ არ ენატრება? – თქვა აფერისტის მარცხენა მხარეს, სკამით მეორე მეზობელმა, რომელიც ქოსა იყო და ძალიან ჭვავდა ცვედანს.

– შე ჩემის გადანგრეულო, ეგ მსოფლიოში ყველაზე ძნელი პროფესია – მათხოვრობა რომ აგირჩევია, წადი, რა, ან კაცი მოკალი, ან ბანკი გატეხე, ან იჯიბგირე… – ასწავლა სულ პირველმა, რომელსაც ჰკითხეს, რა უნდაო?

– ნახე, ანდრო, რა თომარი გაუშვა ბარიგამ: წადი, იჯიბგირეო. მაგ ნაბიჭვარს ჯიბგირობა ადვილი ჰგონია. ეხლა მივალ და ენას ამოვაჭრი! – თქვა ჯიბგირების მაგიდაზე ზარზანამ და წამოდგა.

– დაჯე, შენც ნახე რა „პრავაკაჩატის“ ადგილი, – დასვა ანდრომ.

„ – დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
ამიტომ წუთისოფელი
სულ ასე გვაცოდვილებსა“, – მღეროდნენ ვაკელები.

ლოთმა იმ მაგიდაზე მოხეკილი ხურდა დაუთვლელად ჩაიყარა ჯიბეში. გულითაც რომ ნდომოდა, ვერ დაითვლიდა, ისე იყო გატიალებული, იგი იდგა და ელოდა, როდის გაჩერდებოდა კარუსელივით დატრიალებული სარდაფი, რომ კარისათვის მიეგნო და როგორმე გამძვრალიყო სუფთა ჰაერზე. სარდაფის ჰაერი უკვე აღარ ყოფნიდა, თავად კი რაღაც უფორმო სხეულივით დონდლო გამხდარიყო და მისდა უნებურად სარდაფის ჭერსა და იატაკს შორის ფართო სარტყელივით გაწოლილ აშმორებულ ნისლში დაცურავდა შეუჩერებლად…

აი გასწორდა სარდაფი, კარუსელმაც უკლო სვლას, აგერ კარმაც ჩამოიარა… ლოთი კარისაკენ დაიძრა… ვახ, გაასწრო!.. ლოთი ისევ შედგა და კარის ხელმეორედ ჩამოვლას დაელოდა. ყველაფერმა ჩამოიარა: იმ პირველმა მაგიდამ, პირქუში მუშები რომ უსხდნენ, ოღონდ ახლა ის მაგიდა ცარიელი იყო, იმ მეორე მაგიდამაც ჩამოიარა, მესამემაც, მეოთხემაც, მეხუთემაც, ყველამ ჩამოიარა, კარი კი არ ჩანდა, ნეტა რა მოუვიდა?.. მადლობა ღმერთს, გამოჩნდა, მაგრამ ეს რა არის? ოფიციანტ სეითას კარი თავის ჩარჩოიანად მოუხსნია, მხარზე გაუდგამს და ისე მოდის, თითქოს ის კარი თვითონ იყოს. ეს რა უქნია სეითას? ახლა რა ქნას ლოთმა, გარეთ როგორ გავიდეს? არადა ახლა თუ არ მოასწრო ამ კარში გაძრომა, მორჩა, ან ამ სარდაფში ამოიხრჩვება უჰაეროდ, ან გული გაუსკდება. არა, უნდა გაძვრეს, როგორმე უნდა მოასწროს… სეითას კი გაუდვია კარი მხარზე და მოდის… ჰა, მოვიდა, სულ ახლოს მოვიდა, ცოტაც და… ლოთი გადაქანდა და დაძრული კარის სახელურს ჩამოეკიდა განწირული…

სარდაფში ჯერ ჭურჭლის მსხვრევა და ლანგრის ზრიალი გაისმა, მერე გაშლილი სილის საშინელი ლაწანი, და სარდაფი რამდენიმე წამით კვლავ იმ გაქვავებულ ზღაპრულ ქალაქს დაემსგავსა. და როდესაც მთელი ეს მასა კვლავ ამოძრავდა, ოფიციანტმა სეითამ ლოთს ქეჩოში წაავლო ხელი, კართან მიათრია და კინწისკვრით გააგდო ქუჩაში. ქუჩაში კიდევ ერთხელ წაიქცა ლოთი, მაგრამ აღარ ჩიოდა, რაკი სუფთა ჰაერი გადაყლაპა, პირიქით გახურებული ლოყა ცივ ქვაფენილს შეახო და გაიტრუნა. უცებ რაღაც ძალიან დიდი ხნის წინ განცდილმა, გაურკვეველმა გრძნობამ შეაწუხა და წამით გული ატკინა, მაგრამ ეს გრძნობა იმდენად ბუნდოვანი იყო, მისი სახელიც კი ვერ მოენახა, და როდესაც ვიღაც გამვლელმა ხელი მოკიდა და ფეხზე წამოაყენა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ამ გრძნობას ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ გაგონილი სიტყვა „თავმოყვარეობა“ ერქვა, და წამშველებელს მისდა უნებურად ხელი აუქნია და დედა შეაგინა კიდევაც, ოღონდ ძალიან უგულოდ. უგულოდ და უბოროტოდ, შეაგინა მხოლოდ იმიტომ, რომ გამვლელებს გაეგონათ და პი–რუტყვი არ ჰგონებოდათ. იმ კაცს არაფერი უთქვამს, სინანულით გაიღიმა და წავიდა.

ლოთმა ხელისგულით მოიხოცა ცხვირიდან გამონაყონი სისხლი და ლასლასით გაჰყვა მელიქიშვილის ვიწრო ქუჩას. გამვლელები გვერდს უვლიდნენ, ან საერთოდ ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ. ის კი მიდიოდა თავისთვის ზიგზაგებით, არც ხმაურობდა, არც იგინებოდა, არც ვინმეს ერჩოდა, მიდიოდა თავისთვის. უდელთან მარცხნივ შეუხვია და პეტრიაშვილის აღმართს შეუდგა…

ხის ტახტზე იწვა გულაღმა, გაუხდელად, ეძინა უსიზმროდ, მკვდარივით. მაშინ გაელვიძა, როდესაც მეზობელ ოთახში კედლის საათმა ზარი დარეკა. მხოლოდ ერთხელ დარეკა საათმა. ეს რაღაცის ნახევარს ნიშნავდა, რადგან ღამის პირველი საათი არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ახლა იგი კიდევ ნახევარ საათს უნდა დალოდებოდა, რათა გაეგო, ღამის რომელი

საათი იყო. ელოდა თვალდახუჭული, მაგრამ მალე გაახილა, რადგან თვალდახუჭულს განუწყვეტლივ ელანდებოდა ხისკიბეებიანი ორსართულიანი და საერთოაივნიანი სახლი. პატარა ონკანთან, ეზოში ძაღლი, თეთრი, უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი, და ზედ ამხედრებული თეთრპერანგა და შავი ხავერდის შარვლიანი პატარა ბიჭი, მერე იმ სახლის ბირკვილებიან აივანზე გადმომდგარი ძალიან ლამაზი, შავთმიანი ახალგაზრდა ქალი ცისფერი სადა კაბით. ეს ქალი ხან ჭაღარავდებოდა და დამწუხრებული სახე ნაოჭებით ევსებოდა, ხან კვლავ ახალგაზრდავდებოდა, და ასე განუწყვეტლივ, უსაშველოდ და გაუთავებლად. ყველაფერი ეს ძალიან ჰგავდა მის ბავშვობას და აივანზე გადმომდგარი ლამაზი ქალი კი დედას. ჰგავდა და მეტი არაფერი, მაგრამ შეშინებულმა მაინც სწრაფად გაახილა თვალი, რათა ყოველივე გამქრალიყო. და მართლაც, თვალის გახელისთანავე ყოველივე გაქრა. ცოტა ხნის შემდეგ ლოთმა ფრთხილად, თითქოს სიბნელეს ეპარებაო, კვლა მოხუჭა თვალები და როდესაც ქუთუთოები ერთმანეთს შეეხო, სიბნელიდან კვლავ ამოცურდნენ ნაცნობი ფიგურები, წყვდიადი უკუღმა დადგმული სპექტაკლის სცენას დაემსგავსა, სადაც ფარდის დაშვებისას ჩნდებოდნენ, ხოლო ახდისას ქრებოდნენ სხეულები. ეს უკუღმა თამაში იმდენად შემზარავი და აუტანელი გახდა, ლოთმა გადაწყვიტა, გათენებამდე თვალები აღარ დაეხუჭა.

– ბომ, ბომ, ბომ, ბომ, ბომ!.. – დარეკა მეზობლის კედლის საათმა. ლოთმა შვებით ამოისუნთქა: საათის ზარმა თითქოს წარსული თან წაიღო, დილა მოდიოდა თბილისში და მოჩვენებები გაქრნენ. ლოთი ადგა და ონკანთან მივიდა, რათა ერთი ყლუპი წყალი შეესვა და დაგვალულ მიწასავით გამშრალი სასა და ტუჩები გაესველებინა, მაგრამ ონკანში წყალი არ მოდიოდა. ლოთი საწოლს დაუბრუნდა, მოჩვენებები გაქრნენ, მაგრამ მათ ადგილზე ფიქრები მოვიდნენ. მოჩვენება რაა, მოჩვენებას სხეული არა აქვს, წონა არა აქვს, სიმძიმე არ გააჩნია. ფიქრი კი მძიმეა, ტყვიასავით მძიმე. ახლა ეს ტყვიასავით მძიმე ტვირთი მოვიდა, დააწვა, წელში მოდრიკა და მუხლებზე დაამხო ლოთი.

...ახლა რამე რომ არ დალიოს, მოკვდება ლოთი, სისხლი შეუდედდება და მოკვდება... უნდა წავიდეს სადმე და დალიოს... დალიოს, დალიოს. მაგრამ სად? სადგურის რესტორანში – იქ დილამდეა ღია, ფული აქვს, წუხელ რომ მოიმათხოვრა რაღაც კაპიკები, ეყოფა... უნდა დალიოს არაყი, სულ ერთი ჭიქა, ერთი ყლუპი, ერთი წვეთი, ოღონდ უნდა დალიოს, თორემ მოკვდება, მოკვდება. მოკვდება... აი გაეყინა ხელი, ფეხი, სხეული, გაუჩერდა მაჯა, შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა, ლოთი წამოდგა, სწრაფად მივარდა კარს, სახელური გიჟივით მოზიდა თავისკენ და გაშრა...

ზღურბლის იქით ლურჯკაბიანი, სადად თმადავარცხნილი ჭაღარა ქალი იდგა.

ლოთს არ გაუგონია, ზურგს უკან როგორ დარეკა მეზობლის კედლის საათმა ექვსჯერ და როგორ აწანწკარდა ონკანში წყალი. ლოთმა თვალები დახუჭა და დიდი ხნის შემდეგ კვლავ რომ გაახილა, ჭაღარა ქალი ისევ ზღურბლს იქით იდგა შემცბარი, მაგრამ რაღაც შემაზრზენად სახელვთიური.

– ვინა ხართ თქვენ, ქალბატონო? – ჩურჩულით ჰკითხა ლოთმა.

– ერთი საათია აქ ვდგავარ და დაკაკუნებას ვერ ვბედავ... – უპასუხა ქალბატონმა.

– ვინა ხართ თქვენ, ქალბატონო? – გაუმეორა კითხვა ლოთმა.

– თქვენი კარი მეასე კარია, ვერც ერთზე ვერ გავბედე დაკაკუნება, ალბათ, ვერც აქ გავბედავდი, თქვენ თვითონ რომ არ გაგელოთ...

– რა გნებავთ ჩემგან, ქალბატონო?

– მათხოვარი არ გეგონო, შვილო, – ქალს ხმა აუთთოლდა. – დედა ვარ!

– ვისი დედა?! – შეეშინდა ლოთს.

– ჯარისკაცის დედა ვარ, – ქალი გაჩერდა, რადგან ველარ ლაპარაკობდა... მერე, როგორც იქნა, განაგრძო: – ცნობა მივიღე, შვილი მიწევს ჰოსპიტალში მომაკვდავი და უნდა ჩამოვიყვანო... რადაც არ უნდა დამიჯდეს, სირცხვილად, ნამუსად, სიკვდილად, ზურგით ფორთხვით, მაგრამ უნდა ჩამოვიყვანო...

„ჩემგან რა გნებავთ, ქალბატონო?!“ – ლოთმა ეს თვალებით ჰკითხა.

– მათხოვარი არ გეგონო, შვილო, დედა ვარ, ფული მინდა... გზის ფული...

„თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო!.. – ჩაესმა ლოთს ყურში საკუთარი ხმა.

„მერე ჩემთან რამ მოგიყვანათ, ქალბატონო?“ – ლოთმა ესეც თვალებით ჰკითხა.

– არ გამაწბილო, შვილო, არ დამღუპო, სხვა კარს მე ვეღარ მივადგები, ეს კარი უკანასკნელი იყო... – ქალმა თავი დახარა, ლოთმა დაინახა, ქალის შავი, გაცვეთილი ფეხსაცმლის წვერს როგორ დაეცა ცრემლის რამდენიმე წვეთი, მან აცახცახებული ხელებით

სწრაფად ამოიღო ჯიბიდან დაკუჭული, დაფლეთილი, ნაწვალები ფული და ქალს გაუწოდა. ქალს ხელი არ გამოუშვერია, მაშინ ლოთმა ძალიან ფრთხილად ქალს ფული უბეში ჩაუკუჭა, მერე ჯიბეები ამოიტრიალა და ისე დადგა ქალის წინაშე. ქალი კი იდგა და ტირილს განაგრძობდა. ლოთი მიხვდა, რომ ქალს მადლობის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მაშინ იგი ნელ–ნელა დაეშვა ორთავე მუხლზე, ფეხზე ემთხვია ქალბატონს და თავად უთხრა მადლობა:

– გმადლობთ, დედა!

და როდესაც კვლავ ასწია თავი, რათა ქალისთვის სახეში შეეხედა, ქალი აღარ იყო, ხოლო ზღურბლთან, იმ ადგილას, სადაც ქალი იდგა, დაფლეთილი, დაკუჭული და ნაწვალები ფული ეყარა.

– ღმერთო, ნუთუ ესეც მოჩვენება იყო…

ოთახში მოშვებული ონკანიდან წყალი მოწანწკარებდა, ლოთს აღარ სწყუროდა, მის გამშრალ სასას და ყელს საიდანღაც გასჩენოდა სისველე, მაგრამ იგი წყალს არ ჭვავდა, თბილი იყო და მლაშე.

ქუჩაში თენდებოდა.

მგზავრებით გაჭედილ, დახუთულ და ბნელ ვაგონში კონტროლიორი მოაბიჯებდა გვერდულად, იგი ბილეთებს ამოწმებდა. უკან გამცილებელი მოყვებოდა დამნაშავესავით და სანთლით მბჟუტავ ფარანს უნათებდა გასახვრეტად ჩამორთმეულ ბილეთებს. რევიზორი ისეთი გულმოდგინებით ათვალიერებდა მგზავრებს, მათ ნივთებს და ბარგი–ბარხანას, თითქოს დიდად საშიშ სახელმწიფო დამნაშავეს ეძებდა.

– თქვენი ბილეთი! – მონოტონური ხმით ნახევრად უბრძანებდა, ნახევრად ეკითხებოდა იგი მგზავრებს და თითქოს მთელი მატარებელი ემდურისო, ხმას არავინ ან სცემდა, ისე უხმოდ უწვდიდნენ ბილეთებს.

– თქვენი ბილეთი?! – მიმართა მან მეხუთე კუპეში ფანჯარასთან მჯდომ გამხდარ და წვერგაუპარსავ მგზავრს. პასუხმა დაიგვიანა.

– თქვენი ბილეთი! – გაუმეორა კითხვა–ბრძანება კონტროლიორმა.

– არა მაქვს ბილეთი! – თქვა მგზავრმა.

– რაო? – გაუკვირდა კონტროლიორს.

– არ მაქვს ბილეთი! – გაიმეორა მგზავრმა.

– მერე და სად მიბრძანდებით, ბატონო, ასე უბილეთოდ? – ჰკითხა ირონიული ღიმილით კონტროლიორმა.

– დედასთან! – თქვა მგზავრმა.

– ვისთან?!! – …და ახლა ისე განცვიფრდა კონტროლიორი, რომ მასზე უფრო განცვიფრებულ გამცილებელს ფარანი ჩამოართვა და მგზავრს სახეში მიანათა.

– დედასთან! – გაიმეორა მგზავრმა.

– რომელ დედასთანო? – უნდოდა ეკითხა ლაზღანდარობის ხასიათზე მოსულ კონტროლიორს, მაგრამ მგზავრის მიტკალივით თეთრ სახეს და ჭაღარაგარეულ წვერზე თვალთაგან ღვარად ჩამოდენილ ცრემლს რომ შეხედა, ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. მერე ცივად გატრიალდა და ტამბურისკენ გაემართა.

მატარებელი კივილით შევარდა გვირაბში.

სიცხლე

თმაგაკრეჭილი, თავჩაღუნული ბიჭი იდგა ცაცხვის ძირში, სევდიანი თვალებით დასცქეროდა ტალახში ამოსვრილ საკუთარ შიშველ ფეხებს, ხელში ღორჯოებით სავსე კაკვი ეჭირა და ფიქრობდა: „როგორ ჭვავს ეს მოხუცი კაცი მამაჩემს, თეთრთმიანი, შავწარბება, ფართო ცხვირი, ლამაზი, სევდანარევი, ღიმილიანი თვალები, ბოხი ხმა, თვალებსაც თუ დავხუჭავ და წარმოვიდგენ, ალბათ, სულ მთლად მამაჩემივით გახდება…“ და ბიჭმა თვალები დახუჭა.

– ამისთვის გამოგიძახეთ, ქიშვარდი ბატონო, ველარ ვაკავებ და რა ვქნა, მთლად გატყიურდა და წავიდა ხელიდან. ხომ ხედავ, სხვას რომ წიგნი უჭირავს ხელში, აგი ღორჯოებს დასდევს დღე და ღამე ზემო კუხაზე. ამასწინებზე საზამთრო ჩამიგდო გოფოძეების საზიარო ჭაში, გასკდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და მაგის გამოისობით აგერ ერთი კვირაა კომპოტს ვსვამთ ორი ოჯახი.

– მომკალი ვიღაცამ! მართლა, ბიჭო? მაგრამ თქვენ თუ წუხართ, ქალბატონო იულია, რომ ჩავიყვან გურიაში, ჭლიკით დავკიდებ ჭადარზე!

– არ ვიცი მე, რითი დაკიდებ, ბატონო ქიშვარდი, მაგრამ ბედნიერი მაგის დედა, მაგის საქციელს რომ ვერ ხედავს... დედაც და მამაც, სხვათა შორის...

– როგორ ფიქრობთ, ქალბატონო იულია, მთლად წასულია ხელიდან და არაფერი ეშველება ამ უბედურს?

– რა უნდა ეშველოს, ბატონო ქიშვარდი, ერთი ფუთი სიმინდი გავატანე ამ კვირის სწორს კოპაძეების წისქვილზე და ორი ოყა მოიტანა უკან. დანარჩენი კონტუათელი ვალიკო კუხალაშვლის უდღეური ბავშვებისათვის გაუტანებია, არსენა ყაჩაღივით – შიათო მაგენს, ბევრი არიანო.

– მომკალი ვიღაცამ, მართლა, ბიჭო?

– მაგი რაა, ორი დღის წინ მაგან და მასავით უპატრონო კუკურია უგულავამ ატამი მოპარეს საკუთარ გეოგრაფიის მასწავლებელს დათიკო წვერავას და მათხოჯელ ლავე ბახტაძეს გაუცვალეს თურმე თუთუნში.

– მართლა, ბიჭო?

– ბატონო ქიშვარდი, რომ დაგიჩემებიათ, მართლა, ბიჭო, მართლა, ბიჭო, ამ ხნის ქალი რომ გელაპარაკებით, ჩემი არ გჯერათ?

– მაგას როგორ გკადრებთ, ქალბატონო იულია, მაგით იმის თქმა მინდა, რა ეშველება ახლა მაგას–მეთქი...

– უსაშველო რა ჭირს, ბატონო ქიშვარდი, ოღონდ კაცის ხელი უნდა. მე, უძლური დედაკაცი, არა ვარ მაგის მომრევი, მით უმეტეს მაგნაირი და მაგაზე უფრო უარესი კიდევ ორი მხეცი მყავს მოსავლელი – ზურაბი და ვახტანგი, ჩემი კოლიას ბიჭები. თუ არადა, მალე დაბრუნდებიან სამწყემსურიდან და თქვენი თვალით ნახავთ.

– სანამ ცოცხლები იყვნენ მაგის მშობლები, არ გამაკარეს სიახლოვეს ბაღანას, ქალბატონო იულია, და ახლა რითი გავუთბო მე მაგას გული, რითი შევიჩვიო და რითი შევისისხლხორცო, უცხო ვარ მაგისთვის, მთლად უცხო...

– არ დაიჯეროთ მაგი, ბატონო ქიშვარდი, კაცია მაგი და მაინც კაცთან ყოფნა ურჩევნია, ესეც არ იყოს, თქვენი გვარის გამგრძელებელი მაგია და...

– თუ სწავლობს რამეს ქე მაინც, ქალბატონო იულია?

– მასწავლებელს რომ ბაღანა ატამს მოპარავს და საკუთარ ბებიას გარყვნილი და გათახსირებული წიგნის „დეკამერონის“ გულისთვის ვერცხლის კოვზებს რომ გაუყიდის, იმან რა უნდა ისწავლოს, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, ქიშვარდი ბატონო!

– მართლა, ბიჭო? წავიყვან მე მაგას გურიაში, ქალბატონო იულია, და ჭლიკით დავკიდებ ჭადარზე.

– აგერაა, ბატონო, და დააკვირდით, სანამ ჩვენ ვლაპარაკობთ, ერთი წარბი არ გაუტოკებია, მაგას რახარუხად ეყურება ახლა ჩვენი ლაპარაკი.

ბიჭი კი იდგა ცაცხვის ძირში თვალდახუჭული და ფიქრობდა:

„დაიღალა საწყალი იულია ბებია, როგორი ტკბილი ხმა ჰქონდა და როგორ გაავებია, ადრე არც კი ვამჩნევდი. იქნებ ბაბუას მშვიდ და წყნარ ხმასთან შედარებით მეჩვენება ასე. დაიღალა, ალბათ. ოღონდ ახლა არ გამატანოს ამ მოხუცს, ბაბუა რომ არის ჩემი თურმე და ასე რომ ჰგავს მამაჩემს, და აღარაფერს ჩავიდენ ისეთს, გული რომ ეტკინოს, ოღონდ არ გამატანოს და... ოღონდ არ გამატანოს და... ოღონდ არ გამატანოს და...“

– ობოლია მაგი, ქალბატონო იულია, და როზგის გარდა ცოტა მოფერებაც უნდა.

– ობოლი ობოლს გააჩნია, ბატონო ქიშვარდი, არ იძლევა მოფერების საშუალებას და რა ვქნა?!

– მართლა, ბიჭო? არ იძლევა და, რომ ჩავიყვან გურიაში, ჭლიკით დავკიდებ მე მაგას ჭადარზე. როდის გამატანთ, ქალბატონო იულია?

– აგერაა, ბატონო ქიშვარდი, და როდესაც მოგესურვებათ, მაშინ წაიყვანეთ, მე თქვენ გეტყვით და გახაზირება დაჭირდება!

– ასე კიტრივით შიშველი სად წავიყვანო, ქალბატონო იულია?

– ასე კიტრივით შიშველი ჩამოვიყვანე შარშან ამ დროს ავჭალიდან, ქიშვარდი ბატონო, და სად ვუშოვო ახლა მე მაგას სირმებიანი ჩოხა–ახალუხი?

– ვაი, შვილო!

– წაგეხემსათ და ისე წასულიყავით, ბატონო ქიშვარდი!

– არა უშავს, ქალბატონო იულია, სამტრედიაში წავიხემსებთ და იქიდან ორ გადასახედზეა ჩვენი სახლი.

– აბა კეთილი მგზავრობა მოგცეთ ღვთისმშობელმა და წმიდა გიორგი იყოს თქვენი მფარველი.

– ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოს, ქალბატონო იულია!

– აგერ, ესეც გაიძღვანიეთ, ქიშვარდი ბატონო!

– მაგი რაღაა, ქალბატონო იულია?

– მაგის საბუთებია, ქიშვარდი ბატონო, სექტემბერში სკოლაში გაუშვებთ, ალბათ, და დაგჭირდებათ. წერია შიგ, მეოთხე კლასში გადავიდაო. სახელი კი შეშლიათ ცოტა –

ლომჯარია ნოდარის მაგივრად ლომჯარია ნადირი დაუწერიათ, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, მაგია მაგის ნამდვილი სახელი სწორედ.

– მართლა, ბიჭო? მაგია, და რომ ჩავიყვან გურიაში, ჭლიკით დავკიდებ მე მაგას ჭადარზე.

– რითაც გინდათ, იმით დაკიდეთ, ქიშვარდი ბატონო, ოღონდ მაგის სახსენებელი არ გამაგონოთ აქ.

– ჭლიკით, ჭლიკით დავკიდებ, ქალბატონო იულია!

– ღმერთმა გისმინოთ და უშველოს.

– არ უშველის და, ოთხში ამოვიღებ, ისე ვიზამ, ქვა ტიროდეს მაგის საცოდაობით.

– ნახვამდის, ქიშვარდი ბატონო!

– მშვიდობით დარჩენას გისურვებთ, ქალბატონო იულია!

ეს მიღება–ჩაბარების აქტი შესდგა 1938 წლის აგვისტოში დაბა ხონში, შუადღეზე, ნოდარ ლომჯარიას იმერელ ბებიას, ანუ დედის დედას, ქალბატონ იულია მიქელაძესა და გურულ ბაბუას, ანუ მამის მამას, ქიშვარდი ლომჯარიას შორის, ხოლო ერთი საათის შემდეგ ბიჭი, ანუ ნოდარ ლომჯარია, დაბადებული 1928 წლის 14 ივლისს, ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში, ყელში ბაწარჩაბმულ ბოჩოლასავით, ყურების პარტყუნით მიყვებოდა თაკარა მზით გავარვარებულ და ამტვერებულ ხონის გზაზე მიმავალ დაზაფრულ და თავჩაქინდრულ ბაბუამისს.

ხონიდან კულაშამდე ბაბუა და შვილიშვილი „პრალიოტკამ“ მიიყვანა. კულაშიდან სამტრედიამდე კი – „ლინეიკამ“. სამტრედიაში არ წაუხემსებიათ. პირდაპირ ჩოხატაურში მიმავალ ჩაის ფაბრიკის სატვირთო მანქანას დაასხდნენ, იქიდან კი ფეხით შეუდგნენ ინტაბუეთისაკენ მიმავალ გზას.

ბაბუა წინ მიდიოდა, შვილიშვილი – უკან. ბაბუა ავადმყოფი იყო და კუთავდა ყრუდ. მათკენ მომავალ მგზავრს რომ დაინახავდა, კუთვას შეწყვეტდა, მგზავრს მდაბლად მიესალმებოდა, გავლას აცლიდა და რაკი გზას ცარიელს დაიგულებდა, ისევ მოყვებოდა კუთვას. ეტყობა, კუთვაში რაღაც შვებას პოულობდა, ხანდახან ბიჭსაც მოხედავდა ხლომე. ცხენმა რომ იცის ბეხრეკმა, თავის უკანასკნელ ნაშიერს, ჩამორჩენილ კვიცს რომ მოხედავს ხოლმე სასოებით, თუ მომდევსო, ისე, და კვლავ კუთვით გაუყვებოდა გზას. ეს იყო და ეს. სხვა მხრივ მთელი გზა ხმა არ გაუცია ერთმანეთისათვის. ბიჭი მისდევდა მოხუცს უკან და ფიქრობდა:

„ეს კაცი, რომელიც ჩემ წინ მიდის ახლა თავზე ყავისფერ ფეტრის შლაპაჩამოფხატული, დაფეხვილი და მკუთავი, რომელიც სახლში მისვლისთანავე ჭადარზე ჭლიკით ჩამოკიდებას და ოთხში ამოღებას მპირდება, მამაჩემის მამაა თურმე ღვიძლი, და ჩემი ბაბუა. რაღაც ჩემთვის უცნობი ძალა მაწვება ზურგში და მიბიძგებს, რომ ასე ყურმოჭრილ მონასავით გამოვეკიდო, თორემ ფეხის გვერდზე გადადგმას რა უნდა, გზა ოთხივ ხსნილია, მაგრამ რაღაც ძალა არ მაძლევს ამის საშუალებას, რაღაც მაკავებს და მე ახლა წუღაში თითგავარდნილი, დასიცხული და სიარულისაგან ქუსლებდაბეგვილი რომ მივდევ ამ მოხუცს, ნეტავ რა მიმარბენინებს ბებიასაგან მოძულებულს, ბიძაშვილებთან გამოუმშვიდობებლად. რა ძალაა ეს, ნეტავ, რა ჰქვია ამ ძალას?..“

ამაზე ფიქრობდა ახლა ინტაბუეთის გზაზე მიმავალი ბიჭი და ამაზე ფიქრით უსკდებოდა თავი.

– რაზე ფიქრობ, ბაბუა? – მოუბრუნდა უცებ მოხუცი შვილიშვილს.

– არაფერზე! – უპასუხა დაუფიქრებლად შემკრთალმა შვილიშვილმა, რადგან ყოველნაირ შეკითხვას ელოდა, ასეთს კი – არა.

კოდმეზე ჩამოჯდა მოხუცი გზის პირას. ცოტა რომ მოითქვა სული და კუთვით გული იჯერა, იქვე შორიახლოს ქვაზე ჩამომჯდარ ბიჭს გახედა, ერთხანს უყურა, მერე თვლა დაიწყო ოცდარვიდან: 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38 – თან თითებს ღუნავდა. ოცდათვრამეტზე გაჩერდა, ახლა ჩაღუნული თითების თვლა დაიწყო: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.

– 28 წელს ხარ, ბაბუა, შენ დაბადებული, 38 წელია ახლა, გამოდის, რომ მეთერთმეტე წელიწადში ხარ გადამდგარი. არაფერზე ფიქრი არ ეკადრება შენხელა ვაჟკაცს. თუ ფიქრობ და მიმალავ? – ჰკითხა ბაბუამ.

– არა, ბაბუა, არაფერზე არ ვფიქრობ, – იცრუა ბიჭმა. ბაბუა ისევ დაფიქრდა.

– უნდა მიეჩვიო აწი, ბაბუა, ფიქრს, დროა! – თქვა მოხუცმა, მერე წამოდგა და კვლავ გაუდგა სოფლისკენ მიმავალ გზას კუთვით. ბიჭი კვლავ კისერში გრძელ თოკჩაბმულ ბოჩოლასავით აედევნა უკან.

თმააბურდული, სახეგარუჯული ბიჭი, მთელი დღის ნაჯაფი კაცივით, თოხის ტარზე დაყრდნობილი იდგა ჭადრის ძირში, სევდიანი თვალებით დასცქეროდა ტალახში ამოსვრილ საკუთარ შიშველ ფეხებს და ფიქრობდა:

„როგორ დაბერებულა ამ ერთ წელიწადში, როგორ დალეულა და ხმა წასვლია, როგორ მოღუნულა წელში, როგორ სულ მთლად დაფარვია სახე ნაოჭებით და მაინც როგორ ჰგავს

დედაჩემს – ხმითაც, თმითაც, სიარულითაც, იმ ჩემს სულ ახალგაზრდა, ხატივით ლამაზ, აბრეშუმისთმიან, თაფლისფერთვალება, ზარივით ტკბილხმიან და სათნოდიმილიან დედაჩემს... ახლა რომ თვალები დავხუჭო, ალბათ, ეს მოხუცი ქალი სულ მთლად დედაჩემივით გახდება...“ გაიფიქრა ბიჭმა, მაგრამ თვალები არ დახუჭა, შეეშინდა ბიჭს.

– ქიშვარდი ბატონო, არ დამაყენა საცოდავი დედამისის აჩრდილმა აღარც ძილში და აღარც ღვიძილში. ვერც საკუთარ გულს და სინდისს გავექეცი ვერსად. არ შეიქნა უმაგისოდ ჩემი სიცოცხლე, რომ წამოვიყვანეთ, იმ დღიდან გულამოგლეჯილი დავდივარ. დამიბრუნეთ უკან ჩემი ბავშვი, ქიშვარდი ბატონო...

– ბავშვი მაშინ იყო, ქალბატონო იულია, მაგი, თქვენგან რომ წამოვიყვანე, ახლა კაცია და აგერაა; თუ უნდა წამოსვლა, მე ვერ დავაკავებ მაგას.

– ნაწყენია მაგი ჩემზე, ქიშვარდი ბატონო, თქვენისთანა ოქროპირი და ბრძენი თუ მოაბრუნებს აწი მაგის გულს ჩემსკენ.

– თქვენ ორი გყავთ კოლიას ბიჭი სახლში, ქალბატონო იულია, და მე ამ ერთსაც აღარ მიტოვებთ?

– ანგარიში და თვლა არ სცოდნია შვილიშვილს, ქიშვარდი ბატონო, ასი რომ გყავდეს, მაინც ერთია თურმე.

– მართალი ბრძანდებით, ქალბატონო იულია, ანგარიში არ იცის შვილიშვილმა, მაგრამ რა ვქნა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ლომჯარიების სათვალავი მაგით რომ უნდა დაიწყოს?

– გვარს კი არ ვუცვლი, ქიშვარდი ბატონო, თუ გნებავთ, იმ ორსაც თქვენ გვარს მივცემ, ოღონდ ეს გამატანეთ ახლა.

– ჩემსას მართმევთ, ქალბატონო იულია, და თქვენის მომცემი ხართ?

– ნუ წამიყვანთ ცოდვიანს ამ ქვეყნიდან, ქიშვარდი ბატონო, რა პირით შევხვდე დედამისს საიქიოში?!

– მე და თქვენ გასწრებაზე ვართ, ქალბატონო იულია, კაციშვილმა არ იცის, ვინ უფრო ადრე წავა და, თუ გაგასწარით, მე რაღა პირით შევხვდე დედამისს ან მამამისს?..

– ღმერთმა თქვენი სიკვდილი ნუ გამაგონოს, ქიშვარდი ბატონო!

– ჩემი ყანა მაგია, ჩემი დოლაბი და წისქვილიც, ჩემი ვენახი, ჩემი ყავარჯენი. საფლავი და საფლავის ქვაც, ვერ გაგატანთ, ქალბატონო იულია, და მომკალით!

– აქ, თქვენ თვალწინ მოვიკლავ თავს, ქიშვარდი ბატონო...

– მაგას როგორ ბრძანებთ, ქალბატონო იულია. წაყვები, ბიჭო?

– თქვენი ერიდება, ქიშვარდი ბატონო, თორემ...

– მართლა, ბიჭო?

– დედის ალერსი აკლია ახლა მაგას, დარეცხვა უნდა, დაუთავება უნდა, დაბანა უნდა, ზურგზე ხელის წასმა უნდა, დავარცხნა უნდა... დედის მაგივრობას თქვენ ვერ გაუწევთ მაგას, ქიშვარდი ბატონო!

– არ გამჭირვებია მე, ქალბატონო იულია, მაგის მოვლა, არ გამომიძახებიხართ და შველა არ მითხოვია თქვენთვის!

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ ფეხის დათბილვა უნდა ძილის წინ, სკოლაში დევნა უნდა...

– არ ემდურის, ქალბატონო იულია, ჩვენი სკოლა მაგას, თქვენმა სკოლამ კი მისცა ცნობა, ნადირიაო, და კი ბრძანეთ თქვენ მაშინ, მაგის ნამდვილი სახელი მაგიაო, მაგრამ არ გამოდგა მართალი...

– ღმერთი არაა, ქიშვარდი ბატონო, თორემ კი უნდა გამხმობოდა ენა მაშინ, მაგას რომ ვამბობდი!

– ხომ არ გგონიათ, ქალბატონო იულია, ანგელოზი გახდა ჩემ ხელში, ან ატმის ქურდობა მოიშალა?!

– გახმეს ის ხე, რომლის ნაყოფსაც მაგას ვინმე დაამადლის!

– არც სიმინდის გაცემა მოუშლია ჩემს ხელში...

– მაგისია, რაც მაბადია, ქიშვარდი ბატონო, და ცეცხლს რომ მისცეს, ვინა ხმის გამცემი.

– არც თუთუნის წევა მოუშლია, ქალბატონო იულია.

– მართლა, ბიჭო?

– მაგის კითხვა რად გინდათ, მე მკითხეთ აგერ, არ დამიყენა არც ჯიბეში და არც სათუთუნეში.

– არ მოუშლია და ნუ მოუშლია, ქიშვარდი ბატონო. თქვენ თვითონ არ ბრძანეთ – კაცია უკვე მაგიო?!

– ერთი თვე მაცალეთ, აბრეშუმზე პრემიას მივიღებ, პატარას მივდგებ–მოვდგები, თორემ ასე კიტრივით ტიტლიკანას ხომ არ გაგატანთ, ქალბატონო იულია?

– ოღონდ ახლა გამატანეთ, ქიშვარდი ბატონო, და ჩემსას გავიხდი და მაგას ჩავაცმევ.

– კი მოუხდება თქვენი სამოსი, თქვენ ნუ მომიკვდებით.

– რა გიჭირთ, რა, კი ხართ ხუმრობის ხასიათზე. მე რა მეშველება უბედურს და გულდადაღეულს!

– გითხარით უკვე, ქალბატონო იულია, აღარაა მაგი ბავშვი და, თუ წამოსვლა უნდა, მე ვერ დავაკავებ.

– ხატივით შემოგციცინებს თვალებში, ქიშვარდი ბატონო, თქვენი ყოველი სიტყვა სახარებაა მაგისთვის მაცხოვრის პირიდან ამოსული და თქვენ თუ ეტყვით...

– ღმერთი არ გწამთ, ქალბატონო იულია? როგორ ვუთხრა ჩემი პირით ჩემს ნაგრამს, გადადი ჩემი ეზოდან და სხვას წაყევი–მეთქი!

– არ ვარ მე სხვა, ქიშვარდი ბატონო, მეც სისხლი და ხორცი ვარ მაგისი, ერთი წლის სიცოცხლე დამრჩა და ნუ მომისწრაფებთ, მაჩუქეთ მაგი ბავშვი, მუხლმოდრეკილი გევედრებით...

– არ იკადრო, ქალბატონო იულია...

– თქვენი მუხლების ჭირიმე...

– ადექით, ქალბატონო იულია, ნუ მიზამთ მაგას...

– ღმერთო, შენ გაახარე ეს ღვთისნიერი კაცი...

– თქვენმა მტერმა გაიხაროს ასე, მე რომ აწი გავიხარებ....

– დედაო ღვთისა...

– წაყევი, ბაბუა!

ასეთი საუბარი გაიმართა ზემოთ ნაამბობის ზუსტად ერთი წლისთავზე ბიჭის გურულ ბაბუასა და იმერელ ბებიას შორის, მაგრამ ეს აღარ იყო მიღება–ჩაბარების აქტი, ეს იყო ბიჭის გამო ადუღებული ორი სისხლის ჭიდილი და ორი გულის ქვითინი. ბიჭი ამას ხან აჩქარებული გულისცემით, ხან ყელში მობჯენილი ბურთით, ხან ცივი ოფლით, ხან ალმურით, ხან ცახცახით და ხან ტკივილით გრძნობდა, მაგრამ სახელს ვერ არქმევდა. ეს რაღაც მისთვის უჩინარი ძალა ხან ბებიას მხარეს გადაქაჩავდა, ხან კვლავ ბაბუასაკენ გადმოისროდა ისე, თითქოს ხელი ჰკრესო, ხანაც გულ–ღვიძლს დაწვავდა და ორთავე ბეჭში გაივლიდა გავარვარებული შანთივით მარჯვნიდან მარცხნივ. ეს იყო რაღაც შემაძრწუნებელი, ენით აუწერელი, დამამუნჯებელი და დამთრგუნველი გრძნობა.

ბებია ადგა, ბიჭთან მივიდა და გულში ჩაიკრა...

– შენ შემოგევლოს ჩემი თავი, შენ, ჩემო მზეო და ნათელო, სიცოცხლეო ჩემო და ჩემი ანიკოს ნერგო. წამოდი, ბებია, და მაჩუქე კიდევ ორი დღის სიცოცხლე! – ბებია ტიროდა და მისი მდუღარე ცრემლი თავზე ეღვრებოდა ბიჭს ღაპაღუპით. ტირილით რომ გული იჯერა ბებიამ, ფრთხილად მიიზიდა შვილიშვილი, მაგრამ იგი იდგა ისე, როგორც როკის სარი, როგორც რკინის პალო, როგორც ხე, მიწაში ღრმად წასული.

– წაყევი, ბაბუა, წაყევი, შვილო, წაყევი მოხუცებულ ბებიას და გულს რომ იჯერებს შენი სიყვარულით, ქე ჩამოდი ისევ, ამასობაში მეც მომენატრები და ასე... აბა, როგორ გინდა? შვილიშვილობა შენ ადვილი საქმე ხომ არ გგონია? ძნელია, ბაბუა, შვილიშვილობა, ძნელი განსაკუთრებით ჩემი და ბებიაშენისნაირი გამოყრუებული მოხუცების შვილიშვილობა. წაყევი, შვილო, აგი შენი წალდი, საწნახელი, ნაჯახი, თოხი, გიდელი, გოდორი, ძროხა, თხა და ღორი არსად გაგექცევა, შენ გელოდება, იცოდე...

ბიჭი იდგა და უკვირდა – წალდი ეზოს ერთ თავში ეგდო. ნაჯახი – მეორეში, გოდორი – მესამეში, გიდელი – მეოთხეში, ძროხა ეზოს ერთ თავში ება, თხა – მეორეში, ხბო – მესამეში და ღორი – მეოთხეში და როგორ ხედავდა ყოველივე ამას ბაბუა ისე, რომ იქით გაუხედავად იშვერდა ხელს საგნებისა და პირუტყვისაკენ.

– ა, შენი ჩანთა, ა, შენი წიგნები: ქართული, ისტორია და კიდევ რა გვაქვს მე და შენ? მეტი არაფერი, წულა და პერანგი აგერაა, შარვალი ზედ გაცვია. სამტრედიამდე ფეხშიშველმა იარე, თორემ წულას ძირი გაძვრება, მხარზე გადაიკიდე, მასე... აბა, ჰე...

ქიშვარდი ლომჯარია მიხვდა, რომ მისი ბადიში ამ წუთში როკის სარი იყო, რკინის პალო, ხე და ნოღა, მიწაში ჩასობილი, და ისე ღრმად იყო შიგ წასული, რომ ასე ფერებ–ფერებით ვერ ამოიღებდა, ვერ ამოგლეჯდა, საჭირო იყო მოფერებაზე რაღაც უფრო ძლიერი, რომ ბიჭს ადგილიდან ფეხი მოეცვალა, მაგრამ რა?

ქიშვარდი ლომჯარია იმასაც მიხვდა, რომ მისი ბადიში ახლა წრეში იდგა და ორი ძლიერი სისხლი ექაჩებოდა აქეთ–იქიდან და რომელიც უფრო ძლიერი იყო, ის გადაქაჩავდა, მაგრამ რომელი იყო უფრო ძლიერი? და ვიდრე ამას თავად სისხლი გაარკვევდა, ერთ–ერთს – ან მას, ან ბიჭის ბებიას უნდა გადაეკეტა, გადაეჭრა ერთ–ერთი ძარღვი აჯანყებული სის–ხლისა, და ბიჭის ბებიას ისევ ქიშვარდი ლომჯარიამ დაასწრო:

– წაყევი, ბიჭო, დავიღალე შენთან ყბედობით!

ბიჭმა შეშინებულმა გახედა ბაბუას.

– ისე წაყევი, უკან არ მოიხედო! – მერე მოტრიალდა და ოდაში შევიდა.

ბიჭს როგორც უცებ მოუვიდა გული ბაბუაზე, ისევე უცებ შეეცოდა თავისი ბებია, თვალები ცრემლით აევსო, ნიკაპი აუცახცახდა, თავი ჩაქინდრა და კისერზე გრძელთოკჩაბმულ ბოჩოლასავით აედევნა აგვისტოს თაკარა მზისაკენ ათახთახებულ, ჩოხატაურის მტვრიან გზაზე მიმავალ, წელში მოხრილ, შავ ძაძებში გახვეულ, საბრალოდ დალეულ და დამდნარ, მუშტისოდენა ბებიას.

ბუხართან იჯდა ქიშვარდი ლომჯარია და ცეცხლზე სპილენძის კარდალით შემოდგმული წყლის გათბობას ელოდა. ცეცხლს უყურებდა ქიშვარდი ლომჯარია და ფიქრობდა: „რა გაუთავებელი ფიქრი იცის ამ დალოცვილმა“. თან ფიქრობდა, თან ცდილობდა როგორმე გაქცეოდა საკუთარ ფიქრს, მაგრამ საკუთარ ფიქრს სად გაექცევა კაცი? კაცი ხომ ღმერთი არ არის? „არ უნდა გამეშვა ის ბიჭი, მაგრამ იმ ქალის საცოდაობას ვერ გავუძელი. ახლა მე ვარ იმ ქალის მდგომარეობაში, ერთი კვირის თავზე ავდგები, წავალ, ჩავუვარდები მუხლებში და ვთხოვ დამიბრუნოს ჩემი ბიჭი და თუ ნებით არ დამიბრუნა, მაშინ ავდგები და ვეტყვი: „დამიბრუნე, დედაკაცო, ჩემი სისხლი და ხორცი. ვის აქვს ღმერთის გარდა, უფლება, წამართვას იგი“. მაშინ ის იმავეს მეტყვის და მე ხომ ღმერთი არა ვარ, კაცი ვარ, და როგორ წავართმევ შვილიშვილს, რომელიც ისევე ეკუთვნის მას, როგორც მე? აი, ღმერთი რომ ვიყო... ძნელია კაცად ყოფნა, ძალიან ძნელი, გაცილებით ძნელი, ვიდრე ღმერთობა, მადლობა ღმერთს, ამაში თვითონ დარწმუნდა იესო ქრისტე – ჩვენი მაცხოვარი... ძნელია უბრალო, დასამიწებელ კაცად მოსვლა ამ ქვეყანაზე, ძალიან ძნელი...

...დღეის სწორს ავდგები, წავალ და მუხლებში ჩავუვარდები იმ ქალს, თუმცა ერთ კვირას რა გამაძლებინებს. ზეგ წავალ, ზეგ კი არა და, ხვალ, ხვალ დილით, ავდგები უთენია და... ღმერთო, მალე გაათენე ამაღამდელი ღამე...“

ბუხართან იჯდა ქიშვარდი ლომჯარია, ცეცხლზე შემოდგმული წყლის გათბობას ელოდა და ასე ფიქრობდა, ოდის კარი რომ გაიღო და ოთახში მხარზე წუღაგადაკიდებული, ფეხშიშველა და თავჩაქინდრული ბიჭი რომ შემოვიდა.

– დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი!

– დავბრუნდი! – თქვა ბიჭმა.

– ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდი. – თქვა მოხუცმა. მერე ქიშვარდი ლომჯარიამ ცეცხლიდან თბილი წყალი ჩამოდგა და შვილიშვილს თავისი ხელით დაუთბილა დაღლილი ფეხები. ტახტზე გაუშალა საწოლი და თავად პატარა ოთახში გავიდა დასაძინებლად.

შუაღამისას ბაბუამ შვილიშვილის ხმა გაიგონა:

– შეიძლება, ბაბუა, შენთან დავწვე?

– მოდი, ბაბუა! – უპასუხა მოხუცმა და კედლისკენ მიიწია. შვილიშვილი მივიდა, ლოგინში შეუწვა და კედლისკენ მიბრუნებულ ბაბუას ზურგზე მიეკრო.

„რა ცივია საწყალი ბაბუა“, – გაიფიქრა შვილიშვილმა.

„რა თბილია ეს მამაძაღლი“, – გაიფიქრა ბაბუამ.

ცოტა ხნის შემდეგ ბაბუამ ჰკითხა შვილიშვილს:

– იცი, რამ მოგიყვანა, ბაბუა?

– არა! – უპასუხა შვილიშვილმა.

– მე გეტყვი, აბა: სისხლმა მოგიყვანა, ბაბუა, სასწაულია სისხლი.

ამის მეტი იმ ღამით ბაბუასა და შვილიშვილს შორის არაფერი არ თქმულა, არც ერთი არაფერზე არ ფიქრობდა და არც არაფერს არ ლაპარაკობდა.

ბაბუასა და შვილიშვილს ტკბილად ეძინათ.

მხოლოდ სისხლი ლაპარაკობდა და ფიქრობდა, ხოლო რას ლაპარაკობდა და რას ფიქრობდა სისხლი, ღმერთმა უწყის!

ყანწი

ზღაპრული ქორწილი გადაუხადა ღუღუნი ჯაიანმა თავის ვაჟს, იმედო ჯაიანს. ცხრა მოზვერი, სამოცდაათი გოჭი, თორმეტი ქაცარი და ერთი ფერმა ქათამი დაიკლა იმ დღეს ზუგდიდში. ას თორმეტ ნაბიჯიანი სეფა იყო გამართული ხასხასა კოინდრით მოფარდაგებულ ეზოში.

ცა ფეხად ჩამოდიოდა... სტუმრები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ უწყვეტ ნაკადად. ნაშუადღევს, ქალების გარდა ექვსასი მსმელი ვაუკაცი ეჯდა სუფრას და როდესაც ქორწილის თამადამ, იროდიონ შელეგიამ, ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ბრძანა ლიტრიანი ყანწით, ექვსასი ლიტრა ღვინო დაილია ერთ დალევაზე.

– თვითონ დადიას არ მოსწრებია ასეთი ქორწილი! – თქვა ქორწილის კონსულტანტმა ოთხმოცდაათი წლის რემა ჩიქვანმა და ღვინით დაცვარულ ქათქათა ულვაშზე გადაისვა ხელი. – სო რენა მეჩონგურე ცირეფი? – იკითხა მერე და როდესაც მეჩონგურე ცირები მოგვარეს, „დიდოუ ნანა“ შეუკვეთა, სავარძელში ნებივრად გადაწვა, თვალები მინაბა და სმენად განეწყო.

ცა ჩამოვიდა ფეხად. წვიმა შეწყდა. მზემ დაწურული ღრუბლებიდან ისე გამოიხედა და აბრიალებული თვალით ისე დააშტერდა ზუგდიდსა და ჯაიანების ეზოს, თითქოს დედამიწას პირველად ხედავდა.

– არ თქვათ, ღმერთი არ არისო, – აღმოხდა გახარებულ თამადას.

– თვითონ დადიას არ მოსწრებია ასეთი ქორწილი. – გაიმეორა რემა ჩიქვანმა.

მელექედურელი შუტუნიე წიქარაძის დედის, აღათი აქუბარდიას სატირალიდან მოტაცებული ანგელოსი, თათულია ერქომაიშვილი ეჯდა დედოფლად იმედო ჯაიანს და ბედნიერებით იმ ცას წვდებოდა, წელან რომ ფეხად ჩამოდიოდა.

მოტაცებული რას ჰქვია, თავისით წამოყვა თათულია ერქომაიშვილი იმედო ჯაიანს, თორემ ძალით რომელი ქალი უთრევიათ გურიიდან სამეგრელომდე, – და მაინც აგერ ერთი თვეა ჯაიანებმა ვერა და ვერ შემოირიგეს ფხუკიანი გურულები. ეს ზღაპრული ქორწილიც გურულების გარეშე მიმდინარეობდა ახლა. მაყრებზე აღარაფერს ვამბობ, ხელისმომკიდე რომ ხელისმომკიდეა, ისიც არ ახლდა თათულია ერქომაიშვილს ქორწილში. თუმცა მხლებელი რად უნდოდა ერქომაიშვილის ქალს, იგი ახლად ამოცურებულ მზესავით იჯდა მეუღლის გვერდით და გურიის კი არა, მთელი ქვეყნიერების საქალეთს წარმოადგენდა. ნათესავებისაგან უზომოდ შეურაცხყოფილი, იგი მაინც ამაყად იჯდა, არაფერს არ იმჩნევდა, მხოლოდ ძალიან დაკვირვებული თვალი თუ შეატყობდა, რომ სევდაშერეული ღიმილით ჰქონდა დაბინდული მშვენიერი სახე.

– როდემდე გაძლებთ უჩემოდ, გურულებო, ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც შემირიგებთ და სწორედ მაშინ გადაგიხდით სამაგიეროს ამ შერცხვენისათვის და აბუჩად ადგდებისათვის, თქვე უმგვანოებო, – ასე ფიქრობდა თათულია, სეფაში შესასვლელი კალთა რომ გადაიწია და შიგ თავიდან ფეხებამდე გალუმპული, შუბლზე თმაჩამოყრილი ვაჟი შემოიმართა.

– მშვიდობა აქაურობას! – თქვა მან ხმამაღლა და, როგორც ყველა გოლიათს და ღონიერ კაცს ჩვევია, კეთილად გაიღიმა, თან ვეებერთელა ტორები ზურგს უკან დამალა უხერხულად.

– გადავირევი! – თქვა დედოფალმა და ფეხზე წამოდგა.

– ვინც არ უნდა იყოთ, მობრძანდით, ბატონო, სტუმარი ღვთისაა! – შეეგება მასპინძელი. – ისე მაინც თუ გვეტყვით, ვინ ბრძანდებით, უფრო გაგვახარებთ...

– მე სათუთია ვარ, ბატონო, შალიკაშვილი, პატარძლის დაგვიანებული მაყარი, – ისევ უხერხულად გაიღიმა სტუმარმა, – მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, მაინცდამაინც დღეს ჩამოექცა ჭერი ქვეყნიერებას და ცოტა შევყოვნდი გზაში.

– მადლობა ღმერთს, ერთი გურული მაინც გამოჩნდა და ყველამ არ გვიკრა წიხლი სუფრას, – ღიმილით, მაგრამ აშკარა საყვედურით უთხრა ღუღუნი ჯაიანმა.

– გურულებს ნუ გამილანძღავთ, ბატონო, და მთელი გურიის წილ ღვინოს მე დავლევ, ამით მაინც გამოვისყიდი მაგათ დანაშაულს, – თხოვა სათუთიამ.

– მაგარი ბიჭი ჩანხარ, ბატონო სათუთია, მაგრამ ცოტას ხომ არ ტრაბახობ? – ეჭვით შეათვალიერა მასპინძელმა.

– არა, ბატონო, რასაც ვჩივი, დასტურ ვჩივი! – უპასუხა შალიკაშვილმა.

– აგაშენა ღმერთმა!

– ჯარიმა მაგას და ყანწიც მაგას! – გასცა განკარგულება უკვე შეტორტმანებულმა თამადამ და ის ერთლიტრიანი ყანწი სათუთიასაკენ გამოაგზავნა.

– მაცალეთ, ბატონო და ახლავე! – თქვა სტუმარმა და ნეფე-დედოფლისაკენ წავიდა. ჯერ დედოფალთან მივიდა, ერთ ჰექტარ მკერდზე მიისვენა მისი ლამაზი თავი და შუბლზე აკოცა. მერე სიძეს მიუბრუნდა, დიდხანს უყურა.

– რა ჭკვიანი, ეშმაკი და კეთილი თვალები აქვს ამ დაგვალულს, – გულში ასე გაიფიქრა, ხმამაღლა კი ასე უთხრა: – მომილოცავს, ძამიაო, – ხელი ჩამოართვა, ისიც ჩაიკრა გულში, ოღონდ უკოცნელად და მერიქიფეს ყანწი ჩამოართვა.

– ჯერ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ბრძანეთ, ბატონო, მერე ნელ-ნელა დაგვეწევით, ალბათ! – შეახსენა თამადამ.

– თქენი სახელი? – ჰკითხა სათუთიამ.

– ჩვენი? – თავის მხრივ ჰკითხა თამადამ და გულზე დაიდო გაშლილი ხელი.

– დიახ!

– ირიდი, ირიდი შელეგია, ბატონო!

– პატივცემულო ირიდიონ, ძვირფასო სტუმრებო, მეზობლებო, მეგობრებო, მტერო და მოყვარეე, ერთი თვის წინ გაქრა მზე ოზურგეთის ციდან და აღარ გვინახავს მერე... – დაიწყო სათუთიამ.

– ნამდვილად ცუდი ამინდები დაიჭირა, ბატონო, – კვერი დაუკრა თამადამ.

– გაქრა მზე, ველოდეთ, ველოდეთ, – ისევ გამოჩნდებაო, მაგრამ გაგიგონია? ვის დაკარგვიხარ, ვინ დაგეძებს, ვის ახსოვხარ...

– არ შეიძლება მაგან თავისებური კვალი არ დააჩინოს მოსავალს... – ამოუდგა მხარში ვიღაცა სათუთია შალიკაშვილს.

– რასაკვირველია, გალში მაგალითად, სულ ჩამოგვიყარა ტყემალი, – იჩივლა სათუთიას წინ მჯდომმა კაცმა.

– დაღუპულხართ აბა? – შეიცხადა მეზობელმა გალელები.

– თქვენ რომ მობრძანდით, კი გამოიდარა, მზეც მოვიდა და გათბა კიდევაც... – უთხრა სტუმარს ღუღუნი ჯაიანმა და მადლობის ნიშნად მხარზე ხელი მოუთათუნა, ამით ისიც აგრძნობინა, თან საქმეს მიხედეო.

– მე რას მეფერები, ბატონო, ის მზე მისით მობრძანდა თქვენთან, თორემ ჩემი ნება რომ ყოფილიყო, სულ არ გამოვახედებდი აქეთ! – არ მიიღო მადლობა სათუთიამ.

– არაა მაგი საინტერესო, ვისი ტყემალი რამდენს მოისხამს და ვისი სიმინდი რამდენ ტაროს გამოიბამს, სიძე-დედოფალი მიდღეგრძელეთ, თუ შეიძლება, – შეახსენა დაგვიანებულ მაყარს მოვალეობა თამადამ.

– ეს მზე ჯვარს იწერს ახლა, – თავისი განაგრძო სათუთიამ, – ჯვარს იწერს მთვარეზე და ჩვენ ყველანი დამსწრე ვართ ამ ამბის... გამრავლდება მერე ეს მზე და აივსება ზუგდიდის ცა პატარა მზეებით და მთვარეებით, მერე ცაში რომ ვერ დაეტევიან, ფეხად ჩამოვლენ ის პატარა მზეები და მთვარეები და ახლა მიწაზე დაიწყებენ გამრავლებას...

– თქვენი გვარი, პატივცემულო? – შეაწყვეტინა ექსტაზში შესულ სტუმარს სიტყვა თამადამ.

– შალიკაშვილი! – გულუბრყვილოდ უპასუხა სათუთიამ.

– ოხ, მე კოპერნიკი მეგონეთ, – უთხრა იროდი შელეგიამ, – ყველამ გაიცინა, ვინც გაიგონა. სათუთიას არ გაუცინია მხოლოდ.

– კი, ბატონო, კოპერნიკი ვარ! – დაეთანხმა თამადას.

– მაშინ ბოდიშის მოხდით შეგახსენებთ, რომ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო არ დაგილევიათ ჯერ!

– აბა, მე რას ვამბობ ამდენი ხანი? – გულწრფელად გაუკვირდა სათუთიას.

– ყველაფერს სადღეგრძელოს გარდა, ის არ გითქვამს კიდე, დედამიწა რომ მრგვალია და რომ ბრუნავს... – უპასუხა თამადამ. ისევ გაიცინეს გარშემო. სათუთია გაშრა.

– დალიე აწი და დაჯექი, – თხოვა თათულიამ თავის მეზობელსა და ბავშვობის მეგობარს.

– კი, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, – გაუცინა სათუთიამ, ყანწი მოიყუდა და სულმოუთქმელად დაცალა.

– მაგარი ყოფილხარ შენ, ჩემო ძამია! – მოეწონა სტუმარი თამადას.

– კი ვარ მაგარი! – დაუმოწმა სათუთიამ.

– მაგარი მაშინ იქნები, ჩვენ რომ დაგვეწევი, – დაუძახა ვიღაცამ.

– რაა მაგისთვის საჭირო? – იკითხა სათუთიამ.

– დადიანის ყანწი! – იყვირა ზუგდიდის სამხარეო მუზეუმის დირექტორმა ზელიმხან ღვამიჩავამ.

– კი, ბატონო, დადიანის ყანწი იყოს და გინდა ბაგრატოვანის, ჩემთვის სულ ერთია, – გაიღიმა სათუთიამ.

– ძალიან სულელია, ძალიან ტრაბახა თუ ძალიან მთვრალი? – ჰკითხა სიძემ პატარაძალს.

– ძალიან ჭკვიანია, ძალიან მორცხვი და ძალიან ფხიზელი! – სახე აელეწა პატარძალს.

– უნახავს მაინც თვალით დადიანის ყანწი?

– თუ არ უნახავს, ახლა ნახავს. – თქვა პატარძალმა ამაყად. სიძეს ცალყბად გაეღიმა.

წითელი ხავერდით გაწყობილი ოთხთვალა შემოაგორეს სეფაში. დადიანის ყანწი, ვერცხლის ქამარხანჯალში გამოწყობილ ვაუკაცივით, მხართეძოზე წამოწოლილიყო ზედ და ვეშაპივით პირდაფჩენილი უმზერდა მისი სიდიდით გაკვირვებულ საზოგადოებას.

– გაუვსეთ! – ბრძანა თამადამ.

ორი მერიქიფე ეცა ყანწს. ერთი მორჩილი დოქი და ერთი ბოთლი, სულ ოთხი ლიტრა ოჯალეში შთანთქა ყანწმა. უდაბნოში გზააბნეული ბედუინივით დაეწავა ზედ სათუთია და ერთ ვეებერთელა ცნობისმოყვარე თვალად იქცა ექვსასკაციანი სუფრა.

– აუ, მართლა რა მაგარი ყოფილა ეს შობელძაღლი! – თქვა გაოცებულმა დადიანის ყანწმა, ზუგდიდში, ჯაიანების ქორწილში მაყრად ჩამოსულმა სათუთია შალიკაშვილმა ტუჩიდან მოუცილებლად რომ გამოსცალა, მაგიდაზე გააგორა და გვერდით რომ არ მიუწვა.

– თქვენია, ყმაწვილო, – აღმოხდა გაოცებულ რემა ჩიქვანს და ფეხზე წამოდგა.

– ვინ, ბატონო? – იკითხა გაკვირვებულმა სათუთიამ და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა.

– თქვენია ყანწი, ყმაწვილო! – გაუმეორა რემა ჩიქვანმა.

– როგორ გეკადრებათ! – დაიმორცხვა დაგვიანებულმა მაყარმა.

– ბატონ რემას სიტყვა კანონია, ესეც რომ არ იყოს, ზედ აწერია ყანწს: „ვინც დამცალოს, იმის ვარო“, – დაუდასტურა ღულუნი ჯაიანმა და სინანულით დაიქნია თავი.

– არა, ბატონო, ცალი ყანწი რად მინდა. მარტორქა კი არა ვარ, თუ გაქვთ, მეორეც მომეცით, იმასაც დავცლი და ორი ამნაირი ყანწის წაღება კი ღირს, ღმერთმანი! – გაიცინა უკვე შეზარხოშებულმა და ლაზღანდარობის ხასიათზე მოსულმა სათუთიამ.

– მაგისთანა მეორე სადაა, ბატონო, ეს ერთია, მთელი დადიების ისტორიაა გამოვლილი შიგ და მილიონადაა შეფასებული ექსპერტის მიერ, – თქვა ზელიმხან ღვამიჩავამ სლოკინით.

– არაა და დარჩეს აქ, ჩემს გაჭირვებას მილიონი მაინც ვერ უშველის. ასე ცალუღლად ვერ წავიღებ მაგას მე გურიაში, – გაჯიუტდა სათუთია.

– თქვენი სამოწყალო რა გვჭირს, ბატონო, სიტყვა სიტყვაა! – ეწყინა მასპინძელს.

– მაშინ მეორედ ამივსეთ, კიდე დავცლი და მერე წავიღებ, – მთლად აიგდო თავი დაელამებულმა სათუთიამ.

– აუვსეთ! – ბრძანა გაბრაზებულმა რემა ჩიქვანმა.

– არ ქნა მაგი, სათუთია! – თხოვა თავის მაყარს გაფითრებულმა პატარძალმა.

– ნუ გეშინია, შენ შემოგევლე, არ შეგარცხვენ, – დაპირდა მაყარი და ხელმეორედ აიღო ყანწი.

ისევ მიცვივდნენ ყანწს მერიქიფეები, ისევ შთანთქა ოთხი ლიტრა ოჯალეში ყანწმა, ისევ გადაიქცა ერთ ვეებერთელა ცნობისმოყვარე თვალად ექვსასკაციანი სეფა. ისევ დაეწაფა სტუმარი ყანწს. და…

– აუ, მართლა რა მაგარი ყოფილა ეს შობელძაღლიო, – ისევ უნდოდა ეთქვა დადიანის განცვიფრებულ და პირდაფჩენილ ყანწს, მაგრამ გამშრალი ენა ვეღარ მოიბრუნა, იმ წითელხავერდგადაფარებულ ოთხთვალაზე წამოწვა და ძალიან ღრმა ძილს მიეცა.

– შენია, შვილო, შენი! – უთხრა თვალზე ცრემლმომდგარმა რემა ჩიქვანმა, – კოჩი ვორექიასი ოკო თქუე, სკანი გოლუაფირო, – დასძინა მეგრულად, მერე გულში ჩაიკრა ოფლად გაღვრილი, გაღიმებული, თვალებ და გონება–დაბინდული გოლიათი, მაგრად გადაკოცნა და სკამზე დასვა ფრთხილად.

– სო რენა მეჩონგურე ცირეფი?! – იკითხა ისევ. მოგვარეს მეჩონგურე ცირები, – ამას გაყევით და ნანა უმღერეთ დილამდე, – ბრძანა რემა ჩიქვანმა და სავარძელში გადაესვენა კმაყოფილი.

ორმა ვაჟკაცმა მიაცილა მოსასვენებელ ოთახში ფეხარეული შალიკაშვილი.

– მაპატიეთ, ბატონო რემა, მაგრამ ვის ქონებასაა რომ ატანთ ამ შიშველ გადარეულს გურიაში? დაგავიწყდათ, ერთი დღით რომ აქვს ნათხოვარი მუზეუმიდან მაგი ყანწი ღუღუნი ჯაიანს? – შესტირა რემა ჩიქვანს მიტკალიევით გათეთრებულმა ზელიმხან ღვამიჩავამ.

– ბრიყვო, რამ გაყო სამეგრელო და გურია? ყანწი ღირსეულს ეკუთვნის. ასე დააწერა თვითონ დიდმა დადიამ ზედ და ასე უნდა მოხდეს მაგი.

– დადიამ კი დააწერა მაგი ყანწს, ბატონო რემა, მაგრამ მაგი ყანწი მე დამაწერა მილიონად კულტურის სამინისტრომ და რა ვქნა აწი? ასე იყო შარშანაც, ლატარია რომ ატანდა ვიღაც ტვინგაწყალებულ ლეჩხუმელ ქარსელაძეს მაგ ყანწს სახლში და მეტი კი არ შეუძლია ამ გულს, გამისკდება ერთ მშვენიერ დღეს და მიყარეთ მერე კაკალი… – ატირდა ღვამიჩავა.

– მომწყდი, წიე, თავიდან. ვინ გაატანს მაგ მათხოვარს აქედან ყანწს, გამოჩნდება ვინმე დამლევი: თუ არა და სულაც მე დავლევ!.. – თქვა ამაყად რემა ჩიქვანმა და ხელის აქნევით მოიცილა მუზეუმის დირექტორი.

– აბა, თქვენი იმედი მექნება, – თქვა ძალიან სევდიანად ღვამიჩავამ. თავის ადგილზე დაბრუნდა და ახლა იქ განაგრძო ტირილი.

დილის ექვს სათზე უკვე ტახტზე იჯდა სათუთია შალიკაშვილი და სირცხვილით ოთახიდან გასვლას ვერ ბედავდა. ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო სრულად. ვერ იგონებდა, რა ჩაიდინა წუხელ: ახსოვდა მხოლოდ ის, რომ უამრავი ღვინო დალია და ძალიან გამომწვევად ეჭირა თავი, მაგრამ რა იბუტურა და ვის რა ჰკადრა, ვერა და ვერ გაიხსენა.

ტახტზე იჯდა სათუთია შალიკაშვილი, ორი უზარმაზარი ტორი შემოეწყო ბურუსით გატენილ ვეებერთელა თავზე და ოთახიდან გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდა…

შვიდ საათზე კარზე დააკაკუნეს. სათუთია მოლოდინში დაილია და დაპატარავდა. ოთახში თათულია შემოვიდა. სათუთიას თავი არ აუწევია.

– დილა მშვიდობისა! – მიესალმა თათულია და გვერდით მიუჯდა. სათუთიამ ხმა არ გასცა.

– მოგჭერი თავი? – ჰკითხა ბოლოს.

– რას ამბობ, ბიჭო?

– შეგარცხვინე?

– პირიქით, მასახელე, სათუთია, არ დავივიწყებ მაგას არასდროს, მადლობელი ვარ შენი.

– დასტურ ჩივი მაგას?

– დასტურ ვჩივი. გამოდი აწი, სათუია, ხალხი და ქორწილი გელოდება, – სთხოვა თათულიამ და თავისი პატარა ხელი უზარმაზარ თავზე დაადო.

– წავალ აწი მე, თათულია, განახე და წავალ…

– რას ამბობ, სათუთია?

– აბა, საქეიფოდ ვარ მე აქ მოსული, ჩემო თათულია?

– აბა, რისთვის ხარ ჩამოსული? – ჰკითხა გაკვირვებულმა თათულიამ.

გუშინდელივით წახდა სათუთია და ისევ დაებინდა გონება.

ისე დიდი ხნით ჩამოვარდა სიჩუმე, რომ რაღაც საშინელის მოლოდინში თათულიას გული გაუჩერდა.

– ქვეყნიერების გაჩენის დღიდან მიყვარხარ, გოგო, რით ვერ შეგატყობინე და გაგაგებინე, – თქვა ბოლოს სათუთიამ ძალიან შორიდან და ძლივს გასაგონად.

– გაჩუმდი, ბიჭოო! – უნდოდა ეთქვა თათულიას, მაგრამ გამშრალი ენა ვერ მოაბრუნა და ამიტომ ის პატარა ხელისგული წელან რომ თავზე დაადო, სათუთიას, ახლა პირზე ააფარა.

სათუთიამ ფრთხილად მოიცილა მისი ხელი.

– როდემდე გავჩუმდე, ცავ, მაგას და მაგნაირს თუ გაყვებოდი, გეთქვა დალოცვილო, გეთქვა და... მთელი ოზურგეთის ბიჭების ეკლესია და ხატი შენ იყავი...

– ვინ მითხრა მერე, ბიჭო, ვინ? – ჰკითხა გაოცებისაგან ფართოდ თვალგახელილმა და ხმადაკარგულმა თათულიამ.

– მაგის თქმას ვინ გაგიბედავდა, გოგო, მზესავით გვედექი თავზე და მზე როდის იყო ჩასვლა–ამოსვლას სხვას ეკითხებოდა...

– ვაი, შე საწყალო სათუთია!.. – სათუთიამ ისევ ფრთხილად აიღო თათულიას პატარა, თბილი ხელი და ლოყაზე მიიდო.

– დაბრუნდი უკან, შენ შემოგევლე, დაბრუნდი სახლში, ჩემო მზეო და სიცოცხლეო, არა და არ ღირს ჩემი სიცოცხლე აწი... დაბრუნდი სახლში, თათულია... – სათუთიას ხმა აუკანკალდა.

– ნუ იტყვი, სათუთია, მაგას, ნუ, იგი ბიჭი გვერდით რომ მიზის, ქმარია ჩემი, მე ცოლი ვარ მისი და ქვეყანას მირჩევნია... – ისევ ააფარა პირზე ხელი თათულიამ.

– მაგას არ ვტირი მეც? – თქვა სათუთიამ.

სტუმრის ოთახის კარი რომ შეაღო, რემა ჩიქვანი სახტად დარჩა. გოლიათი სტუმარი ტახტის კიდეზე იჯდა, დედოფლის პატარა თეთრი მუშტი მზისაგან დამწვარ ლოყაზე მიედო და იმ მუშტის ხელა კურცხალს აღვარღვარებდა.

– აუ, ამას რას ხედავს ჩემი თვალები, ყველაფერი გამიგია, მაგრამ შენნაირი ვაუკაცის ტირილი?! ადექი ახლა, წამობრძანდი, დადიანის ყანწი და ხალხი გელოდება, ბიძიკო!

– ყანწისათვის და ქეიფისათვის ვარ მე ჩამოსული, რემა ბატონო? – ჰკითხა ნაღვლიანი ხმით სათუთიამ და ცრემლიანი თვალები მიაპყრო რემა ჩიქვანს, მაგრამ ამან არ შეიმჩნია, სიტყვა ბანზე აუგდო სტუმარს.

– მაინც რა ჰქნი წუხელ, ყმაწვილო, როგორ განაცვიფრე მთელი ქორწილი. ის ყანწი, ორი ზედიზედ, თვითონ დადიანს არ დაუცლია. სადაა ღმერთი, თორემ ასი წლის წინ უნდა გაეჩინე შენ...

– ასი წლის წინ იქნებოდა თუ დღეს, მაინც არ ურევია ღმერთი ჩემ გაჩენაში, რემა ბატონო...

– ნუ დარდობ, ბიძიკო, სიყვარულს და ყურადღებას არავინ მოაკლებს და სულ ხელისგულზე ატარებენ შენს თათულიას აქ... – ისევ ბანზე აუგდო სიტყვა ჩიქვანმა სტუმარს. დედოფალი ადგა და ოთახიდან გავიდა უხმოდ.

– სიყვარულს, ალერსსა და ყურადღებას რომ არ მოაკლებენ, მაგას ვტირი მე, ბატონო რემა... – უთხრა ქორწილის კონსულტანტს ოთხმოცდაათი წლის რემა ჩიქვანს დაგვიანებულმა მაყარმა, ოცი წლის სათუთი შალიკაშვილმა და ფეხზე წამოდგა.

– წადი, ბიძიკო, შენც, – დიდი ხნის დუმილის შემდეგ უთხრა რემა ჩიქვანმა სტუმარს – სახლში წადი!

– კი, სახლში წავალ და ჯანდაბაშიც, რემა ბატონო! – დაპირდა სტუმარი.

– მშვიდობით და ჭკუით იარე, ბიძიკო! – სთხოვა რემა ჩიქვანმა.

სტუმარმა კარი გააღო, ჯერ აივანი გაიარა, მერე ეზო, შემდეგ შუკა, შემდეგ დედო შარაზე გავიდა და ცას ახედა. ცა სავსე იყო პატარ–პატარა მზეებითა და მთვარეებით...

არავის არაფერი არ გაუგია. ზღაპრული ქორწილი გრძელდებოდა. დედო შარას ადგა სათუთია შალიკაშვილი. დედო შარას ადგა და ხელცარიელი, ფეხით ბრუნდებოდა გურიაში.

ასტვაწ! ინჩუ ჰამარ!

ძია გევორქა უცებ მოკვდა. ჯერ ადგა სკამიდან, მარცხენა ხელი საფეთქელთან მიიტანა.

– ბიჭო, მიტო, მგონი, მორჩა ყველაფერი... – მითხრა დაკარგული ხმით. მერე ისევ დაჯდა, ცას უზომოდ გაკვირვებული, გაფართოებული თვალები მიაპყრო, – ასტაწ! ინჩუ ჰამარ, – თქვა სომხურად, ჭაღარა თავი ჭადრაკის დაფაზე დაუვარდა და გათავდა. ძლივს გამოართვეს ჩემი შავი დედოფალი ხელიდან.

ძია გევორქა ასე ორმოცი, ორმოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა, ჩვენს ეზოში ცხოვრობდა ერთოთახიან ბინაში, ცოლთან და ქალიშვილთან ერთად. უსაშველოდ ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა, ნელი. სვანეთისუბნელმა ტრუპკა გოგიამ მოსტაცა ომის შემდეგ, წაიყვანა და წაიყვანა. ნელი მშობლების სანახავად კვირაობით მოდიოდა ხოლმე, ბებია ანეტასა და ბაბუა გევორქას შვილიშვილის ალერსით გააძღებდა და საღამოს კვლავ ქმრის ოჯახში ბრუნდებოდა.

მე და დედას ცოტა შელაზღანდარებული, მაგრამ კეთილი მეზობლობა გვქონდა ძია გევორქასთან. საქმე ისაა, რომ როდესაც ტრუპკა გოგიამ გევორქას ნელი მოსტაცა, ჩემ გარდა არავინ გამოჰქომაგებია და გამოჰკიდებია, რაც ერთ ჩალილავებულ თვალად და ორ

დამამცირებელ პანღურად დამიჯდა ჩემსავე ეზოში, სამაგიეროდ, ძია გევორქას და დეიდა ანეტას უსაზღვრო სიყვარული, ნდობა და სიმპათია დავიმსახურე. ეს სიმპათია, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ძია გევორქა ჩემ გარდა ჭადრაკს არავის არ ეთამაშებოდა. ტურნირი თითქმის ყოველდღე ერთნაირად მიმდინარეობდა და თითქმის ერთნაირი ტექსტით. თეთრი ფიგურები მუდამ ჩემი იყო, ვთამაშობდით მუდამ სანაძლეოზე და მუდამ ორ ბოთლ საფერავზე თავისი „ზაკუსკით“, რომელშიც წითელი ბოლოკი დომინანტობდა. სამ–სახურიდან დაბრუნებული ძია გევორქა ისადილებდა თუ არა, ჯერ მკვდარ საათს გააკეთებდა, მერე ეზოში გამოვიდოდა პატიმარივით ჭრელ პიუამოში გამოწყობილი და დედაჩემს ამოსძახებდა:

– ღრმად პატივცემულო ბანოვანო, ქალბატონო ანიკო, თქვენი ცალტვინა კაპბლანკა დაბრუნდა ლექციებიდან?!

– დაბრუნდა, დაბრუნდა, – ჩასძახებდა დედა.

– მაშინ ნახეთ, თუ შემოქმედებით სამუშაოში არ არის ჩვეულებისამებრ ჩაფლული, უთხარით, თქვენმა მეზობელმა ბოტვინიკმა გთხოვათ, იქნებ, დამდოთ პატივი, თქვენი ფასდაუდებელი დროის ოქროს ფონდიდან რამდენიმე წუთი გამოჰყოთ და...

– ენა გაგიხმა, მაგ გაპრანჭული ქართულის სწავლას ერთი სიტყვა სომხური გესწავლა გერჩია, კაცი იქნებოდი, შე უბედურო, არც აქეთ რომ არ ხარ და არც იქით, – პასუხობდა დედა. მერე მე მეძახდა: – ჩადი, ბიჭი, ის შენსავით დაუსტვინე გეძახის.

არ არსებობდა ქვეყნად ძია გევორქაზე ტკბილმოუბარი და საინტერესო მთხრობელი კაცი. ჭადრაკს ეზოში მეთამაშებოდა, ზედ თავის ოთახის კარებთან. ჩავიდოდი და უკვე გაწყობილ დაფას მივუჯდებოდი.

– ბარო! – ვეტყოდი, თან ხელს გავუწევდი.

ხელს არ ჩამომართმევდა, დაელოდებოდა პირველ სვლას როდის გავაკეთებდი, მერე თვითონ გააკეთებდა საპასუხო სვლას, იმ სვლას რვეულში ჩაიწერდა და მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ ჩამომართმევდა ხელს და მიპასუხებდა:

– გაგიმარჯოს, დავი–დაუბასე არ მოდის?

– არა.

– მეზობლებო, მოწმე იყავით, დავი–დაუბასე არ მოდის! – გააფრთხილებდა თავისი საქმით გართულ ეზოში მოფუსფუსე მეზობლებს, ისინიც თავს უქნევდნენ თანხმობის ნიშნად. ადრე მეზობლები ფუტკარივით გვესეოდნენ გარშემო, შემდეგ ჩვენი ჩხუბითა და ჭინჭყლით თავმობეზრებულები თანდათან ჩამოგვცილდნენ. იშვიათად თუ ვინმეს წასძლევდა ცნობისმოყვარეობა და ჩაერეოდა ჩვენს ჩხუბში, თორემ ისე მე და ძია გევორქა ეზოში სრული ავტონომიით ვსარგებლობდით, რაც ერთი მხრივ ძალიან გვსიამოვნებდა კიდევაც.

– ამხანაგო გევორქ ართავაზის ძევ, რატომ იწერთ სვლებს? – ვიწყებდი შარს.

– წესია ასეთი!

– მე რომ არ ვიწერ?

– უნდა ჩაიწერო!

– რომ არ ვიცი ჩაწერა?

– ესე იგი, წერა–კითხვის უცოდინარი ხარ და უვიცი, ამიტომ მე სვლას ჩავიწერ, შენ კი ჯვარი დაუსვი ან თითის ანაბეჭდი გააკეთე.

– თითის ანაბეჭდი გავაკეთო, რა პატიმარი ვარ? – სიტყვა პატიმარს გამორჩეულად, ხაზგასმით ვაკეთებ, რადგან ძია გევორქა ტყვედნამყოფია და იმ დღეების გახსენება ნერვებს უშლის. ამას ბოროტებით კი არ ჩავდივარ, ნერვებაშლილი ძია გევორქა ცუდ სვლებს აკეთებს ხოლმე და მოგების შანსი მიჩნდება, ამიტომ, რაც შემიძლია ვახელებ და ვახელებ.

– აბა, აბა, ლაწირაკო, ნამიოკები არ იყოს, მე ხომ არ გეუბნები შენ პოლიტეკონომიაში, სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, სტატისტიკაში, სამართალში და დიალექტიკურ მატერიალიზმში რომ ორები გყავს. – თითებზე ითვლის ჩემს საგნებს ძია გევორქა.

– მაშ შენ სწავლობ ჩემ მაგივრად? მაშ კურსიდან კურსზე როგორ გადავდივარ?

– მეც ეგ არ მიკვირს? – იცინის ძია გევორქა.

– შენ ეგეთი სწავლა–განათლება სად მიიღე, ტყვეობაში? – ვეკითხები ძია გევორქას და თვალს თვალში ვუყრი.

– რომელ ტყვეობაში! – სცრის კბილებში ძია გევორქა და აქეთ–იქით იყურება შეშინებული.

– აი, იმ ტყვეობაში, ნავთლუღს რომ გასცდი და როსტოვამდე ორთავხელაწეული ვაშას მაგივრად ჰაილ ჰიტლერს რომ იძახდი, – ვეუბნები.

– გევორქ, ბრძენი კაცი ხარ, არ აჰყვე ამ ლაწირაკს, თორემ ალიყურს გამოგტყუებს და ეგ საქციელი არ გეკადრება. – აფრთხილებს თავის თავს ძია გევორქა, თან ისეთ სვლას მიკეთებს, ტანში ჟრუანტელი მივლის.

– ვაააა, რა ქურთული სვლა გამიკეთა! – ვიფხან კეფას.

– სომხური! – მისწორებს ძია გევორქა.

– სამშობლოს მოღალატისაგან სხვა სვლას არც ველოდი!

– რათა ვარ, ბიჭო, სამშობლოს მოღალატე? – ფეხზე დგება ძია გევორქა.

– იმიტომ რომ ჰიტლერს ჩაბარდი.
– მე მარტო?
– შენ სხვებს რას უყურებ.
– კი მაგრამ, სხვებთან ერთად რომ ვიყავი? შახ! რა უნდა მექნა, მაგ ფიგურას ხელი გაუშვი, ჩემია…
– უნდა გამოსულიყავი და გეთქვა, ამხანაგო ჰიტლერო, მე ამ ლაჩრებს ვერ ავყვები, გარდეს რატომ არ მეუბნები?
– მეფეს გარდეს ვინ ეუბნება, ბრიყვო? მერე, მერე?.. – მეკითხება ძია გევორქა და პასუხის მოლოდინში ისევ ჯდება.
– დიახ, ვერ ავყვები და ჩემს ცაფირუზხმელეთ ზურმუხტოვან…
– სულ პატარა, თითსტოლა მახსოვხარ, იქედან მოყოლებული სულ მაიმუნი ხარ, არაფერი შენში არ შეცვლილა, იმდენი დარვინის და მისი ევოლუციის დედა ვატირე, რამდენიც შენგან კაცი გამოვიდეს, – დასცინის დარვინს ძია გევორქა, – აქ არა ხარ Наглядное пособие, რა ევოლუციაცა ხარ? თფუ! – იფურთხება ძია გევორქა.
– მაშ არადა, არა ხარ სამშობლოს მოღალატე! – არ ვეშვები.
– სამშობლოს მოღალატე მაშინ ვიქნებოდი, ჰიტლერი გვერდზე რომ გამეყვანა და იუდასავით მეთქვა, ამხანაგო ჰიტლერო, ამხანაგი სტალინი გეთსამანიის ბაღში იმალება–მეთქი!
– სადა, სადა? – მიკვირს მე.
– ვაი, შე ერთუჯრედიანოო! – სინანულით იქნევს თავს ძია გევორქა.
– მაშ არც დივიზიის მოღალატე ხარ?
– არა!
– არც ბატალიონის, არც ოცეულის, არც ათეულის? – მივსდევ ქისიმში.
– კაცო, შარზე ხარ? თუ ვინმესთვის მიღალატნია, ისევ ჩემი ანეტასათვის, ისიც ერთჯერ ჩემ სიცოცხლეში, ისიც მივლინებაში, ისიც ქუთაისში და ისიც ოცი წლის წინ აფიციანტკასთან. გასაგებია?
– არ არის გასაგები! – ვჯიუტობ მე.
– ანეტა, ვიდრე ცოდვა ჩამიდენია და ბაღლინჯოსავით გამიჭყლეტია ეგ არამზადა, ორი ლიტრა და ზემბილი გამოუტანე, – გასძახა ცოლს გევორქამ.
– ისევ წააგო? – ხითხითებს ოთახში დეიდა ანეტა.
– იცინეთ, იცინეთ, ჩემი დროც მოვა! – ვემუქრები მე.
– ჰოდა, ვიდრე მოვა, ანეტას შემოვევლე, ორი ლიტრიანი ჩაუწყვე ზემბილში…
– გინდა ორი ჩამიწყვეთ, გინდა ხუთი, ფული არა მაქვს… – ვაფრთხილებ ძია გევორქას და ასადგომად ვემზადები.
– დაჯეეე, – გაბმით მეუბნება ძია გევორქა და უზარმაზარ მუშტს თავზე მადებს. – მაინცდამაინც კაცის კვლაზე გინდა დამიჭირონ?
– არ მაქვს, ვა, კაცი არა ხარ? შვილი არა გყავს? – ვისაწყლებ თავს.
– შენისთანა შვილი რომ მყავდეს, დღეში სამჯერ მოვკლავ. ანეტა, ერთი თუმანი კიდევ ასესხე ამ უდღეურს ჩემს ანგარიშში… ბოლოკი კლარა ცეტკინზეა, პური ოცდახუთი თებერვლის ქუჩაზე, ხომ იცი, ოტელო პური მიყვარს, იაფია და გემრიელი, ღვინო №5, საფერავი უნდა იყოს…
– რა მითხარი? – გამოდის კარებში დოინჯშემორტყმული ანეტა.
– არაფერი, ანეტაჯან, ერთხელ კიდევ ასესხე თუმანი ჩემს ანგარიშში–მეთქი, – ხმა ეპარება ძია გევორქას.
– თაღლითებო და გაიძვერებო, თქვენ მოატყუებთ ანეტა გიორგობიანს? ვერ მოგართვეს, ეხლა აქედან დამეკარგეთ ორივე, თორემ ხუთ ნომერს კი არა, ქეძაფსა და სტრიხნინას დაგალევინებთ, თქვე აფერისტებო, მე ხომ ვიცი, მოლაპარაკებულები ხართ და ფულებსა მცინცლავთ ყოველ კვირა, უკვე ას ოცი მანეთი მართებს ამ ყურფიჩორას, ჩემი შენს ანგარიშში.
– რეებს გვაბრალებ, ქალო, არა გრცხვენია? – უკვირს ძია გევორქას.
– მაშ რატომ ერთხელ ეგ არ მოიგებს და ერთხელ შენ არ წახვალ ღვინის მოსატანად? – ეკითხება ნიშნის მოგებით ანეტა.
– ვა, ეგ ხომ იგივეა, ანეტაჯან, მე რომ წავაგო და მე რომ წავიდე ღვინის მოსატანად, ფული ხომ მაინც შენ უნდა გამოგართვა, სულზე უტკბესო? – უხსნის ძია გევორქა.
– ვინც შენზე თქვა სომეხიაო, ანგარიშიანიაო, ფულის ყადრი იცისო, რატომ ენა არ გაუხმება, ეგ რა მოგებაა, ფული მე უნდა მივცე, ბოთლი მე უნდა მივცე, საუზმე მე უნდა გავუმზადო, ღვინო მე უნდა დავუსხა, თქვენ მარტო უნდა დალიოთ?! – ამბობს დეიდა ანეტა, თან მაგიდაზე წინდაწინვე გახაზირებულ თუმანს, ზემბილში ჩაწყობილ ბოთლებს დებს და ისე გვათვალიერებს მე და ძია გევორქას, ტრამვაის კონტროლიორი რომ ათვალიერებს ხოლმე უბილეთო მგზავრებს. მე და ძია გევორქა მორცხვად ვხრით თავებს.
– წადი, ბიჭო, სანამ გადაუფიქრებია! – ჩურჩულით მეუბნება ძია გევორქა.

ღვინოს ყოველთვის სახლში ვსვამდით. საოცარი კია, რადგან არც წინასწარ დაგვითქამს და არც ვინმე პირზე ხელს გვაფარებდა, მაგრამ როგორც კი სისხლისფერი ღვინით სავსე ჭიქას ავიღებდით ხელში, ბილწსიტყვაობა და ლაზღანდარობა თავისთავად ქრებოდა სადღაც და მის ადგილზე სევდა, მწუხარება, გულწრფელობა, იუმორი, ოცნება და სიყვარული მოდიოდა.

პირველი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, დეიდა ანეტასი და დედაჩემისა იყო. შემდეგი – მშობლებისა, შემდეგი – საქართველოსი და საქართველოს შემდეგ უცებ სომხეთისა. განსაცვიფრებელ რაღაცას ამბობს საქართველოზე ძია გევორქა.

– თქვენი საქართველო, ჩემო მიტო, ძალიან ლამაზსა და ჯიშიან ბედაურსა ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულს, თქვენდა საუბედუროდ, ეგ ბედაური ისეთ ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილზეა დაბმული, რომ ყველა გამვლელ–გამომვლელს უნდა შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს და სარდლის ყიჟინითა და ვაშას ძახილით გააჭენ–გამოაჭენოს. გაჩენის დღიდან ეგრე იყო, მაგრამ მადლობა ღმერთს, თვითონ არის ისეთი ფაქიზი და ფეთიანი, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე, მხოლოდ ღირსეულებს თუ შეისვამს ხოლმე და იმათაც თუ დაკარგეს ზომიერების გრძნობა, სულ კისრისტეხით გადმოაგდებს და დაანარცხებს დაბლა. შენ ჯერ ბავშვი ხარ და არ იცი, მე კი ძალიან ბევრი მინახავს ეგეთი... საოცარი ქვეყანაა ეგ თქვენი საქართველო და გაუმარჯოს.

ახლა მე ხომ უნამუსო არა ვარ, ძროხა ხომ არა ვარ, ბალახს ხომ არ ვჭამ და პირუტყვი არა ვარ, ადამიანი ვარ და მეტყველი, მეც ხომ უნდა ვუთხრა რამე სასიამოვნო სომხეთზე ძია გევორქას? მაგრამ რომ არ ვიცი რა ვუთხრა? ამიტომ ენის ბორძიკით ვიწყებ:

– ძია გევორქ, სასომხეთის ნაირი ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობს...

– შენ რა იცი, შე მამაძაღლო, ნამყოფიც არა ხარ სასომხეთში, – იღიმება ძია გევორქა...

– მერე რა, წამიკითხავს და მოყოლილიც მომისმენია. ჯერ ის რად ღირს, ეჩმიაძინი, მერე ის, კაცობრიობამ თავის მეორე ცხოვრება არარატის მთიდან რომ დაიწყო... – ძია გევორქას ცრემლიანი ლურჯი თვალები ზურმუხტივით უბრწყინავს. – მოკლედ, ერთი ნაკლი რომ არ გქონდეთ, უნაკლო ქვეყანა იქნებოდა.

– რა ნაკლი? – დადარაჯებული მეკითხება ძია გევორქა და სავსე ჭიქას მაგიდაზე დგამს.

– ზღვა არა გაქვთ, ძია გევორქ, ზღვა, – ვამბობ მე ტრაგიკული ტონით.

– რაც მართალია, მართალია, – ოხრავს ძია გევორქა.

– მაგრამ არა უშავს, სევანი ხომ გაქვთ – ზღვაა მა რა ოხრობაა?! – ვამხნევებ მე.

– სევანი რა ზღვაა, ბიჭო, ერთი პორტი არ აქვს. – ცალყბად იღიმება ძია გევორქა.

– თქვენც ააშენეთ ერთი პორტი სევანზე, დაარქვით Севанстополь და მორჩა... – ვატყობ, გულმოდგინებისაგან ნამეტანი მომივიდა.

– ჰა, მაიმუნო, ლაზღანდარობა არ იყოს! – მაფრთხილებს ძია გევორქა, თან გულიანად იცინის და ახალ სადღეგრძელოს ამბობს.

სესიისთვის ვემზადებოდი, ამიტომ ძია გევორქას იშვიათად ვხვდებოდი. ბოლო ერთი თვე კი არ ვიცი, ჩემი უყურადღებობით, არ ვიცი, თავად ძია გევორქას მოუცლელობით, საერთოდ არ შევხვედრივარ მას. გულახდილად რომ გითხრათ, ისე ვიყავი გართული მეცადინეობით, ძია გევორქა ამ ხნის მანძილზე არც გამხსენებია.

ერთ დღეს სახლში ვიჯექი და მიწის სამართალს ვაკონსპექტებდი. დედაჩემი საერთო აივანზე იყო გასული, რაღაცას ხელსაქმობდა, თან მეზობლის ქალებთან ჭორების გაცვლა–გამოცვლით იყო გართული. უცებ ძია გევორქას ხმა გავიგონე, დედაჩემს ეძახდა, დღის პირველი საათი იქნებოდა. ამ დროს წესით სამსახურში უნდა ყოფილიყო.

– ქალბატონო ანიკო, მიტუშა სახლშია?

– სახლშია, გევორქ, მეცადინეობს!

– უთხარით, რომ მოიცლის, ერთ წუთს ჩამოვიდეს! – სთხოვა ძია გევორქამ.

– ჩადი, ბიჭო, რაღაც ფარცაგია გევორქას თავს, – შემოვიდა დედა ოთახში.

– რაზე შეატყვე? – ვკითხე მე, კონსპექტი დავხურე და ავდექი.

– რაღაც ადამიანურად და საწყლად დამელაპარაკა. – კიბეზე ჩავირბინე და გევორქას ოთახში დაუკითხავად შევედი. მაგიდას უჯდა, თან ჭადრაკის დაფა ჰქონდა გაწყობილი... დეიდა ანეტა სახლში არ იყო.

– ბარო, ძია გევორქ! – ვუთხარი მოგონილი უდარდელობით.

– გაგიმარჯოს, ბიძიკო, დაჯექი! – მიპასუხა ღიმილით, დავჯექი. – დღეს თეთრებით უნდა გეთამაშო, კონიაკზე. წავაგებ–მოვიგებ, მე ვყიდულობ, ყაბულსა ხარ? უნდა მაგრად დავთვრე, – მითხრა ძია გევორქამ და ვიდრე ვუპასუხებდი, სვლა გააკეთა.

– ყაბულსა ვარ! – დავეთანხმე მე და საპასუხო სვლა გავაკეთე.

– როგორა ხარ, ბიჭო, სესიების საქმე როგორა გაქვს? – მკითხა ძია გევორქამ.

– ვემზადები, ჯერ არ დამწყებია.

– მაინც როგორ ატყობ?

– ჩემი დეეიზი ხომ იცი, გევორქ, სამიანი და ჯანმრთელობა.

– სწორად იქცევი...
– ძია გევორქ, სვლებს რატომ არ იწერ, წერა–კითხვა ხომ არ დაგავიწყდა, ან დათრობა რატომ მაინცდამაინც კონიაკით გადაწყვიტე, ვითომ საფერავი არ გათრობს, თუ რა? – ვცადე ლაზღანდარობაზე გადასვლა, მაგრამ შევატყვე ძია გევორქა ლაზღანდარობის ხასიათზე არ იყო, სახე გაფითრებული ჰქონდა და ჩარბები ჩალურჯებული.
– აზრი არა აქვს, შვილო, აზრი, – გამიღიმა ნაძალადევად, – კონიაკით დათრობა კი იმიტომ მინად, რომ კონიაკი სატანის მოგონილია, გამოთიშვა იცის კაცის, ღვინო კეთილშობილია, ღვთიურია...
– ეგ მართალია, ისეთი განსხვავებაა ღვინოსა და კონიაკში, როგორიც ცასა და დედამიწას შორის, – დავუდასტურე მე.
– ეგეთი შედარება მეორეჯერ არ მოიყვანო. ცასა და დედამიწას შორის არავითარი განსხვავება და მანძილი არ არსებობს, ისე როგორც სხეულსა და სამოსელს შორის... ცა დედამიწის სამოსელია, ეგ სამოსელი კი სამყაროა, დედამიწა ხომ თავად ცაშია, ანუ სამყაროში, სამყარო კი ღმერთია, ღმერთი კი რა არის? ის მარადიული, რაშიც ყველაფერია და ყველაფერი ის, რაშიც თავად არის განივთებული, გასაგებია? – მკითხა ძია გევორქამ და თავზე ხელი გადამისვა.
სუნთქვა შემეკრა, ასეთი გაუგებარი და ასეთი ჭკვიანი ძია გევორქა ჯერ არ მენახა და არც გამეგონა.
– ვერაფერი ვერ გავიგე, ძია გევორქ, – ვუთხარი გულწრფელად.
– ახლავე გაიგებ! – მითხრა გევორქამ და ისე ამაცალა კუ, თვალის დახამხამება ვერ მოვასწარი.
– დამიბრუნე! – ჩავუვარდი მუხლებში.
– წაიღე, დღეს მოწყალების დღეა! – თქვა ძია გევორქამ და კუ დამიბრუნა. თან ჩაიღიღინა.

ჭიჭინაძე, შენ მოგიკვდეს ეგ თავი,
რად გინდოდა ეგ ხაგესი ნეტავი,
გაანათე ყველა ბნელი ქუჩები,
დამიკარგე ჩემი გოგოს ტუჩები...

ისე ტკბილად, ისე საამოდ, მსუბუქად და ლამაზად მღეროდა, გაკვირვებისაგან პირი დავაღე. ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიგონე ძია გევორქას სიმღერა.
– ვააა! – აღმომხდა გაკვირვებულს.
– მოგეწონა? – მკითხა ნასიამოვნებმა ძია გევორქამ.
– ღმერთივით მღერი, ძია გევორქ, ამდენ ხანს სად იყავი, დალოცვილო!
– ეგ რა კარგი რამ თქვი, ბიჭო, ღმერთივით მღერიო, ღმერთის სიმღერა ვის გაუგონია?
– ნეტავი მართლა თუ მღერის ღმერთი? – ვკითხე ჩემს თავს, ოღონდ ხმამაღლა და მევე გავეცი პასუხი, – თუმცა ღმერთმა ვის უნდა უმღეროს, როდესაც მთელი ქვეყანა მას უგალობს და უმღერის.
– ღმერთი თუ უმღერის, ალბათ, სამყაროს უმღერის! – თქვა ძია გევორქამ.
– როგორ?
– როგორ და ორ შაურად. თუ სამყარო ღმერთის შექმნილია და შვილია მისი, კიდეც უნდა უმღეროს, აბა ნანინას გარეშე შვილის გაზრდა ვის გაუგია, ბიჭო! – გაიცინა ძია გევორქამ. – ახლა რა ვქნა, მიტოჯან, მოგიკლა ეს სულელი დედოფალი თუ ისევ დაგიბ–რუნო?
– ძია გევორქ, შენ ლოთიანად დღეს სამსახურში იყავი თუ ეკლესიაში?
– რა იყო? – წარბი შეიკრა ძია გევორქამ.
– ძალიან ბრძენი ხარ და დაღონებული. – ვუთხარი მე. ძია გევორქამ პაპიროსს მოუკიდა, დიდხანს აბოლა, თან ცისფერ კვამლს თვალს აყოლებდა, პაპიროსი რომ ბოლოში ჩაიყვანა და საფერფლეზე დააჭყლიტა, მხოლოდ შემდეგ მიპასუხა.
– დღეს ისევ დამიძახეს, მიტო.
– სადა, ძია გევორქ?
– იქა, – თავი აიქნია ძია გევორქამ, – ტყვეობის თაობაზე.
– კარგი რა, აღარ მორჩა?! – შევწუხდი მე.
– როგორც ჩანს, არ მორჩა!
– მაინც რა უნდა იმ შობელძაღლს?
– ორ ბრალდებას მიყენებს, უფრო სწორად სამს. პირველი – ტყვედ როგორ ჩავარდიო, მეორე, თავი რატომ არ მოიკალიო, მესამე – მომღერალთა ანსამბლში რატომ მღეროდიო...
– რომელ ანსამბლშიო? – გამიკვირდა მე.
– აბა რა ვიცი, ქვის კარიერიდან რომ ვბრუნდებოდით ილაჯგაწყვეტილები, მე და ერთი რუსის ბიჭი, კოსტია სუვოროვი, დაღლილ ბიჭებს ვართობდით, ის ბალალაიკაზე უკრავდა, მე ვმღეროდი.

ტაში–ტუში, ტაში–ტუში,
Мадам попугайъ
ტაში–ტუში, ტაში–ტუში,
Один рубль дай…

ამას რუსებისათვის ვმღეროდით, ქართველებისათვის წელან რომ გიმღერე, იმას, ღმერთი, ხატი, რჯული, გერმანელებითვის არასდროს არაფერი არ მიმღერია, თვითონ გვიმღეროდნენ აქეთ სულიკოს. ახლა კი ეგ უსინდისო გადამკიდებია, გინდა თუ არა, გერმანელებისთვის მღეროდიო და ტყვედ როგორ ჩავარდიო, ვიცი და არ გეუბნები? ერთმა ქორია სერჟანტმა რომ შეგვრეკა ნავთლუღში საბარგო ვაგონში და კარი დაგვიკეტა გარედან, სამი დღის შემდეგ გერმანელებმა გაგვიღეს, მიდი ახლა და მოუყევი, როგორ ჩავარდი ტყვედ… თავი რატომ არ მოიკალიო, მქონდა რო იარაღი, ან რომ მქონოდა, თავის მოკვლა ეგრე ადვილია?.. – გევორქა ძიამ ისევ მოუკიდა პაპიროსს, ხელი უთრთოდა, – ვეუბნები, შვილო, რამდენი წლისა ხარ–მეთქი…

– ვის?

– ვისა და ჩემი ცოდვით სავსე გამომძიებელს.

– რა გვარია?

– ახლა გავიხსენებ, გვარი და სახელი ერთად აქვს…

– ალექსი–მესხიშვილი!

– არა.

– გოგისვანიძე.

– გამახსენდა, გიგიბერია, ჰოდა, ვეკითხები, რამდენი წლისა ხარ ეგეთი ჩქარი და მკაცრი რომ ხარ–მეთქი. შენი საქმე არ არისო, მეუბნება, სამ დღეში სამივე კითხვაზე თუ ამომწურავი პასუხი არ მოგიცია, მერე შენს თავს დააბრალეო.

– მერე, დალოცვილო, მე რომ მიყვები აქ, იმას ვერ მოუყევი, როგორც იყო? – ავღელდი მე.

– როგორ მოვყვე, ბიჭო, როდესაც ვუცქერ და შუბლზე დიდი ასოებით აწერია: Входа нет!

– კიდევ რომ დაგიძახებს, მე წამიყვანე, – ვუთხარი მე აღშფოთებულმა. ძია გევორქას გაეცინა. – ნუ იცინი, მართლა გეუბნები, კიდევ რომ დაგიძახებს, მე წამიყვანე.

– კარგი, შვილო, წაგიყვან, ოღონდ ახლა ეგ ცხენი და დედოფალი თავის ადგილზე დადე, ორივე შენია და როგორ კლავ?

– ის მე ვიცი, როგორ ვკლავ! – ვთქვი უაზროდ და ფიგურებს ავურიე, – ძია გევორქამ აუღელვებლად, ძალიან მშვიდად და წყნარად თავიდან დააწყო ფიგურები.

– ჰა, შეატყვე რომ აგებ და აურიე? მიდი, ითამაშე, ცხვირი ნუ ჩამოგიშვია, მთელი სამ დღე წინა გვაქვს… – მითხრა ძია გევორქამ, სვლა გააკეთა და ჩაიწერა, – ხომ ხედავ, სვლა ჩავიწერე. მიდი, რაღას უყურებ? – ძია გევორქა თითქოს გამოცოცხლდა, ფერი მიეცა, სახე წამოუწითლდა, წარბებიდან სილურჯე გაუქრა, ლაზღანდარობაც დამიწყო.

– როგორ იყო, გამოცდაზე რომ გკითხეს მარქსის კაპიტალი ქართულად ვინ თარგმნაო და ენგელსმაო, რომ უთხარი… ჰა, მოყევი ერთი როგორ იყო?

და უცებ ძია გევორქა ადგა, მარცხენა ხელი საფეთქელთან იმიტანა.

– ბიჭო, მიტო, მგონი, მორჩა ყველაფერი… – მითხრა დაკარგული ხმით. მერე ისევ დაჯდა, ცას უზომოდ გაფართოებული, გაკვირვებული თვალები მიაპყრო, – ასტაფ. ინჩუ ჰამარ… – თქვა სომხურად, ჭალარა თავი ჭადრაკის დაფაზე დაუვარდა და გათავდა.

1950 წლის ივნისის თვის პირველი კვირის სამშაბათს დაკრძალეს ძია გევორქა, ნინოშვილის ქუჩის ორივე გამოსასვლელი და ყველა გზაჯვარედინი დღის თორმეტ საათზე დაიხურა. გლოვა დაიწყო. დეზერტირის ბაზარზე უამრავი თეთრი ვარდი შევიძინე და უზარმაზარი თაიგულით ხელდამშვენებული შევედი ჭირისუფლეიბთ ალყადარტყმულ პატარა ოთახში. თაიგული იმდენად დიდი იყო, რომ სახე არ მიჩანდა, ამიტომ ჭირისუფალმა ჯერ ვერ მიცნო, მაგრამ როდესაც კუბოსთან მივედი, დავიხარე, თაიგული ძია გევორქას ფეხებთან დავდე და წელში გავიმართე, ისეთი კივილი ატყდა, გული ჯერ გადამიბრუნდა, მერე ამიჩუყდა და გალახული ბავშვივით ავქვითინდი.

– მამიკო, ნახე, მიტუშას როგორ ყვარებიხარ, რამდენი ვარდები მოგიტანა… – მიატირა ნელიმ.

– მოდი, მოდი, შე უბედურო, – ჩამოართვა სიტყვა ქალიშვილს დეიდა ანეტამ. – მოდი, შე მშიერო, უსტიპენდიო, უსახსრო და წაგებულო, მოდი ძველებურად ეთამაშე ჭადრაკი და შახს რომ ველარ გეტყვის, ხომ მიხვდები, რომ აღარა გყავს შენი ძია გევორქაა… ადექი, გევორქ და ჰკითხე, სად იშოვა ამდენი ვარდის ფული ამ უბედურმა, მე ხომ ვიცი, რომ თითო სამი მანეთი ღირს ბაზარშიიი, მოუყევი, ბიჭო, მოუყევი. ნუ გრცხვენია, მოუყევი შენს ძია

გევორქააას… – ჩამოიხოკა ლოყა დეიდა ანეტამ. ჯერ ნელის ჩავეხუტე, მერე დეიდა ანეტას და ეზოში გავედი თვალებ და თავგასიებული.

გახდა სამი საათი. ხალხი აჩოჩქოლდა და გამოჩნდა კარებში ნათესავების მიერ ისე მაღლა ატაცებული ძია გევორქა, გეგონებოდათ, მიჰყავთ კი არა, თვითონ მიაბიჯებსო ჰაერში.

– არ წახვიდე, მამიკო… – ემუდარებოდა ნელი.

– არ დამტოვო, გევორქ! – ეხვეწებოდა დეიდა ანეტა, მაგრამ ძია გევორქას გაჩერება აღარ შეიძლებოდა. იგი მოდიოდა და მოდიოდა.

პროცესიამ ხელმარცხნივ შეუხვია, ვენდისპანსერს რომ გავცდით და კონსტიტუციის ქუჩის აღმართს შევუდექით, უცებ სასტვენის გაბმული ხმა გაისმა. პროცესია შეჩერდა.

– რაშია საქმე? – იკითხა განცვიფრებულმა პროცესიის ხელმძღვანელმა, გადამდგარმა პოლკოვნიკმა ვალერიან გაბისონიამ.

– სად მიდიხართ?! – ახლა თავის მხრივ იკითხა, ჯერ კიდევ უწვერულვაშო და, როგორც შემდეგ გაირკვა, ახალბედა მილიციელმა.

– ახლა ხალხი არ მრცხვენოდეს, მე გეტყოდი, სადაც მივდივართ, შე ბრიყვო, მაგრამ რას იზამ… ქორწილში მივდივართ ჩვენ… – ახალბედა მილიციელი შეცბა, მიხვდა, რომ სისულელე წამოცდა და „საიდან მოდიხართო“ იმის ნაცვლად „სად მიდიხართო“ იკითხა, მაგრამ უკან აღარ დაიხია.

– ახლავე დაახურეთ! – თქვა მან.

– რაო?! – გადაირია გაბისონია.

– ახლავე კუბოს სახურავი დაახურეთ! – გაიმეორა ბრძანება მკაცრად მილიციელმა და რევოლვერის ცარიელ ბუდეზე ხელი დაიდო.

– დაახურეთ, დაახურეთ, კარგ ცხოვრებაზე თვალი არ დარჩეს! – თქვა ვიღაცამ პროცესიაში. ვიღაცა მეორემ ისე ხმამაღლა გადაიხარხარა, მთელი პროცესია მისკენ მიბრუნდა.

– ისტერიკაა, გაუვლის! – დაამშვიდა ვიღაც მესამემ ხალხი.

– რას იზამ, დღევანდელი დღე შენია და დაგრჩეს, ხვალ კი ჩემი ხელით მიგათრევ პოლკოვნიკ ჭელიძესთან და პაგონებს, ენას და ყურებს ერთად აგახევ. – დაემუქრა მილიციელს ვალერიან გაბისონია, არ ვიცი, შეეშინდა, არ ვიცი, გაბრაზდა, ისე კი მილიციელი მიტკლისფერი გახდა, შებრუნდა და წავიდა.

კუბოს სახურავი დაახურეს, ისევ აიტაცეს ხელში და პროცესია კუკიის სასაფლაოსაკენ დაიძრა.

ის დრო იყო, თბილისში გვირგვინები და სასულე ორკესტრი მოდიდან გადადიოდა, ამიტომ ძია გევორქას პროცესიას უამრავ ყვავილთა შორის მხოლოდ ერთი გვირგვინი ამშვენებდა, რომელიც ორ ქურთ მუშას მიჰქონდა პროცესიის წინ, და რომელსაც სულის შემძვრელი წარწერა ჰქონდა.

– ძვირფას გევორქ ართავაზის ძე ასლამაზოვს, ნინოშვილის ქუჩის ქალებისაგან.

დიდი პატივი სცა საზოგადოებამ ძია გევორქას. მისი ცხედარი ნინოშვილის ქუჩიდან ვიდრე კუკიის სასაფლაომდე სულ ხელით ატარეს.

საფლავზე სამი კაცი დავრჩით. მე და ორი მესაფლავე.

ყველაფერს რომ მოვრჩით, ერთმა ბაწარი მკლავზე დაიხვია, გამოსკვნა, მხარზე გადაიკიდა და წასასვლელად მოემზადნენ.

– ცოტა ხანს მოიცადეთ! – ვთხოვე მე და საფლავთან მიწაყრილზე ჩამოვჯექი. მესაფლავეებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე იარაღები დააწყვეს და უხმოდ ჩემს პირდაპირ მიწაზე დასხდნენ. მე ჩანთიდან ნახევარი კილო ძეხვი, ნახევარი კილო შავი პური, ორი ბოთლი კონიაკი და გათლილი პატარა ღვინის ჭიქა ამოვიღე.

– ვინა ხარ შენ? – მკითხა ერთმა, რომელსაც ნიჩბები და წერაქვი უნდა წაელო.

– მე ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, დიმიტრი ვლადიმერის ძე დარჩია ვარ. – ვთქვი და გავიღიმე.

– მაგას არ გეკითხები, მიცვალებულის რა ხარ. – ხმა არ გავეცი, კონიაკის ბოთლი გავხსენი და ჭიქა გავავსე.

– შვილი ხარ?

– არა.

– დისშვილი, ძმისშვილი, გერი…

– არავინ არა ვარ, უბრალოდ, მეგობარი ვარ, მევალე…

– ეგეთი რა ვალი დაგრჩა, შე კაცო, რომ ცოლ–შვილი წავიდა და შენ აქა ხარ? – მკითხა მეორე მესაფლავემ.

– დიდი ვალი დამრჩა გადაუხდელი, სულ ბოლოს კი ეს ორი ბოთლი კონიაკი წავაგე, გადახდა ვერ მოვასწარი, ჭადრაკის თამაშის დროს ხელში ჩამაკვდა… ახლა მინდა გადავუხადო, შენ რა გქვია?

– მე არტაშა მქვია, ამას თედო!

– ჰოდა, თუ ჩემი ძმები ხართ, მომეხმარეთ ვალის გადახდაში, – ვთხოვე მე.

– როგორ არ მოგეხმარებით, მაგრამ ორი ბოთლი კონიაკი ბევრია, დავთვრებით, ერთი დავლიოთ, ერთიც საფლავზე მოვასხათ, – თქვა თედომ.
– მიუვა, რო? – ვკითხე მე.
– როგორ არ მიუვა, აბა, მოიტა ეგ ბოთლი, – ჩამომართვა და საფლავზე დაამხო, – რა ერქვა მიცვალებულს?
– ძია გევორქა.
– ძია გევორქ, ღმერთმა სული გიცხონოს და ეგ კონიაკი გაამოს, მიიღეთ დიმიტრისაგან ვალი... კონიაკი რაკრაკით იღვრებოდა ბოთლიდან, ახალნაყარმა მიწამ სასწრაფოდ შეისრუტა კონიაკი, – ნახე როგორ მალე მიუვიდა, – თქვა თედომ, კმაყოფილმა გაიღიმა და ცარიელი ბოთლი დამიბრუნა.
– ახლა ჩვენც დავლიოთ, – ვთქვი მე და საგსე ჭიქა ავწიე.
– წელან გითხარით, მაგ კაცის იმდენი ვალი მაქვს, ჩემს სიცოცხლეში ვერ გადავიხდი– მეთქი, არ იფიქროთ, რომ ფული მმართებს...
– მა რა გმართებს, კაცო? – გაუკვირდა თედოს.
– სიყვარული მმართებს...
– აკი უხდი კიდევაც, – თქვა დუმილის შემდეგ არტაშამ, – ნეტავ ვინმე მე გადამიხდიდეს ეგრე ვალს.
– ძია გევორქას გაუმარჯოს! – ვთქვი მოკლედ და უცებ გადავკარი. მერე მესაფლავეებს დავუსხი.
– ღმერთმა აცხონოს, – თქვეს ორთავემ. პირჯვარი გამოისახეს და რიგრიგობით დალიეს.
– არტაშ, – მივუბრუნდი უცებ მესაფლავეს, – სახელითაც და სახითაც გეტყობა, სომეხი ხარ, სომხური იცი?
– მა რის სომეხი ვარ, თუ სომხური არ ვიცი, მე კი არა, თედომაც იცის, – მიპასუხა გაკვირვებულმა.
– მაშ, თუ ძმა ხარ, მითხარი, სომხურად ღმერთი როგორ არი?
– ჰა, კომსომოლა ვირისთავო, ქართულად რომ აგინებთ ის არ გეყოთ, ახლა სომხურად გინდათ დაუწყოთ? – მკითხა არტაშამ და ცალყბად გაიღიმა.
– არა, კაცო, ძია გევორქა რომ კვდებოდა, მომეჩვენა, რომ სიკვდილის წინ ღმერთს უთხრა რაღაც...
– რაო, რა თქვა? – მკითხა დაინტერესებულმა არტაშამ და მუხლებზე წამოიწია.
– ასტვაწ! ინჩუ ჰამარ!
– მართლა ეგრე თქვა? – მკითხა გაკვირვებულმა არტაშამ, ისევ პირჯვარი გამოისახა. და არანაკლებ გაკვირვებულ თედოს გახედა.
– რაო, რა უთქვამს. – სული შემეკრა პასუხის მოლოდინში და თედოს შევხედე.
– ღმერთო, რისი გულისთვის?! – ჩურჩულით თქვა თედომ.